ვიტონ ხერხეულიანი



კლდის ვეფხვი

პირველი ფოტოილუსტრირებული გამოცემა

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1990

75.82
ბ 431

„კარგ ყმად ვინა ვთქვათ, ვაქებო, ნათქვამის არა გერცხვენოდეს?“...

საბწუხაროდ, დასაბამიდან მოყოლებული, მრავალი „კაი ყმა“ დააკლდა საქართველოს. ამ ომახიან შემოძახილზე მახსოვრობაში მგლის მუხლება, ქვეყნის წინაშე პირნათელიანი ეაქკაცთა ლაშქარი წამოიშლება — შაელეგოები, ყანსავ ყიფიანები და რამდენი ძველი თე, აგერ, სულ ახლახანს, შუა გზაზე წამოქცეული ლომისფერა მამულიშვილი გაგვახსენდება, მიწას რომ ვერ ჰგუობენ და ფართე ბეჭებით საფლავის ამონგრევას ლამობენ...

როგორ აკლია მათი ანთებული გულები მ,მულს, მითუმეტეს, დღეს, ქართველთა საერთო განსაცდელის ჟამს, როცა ყოველის მხრით გვიტევენ მტრული ძალები და ასეთი ფასი დაედო კაი ყმის საქმესა და სარბიელს.

მიხეილ ხერგიანი... ლაღი მხრებით რომ გაჰქონდა თავისი ქვეყნის სახელი და დიდება. ჯერ კიდევ მაშინ როცა საერთო საბჭოურ უსახურ ერთფეროვნებაში იკარგებოდა ეროვნული მეობა, იგი თავისი განუმეორებელი ქართული ფენომენით ანცეიფრებდა ყველას. მთებს შეტოლებული რაინდი ჩვენაც გვაგრძნობინებდა ქართული სისხლის უქცეველ მდინარებას, ჩვენეული ჯიშისა და გენის გამორჩეულობასა და თავისთაეადობას...

მიხეილ ხერგიანი... ლეგენდარული „კლდის ეეფხვი“...

ასე იცნობდნენ მას მთელ მსოფლიოში, როგორც „უმამაცეს მთამსვლელს, მთების მინდიას, კაცს, რომელიც ქარზე მსუბუქია და საჩვენებელი თითით ეკიდება უფსკრულის თავზე“...

„საოცარია მთა... შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც მოსცილდები — ამბობდა მიხეილი როცა მთამსვლურ გატაცებაზე შეეკითხებოდნენ — მერმე მთა მშობელივით ახლობელი და საყვარელი ხდება, მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე — მიწაში...“

ვეღარც მოსცილდი. ვეღარ უღალატ. ვეღარ შეელიო!

უსასრულოდ დაგრძელდა სვანეთში, მშობლიური ლაღამის მისადგომებთან აჩენილი ბილიკები... მაინც სად მიიყვანა იგი მთების სიყვარულმა, სად განუმწესა სამუდამო სასუფეველი...

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს
მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი...“

პოეტის თქმისა არ იყოს, ასეთი ბობოქარი ყოფაცა და აღსასრულიც ერის დიდება და უკვდავებაა!

მირონ ხერგიანი.

წიგნი დაიბეჭდა ავტორის ხარჯით.

გამოცემის ინიციატორია 'ხრულიად საქართველოს სადროშო „ლომი“.

4700000000 —
X ——————— ავტორის ხარჯით
M-602(08)—90
ISBN 5—505—012752—2

„წუთი წუთს მისდევდა ჩვენ კი ისევ
არაქათგამოცლილნი ვეყარენით თოვლში,
მაგრამ რაკი ვიცოდით რომ აქ ველარ
დავრჩებოდით, რიგრიგობით ვდგებო-
დით ფეხზე".

ჩარლზ ევანსი.

გავლენ წლები. საუკუნეები და ... ჭაღაროსანი მეზღაპრე მოჰყვება ძველთაძველ ამბავს:

სულ პირველად იყო ბეთქილი.

ბეთქილის მერმე იყო ჩორლა.

ჩორლას მერმე — მურათბი კიბოლახი.

ალიოშა და გიო.

ბექნუ და ჭიჭიკო, გაბრიელი და გოჯი, მაქსიმე და ბესარიონი...

და იყო ორი მიხეილ ხერგიანი — „უმცროსი" და „კლდის ვეფხვად" წოდებული მინაანი, იგივე მიხეილი.

ყველა ისინი „ლომის ხეობის" მონადირეები და მთამსველელები იყვნენ, მთათა და ცისიერ მწვერვალთა შემჯერებელნი, იმათ სვეებედთან წილნაყარნი, მართლაც ჭეშმარიტი რაინდები.

ხოლო მერმე იყო...

• •

მას მთელ მსოფლიოში იცნობდნენ, როგორც უმამაცეს მთამსველელს, მთების მინდიას, ჟურნალ-გაზეთებში მსხვილი შრიფტით იბეჭდებოდა რეპორტაჟები და ნარკვევები მრავალისმეტყველი სათაურებით: „კლდის ვეფხვი საქართველოდან", „ადამიანი-საკვირველება"...

მიხეილზე უამრავი ლეგენდა დადიოდა, ამბობდნენ თითქოს მწვერვალთა გულისნადებისა და მოსალოდნელი ამინდის გამოცნობის უნარი აქვსო ღვთისაგან მომადლებული. ამბობდნენ — ცალი თითით

შიშველი კლდის ქიმზე რომ დაეკიდოს მთელი კვირა ერთი კვნესა არ ალმოხდებაო. რას არ ამბობდნენ „კლდის ვეფხვზე“.

სინამდვილეში კი იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ადამიანი თავისი ყოველდღიური დარდითა და სიხარულით, მეგობრებით და ოჯახით.

მესტიის რაიონში, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა შინაურები და ახლობლები სხვადასხვა სახელით მიმართავდნენ — ჩვიმლიან, მინაან, მიხეილ, მიშა...

ბავშვობიდანვე დაჰყვა მთიელთათვის დამახასიათებელი სიდარბაისლე, უბრალოება და შრომისმოყვარეობა. ღრმად სწამდა, რომ ყოველგვარი დიდება და წარმატება მხოლოდ შრომით მოიპოვებოდა.

— საქმეები დაულეველია, — ამბობდა იგი, — ერთს რომ გააკეთებ, მეორე გიხმობს. ოცნებები როგორც მწვერვალები ჯაჭვის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს, გეწევიან მაღლა, ცისკენ...

უკვირდა თავის გარშემო ატეხილი ხმაური და ქება-დიდება:

— მე მგონი, ვისაც თავისი საქმე გულით უყვარს, მისთვის ეს აურზაური ზედმეტია...

თავის გატაცებაზე რომ შეეკითხებოდნენ, ამბობდა: სვანეთში დაბადებული კაცი ბეერით არის დავალებული მთისაგან.. ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: „აქ მთა ყველაფერია, მთა იფარავს, მთა ჰკვებავს და ასაზრდოებს ადამიანსო“. მართლაც რომ საოცარია მთა — შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ველარც მოსცილდები. მთა მშობელივით საყვარელი და ახლობელი ხდება, მთა სულში იდგამს ფესვებსა ისევე, როგორც ხე — მიწაში...

ხანდახან საუკუნოვანი მყინვარივით გამჭვირვალე თვალებს მოწკურავდა, გარუჯული, ქანდაკებასავით ჩამოსხმული სახე გაერინდებოდა, რაღაცნაირად დაეძაბებოდა, თითქოს ნაპრალზე გადასახტომად შემართულაო, ერთხანს დუმილი მოიცავდა, ბოლოს ძლივს შესამჩნევი ღიმილი გაუკრთებოდა და სახეზე მზესავით მოეფინებოდა.

ამ დროს იგი თავის პირველ ნაბიჯს, თავის ბავშვობას იგონებდა ხოლმე...

* *

ბაბუა ანტონი ცნობილი მონადირე იყო. სხვა მეთხვიარებივით* მანაც უამრავი თქმულება თუ ძველისძველი ამბავი იცოდა. რამდენი

* სვ. მონადირე

ლეგენდა-ზღაპარი უამბნია ანტონს მიხეილისათვის — პატარა მინაანისათვის, ზღაპრები დევებზე, ქაჯებზე და მზეშაბუკებზე...

ამ ნაამბობიდან ზოგი რამ კარგად დაამახსოვრდა. აი, მაგალითად, ბეთქილის ამბავი!

• •

— კარგად მახსოვს, როგორ დაიწყო ჩვენი საუბარი — ნადირობიდან ახლადდაბრუნებულს ბაბუა ანტონმა დაღლილობა რომ შეატყო, თავისთან მიმიხმო და ღიმილით მომმართა:

— დღეს ისეთ გუნებაზე ვარ, რაც გინდა მკითხო, ყველაფერზე გიპასუხებო. მეც მეტი რა მინდოდა, ავდექი და რაც გამახსენდა, ისა ვკითხე — პირველი მთამსვლელები ვინ იყვნენ-მეთქი.

— ბევრნი იყვნენ, — ხალისიანად დაიწყო მოყოლა მოხუცმა — ყველა კარგი მონადირე მთამსვლელიც იყო, მათ შორის კი თავისი ვაჟკაცობით ბეთქილი გამოირჩეოდა. იმიტომაც მისი ამბავი ლეგენდად შემორჩა ჩვენს ხეობას.

მამაცი მეთხვიარი ნადირთა ქალღმერთ დალს უყვარდა. მან საუკუნო ერთგულების ნიშნად თავისი მძივი უსახსოვრა ვაჟკაცს, მაგრამ ბეთქილმა მიცემული სიტყვა გატეხა, იმისი ნაჩუქარი მძივი თავის საცოლეს ჩამოჰკიდა ყელზე.

გავიდა ხანი. ერთ დღეს სოფლის მოედანზე მოეყარა თავი ახალგაზრდობას. ნაბდის ქუდიანები მღეროდნენ და ფერხულს უვლიდნენ. ბეთქილიც მათ შორის იყო. იდგა ერთი ჟრიამული.

უეცრად მოცეკვავეთა წრეში თეთრი შუნი შევარდა, ხალხს ლაჯებში გაუძვრა და გაუჩინარდა. მსგავსი რამ არავის სმენოდა. მოხუცები ამბობდნენ — ეს ან სიკეთის მაუწყებელია, ანდა უბედურებისაო. ხალხი შეჩოჩქოლდა. უნდა გაჰკიდებოდა ვინმე თეთრ შუნს, მაგრამ ვინ იქნებოდა ასეთი გულადი?

ვინა და — ბეთქილი! ბეთქილი გაეკიდებოდა თეთრ შუნს, ბეთქილი... ბეთქილი...

ბეთქილს პაჭიჭები ჩაუსწორებია, ლობარები ამოუჭერია ბანდულებზე, თოფისთვის დაუვლია ხელი და უკან გაჰყოლია შუნის კვალს. კვალს შავ კლდეებში შეუტყუებია ბეთქილი, შავ კლდეებში დალების სამფლობელოში. უეცრად ქალღმერთი დალი გამოცხადებია დაბნეულ ბეთქილს, თავისი ნაჩუქარი მძივი მოუკითხავს. აბა საიდან მოუტანდა ბეთქილი დალისაგან ბოძებულ ქარვის ყელსაბამს?

იცრუა თურმე — სასთუმალქვეშ დამრჩაო. მაგრამ დალი რომ, ყოველისმცოდნე და ყოველისმხილველი იყო? აბა რას გამოაპარებდა მას მონადირე ბეთქილი?

— შენ რა სიმართლესაც ამბობ, იმ სიმართლით იარეო, — უთხრა თვალზე ცრემლმომდგარმა დალმა ბეთქილს და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

ირგვლივ სიბნელე ჩამოწვა. ბეთქილს შავ კლდეზე ფეხის დასადგმელი ადგილი ჩაუშვავდა. მამაცი მეთხვიარი ცალი ფეხით და ცალი ხელით გამოეკიდა ქარაფზე.

მეორე დილით შავი კლდის მისადგომებთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, მთელი სოფელი მოგროვდა. ყველა ცდილობდა დახმარების ხელი გაეწვდინა მამაცი მონადირისათვის, მაგრამ შავ კლდეზე აბლატებას ვინ გაბედავდა?

ვინ გადაეკლებოდა იმის ქარაფებს?

ხალხი ტიროდა, ხელს იწვდიდა ბეთქილისაკენ, ღმერთს ევედრებოდა.

ბეთქილმა მხნეობა მოიკრიბა და ომახიანად გადასძახა შეკრებილთ:

ჩემმა საცოლემ იცეკვოს, უკანასკნელად მინდა ვნახო იმისი გოგშანიო.

წრე გაშალეს თანასოფლელებმა, და მამაცი მონადირის საცოლემ რონინით ჩამოუარა მოედანს.

ისევ დაიძახა ბეთქილმა:

— ახლა ჩემმა დაიამ მიტიროს, მინდა უკანასკნელად გავიგონო იმისი ხმაო.

მოედნის შუაგულში, კლდის ნაშალ ლოდზე ერთი ციცქნა გოგო ჩამოჯდა და მოთქმა დაიწყო. თურმე რა გულისდამწველი ხმა ჰქონია პატარა დაიკოს.

— ახლა კი მინდა ხალხმა იცეკვოს, მთელი სოფლის ცეკვას მინდა ვუყურეო... — დაიძახა მერე ბეთქილმა.

ხალხმა ერთურთს ჩასწიდა ხელი. წრე შეჰკრა და შინავორგილი ჩამოუარა. თეთრი ნაბდისქუდიანები ერთურთს გადახვეულ-გადაჭდობილნი სვანური მურყვამებივით მოჩანდნენ. მურყვამები ტორტმანებდნენ, ირწეოდნენ, ბუბუნებდნენ...

— ჰე... ჰე... ჰეეეიი — დაიძახა ბოლოს ბეთქილმა ძლიერი და ომახიანი ხმით. მთებმა და მწვერვალებმა დაბურთავეს, შორს გაიტაცეს ბეთქილის ხმა, მიუვალ ჭოუხებსა და ქარაფებში გადაკარგეს.

ახლაც კი, მთებში, ხშირად გაიგონებს კაცი უჩვეულო გმინვა-გოდებას, იგი მამაცი ბეთქილის სულის ამოძახილია — დაამთავრა თხრობა ანტონმა.

— რა მოუვიდა მერე ბეთქილს? რა ბედი ეწია?

რა მოუვიდა? ბეთქილი კლდეებს გადმოევლო. მამაცი მონადირის სისხლმა შეღება უშბის ციცაბოები. იმ ადგილს, სადაც ბეთქილი დაენარცხა ახლაც „წითელ ქარაფს“ ეძახიან.

მას მერე ვერავის შეუბედავს უშბასთან ჭიდილი.

იმასთან მიახლოებისაც ეშინოდა ყველას.

უშბა შეუვალი რჩებოდა, ვიდრე მონადირე ჩორლა არ ესტუმრა მის ფრიალოებს... ხო, ბეთქილის შემდეგ იყო ჩორლა...

აუცილებლად გადავძვრები

რამდენჯერ გასდევნებია სანადიროდ წასულ ბაბუა ანტონს მიხეილი, გასდევნებია, მაგრამ შეშინებული შუა გზიდან გამობრუნებულა. იგი პატარა და გამოუცდელი იყო.

— კლდეებში ჰალე[1] დადის. ჰალე ბავშვებს დასდევს... — აშინებდნენ ხოლმე უფროსები. მას კი ჰალე სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, მთებში სანადიროდ წასვლა, ბეთქილის ბილიკების დალახვა ეწადა. დალა-ყორას ცაზე გადმოკიდებული ფანჯარა იტაცებდა. მიმზიდველი და ლამაზი იყო შორიდან ნადირობის ქალღმერთის სახელით ცნობილი პატარა მწვერვალი — ჩრდილოეთისაკენ გადასახედი — „დალა-ყორა“, მისი ერთმანეთზე მიყრდნობილი ლოდებისაგან წარმოქმნილი ბუნებრივი კლდეკარი.

— „უნდა გადავძვრე, აუცილებლად უნდა გადავძვრე“... — ფიქრობდა გულში მიხეილი და სამოქმედო გეგმას ადგენდა. მამის თოფი უნდა ჩაეგდო ხელთ როგორმე, სახლიდან გაპარულიყო და მერე თვითონ იცოდა! თოფი კი „იგდო“ ხელთ, მაგრამ... დალა-ყორას „სარკმელში“ ვეღარ გაეტია, მელას ადევნებულ დათვივით გაეჩხირა ლოდებს შორის. ვერც წინ მიიწევდა, ვერც უკან. ახლაღა შეამჩნია, თურმე რა სიმაღლეზე ასულიყო. შიშმა თავბრუ დაახვია, მაგრამ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და შეებრძოლა მაცდურ გრძნობას.

---

[1] ჰალე — სვ. ალი, ავი სული.

„მზე!... მზე საცაა ჩავა, მთაში მალე ღამდება, ირგვლივ სიბნელე დაისადგურებს და...“

სწორედ ამ წუთას გაახსენდა რატომღაც ძალე. ჰალე, სასაცილოდ რომ არ ჰყოფნიდა სხვა დროს.

„კლდეებში ჰალე დადის, ჰალე ბავშვებს დასდევს“...

„— რა ეშველება?“

მალე მზე შორეულ მთებს მიღმა ჩაიტვირთა. მყინვარები და კლდეები გამუქდა. დალა-ყორას მისადგომებში, სულ ქვევით, ნაძვნარი ზოლი ღამისეულ ბურუსში გაეხვია. საღამო ხეობიდან ნელა მოიპარებოდა, მაღლა, მაღლა მიცოცავდა. ბოლოს კავკასიონის თეთრი მწვერვალებიღა შემორჩა ნუგეშად. წყვდიადმა ვერ დაიმორჩილა ისინი. ზღაპრული ჩირაღდნებივით თეთრად რიალებდნენ...

ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲐ

— ᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲘᲡ ᲩᲝᲠᲚᲐ? ᲠᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ?

ბაბუა ანტონმა თოლვივით თეთრ წვერზე მოისვა მარცხენა ხელი, მერე მუხლებსშორის მოგდებულ მუჯურაზე ჩამოეყრდნო, რომელსაც ხელიდან არასოდეს არ იშორებდა და ჩორლას ამბავს ᲬᲝᲰᲧᲕᲐ:

— ჩორლასნაირი მონადირე არც დაბადებულა დედამიწის ზურგზე. მაგრამ, რაც უცნაურია, გაუმაძღრობა დაჰყოლია თურმე ბავშვობიდან.

— ღვთისმოსავი და ამავე დროს თავგასული, გაუმაძღარი კაცი ყოფილა. ნადირობისას, რამდენსაც მოიხელთებდა, იმდენ ხარჯიხეს დათოფავდა. ხოცვის, განადგურების ჟინი გასჯდომოდა ძვალ-რბილში.

„რამდენსაც მოერევი და აიკიდებ, იმდენი მოინადირეო“ — სწერია ჩვენს კანონებში. ეს კანონები კი ნადირობის ქალღმერთების დაწესებულია, მაგრამ ჩორლა იმათს ნება-სურვილზე ხომ არ იღლიდა, მონადირული ადათ-ჩვეულებანი სასაცილოდ გაეხადა.

ერთხელაც წასულა იგი სანადიროდ. თავისი ყორანა ძაღლიც თან გაუყოლებია. თეთრი კლდეებისათვის მიუშურებია, მაგრამ ველარაფერი მოუხელთებია. მერე დალების მდელოზე გასულა, იქნებ მანდ მაინც წავაწყდე რაიმესო. მდელოზე მთელი თაბუნი გაშლილიყო. უდარდელად ძოვდნენ ჯიხვები ბალახს. მაგრამ ჩორლა რისი მონა-

დარე იყო იმათ თუ ვერ უჩვენებდა სეირს. ხარჯიხვისათვის უსროლია და წაუქცევია, მეორედ გაუტყვრენია თავისი კუთხვა, მეორეც ჩაკეცილა, მერე — მესამე, მეოთხე. ეს ოცამდე ჯიხვი დაუთოფავს... აი, ზუსტად ისე მომხდარა ყველაფერი, ლექსში როა ნათქვამი:

მონადირე ჩორლა წერას აუტანია,
შემოუვლია მეღეხ-მუყალი,
ამხანაგი ვერ უშოვია,
იხტიბარი მაინც არ გაუტეხავს,
თოფი მხარზე გადაუდია,
თავის საყვარელ ყორანასთან
გასდგომია უვალ ბილიკებს.
ცხრა მთა ისე გადაულახავს
ცქაფი კურდღლის ნაკვალევსაც
ვერ წაწყდომია;
მეათე მთაც გადაუვლია...
იქ უდაბური ხევი თურმე
ჯიხვით და არჩვით ყოფილა სავსე
თავისი კუთხვა გაუმართია,
აუტეხია ბათქა-ბუთქი,
ეს ოცი ჯიხვი დაუთოფავს,
ჯიხვი და არჩვი შერეულად.
ერთი კოვლაუხა თხაღა გაუშვია,
ძლივს მიუღწევია დალის კლდესთან
ნფარველებისთვის საწყალობლად შეუბღავლია...
კლდის ფერიები უმალ გარეთ გამოცვენილან —
ო, საშინელი ამბავი ემცნოთ:
გონს გადამცდარა მუხლკვდარი ჩორლა,
ის პირსისხლიანი და ყურპანტურა —
მთელი არეე ერთიანად ამოუეუეავს...
შურსაძიებლად ზეაღძრულა მათი ლაშქარი.
გაუმაძღარი ჩორლა თურმე
გულით ნეტარებს
და ოცნებაში ცის ლაქვარდებს
ეთამაშება,
საყანწე რქებს ზეაჩეხავს
მუხის ყვერივით,
ჯიხვებს ატყავებს და ნაფერდლებს,
ვით ქერქეკელას,
დუქმოშდგარი, მელაკუდას
ხარბი კრუსუნით
სათითაოდ აცლის სუნნია...
უძღო ფიქრებში ჩაძირული
ეგრე შეკოკეს გულმოდგინედ
ტყის ფერიებმა.
მისანი მკლავით,

მარცხენა წვივით
ქარაფის ქიმზე ჩამოკიდეს
ბზით დაბეკილი გუდურასავით...
იქ ჩორლას მოთქმა
ხავსიან ლოდს აატირებდა,
ყორანას მოთქმა
მუხის ფოთოლს შეათრთოლებდა...

— გაუმაძღარო, ჩორლა, აქ დაიძიძგნება ყორნებისაგან შენი ძვალ-ჩორცი, აქ დასახლდება საუკუნოდ შენი ბოროტი სული, შენს საყვარელ კუთხეას აქ შეჭამს ყანგი, — დაუტოვეს ნუგეშად დალებმა.

— ჩემო ყორანავ, — ჩასძახა თავის მოწკავწკავე ძაღლს ჩორლამ, — წადი და ძმებს შეატყობინე ჩემი ამბავი, ჩემს ძვლებს შინ წაასვენებენ, ჩემს თოფ-იარაღს თვითონ მოიხმარენ...

შინისაკენ წაძუნძულებულ ყორანას სოფლის მისადგომებთან უფალი გიორგი შემოხვდა.

— საით გაგიწყია, ან რაზე დაღონებულხარ ასეროგად, ყორანა? — შეეკითხა უფალი გიორგი.

— როგორ თუ საით გამიწევია? ჩემი ჩორლა კლდეზეა მიჯაჭვული. იმის ძმებს უნდა მივუტანო ამბავი, ისინი ჩორლას ძვლებს შინ წაასვენებენ, თოფ-იარაღს მოიხმარენ...

— მერედა ამან დაგალონა, ყორანაო? ამაზე წკავწკავებ ასე საცოდავად? ახლავე უკან გაბრუნდი და ჩემს მოსელამდე გაამხნევე შენი პატრონი. მე ხევს ამოვუყვები და დალებს მოციქულობას გავუმართავ, თუ არ გამიგონებენ, ძალით დავიხსნი შენს ჩორლას.

გიორგიმ მართლა შეუთვალა დალებს — გამოუშვით მამაცი ჩორლაო.

დალებმა გაიკვირვეს გიორგის ნათქვამი.

— ჩორლას როგორ გამოვუშვებთ, სამი ათასი ჯიხვი გამოგვისალმა წუთისოფელს, ამდენივე შუნი მოგვიკლა, სამად-სამი ერსკანილა დაგვირჩინა, ისინიც სუყველა კოჭლაუხებიო... აი, ის არეები გაგვიმრთელე, ჯიხვები ფეხზე დაგვიყენე და თქვენს ჩორლას ახლავე გავანთავისუფლებთო...

ვიორგიმ თავისი გაიტანა, ძალით გამოიხსნა ჩორლა, მაგრამ დალებმა, მონადირეს მარჯვენა მხარი დაუჩეჩქეს, რათა ვეღარ მიიბჯინოს თოფის კონდახი, ვეღარ მოიხმაროს თავისი კუთხეა...

— ჩორლაო, საბრალო ჩორლაო, როგორა გრძნობ თავსა? — ჰკითხავს გზად უფალი გიორგი მონადირეს.

— კარგად, წმინდაო გიორგი, აბა მხარი რომ დამიჩეჩქვეს, ეგ რა დიდი რამეა, როცა ჩემს გადარჩენას ველარაფინ იფიქრებდა?

— ძაან ნუ. იდარდებ ჩორლაო, მე ახლა სამ ჯიხვს აგკიდებ. თუ მოერევი და იმ გორამდე აიტან, მხარი გაგიმრთელდება...

წმინდა გიორგიმ აჰკიდა ჩორლას სამი ჯიხვი:

— ახლა მე წინ გაგიძღვები, შენ უკან მომყევი, ოღონდ კვნესა არ გამაგონო, იმ გორამდე უნდა გეყოს მოთმინება...

ჩორლას უჭირდა, აუ, როგორ დაიღალა ჩორლა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, თვალებს უწვავდა. წინ ველარაფერს ხედავდა დაჭრილი მონადირე, გუმანით მიიკვლევდა გზას, წმინდა გიორგის ხაფეხურებს მიჰყვებოდა ანდეთი...

აღმართები უკან დარჩა. გამარჯვების ღიმილი გაუკრთა სახეზე მეთხვიარს.

მაგრამ ჯერ ადრეა სიხარული. გიორგი ეუბნება მონადირეს:

— აი, ხევს გადაღმა ზექრას ხომ ხედავ, იქამდე უნდა ათრიო ტვირთი, ჰოდა მაშინ გაიცინე, ჩემო ჩორლაო...

ჩორლა ითმენს, ბანცალ-ბანცალით მიჰყვება წმინდა გიორგის.

ზექრამდე რომ ავიდნენ, გიორგი კვლავ ეუბნება მონადირეს: ღამისსათევამდე მივიდეთ და მერე გაიცინე, ჩემო ჩორლაო...

„ღამისსათევამდე... ღამისსათევამდე...“ ფიქრობს თავისთვის დაძაბუნებული ჩორლა — „მაინც სად არის ეს ოხერი გამოქვაბული? — ველარ გაუხსენებია მონადირეთა თავშესაფარი, ბარე ასჯერ რომ გაუთევია იმ ლოდქვეშ ღამე.

— სხვა რა გზაა, წმინდაო გიორგი, უნდა გავუძლო როგორმე, ან მოვკვდე, ან გავუძლო...

ნაბიჯი არ შეუნელებია ჩორლას. ერთხელ არ დაუკვნესია, სახეზე არ მოუსვამს ხელი ბუზების მოსაგერიებლად, მუხლმორთხმის, დასვენების მაცთუნებელი ფიქრი არ გაჰკარებია გონებაში. წმინდა გიორგის კვალს მიჰყვება ჩორლა.

უცბად რაღაც უცნაური ჩოჩქოლი მოისმა ხეობიდან.

— ჩორლაო, უკან მიიხედე, აბა ერთი რას დაინახავ... უთხრა მონადირეს წინ წასულმა გიორგიმ — შეხედე, რა წარღვნა მოვუვლინე იმ თავქარიან დალებს. შენს ჩასაქოლად რომ მოიჩქაროდნენ....

ჩორლამ დაინახა, — როგორ იხრჩობოდნენ ღმერთქალები მეწყერ ნიაღვარში.

— ხომ გსმენია, ჩემო ჩორლაო — „სანთელ-საკმეველი გზას არ

დაკარგავსო". შენ ჩემთვის ბევრი გიმსახურია, სხვა რომ არა ვთქვა, თორმეტი ცხენის საპალნე მხოლოდ სანთელი დაგინთია.

იმ სიყვარულსა და პატივისცემას ხომ არ დავივიწყებდი, გაჭირვების ჟამს მარტო ხომ არ მიგატოვებდი.

ამიერიდან ჯიხვები ველარსად წაგივლენ. არჩვი და ვაც-ვერძი თავზესაყრელად გექნება...

სიკეთილი კი მაშინ გესტუმრება, როცა თავად მოისურვებ...

ღვთის სიყვარული და თაყვანისცემა არავის დაკარგვია, ჩემო ჩორლაო... დაამთავრა თხრობა თეთრმა მოხუცმა. შემდეგ ერთხანს თვალმილულული რაღაცაზე ჩაფიქრდა და ისევ განაგრძო:

— მხოლოდ მამაცობა თუ შეშურდება ადამიანს ჩორლასი, — მოუბრუნდა მიხეილს თეთრი მოხუცი, — სხვა რამ საბარბიელო არაფერი სცხია იმის კაცობას. არც წმინდა გიორგის საქციელია მოსაწონი — უცოდველი ღმერთქალების ლაშქარი წყალში ამოაცხრო, მერე რა რომ მამაკაცთა, ნაბდისქუდიანთა მფარველობა ავალია... ველარაფერი ვერ გაამართლებს მსგავს უსამართლობას, ველარაფერი...

პირველ რიგში მაინც ჩორლას აეკაცობა უნდა დავგმოთ, იმისი გაუმაძღრობა... საბედნიეროდ, ჩორლასნაირები ალბათ ცოტანი იყვნენ, ან არც კი იყვნენ მის მერე, თორემ დღეს ნადირთა სახსენებელიც არ იქნებოდა ჩვენს ხეობებში.

მინაან, შენ იმასაც უნდა მიხვდე, რომ ჩორლას გამლექსავი იმასავით ღვთის მორწმუნე იქნებოდა, უდავოდ არ შეიძლება ურწმუნოს შეეთხზა ღვთისმოსავობის სადიდებელი ამბავი, შეეთხზა თუ შეელამაზებინა. წმინდა გიორგის ძლიერება რომ ეჩვენებინა, მიუტევებელი უსამართლობა ჩაადენინა, ყოკლად უდანაშაულო ღმერთქალების სისხლში ამოსვარა იმისი წმინდა, პატიოსანი ტანსამოსელი...

ბესარიონი: „ჯერ ხიმალლის შიში დათრგუნე"...

— მწვერვალები რომ არა, ალბათ გავგიჟდებოდი, ისინი ჩემს თვალწინ აღმართულიყვნენ და ადამიანებივით მიპაჭუნებდნენ თვალებს. — ღიმება მიხეილი — იმათი ილუმალი ხმა თითქოს მამხნევებდა:

— აბა შენ იცი, არ შეშინდე, გული გაიმაგრე...

კლდეში მარტოდმარტო დარჩენილს მონადირე ჩორლას ამბავი გამახსენდა. ასე გააკრეს იგიც დალებმა ქარაფზე, იქნებ მეც დიდი

ცოდვა რამ მიმიძღვის ღმერთქალების წინაშე და ახლა შურს იძიებენ ჩემზე?

ვინღა მომეხმარება, ვინ მომეშველება წმინდა გიორგი?

მაგრამ რა გამიკეთებია მე წმინდა გიორგისათვის, ერთი სანთელიც არ დამინთია იმის სახელზე!

არადა რა საოცრად ჰგავდა ჩემი ამბავი ჩორლასას. ოღონდ ის კი ვეღარა გამეგო, მე და ჩორლა რაში უნდა ცგვანებოდით ერთმანეთს. ამაზე კარგა ხანს ვფიქრობდი, ყველაფერი გავიხსენე, რაც კი სიბოროტე და ცუდკაცობა მქონდა ჩადენილი, გონებაში აღვადგინე, ვისთვის რა სიავე გამეკეთებინა. ვის ბაღში რამდენჯერ შეეპარულვარ, ვისი ყანა გამითელია კინქოს, ცერცვისა თუ ნედლი ბარდის ძებნაში...

რაც უფრო ღრმად ვეფლობოდი უსიამო მოგონებებში, მით უფრო მეუფლებოდა შიში...

მერე მწვერვალების თვლა დავიწყე: ჩათინი, ჯშბა, იალბუზი... მიეყვებოდი სანამდეც თვალი მიმიწვდებოდა, ვთვლიდი დაუსრულებლივ, მოთმინებით... მალე მყინვარებიდან ქარმა დაუბერა. ვთრთოდი, ვკანკალებდი. როგორ მენატრებოდა იმ წუთში დედამიწა, სოფელი, სახლი, მშურდა თანატოლებისა, ტკბილად რომ ეძინათ თბილ საწოლებში.

ბარე ათასჯერ გადავწყვიტე გუნებაში: „არა, ამიერიდან არასოდეს წამოვალ მთაში, ახლოს არ გავეკარები ამ დაწყეველილ დალაყორას, არასოდეს შევმართავ ჯიხვებზე ჩახმახს".

„არასოდეს შევმართავ ჯიხვებზე ჩახმახს... — რამდენჯერმე გავიმეორე რატომღაც ეს სიტყვები — იქნებ ამ თოფის გამო იძიებენ შურს დალები? თოფისა, რომელსაც ამდენი საცოდაობა დაუტრიალებია მთაში?"

უცბად მომიარა სურვილმა — შორს, უფსკრულში გადამესროლა კუთხვა. თანაც იგი საშინლად დამძიმდა, ასეც მოხდა: თავისით გამივარდა, ჩხარუნით დაეშვა დაბლა: ალბათ სასხლეტი სადღაც ქიმს გამოედო სიპებზე, თოფმა ერთბაშად იხუვლა. იგი თავისით გავარდა, ღამისეული მდუმარება ერთიან შესძრა.

მალე ისევ მიჩუმდა ყველაფერი და მე განვაგრძე... მწვერვალების თვლა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვითვლიდი, მერე შევნიშნე, ისინი თანდათან გამოისახნენ, მივხვდი, თენდებოდა...

მერე ის იყო, ნათელი მოეფინა ქვეყნიერებას. ირგვლივ თვალ-

წარმტაცი სანახაობა გადაიშალა — მთელი სვანეთის კავკასიონი თითქოს ჩემს ფერხთით გართხმულიყო, ვერ ვიტყვი, რა უცნაური განცდა დამეუფლა. იმ წუთში თავი ყველაზე მაღალი კაცი მეგონა დედამიწაზე, ყველაზე მაღალი კაცი...

მზის შუქს სტვენის ხმა მოჰყვა. შურთხი თუ იყო! სტვენა ისევ განმეორდა. გული მომეცა — მამაჩემმა იცოდა ასეთი გაბმული სტვენა. ეს მამაჩემი მოუყვებოდა მაღლა ქარაფებს. ნამდვილად მამა იყო, მაგრამ საიდან მომაგნო, როგორ დაადგა ჩემს ბილიკს? რა გუმანმა მოიყვანა დალა-ყორაზე? — მიკვირდა ყოველივე, მიკვირდა და თან მეამაყებოდა, იმისი საქციელი, იმისი მონადირული ალღოიანობა.

უკან რომ ებრუნდებოდით, არცერთი არ ვიღებდით ხმას. მე მორიდებისა და შიშისაგან, მამაჩემს კი... ალბათ განაწყენებული რომ იყო, იმაზე შეეკრა კრიჭა. ბოლოს როგორც იქნა, ენა ამოიდგა და შემეკითხა:

— გეშინოდა?

— პირველად, დაბლა რომ გადავიხედე, ლამის გული შემიღონდა მერე ცოტა გადამიარა.

— ეტყობა სიმაღლემ შეგაშინა. თუ მაინცდამაინც არ ეშვები ამ კლდეებს, თავიდან დაიწყე ყველაფერი...

— თავიდან?... კი მაგრამ, როგორ, რანაირად?

— ჯერ სიმაღლის შიში უნდა დათრგუნო, მერე ასვლის ხერხები ისწავლო, გული და მუხლი შეაჩვიო „მცირე მწვერვალებს“.

• •

მას მერე სულ სხვანაირად წარიმართა საქმე:

თანასოფლელები უცნაური სანახაობის მოწმენი გახდნენ — მიხეილმა და მისმა ამხანაგებმა — შალიკო მარგიანმა, მიხეილ ხერგიანმა (უმცროსი), პირიბე გვარლიანმა, შოთა და ლაერტ ჩართოლანებმა ხუთსართულიანი სარაგის კოშკი, რომელიც მინდოხშერებს — მიხეილის საძმოს ეკუთვნოდა, თოკებით დაქსელეს. ახალგაზრდები რიგრიგობით მიიწევდნენ მაღლა, სათოფურებისაკენ, ფოცხვერებივით ეკიდნენ მურყვამის სიპებზე...

მათს საქმიანობას თვალყურს ადევნებდნენ ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი, მაქსიმე გვარლიანი. ისინი შეცდო-

მაზე მიუთითებდნენ ბიჭებს. აცნობდნენ მარყუჟების სახეობებს, თოკის განასკვისა და ასელისას თუ ძირს დაშვებისას მისი გამოყენების საიდუმლოებას, თვალუწვდენი სიმაღლიდან „დულფერით" თვალის უსწრაფესად ჩამოქროლებას.

• •

— საღამოობით, თავისუფალ დროს, ჩუმად ავიპარებოდი ხოლმე მურყვამზე, იმის მორღვეულ ქონგურზე გადმოვეყუდებოდით პირდაღმა. მთელი საათობით ვიწექი ასე და სიმაღლეს ვაჩვევდი თვალს. უკვე აღარ მეკვროდა სუნთქვა, აღარ მესხმოდა თავბრუ...

მერე და მერე მაღალ კლდეებსაც მივაშურე. იმ წელს იგი სწორედ, ჯერ კიდევ ღინღლიახმა მწვერვალი ბანგურიანი რომ დაკლაშქრე.

1948 წელს სანდრო გვალიას ხელმძღვანელობით ალპინიადა ტარდებოდა ბანგურიანზე. მე ცამეტი წლისა თუ ვიქნებოდი და იქ ვინ წამიყვანდა, იტყოდნენ — სასაცილოდ აგვიგდოო. მამაჩემის ამბავი რომ ვიცი, იგი ხომ სულ გადაირეოდა ბანგურიანზე წაყვანა რომ მეთხოვა. ამიტომაც კრინტი არავისთან არ დამიძრავს. „რაღაც უნდა ვიღონო-მეთქი" — ვფიქრობდი გუნებაში. ჰო და „ვიღონე" კიდეც.

უკუნი ღამე იდგა. ალპინიადის მონაწილეები ტკბილ ძილს მისცემოდნენ, როცა მეც ავედი ლეხზირის საძოვრებზე, საიდანაც მწვერვალი ბანგურიანი უნდა დაელაშქრათ. ჩუმად შევუერთდი გატრუნულ ბანაკს. სახლიდან წამოღებულ ნაბადში გავეხვიე და განაპირა კარავის გვერდზე მივწექი. ის იყო, უნდა ჩამეთვლიმა, რომ ყვირილმა გამომაღვიძა:

— ხალხო, ვიღაცა თავს იღუპავს...

. მოლაშქრეები წამოიშალნენ. ბანაკში ერთი ჩოჩქოლი შეიქნა. ზმორებ-ზმორებით გამოილალნენ ყველანი თაკთაკიანთი კარვებიდან და ჩემსკენ მოაშურეს. თავი რომ გამოვყავი ნაბდისძველადან, ტანში უსიამოვნოდ დამბურძგლა, მთელი ბანაკი შემომხვეოდა და ალბათ გაოცებული დამცქეროდა — გარეთ რომ წამოკოტრიალებულა, ვიღაა ასეთი გულადი და შეუპოვარი, ან ნადირის არ ეშინია, ან გაცვეებისაო?!

ყველაზე მეტს მამაჩემი ხუმრობდა:

— ამ მუდრეგს ისე ღრმად ჩასძინებია, ხრამში რომ გადაეუძახოთ, ვერაფერს გაიგებს...

— კუდიანი არ იყოს და... — აჰყვა ბესარიონს ჰიჰიკო ჩართოლანი, ალპინიადის ერთ-ერთი ინსტრუქტორი.

— კუდიანი არა და მინაანი შეიძლება იყოს, — ხმა ამოიღო სიტყვა-ძუნწმა ბექნუმ. მერე ბესარიონს მიუბრუნდა: ჰოდა ხრამში თუ გადაუძახებ, შვილი აღარ გეყოლება...

ბესარიონს სახეზე შეეყინა ღიმილი. ბექნუს ეჭვის თვალით გიდახედა. მერე ჩემსკენ გამოიწია, დაიხარა და ფეხი წამკრა ფერდში — ვინა ხარ, რა სულიერი ხარო...

ალბათ ვეღარავინ აღწერს ამ განცდას, მამაჩემისა და სხვების შიშით რომ დამეუფლა. კარგად მახსოვს, როგორ ვიპარავდი სუნთქვას, და ეშმაკურად ვიტრუნებოდი, იქნებ შემეშვას-მეთქი. მაგრამ ბექნუს სიტყვების მერე აბა რას შემეშვებოდა მამაჩემი, იმდენი მიბრაგუნა, ლამის ძვალ-სახსარი ჩამიმტვრია. მაშინ კი უცბად გავიძვრე ნაბდისქვეშა, წამოვხტი და ლეხზირულას დაბურდულ ხევში გადავეშვი.

ხევში კიდევ უფრო ბნელოდა, წინ ვეღარაფერს ვხედავდი, მაგრამ მაინც გავრბოდი. ოღონდ მამაჩემს გავქცეოდი, დანარჩენი რაც გინდა მომხდარიყო, აღარაფერს ვჩიოდი.

დაბლა, მდინარეს რომ მივადექი, მაშინღა გამოვერკვიე. მღელვარებისაგან სუნთქვა მეკვროდა. მერე წყალი გადავისხი პირსახეზე და ოდნავ დავმშვიდდი. რაც მთავარია, უკან აღარავინ მომდევდა, თუმცა ამ ფლატეზე ვინ სულელი გადმოეკიდებოდა? თავი კი არავის ჰქონდა მოძულებული. მართლაც, თვალი რომ შევაჩვიე სიბნელეს და ხრამის წარაფს ავხედე, გაოცებული დავრჩი. ისეთი შემზარავი, სახიფათოდ ჩაშრილი ფლატე იყო, იფიქრებდი, დათვი რომ დაგორდეს, სული არ შერჩებაო. მერე დაეჭვებულმა ხელები გავშალე, სხეული მოვისინჯე, მაგრამ არაფერი მტკიოდა, საღსალამათი ვიყავი... „აი საოცრება, — ვფიქრობ გულში — დათვი სულს გააცხობდა და მე კი ასე იოლად გადავრჩი, ხი.... ხი...“.

მაღლიდან ყვირილი მოისმა. სანდრო გვალიას ხმა შევიცანი. იგი ფლატეზე გადმომდგარიყო და მომძახოდა.

— მინაან როგორ ხარ, ხომ არაფერი იტკინე... ჩვენი ნუ გეშინია, ნურც მამაშენისა. ერთი გაგიბედოს რაიმე!

მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი, გაოგნებული და შემცბარი ვიყავი და ვერაფერი მომეაზრებინა.

იქით მაქსიმე მეხვეწებოდა: ოღონდ ამოდი და ხელისგულზე გატარებო, რაც ტკბილეული გვაქვს, სულ შენი იყოსო.

მერე ბექნუმ შემაშინა:

— ხმა ამოიღე, ვიდრე მამაშენს გული არ გასკდომიაო...

მამაჩემი კი არაფერს ამბობდა. ვიცოდი იმისი ხასიათი, ამ გაბრაზებულზე კისერიც რომ მომეტვრია, ყურს არ შეიბერტყავდა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად არა და არ გამოამჟღავნებდა მღელვარებას. მაგრამ მეც ხომ იმისი შვილი ვიყავი და გავკერპდი. ხმას არ ვიღებდი. მაშინ კი ალბათ იფიქრეს, შეიძლება რამე მოტვიდაო, და ვიღაცამ ფლატეზე დაშვება დაიწყო.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მივხვდი, ასეთი გაჯიქება ხეირს არ მოიტანდა და დაეიყვირე:

— ბიძია ბექნუ, ახლავე მანდ ვიქნები...

ზევით, ეტყობა, ძალიან გაუხარდათ ჩემი „ალმოჩენა". ერთხმად დაიძახეს:

— ამოდი, ჰაუ, მინაან, ახლავე ამოდიო...

ფლატეზე სანდრო გვალია ეშვებოდა. უთქვამს: თქვენ აქ იცინით და ჩემს მინაანს კი ვინ იცის, როგორ უჭირსო... ჩემი ხმა რომ გაუგონია, აღარ ჩაუთვლია საჭიროდ ხევში ჩამოსვლა, კვლავ უკან გაბრუნებულა.

ძლივსძლივობით ავბოტდი ხრამზე. მაღლა, ბანაკში, ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდნენ. მამაჩემი, ძერა რომ დასტრიალებს თავის საკბილოს ისე მიტრიალებდა გარშემო, მაგრამ ჩემთან ახლოს არ უშვებდნენ.

იმ ღამეს მაქსიმესთან მეძინა, იმის მეურვეობის ქვეშ ვიყავი.

მეორე დღეს მამაჩემი დადარდიანებული ჩანდა. მთელი გზა ხმა არ გაუცია.

გული სიამაყის გრძნობით მქონდა აღვსილი, დაღლითაც არ დავღლილვარ, ან რა დამღლიდა. უფროსების მხარდამხარ, იმათი თანატოლივით მივაბიჯებდი თოვლიან ბილიკზე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს შემეძლო ამ მთების, მშობლიური, ქათქათა ქედების, მყინვარების, საბალახოების თავზე მეფრინა.

ბანგურიანის თხემზე უფროსების დაუხმარებლად გავედი. ცოტა შემეშინდა თვალუწვდენი უფსკრულისა, სადღაც ქვევით მწვერვალის მისადგომებთან ხახა რომ დაეღო. სიმაღლისაგან თავბრუ დამეხვა, მაგრამ მხნეობა მოვიკრიბე და არაფერი შევიმჩნიე. მართლაც და, მარტო ხომ არ ვიყავი, აბა რას იტყოდა ეს ხალხი ჩემზე? ძალის ძა-

ლად წამოგვაყვანინა თავი და ამ მურყვამისხელა ბანგურიანმა კი გული შეუშინაო, მაგრამ მერე და მერე თვალი და გული შეეჩვია ბალალ კლდეებს.

ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ი

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. კოშკებზე მეცადინეობანი და სოფლის შემოგარენის წარაფებზე ხეტიალი, ასევე ბანგურიანზე მუხლის მოსინჯვა შემთხვევით ხასიათს ატარებდა. ბანგურიანსა და სხვა მცირე მწვერვალებზე ყოველწლიურად არ ეწყობოდა ასვლები, სადაც ელემენტარული მთამსვლელური ანა-ბანის დაუფლება მაინც შეეძლებოდა მსურველს. მიხეილისათვის კი იგი აუცილებელი იყო.

მართალია უფროსი თაობის სახელოვანი წარმომადგენლები, საქართველოში საბჭოური ალპინიზმის ფუძემდებლები, სპორტის დამსახურებული ოსტატები — გაბრიელ, ბექნუ და ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი, ვოჯი ზურებიანი, ალმაცგირ კვიციანი, მაქსიმე გვარლიანი და უშბის ერთ-ერთი პირველდამპყრობი გიო ნიგურიანი და ასევე სხვა მთამსვლელები ძირითადად ნადირობის დროს შეძენილი გამოცდილებითა და დაკვირვებებით ხელმძღვანელობდნენ მწვერვალთა დაპყრობისას, მაგრამ ეს იყო საბჭოური ალპინიზმის ადრეული პერიოდი, როცა სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას სათანადოდ ვერ მოემაგრებინა მუხლი.

იმ დროს არ არსებობდა საინსტრუქტორო და ალპინისტური ბანაკები. მთების მოყვარული ადამიანები ამ დარგში თეორიული ცოდნის მიღების შესაძლებლობას მოკლებულნი იყვნენ.

მას მერე უამრავმა წყალმა ჩაიარა, ათასჯერ ჩამოშვავდნენ ახალი ცხოვრების გუგუნზე თეთნულდის კალთებიდან ავბედითი ზვავები, უამრავმა მწვერვალმა მოიხარა ქედი საბჭოთა მთამსვლელების წინაშე. დაგროვდა ზღვა გამოცდილება.

თვით სვან მთამსვლელებს, რომლებიც ხარის ტყავისაგან გამოქნილი ჯაბრალებით მიდიოდნენ ექსპედიციაში (გიო ნიგურიანი სწორედ ჯაბრალებით ავიდა უშბაზე), ახლა „ლუქილების“ — ფოლადით მოჭედილი „ბოტინკების“ გარეშე ვერც კი წარმოედგინათ თოვლზე შედგომა.

ასეთივე ცვლილება განიცადა მესიმაღლეთა ტანსაცმელმა და

სალაშქრო აღჭურვილობამ. გაბრიელის, ჭიჭიკოს, ბექნუს, მაქსიმეს, ალმაცგირისა და გოჯის ადრეულ სურათებში თითქმის ყველგან სვანური, ტრადიციული ჩოხები, მატყლის პაჭიჭები, ტყავის ჯაბრალები აცვიათ, ნაბდის ქუდები ახურავთ, მხარზე კი ადგილობრივი ქანისაგან (კანაფი) დაგრეხილი უხეში თოკის ხვეულა მოუგდიათ. ხელში წერაყინის ნაცვლად მუჯურები, რკინისწვეტიანი ჯოხები ჩაუბღუჯავთ.

დიახ, მძიმე იყო ის წლები, საოცრად მძიმე. მაგრამ ისინი უდიდესი დაძაბულობის, ფანატიკური მოთმინებისა და მონდომების წყალობით მაინც აკეთებდნენ საქმეს.

ტექნიკისა და მეცნიერების, საერთოდ, ცხოვრების სწრაფმა პროგრესმა თავისებური რევოლუცია მოახდინა ყველა სფეროში და, რა თქმა უნდა, ალპინიზმშიაც.

ახლა მთამსვლელები იყენებენ წყალგაუმტარ, მსუბუქ ტანსაცმელს, ჰერმეტულ საძილე ტომრებს, გამძლე კარვებს, თოკის კიბეებს (უნდა აღინიშნოს, რომ თოკის კიბე მიხეილ ხერგიანმა გამოიყენა 1957 წელს დონღუზორუნის ყინულოვან კედელზე ასვლისას, რის შემდეგაც მისი ხმარება მასიურად დამკვიდრდა სამამულო ალპინიზმში), საბურღ მოწყობილობას, სხვადასხვა დანიშნულების პალოებს (ყინულზე და კლდეზე სახმარი). პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგა სხვადასხვა ტიპის (ღია და დახურული) ჟანგბადის აპარატებით სარგებლობა, რამაც მთამსვლელებს შესაძლებლობა მისცა გაიშვიათებული ატმოსფეროს ფენებში შეეღწიათ, „მსოფლიოს სახურავებისათვის“ შეეტიათ, იერიშები მიეტანათ ჰიმალაის გოლიათებზე...

ოზონის უკმარისობის საშიშროებამ უკან დაიხია. მწვერვალთა დამპყრობთ პორტატული ნავთქურებით თითქმის ყოველგვარ პირობებში შეეძლოთ გაედნოთ თოვლ-ყინული ჩაისა თუ კაკაოსათვის.

შიმშილმა და წყურვილმა, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო მთიანი პირობებისათვის, საბოლოოდ მოჭამა ჭირი. საიერიშოდ გასული მთამსვლელები ნაკლებ დამოკიდებული გახდნენ მთავარ ბანაკზე, საიდანაც ხდებოდა ხოლმე ძირითადად მათი მომარაგება. ასვლითი ხასიათის ექსპედიციები ტრავერსებმა შეცვალა.

ახლა უკვე რთული მთამსვლური ტექნიკისა და აღჭურვილობის სრულყოფილად დაუფლება-გამოყენება ალპინისტისაგან მაღალ პროფესიულ ცოდნასა და ოსტატობას მოითხოვდა.

დღეს მთამსვლელს მოეთხოვებოდა სინოპტიკოსის უტყუარი ალღო, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული ექსპედიციის წარმატებით

ჩატარება. ამ საქმეში კი, რა ოქმა უნდა, მხოლოდღა წინაპართა გამოცდილებით ფონს ვერ გავიდოდა კაცი. თეორიული ცოდნის მიღება მთებით დაინტერესებული ადამიანისათვის აუცილებელი შეიქნა.

ერთ დღეს მიხეილმა გამბედაობა მოიკრიბა და მამამისს ჩამრუგდო ამის შესახებ საუბარი:

— მამა, თუ შენი ნებაც იქნება, ჩრდილო კავკასიაში წავალ, მთამსვლელთა საინსტრუქტორო კურსებზე მინდა შესვლა.

ბესარიონმა ერთი ალმაცერად გადმოჰხედა, — სრულ ჭკუაზე თუა ჩემი ბიჭიო. ულვაშებზე ხელი გადაისვა. არაფერი უთქვამს.

— მე მგონი, ეს აუცილებელია... პროფესიული ცოდნის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ალპინიზმში რაიმეს მიაღწიოს კაცმა... აკი თვითონაც მრავალჯერ გითქვამს ამის შესახებ... ბექნუ და მაქსიმეც ასე ამბობენ...

ბესარიონი საუფროსო საკრცხულში იჯდა და ქორმახვშივით ჩაფიქრებულიყო... შვილი ისეთი ჰატარა აღარ იყო უკვე, რომ აყვირებითა და დატუქსვით რაიმეს გამხდარიყო. მინაანი მისგან სერიოზულ რჩევას მოითხოვდა.

„რა უთხრას? რა ურჩიოს?"

— მართალია, მეც მაგ აზრისა ვარ. ახლაც იმასვე ვიტყოდი... ცოდნის გარეშე შორს ვერ წავა, ვინც არ უნდა იყოს. ეს მარტო ალპინიზმში კი არა, ყველაფერში ასეა. უსწავლელ კაცს მოებიც არ იკარებენ. ისეთი დრო დადგა...

მიხეილს ღიმილი გაუკრთა სახეზე:

„ესე იგი მამა თანახმაა", — გაუელვა გონებაში.

—მაშ შენც ამ აზრისა ხარ, მამა...

— ჰო, დავუშვათ, მაგრამ ენას რა ვუყოთ? გამოცდებს როგორღა ჩააბარებ? იმათებური უბნობისა ინჩიბიჩიც კი არა გაგეგება რა. ხელებით ხომ არ გაესაუბრები მასწავლებელს... — ეს უკანასკნელი სიტყვები მალული კმაყოფილებითა და ნიშნისმოგებით წარმოსთქვა ბესარიონმა.

„ღმერთმა გამახარა, ა? მოვუნახე მიზეზი, ახლა მაინც რაღას იტყვის, ხომ გაჩუმდება და მოეშვება მაგ საქმეს?" — ულვაშებში ეცინებოდა ამ ფიქრით გახარებულ ბესარიონს.

მიხეილს სახე მოექუფრა. მიხვდა — ნაადრევი იყო სიხარული. ამაზე რატომღაც არასოდეს დაფიქრებულიყო. ენის უცოდინარობა თუ ასეთი ხელისშემშლელი იქნებოდა, ვეღარ წარმოედგინა.

„მე ვუჩვენებ ასვლის ტექნიკას, რაც აქ ჩვენებისაგან ვისწავლე, დავარწმუნებ, რომ რაღაც შემიძლია“... ფიქრობდა ხოლმე გუნებაში და თავი საინსტრუქტორო სკოლაში ჩარიცხულად მიაჩნდა. მამამისის სიტყვებმა კი ღრმად ჩააფიქრა და გუნება წაუხდინა.

„მართლაც რა ეშველება? ვინ დაეხმარება? ნუთუ ამდენი ნაოცნებარი წყალში უნდა ჩაეყაროს?“ მთელი ღამეები ფიქრობდა ამაზე, მაგრამ გამოსავალი ვერ მოენახა.

ერთხელ საიდანღაც ჟურნალ-გაზეთები მოიტანა, მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონიც იშოვნა და მეცადინეობას შეუდგა. მთელი თვე თავაუღებლივ ჩაჰკირკიტებდა წიგნებს, მშობლები, და-ძმები, მეზობლები და ნათესავებიც კი გააოცა თავისი გულმოდგინებით და ჭონდრმებით.

— ეს რა ღვთის წყალობაა ჩვენს თავს, ასე რომ დაგვიჭკვიანდა ეს ონავარი... — ამბობდნენ ისინი და გაოცებისაგან მხრებს იჩეჩავდნენ.

უფროსი ხერგიანები, მეტადრე მოხუცები, ამტკიცებდნენ:

— მაგისაგან ფილობოსოსი თუ არ დადგეს, ეს წვერები შეგვატრუსეთო...

ყველანი ცდებოდნენ.

მიხეილმა სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელი სიტყვები დაიზუთხა. ეს იყო და ეს. ენის სწავლა რთული საქმე გამოდგა, დროც არ ითმენდა, საინსტრუქტორო კურსებზე კი საცაა დაიწყებოდა მიღება.

ნითელი ალი — „ლემპვით“ მოფრიალე

ჩორლას მერე მურათბი კიბოლანი იყო.

ჩორლას მერე ვერავის, ვერავის შეუბედავს უშბასთან შებრძოლება. იმასთან შებმას ვინ გაივლებდა გუნებაში, თავი ვის ჰქონდა მოძულებული?

უშბა ხელშეუვალი რჩებოდა, ვიდრე მის კალთებს ჯაბრალებით შეაჯერებდა მურათბი კიბოლანი. იმან განიზრახა პირველად ეჩვენებინა ხალხისათვის, რომ მზისკენ გზა ხსნილია, და ვისაც სურს, შეუძლია ახლოდან შეხედოს ოქროსფერ მნათობს, ეწვიოს იმის სამფლობელოს, ცისიერი მწვერვალების ცქერით დატკბეს... ნურავის შეეშინდება ავსულებისა, ნურც დალებისა, რადგანაც დალები კაცთ-

მოყვარენი არიან, კაცთმოყვარენი და ვაჟკაცობის დამფასებელნი...

— ყოველისშემძლეა ადამიანი, დაუდეგარია მდინარესავით... — ასე უთხრა თავისიანებს მაშინ მურათბიმ. გულიანად უთხრა, მაგრამ არავინ არ დაუჯერა...

* *

1906 წლის ზაფხულში სვანეთში ინგლისელები ჩამოვიდნენ — უშბის თავზე ჩვენი „ლემი“ უნდა აღვმართოთო — ამბობდნენ ისინი. მაგრამ უმეგზუროდ როგორ გაიგნებდნენ გზას მწვერვალებისაკენ? მეგზურობაზე კი ვინ დასთანხმდებოდა, ვინ გაიხდიდა თავს სავალალოდ? ათასი ეშმაკისა და დალის სამფლობელო უშბასთან შებრძოლებას ვინ მოისურვებდა? დაშინებული სვანები უარზე იდგნენ — ჩვენ იქ წამომსვლელები არა ვართ, გიჯობთ გუდა-ნაბადი აიკრათო.

მაშინ ხალხს მურათბი კიბოლანი გამოეყო, უცხოელებს მთიელთა გულადობა და მამაცობა დაუმტკიცა, თან გაჰყვა უშბისაკენ. ხალხმა შეიცხადა, — თავს დაიღუპავს და სოფელსაც დაღუპავსო — ამბობდნენ ქორამახვშები — ავსულები ჩვენზე იყრიან ჯავრს ან დიდთოვლობას მოგვიყვანენ ამ ზამთარს, ან წყალდიდობას — ზაფხულშიო...

მაგრამ მურათბიმ არავის უგდო ყური. ორ უცხოელთან ერთად მწვერვალზე ავიდა. ადგილობრივმა მკვიდრმა პირველად გადახედა ცის დასალიერიდან მშობლიურ ხეობას, ციხე-სიმაგრესავით შეკრულ სოფლებს, ენგურს — სვანეთის ცისფერ ძარღვს, მაცთუნებლად რომ ლიცლიცებდა სადღაც შორს, გოლიათი მთების სიღრმეში.

კოშკები კი თეთრი ანგელოზებივით ადგნენ თავს ცასთან მიახლოებულ ქვეყანას... ყოველგვარი უწმინდურობისა და სიავისაგან, არაკეთილისმყოფელთა ხელყოფისაგან იცავდნენ აქაურობას.

თვალისმომჭრელმა სილამაზემ დაბრმავა მურათბი. ყოველივე მშობლიური და ნაცნობი ათასჯერ უფრო ახლობელი და საყვარელი გახდა ამ წუთში.

„რა დოვლათიანი, სიკეთით აღსილი ყოფილა თურმე ათასფრად აჭრელებული ლომის ხეობა? და ადამიანები კი ვერ გრძნობენ, ვერ ამჩნევენ ამას. ისინი ველარ ეტევიან, ველარ იყოფენ თვალუწვდენელ საბალახოებს, მინდვრებს, ტყეებს, ებრძვიან ერთმანეთს, არის ერთი ტაკიობა და ხოცვა-ჟლეტვა“... ფიქრობდა მწვერვალიდან მომავალი მურათბი.

„ამ ხეობის კაცი რად უნდა აღესრულოს ისე, რომ ეს სილამაზე მთელის ძალით ვერ შეიგრძნოს, ამ გოლიათების კალთებამდე ვერ ამაღლდეს?...“ — უხაროდა მურათბის. ალმაფრენას მოეცვა მისი სხეული; რაღაც სიმსუბუქე დაუფლებოდა. ახლა იგი გულში ემადლიერებოდა კიდეც ამ უცხო ადამიანებს, ვაჟკაცობასა და გამბედაობას უწონებდა. ისინი შორეული ქვეყნიდან ჩამოვიდნენ სვანეთში. — „წითელ კუთხესთან“ ერთ-ერთი ინგლისელი უფსკრულში გადაიჩეხა, მაგრამ ვერც ამან შეაშინა მოლაშქრეები. მურათბი გრძნობდა, რომ არავითარი ავსულები არ ყოფილან ინგლისელის მოწყდომაში დამნაშავე. იგი მის თვალწინ გადაიჩეხა ქარაფზე, ფეხი არ დაადგა იქ, სადაც საჭირო იყო, ხელი არ მოჰკიდა საიმედო შვერილს, ღონე ვერ ეყო, რომ თავი შეემაგრებინა, საერთო თოკში არ ჩაება და კიდევ შეიძლება ჩამოეთვალა უამრავი მიზეზი. ესენი რომ არა, არაფერი არ მოხდებოდა.

— ქაჯ-ეშმაკები შეიძლება ადამიანს ესხდნენ ტვინსა და გონებაში, უშბაზე კი იმათ ნურავინ დაუწყებს ძებნას... — ასე უთხრა სგიმთან მოქოთქოთე ხალხს მურათბიმ, ყველაფერი, რასაც გულში ფიქრობდა, ხმამაღლა განაცხადა...

მაგრამ მაინც არავის სჯეროდა, ადამიანმა ფეხი თუ შედგა უშბაზე. მურათბის ნაამბობი სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ.

— შენგან გვიკვირს ამგვარი ამპარტავნობა, უშბაზე ასვლა ასე ადვილი რომ იყოს, მაშინ „ლილეოს“ რაღაზე ეუმღერებდით ოქროსფერ მნათობს, ამ სიშორიდან რაღაზე მიველაციცებიდით? მუხლმაგარი ვაჟკაცები ფერხულით ჩამოიტანდნენ მიწაზე და იმის სხივებს მთელს ქვეყნიერებაზე მოაბნევდნენ... — უთხრა მურათბის ხალხის წრიდან გამოსულმა სოფლის მახვშიმ, ჰაღაროსანმა ნაბდისქუდიანმა, და თან გამომცდელად შეაჩერდა თვალებში, აბა რას მიპასუხებსო.

— ადვილი არაა, ხოშა ბაბა, მაგრამ ასვლა კი შეიძლება. და არც ქაჯ-ეშმაკები და ავსულებია მანდ სადმე...

— ასე რომ იყოს, მაშინ ლეჩაქიანებიც მოისურვებდნენ იმის კალთებზე ფეხის შედგმასა. ღმერთქალების ქვეყანა იმათ უფრო აინტერესებთ ვიდრე ჩვენა, ისინი დალების მოდგმისანი არიან...

მურათბის ირგვლივ წრე თანდათან ვიწროვდებოდა. ალშფოთებული ნაბდისქუდიანები თვალთაგან რისხვას აფრქვევდნენ — ვერ ეპატიებინათ თანასოფლელისათვის თავნებობა, ქვეყნის აბუჩად აგდება და სიცრუე.

— ადვილიაო, ვინ იტყვის, ხოშა ბაბა, მაგრამ ჩვენ რომ ავედით იმ გზით ერთ კაცს, ვინც უნდა იყოს იგი, ხვალვე ავიყვან მწვერვალზე, გამაყოლეთ და მერე იმან თქვას სიმართლე, იქნება იმას შეხვდნენ სადმე დალები და შაშიშები... — თავს იმართლებდა ხალხის წინაშე მურათბი კიბოლანი, მაგრამ მის სიტყვებს დამაჯერებლობა აკლდა. იგი მარტოკა იყო, მოწმისა და თანამზრახველის გარეშე. ამას თვითონაც გრძნობდა მურათბი, გრძნობდა და ისეთ სიტყვებს ეძებდა, რომ ამ ადამიანებისათვის ერთბაშად განექარვებინა სულში დასადგურებული ურწმუნობა და იქვი...

— ისევე აიყვან, ის ბედშავი ინგლისელი რომ აიყვანეთ, არა? — გამოხტა წრიდან ვიღაც ახლად წვერულვაშაშლილი ახალგაზრდა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ მურათბის ნამოქმედარით კი არ იყო განაწყენებული და აღშფოთებული, არამედ მოედანზე შეკრებილ ქალებში თავის გამოჩენა ეწადა.

— ბალლო, შენ იყუჩე მანდა, ქვენა გრძნობისაგან რომ განთავისუფლდები, მაშინ გამოიდე თავი სოფლის წინაშე. — შეუბრალებელი იყო სოფლის მახვში ყველას მიმართ, ვისაც კი სიყალბესა და ორპოფობას შეამჩნევდა.

წრე კვლავ ვიწროვდებოდა.

„რა უთხრას ისეთი? რა უნდა უთხრას?"

— ინგლისელი უკან დაბრუნებისას გადაიჩეხა. კლდე გადმოენგრა და იმან გადაიყოლა. ჩვენ გავაფრთხილეთ, აქ საშიში ადგილია და თოკით დავეშვათო — მაგრამ არ გვისმინა და ასე მოუვიდა. ყველა მონადირეს შეიძლება შეემთხვას ასეთი რამ, ოღონდაც არავითარი შაშიშები მანდა არ ყოფილან. ეს ასეა...

— გეტყობა განდიდების სურვილმა აგიყოლია და იმაზე უბნობ ასერიგად? იქნება ფიქრობ, რომ ჩვენი გაბრიყვება ადვილია? ერთი ამბავი მაინც რად არ გახსენდება, წითლაანების უფროსმა წმინდა ჩახის ტბაში თავისი წვირიანი ჯაბრალები რომ გარეცხა, რა უბედურება მოუტანა მთელ ხეობას. წმინდა ელიამ წარღვნა მოუვლინა ქვეყნიერებას, ცხრაკვაზაგარიდან მოხეთქილმა მეწყერმა ცოცხლად ჩამარხა მთელი სოფლები, აი, ამჟამად ჩვენ რო დავდივართ და დავბარგანაობთ, ამ მიწის ქვეშ ძველი ლანჩვალი გასუსულა თავისი მურყვამებით, გალავნიანი მაჩუბებით.

ტალახს ქვეშ ქრისტეს წესაუგებლად განისვენებენ ჩვენი წინაპრები... ხვნის დროს ალარსად გამოსდებია შენი კავ-გუთანი კოშკის

ქონგურსა? ორსართულიანი დარბაზების შებოლილ დირეებსა? მაშინ ხალხი დიდ-პატარიანად გაწყდა. ამ მოედანზე დასტიროდნენ ცოცხლად დამარხულებს და იმაზეც ჰქვია ამ ადგილს ლაგუნიაში[1]. ჟამიანობასაც არ უმსხვერპლია იმდენი ადამიანი... აი, თურმე რამდენი უბედურებისა და სიავის მოტანა შეუძლია ბრიყვსა და გაუგონარ კაცსა, იმის მოქმედებასა და საქციელსა... — სოფლის მახვშიმ ირგვლივ შემოჯარულ ხალხს გადახედა. — ხო მართალს ვამბობო.

— ეგრეა... ეგრე... — ამოიხუვლა ხალხმა და ამ ყრუ ხმას მთელი თავისი გულისწყრომა, აღშფოთება და მუქარა ამოაყოლა.

— წითლაანების უფროსი ბუნებამ დასაჯა თავისი სიბრიყვისა და უმეცრებისათვის, ზეღ მთის წვერზე უწია ცით მოვლენილმა რისხვამ, მეხმა დაარეტიანა და მოუღო ბოლო. შენი თავი კი ჩვენ ჩაგვაბარა შამაუფალმა განსასჯელად, იმიტომაც გასამართლებთ ახლა...

— მე მართლა ვიყავი ძწვერვალზე. ვიყავი და დავბრუნდი. ახლა კი თქვენს წინაშე ვდგავარ როგორც ხედავთ, ჯანმრთელი და საღსალამათი. არავითარი აკსულები მანდ არ დაგვინახავს, რომ ყოფილიყვნენ, ალბათ მომიზღავდნენ კიდეც მოსაზღვეველსა...

— რაო, არ მოგიზღეს? იმასაც იტყვი, არ მოგვიზღესო? აბა ის ინგლისელი როგორღა გადაიჩეხა? იქნება თქვენ თვითონ გადაუძახეთ მოუსავლეთში, ა?

— მე იმ სიმაღლიდან დავეყურებდი ჩვენს ხეობას, იმის ტყეებსა და საბალახოებს. თქვენცა გხედავდით მაღლიდან, პირველად ჩემს სიცოცხლეში ვიგრძენი მთელის ძალით — თუ რაოდენ პირქუშნი და გაუტანელნი, მკაცრნი და უნდონი ვართ ადამიანები ერთმანეთის მიმართ.

ჩვენს ცხოვრებას, სწორედ ის სილამაზე და მომხიბვლელობა აკლია, ასე უხვად რომ მოუმადლებია ბუნებისათვის ზენაარსა. და მიკვირდა, რატომ ადრე ვერასოდეს ვერ ვიგრძენი ეს ამბავი, რად ვერ მივხვდი ყოველივე ამას. მაშინ გავიგე, რომ უშბაზე ამაღლება და იქიდან თვალის გადავლება, ქვეყნიერების სიდიადის დანახვა არავის არ აწყენდა, თვით პატიოსნებითა და ჭკუაგონებით განთქმულ სოფლის მახვშებსაც კი. პირიქით, უფრო განადიდებდა მათ იმიტომ, რომ იქ განცდილს ყოველივე დიადსა და ლამაზს ფეტკის თესლივით დათესავდნენ თავის ხალხში, აკი სწორედ ამისათვის არიან მოწოდე-

[1] სვ. დასატირი ადგილი.

ბულნი სოფლის მახვშები. ჰოდა, დათესავდნენ და შემოდგომაზე სასიკეთო მოსავალსაც მოიმკიდნენ. მაშინ ჩვენს ყოფასა და ბუნების სიდიადეს შორის ამხელა ზღვარი აღარ იქნებოდა. ასეთი ფიქრით მოვიდოდით თქვენთან და მჯეროდა, რომ მომისმენდით და გამიგებდით.

წრე სრული მთვარისხელა გახდა. მთვარე კი ილეოდა. იმათი თვალებიდან გადმონთხეული რისხვა ნაპერწკლებად ეყრებოდა ვაჟკაცს სახეზე, მხრებზე... ლაპარაკს უშლიდა, გონებას უბინდავდა...

„რაღაც უნდა უთხრას ისეთი, რაღაც უნდა უთხრას...“

— ჩემს სიმართლეში მინდა დაგარწმუნოთ. ახლავე შემიძლია დაგიმტკიცოთ, რაოდენ მართალი ვარ თქვენს წინაშე, რაოდენ პირნათელი — მურათბის რაღაც უცნაურმა ფიქრმა გაჰკრა გონებაში, ეს უკანასკნელი სიტყვები მეტის რწმენით და დამაჯერებლობით წარმოთქვა.

ხოშა ბაბამ ხალხს გადახედა. ხალხი სოფლის მახვშის მიაჩერდა, გადამწყვეტი სიტყვის მოლოდინში. იგი დუმდა. სათითაოდ ათვალიერებდა თანასოფლელებს, თითქოს იმათს მზერაში უნდა ეპოვა თავისი სათქმელი. ცისფერი, თოვლის ანაბზინისაგან დავიწროვებული, სისველეგამჯდარი თვალებით ხალხის ფიქრისა და ნებასურვილის ამოცნობას ლამობდა.

— ჰოდა, დაგვიმტკიცე შენი სიმართლე... — აღმოხდა კარგა ხნის საეჭეო დუმილის შემდეგ ხოშა ბაბას. — დაგვიმტკიცებ და ეგ იქნება ვაჟკაცობა.

ხალხმა ერთი წუთის წინ მსჯავრდადებულის გასათქერად რომ მიიწევდა და ბრაზისაგან გმინავდა, შვებით ამოისუნთქა, თითქოს მხრებიდან დიდი რამ ტვირთი მოიშორაო, თითქოს მოკუმულ ბაგეპირზე ღობარები შეხსნესო, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გადაეფინათ მოქუფრულ სახეზე. ზუბლის ნაოჭები გადაეფარცხათ, მათს რისხვაგამჯდარ თვალებიდან მზემ გამოიხედა.

—ჩემს სიმართლეში თუ დაგარწმუნებთ, კელავაც მიხილავთ თქვენს შორის, თუ ვერა და სამუდამოდ დაკარგულად ჩამთვალეთ, თავად გამოვუტან განაჩენს საკუთარ თავსა...

მურათბიმ ლაფარაში გამხმარი ფიქვის გული დაანახეჩა, ბრტყელი თასმებით შეკრა და ზურგზე მოიკიდა. მერე მთებისაკენ გაუდგა ბილიკს.

ამბობენ მეორე თუ მესამე დღეს უ'ბის თავზე კოცონი აგიზგიზ-

დაო. მთელმა სოფელმა ნახა თურმე „ლემიეით“ აფრიალებული, მთვარესთან და ვარსკვლავებთან მოლიცლიც-მოელვარე წითელი ალი.

მალე კი სალ-სალამათი მურათბი სოფელში დაბრუნდა. მას მერე ყველა დიდის სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობოდა მაგაც მონადირეს, უშბის პირველდამპყრობს. მაგრამ ცრუ რწმენას ასე იოლად რა ჩააქრობდა ხალხში. ერთხელაც გაუგონარმა დიდთოელობამ გაწყვიტა სოფლის ფრინველ-საქონელი. მახვშებმა მარჩიელს და ღვთისმსახურს მიაკითხეს — მაინც რა დაეუშავეთ ასეთი მამაზეციერს, რად გამწყრალა აგრერიგად, რას გვემართლებაო. მარჩიელსაც და ღვთისმსახურსაც რაღაც უნდა ეთქვათ სარწმუნო და გულსმოსახვედრი. და მათ მურათბი გაახსენდათ — მურათბი კიბოლანი და მისი საქმენი.

— პაიდან[1]შერებივით ამოწყდეს კიბოლანთა საძმო. დასწყევლოს ქაჯ-ეშმაკების უშბასთან მებრძოლი კაცი ბუნების ძალამ, რადგანაც ნათქვამია „სადაც არღარა გესაქმება, ნურც გაიხედავო“... მურათბიმ გაიხედა კი არა, თავისი ჯაბრალებით შეაჯერა უშბის კალთები... — თქვეს მარჩიელებმა და ღვთისმსახურებმა.

ხალხს კი მეტიც არ უნდოდა...

თეთრი მოსაუცი: უზენაესი სამსახური!

ერთ დღეს მაქსიმემ გამოიარა.

ის და ბესარიონი განმარტოვდნენ და საიდუმლო ბჭობა გამართეს, დიდ ხანს ისაუბრეს, ბოლოს შუა ოთახში გავიდნენ და თითქოს ეშმაკებს ესაუბრებიანო, თავის კანტურსა და ქნევას მოჰყვნენ.

უფროსებს რაღაცის თქმა ეწადათ...

მიხეილს სიმწრის ოფლმა დაასხა.

— მაშ, ძალიან გინდა, არა? — ჯიქურ შეეკითხა ბოლოს მაქსიმე ძმისშვილს — არ ეშვები?

მიხეილი მიხვდა, რაზეც ეკითხებოდა.

— ძალიან მინდა და არც შევეშვები...

— ხედავ, რა ჯიუტია? — ჩაერია საუბარში ბესარიონი — ვის დაემსგავსა ნეტავი? ხერგიანებში აბა ვინა გვყავს მასეთი შეუსმენელი.

---

[1] პაიდანშა. სვ. თქმულების მიხედვით ერთ დროს ძლიერი გვარი დეევმა დაწყევლა. ხალხი ამ წყევლას უკავშირებს პაიდანშერების განადგურებას.

მიხეილს მხრები ჩამოეყარა, მაქსიმესი რცხვენოდა და ერიდებოდა რატომღაც ყოველთვის. ნერვიულობისაგან, თითქოს მყინვარზე საფეხური უნდა ამოეჭრასო, ცალ ფეხს იატაკს ურტყამდა. მამა-ბიძის ნალაპარაკევიდან ჯერ მისთვის სასიკეთო აზრი ვერ გამოეტანა.

— „აღდგომა და ხვალეო" — გამომცდელად დააჩერდა მიხეილს მაქსიმე, — დილა უთენია მამლის ყივილზე გავუდგებით ბეჩო-შიხრის გზას. ჰოდა გამოჩნდება. შენი ვაჟკაცობა. ახლა კი დამშვიდდი და ათასი სისულელე გამოიბერტყე თავიდან...

— იქნება ჯერ არ გსმენია დედის წინ მორბენალი კვიცის ამბავი? — ენაზე იკბინა ადგილზე გახევებულმა ბესარიონმა. კიდევ უნდოდა ეთქვა — „რომ რამე მოგვიდეს, მამაშენს აღარაფერი დააბრალოო", მაგრამ თავი შეიკავა.

„გამწარებულია... როგორი გამწარებულია..." — ფიქრობდა მიხეილი.

— პოპლიკა მამაშენს აჯობე, გიხაროდეს... — თქვა მერე გამწარებულმა ბესარიონმა. ახლა წადი და ანტონს გამოემშვიდობე! მამამ დაიჟინა ჩემი იქ წასვლა-თქო, ასე უთხარი, თორემ შენი თავნებობის ამბავი თუ გაიგო, გული მოუკვდება მოხუცს...

მიხეილმა პირველად ახლა წამოსწია თავი. მსგავსი განცდა იშვიათად დაეუფლებოდა სხვა დროს, ბესარიონის ბოლო სიტყვებზე კელავ აკიაფდნენ მაცდუნებლად შორეული მწვერვალები. მთები უხმობდნენ მინაანს, მთები ეძახოდნენ. ამიერიდან ონავრის მახიდან თავდაძვრენილი ჩიტივით თავისუფალი იყო. თავი რომ ასწია, ბიძია მაქსიმეს გაღიმებული სახე მოხვდა თვალში, მაგრამ ბესარიონის პირქუშმა მზერამ გუნება ჩაუმწარა.

„ნუთუ ამ კაცმა მითხრა — წადი, თეთრ მოხუცს გამოემშვიდობეო? ან დაღვრემილმა, სევდიანმა კაცმა?" — ეძნელებოდა ამისი წარმოდგენა. ბესარიონს ღრმად ჩაეკენოდა თვალები. იგი თითქოს მომტყდარიყო, დაჩიავებულიყო. ამ წუთში ალბათ ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, ეს კაცი რომ უშიშარი მთამსვლელი, პირველი მომღერალი და მოცეკვავე იყო.

• •

— რაღაცნაირი გაუთვითცნობიერებელი ჭმუნვა-ტკივილი და სინდისის ქენჯნა მეუფლება ხოლმე იმ წუთის გახსენებაზე. მას მერე შამაჩემის ჩრდილგადაკრული სახე გაფრთხილებასავით დამყვებოდა

ყველგან, სადაც არ უნდა ეყოფილიყავი. დიდხანს ვერ გამეგო, რას ნიშნავდა დინჯი და დარბაისელი ადამიანის ასეთი აფორიაქება.

მხოლოდ მერე, დიდი ხნის მერე, სახიფათო განსაცდელის ჟამსღა მივხვდი ყოველივეს — მამა მთამსვლელი იყო და კარგად ესმოდა, რომ ამ კლდიან გზაზე მოაჯირებიანი ბილიკები არ არსებობდა. ბრძოლა იყო საპირო ბოლომდე. ბრძოლა ვაჟკაცური და შეურიგებელი. ტორეადორივით ან უნდა გაგემარჯვა, ანდა დაღუპულიყავი. სხვა გზა ნამდვილი მთამსვლელისათვის არ არსებობდა. სამწუხაროდ, ჭეშმარიტი მესიმაღლეებიდან სიბერეს ძალიან ცოტამ მიაღწია.

სვანეთში ამბობდნენ:

— „უშბა და თეთნულდი, რაც არ უნდა იყოს, კლდეა, მიწაა, ხოლო მიწისა და კლდის მომრევი ამ ქვეყანაზე ჯერ არავინ დაბადებულაო...“

კარგად იყო ნათქვამი. ვერაფერში შეედავებოდით, აკი საამისო მაგალითები ყველასდასავალალოდ თავზესაყარი ჰქონდათ — ავსტრიელთა ჯგუფის, რაიზერის, ალიოშა ჯაფარიძის, ქელეშბი ონიანისა და მუხინის ტრაგიკული აღსასრული უშბაზე, პიმენ დვალისა და სიმონ ჯაფარიძის დაღუპვა თეთნულდზე, გაბრიელ ხერგიანის ჩაჩუმქვრვა კავკასიონის ნამქერებში...

მამა კი, ნებსით თუ უნებლიეთ თითქოს მიბიძგებდა ამ გზაზე. იგი ფიქრობდა, მე რომ მთებისთვის მეგანა, ჩემი შვილიც სხვა გზას დაადგებოდა. ვიცი, სწორედ ასე ფიქრობდა მაშინ მამა და მწვალებლურად განიცდიდა კიდეც.

— შემდეგ, როცა ჩემი მთამსვლელური ბილიკები ასე თუ ისე გაიკვალა და გაიტკეპნა, თითქოს მაინც დამნაშავედ ვგრძნობდი მის წინაშე თავს. და ვიცი, რომ ეს გრძნობა არასოდეს არ განქარდება ჩემი გონებიდან, არასოდეს, ოღონდ ის კი არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი...

• •

— ასეა, პირველ გამოცდას ბიძაშენს ჩააბარებ... — მკაცრად გადახედა ბესარიონმა მიხეილს — თუ ისე ვერ ივლი, როგორც საჭიროა, უკან დაგაბრუნებს. ახლა კი ანტონთან გასწი, იგი დაგარიგებს და დაგლოცავს...

ძველ მონადირეს, ოთხმოცდაათს გადაცილებულ მოხუცს ახლაც ჯველივით უჭრიდა თვალი. არც მუხლი ღალატობდა, მკლავიც ერჩო-

და. სულ სათიბში, ტყეში იყო. კოხტად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. სადაც არ უნდა ყოფილიყო, აჩაჩულ-დაჩაჩულს, გაუპარსავსა და უმუჯვროს ვერასოდეს ნახავდა კაცი.

„თეთნე ანტოლს“ უძახდა ხალხი.

თეთრი თმა-წვერი რომ ჰქონდა მარტო იმაზე კი არა — უფრო დარბაისლური აზრებისა და ნათელი ჰკუა-გონების გამო, მართლაც თეთნულდივით სპეტაკი მოხუცი იყო. კავკასიონის წვარნებზე გლეკისაგან თუ ნათესავ-მეზობლების, თანამოფლელთა და საქვეყნო ჭირსა და ლხინში გაჭაღარავებულ ანტონზე ამბობდნენ კიდევ — „ისეთი კაცია, მტერი არა ჰყავსო...“ სვანეთში კი უმტერო ადამიანი ძნელი წარმოსადგენი იყო. სვანეთში, სადაც მეტადრე თეთრი მოხუცის ჯეელობაში, შურისძიების, სამანთა ცილაობისა და სისხლის აღების ძველისძველი უმკაცრესი ტრადიციები ბობოქრობდა.

ყოვლისმცოდნე, ტკბილმოუბარი იყო მოხუცი.

სვანეთში ჩამოსული მოგზაური, თუკი მას ეგზოტიკური სანახაობით ტკბობის გარდა სხვა რამ მაღალი ინტერესებიც ჰქონდა, უცილობლად ანტონთან მიდიოდა სასაუბროდ, გასათვითცნობიერებლად.

მიხეილს მამისა ეშინოდა ყველაზე უფრო, მორიდებით კი თეთრი მოხუცისა ერიდებოდა სხვაზე მეტად. ამიტომაც იმ საღამოს ბაბუა ანტონთან ვერ იცრუა მამამისის დარიგებისამებრ. სიმართლე უთხრა — ჩვალ დილაუთენია ბიძია მაქსიმეს ჩრდილოეთში მივყავარ, მამა არ მიშვებდა, მაგრამ დავიყოლიეო...

თეთრმა მოხუცმა დღენიადაგ ნადირის თვალთვალისაგან ოდნავ მოპუტული საოცრად მეტყველი და მშვიდი თვალებით თავიდან ბოლომდე აათვალიერა ბინაანი.

დიდი სითბო და სიყვარული ჩაბუდებულიყო ღინღლობიდან მყინვარებსა და თოვლთან, მიწის სიმწირესთან ნაბრძოლი მოხუცის არსებაში. გრძნობდა მიხეილი, იგი უსიტყვოდ, უხმოდ ეფერებოდა, ეალერსებოდა მას. კაცი ვერ შეატყობდა, თუ სხვა რამეზე ფიქრობდა ახლა იგი. ფიქრობდა კი.

— მეც თავნება და შეუსმენელი ვიყავი ჯეელობაში. ჩემი რომ არ გამეტანა, ისე როგორ იქნებოდა. იტყვი, რახან ბაბუა ანტონმა, ასეთმა კერპმა და ჯიუტმა კაცმა აქამდე მოაღწია, თავნებობა არც ისეთი ცუდი რამ ყოფილაო. — წყნარად დაიწყო მოხუცმა — მაგრამ ისიც იცოდე, რომ მონადირის საქმე სულ სხვაა, მთამსვლელისა კი — სხვა. მონადირეს თუ არ გაუმართლებს, ხელცარიელი დაბრუნ-

დება და ის იქნება. მონადირემ თავისი გზა-კვალისა მხოლოდ თვითონ იცის და კიდევ მისმა ოჯახმა.

თუ შერცხვება, თავის თავსა და შინაურებთან შერცხვება. მთამსველელის სიარულს კი მთელი ქვეყანა ადევნებს თვალსა. მთამსვლელი თავის გამარჯვებასა თუ დამარცხებას ვერ დამალავს ხალხისაგან. ორში ერთი — ან სადიდებელი შეიქმნება, ანდა — სასაცილო... იმათზე ხომ გაზეთებში წერენ და რადიოთი აცხადებენ.

ასეა, მთამსვლელი თავის თავს როდი ეკუთვნის. ო, ძალიან ძნელი საქმეა ეგ ამბავი, ძალიან ძნელი...

ანტონმა ცოტა შეისვენა; თითქოს ეროი აზრი მოათავა და წერტილი დაუსვაო, მერე განაგრძო:

— მონადირე, მართალია, ეშმაკის კლდეებზე დაბლოტიალობს, მაგრამ სიმაღლეებს კი არ ეტანება მაინცდამაინც. არც სჭირდება მას დიდ სიმაღლეთა დამორჩილება, ამიტომაც იყო ალბათ, მთიელებმა, ტაბუ რომ დაადეს ცისიერ მწვერვალებს, თორემ როგორ გგონია, ბეთქილსა და მურათბი კიბოლანზე ადრე უშბასა და თეთნულდზე ჩვენი წინაპრები ვერ ავიდოდნენ? ცისიერ მწვერვალებზე, სადაც ახლა ნადირობის ქალღმერთები — დალები სახლობენ, ასე გამწარებულნი რომ მფარველობენ და მეთვალყურეობენ თავის სამწყსოს, არჩე-ჯიხეთა არვეს...

ოქროსთმიანი დალები!..

ჩორლასაკით გაუმაძღარმა, პირსისხლიანმა მონადირეებმა კი რა ხანია დაურღვიეს მათ მყუდროება — განრისხებით წარმოთქვა ეს სიტყვები ანტონმა — თქვენ უნდა შეირიგოთ დალები. ადამიანსა და მთის ფერიებს გასაყოფი და საცილო არაფერი აქვთ. თუ მოინდომებთ და კარგად იქლით მთებზე, აუცილებლად შეგირიგდებიან ისინი.

ზოგს დალი კაცთმოძულე, უსულგულო არსება ჰგონია. არაა ეს მართალი. დალები ხომ ხალხმა გამოიგონა და შეთხზა თავისსავე სასარგებლოდ, ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად... გამოიგონა და ნადირთმრაველობისა და მოშენების მეუფედ ყველაზე მაღალ ქარაფებზე დაასახლა, რომ ახლოს ველარავინ გაჰკარებოდა, ველარავის ხელეყო მათი უზენაესი მეუფება, რათა ლაძაზი ამბავი დალების შესახებ არასოდეს არ გამქღავნებულიყო.

დღეს უკვე აღარ არის ალბათ ამისი საჭიროება. ყოველ შემთხვევაში ახალი ადამიანები ასე ფიქრობენ, მათ ნადირობის ძველთაგან

მომდინარე წეს-კანონები მოშალეს, ალარაფერს დაგიდევენ, ოღონდ სურვილი მოიკლან, მთელს ქვეყანას მოედვნენ ჩორლასფერანი, გაუმაძღარი, პირსისხლიანი მეხთვიარები. ლომის ხეობაში ხომ ტყუბულებივით[1] მომრაველდნენ ისინი.

აი მიუგდე ყური, ყველგნით იმათი ბათქა-ბუთქის ხმა მოისმის.

მინაან, შენ თუ იცი ღვთისნიერი, გულჩვილი სამი ძმის ამბავი? ეს, რომ იცოდე, არც ისე ძველდროინდელი ამბავია, ეს არის გრძელი ლექსი ჩორლასფერათა ბოროტების, ავგულობისა და გაუმაძღრობის დამკვიდრებაზე ლომის ხეობაში. შენ არ გსმენია, მინაან, სამი ძმის ალსასრულის ამბავი? აი, მე მოგიყვები. იმ ლექსს ბოლომდე, თავიდან ბოლომდე მოგიყვები და მერე შენ თქვი, ბებრუხანა და პოპლიკა ბაბუა ანტონს დამშვიდებულსა და გულდარბენებულს თუ ჩაესვლება იმ ქვეყანაში, საიდანაც ალარავინ ბრუნდება. პოპლიკა ანტონს, რომელიც ბევრის მომსწრეა, მაგრამ ასეთი რამ, რასაც დღეს ამცნობენ ბებერი თვალები, არასოდეს გაუგონია. ამდენი ჩორლა არასოდეს უნახავს ერთად.

პო, იმ ლექსს შეგპირდი, არა?....

თეთრმა მოხუცმა წამით შეისვენა, თითქოს ძალა მოიკრიბაო გრძელი სიტყვის სათქმელად და რომ სჩვეოდა, ისეთი დარბაისლური, აზრიანი და გულში ჩამწვდომი ხმით დაიწყო:

პაწვალის ტყეებში დაეგლებიან ჩემი ეაეები,
ხვანკრებში მპრელი წალდები გაურკვიათ,
ხელთ ჩაუბღუკავთ ხარიმები.
ბუერიანში დათვები დაკოდეს,
ღოლიანში — მგლებია ღრენია,
წართბლნარში — მელები, ტურები.
ბერე მიადგნენ დიუნარს და დუცნარს —
წარაფებს ჯიხვები შეფენოდნენ.
ბროლის რქები ჰქონიათ,
ჩლიქები — საფირონის,
თვინიერი, კაცოვით თვინიერი თვალები,
ზურგსა და მუცელზე:— ოქროსფერი ბალანი
ჭაჩაჩები — მყინვარ-ვერცხლისფერი.
ყეთილნი იკენენ, მშვიდნი, ზეციერნი
გიცრულის სურნელი ასდოდათ...
ეაეებს კი, ჩემს ეაეებს,
ერთხელ ნერვიც არ გასტოკებიათ,

[1] სვ. სოკო.

ვაჟები, ჩემი ვაჟები,
ეინს არ დაუზაფრაეთ ცთუნებაზე.
ტყაეის ხალთები მოიხსნეს მხრებიდან,
ონავრებიეით მოჯეჯგვეს დუცნარი;
აუ, რამდენი დუცი მოგვიზიდეს.
მაღალი ღმერთია გამწყრალი თორემ —
ამბობდნენ სოფელში ჩენს ვაჟებზე,
ქირქილებდნენ პირხმელი, მრეში კაცები
ზეხლმოკანკალე ფოთრს როგორ ვერ დათოფავდნენო
აბა რა, რა იცოდნენ ჩემი ვაჟების,
აბა რა, რა იცოდნენ იმათი გულის,
აბა რა, რა იცოდნენ იმათი ძარღვის...
ჰაწვალის ტყეებში დაეგლეზოდნენ,
ხვანჯრებში მკრელი წალდები გაერკოთ,
ხელთ ეპყრათ ხირიმის თოფები,
ტყაეის ხალთები მხარზე ეკიდათ,
კოდავდნენ დათვებს, მგლებსა და მელებს,
ჯიხვებს კი.. რვალის ყანწები ედგათ,
მყინვარ-ვერცხლისფერი ქაჩაჩები,
ოქროსფერი ზურგის ბალანი შეენოდათ.
მაწიერნი იყვნენ ჯიხვები,
გიცრელის სურნელი ასდიოდათ.
სისხაბზე ფოთრებს სკეპ-სკეპს ასწაელიდნენ,
ცურს აწოვებდნენ,
შუბლს ულოკავდნენ.
რა ლამაზი იყვნენ ჯიხვები...
ერთხელაც ასე,
ჰაწვალის ტყეებში მობლატენებდნენ,
– თქვე მჩხავანანო, კუკცარიელნო, ქალაჩუნანო!...
ყოვლის ზეაეი მოაწყდა მთიდან —
ნადირთ საკოდად თუ მოსდიხართ, მონადირეთ,
ეითარც ჩვენს მოდგმას შეჰფერის, — ისე!
თქვენს დაფეთებულ თაბუნს მაინც როდემდე ვსდიოთ?
ეს ქარაფები იმისია, ვინაც დაიარს,
ეს რქაბრტყელანი იმისია, ვინაც დათოფავს,
ჭიღლო-მაღლოთა ხევ-ხეებში მოჯეჯგონ დუცი
ჯიხვთა მფარველი დალია და შურთხი თეთნულდის,
ადამის ძეთა სიბრალული რაღად სვირიათ?!
ვაჟებს, ჩემს ვაჟებს,
რამდენი დუცი მოეკონდათ ხოლმე.
ბებრუხანებს როგორ გვიყვარდა დუცი.
მაწონის გემო ჰქონდა და ვეძასი —
ფხოტრერის სვეფში რო მოჩუხჩუხებს...

წყეულ მთვარის. დღეს
სამჯერ გატყვრა ბერდენა მიწყივ,
მგრელმა წალდებმა ქვა-ლოდებზე გაიღეს კვნესა,
სავსე ხალთები წარაფებზე დაკოტრიალდნენ.
არა, არავის დაუთოფავს ამჯერად ჯიხვი.
არა, არავის — მგელი ღრენია
არა, არავის — ბომბორა დათვი...
მგრელმა წალდებმა ქვა-ლოდებზე გაიღეს კვნესა,
სავსე ხალთები წარაფებზე დაკოტრიალდნენ.
გულღრჯო კაცებმა თავმომწონედ დახედეს თოფებს,
გამარჯვებულთა აღტკინებით ჩაიქირქილეს;
— აწ ვერასოდეს დააფეთებენ
ჯიხვთა და ფოთრთა,
მათი მფარველი დალია და
შურთხი თეთნულდის,
ადამის ძეთა სიბრალული არად სჭირიათ!
მცირე ბექობზე სამი ჯვარი აღმართულიყო,
არყისხის ჯვრები არაფრით არ
ჰგავდნენ იმ ბიჭებს,
სხვას ვეღარაფერს ხედავდა ბერიკაცი.
მეწამულისფერი მოსდებოდა ყოველივეს —
აუღებელი სისხლისფერი,
ბრმად დაღვრილი სისხლისფერი.
ო, მშობლიური, მშობლიური სისხლისფერო
და უმანკო სისხლისფერო.
მთებიდან თოფის ზათქი მოდიოდა,
შავი ჯვრები, ამოზრდილი თოთო სახეები
ავბედით ჩქამზე იწყებდნენ ბუქვნას —
სამარადჟამო ჯაჭვებიდან დახსნას ლამობდნენ...
ჰაწვალს შესეოდნენ მონადირეები —
პირმოქუფრული, მრეშთვალება,
ხმელი კაცები
და განურჩევლად ხოცავდნენ ყოველს —
ბომბორა დათვებს,
მელებს და... ჯიხვებს.
დუცნარი მთელს ქვეყანას მოსდებოდა,
აბა და დუცი ეის რაც სჭიროდა,
აბა, ბებრუხანები ვიღას ახსოვდა.
მოხუცი გართხმულიყო არყისხის ჯვრებთან —
აბა, რა, რა იცოდნენ მისი ბიჭების,
არც სამართალს სცოდნია, რა, მისი ბიჭების,
არც დედამიწას სცოდნია რა, მისი ბიჭების,
არც ღმერთს სცოდნია მისი ბიჭების,

ამდენი დუცი მოჰქონდათ სახლში
ხვანჯრიანები ჰაწვალ-ჰუწვალს დაეგლეჯოდნენ,
კოლაედნენ დათვებს,
მგლებსა და ბელებს,
ჯიხვებს კი...
კაცის თვალები ჰქონდათ...“

— გაიგე? ხომ გაიგე? — ჰკითხა გაყუჩებულ მინაანს ლექსის მოყოლა რომ დაამთავრა მოხუცმა და გამომცდელად მიაჩერდა თვალებში, — ხომ გაიგე, ეინაც იყვნენ ისინი? ან იქნებ მოგონილი გგონია ყოველივე? ისინი, ის „პირხმელი, გულღრძო კაცები“ ჩორლასფერანი იყვნენ მათ ჯიხვებივით დათოფეს ღვთისნიერი ძმები, რათა მერე თავისუფლად ეპარპაშათ, ეხოცათ ენადგურებინათ ოქაბრტყელანი. მიალწიეს კიდეც საწადელს, იმათია ახლა ეს ქვეყანა, აი, მე ახლაც მცემს რქაბრტყელათა სისხლის სუნი.

და ასე გაგრძელდება, ვიდრე თქვენ არ აღმართავთ იმ დამარცხებულ სამთა ძმათა ალამს, ვიდრე კვლავ არ შემოირიგებთ განაწყენებულ დალებს. მაინც რაღა დაგვიშავეს უცოდველმა ღმერთქალებმა?

რაზე ხელვყოფთ მამა-პაპათა მოგონილ ამბავს?

კვლავაც ესახლონ ისინი მიუვალ მყინვარებსა და ქარაფებზე. კოჯტინები სამუდამოდ შეინახავენ წინაპართა მოგონილ ლამაზ სიცრუეს ყლდის ქალებსა და ფერიებზე... ვინძლო ოდესმე კვლავ საჭირო გახდეს დალების მოხმობა. ძველ მონადირულ წეს-კანონთა მოშველიება, რათა კვლავ ამაღლდეს ადამიანში ბუნებისადმი მოკრძალება, პატივისცემის გრძნობა, წმინდა, გულითადი დამოკიდებულება...

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ ლეგვმერის სათიბებში ჩამოდიოდნენ ჯიხვები. არჩვები კი სალოკ ქვებთან ეყარნენ დღენიადაგ.

დღესა? დღეს როგორღაა საქმე?

ხანდახან მინდა ბებერ თვალებს დავაბრალო, ნადირის ნასახსაც რომ ველარსად წაეწყდომივარ, მაგრამ ვაი, რომ ასე არ ყრის — არ ჩამოდიან ჯიხვები ლეგვმერის სათიბებში, არც არჩვები სვამენ ლეხზირის ვეძას. და რატომ არ ჩამოდიან თუ იცი? განა გაუქრათ იმ რქაბრტყელებს პირში გემო? გააქციეს ისინი, მინან, დახოცეს და გაანადგურეს.

ვინც ის სამი ძმა დათოფა, ვინც დალები დაიყიწყა, იმათი არსებობა დაივიწყა, იმათ დახოცეს, თორემ ჩვენს კანონებში აგრერიგად იყო ნათქვამი — „არ დახოცო დედა ჯიხვი გიორგობამდე, არ დაკაობლო

ფოთრი, რამეთუ უმწეოსა და უძლურის დაობლება ღვთის გმობად მიგეთვლება.

არ დაკოდო ნადირი ერთზე მეტი, თუ კი გინდა, რომ შენს შვილთა შვილებს, მთელს მოდგმას შენსას შემოუნარჩუნო მთათა და კლდეთა მაცოცხლებელი მშვენებანი...“ — ასე ეწერა ძველ კანონებში დღეს იგი აღარავის ახსოვს...

ხოდა, თქვენ რომ ახვალთ იქ, დალებთან, შეირიგეთ ისინი. ნუ გაყრით თავისი მიწებიდან, აღადგინეთ თავიანთ ეფლებებში, ეს უზენაესი სამსახური იქნება, სამსახური ქვეყნისადმი, ლომის ხეობისადმი.

თუკი მოინდომებთ, დალები შეგირიგდებიან. მათაც უყვართ მუხლმაგარი ვაჟკაცები, პირხმელი, ქარდაკრული ადამიანები. როცა ისინი კარგად დადიან მთებზე, დალები ზეიმობენ.

დაიმახსოვრე, მინაან, ჩემი სიტყვები, ისიც გახსოვდეს, რომ შენგან შველას ელოდებიან ისინი... — ეს რომ თქვა, ცოტა ხანს რატომღაც იყუჩა თეთრმა მოხუცმა. თითქოს იმაზე ფიქრობდა, თავი ხომ არ შევაწყინეო, ერთი გამომცდელად მიანათა კიდეც თვალები გატრუნულ ბიჭს, ვის გონებაშიაც ახლა ათასი ფიქრი ტრიალებდა, ათასი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს. მოხუცს ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა დაუსერა სახე და დაწყებული საუბარი განაგრძო:

— დიდი გაბრიელი ნამდვილი მთამსვლელი და მოთხილამურე, დალების კაცი იყო. იმათს შემორიგებაზე ფიქრობდა. მეუბნებოდა — „მირჩიე როდის შევყარო ხეობა. რომ დალებთან შევარიგო ხალხი, ყოველ შემთხვევაში ეცადო მაინც... თორემ მერე უკვე გვიანი იქნება, მერე უკვე აღარაფერი ეშველება საქმესო დაცარიელდება კავკასიონის ჭიუხები ყოველთა სულიერთაგან — ნადირთა თუ ფრინველთაგან, განიძარცვება არემარე, ვითარცა მურყანი ფოთოლთაგან, გრძელი მოსაწყენი ზამთარი დაისადგურებს ლომის ხეობაში და არც არასოდეს გამოზაფხულდებაო...

ასე ამბობდა დიდი გაბრიელი. იმას ესმოდა ჩემი. ესმოდა და უნდოდა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ აღარ დასცალდა, ახლა შენ და ბექნუმ უნდა შემოირიგოთ დალები...

„უზენაესი სამსახური... — ფიქრობდა მთელი ღამე მიხეილი. ადრე არასოდეს ესაუბრა თეთრ მოხუცს დალებზე, მათს შემორიგებაზე და ალბათ ამიტომ თუ იყო, ვერაფრით ვერ წარმოედგინა — რანაირად შეიძლებოდა ღმერთქალების შემორიგება.

რას გულისხმობდა „შემორიგებაში“ თეთრი მოხუცი?

ან გაბრიელი როგორღა აპირებდა მაგ ამბავს?

„დალების შემორიგება“! ეს ანტონისეული ფილოსოფია იყო უწვერულვაშო ბიჭისათვის ძნელად გასაგები ოღონდ ისეთი, რაზეც უნდა ეფიქრა, და რადაც არ უნდა დასჯდომოდა — გამოეცნო, ანტონს იმედი ჰქონდა ამისი, თორემ ისე ტყუილად ენას არ მოიღლიდა თეთრი მოხუცი.

„ანტონის სიტყვა ისეთი ღრმააზროვანია, ათეული წლების მერე გაცხადდებაო...“ — ამბობდნენ მეზობელ-თანასოფლელები თეთრ მოხუცზე. და მართლაც ასე მოხდა, გვიან, საკმაოდ გვიან ჩახვდა მიხეილი მოხუცის სიტყვების დედააზრს...

• •

— მეორე დილას მამლის ყივილზე გავუდექით ბეჩოშიხრის გზას მთელი ღღე შეუსვენებლივ ვიარეთ მე და ბიძაჩემმა. მახსოვს, რა დალლილები მივეყარენით საძილე ტომრებში. ძლივს მივხანხალებდი, მეშინოდა — ეს ერთი ნაბიჯიც და მეტს ვეღარც მოვუნაცვლებმეთქი. მგონი მაქსიმესაც ქანცი გამოსცლოდა, თუმცა სიარულში კი ეერას შეტყობდა კაცი...

„აი, მაზერის სგომი... — მაზერში პირველად ვიყავი — რა მაგარი ეკეთა თურმე, ეს-ეი ალბა რომ გამოცალო, ათჯერ უნდა მიუბრუნდეო, კეთილ ადამიანებს გადაუხურავთ და მერხები დაუტანებიათ შენობის კედლებში. ახლა აქ ჩამოჯდომას რალა აჯობებდა, ახლა აქ ჩამოჯდომა მომაკვლევს მოასულიერებდა...“ — ვფიქრობდი გზადაგზა და თან ბიძაჩემს შევყურებდი მავედრებელი თვალებით, იქნებ აქ მაინც ჩამოვისვენოთ, იქნებ აქ მაინც-მეთქი. შევთხოვდი მალულად, ჩუმად.

ჭერე სვიმი უკან დარჩა, სოფელიც უკან მოვიტოვეთ, დოლრას ხეობას ავუყვეთ ჩანჩქერ შდუგვრას მიმართულებით, თანდათან ლაშქად მივიწევდით მაღალ ქედებს შორის, მორენებამდე მივაღწიეთ.

„ნეტავი ვინ მოასუფთავა რიყის შუაგულში ასე საგულდაგულოდ ეს მოედანი? — კელავ გამექცა თვალი თომიან მდელოსაკენ — მაინც რა რბილი და ფაფუკი ბალახია, ჩვენს მურყვამზე რო ბიბინებს ისეთი... რა შეეღრება კოშკზე წამოწოლა-წამოძინებას? ხელებს თავქვეშ შემოიწყობ და უკვე თვალები გელულება ადამიანს...“

ეჰ, ტკბილად ვიიმედებდი თავს, არ დაადგა ჩვენს გზას საშველი

ვიდრე გადასასვლელი არ მოვიტოვეთ უკან და ჩრდილოეთის თავშესაფარში არ შევრგეთ თავი, შენც არ მომიკვდე, ჯაბრალების ქობიდან ამოშლილი თომის ჩასასწორებლადაც არ შეჩერებულა ბიძაჩემი...

აშკარა იყო, ეს მარუსა საგანგებოდ ჩემთვის მოაწყვეს: ალბათ, მამამ თუ სთხოვა და ბიძაჩემიც ულმობლად მცდიდა, თორემ ასეთი თაქუდმოგლეჯილი ძუნძულ-სირბილი ზამთარში მთელი თვე ნაშიმშილევი მგლისა თუ მენახა მხოლოდ.

სად მიგვეჩქარებოდა მაინცდამაინც ასე? ლამის თავი კი მოვიკალით ორივემ, თუმცა ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა და იმისი გახსენება რა აუცილებელი იყო.

საძილე ტომარაში ჩათბუნებული სულგანაბული ველოდი, რა განაჩენს გამომიტანდა, როგორ შეაფასებდა დღევანდელ „ნალვაწს" ბიძაჩემი. მაგრამ იგი ხმას არ იღებდა, პირში წყალჩაგუბებული დუმდა.

გავიდა რამდენიმე მტანჯველი წუთი.

„ან ავი მითხრას, ან — კარგი, ოღონდ მითხრას რამე" — ებრაზობდი ბიძაჩემზე. იგი კი გვერდზე გადაბრუნდა — „ღამე ნებისაო" — სხეათაშორის გადმომიგდო და ხვრინვა ამოუშვა.

მე შექებას, შეგულიანებას, მხარზე ხელის მოთათუნებას მოველოდი მისგან. მგონი ერთი კარგი სიტყვის ღირსი კი ვიყავი.

ეჭვის ჭია მღრღნიდა — მაინც რა უნდა, კიდევ რაღას ითხოვს ჩემგან, რითია უკმაყოფილო? — ებრაზობდი გულში. ყველაფრის თავი და თავი კი ის იყო, რომ მეშინოდა, უკან არ გავებრუნებინე, სახლში...

— ჰა... დაიძინე ახლა; რა შფოთავ აგიტყდა საბუდარიდან ბარტყები ხომ არ ამოგისხეს... — ჩამესმა უეცრად მაქსიმეს ხმა, იქნებ სიზმარში ვარ? გაოცებული ვიყავი — მას ხომ უკვე ეძინა, ხვრინავდა კიდეც და საიდან გაიგო, ვშფოთავდი თუ რას ვაკეთებდი?

„მაინც რა უცნაურები არიან ეს უფროსები?" — გავიფიქრე ჩემთვის და დაღლილ-დაქანცულ სხეულს გავუყევი სამოთხეში სამოგზაუროდ...

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲝᲠᲑᲔᲜᲐᲚᲘ ᲙᲕᲘᲪᲘ

მეორე დღეს უკვე ადგილზე იყვნენ.

მაქსიმემ ბანაკის დირექტორს წარუდგინა მიხეილი. მერე მთავარი მწვრთნელიც გაიცნო. ორივენი მაქსიმეს ძველი ამხანაგები იყვნენ და მისი ნახვით დიდად გაიხარეს. მიხეილიც მოეწონათ, ოღონდ ყეს-

ტებით საუბარი რაღაც არ გამოსდიოდათ — დირექტორმა ცალი ხელი ბანაკისპირა წარაფებისკენ გაიშვირა — როგორ მოგწონს აქაურობაო.

მიხეილმა გაიფიქრა, ალბათ მეუბნება — ჰა, ბურთი და მოედანი! ჰოდა გვიჩვენე, რა ვაუკაციცა ხარო... და დიდად გაიხარა, თითქოს ფრთები გამოესხაო, ისეთი სიმსუბუქე იგრძნო ტანში. ამ წარაფს აირბენდა კი არა, სულაც ააფრინდებოდა, თვალის უსწრაფესად გადაევლებოდა თავზე.

წუხანდელი დაღლილობა არც კი გახსენებია, არც უძილობისაგან დაჰბლეტია თვალები, ერთი ამაყად გადახედა უხერხულობისაგან მუცელში ენაჩავარდნილ ბიძამისს და ის იყო ძველისძველი ლაბადა უნდა გაეხადა, რომ განცვიფრებული თანამოსაუბრეები ჯერ ერთმანეთს შეაცქერდნენ — რას ნიშნავს ყოველივე ესაო, მერე მაქსიმეს შეაშტერდნენ ცნობისმოყვარეობით აღსილნი — იქნება შენ მაინც აგვიხსნა, რა ჩაუფიქრებია ამ უცნაურ კაცსაო.

მაქსიმე მიუხვდა ძმისშვილს განზრახვას, ლაბადა უკანვე წამოაზურა მიხეილს და მაჯაზე თასმით დახვეული ბესარიონისეული მუჯირა ბრაზიანად გამოჰგლიჯა ხელიდან:

— „ისგუ იმედშვ ამახუ არი..."[1] — სვანურად მოიფხანა გული მაქსიმემ.

მიხეილმა იაზრა, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. კვლავ წარაფისაკენ შეტრიალდა და გასაქცევად გაემზადა. „ადრე თუ გვიან ჩემ უნდა ნახონ ჩემი სიარული, ბარემ ახლა ვაჩვენებ დაღლილ-დაქანცულზე. ბიძაჩემიც დარწმუნდეს — მისი ძმისშვილი არც ისეთი მუხლმკვდარი ვინმეა, სხვისი სათრევი და სატარებელი რომ გახდეს. ხოლო სახლში მამას უთხრას, რომ მისმა შვილმა უფროსები გადარია-თქო"...

ასეთ რამეებზე ფიქრობდა იმ წუთში მიხეილი. მისი ღრმა რწმენით მთამსვლელს პირველ რიგში კლდეზე სიარული უნდა შესძლებოდა, მგლის მუხლები უნდა ჰქმოდა, მჭრელი თვალები და თოვლის გუნდასავით შეკრული გული ჰქონოდა.

მიხეილი კი დაუმტკიცებს ამ ხალხს, რომ არც ერთი აკლია და არც — მეორე. მეტი კი რაღა უნდათ კიდევ? რაღას მოითხოვენ მისგან? ჩარიცხონ კურსებზე, მორჩა და გათავდა, მორჩა და გათავდა...

---

[1] სვ. — შენს იმედზე მტერი იყოს...

ნუთუ ამ წარაფებზე სცდიან ხოლმე ახალგაზრდებს? ამ „საკარტოფილე“ ძინდორზე? დალაყორას ქარაფებს თუ შეეძრება იგი? ან ლეგვმერისა და კახურის ციცაბოებს? ეს რა სამთამსვლელო ბილიკებია, ისინი უფრო ლაღამის თამელიან შემლგარენს მოაგონებს, ადრე გაზაფხულობით საშაშვე მახეებს რომ აგებდნენ ონავრები.

ჰულიშის დღესასწაულზე სრბოლისათვის შემართული ნამთევი ულაყივით ხტოდა და ცმუკავდა. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა მიხეილი. თვალით რა ხანია მონიშნა ასარბენი ბილიკი, უმოკლესი გზა ბექის თავამდე.

ბანაკის უფროსებს ამ უცნაური ყმაწვილის დიდგულოვნებამ ღიმილი მოჰგვარათ. ბოლოსდაბოლოს ისინიც დაინტერესდნენ — მაინც როგორი მომზადებული ჩამოვიდა ხერგიანთა გვარის მთათა და მყინვართა კიდეე ერთი მოტრფიალე რაინდიო. ისინი მაქსიმეს მიუბრუნდნენ — მიუშვი ერთი ვნახოთ, რა ბიჭიც არისო.

მაქსიმემ მიხეილს მიაძახა:

— ჰე, ლეხპიაქ, ათჭომინ იაღო, ათჭომინ... კონჩხ ნომე ლახყუჩა ღო...[1]

მიხეილმა ნაშალ ქვა-ღორღზე მარდად და ლამაზად გადაირბინა. ვიდრე ადგილიდან დაიძვრებოდა, უკანასკნელ წამს, თვალი მოჰკრა, მთავარმა მწვრთნელმა საათი რომ დანიშნა. ამან მეტი ცეცხლი შეუნთო. ციცაბო ფლატეებს გვერდს როდი უვლიდა, გზას იმოკლებდა, დროში უნდოდა მოეგო.

ფიქრობდა, რაც უფრო პირდაპირ აიელიდა ამ წარაფს, მით უფრო მომიწონებენო.

ბექნუსა და ბესარიონისაგან ნასწავლი წესებისათვის უნდა გაეწია ახლა ანგარიში — სწრაფად, პირდაპირ და ამავე დროს რაც შეიძლებოდა მოხდენილად ევლო.

აი, ერთი ასარბენილა დარჩა, ერთი მომცრო ბექი. რატომღაც იოლად დასაძლევი მოეჩვენა ეს მონაკვეთი მიხეილს და გულდამშვიდებული შეუყვა, მაგრამ ფლატე მაცდური აღმოჩნდა, ერთბაშად ჩამოიშალა...

მიხეილი ადგილზე კი მოძრაობდა, მაგრამ წინ ვერ მიიწევდა, მერე ბექის თავიც ჩამოინგრა, კლდე და მიწა გრუხუნ-გრუხუნით ჩამოშვავდა. მტვრის კორიანტელი ავარდა. მიხეილი გვერდზე გადახტა, ნირ-

---

[1] სვ. ჰა, შე მუხლმკედარო, გაიქეცი აბა, გაიქეცი ოღონდ კისერი არ მოიტეხო სადმე...

წამხდარმა და შეცბუნებულმა ერთი მაგრად შეუკურთხა აბოლებულ წარაფს და უნდილად ჩამოიმუხლა.

მასა და უფროსებს შორის მტვრის ღრუბელი გაწოლილიყო და აბა რანაირად შეეძლო იმათი დანახვა, არც ადამიანის ხმის მსგავსი რამ გაუგონია, მაგრამ რატომღაც მოეჩვენა, თითქოს იმ ფარდის მიღმა საათს დაჩერებული ადამიანები სიცილისაგან იფხრიწებოდნენ... მას რატომღაც დედის წინ მორბენალი კვიცის ამბავი გაახსენდა.

ცხოვრებაში ხდება სასწაულები

— ბაბუა ანტონის ნაამბობის გარდა ბევრი რამ მაგონდება ბავშვობიდან. ინგლისში, როცა ძალიან გამიჭირდა და ბეთქილივით ცალ ხელზე ვეკიდე ქარაფს, ჩემდა გასაკვირველად, მაცხოვრის ეზოში დაგდებული საჯილდაო ქვა ამელანდა თვალწინ. მერე ბავშვობის დღეები გამახსენდა.

...ლაღამელები მაცხოვრის ეზოში ვიკრიბებოდით ხოლმე. არ ვიცი, რა გრძნობა მოგვერეკებოდა ყოველ დილაუთენია ამ ეზოსაკენ. მოედნის შუაგულში დაგდებული საჯილდაო ქვას შემოვერტყმებოდით წრედ, ალბათ ეს ქვა თუ გვიზიდავდა?! შემოვერტყმებოდით და მორიგეობით შეებრძოლებოდით, თითებს ჩაუუქერდით ყელში და მაღლა ეწეოდით, თუ ნაწვიმარი იყო და თითები სხლტებოდა, სახელოებით გავამშრალებდით. ჯერ მარჯვენა ხელით, მერე — მარცხენა-თი ეცდიდით ერთმანეთს.

ამ დროს მოგებული ყოველთვის ცაცია რჩებოდა და ჩვენ გულიანად შევნატროდით მის „მემარცხენეობას".

მაცხოვარის ეზოში მუდამ ჩოჩქოლი იდგა. ვინც საჯილდაო ლოდისათვის პატარა იყო, იქვე, ცოტა მოშორებით მუშტაქვის კერაში ეჯიბრებოდა თავის თანატოლებს. სულ პატარები რიკტაფელასა და ჩილიკაჯოხის თამაშით ერთობოდნენ.

ყველასათვის მოიძებნებოდა აქ თავისებური გასართობი — უფროსები გრძელ მერხზე ისხდნენ, ფილიანშერების ლაფაროს კედლის გასწვრივ რომ გაეწყოთ ლაღამელებს, იმაზე და დარბაისლურად მასლაათობდნენ საჭირბოროტო საქმეებზე, სოფლის სატკივრებზე. ამ წმიდათაწმიდა ალაგას მათი ბჭობა-საუბარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა — აქ ყოველი მათგანი მოვალე იყო სიმართლე, მხოლოდდამხოლოდ სიმართლე ეთქვა, გულისნადები გაეზიარებინა

სხვებისათვის, პირადი ინტერესები დაევიწყებინა, ქვეყნისაზე ეზრუნა...

სოფლის გოგონები მოცლილობის ჟამს კლასობანას თამაშობდნენ. ალქაჯებივით მიხტი-მოხტოდნენ მიწაზე კეტით გამოხაზულ წრეებსა და ოთხკუთხედებში.

სულ ერთ წამში წარმომიდგა რატომღაც ბავშვობისდროინდელი სურათი... რაოდენ შორეული მოგონება იყო, რაოდენ დიდი ხნის ამბავი. მაგრამ ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს კი ამოტივტივდა როგორღაც გონების სიღრმიდან. მომეჩვენა, თითქოს ამ წუთშიაც იმ საჯილდაო ქვასთან ჩავკუჩულიყავი, თითები ყელში ჩამეჭირა და რაც ძალი და ღონე მქონდა, მაღლა ვეწეოდი.

• •

ეს ამბავი 1961 წელს მოხდა. ამ შემთხვევამ მთელ მსოფლიოს გააცნო მიხეილი, როგორც უმამაცესი კლდეზე მცოცავი, „კლდის ვეფხვი". ინგლისის ალპინიზმის ფედერაციის მოწვევით საბჭოთა კავშირიდან ოთხი მთამსელელი ჩავიდა ბრიტანეთში. მასპინძლებმა შეუვალი, ჯერეთ დაუძლეველი კედელი შესთავაზეს სტუმრებს მათი ოსტატობის სადემონსტრაციოდ. საბჭოთა დელეგაციის ყველაზე უფროსმა წევრმა, ცნობილმა მთამსელელმა იოსებ კახიანმა ყველაზე უმცროსს — მიხეილს გადახედა. სხვებიც მიხეილს მიაჩერდნენ. და აი, იგი გაუდგა გზას...

თავიდან კარგად ავიდოდა საქმე. მაგრამ ტრასა თანდათან გართულდა. დამრეცი კედელი უარყოფით დაქანებაში გადაიზარდა. უთოკოდ უმეწყვილოდ უარყოფითი კედლის დაძლევა კი თითქმის წარმოუდგენელია.

რა უნდა ეღონა?

უკან გაბრუნებულიყო?

ქვემოდან ათასი უცხო თვალი მოსჩერებოდა და რას იტყოდნენ ისინი?

რას იტყოდნენ ისინი არა მხოლოდ მიხეილ ხერგიანზე, არამედ მთელს საბჭოთა მესიმაღლეებზე?

რა ეთქვა უკან დაბრუნებულს ამხანაგებისათვის, ხოლო სამშობლოში მისულს მთელი ხალხისათვის, კოლეგებისათვის?

და აი, სწორედ ამ წუთში დაელანდა თვალწინ რუხი ნაცრისფერი, ლოქისყელიანი უცნაური ქვა. თავბრუდამხვევად რიალებდა იგი

სივრცეში და მიხეილს ვერ გაეგო, რას ნიშნავდა ეს ყოველივე. მერე იგი მაცხოვრის ეზოში დავარდა; მაშინ მიხვდა, ეს უცნაური მოჩვენება საჯილდაო ქვა იყო. ბავშვობისდროინდელი, დიდი ხნის მიეიწყებული ლოდი...

• •

— რა უცნაურად დამძიმებულიყო იგი. თითქოს დალეული მომეჩვენა და წონაში კი მოემატებინა. ვეწეოდი, რაც ძალა მქონდა, ვეწეოდი მაღლა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ახლა მე ვეკიდე ზედ საბედისწერო ლოდზე, ლოდი თითქოს კლდეში ჩაეკირა ვილაცას და მე მის გლუვ ზედაპირზე ჩაბლაუჭებული ვიღლარჭნებოდი, ვიწელებოდი, ვეზიდებოდი სხეულს...

ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი. კვლავ გამახსენდნენ დაბლა დარჩენილი ამხანაგები. თვალწინ წარმომიდგა სამშობლო. არ უნდა შემერცხვინა თავი.

„რაც იქნება იქნება-მეთქი" — გავიფიქრე გუნებაში და კიდევ ერთხელ მოვაფათურე ხელი სიპ ზედაპირზე. ალალბედზე აღმოვაჩინე მცირედი ღრეჩო, შუა თითით ჩამოვეკიდე ზედ და ერთი ნაბიჯით წინ წავიწიე... მერე ისევ ფათური, ისევ ძებნა... უეცრად სხეული იმ ბავშვობისდროინდელმა აღტკინებამ მოიცვა და მე საბედისწერო კლდის თავზე აღმოვჩნდი... მას მერე ღრმად მწამს — ცხოვრებაში მართლაც ხდება სასწაულები...

არ ვიცი, რა მოხდა ასეთი. არ ვიცი რა ეშმაკი წამიძღვა იმ უფსკრულებზე, ერთი რამ კი გასაგებად მენიშნა: კლდესთან ჭიდილსა და საჯილდაო ქვასთან ორთაბრძოლას შორის არსებობდა რაღაც უხილავი კავშირი, ღრმა, ერთიმეორის განმაპირობებელი ლოგიკურობა, მიზეზ-შედეგობრივობა. იქაც და აქაც მთელი სიმწვავე ხომ ძირითადად ხელის თითებზე მოდიოდა. მას მერე, როცა მეკითხებიან ხოლმე — ცალ თითზე როგორღა იმაგრებ თავსაო, მაშინათვე საჯილდაო ქვა წარმომიდგება თვალწინ, მერე თეთრი მოხუცის ზღაპრის გმირების — ბეთქილისა და ჩორლას მამაცობა გამახსენდება და კიდევ, ზამთრობით, იმავე მაცხოვარის ეზოში ჩატარებული დიდი ყგვიბის დღესასწაული...

• •

ზღვა მაყურებელი გაოცებული შესცქეროდა საბჭოთა სპორტსმენის ბრწყინვალე ტრიუმფს. კმაყოფილი იყვნენ მიხეილის ამხანაგებიც. მათ საკუთარი ყურით გაიგონეს, როგორ აღმოხდა ვიღაცას მიხეილის მისამართით — შეხედეთ, ნამდვილი „კლდის ვეფხვიაო"!..

„კლდის ვეფხვი" — აიტაცეს მყისვე ჟურნალისტებმა.

„კლდის ვეფხვი" მთელ მსოფლიოს მოედო...

მას მერე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან გამოგზავნილ მოსაწვევ ბარათებსა და წერილებში ადრესატის სახელისა და გვარის გასწერივ ყოველთვის ეწერა ხოლმე მიხეილის მეტსახელი — „კლდის ვეფხვი"...

მთებო, გვაჩუქეთ ფუთები...

ჩვეულებრივი, ადრიანი დილა იდგა. დამსვენებლებმა ის-ის იყო ზღვის სანაპიროზე მოიყარეს თავი „გასაშავებლად", რომ ვიღაცის ხმამაღალი შეძახილი გაისმა:

— შეხედეთ, შეხედეთ... აი საოცრება!..

ხალხი მართლაც უცნაური სანახაობის მოწმე გახდა:

„კრესტოვაია გორას" შვეულ კლდეებზე თოკმობმული ადამიანები დაცოცავდნენ, სიცოცხლე მობეზრებულივით უფსკრულებს ახტებოდნენ თავზე, მაგრამ შიში მალე გაიფანტა — დამსვენებლები დარწმუნდნენ რომ ის უცნაური ადამიანები საკმაოდ თავისუფლად გრძნობდნენ თავს სიპებზე.

ყირიმში, „კრესტოვაია გორას" კალთებზე საკავშირო პროფკავშირების და სპორტსაზოგადოებათა საბჭოების პირველობაზე კლდეზე ცოცვაში ჩვენი ქვეყნის სამოცამდე „კლდის ოსტატი" ღებულობდა მონაწილეობას. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა იალტაში ტრასის გასაცნობად (რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებისათვის) მუხლის გასაშლელად და „ბრჭყალების გასალესად".

აქ იყო შარშანდელი ევრცხლის მედალოსანი კლდეზე ცოცვაში, ალმაათელი სპორტის ოსტატი, ი. კოსმაჩოვი, რომელმაც გასულ წელს სულ რაღაც წამებში წაგო პირველ ადგილზე გამოსულ სპორტის დამსახურებულ ოსტატთან „კლდის ვეფხვად" წოდებულ თბილისელ

მიხეილ ხერგიანთან. წლეულს კოსმაჩოვი შეჯიბრების ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, მით უმეტეს, რომ მისი უპირველესი მეტოქე მიხეილ ხერგიანი არ ჩანდა, — ჯერაც არ დაბრუნებულიყო ტიანშანის ექსპედიციიდან.

„იქნებ ვერც მოასწროს ჩამოსვლა?" — ფიქრობდნენ შეჯიბრების მონაწილეები. მათ, სხვათაშორის, ხელს აძლევდათ მიხეილის ჩამოუსვლელობა. იმ შემთხვევაში, თუ იგი არ მიიღებდა მონაწილეობას ასპარეზობაში, ისინი თითო ადგილით წაიწევდნენ წინ. კოსმაჩოვსაც ჰქონდა თავისი კონკრეტული გეგმები. იგი სწორედ „შურისძიების" გრძნობამ ჩამოიყვანა მთელი კვირით ადრე ყირიმში. მან მშვენივრად იცოდა: წინ გრძელი და ძნელი გზა იყო.

ამიტომაც მთელი ზაფხული გულმოდგინედ ემზადებოდა ამ დღისათვის. ახლა კი ყოველ უთენია გადიოდა ტრასაზე და მონაღირის თვალით ზვერავდა გასასვლელ ბილიკებს.

„რამდენიმე წამი... სულ რამდენიმე წამი... ხომ შეიძლება იმ წამების დაბრუნება?" — ფიქრობდა იგი თავისთვის და გუნებაში საგულდაგულოდ ადგენდა „კრესტოვაია გორას" მიკრორუქას. იყვნენ სხვა „შურისმაძიებელნიც", ყოველი მათგანი ფიქრობდა წამებზე, წამის მეათედებზე, მეასედებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოეტაცათ კლდეებისათვის და რომელთაც მათთვის გამარჯვება უნდა მოეტანათ.

• •

ჯგვიბის დღესასწაული მოსაელის სიუხვის დღესასწაული იყო. იგი სოფელ ლაღაშში იმართებოდა. აბა რომელი ერთი ნაბდისქუდიანი დააკლდებოდა დღეობას?

ჯგვიბს ქალებიც ესწრებოდნენ. — ისინი მაცხოვარის საყდარში საქონლის ნაფერდლებიან კვერებსა და ყველიან ლემზირებს აცხობდნენ და იმით უმასპინძლდებოდნენ მოჰიდავე-მოჯიბრეებს. ისინი კი რამდენი იყვნენ! რამდენი თემი და სოფელიცაა, თითქმის იმდენი რჩეული მებურგიელი[1] იყრიდა თავს.

ყოველ სოფელს თავისი ფალავანი გამოჰყავდა, ყოველი მათგანი ცდილობდა აქ, ლომის ხეობის დედაგულში ხალხის წინაშე სახელი და დიდება მოეპოვებინა. აქაური გოგოებისათვის თავი მოეწონებინა.

---

[1] სვ. მოჰიდავე.

მაგრამ ჭიდაობამდე ნათლისვეტის ბედი უნდა გადამწყდარიყო. ნათლისვეტისა, რომელსაც ლაღამელები იშვიათად ვინმეს გაატანდნენ მაცხოვრის ეზოდან. ისინი მასპინძლები იყვნენ და, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, აქვე უნდა დაენარჩუნებინათ ნათლისვეტი და იმის კონკოფზე საგულდაგულოდ მიჭეჭკილი მოსავლიანობის განმგებელი და მლოცავი ხის ჯვარი. დიდი გამოცდის წინაშე დგებოდა ყოველწლიურად ლაღამი. ეს პარატა სოფელი თითქმის მთელს ზემო სვანეთის ნაკრებ ვაჟკაცთა ლაშქარს უნდა გამკლავებოდა. ამიტომაც იყო, რომ ლაღამელები სამზადისს ჯგვიბის ღაწყებამდე მთელი კვირით ადრე შეუდგებოდნენ ხოლმე. სოფლის ბიჭები თოვლის გუნდებს კუმშავდნენ. ნაცარქექიამ რომ ყველის ნაჭერს დაადინა წვენი, ისე დაუყენებდნენ წყალსა და მერე დაწნულ გოდორში პანტასავით ჩაუძახებდნენ. იმ გოდორს კი ცივ ალაგას, ლაღმის ტვიბის პირას შეინახავდნენ, რათა სველი გუნდები საგულდაგულოდ გაყინულიყო და გამაგრებულიყო. ამ გუნდებით ისინი მრავალრიცხოვან „მომხვდურებს" უნდა გამასპინძლებოდნენ. ჯგვიბის ტაეობაზე დანდობა არ იქნება. ეს ყველამ იცის ჰოდა, ლაღამელები კი სხვაზე გულჩვილნი როდი არიან, რომ მოხვდურთ მოსავლიანობის სვე-ბედი გაატანონ?!

ახალგაზრდების ერთი ნაწილი მარხილით თოვლს ეზიდება მაცხოვარის ეზოში. სხვები კიდევ დაზეკილ-დატკეპნილ მუსს ბარ-ნიჩბებით აკალაპოტებენ, თანაბარ ნაკრებად ანაწილებენ, კუთხეებს უსწორებენ სამშენებლო ლოდებივით და ერთიმეორეზე აწყობენ

კოშკი უნდა ააშენონ ეზოს შუაგულში, კოშკი მაგარი უნდა იყოს, მაგარი და მტკიცედ ნაგები. კოშკს შუაგულში ნაძვის ტოტებშემოსხეპილ, კანგაცლილ, მოგლუვებულ ბოძს—ნათლისვეტს დაუტანენ. ნათლისვეტს თავზე ხის ჯვარს მიაჭედავენ ნათლისვეტი რაც სიპი და გლუვი იქნება, მით უფრო გაუჭირდებათ მომხვდურებს იმაზე აცოცება და ზედ წვერზე მიჭედებული ხის ჯვარის ჩამოხსნა.

მთავარი ნათლისვეტისა და ჭ ასტ,ს ჯვრის დანარჩუნება იყო, იმათ თუ გაიტაცებდნენ სეტ-მესტიელები ლაღამელები სირცხვილნაჭამნი, თავლაფდასხმულნი, შერცხვენილნი დარჩებოდნენ, იმ წელიწადს არც მოსავალი მოუვიდოდათ, ვერც მთად გაშვებული საქონელი აიყრიდა ტანს, ალარაფერს, ალარაფერს არ ექნებოდა გამკვეთი და ბარაქა...

სეტ-მესტიელი, დანჩვალ-ლახთაგელი და სხვა უბნელი გასათხოვარი ქალები მოდიოდნენ ჯგვიბზე. იმათი გამოჩენა რაგინდ სუსხიანი

და ციცი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ყოველისდამწველ ცეცხლს შეუნთებდა. ბრძოლა — პაექრობის ჟინს შეპმატებდა ახალგაზრდობას.

არც დაკუმშულ, საგანგებოდ გაყინულ, გაქვავებულ თოვლის გუნდებს ერიდებოდნენ ისინი ამ დროს, არც ნათლისვეტიდან თავდაყირა მოწყდომასა და მთელის სიმძიმით მიწაზე დახეთქებას... ოღონდ სწორფერისათვის მოეწონებინათ თავი... რა იქნებოდა ისეთი, მათ რომ დააკავებდა. შეაჩერებდა...

შუადღისათვის მთელმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ახლა ელოდებოდნენ მახვშის გამოსვლას, რომელსაც დღეობა უნდა გაეხსნა. კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ხალხისათვის ღვთისაგან დაწესებული დღესასწაულის მნიშვნელობა. ჭიდაობისა და ნათლისვეტცილაობის წმინდა მეგობრული ხასიათი.

„ჯგვიბში კაცის სიკვდილიც რომ იყოს, ღვთის ნებით იქნება, დასახიჩრება და დაშავებაც ღვთის ნებით იქნება. მოსისხლე მტრებიც რომ შეხვდნენ და დაეჭიდონ ერთმანეთს, იმათი პაექრობა მხოლოდღა ამხანაგური დავა იქნება. ხოლო ვინაც ამ ადათ-კანონებს არ დაიცავს, სხვას აწყენს და სხვისაგნ ეწყინება, ჟურზაურს ატეხავს და საერთო მხიარულებას ჩაშლის, სამუდამოდ მოიკვეთება სოფლიდან. — ასეთი იყო, არის და იქნება მუდამ ნება-სურვილი მამაზეციერისა...“ — განაცხადებს მახვში ხმამაღლა.

ლაღამელები მაცხოვრის სალოცავის გვერდით, გატოტვილი ცაცხვის ქვეშ შეკრებილან. ხის ძირში გოდრები მოჩანს, ისინი დაკუმშული, გაყინული თოვლის გუნდებითაა სავსე. ახალგაზრდებს ხელები მკერდზე გადაჯვარედინებიათ, მალე ამ ხელებს დიდი ჯაფა დეატყდებათ და ახლა ასვენებენ — მათ, სწორედ მათ უნდა დაცალონ ეს გოდრები და ასობით თოვლის ტყვია გაგზავნონ „მტრის“ მიმართულებით. ვინც მისნური ხელით გამოირჩევა და ვისაც სხვაზე კარგად უჭრის თვალი, ის ისარგებლებს ამ გუნდებით. მომჭირნეობაა საჭირო, თორემ ისე დასახარჯი „ტყვია-წამალი“ სად არი! დანარჩენებმა სახელდახელოდ დაკუმშონ და ალალბედზე გაისროლონ იქნება ვინმეს შავი დღე აყარონ, ვინ რა იცის...

სტუმრები გოდრებთან თავმოყრილ ახალგაზრდებს მალულად, შუშტრის თვალით ზვერავენ.

და აი, სოფლის, მახვში ამ თოვლივით თმაგათეთრებული, ამ ცასავით ლურჯთვალა, სვანური ნაბდისქუდიანი მოხუცი მხიარულებისაკენ მოუწოდებს ხალხს.

წყალსაგუბარიდან ერთბაშად გადმომსკდარი ღვართქაფივით იხუვლებს ხალხის ყიჟინა-ჩოჩქოლი. ნაბდისქუდიანთა ლაშქარი ზღვასავით აბობოქრდება, ნაპირებს მიეხლ-მოეხლება. მდუღარე ორკილოლივით თუხთუხებს მაცხოვარის ეზო. უფროსები ახალგაზრდებს აგულიანებენ, უძახიან, თავიანთ ჯეელობას ახსენებენ.

წვერგაფშეკილმა, ვიღაც მუჯრიანმა მოხუცმა, ხალხის შუაგულში რომ იდგა, იმხელაზე აღიმაღლა ხმა, მოჩოჩქოლე ხალხი წამით გაყუჩდა და იმისაკენ შეტრიალდა:

— ამ გულღრჯო ლაღამელებს თუ დაეურჩინეთ ქრისტეს ჯვარი, ჩვენს ყანა-სათიბებს ხვართქლა დაერევა, შემოდგომაზე დასალეწდასაბინავებელი აღარაფერი გვექნება, ჩვენი დარბაზები და ლაფაროები ჩალა-თივისაგან დაცარიელდება, ხოლო ბეღლები — ქერფეტვისა და სიმინდისაგან საქონელსაც გაუჭირდება და ადამიანსაც... — ამბობდა მთელის გულმოდგინებითა და რიხით გახელებული მოხუცი. მეტი დამაჯერებლობა და სიმტკიცე რომ მიეცა თავისი ნათქვამისათვის, შიგა და შიგ ულვაშებზე გაისვამ-გამოისვამდა ხოლმე თითებსა და მარჯვენა ხელში ჩაბღუჯულ მუვრას მუქარით და ქადილით დაარტყამდა მიწას.

მაგრამ ახალგაზრდობას, გინგლობას გადაცილებულ ყმაწვილკაცობას რაღა ცეცხლის შეკეთება და შეცაცხანება სჭირდებოდა. ეკლესიის წინ გამწკრივებული, მოლოდინისაგან ფრესკებივით გასუსული გოგონების ერთი შემოხედვაც კი საკმარისი იყო, ბრძოლის ქინს დაეზაფრა მათი სხეული...

მალე ვიღაც თავგამოდებული ლეხთაგელი კოშკის კედელს შეახტა. ცაცხვის ძირიდან მჭექარ ხმაზე შეუყიჟინეს, მალე ამ ყიჟინას „მეგიზნეთა“ გამოგზავნილი გუნდების კორიანტელი მოჰყვა.

მურყვამის კედელი საგულდაგულოდ იყო ჩამოსწორებული და ჩამოთლილი ლახთაგელმა ხელჩასავლები ვეღარსად მოუძებნა, უაზრო ფხუკულაობას მოჰყვა. ამასობაში კი თოვლის სეტყვამ თავ-პირი დაულილავა. მაგრამ იგი მაინც არ იხევდა უკან. გაბრუებული და დაბუჟებული მურყვამის ირგვლივ დაბარგანაობდა, კვლავ და კვლავ წაეპოტინებოდა, ხელჩასავლებ ადგილს დაუძებნიდა კოშკს, მაგრამ ამაოდ... ბოლოს ვიღაცამ მომხვთურთაგან იაზრა და აბობოქრებულნი, თავპირდასისხლიანებულნი ლახთაგელი ძალით გამოათრია „ბრძოლის ველიდან“...

მაგრამ ჭიდილი წუთითაც არ შემწყდარა. ახლა სპარდიშელი გა-

ვარდა წინ, მას უკან რამდენიმე ახალგაზრდა მიჰყვა, მათ მსწრაფლ მხრებზე შეისვეს სპარდიშელი და კოშკის ქონგურზე შეისროლეს თვალისუსწრაფესად. ლაღამელები, ცოტა არ იყოს, დაშინდნენ სტუმართა მოულოდნელ გამოხდომაზე და მეტის გულმოდგინებით დაფაცურდნენ.

სპარდიშელი ჭკვიანი და ეშმაკი ჩანდა, იგი შეეცადა ზურგით დამდგარიყო ცაცხვისაკენ, საიდანაც ლაღამელები გუნდებს ისროდნენ და ჰყიჟინებდნენ, მაგრამ არც კეფასა და ზურგში იყო სასიამოვნო დაკუმშული თოვლის რახუნი. აი, ბოძს ჩაეჭიდა კიდეც სპარდიშელი, ხელფეხით ხვართქლასავით ჩაეწნა ნათლისვეტს, ჭიაყელასაკით დაგრძელდა ტანში, რათა ერთი გოჯით მაინც ამაღლებულიყო, მიახლოვებოდა სასუკეარ მიზანს, მაგრამ არ სწყალობდა ბედი. ერთმა მისნურად ნასროლმა „ტყვიამ" წითლად შეუღება ცხვირ-პირი. დარეტიანებულსა და გაოგნებულს ხელები დაუსხლტა და იმ სიმაღლიდან ჯერ მურყვამის ქონგურზე მოადინა ბრაგვანი, მერე კი წვენგამჯდარ პანტასავით დაასკდა მიწას... დამარცხებული, უგონოდ გაშხლართული მოიერიშე თავისიანებმა გაათრიეს მოედნიდან.

საყურის გასწვრივ გამწკრივებულ გოგონებიდან ვიღაცას კივილი აიმოხდა. ცნობისმოყვარე ხალხი იქით შეტრიალდა, მაგრამ გოგოს უნებლიედ გამეღავნებული ხვაშიადისა თუ შერცხვა სანახაობით გატაცებულ თანატოლებს ამოეფარა.

— თოვლით დაუზილეთ პირ-სახე, მაგრად დაუზილეთ... — მედიდურად ბრძანა მუჯრიანმა მოხუცმა — თოვლით დაშავებულს თოვლივე მოარჩენსო.

— რათ უნდა თოვლი, გოგოს კვნესა ხომ გაიგონა და ისიც ეყოფა გამოსარჩებლად, ხომ ნახეთ, რა გულისდამწველად შეჰკივლა იმ ქალბნელმა... — მიუბრუნდა წვერგაფშეკილ მოხუცს ნაბდისქუდიანი, ლოყანაიარევი ვაჟკაცი გაბზარული ხმით.

აყლაყის სიტყვაზე ახლომდგომებმა გაიცინეს. მერე, აზრს რომ ჩახვდნენ, ღრმად ჩაფიქრდნენ და თავადაც შეშურდათ დამარცხებული სპარდიშელისა, ასე რომ გამოესარჩლა თავისი შეყვარებული. მალე კი რამდენიმე მათგანი მოედანზე გავიდა.

— ხა... ხა... ხა... — როყროყებდა მათი შემხედვარე სახენაიარევი.

— რამდენი შესძლებია ქალის ერთ გულიან ამოკვნესასა, უცოლოებს ბრძოლის ცეცხლი შეუნთო, თავგამოდების წადილი გაუღვიძა, ხა... ხა... ხა...

მაგრამ ვერც მათ ააღწიეს ბოლომდე. მერე სხვები გაემართნენ საბრძოლველად. ვიღაც ყურანას ერთი აჩოჩებალა დარჩა ნათლისვეტის თავამდე, მაგრამ გუნდებით გაბრუებულს ხელ-ფეხი აუსხლტა ბოძზე და კოშკის კედელზეღა შეიკავა თავი, თორემ ადვილად შეიძლებოდა იმ სიმაღლიდან ჩამორეხვილს თავ-კისერი მოემტვრია. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა, რამდენჯერმე ახტა-დახტა, კვლავ შეებღატა ნათლისვეტს, მაგრამ მაინც ვერას გახდა, და მხოლოდ ის მოახერხა, რომ მურყვამს ქონგურები ჩამოუნგრია—აი, ესეც შენაო! მაგრამ არ გაგრძელებულა დიდხანს მისი ბუნაობა-პარპაში — ღაღამელთა ნასროლი გუნდა შიშისა და შურისძიებისაგან აბარხარებულსა და გახელებულს ყველასდა გასაკვირვებლად დაფჩენილ პირში ვაეკვედა და ღამის თვალისუსწრაფესად მოგუდა.

კოშკიდან გადმოეშვა და თავით დაენარცხა მიწაზე. კარგა ხანს იწვა ასე გაუნძრეველად, მერე კი ფართხალი დაიწყო. თავწაცლილი ქათამივით ცახცახებდა. როცა გულღმა ამოატრიალეს, პირიდან სისხლიანი, კერატის ყვერივით წითელი გუნდა ამოაცალეს, იგი კვლავ გონს მოეგო, ერთი გაიწ-გამოიწია და სისხლის პურჭყებით კვლავ კოშკისაკენ გაიწია... მაგრამ უფროსები გადაუდგნენ წინ...

* *

დრო კი გადიოდა. თანდათან ფართოვდებოდა, იზრდებოდა კარვების ქალაქი. მოდიოდნენ მამაცთა შორის უმამაცესი ადამიანები. „კრესტოვაია გორა“ კალთებზე აბლაბუდასავით დაიქსელა მთამსვლელთა თოკების ხლართი.

* *

ისევ ბურუსით მოცული რჩებოდა მთავარი საკითხი: გამოვიდოდა თუ არა ამ შეჯიბრებაში ხერგიანი, მოასწრებდა თუ ვერა ტიან-შანიდან დაბრუნებას იგი?

* *

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ორჯონიკიძელმა სპორტის ოსტატმა, ალპურ ბანაკ „ჯაილიკის“ დირექტორმა ვ. ზოლოტარიოვმა თანამსაჯებს ტრასის დაგეგმვა დაავალა. გაჩაღდა სამზადისი. ბრძოლის დაწყებამდე ორიოდე დღეღა რჩებოდა.

■ ■

— მაგრამ სად არის ხერგიანი? — კითხულობდა ხალხი, კითხულობდნენ მონაწილენი.

მთავარი მსაჯი მხრებს იჩეჩავდა. მიხეილი არ ჩანდა. იქნებ ხელი ჩაიქნია? შარშან წამებითღა გაასწრო კოსმაჩოვს, მხოლოდ წამებით, როცა მთელი ათი წლის მანძილზე კლდის ერთპიროვნულ „მეუფედ“ ითვლებოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერც კი მიუახლოვდა ვინმე მის მაჩვენებლებს. ამიტომაც კოსმაჩოვის შარშანდელი „წარმატების“ ამბავი სენსაციად იქცა. და ახლა ფიქრობდნენ: „იქნებ მართლაც ხელი ჩაიქნია მიხეილმა? მჯობთა მჯობი არ დაილევაო, მასაც ხომ უნდა აჯობოს ვინმემ?“

• •

საკმაო დრო გასულიყო.

ჰაწვალისა და ირღულდის ფერდობებიდან საღამოსეული ბინდი მოიპარებოდა. ბანგურიანის თოვლიანი მწვერვალი სვანეთის ქედზე ჩაყურყუმალავებულ მზის სხივებს წითლად შეერუქღა. მთაში მალე ღამდებ ოდა, ნათლისვეტი კი ხელუხლებელი იდგა, ჯვარიც მიუწვდომელი რჩებოდა მოცილეთათვის. სტუმრები Ძღელვარებასა და შიშს მოეცვა — ვერ უნდა წაეგლიჯათ მოსაელიანობის ყისმათი და სვე-ბედი? როგორ წარმსდგარიყვნენ მკაცრი სამსჯავროს — მესტიის გაღმა-გამოღმა სოფლებში მომლოდინე ხალხის, შინაურთა თუ გარეშეთა წინაშე? ლაღამელებს კი თავიანთი მიზანი ჰქონდათ. აქ შემოკრებილთათვის თავიანთი ვაჟკაცობა, სიძლიერე და მოხერხებულობა დაენახვებინათ.

ცაცხვის ძირში, მეგუნდავებთან სოფლის უფროსებმა ᲝᲝიყარეს თავი. მათ ამ მცირედი შესვენებით ისარგებლეს და შინაურული ბჭობა-საუბარი გამართეს. სოფლის უხუცესმა, მაცხოვარს შებერებულმა გვარლიანების საძმოს უფროსმა, მარჯვე ახალგაზრდებს უხმო თავისთან და გამომცდელად აათვალიერ-ჩაათვალიერა სათითაოდ.

— ჩვენ გადაეწყვიტეთ საკუთარი კაცი გავაგზავნოთ ქრისტეს ჯვარის ჩამოსახსნელად — საიდუმლოდ გადაულაპარაკა შემოკრებილთ — მაგრამ რახან იგი ჩვენიანია, კი არ ვუშეღავათებთ და დავინდობთ, პირიქით. შევეცდებით მომხვდურებზე შავი დღე ვაყაროთ, რათა ხალხის თვალში მართალნი და მიუდგომელნი გამოვჩნდეთ. ამავე დროს კი პატიოსან ბრძოლაში ყველას დავანახოთ ჩვენი ვაჟკაცო-

ბა და გამბედაობა. ვისაც თავის იმედი აქვს, თქვას... — მოსჭრა უცბად სოფლის მახვშიმ და გამომცდელად მიაჩერდა ჩაფიქრებულ უმაწვილკაცობას.

მკლავდაკაპიწებულმა მეგუნდავეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვისაც ბღოტვა ემარჯვება, წინ გამოდგეს... ისე არაფერი გამოვა, ნათლისვეტი ნამეტურ გლუვი გამოგვიეიდა... — განმარტა შუბლშეჭმუხვნით მოხუცმა — ვისაც ცოცვა ძალუძს, ნახევრად გამარჯვებულია...

— მინაანი... — ერთბაშად წამოიძახეს, — მინაანი თუ წავა...

მიხეილი გოდრებს ჰყარაულობდა. სხვებთან შედარებით ახალბედასა და გამოუცდელს მხოლოდ გუნდების დარაჯობა მიანდეს. იგიც გულმოდგინედ შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, ხელგაუწაფავად, ბრუციანებსა და ელამებს ახლოს არ აკარებდა გოდორს, — თავად დაკუმშეთ, რამდენიც გინდათ ესროლეთ, გოდრებთან, არაფერი გესაქმებათო. — ეუბნებოდა მათ მიხეილი და თავიდან იშორებდა.

ახლა კი რაღაზე დასჭირდათ იგი? — ვეღარაფერი გაეგო.

ამხანაგებმა სოფლის მახვშისთან მიიყვანეს იგი.

— ამ სვეტზე ახვალ? — ჯიქურ შეეკითხა მოხუცი გვარლიანი. — თუ იმედი არა გაქვს, ახლავე გვითხარი.

მინაანმა ალმაცერად გაჰხედა ნათლისვეტსა და თანხმობის ნიშნად თავი დააკანტურა:

— ვეცდები, ხოშა ბაბა...

• •

1951 წლის ზაფხული სამუდამოდ დაამახსოვრდა მიხეილს.

იგი უკვე ინსტრუქტორთა სკოლის მსმენელი იყო. ამდენი ხნის ნაოცნებარს თითქოს ფრთები შეესხაო, კარგი სიზმარივით აუხდა. არც ენის უცოდინარობა აღმოჩნდა მაინცდამაინც დიდად ხელისშემშლელი მეცადინეობაში. ყოველივე, რასაც აქ გადასცემდნენ მოსწავლეებს, ერთხელ უკვე გაგონილი და ნასწავლი ჰქონდა — ზოგი მამამისისაგან. ზოგიც ბექნუს, ჰიჰიკოსა და მაქსიმესაგან. განსხვავება ის იყო, რომ ახლა სხვა ადამიანები, უცხო პედაგოგები თვალსაჩინოების შეთოდით ასწავლიდნენ ყოველივეს. მიხეილის გონებაში ხდებოდა ადრე გაგონილისა და ნანახის კიდევ ერთხელ განმეორება და განმტკიცება.

განსაკუთრებით ყულფების ნაირსახეობამ განაცვიფრა მიხეილი.

სვანეთში ორნაირი ყულფის განასკვაღა იცოდა, იმათი ცოდნა აუ-ცილებელი იყო თივისა თუ შეშის მოზიდვისას და მთამსვლელურ ექს-პედიციაში, მაგრამ საკმარისი როდი იყო თურმე. თანაც სვანეთში ნასწავლი ყულფები ძირითადად კანაფის ბაწარზე იყო გამოსადეგი, ბანაკში დაუფლებული ყულფები კი — კაპრონის სამაშველო თოკზე. ყულფების განასკვის ნიჭზე დიდად იყო დამოკიდებული უარყოფითი კედლების წარმატებითი დაპყრობა-დამორჩილება. დიდი სიმაღლე-ებიდან თვალისუსწრაფესად, უსაფრთხოოდ დაშვება...

ბანაკში ახალბედა მთამსვლელები სწავლობდნენ აგრეთვე მთების ხასიათსა" და „გუნება-განწყობილებას", თოვლ-მყინვართა ხუშტუ-რებს", იმუშავებდნენ სინოპტიკოსის ალღოს.

ადრე თუ ბუნების მოვლენები შეგრძნებების სახითღა აღიქმე-ბოდნენ მიხეილის შემეცნებაში, ახლა გუმანით ნავარაუდევ შედეგს მეცნიერული, ლოგიკური ახსნა ეძებნებოდა.

სვანი ჭაღაროსანი მოხუცები ამბობდნენ ხოლმე — „საღამოხანს ჩამავალი მზის სხივებზე, თეთრი ღრუბლის ფთილები ვარდისფრად თუ შეირუჟღებიან, ეს ხვალინდელი კარგი ამინდის მაჩვენებელიაო. ხოლო თეთნულდმა თუ ნისლის საბლარდნელი შემოხვია — წვიმა-ჭარს ელოდეო...

„იმათი ნათქვამი მეტწილად მართლდებოდა, თითქმის არავის ახსოვს, მოხუცები თავიანთ ვარაუდში გამტყუნებულიყვნენ ხალხური, მამა-პაპიდან მომდინარე ამინდის გამოცნობისა და წინასწარმეტყვე-ლების ნიჭი და უნარი საოცრად განვითარებულიყო მთათა ქვეყანა-ში, მაგრამ რომ გეკითხათ მათთვის — მაინც რატომ უნდა გაავდარ-დეს, ან გამოიداროს თუ თეთნულდს ღრუბელი შემოეჯარა, ან თუ ჩამავალ მზეზე ღრუბლის ფთილები წითლად შეირუჟღაო, ვერაფერს გეტყოდნენ. მიზეზ-შედეგობრივი ახსნა ამ მოვლენებისა მათ არ შე-ეძლოთ. და ალბათ არ იყო მათთვის ეს აუცილებელი.

მაგრამ მთამსვლელისათვის ყოველივე ამის ცოდნას განსაკუთრე-ბული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვა რომ არაფერი, უბრალოდ იმი-ტომაც, რომ მისი სამოქმედო არე ფართო მასშტაბებს მოიცავდა, ხოლო კავკასიონის მთიანეთისა და ტიანშანის ამინდის ადგილობრივი, წინდაწინ გამოსაცნობი ნიშნები არაფრითაც არ ჰგავდა ერთმანეთს, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ერთნაირი.

ერთი სიტყვით, პროგნოზირების ალღო და უნარი ისევე საჭირო იყო მთამსვლელთათვის, როგორც მარდი მუხლები, შეუდრეკელი ნე-ბისყოფა და ყოვლისაღმქმელი მზერა. რადგანაც სწორედ უამინდობა

და კიდევ უამინდობა იყო უპირველესი, გავეშებული და მძვინვარე მტერი ცისიერ ადამიანთათვის.

ალბათ ასობით გამოჩენილ მთამსვლელთა და მით უფრო დამწყებ ახალბედა მესიმაღლეთა დალუპვის მიზეზი სწორედ უამინდობა იყო. ძნელხილვადობის, ქარბორბალასა და დიდთოვლიანობის გამო, რამდენი, თითქმის სამშვიდობოზე გასული ექსპედიცია ჩარჩენილა გზაში, გამხდარა სიცივისა და შიმშილის მსხვერპლი...

სვანი მონადირეები, ამ დროს პირჯვარს ისახავდნენ და ამინდის მეუფეს, ელიას ევედრებოდნენ ხოლმე შეწევნას. მერე კი დაკრავდნენ ფეხსა და ანდეთი გაუდგებოდნენ გზას... ამ დროს ადვილი შესაძლებელი იყო, გზას ასცდენოდნენ და უფსკრულში გადაჩეხილიყვნენ, მაგრამ გამოდარების მოლოდინსა და ყინულის ქანდაკებად გადაქცევას ერჩიათ თუნდაც ისეთი უეცარი აღსასრული, როგორიც უფსკერო ნაპრალში გადაჩეხვაა...

ზამთრობით, შობასა და უძღების კვირა დღეებში, როცა ცივდება და ენგურის ხეობაში ქარბორბალა დატრიალდება, ხშირი იყო ხოლმე მგზავრთა მხარის შეცვლა, ნამქერში ჩაჩუმქრვა და სხვა უბედური შემთხვევები. წლის ამ პერიოდში მეგვიანე მგზავრის სიკვდილს ჩვეულებრივად ავ სულებს — შაშიშებს მიაწერდნენ ხოლმე. მშობლები აკვნიდანვე უნერგავდნენ ბავშვებს შაშიშებისადმი მოწიწებისა და შიშის გრძნობას. ისინი გრძელ ლოცვას უკითხავდნენ პატარებს შაშიშების მზაკვრობაზე:

„დაბდერში შაშიშები დარიალებენ,
მცხეთელანნი
თავთ ზეჩი ჩაჭოუფხატავთო,
რთველისანი,
ბაგეთ წყირები გაურკვიათო,
კვარისანი,
გარეთ ნუ გახვალ, შვილოსაო...
არიან უმადურის თვალისანი,
ეშმაკნი მეუფენი, ღამისანი,
სიკინკილაის გვარისანი —
გარეთ ნუ გახვალ, შვილოსაო...
ფეხთ ჯაბრალები, ტყაეისანი,
კბილ-ღოჯი, სპალოს ძელისანი
გარეთ ნუ გახვალ, შვილოსაო..
შუბლი — ღაროსანი,
კისერი — საროსანი,

ღაწვები — ჯვალოსანი —
გარეთ ნუ გახვალ, შვილოსაო...
ჭილობს დაგიგებენ გორაზედა,
გეტყვიან ოსესა და დოსესაო.
ანგელოზსა და მსტოვარზედა
აქებენ სტუმარს — მომსვლელსაო.
მაწიერ თივასა და მზეზედა,
საიმქვეყნოო გზებზედაო,
ალაღებსა და მთებზედა
ვოყვარესა და მტერზედაო...
დააწკრიალებენ ხმასაო
არ მოგაცლიან თვალსაო,
წარგტყვევენ გულისთქმასაო
სულს შთაბერავენ სხვასაო...
ტყეებს გადაიცლით უვალსა,
კბებს გადაიცლით ულრანსა
ფამელიანს და მუხნარსა.
ხეს მიადგებით, წყალსაო
ხედავ. წყურვილი გაცლაესაო
სხვები იმ ნაპირს გარდაცლენ
შენ მუხლთლად იგრძნობ თავსაო.
...ფეხი ქარაფზე დაცდება —
ვერრას შეასწრებ თვალსაო...
დაბდერში შაშიშები დარიალებენ,
მძიეოსანნი
თაგთ ზეჩი ჩამოეფსატავთო
რვალისანი,
ბაგეთ წკირები გაურკვიათო,
ქვარისანი,
კბილ-ღოჯი — სპილოს ძვალისანი,
ფეხთ-ჯაპრალები — ტყავისანი,
ეშმანი — მეუფენი ღამისანი,
სიკინჭილაის გვარისანი.
შებლი-ღაროსანი,
ღაწვები-ჯვალოსანი,
კისერი — სარისანი —
გარეთ — ნუ გახვალ, შვილოსაო...“

მიხეილმა ზეპირად იცოდა ძველისძველი თქმულებები შაშიშებზე, ტყისკაცებსა და ჰალებზე. შაშიშები თუ თოვლიან მინდვრებში დაძრწოდნენ საკბილოს მოლოდინში და ლაქლაქ-ტარტალით აბრუებდნენ ადამიანს, გაიტაცებდნენ, გაიტყუებდნენ და სადმე ხევსა და ფლატეზე გადაჩეხავდნენ, ტყისკაცები თავიანთი ნაფურთხით თარსავდნენ

მგზავრთა ბილიკებს, ხოლო ჰალები მაღალ მთებსა და კლდეებზე დასაფრებულიყვნენ; ქარაფებზე შერჩენილ მგზავრებს ბნედად მოევლინებოდნენ, დაარტიანებდნენ, ფეხს აუცდენდნენ და უფსკრულებს შესწირავდნენ ზვარაკად. მეტადრე ბავშვებს ერჩოდნენ რატომღაც ჰალები, აკი პატარაობისას სულ იმათით აშინებდნენ მიხეილს.

მონადირეებიდან თითქ'ის ბევრს სჯეროდა ავსულების არსებობისა. ზოგიერთ მათგანს კი საკუთარი თვალით ჰყავდა ნანახი დევი, ჯაგრით შემოსილი დედაშობილა არსება. მათი თქმით დევები ისეთი უშიშარნი იყვნენ, ტყეებიდან სოფლის ორღობეებში ჩამოდიოდნენ და ვისი ჯინიც ჰქონდათ, იმათ შეეფეთებოდნენ მაინცდამაინც. შეეფეთებოდნენ და იცოცხლე, შიშისაგან ენას ჩაუგდებდნენ კიდეც.

სოფელში დღესაც იყვნენ ავსულთან უეცარი შეხვედრის შიშით დამუნჯებული და ენაჩავარდნილი ადამიანები.

'ის კი არა, ხანდახან დევები ბავშვებსაც იტაცებდნენ ხოლმე. ერთხელ დღისით-მზისით მოუტაცნია ბავშვი. მთელი სოფელი შეჩოჩქოლებულა, მაგრამ გაკიდებას ვეღარავინ ბედავდა თურმე. ბოლოს მარგიანების უშიშარ ვაჟკაცს გამოუდვია თავი — ჯანდაბას ჩემი თავი, რაც იქნება, იქნება, ოღონდ ძეს კაცისას იმ ტროყაფეხიანებს ვეღარ გავატანო, გასდევნებია, მეფთქულაშის გადასახვეეთან დასწევია და ბავშვი დაუტოვებინებია.

დევს დაუწყევლია ის ადგილი. დღესაც ყველა ასე ეძახის იმ ადგილს — დევის დანაწყევარიო.

დევების შიში მართლაც ხვართქლასავით მოსდებოდა მთელს ლომის ხეობას. დევის სახელის გაგონება შიშის ჟრუანტელად უვლიდა ტანში ყველას. სოფლის რჩეული ადამიანები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაცხოველებული შიშის გრძნობა დაეთრგუნათ როგორმე მოსახლეობაში. და აი, ვიღაც ჭკვიანმა კაცმა, ბოლო რომ მოეღო დევების პარპაშისათვის და იმათი სახსენებელი მოესპო ერთხელ და სამუდამოდ, ღამაზი მითი შეთხზა რომელიღაც შორეულ სოფელში მაცხოვრებელი პაიდანშერების ამოწყდომის თაობაზე.

— ამა და ამ სოფელში — უამბობდა იგი ხალხს — ცხოვრობდნენ საქვეყნოდ ცნობილი პაიდანები (იგი დამაჯერებლობისათვის იმათი სამოსახლოს ნანგრევებსაც უთითებდა ხალხს). ერთხელ მათს ქორა მახვშის საფქვავი წაუღია წისქვილში. ღამე ყოფილა. კვარი აუნთია, ხალთა 'ჩამოუგდია მხრიდან და ის იყო ხეიმრში უნდა გადაეპირქვა-

ვებინა, რომ ტროყაფეხება, ბანჯგვლიანი დევი გამოცხადებია. იგი ახლოს მისულა და საფქვავის ჩაყრაში შეშველებია.

პაიდანი არ დაბნეულა. მხრიდან პუსარი[1] ჩამოუფერთხავს, დევსაც ჩამოუფერთხავს...

პაიდანი ფქვილის ასახვეტად დახრილა, დევსაც მიუბაძავს მისთვის...

ახლა ჭკუა და მოხერხება იყო საჭირო. აბა ისე ავსულთან რას გახდებოდა ძეხორციელი? პაიდანს არც ჭკუა ჭკლებია და არც ეშმაკობა, ანთებული კვარის ერთი ნაჩეხი აუღია და ფეხებთან მიუტანია. დევსაც მსწრაფლ დაუტაცნია მოგუზგუზე ნაჩეხი და თავისი ბანჯგვლიანი ფეხებისთვის მიუნათებია. ცეცხლის ალი უცბად მოსდებია გაბრიყვებულ ავსულს, მთელს ტანზე წაჰკიდებია. დევი წყევლა-კრულვით გავარდნილა გზაზე და რეტდასხმული ხიდიდან ენგურში გადაშვებულა.

ის ყოფილა უკანასკნელი დევი, მას მერე მათი სახსენებელი გამწყდარა ქვეყანაზე, ისევე როგორც მის მიერ დაწყევლილი პაიდანშებისა... ბაბუა ანტონს კი არ სჯეროდა დევების. არც ავსულების არსებობისა სჯეროდა.

— ოღონდ, — ეუბნებოდა იგი მიხეილს — ხალხს, ეტყობა, სჭირდებოდა ისინი და იმიტომ გამოიგონა, ყოველი თქმულება და ძველი ამბავი ხალხის კეთილდღეობისათვისაა შეთხზული, თორემ ისე, უმალვე დავიწყებას მიეცემოდა. ადამიანები უგუნურებასა და სისულელეს, ყოველგვარ უსარგებლოსა და ზედმეტს წყალს ატანენ მოუსავლეთისაკენ... ისევე, როგორც ავადმყოფობას ებრძვიან ისინი, ებრძვიან და თავიდან იშორებენ.

მხოლოდ დალებისა სჯეროდა თეთრ მოხუცს:

— დალები მართლა არსებობენო — უმტკიცებდა იგი მიხეილს — დალები ამ ბოლო დროს მავანმა და მავანმა ხალხმა დააფრთხო, შეაშფოთა, მაგრამ ისინი აუცილებლად უნდა შემოვირიგოთო, ეს გარდაუვალია და რაც მალე გავაკეთებთ, მით უკეთესი ჩვენთვისო... შენ უნდა შემოირიგო ისინიო...

• •

ყოველივე ამას გრძნობდა თვითონ მიხეილიც. მისი აზრით, შარშან, პირველი ადგილი მხოლოდ უზადო ტექნიკისა და სანახაობისათვის მიაკუთვნეს მსაჯებმა.

---

[1] სვ. იფქლი.

„რა იქნა სისწრაფე?“

„რა მოუვიდათ ლეხზირისა და დალაყორას ქარაფებზე ადგმულ ნაბიჯებს?..“

„ხოლო სვანი მონადირეები ასი წლისანი დაძუნძულებდნენ ჯიხვების კვალდაკვალ... სვანი მონადირეები, ჩვენი წინაპრები...“

ორთვიანი, შორეული ექსპედიციიდან დაბრუნებული „კლდის ვეფხვი“ სწორედ ამ ეპვებით გაუდგა გზას ყირიმისაკენ. ასეთი გრძელვადიანი ექსპედიციები სხეულს ადუნებს, სიზანტეს აჩვევს. კლდეზე ცოცვას კი საგანგებო მომზადება-ვარჯიში სჭირდებოდა. მხოლოდ სიმსუბუქის გრძნობა როდი ნიშნავდა კარგ სპორტულ ფორმას. მიუხედავად ამისა, იგი მიდიოდა იმედით, გამარჯვების რწმენით.

მაგრამ მოძალებული ეპვი საკუთარი შესაძლებლობისადმი უნდობლობას იწვევდა, სულიერ წონასწორობასა და სიმშვიდეს უფრთხობდა. არა, არ უნდა დარღვეულიყო სულიერი მყუდროება...

• •

— პაპავ, შენ გინახავს დალი? — შეეკითხა ერთ დღეს ანტონს მიხეილმა.

— დალი განა ძეხორციელია. იგი მოჩვენებაა, დედიშობილაა, რძისფერია და საკუთარ თმაშია ჩათბუნებული. დალს იმდენი თმა აქვს თავზე, რამდენი ნადირიც დაიარება. რამდენი ჯიხვიც დააკლდება არვეს, იმდენი ღერი სცვივა ღმერთქალს. ამ ბოლო დროს ერთობ შეათხელეს ჯოგები და ღმერთქალებიც დამელოტდნენ. წარმოდგენილი მაქვს რანაირი შესახედავნი იქნებიან დამელოტებული ფერიები. ამას თავი გაანებე, განა სიცივე კარგ დღეს დააყრიდათ? უთმოდ, ოქროსფერი ტანთსამოსელის გარეშე რაღა ეშველებათ, როგორ გაიტანენ თავს ყინულეთში?

ამასწინათ იყო, ნათლად გავიგონე, როგორ მომძახოდა დალი. ცაიდერის ტყეებში დალები როდის ჩამოდიოდნენ, მაგრამ ეტყობა სიცივემ თუ ჩამოაგდო. იცი, რა საწყალობლად მომძახოდა? — თეთრო მოხუცო, შთააგონე შენს მინაანს, იმ ონავარ ბიჭს, მოგვეხოს და გვიპატრონოსო...

— ბეთქილმა რაღა დაუშავა, კლდეზე რო გადაჩეხა? რას ერჩოდა უპირველეს ვაჟკაცსა და მონადირეს? აკი მითხარი, მამაცი მონა-

დირეები დალებს კი არ ეჯავრებათო, უყვართ კიდეცაო. მაშ რაღას ერჩოდა ბეთქილს?

— უყვარს, სწორია. ხომ იცი ერთი საფერხულო სიმღერა — „დალა კოჯას ხელღვაჟალე“, მამაშენი რომ მღერის და ცეკვავს კიდეც. იქ გადმოცემულია როგორ გადაარჩინა მშობიარე დალი მონადირემ მოსალოდნელი ხიფათისაგან. ამისათვის ქალღმერთმა გულუხვად დაასაჩუქრა კიდეც თავისი მხსნელი — ყოველ ნადირობაზე ხარ-ჯიხვს დაჰპირდა. მეტი რაღა უნდოდა იმ დალოცვილს? ყოველ წასვლაზე ხარ-ჯიხვს რომ დათოფავს კაცი, საკმარისი არ არის? თუ შესძელი და შინ მოიტანე იმისი ხორცი ხო მთელი კვირეები ეყოფა ოჯახსა?

ჰო და მეტი რაღა უნდოდა?

სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნებოდნენ ჯიხვის ხორცით, ქონით და ტყავით, საყანწეები თავზე საყარი ექნებოდა, მაგრამ მონადირემ არ იკმარა ღვთისაგან ბოძებული, რამდენჯერაც წავიდა სულ ბათქაბუთქი დაუყენა რქაბრტყელებს. ჩორლა ხომ გახსოვს, იმისფერა ყოფილა იგიც, დალს კი რაღა ექნა ამ დროს? როგორ მოქცეულიყო?

შენ რომ ყოფილიყავ დალი, რას გააკეთებდი?

ვიღაც პირსისხლიანი კაცი შემოიჭრა შენს საუფლოში და სჭირდება თუ არ სჭირდება, ანადგურებს და სპობს ირგვლივ ყოველივეს. ამ მწირ ქედებს კი რანაირად შეუძლიათ დათოფილი ათობით, ასობით ნადირის მომრავლება-გამოზრდა? არ შეუძლიათ და აი, თანდათან შიშვლდებიან კავკასიონის ჭიუხები, შიშვლდებიან ყოველთა სულიერთაგან... ხოლო დალებს კი გული უწუხთ და დარდისაგან თმები სცვივათ...

ბოლოს, რომ არ მოვიდა ჭკუაზე გახელებული მონადირე. ადგნენ და ჯეროვნად დასაჯეს. მე მგონი, ამ სიმღერაში ის არის ნათქვამი, რომ ადამიანი გულხარბი და გაუმაძღარი, სიტყვის გამტეხი და უპირო არ უნდა იყოს. ჩვენი დიდი წინაპრები ამ სიმღერას რომ ჰქმნიდნენ ალბათ იქიდან გამოდიოდნენ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ლომის ხეობის მკვიდრთათვის ისევე არსებითი და მნიშვნელოვანია, როგორც პური და წყალი, ხოლო გაუგონარმა და ავკაცმა ყოველივე თავის თავს დააბრალოსო. გულჩვილობა და დანდობა ღვთისაგან რომც იყოს, ეს მთები და მდინარეები მაინც მიუზღვავენ მისაზღვეველს ფლიდთა და მრუშთა, ბოროტთა და უპიროთა...

აკი ბეთქილმაც უღალატა დალს. სხვაში გაცვალა იგი, მიცემული სიტყვა ვერ შეუსრულა. დალმა არ აპატია... ასეც უნდა მოქცე-

ულიყო, დაუნდობელია დალი, დაუნდობელი, ოღონდ სამართლიანი. და კარგი იქნება, თუ ამ მომთხოვნებლობას ჩვენს ყოველდღიურობაში, ჩვენს ყოფაცა და ცხოვრებაში გადმოვიტანთ და დავნერგავთ. ჩვენმა წინაპრებმა ბევრჯერ სცადეს ეგ ამბავი, ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც საწადელს, მაგრამ ზოგი რამ გამორჩათ. ჰოდა ჩვენ ახლებურად მივუდგეთ, დღევანდელობას რომ სჭირდება, ისე...

არც ბექნუს სწამდა ავსულების არსებობისა.

იგი კარგად ერკვეოდა ბუნების მოვლენებში. ამ პირქუშ ადამიანს ქანთამკვლევის საოცარი უნარი ჰქონდა — ზეპირად გეტყოდათ მიწის სხვადასხვა შრეთა გავრცელების არეს. გამოსაწვავი კირის ერთი ძარღვის მიხედვით შეეძლო მისი გავრცელების ერთიანი სქემა შეედგინა. სვანეთის ტერიტორიაზე ბექნუ რომ იტყოდა, იქ კირქვა ბუდობდა. კირქვა კი ოქროსავით ფასობდა სვანეთში. კირქვაც და ფიქალიც. ფიქლის მოპოვება განსაკუთრებით ჭირდა. მისი ქანები ძნელადმისადგომ ადგილებში გამოდიოდა რატომღაც სამზეოზე, თითქოს ემალებაო ადამიანებს. ბექნუსთან კი [illegible]ნი მიდიოდნენ რჩევისათვის—სად შეიძლება წასწყდომოდნენ კირქვას ან ფიქლის შრეს, სად ეცადათ ბედი.

ამინდის გამოცნობაც ძალუძდა. ცაზე ღრუბლის ფთილა რომ არ ყოფილიყო და ბექნუს ეთქვა — ხვალ გაავდრდებაო. ეჭვს არავინ შეიტანდა მის წინასწარმეტყველებაში. გონიერი, აზრიანი კაცი იყო ბექნუ. ერთი რამ მართლა სწამდა — რაღ[illegible] უჩვეულო ნადირ-ფრინველის არსებობა. ისეთი ნადირ-ფრინველ[illegible]ომლის მსგავსიც არც ძველ თქმულებაში იყო სადმე ნახსენები და არც ხალხმა იცოდა რა მის შესახებ. მხოლოდ თვითონ ბექნუს გაეგონა მისი ჭყვირილი. ბექნუს და კიდევ ორ ადამიანს — გაბრიელ ხერგიანსა და მთამსველელ ქალს ლესია ვოლსკაიას, რომელიც 1935 წელს თეთნულდზე ახლდათ.

— ზაფხული იდგა. ჩვენმა სამეულმა წარმატებით დააგვირგვინა თეთნულდის დალაშქვრა. ბანაკში მშვიდობით დაბრუნებულები ძალ-ღონეს ვიკრებდით, ვისვენებდით. საოამოსპირზე გავშალეთ ჩვენი საძილე ტომრები, შევძვერით შიგ, ნებიერად ჩაეთბუნდით კიდეც და ის იყო, უნდა ჩაგვეთვლიმა, რომ უეცრად თეთნულდის კლდეებიდან, რაღაც გაუგონარი, შიშის ზარდამცემი ჭყვირილი მოვარდა.

საშინელი ზაფრა დაგვეცა სამთავეს ყველაზე უფროსი და გამოცდილი, ყოვლისმხილველი და ყოვ[illegible]ისმცოდნე გაბრიელი იყო, მაგრამ იმასაც არა სმენოდა მსგავსი რამ.

ხათლად მახსოვს, როგორც კი გამოვერკვიეთ (ალბათ ათი-თხუთმეტი წუთის მერე) სამთავემ პირჯვარი გარდავისახეთ. არც ერთი არ ვიყავით ცრუმორწმუნე, მაგრამ როგორც კი განსაცდელში აღმოვჩნდით და ამისი საბაბი მოგვეცა, უსირცხვილოდ გავიხსენეთ უარყოფილი, გრძნობა-გონებიდან დიდი ხნის წინათ ვაი-ვაშით განდევნილი ღმერთი. ყველაზე საცოდავ მდგომარეობაში მაინც ლესია იყო, და არც გაემტყუნებოდა: ქალს გული საგულეში არა ჰქონდა შიშისაგან. მთელი ღამე ლოცვა-ჩიფჩიფში გაატარა. არც ჩვენ გვეძინა სიმართლე რომ ითქვას, მაგრამ უცნაური მაინც ის იყო, მეორე დღეს, როცა საფრთხემ ჩაიარა და ჩვენ კვლავ მოვიკრიბეთ მხნეობა-სიმშვიდე და ლესიას შევახსენეთ, თქვენმა ლოცვამ იმოქმედა ალბათ თორემ ხიფათს ნამდვილად ვერ ავცდებოდით-მეთქი, იმან თავი ქნას ახალა, რის ლოცვა, რა ლოცვა, ან რა პირჯვრის წერა, მე არც ერთი გამიკეთებია და არც მეორეო.

იგი თავს დებდა ათეისტობაზე, მეტიც — სვანეთში დიდის გატაცებით ჰქადაგებდა ღვთის არაარსებობას და იმ დღეს, უეცრად მახეში კი გაება! მაგრამ იმდენი გვარწმუნა, არც მილოცნია და არც პირჯვარი გარდამისახავსო, ლამის იყო დაგვაჯერა კიდეც თავის სიმართლეში. მთელი გზა გვარწმუნებდა — მასეთი რამ არაფრით არ შეიძლება მომხდარიყო, თქვენ ალბათ ჰოგეჩვენათო...

ბოლოს საშველი რომ აღარ მოგვცა, ვუთხარით, ნამდვილად მოგვეჩვენა, თორემ თქვენც ხომ დაგამახსოვრდებოდათ-თქო.

ამ სიტყვებზე კი გულით გაიხარა, მწვერვალზე შედგომაც კი არ გაჰხარებია ასე. მე და გაბრიელსაც რა გვქონდა საწინააღმდეგო, კარგი ქალი იყო და იმისი სიამოვნება რაღაზე გვეწყინებოდა.

* *

მსგავსი რამ ყვირილი თითქოს მიხეილმაც გაიგონა ერთხელ მთაში. ან იქნება ბექნუს ნაამბობი ჩაჰყვა იმ ღამეს ძილში და ყოველივე მოჩვენება იყო?

ეს ამბავი ინსტრუქტორთა კურსებში ჩარიცხვამდე რამდენიმე თვით წინ მოხდა, მანამდე, ვიდრე მამამისი საბოლოოდ დათანხმდებოდა ბანაკში გაშვებაზე.

საწყალი ბესარიონი! ტვინი ჰქონდა მიხეილისაგან ამოღებული. უკანასკნელ საშუალებას ეძებდა, რათა შვილი როგორმე მთამსვლე-

ლობისათვის ჩამოეშორებინა. ერთხელაც, გაბრაზებულზე ასე უთხრა:

— თუ ასეთი ყოჩაღი მყევხარ, ლეგვერის ქედზე ავეგზავნები და ბაბუა ანტონის გამოქვაბულიდან აბედ-კვესს ჩამომიტანო. აბედ კვესი მანდ ანტონს დაუტოვებია ადრე. თუ ამ საქმეს შემისრულებ, მეტად ხმას არ ამოვიღებ და როგორც გენებოს, ისე მოიქეცი, გინდა ყაბარდოში წადი, გინდა — ქაჯ-ეშმაკებთანაო...

მიხეილი გახარებული გავარდა სახლიდან. ირღულდის ციცაბოები თვალისუსწრაფესად აირბინა, უკან ჩამოიტოვა ლენკიშისა და ფოშდელის ღამისსათევი ზექრები, ჩახისა და ქორულდის ტბები და ციცაბო ბილიკით ლეგვერის ქედს გადაეკლო. დაღამებამდე შურთხიც მოინადირა და მერე გულდამშვიდებული ეწვია თეთრი მოხუცის გამოქვაბულს.

გამოქვაბულში გამხმარი ბალახი ეფინა, წკვარამი სიბნელე მეფობდა. თითს თვალთან ვერ მიიტანდა კაცი. თანდათან კიდევ უფრო ჩამობნელდა, აცივდა კიდეც. დამძიმებული ჰაერი მომგუდველად შემოსწოლოდა — სუნთქვა უჭირდა, სულს ძლივს ითქვამდა. სივრცე უცნაური მოციალე ათინათებითა და მირიადი იდუმალი ხმებით გაივსო. იდგა ერთი ჩურჩულ-გადაძახილი. ეიღაცა ეიღაცას ეხმიანებოდა ერთი კუთხიდან — მეორეში.

— დალაყორაზე ჰალემ დამაშინა, მაგრამ იგი ხომ დავამარცხე ბოლოსდაბოლოს, აქ კი რატომღაც შაშიშები და დევები დამეპატრონენ — პაიდანისა და წისქვილში გამოცხადებული ბანჯგვლიანი დევის ორთაბრძოლის სურათი მედგა სულ თვალწინ. ხანდახან ავსულის აბრიალებულ, ცეცხლში გახვეულ სხეულს რომ წარმოვიდგენდი, ხელებს ვიფარებდი თვალებზე, ალის კაშკაშა ანაბზინმა არ დამაბრმავოს-მეთქი, — მეშინოდა და თავიდან ვირიდებდი.

„იქნებ არ იყო ის უკანასკნელი დევი. იქნებ კიდევ შემორჩნენ სადმე?“ — ვფიქრობდი გუნებაში. მერე, როცა შიშის დათრგუნვას მოვახერხებდი, სირცხვილის გრძნობა მეუფლებოდა — რა მეჩვენება-მეთქი. მაგრამ მალე ყველაფერი თავიდან მეორდებოდა. მთელი საშინელება თურმე წინ მელოდა. შუაღამე იქნებოდა, რომ უეცრად შემაზრზენი კივილი გავიგონე, ერთხანს ვიფიქრე, ალბათ შურთხები თუ დააფრთხო რაიმე ნადირმა და ისინი თუ წიეიან-მეთქი, მაგრამ ღამე შურთხის სტვენა რომ არავის სმენოდა?

მერე კვლავ პაიდანის მიერ დაბრიყვებული, აბრიალებული, აგუზგუზებული ტყისკაცი დამიდგა თვალწინ. აი, ცეცხლმოდებულმა

ავსულმა ბარგან-ბარგანაობით გადაიარა შუკა, გავიდა ხიდთან და იმ სიმაღლიდან ღრიალ-ღრიალით გადაეშვა ყოვლისშემმუსვრელ მდინარეში. ჰო, ეს იმისი ხმა იყო, მხოლოდ იმას შეეძლო ასე საზარლად დაეღრიალა...

მერე გაბრიელი, ბექნუ და ლესია ეოლსკაია წარმომიდგნენ თვალწინ, სწორედ ასეთი ყვირილი გაიგონეს მათაც თეთნულდის მისადგომებთან. ანტონის ნათქვამიც მომაგონდა — მოგზაურები ხანდახან კივილს რომ გაიგონებენ, იტყვიან ხოლმე: „ი, საცოდავი, ბეთქილის საცოლე მოსთქვამსო, ტყე-ღრეში თავის პატრონს დაეძებს, შინ მოუხმობსო"... მაგრამ ის ალბათ სხვა კივილი იყო. როგორ შეიძლებოდა ქალს ამნაირი ხმა ,ჰქონოდა? არა, ეს ავსულისას უფრო ჰგავდა, ეს პაიდანის დაბრიყვებული დევის მოთქმას უფრო ჰგავდა.

მერე ძალ-ღონე მოვიკრიბე და წუთით შიში და კრთომა გამოქვაბულიდან გავლალე. „თუ კი მართლა ასე ყვირის ვიღაცა, ყურებზე რად არ ვიფარებ ხელებსა? როგორც მეხთატეხაში იციან ხოლმე, ისე რად არ დავიცობ ყურებს თითებით?" — გავიფიქრე უეცრად და ცოტა გული მომეცა. „ყველაფერი მოჩვენებაა, ყვირილიცა და სხვა რამეც, ყველაფერი მოჩვენებაა და მეტი არაფერი".—უფრო თამამად შევებრძოლე ღამის იდუმალებას.

„რა იცი, იქნებ კიდეც აიფარე ხელი და შენ აღარ გახსოვს?" — შემომეკამათა თითქოს ვიღაცა. მართლაც რითი ვამტკიცებდი რომ არ ამიფარებია ხელი? არაფერი, არაფერი არ მახსოვდა. ერთი სიტყვით, ასე გაოგნებული და თავგზააბნეული არასოდეს ვყოფილვარ. ბექნუს ნათქვამი გამახსენდა: „მთამსველელი ძილ-ღვიძილში ანგელოზებდაპატრონებული კაცივითაა — ხიფათიანი ბილიკების მგზავრი თავის თავს არასოდეს არ ეკუთვნისო" და მართლაც, რამდენი არ ვეცადე, ვერაფრით ვერ დავიმორჩილე თავი — ათას შაშიშებსა და დევებს, იმათ ჩურჩულ-ჩოჩქოლსა და გადაძახილ-გადმოძახილს ვეღარ დავუძვერი ხელიდან...

* *

შეჯიბრების წინა დღეს ახალგამოღვიძებულზე მთამსვლელებმა შენიშნეს ბანაკს კიდევ ერთი კარავი მომატებოდა, — პირამიდისებრი, ცისფერი. ცისფერი კარავი კი მიხეილს უყვარდა. მაგრამ... ახლა იგი ცარიელი იყო. მერე ვიღაცამ დილის ბინდ-ბუნდში ქიმებზე გაკრულ სილუეტებს მოჰკრა თვალი. ასე ადრე ჯერ არავინ გასულა

კლდეებზე სავარჯიშოდ. ესენი კი ამ ბანაკის ტრადიციას არღვევდნენ.

საქართველოს წარმომადგენლებმა — „კოლმეურნის“ წევრმა მიხეილ ხერგიანმა და „განთიადელმა“ თ. ბაქანიძემ გადაწყვიტეს დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად გამოეყენებინათ და ალიონზე მიაშურეს კლდეებს.

• •

ეზოში მოქოთქოთე ხალხმა აბა რა იცოდა, რაზე ბჭობდნენ ასე გაცხარებით ლაღამელები, რა საჩუქარს უმზადებდნენ ისინი „მომხვდურთ“. ერთი რამ კი ყველასათვის ნათელი იყო — საცაა ღამის სუდარა გადაეფარებოდა დედამიწას და თუ ახლავე არ იმარჯვებდა ვინმე ქრისტეს ჯვარი და ნათლისვეტი აქ დარჩებოდა, მაცხოვარის ეზოში, ლაღამელებს დარჩებოდათ ისინი და მათთან ერთად მოსაელის სვეტბედიც. სეტ-მესტიელები სირცხვილ-ნაჭამი უნდა გაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში — არც ლხინს ექნებოდა შნო და ლაზათი, არც დროსტარებას.

ამ დროს ყველასდა მოულოდნელად მასპინძელთა რიგებს ჩუმი, ყველასათვის შეუმჩნეველი მინაანი გამოეყო და წელგამართული, გაემართა მურყვამისაკენ.

მომხვდურებში ერთი ჩოჩქოლი შეიქნა.

— ეს როგორ იქნება... ჯერ არავის სმენია მსგავსი ამბავი — დაიძახა მუჯრიანმა მოხუცმა — თქვენ მასპინძლები ხართ და გვიმასპინძლეთ, სვეტზე ბღოტიალი რა თქვენი საქმეა — შეურაცხყოფილი კაცის კილოთი მიმართა გვეგანშების უფროსს. მერე თავისიანებს გადახედა, თითქოს შველას ითხოვდაო, მაევდრებელი თვალებით ჩაათვალიერა ახალგაზრდობა.

— ეს როგორ შეიძლება... ეს როგორ შეიძლება, — დაიძახეს აქეთიქიდან სხვებმაც.

— შეუძლებელი უნდა შესძლო, ვაჟკაცობაც ის არის, თორემ პანტის ჩეჩქვა ყველას შეუძლია. დაიჭერ ხელში სანაყს და ურტყამ და ურტყამ, ხანდახან პირსაც ჩაიტკბარუნებ ხოლმე... — გამოეპასუხა სტუმრებს ლაღამელთა მახვში — რახან თქვენ ვეღარ იმარჯვეთ, ახლა ჩვენ დაგვაცალეთ, თუ ჯვარს ჩამოხსნიან ჩვენი ბიჭები, ვიცი, გეწყინებათ, აბა ხომ არ გაგიხარდებათ, ისეთი სულელები

არცა გვგონიხართ, მაგრამ რაც მთავარია, ღმერთს რომ არ ეწყინება. მაღალ ღმერთს ლომის ხეობისას...

იმის სიტყვაზე ხალხის ნაწილმა გაიცინა. ეტყობა, სტუმრებსაც მოეწონათ ხოშა ბაბას პასუხი; გულში იმათაც ეცინებოდათ, მაგრამ ხმამაღლა ვერ ამჟღავნებდნენ გულისნადებს.

მაგრამ მუჯრიანი მაინც თავისას გაიძახოდა:

— ეგ რა სამართალია, მეგუნდაველებიც თქვენა და ჯვრის ჩამომხსნელიც?! მაშ ჩვენ რაღა გვესაქმება აქა, ჩვენ ზედმეტნი ვყოფილვართ და ის არის. აი, გოდრებთან ეს ბიჭები დააყენეთ — თავისიანებზე გაიშვირა ხელი მუჯვრიანმა — დაყენეთ და მერე თუ ვინმეს რამე თქვას, შეგვარცხვინეთ, თავი მოგვჭერით... თორემ ასე, თავისიანი სახიკვდილოდ ვის გაუმეტებია, რომ თქვენ გაიმეტოთ?

— ხალხმა თავად განსაჯოს, რაოდენ მიუკერძოებელნი ვიქნებით. თუ არა და დაგვძრახეთ, ქვეყნის სარიკო გაგვხადეთ, ჩვენი მხრიდან არავისი დანდობა არ იქნება. ვინც არ უნდა იყოს იგი. თანაბარ პირობებში ვაგრძელებთ პაექრობას. შეღავათი ლაღამელებს არ სჭირიათ. ეს არავის არ უნდა ეშლებოდეს. მითუმეტეს შენა, მზის ამოსვლას ლამის მირიადჯერ შესწრებულო მამაცო თამბი... — თავის პასუხს საყვედურიც მოაყოლა ხოშა ბაბამ.

მინაანს მსუბუქად ეცვა. აბა რას იფიქრებდა — ნათლისვეტზე გასვლა მომიწევსო. ყველა, ვისაც წლოვანებით ერგებოდა მაცხოვარის ეზოში თავის გამოდება, ვისთვისაც ხალხს შეიძლება მოეთხოვა ნათლისვეტზე გასვლა, იმ დღეს კულის სქელ ტანსაცმელს იცვამდა, რათა ტანზე გუნდების დარტყმა იოლად გადაეტანა.

ხაკის პერანგი წელზე რომ არ მოფანფალებოდა უკან გადაეჭიმა. ხაკისავე შარვლის ტოტები უპაჭიჭოდ ჩაეტანა თომიან ჩაფლარებში. თავშიშველა იყო. უკანასკნელ წამს ვიღაცამ ნაბდის ქუდი ჩამოაცვა. დაბნეულობისაგან ისე გაბრუებულიყო, ქონგურებმონგრეულ კოშკისა და ნათლისვეტის გარდა ეეღარაფერს ხედავდა.

ხალხის ჩოჩქოლი მთელს სხეულში გასჯდომოდა. ხმაურს აეტაცა მისი არსება.

რამდენიმე ნაბიჯიც და პირველმა მოხვედრილმა გუნდამ გონს მოიყვანა. უსახური ფიქრიდან გამოარკვია.

პირველი, რამაც თავში გაუელვა, ეს იყო სინანული მშობლების გაუგონრობის გამო. სწორედ დღეს, დილით, როგორც ყოველთვის, დედა მამული შეემუდარა — თბილად ჩაიცვი, გაცივდებიო. მაგრამ

მან ყური არ ათხოვა მამულს... ახლა კი თითქოს ტყვიის ხოშკაკალას აყრიდნენო, მთელი ზურგი ეწვოდა. ო, რა მწარედ მიეზღო ახლა გაუგონრობისა და თავნებობისათვის!

მურყვამს შედარებით იოლად ააცოცდა. კეფაში მორტყმულმა გუნდამ წუთით კვლავ დაუბნელა თვალსაწიერი, მაგრამ თავი მაინც აითრია ქონგურზე. „ეს გვეგნუსი იქნებოდა, აბა — ვისი...“ — გაუელვა თავში. მეორე კისერში მოხვდა. „ეს ჯოხანის იქნებოდა, აბა ვისი“. ერთმა გუნდამ ყურის ბიბილოზე გაუტკლაცენა, თითქოს ხორცი წაათალესო, ისეთი შეგრძნება დაურჩინა. „ეს კიდევ ჩარგოლის ფეშქაში იქნება... დიდი მადლობა. ბიჭებო, დიდი მადლობა“ — შეუთვალა მათ გამწარებულმა მიხეილმა. უფრო იმაზე მოსდიოდა გული — ეს გუნდები ხომ მისივე დაკუმშული იყო, რას იფიქრებდა, რომ ისინი თვითონვე აუწვავდნენ ზურგს, მისკენ წამოვიდოდნენ და ერეოლად და რახუნად დაუვლიდნენ სხეულში.

ნათლისვეტზე ცოცვა სხვებივით არ გასჭირვებია. კატასავით მიიკვაკებოდა. ხელ-ფეხი არ ღალატობდა. ახლა უფრო ქვევიდან მოისმოდა ღრიანცელი, ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს თვითონ კი არ ამობღოტდა, ხალხის ჩოჩქოლ-გნიასმა ამოისროლა ამ სიმაღლეზე.

„ცოტაც და ისე აღარ გაგიჭირდება, ცოტაც...“ — ანუგეშებდა საკუთარ თავს მიხეილი.

მან კარგად იცოდა, რაც უფრო მაღლა ააცოცდებოდა ნათლისვეტს, მასა და მეგუნდავეებს შორის მანძილი მით უფრო გაიზრდებოდა. მოხვედრის, ნიშანში სროლის სიზუსტე კი პირიქით, შემცირდებოდა. ამ ფიქრებში იყო რომ სვეტის თავზე მიჭეჭკილ ქრისტეს ჯვარს წაეტანა კიდეც. ეს წუთი იყო და ხალხის ჩოჩქოლმა იმძლავრა. დაბლიდან ერთბაშად მომწყდარმა ხიეილის ტალღამ ლამის სვეტს მოსწყვიტა და ჰაერში აისროლა. მიხეილმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლა, ერთხელ კიდევ მოიკაკვა წელში, მერე გაიმართა და ნათლისვეტს ლამის თავზე წამოასკუპდა. ახლა ტანს ბოძზე შემოსალტული ფეხებით იკავებდა და თავისუფალი ხელებით ქრისტეს ჯვარს ეჯაჯგურებოდა, აყანყალებდა, ჩამოხსნას ლამობდა.

— მაცხოვარისაკენ... მაცხოვარისაკენ...—მოსძახოდნენ ცაცხვსქვეშიდან ლაღამელები.

სტუმრებმა თადარიგი დაიჭირეს, მაცხოვრის მხარეს გავარდნენ — ვინძლო იმ მხარეს გაესროლა მიხეილს ჯვარი, ადგილზე უნდა დახვედროდნენ და ხელთ ეგდოთ როგორმე.

— დაბლა მოისროლე, ყანებისაკენ... — უყვიროდნენ მიხეილს.

ლალამელები ცდილობდნენ მოწინააღმდეგის დაბნევას, შეცდომაში შეყვანას, ძალების დაქსაქსვას, იმათს ბანაკში არეულობის შეტანას.

სეტ-ლახთაგელები ახლა ყანების მხარეს გაცვივდნენ.

მიხეილმა ერთი კი გადმოჰხედა აჩოჩქოლებულ მოედანს, მტაცებელი ფრინველივით მოათვალიერა გარშემო, თითქოს რაიმე საკბილოს ეძებსო და რაღაც აზრმა გაუელვა გონებაში.

„არც მაცხოვრისაკენ ვისვრი, არც ყანებისაკენ... უყურადღებოდ მიტოვებულ მეგუნდაველებს ჩავუგდებ, ისინი კარგად უპატრონებენ, თანაც საპაგიეროს მივუზღაე, იქნება თავშიც მოვახვედრო ვინმეს...“

გუნდები კი მოფრინავდნენ, მოზუზუნებდნენ, აცილებულნი წუილით ჩაუქროლებდნენ. მალე მიხეილმაც მოისროლა ჯვარი, იგი ტრიალ-ტრიალით გაქრიალდა ცაცხვისაკენ და იმის ძირში გოდრებზე თავდახრილ ბიჭებთან ვიღაცას ზურგში მოხვდა.

მეგუნდაველებმა წუთით თავი ანებეს თავიანთ საქმეს, ჯვარი ყველაზე სწრაფმორბენალს, გუა ფალიანს ჩააბარეს. იმანაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სოფლის თავისაკენ მოკურცხლა.

მოწინააღმდეგეებმა ერთი ხმაური ატეხეს:

— ე, მანდ გზა მოუჭერით, არ გაგექცეთ... — აგულიანებდა ახალგაზრდებს მუჯვრიანი მოხუცი.

— აბა, ჰე... აბა, ჰო... — ყვიროდა სახენაიარევი. თავად ერთ ადგილზე გახევებულიყო, ხელების ქნევისა და ყვირილ-ხარხარის მეტს არაფერს აკეთებდა. — ამ ღლაპმა როგორ მოგვატყუა, კაცო, ეს რა გვიყო, კაცო, ა? — ამბობდა გულისწყრომით და გაბოროტებით ნათლისვეტზე ტრიალ-ტრიალით ჩამოშვებულ მიხეილზე — ვინ იფიქრებდა სათრიკოს თუ გაგხდიდა, ე ცხვირმოუხოცავი? — სხვა რომ აღარავინ შემორჩა ახლო-მახლო. ახლა მუჯვრიან მოხუცს გადაულაპარაკა მან.

მაგრამ თამბის მისთვის არ ეცალა. სარდალივით ტრიალებდა. გაიშვერ-გამოიშვერდა ხელს, ახალგაზრდებს მითითებას აძლევდა. მაგრამ დღეს ხმა აღარ მოჰყვებოდა რატომღაც და იმაზეც ბრაზობდა. ამ ტროყაზეც იყო გულმოსული, რომ არავინ ეკითხებოდა და ისე იჩემებდა უფროსობას. ადრე, ჯეელობაში, იცოცხლე, ისე სჭექდა თამბის ხმა, ყურებს იცობდა ხალხი. მაშინ პირველ მომღერლად ითვლებოდა ხეობაში. დღეობებსა და ქელეხებში სანთლით საძებარი

იყო. იმის პირველს ყინულოვან ნაპრალებში თოვლნადნობის რაკრაკს ადარებდნენ თანასოფლელები, მაგრამ, ახლა ომახიანი ყვირილის ნაცვლად ხანდისხან ისეთი ხრინწიანი ხნავილი აღმოხდებოდა ხოლმე, რომ თავადაც ელდა ეცემოდა ამის გაგონებაზე. ამ აყლაყის ჩარევა საუფროსო საქმეებში კი მით უფრო არ მოსწონდა და როგორც კი ბრძანებები მოილია, იმისაკენ შეტრიალდა და მკვახედ მიუგო.

— იმ ღლაპმა ქე მოგვიყვანა ჭკუაზე, მაგრამ აყლაყები მხოლოდ-ღა იბერებიან, ყროყინებენ და მეტი არაფერი, — მერე ოდნავ რომ შეერბილებინა ნათქვამი, დაფაციცებულ, კოშკის კედლებთან მიმდგარი ახალგაზრდების მისამართით თქვა:

— აბა მაგათ შეხედე, ოფლად იღვრებიან, მაგრამ კოშკი კი ვერ დაუნგრევიათ. სხვა თუ არაფერი, ვერძივით ურქენს კაცი და ის იქნება, მე შენ გეტყვი და შუბლზე ტყავი ასძვრებათ. აი, საქმე ის იყო, გინგლიანმა ბალღმა რომ გააკეთა, ქვეყნის სათრიკო გაგეჩა-და ყველა... — მოხუცმა თამბიმ ერთი ჩაახველა, ყელი ჩაისუფთავა და ამით სახენაიარევს ანიშნა, შენთან საუბარი მომიმთავრებიაო.

— გზა მოუჭერით-მეთქი, ხომ გითხარით, გზა მოუჭერით... — შეტრიალდა ხალხისაკენ სახენაიარევი თორე—ისე გააშპობენ ი ქრისტეს ჯვარსა, ეშმაკი ვერ მიაგნებს იმის ასავალ-დასავალს...

რამდენიმე სეტელ-ლეხთაგელი უკან გაეკიდა გუა ფალიანს, სხვებმაც მოკლეზე მოუჭრეს გზა. ორღობეებში ისარივით გავარდნილი ბიჭები ერთმანეთს ეცილებოდნენ მეწინავეობას, ყველას უნდოდა პირველი დასწეოდა გუას. ვინც მოკლეზე გადავიდა ისინი ახლოს იყვნენ კიდეც მიზანთან. თანდათან უახლოვდებოდნენ წინ წასულს.

— ხე... ხე... ხე... — თავისთვის ხარხარებდა სახენაიარევი — მე რო არ მეთქვა, ვის გაახსენდებოდა გზის მოყელვა, სამუდამოდ დავკარგავდით სვე-ბედსა... ხე... ხე...

მოხუცმა ერთი ამრეზილად გადმოჰხედა, მერე ხელი ისე მოიქნია, თითქოს აბეზარი ბუზანკალა გააქშიაო, იქით კოშკს მისეულ ბიჭებს დაუცაცხანა:

— ჰა, რაღა გემართებათ, ქერნარევი დუღაბისაგან ხომ არაა ეს მურყვამიც ჩამოსხმული, მარდად შეუტიეთ, მარდადა.

— ერთ-ერთი მაღლა ავარდით. კოშკის თავანზე და ნათლისვეტი დააყანყალეთ, მაგრად დააყანყალეთ... — არ ჩამორჩა თამბის სახენაიარევი, თავის ბუხუნა ხმით ახალი მითითება მისცა ბიჭებს. მერე კვლავ ჯვარს გადევნებულთ გაჰხედა პირმომცინარმა და იმათაც თავი-

სებურად დასჭყივლა — ჰე... ჰეეე... ცოტაც ქალაჩუნებო, ცოტაც და ჯვარი ჩვენია, ჰეეი... — ერთიან ცმეკავდა. იგი სიხარულისაგან.

ხალხი, მეტადრე სეტელ-ლახთაგელები, უკვე გამარჯვებულის იერით გასცქეროდნენ ორლობეებს, სადაც ფეხმარდ მორბენლებს თოვლის კორიანტელი დაეყენებინათ. მათ უკვე ეშვი არ ეპარებოდათ გამარჯვებაში.

— გზა მოუყელეთ-თქო, დროზე გავახსენე, თორე მაგის დამწევი იყვნენ ესენი? ისე რა ვუთხარი მე მაგათ... ხე... ხე... — თავის მოხერხებულობასა და გონიერებას მიაწერდა ყოველიეს სახენაიარევი.

მაგრამ ნაადრევი იყო მისი სიხარული.

ლაღამელები დიდის ტანჯვა-წამებით დასაკუთრებული ქრისტესჯვრის ასე იოლად დათმობას როდი აპირებდნენ. გუამ, რომ მიხვდა, მდევარმა გზა გადაუჭრა და ვეღარ დაუსხლტებოდა ხელიდან, ხერხს მიმართა, გვარლიანების ეზოსკენ გავარდა, საიდანაც ერთი ხელის გაწვდენაზე ბარლიანების მურყვამი მოჩანდა და ნადავლი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იქითკენ მოისროლა. ქრისტეს ჯვარი რიალ-რიალით გაქრიალდა და კოშკის თავანში ჩაეშვა.

ამ მურყვამს ასასვლელი კარი ამოქოლილი და გაუქმებული ჰქონდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სანატრელი ჯვარი სამუდამოდ იქ დარჩებოდა, იმ სიმაღლეზე, ცასთან და ღმერთებთან ახლოს... ლაღამელთა სახელისა და ვაჟკაცობის მადიდებლად მაცხოვარის წმიდათაწმიდა მიწაზე დაივანებდა საუკუნოდ.

გაწბილებულმა სტუმრებმა ერთი ღრმად ამოიოხრეს და კოშკში ჩაშვებულ ჯვარს თითქოს გულიც თან ჩაატანესო, ისე გააყოლეს თვალი. მერე თავთავისთვის უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნეს რაღაცა და ახლა მთელი გაშმაგება და სიხელე ნათლისვეტზე გადაიტანეს. რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ნათლისვეტი მაინც უნდა დაესაკუთრებინათ როგორმე. მთელი ხალხი მურყვამს მისეულ ბიჭებს შეუერთდა და ერთიანი ძალით დაიწყო ნგრევა.

— ხომ გითხარით, მაგენი არაფრის გამკეთებელნი არ არიან-მეთქი... — ახლა უკუღმა შეატრიალა ნათქვამი სახენაიარევმა და თავისებურად ჩახვიხვინება სცადა, მაგრამ იმისი მოსმენის თავი აღარავის ჰქონდა. ბიჭები ნახევრად დანგრეულ კოშკზე იდგნენ და თოვლ-მიწაში ღრმად ჩამჯდარ ნათლისვეტს აყანყალებდნენ. ერთნი მაღლა ეწეოდნენ, სხვები მურყვამს უთხრიდნენ ძირს.

ლაღამელებს ხელი უნდა შეეშალათ მათთვის, რომ დაღამებამდე მაინც დაენარჩუნებინათ როგორმე ნათლისვეტი. ისინი ბოძამდე შეღწევას ლამობდნენ, მაგრამ რიცხობრივად სეტ-მესტიელები სჭარბობდნენ. ახლა კი მთავარი სწორედ სიმრავლე იყო, ჰო და ლაღამელებს უკვე აღარაფერი გამოსდიოდათ.

მალე ი ნათლისვეტი ყიჟინა-ხმაურით წამოაქციეს, პირი სეტისაკენ უქნეს და მასპინძელთა სასოწარკვეთილ ყვირილში ლაღამის ორღობეებში ჩააძუნძულეს, სოფელს გააცილეს და ლარელის ყანებთან მიაგდეს. ნათლისვეტის სეტამდე მითრევა არ იყო აუცილებელი გამარჯვებისათვის, მისი სოფელს გაშორებაც კმაროდა.

* *

მეორე დღეს მსაჯის სასტვენის ხმაზე ტრასაზე სხვადასხვა ნომრით გამოსულმა ქართველებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს: „როგორ ივლიან შეუჩვეველ ბილიკებზე?"

საერთოდ, გამოცდილი მთამსველელები ამ დროს ბოლო ნომრებად ცდილობდნენ ხოლმე გასვლას. ახლა ერთხელ კიდევ ეძლეოდა კაცს საშუალება დეტალურად აღექვა გზა, პრაქტიკულად დაკვირვებოდა გასავლელ ტრასას, გამოეზომა და მოენიშნა ფეხისდასადგმელი ადგილები დ გაეთვალისწინებინა შემოსასვლელი „მარყუჟების" პირდაპირი გადაჭრის შესაძლებლობები. და როცა მიხეილს სთხოვეს, როგორც საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონს, მას ამოელო მონაწილეთა ნომრები, ეს შეღავათი სწორედ ალმაათელ მეგობარს. დაუთმო. და აი, შეჯიბრება დაიწყო, მიხეილი ტრასაზეა.

„სვანი მონადირეები ასი წლისანი დაძუნძულებდნენ ჯიხვების კვალდაკვალ — ფიქრობდა გზაზე მიხეილი — მუხლიც უჭრიდათ, მკლავიც".

გავლილია თითქმის ნახევარი კედელი, გავლილია კარგად, მაგრამ საჭიროა მეტი სისწრაფე, საჭიროა წამები. ეს წამები კლდეს უნდა გამოსტაცოს, აუცილებლად უნდა გამოსტაცოს, და უცებ ქვევიდან ეშხში შესული გულშემატკივრების ძახილი შემოესმა: მიშა, მარჯვნივ! მიშა, მარჯვნივ!..

მაგრამ მიხეილი მაინც პირდაპირ მიცოცავს. კედელს აჰკვრია და მიცოცავს. აი, ცალი ფეხის დასადგმელიც აღარსად არის, აი, ორივე ფეხს ჰაერში აფართხალებს, ხელებით ჰკიდია შვერილზე. თითები ებრძვიან კლდეს, ეძებენ ღრეჩოებს, პორებს...

ქვევიდან კვლავ ისმის სასოწარკვეთილი ყვირილი:

— მიშა, მარჯვნივ, მარჯვნივ!!! — ჩოჩქოლებენ მაყურებლები.

მიხეილი კი ავიდა მაღლა, მერე დაეშვა ძირს და ორი მოგებული წუთით მივიდა ფინიშთან. იმ ქიმს სხვა ვერავინ აახტეებოდა. ის ქიმი კი ორი წუთი „ღირდა".

• •

მალე ყველაფერი დამთავრდა. ნაბობოქრალ ზღვასავით დაცხრა მთებიდან მორკინალთა მღელვარება. ასე იყო თუ ისე, ყველა შეეგუა თავის ხვედრს — ზოგმა გამარჯვება იზეიმა, ზოგმაც წარუმატებლობის სიმწარე განიცადა.

• •

— იმ ქიმისთვის რომ შემებედა, იქნებ რაღაცა გამომსელოდა, — განუცხადა თავის გულშემატკივრებს. მეორე ადგილზე გამოსულმა კოსმაჩოვმა — ვერასოდეს ვიფიქრებდი იქ ძეხორციელი თუ მოიკიდებდა ფეხს.

• •

მიხეილი მადლიერების გრძნობით გასცქეროდა „კრესტოვაიას" შვერილს, ამ რამდენიმე წუთის წინ ნანატრი გამარჯვება რომ მოუტანა...

მაღლა, კლდის ასწვრივ ლურჯად გადაფერილ ცაში არწივი ბოინობდა. იგი გამარჯვების კამარას ჰკრავდა მამაცი ადამიანის თავზე.

• •

— გულღრჯოებო, გეგონათ ნათლისვეტსაც დაგირჩენდით აქა? — გადასძახა ლაღამელებს სახენაიარევმა და თავმომწონედ გადაისვა ულვაშზე ხელი.

— არ თქვა ახლა, მაგრ ჩემმა ჭკუა-გონებამ მოიმოქმედაო. შენი ხვიხვინი რომ არა, მართლა რა გვეშველებოდა... — ვეღარ მოუთმინა გულმა თამბის და მოურიდებლად შეარცხვინა ხალხში როყროყა სახენაიარევი.

ლაღამელთა ხოშა ბაბამ კვლავ მოიხმო მიხეილი თავისთან. მოწონების ნიშნად მხარზე დაადო ხელი, რაღაც ჩასჩურჩულა ყურში და სახენაიარევისაკენ მიახედა. მიხეილმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა იგი და ხოშა ბაბას მორჩილად დაუქნია თავი.

— წელან მაგან ღლაპი გიწოდა. თუ გული გერჩის, ანანე, არა და დამძალებელი და მძრახველი არავინაა... — ხმამაღლა უთხრა ხოშა ბაბამ.

მიხეილმა კვლავ დაუქნია თავი.

— შიშით არ მეშინია, ისე რა ვიცი...

— ესეც, სვეტივითაა აყუდებული. თუ ამასაც თავზე მოექცევი, აიქ, გოგოებს ხომ ხედავ, დაადე თითი რომელსაც გნებავს და ხვალვე მოციქულად მიგეგზავნები. მიგეგზავნები და მოგიყვან კიდეცა...

მიხეილს გაეღიმა ხოშა ბაბას სიტყვებზე.

— აგრე იყოს ხოშა ბაბა. — თქვა მან და თოფნაკრავივით გავარდა წინ.

სახენაიარევი თამბის ეკამათებოდა — უფროსები ბევრნი არიან აქ, მაგრამ ახალგაზრდობას შენსავით ათვალისწუნებით ერავინ უყურებსო — საყვედურობდა იგი.

— ბევრს რომ ლაქლაქებ, გირჩევნია თავს მიხედო, მსტოვარი კარს მოგდგომია, ის ღლაპი გეძახის, წელან რომ სასაცილოდ გაიხადე — დასცინა მას თამბიმ.

— აბა შენ იცი, არ შეგვარცხვინო... — მიაძახეს ამ დროს კამათში გართულ სახენაიარევს სხვებმაც, რომელიც კიდევ ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე, ვინ იწვევდა საჭიდაოდ. ადგილზე შეტრიალდა და მის უკან შემართული მინაანი რომ დაინახა, ღიმილი შაშინლა გაუქრა სახიდან. გუნებამ ცუდი რამ უაზრა, მიხვდა „ღლაპმა" იქით აიგდო სასაცილოდ. გამოწვევაც კი საკმარისი იყო თავისმოსაჭრელად — მისი შესაფერი მაინც ყოფილიყო ვინმე. შესაფერი წლოვანებითა და ძალოვანებით. არა და მინაანისათვის როგორ უნდა გაეყადრებინა თავი? როგორ გასულიყო მოედანზე? უარის თქმა კი სულ თავისმოჭრას ნიშნავდა.

მათს ირგვლივ წრე შეიკრა. გულშემატკივრები ორ ბანაკად დაიყვნენ. ლაღამელები მიხეილს ამხნევებდნენ, სეტ-შესტიელები — თავიანთ მებურგიელს. მოხუცი თამბი მუჯრაზე დაყრდნობილი შესცქეროდა მათს ორთაბრძოლას და ხმას არ იღებდა. სხვა დროს თავისიანებზე თავგადადებული, ახლა გაჩუმებულიყო, ეტყობა, წელანდელი წყენა ვერ მოენელებინა კიდევ. „აწი გაფრთხილდება,

ჭკუას ჩაიდებს თავში და ნაკლებს იროყროყებსო“ — ფიქრობდა იგი სახენაიარევზე და გულში იმის წაგებას ნატრობდა.

მოწინააღმდეგეებმა ქამრებში ჩაჰკიდეს ერთმანეთს ხელი, შორი-შორს გადგნენ, რათა მეტოქეს იოლად ვეღარ მოეგდო და მოეღრიკა წელში. რამდენჯერმე შეანჯღრიეს, დაზვერეს ერთიმეორე.

—იესავ, შე ძველო, მიდი მისცხე ერთი შენებურადა...—მისძახოდნენ სახენაიარევს თავისიანები — ხადჟიყერაი[1] არ გაუკეთო, რო იცი, ისე...

— მამა და შვილი, მამა და შვილი... — აქედან ლაღამელები ცდილობდნენ წონასწორობიდან გამოეყვანათ როგორმე მიხეილის მეტოქე.

იესავს ოფლი ასხამდა სახეზე, სიმწრის ოფლი. „ამ ღლაპშა რა გამიბედაო? — იმაზე იყო უფრო ასე გავეშებული. დამარცხებისა არ ეშინოდა — რამდენიც არ უნდა იხტუნოს, მაგი რას მიზამს, გვერდზეც ვერ გადამატრიალებსო, — ფიქრობდა იგი თავის წონასა და ძალაში დაიმედებული.

მიხეილი მართლაც შვილივით მოჩანდა იესავთან. ისეთი განსხვავება იყო მათს შორის როგორც ხნოვანებაში, ისე სიმაღლეში. მიხეილი გულმოდგინედ, მონდომებით ებრძოდა. ხტოდა, მაგრამ მეტოქეს შორს გამდგარ, გრძელ კოჭებს ვერა და ვერ უწვდინა გარეკაურისათვის გაქნეული მარჯვენა. რამდენჯერაც სცადა ამისი გაკეთება, იმდენჯერ ხმამაღალი გმინვა აღმოხდა, გმინვა გაწბილებული, ტყუილად დამაშვრალი ადამიანისა.

იესავი კი ამ დროს თვალებიდან შურისძიების ცეცხლს დააკვესებდა. ჩაახველებდა და წიტვას მოჰყვებოდა.

— რა ბობალიყის ნასვამივით იწიტება ეგ მამაცხონებული, რა მოუვიდა... — იცინოდნენ მასზე ლაღამელები.

— შველაის ტყუილა კი არ ეძახიან სეტ-მუსტიელებს, ნამდვილად შრატნაყლურწი იქნება — ცმუკავდნენ ლაღამელები დამარცხების მოლოდინით აწრიალებულნი. მიხეილი მართალია კარგ მებურგიელად ითვლებოდა სოფელში, მაგრამ ამ აყლაყთან რას გახდებაო — ფიქრობდნენ ისინი.

— მამა და შვილი... მამა და შვილი... — დაიძახეს ისევ ლაღამელებმა.

---

[1] სვ. ხუმრობით—წამგებიანი ილეთი.

• •

შეორე დღეს კი ჩამოიტანა აბედ-კვესი, მაგრამ ვაი ასეთ დაბრუნებას — შიშისაგან დაძაბუნებული, დაჩიავებული ეშვებოდა სახლში. გულში კი ალქაჯი დედაკაცივით ლწყევლიდა იმათ, ვინც წუხელის ამდენი ქაჯ-ეშმაკი და ავსული შემოუსია გამოქვაბულში.

მაცხოვარის ეზოში თანასოფლელები შეკრებილიყვნენ, შეკრებილთა შორის ყველაზე მაღალი შარდენ ფალიანი მოსალოდნელ გვალვებსა და წყალდიდობაზე ესაუბრებოდა თანასოფლელებს — ასე თუ გაგრძელდა. ენგური ადიდდება და კარგ დღეს არ დაეყრის სგიშისა და ლეგამის სათიბ-საყარგულებსო — ამბობდა იგი.

— ჰო, აბა... მაგრამ წყალდიდობისა ისე აღარ მეშინია უკვე — არ დაეთანხმა კარის მეზობელს ბესარიონი — უშბისა და ლეხზირის მყინვარები ჩემს თვალწინ სალოკი მარილივით დაილიენ. კარგად მახსოვს, ლეხზირის მყინვარის ენა ცაიდერამდე წვდებოდა. ჩემსობაში ბარე ათ კილომეტრზე მაინც დაიხია უკან. ო, ადიდება იცოცხლე, იმ დროს იცოდა ენგურმა, თორემ ახლა მაინცდამაინც არ მეშინია ისე...

ბესარიონს ყველანი დაეთანხმნენ — ასე იყოო.

— მაგრამ ზარალი ახლაცა გვაქვს წყალდიდობისაგან, ვიცი, კარის ზღურბლს ვეღარ გადმოლახავს წყალი, მაგრამ გაღმა-გამოღმა ნოყიერი მიწა რო აღარ დაგვირჩინა? — საბოლოო სიტყვა მაინც შარდენმა დაიტოვა.

ამ დროს ლაღამელმა ახალგაზრდებმა ამოიარეს გზაზე მაცხოვარის ეზოში მობაასე უფროსებს მიესალმნენ.

— ხშირ-ხშირად რომ იყოს ეს უქმეები, რას გაიხარებდით არა? თორემ ბევრი მუშაობისაგან სუ წელი გაქვთ დამწყდარი... — გაეხუმრა ახალგაზრდებს არჩილ გვარლიანი.

ახალგაზრდებმა ვითომ დაირცხვინეს მის ნათქვამზე. ყველაზე ენამოსწრებულმა გვეგნუ გვარლიანმა კი არ შეიტოვა პასუხი:

— თქვენაც რომ მკვიდრად ჩამომსხდარხართ ამ დილაუთენია? ჩვენს კლუბში როა დასწრებაზე მისელა — აქაო და არავინ დაიკავოს ჩემი ადგილიო, ისე რომ მოსულხართ თქვენაცა?..

გვეგნუს სიტყვაზე ყველამ გაიცინა.

ბალე ახალგაზრდები საჯილდაო ქვას შემოერტყნენ. ქვა შუა ეზოში მისთვის განკუთვნილ ადგილას იდო. რუხ ფოლადისფერ ვერნიტის ლოდს ქვევრის მოყვანილობა ჰქონდა. მამა-პაპათა დანატო-

ვარი იყო იგი, ოღონდ არავინ უწყოდა ადამიანის ხელმა მისცა ასეთი ფორმა თუ ბუნებრივად დაჰყვა თავიდან.

ღონეში დაჯიბრებული ბიჭები თითებს ჩაუჭერდნენ ყელში და მაღლა ეწეოდნენ. ქვა თავის მოცულობასთან შედარებით გაცილებით მძიმე იყო. იმის თავზე გადამტარებელი ჯერ კაციშვილი არ დაბადებულიყო, ყოველშემთხვევაში ასეთი ვინმე ხეობაში არავის ახსოვდა. რეკორდი საქართველოს ჩემპიონს ქართულ ჭიდაობაში ნოე ფალიანს ეკუთვნოდა. ნოე ბუმბერაზი ალნაგობისა და უმაგალითო ჯან-ღონის პატრონი იყო. თავის ჯეელობაში ქვა მხრებამდე აუტანია.

ახლა კი სიტყვა ახალგაზრდებზე იყო. იქნებ ნოეს რეკორდი მოეხსნა რომელიმე მათგანს?

აქ იყო აგრეთვე საკრავი მუშტა ქვა. ყმაწვილკაცობა იმის შორს გადაგდებაშიაც ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ლაღამში მსოფლიოს რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა ჩამოსულიყო ადამიანი, შეეძლო ვაჟკაცობით თავი გამოეჩინა, დიდების მწვერვალზე ამაღლებულიყო აქაურთა თვალში, მიუდგომელნი იყვნენ ამ საქმეში ლაღამელები.

იმ დღესაც ეჯიბრებოდნენ ახალგაზრდები ქვის აწევაში. უფროსები სიამოვნებით უყურებდნენ მათს პაექრობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქ თითების სიგრძე-სიმოკლეს ჰქონდა. კოტიტა თითება კაცი გემოზე ვეღარ ჩაავლებდა ხელს საჯილდაო ქვას და აწევაც, რა თქმა უნდა, უფრო გაუჭირდებოდა. გამარჯვებადამარცხება დიდად იყო დამოკიდებული თითების სიგრძე-სიმოკლეზე. ამიტომ ჭიდაობის მსგავსად აქაც ხდებოდა მონაწილეთა „აწონვა".

— ჰოი, როგორი გადაკიდებულნი ვიყავით ერთმანეთზე. მთვარიანში შუაღამამდეც კი შევყოლილვართ ბიჭები ქვის კერასა და აწევას. დამარცხებულნი (დაუმარცხებელი კი ვინ დაბადებულა) გულისფანცქალით ველოდით უქმე დღეს, რათა კვლავ შევბმოდით მეტოქეს და ახლა ჩვენ დაგვემარცხებინა იგი. უქმე დღეები კი ბლომად იყო სვანეთში, ხალხი უქმეებს მართლაც რომ ჭკვიანურად იყენებდა — ერთად იკრიბებოდა, სოფლის საჭირბოროტო საერთო საბალხო საქმეებზე მსჯელობდა, ქეიფსა და პაექრობაში ატარებდა დროს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თოფის სროლაში, ცხენოსნობაში, მდინარის გადალახვაში, ბოძზე აცოცებასა თუ თოელის გუნდების

დაკუმშვაში, სირბილსა და ქვის კვრაში, საჯილდაო ლოდის აწევაში.

საჯილდაო ქვასთან ბრძოლა მართლაც ყველაზე საინტერესო სანახაობა იყო. მახსოვს, როგორ მიბჟუოდა ხოლმე მეორე დღეს მკლავები, თითქოს სახსრებს ზამტვრევდნენო.

როცა მეკითხებიან ხოლმე — ცალი თითით თავს როგორღა ერევიო, პირველ რიგში ის, მაცხოვარის ეზოში გატარებული დღეები ცოცხლდება ჩემს მეხსიერებაში, ბავშვობის ხალისიანი, მოუსვენარი დღეები, ალბათ მე და ჩემმა ამხანაგებმა საკმაოდ გავივარჯიშეთ ხელის კუნთები... და არა მარტო საჯილდაო ქვა მახსენდება, სხვაც ბევრი რამე...

მუხთალნი არიან მთები...

— ბუბა ბესარიონ, მინაანი სადა გყავთ? — მიუბრუნდა აწრიალებულ ბესარიონს მარლენ რატიანი, მიხეილის უახლოესი ამხანაგი — ხომ არ გაგიგზავნიათ სადმე?...

უფროსებიც დაინტერესდნენ — რა მოუვიდა მინაანს, სად არის რომ არა ჩანს? როგორ შეიძლება ამხანაგებს დააკლდეს იგი? ეს ბესარიონიც ვერ უნდა იყოს გუნებაზე, თავი ხომ არ სტკივა? ახლა ყველანი ბესარიონს მისჩერებოდნენ მომლოდინე თვალებით — აბა რას ეტყვის, რას უპასუხებს მარლენსაო.

ბესარიონი დაიბნა. გულში დამნაშავედ გრძნობდა თავს შვილის წინაშე და ახლა დატუქსული ბავშვივით მოედო ალმური სახეზე.

— მიხეილი?.. მამულმა გაგზავნა ლახთაგში. სიძესთან გაგზავნა, საქმე იყო რაღაცა...

— გომურში ხომ არ დაგიმწყვდეია? შენი ამბავი რომ ვიცი, ყველაფერი შეიძლება იფიქროს კაცმა. — გაეხუმრა ბესარიონს შარდენი.

— ჩემო შარდენ, ლაბსყალელებზე როა ნათქვამი, ხომ გაგიგონია, მზის დამწყვდევა რომ მოიწადინეს, არიქა, ფანჯრები დავხუროთ და მნათობი ჩვენსა დავარჩინოთო... მინაანის დამწყვდევა თუ გინდა, დასანგრევი კედლები უნდა გქონდეს ბლომად და ახალი კარები მაჩუბისათვის... — გამოესარჩლა ბესარიონს არჩილი.

— ხო... შენი ჭირიმე არჩილ, ხო იცი, იმისი ამბავი. აბა მინაანს

დაამწყვდევს ვინმე? — გაუხარდა ბესარიონს მხარი რომ აუბა მეზობელმა.

სწორედ ამ დროს მაცხოვრის ორღობეებში თრიხინ-თრიხინით ჩამოეხეტა მიხეილი. ბესარიონი შეცბა. ირგვლივ მსხდომთ თვალი ველარ გაუსწორა და მიწას დააშტერდა.

.მიხეილმა გაიხარა ამბანაგების დანახვაზე. მარლენმა, ელგუჯა რატიანმა, გვეგნუ გვარლიანმა და სხვებმა უმალ ჩაითრიეს იგი პაექრობაში. მარლენმა ხერხი იხმარა და მუშტა ქვა მიუგდო ამხანაგს, ისე სახიფათოდ მიუგდო, ლამის ფეხზე დაასვა, მიხეილი უკან გახტა...

— რომ იკვეხნიდი, მიდი ახლა... — მიაძახა მარლენმა.

— ჰო, გავიგეთ, გითქვამს. ყველა დავჯაბნეო... — თამაშში რომ ჩაეთრიათ უფრო იმისათვის ახელებდნენ ამხანაგები ახალმოსულს.

— დაღლილ-დაქანცულზე მიხელთეთ, არა? მოიცათ, იქნება ახლაც ვერ დამიჯაბნოთ...

— ლახთაგიდან მოდიხარ, უშბიდან ხომ არა... — თქვა მარლენმა.

ბიჭებმა გაიცინეს.

მიხეილმა თოფი მოიხსნა.

— ლახთაგიდანო? მე ვთქვი, ლახთაგიდან მოვდივარო?

— ლახთაგიდან მოდიხარ, მა რა...

— ლეგვმერიდან რომ მოვდიოდე?

— ლეგვმერიდან? გაიკვირვეს ბიჭებმა — თქვენი სიძე შურა ჩართოლანი ლეგვმერიში ცხოვრობს? ეგ კი ალარ ვიცოდით.

— რა შუაშია შურა? რის შურა, რა შურა!

— არის ალბათ შუაში, თორემ არც ვიტყოდით.

მიხეილმა ხალთაში ჩაყო ხელი, იქიდან ნანადირევი შურთხი აძოაძვრინა და ბიჭების წრეში მოისროლა.

— როდის ხახეთ ლახთაგში მსგავსი ფრინველი? თუმცა ვიცი, იმის მტკიცებასაც დაძიწყებთ ახლა, შურთხი კი არა, შინაური ქათამიაო. — დამცინავად მიაჩერდა იგი ამხანაგებს.

ეზოში მდუმარება ჩამოვარდა. ბიჭები გაოცებისაგან პირდაფჩენილნი დასცქეროდნენ ნანადირევს. უფროსებიც წამოდგნენ და ახალგაზრდებს მოაშურეს ცნობისმოყვარეობით შეპყროჩილებმა — მართლა შურთხი თუ არისო. იმათაც არ სჯეროდათ მინაანისა — ლეგვმერიდან მოვდივარო. აკი ეს წუთია — თქვა ბესარიონმა — ლეხთაგში, სიძესთან გავაგზავნეთ ამ დილასო.

ამ დროს მიხეილმა მაშამისს ჰკიდა თვალი. მყისვე ეცნობა იმისი

უგუნებობა. უცბადვე გაიაზრა ყოველივე, მიხვდა — მთელი ეს გაუგებრობა მამამისისაგან მომდინარეობდა. იგი ეტყოდა ამ ხალხს— ლახთაგში გავაგზავნეთო. და ახლა ინანა. თავი რომ გამოიდო — ლეგემერიში ვიყავიო. უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ბესარიონი. შურთხს დაშტერებულ ამხანაგებს ჩუმად გამოეპარა და ლასლასით ჩაეყვა შინისაკენ. მალე მამამისიც წამოეწია. ერთხანს მდუმარენი მიჰყვებოდნენ შუკას. მერე მიხეილმა თქვა:

— გვიან შეგნიშნე, თორემ ხმას რად ამოვიღებდი...

— ხო? არა, რა მოხდა მერე... — თითქოს გულზე მოეშვაო ბესარიონს — ისა, შენა, შენ რა ჰქენი? — უნდოდა ეკითხა, როგორა ხარო, ხარბადაც აათვალიერა მინაანი, თვალები სიხარულისაგან გაციმციროენებოდა — საღ-სალამათი დამიბრუნდა ჩემი მუხლმკვდარი ბიჭიო, მაგრამ კითხვით სულ სხვა ჰკითხა.

— ჩამოვიტანე, აი... — აბედ-კვესი გაუწოდა მამას მიხეილმა — საეჭვო კია გამოდგეს კიდევ.

— ბაბუა ანტონი ხომ გაიბარებს მაგის დანახვაზე და... იცი, როდის დაურჩენია მანდა? უუჰ, აღარც კი ახსოვს, ისეთი ჯეელი ყოფილა...

— ანტონმა აღმოაჩინა ის გამოქვაბული?

— ჰო, შემთხვევით წაწყდომია. კარგი გამოქვაბულია, ოღონდ საშიშია მანდ ღამისთევა. შენც ხომ დარწმუნდი ამაში?

— საშიში?..

„ხომ ვერ მოატყუებს მამას? ყველაფერს ისე ეტყვის, როგორც იყო, ისე ეტყვის, რა თქმა უნდა. თორე იქნებ სულაც მანდ იყო ამოსული ბესარიონი და მალულად უთვალთვალებდა? მერე? მერე რაღას შვრება?“

— კი, შიშით შემეშინდა, როგორ არ შემეშინდა, ათასი რამ მოგელანდა, კივილ-ჭყვირილიც გავიგონე. ბექნუმ და გაბრიელმა რომ გაიგონეს თეთნულდზე, ისეთი. მაგრამ დანამდვილებით მაინც ვერ ვიტყვი, მართლა გავიგონე, თუ მომეჩვენა ყველაფერი.

— კივილი? — ჩაფიქრდა ბესარიონი — მახსოვს, ერთხელ გაბრიელი მოუყვა თეთრ მოხუცს რაღაც კივილზე. მაშინ ანტონმა ასე უთხრა გაბრიელს — ალბათ შეცივნული დალები თუ ჰკიოდნენ — თქვენგან დახმარება-შეწევნას თუ ითხოვდნენო. სწორედ ასე უთხრა მაშინ ანტონმა. შენთან ხომ არაფერი უთქვამს დალებზე? — შეეკითხა ბესარიონი მიხეილს.

— დალებზე? კი, მითხრა — ახლა ცუდ დღეში არიან ღმერთქალები და შენ უნდა უშველო.

— ასე თქვა? უცნაურია ღმერთმანი, ადრე მეც დავურიგებივარ— დალები შენგან შველას ელიანო, უნდა დაეხმაროო. გაბრიელსაც, ბექნუსაც, ჰიჰიკოსაც ამასვე სთხოვდა ანტონი. ყველაზე დიდი იმედი მოხუცს გაბრიელისა ჰქონდა, მაგრამ გაბრიელს ბედმა უმუხთლა და ის იმედიც გაუქარწყლდა. ახლა კი შენ ეგულები იმათ შემწედ, ოღონდ უნდა გამოიცნო, უნდა ჩაუხვდე თეთრი მობუცის სიტყვას. მაინც რა გასაჭირი ადგათ ასეთი ღმერთქალებს? რა შეგვიძლია ჩვენ, მოკვდავთ? რა შეეძლო გაბრიელს, რა შეეძლო ბექნუს, ჰიჰიკოს, მაქსიმეს? რა უნდა იღონო შენ, გინგლიანმა ბალღმა?

მაგრამ რაც მთავარია, ანტონიც თანახმაა რომ გაემგზავრო, ისიც შენს მჩარეზეა, ყველამ ჩემს წინააღმდეგ შეკარით პირი. ეს მე ვარ რეგვენი, ბრიყვი, სულელი, დანარჩენები ყველანი ბრძენები ყოვ-ხართ... — გაცხარდა ბესარიონი — წადი, ბატონო, ჩრდილოეთში, გინ-და ხვალვე აიკარი გუდა-ნაბადი... — იგი უკვე შერიგებოდა იმ აზრს რომ მიხეილს ვეღარაფერი დააკავებდა შინ, ვერაფერს მოუგონებ-და და მოუმიზეზებდა ისეთს, „ამ მუხლმკვდარს" რომ არ გაეკეთე-ბინა და შეესრულებინა.

მიხეილი ერთი ზღაპრის მზე ჭაბუკი იყო, მეფის ქალიშვილი რომ შეჰყვარებოდა. მეფეს არ უნდოდა მისთვის მიეთხოვებინა თავისი ასული და ათას რამეს უგონებდა — დევის ფანდური მომიტანეო, თვითონ დევიც მომგვარეო.

მზეჭაბუკმა ფანდურიც მოუტანა და დევიც მოჰგვარა, სხვა ათა-სი სურვილიც შეუსრულა მბრძანებელ სასიმამროს. ბოლოს კი ხელ-მწიფეს აღარაფერი დარჩენოდა გარდა თანხმობისა.

იმის მდგომარეობაში იყო სწორედ ამჟამად ბესარიონიც...

— მე ჩემი მითქვამს და... ახლა რაც გინდა ისა ჰქენი. ცხრა მთა კი არა, მილიონი ქედი გადასერე. ქვეყანაზე რაც რამ ზღაპრებია, იმათ გმირებს გაასწარი მთების გადალახვაში, ვინძლო მზე ჩამოი-ტანო ცის დასალიერიდან და ამ ცოდვილ დედამიწაზე მოაფრქვიო იმისი სხივნათელი. მაგრამ ხელებს თუ დაგწვავს, მამას აღარაფერი დააბრალო... — მერე მოწოლილ ბოღმას მოერია და წყნარად განაგ-რძო — ეს გზა ლამაზია, მაგრამ საცალფეხოა, ვინაც ბოლომდე ბის-დია, იშვიათად მოესწრო გაჭაღარავებას... აი, რა ვაჟკაცები დაიღუპ-ნენ თეთნულდზე, უშბაზე. და ბოლოს გაბრიელი! ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, იფიქრებდა ვინმე გაბრიელს თუ ზვავი მოუსწრა-ფებდა სიცოცხლეს? მთების კაცი, იმათთან ნათამაშევი, დაბრძენკა-ცებული ადამიანი, მთელს ქვეყანაში ცნობილი მთამსველი ერთ

მშვენიერ დღეს ზვავმა ჩაჩუმქრა... იგი ხომ ჩვენი სისხლი და ხორცი იყო, ყველაზე ახლობელი ადამიანი, ჩვენ იმისი გვჯეროდა ყველაზე მეტად, გვწანდა, ვეიმედებოდა, მაგრამ რა გამოვიდა? დღეს ეს ჯადოქარი ჩვენთან აღარ არის, მორჩა, აღარ არის...

„მთები მუხთალნი არიან, დაუნდობელნი, ისინი არ არჩევენ ადამიანებს მათი წარმოშობის, ტიტულის, გვარის, ქონების მიხედვით. მთებში ყველა თანასწორია, ისევე, როგორც თვითმფრინავის მგზავრები, წავარნაზე შემდგარი ადამიანებიც სიკვდილ-სიცოცხლის ერთთან ჯაჭვში არიან შებმულნი — წამოუტიეტივდნენ თეთრი მოხუცის სიტყვები მიხეილს. — მთებში ადამიანები უფრო ეთანასწორებიან ერთმანეთს, ვიდრე სხვაგან სადმე. ეს სწორფერობა და ერთიანობა მთის ბუნებიდან გამომდინარეობს: — თუ ივარგებ, თუ ძალ-ღონე შეგწევს, მშვიდობით გზა გქონია, არა და ჯანდაბას შენი თავიო. ამბობენ ეს კანონები — მთაში გულსუსტსა და მშიშარას აღარაფერი ესაქმება; მთა გულადისაა, ვაჟკაცისაა... აქ მრუდე, ბოროტი თვალით ვერ გადახედავენ ადამიანები ერთიმეორეს. უგლიმიც რომ ერიოს ჯგუფში, უნდა გაითანაბრო და ძმად გაიხადო, შესაძლებელია იგი გაჭირვების ჟამს ღმერთივით ამაღლდეს შენს თვალში, ისეთი სამსახური გასწიოს ვინძლო.“

მერე თქვა თეთრმა მოხუცმა:

— იქნებ ამიტომაც განვადიადებთ და ვესწრაფვით თანასწორობას? სწორფერობას? იქნებ ამიტომაც ჰქვია ამ ცასთან ახლოს მდებარე ერთ ციცქნა ქვეყანას უბატონო, უაზნაურო, თავისუფალი სვანეთი? და იქნებ ამიტომაც არის აქაურობაში ასეთი სწრაფვა მთებისაკენ, სიმაღლისაკენ, სადაც ასეთი განსპეტაკებული, ყოველგვარი მიწიერი სიბილწისა და მტვერჯანღისაგან განწმენდილი ცაა, სამართლიანი, მდიდართა და ღარიბთათვის ერთიანის ძალით მანათობელი ოქროსფერი მზეა... ალბათ ეს გრძნობა თუ მიერეკება მთამსვლელებს, მესიმაღლეებს მწვერვალებისაკენ, — დაასრულა თავისი სიტყვა მოხუცმა.

„მაგრამ აქვს კი ყოველივე ამას დიდი გამართლება? — საგონებელში ჩავარდნილიყო მამა ბესარიონის გამო მიხეილი — აი თუნდაც მშობლის თვალში თუ აქვს ყოველივე ამას გამართლება? მშობლისა, რომელსაც აროდეს არ ჰქონია უზღვავი მოთხოვნილებანი და იმითაც კმაყოფილი და ბედნიერი იყო, რომ ყოველდღე გრძნობდა თავისი შვილის გულისცემას, სუნთქვას; მშვიდობიანი ნაბიჯებს ჩქამს, იმის მოხმარებას, მხარში დგომას?“

— იქნება რაიმე ანგარება მალაპარაკებს ამდენს? მხოლოდღა საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრი მაბურდღუნებს? ეშმაკმა უწყის, რა ხდება... ალბათ ერთი უბირო და გულსუსტი ვინმე ვარ და ეს არის. — ბესარიონმა ხელი აიქნია, თითქოს კერიდან წამოშლილ კვამლის ქულას იშორებს პირისახიდანო, უფრო საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ნაბიჯს აუჩქარა. გული აუჩუყდა სიბარულისაგან. უფროს-უმცროსი და-ძმებიც მოვარდნენ და ყიჟინით შემოეხვივნენ „დაკარგულ“ ძმას.

დაიკო თინამ მხარზე მოგდებული თოფის კონდახს ჩააკლო ხელი და შეეკითხა იმის პატრონს:

— რაო, მინაან, ააცილე შურთხსა?

უმცროსმა ნათელამ ხალათში მოუფათურა ხელი.

— ეჰ, ცარიელია! შურთხი რომ ჩამოგეტანა, ან ტყის ქათამი, მე რომ ვაშლი შევინახე, იმას მოგცემდი... — აუქნია მან ხელი უფროს ძმას.

ძმა ანვარს ზლუქუნი აუვარდა — ნანადირევს რომ შემპირდი, რატომ მომატყუილეო. იმას უმცროსმა და-ძმებმა ნაზომ და ბექამაც აუბეს მხარი — ახლა სამივენი ზლუქუნებდნენ თან თვალებს იქუქყენიდენ გაბზდარი ბავშვური თითებით.

მიხეილს შეეცოდა უმცროსები. სიყვარულით მოეფერა სამივეს, მერე ენინას მიმართა:

— შენ გაახსენე თორემ მაგათ არც მოაგონდებოდათ ნანადირევი.

— მერე რა რომ გავახსენე?..

— შეპპირდი და რად არ შეუსრულე? პატარებიაო და იმიტომ? — თავის მხრივ ჯიქურ შეუტია თინამ — რომ შეპპირდება, უნდა შეუსრულოს კიდევაცა, ხომ ასეა, მამა? — ახლა ბესარიონი დაიმოწმა მან.

— ბევრს რომ ტლიკინებ, გირჩევნია ენას კბილი დააჭირო, გაიგე? — გაუბრაზდა ქალიშვილს მამა — ამათი ჭკუისა ხარ?

— რა, მართალს არ ვიძახი? — ახლა მამულს გადახედა თინამ.

— რომ მომეკლა, ი შურთხი, მართლა მომცემდი ვაშლსა? — მიუბრუნდა მიხეილი ნათელას.

— მოკალი და მერე გაფრინდა? — გადაიხარხარა ნათელამ — გინდა მომატყუო?..

— შენ ისა თქვი, მომცემდი ვაშლსა?

— მოგცემდი, მა არ მოგცემდი? — ოდნავ ენის ბორძიკით წარმოთქვა დაეჭვებულმა ნათელამ.

— აბა, რა.. აბა, რა... — ერთხმად დაიძახეს სხვებმაც.

მიხეილმა ხალთას პირი გადმოუბრუნა. იქიდან შურთხის რუხ ჭრელი ბუმბული გადმოფრიალდა.

— ეს რა, შურთხისა ხოა? — შეეკითხა იგი ნიშნისმოგებით დაძმებს — ა, რას იტყვით ამაზე?

ბავშვები გაოცებულნი შეჰყურებდნენ. თვალებს იმშრალებდნენ. მერე იატაკზე დაცვენილი ბურტყლი ახვეტეს.

— ამ ბურტყლში მოგცე ჩემი ვაშლი? — გამოერკვა უცბად ნათელა.

— ხო, შურთხისაა და მეტი რაღა გინდა? ან იქნებ ვეღარა ცნობ? — ჩაეკითხა მიხეილი — რახან შურთხისაა, ესე იგი, მომიკლავს კიდეც, აბა ისე საიდან გაჩნდებოდა ჩემს ხალთაში?

— მაგრამ შენ რომ ჩვენთვის არა მოგიტანია რა? ამ ბურტყლში მოგცე ჩემი წითელი ვაშლი? — ნათქვამზე იდგა ნათელა.

— მაშინ გაშპით და მაცხოვრის ეზოში ნახეთ მინაანის მონადირებული შურთხი, აბა გაიქეცით ახლავე... — ჩაერია ბავშვების საუბარში საკარცხულზე ჩამომჯდარი ქორა მახვში ბესარიონი. მას თავი ხელისგულებზე ჩამოეგდო და რაღაცაზე ნაღელიანად ჩაფიქრებულიყო.

ბავშვებმა ყური ცქვიტეს. მამა ბესარიონის ნათქვამი ენიშნათ. ბეღურების გუნდივით აიშალნენ და გარეთ გაცვივდნენ.

— ნათელ, ვაშლის მოცემა არ დაგავიწყდეს, იცოდე... — სიცილით გასძახა დაიკოს მიხეილმა.

ბავშვებს მხოლოდ თინა და ყველაზე უფროსები — ივა და ირა არ გაჰყოლიან, თუმცა ამათაც არანაკლებ აინტერესებდათ შურთხის ამბავი. მაგრამ უმცროსებთან სირბილ-წანწალს ხომ არ იკადრებდნენ.

— რა კაცია, შურთხი მოინადირა და მაცხოვარის ეზოში დააგდო... — თქვა გაოცებულმა თინამ.

— ხო, ბევრი იცი, შენ...

— წვინდა მაცხოვარს შესწირე?

— ჰხი... ხი... ხი... — მამა ბესარიონს სიცილი აუვარდა თინას სიტყვებზე — ეს მართლაც კარგად თქვა მაგ ქალბნელამ, მაგანა... — წუთით გამხიარულდა ბესარიონი...

• •

ადილსუს ხეობა რაღაცით მშობლიურ სვანეთს აგონებდა მიხეილს. ალპური ბანაკი „მეტალურგი" კი სახლივით ახლობელი გახდა. ბანაკის დირექტორი და უფროსი მწვრთნელი მზრუნველობას არ იშუ-

რებენ მისთვის მათი გულწრფელი მამობრივი დამოკიდებულება ერთი უცხო მხრიდან ჩამოსული უთქმელი ბიჭის მიმართ მართლაც რომ უდიდესი ადამიანობისა და კეთილშობილების გამოვლინება იყო. მათ ყველაფერი იღონეს რათა მიხეილს საწადელისათვის მიეღწია. მერე და რამდენი ყურადღება სჭიროდა, რამდენი თანაგრძნობა, გულიანი რჩევა-დარიგების მოცემა, რათა იქაურ მკაცრ რეჟიმს შეჩვეულიყო, სპორტულ ფორმაში ჩამდგარიყო, მთამსვლელის ხასიათი და ჩვევა გამოემუშავებინა.

სიმღერა — უჩინარი და საყვარელი მეგობარი

— მაგრამ მე არ გაეუმართლე — სინანულის გრძნობით იგონებს მიხეილი — რაღაც ეშმაკად კვლავ წამძლია ბავშვურმა ცთუნებამ, სიანცემ ამიტანა. ერთ დღეს დალაყორას მსგავსად, მარტოკა გავუდექი გზაწვრილს უცნობი ვიატაუს მწვერვალისაკენ. არ ვიცი, რა ძალა მერეკებოდა ასეთი, რა ენერგია მომიცია იმ დღეს — სულმოუთქმელად გავიარე მთელი გზა, გავკვალე ჩემი ბილიკი.

ვიატაუს მრისხანე კალთები პირველად შეაჯერა ალბათ ჩემნაირმა ღინღლიანმა ბალღმა. შეჯერებაც არი და... შეიძლება ვინმეს დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ერთი სამჯერ მაინც რაღაც ალალბედზე გადავრჩი სიკვდილს. ის კი არა, ხანდახან მეც ისე მომეჩვენება იმდღევანდელი ჩემი თავგადასავალი თითქოს ყოველივე სიზმარში მოხდა, ან მე კი არა, თითქოს ვიღაც სხვას გარდახდა მთელი ის ხიფათები. მახსოვს, ქარაფზე რომ გადავეკიდე და ფეხებს ჰაერში ვასხმარტალებდი. ჭიაყელასავით ვიღლარჭნებოდი, ვიგრიხებოდი სასიკვდილოდ განწირული, ყინულის ღრეჩოს, კი, რაზედაც ხელებით ვიყავი ჩაფრენილი თანდათან ეფცქვნებოდა ნაპირი, ეფცქვნებოდა და ადნებოდა კიდეც, დროზე თუ ვერ ავითრევდი ტანს, დროზე თუ ვერ ავმაღლდებოდი, მალე უკანასკნელი საყრდენიც შემომადნებოდა და მე „ცოცხალი ლოდივით“ დავეშვებოდი დაბლა უსასრულობისა და საუკუნო მდუმარებისაკენ.

მაგრამ, ალბათ ბედნიერ ფეხზე თუ ვიყავი ამდგარი, მყინვარის პორმა გასძლო, ხოლო მკლავებმა კი უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და ნაწვიმარი, სველი თივის ბულულივით ამზიდეს მაღლა, მაინც არ შევმდრკალვარ, უკან გაბრუნების სურვილი არ გამიკარებია ახლოს.

ასე იყო თუ ისე, ავედი და ავედი მწვერვალზე. იყო წუთები,

როცა ერთობ მიჭირდა წინსვლა. ხან კლდის შვერილი გადამეღობებოდა, ხანაც მყინვარის ენა, მაგრამ უკანდახევაზე ფიქრი არ გამივლია გუნებაში.

მაგრამ ასვლა ერთია, რომ ახვალ სადმე, იქიდან დაბრუნებაცაა საჭირო. თუ კი ვერ დაბრუნდები, გინდ ასულხარ და გინდ — არა. ამ აზრმა მხოლოდ მაშინ გამიელვა, ზედ მწვერვალზე რომ შევდექი და მუქ-ლურჯ ცაზე გაღვრილ მზის უკანასკნელ ნათელს შევაჭვდი თვალი.

უეცრად ცუდი რამ მიაზრა გონებამ და მსწრაფულ დავიწყე ძირს დაშვება, დავიწყე, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ზედ შუა თხემზე შემომაღამდა. ეს იყო სეირი.

იმ დღეს მართლა ვირწმუნე, რომ ბუნებაში თავისთავად არსებობს რაღაც სამართლიანობა და კანონზომიერება. ამის მაგალითად ჩემი ამბავიც კმაროდა. ხშირად მსმენია — „ღამე თეთრად გაათენაო“, მაგრამ ღამისთევაც ყოფილა და ღამისთევაც. მართლაც და, აბა როგორ შეედრება შინ, სითბოსა და მყუდროებაში ღამისთევა სადღაც მუხთალ მწვერვალზე, თოვლისა და მყინვარების საუფლოში, ათას მოჩვენებებსა და ლანდებთან ბრძოლასა და წვალებას? მითუმეტეს, როცა მოუმზადებელზე მოგიწევს გარეთ დარჩენა — უკარვოდ, საძილე ტომრის გარეშე.

„ცივ ღამისთევაზე“ საშინელება არც რა იქნება ალბათ მთამსველელისათვის იგი ნიშნავს სიკვდილს, საუკუნო აღსასრულს, ან უკეთეს შემთხვევაში — სხეულის მოყინვას, დახეიბრებას, დაკუტებას. არის ერთი სიმღერა „ცივ ღამისთევაზე“, სადაც გადმოცემულია გასაჭირში ჩავარდნილი ალპინისტის მოთქმა. აი, ეს სიმღერა:

Зачем не взял себе штормовку,
Палатку ударскую зачем не взял,
Попал я бедненький в холодную ночевку
И мороз косточки мои сковал.

საძილე ტომარა კი აბა საიდან მექნებოდა. არც უთოვლო დალაყორასავით „თბილი“ მწვერვალი იყო ეს ოხერი ვიატაუ. მართლაც საშინელი წუთები დამიდგა. ვერც წინ მივიწევდი, ვერც — უკან. სიცივე კი მხრებზე მაჯდა, სიცივე და შიში. მთელი სხეული შიშის გრძნობას მოეცვა. საცრისხელა თვალები ჰქონია შიშსა. უამრავი ავბედითი ფიქრი ასხია თურმე პანტასავით ამ იდუმალ გრძნობას. პანტა კი დაბლა ცვივა წამდაუწუმ და თავში, მხრებზე გეცემა, მთელს სხეულზე ეკლებად გესობა. ათასი უსიამო განცდა გეუფლება ადამიანს.

„კაციშვილმა არ იცის შენი ასავალ-დასავლისა. აბა ვის მოუვა გონებაში, რომ ვიატაუს კალთებზე იყინები? ვინ გამოჰყვება შენს ბატისფეხურ ნაკვალევს, ვინ მოგნახავს, თუკი აქ დარჩენა გიწერია სამუდამოდ? იქნებ მამა ბესარიონი მოგაგნებს ანდეთი, ან ამხანაგები მოგნახავენ? მაგრამ შენ რომ მათთან ერთი სიტყვაც არ დაგცდენია ვიატაუზე?" — ათასი ზმანება ენაცვლებოდა ერთურთს გონებაში.

„ან იქნებ სულაც შაშიშებმა გამოგიყენეს ამ მუხთალ გზებზე? შაშიშებს რამდენი სახელოვანი მონადირისათვის აუბნევიათ გზა-კვალი, შენი აყოლიება კი რაღაზე გაუჭირდებოდათ? — შენი, გინგლიანი, ერთი „მუხლმკვდარი ბალღისა?"

და ეს ეც შევურიგდი ღვთისგან წილხვედრილ განაჩენს. ვიწრო ბაქანზე ვეყუდე გახევებული და ავსულთა და ეშმაკთა ტარტალ-ლაყბობას მივუგდებდი ყურსა.

„დაბდერში შაშიშები დარიალებდნენ,
მძიეოსანნი,
თავეთ ზენი ჩამოეუხტაეთო,
რვალისანი,
ბაგეთ წყირები გაურკვიათო,
კვაოისანი,
— გარეთ ნუ გახვალ, შვილოსაო..."

ავბედითად ჩქამობდნენ მუქ-ნაცრისფერ სივრცეში მოხუცი მეზღაპრის ტუჩები. მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა ახლა ლოცვანის გახსენებას. შაშიშებმა რახანია გამომიყენეს საბედისწერო გზაზე და ახლა იმათ ვეღარსად წავუვიდოდი, ვეღარსად გავექცეოდი.

„უნდა გაუძლო, უნდა გამაგრდე როგორმე, თორემ უფსკრულებში გადაგჩეხავენ. მერე კი შენი სახსენებელიც აღარ იქნება ამ ქვეყანაზე, ვეღარავინ გაიგებს შენს ასავალ-დასავალს, სამუდამოდ მიიჩქმალება ალიკვალი, სამუდამოდ იდუმალებით მოცული დარჩება გაუგონარი ბიჭის აღსრულების ამბავი".

მაგრამ უფსკრულის საშიშროებისაგან რომც მეხსნა თავი, სიცივის მოძალებას როგორღა გავუმკლავდებოდი? რაღაც უნდა მეღონა, თორემ ერთი უგერგილო ქანდაკებაღა დარჩებოდა ჩემგან ვიატაუს უსიერ თხემზე. ბედად თეთრი მოხუცის სიტყვები გახმიანდნენ გონებაში. ერთხელ მასაც წამოსწეოდა გადასასვლელზე გამთოშავი ღამე, რომ არ გაყინულიყო ხელფეხის ქნევას მოჰყოლოდა. ალიონამდე „შინავორგილს" ბუქნავდა თურმე გამწარებული.

მეც მთელი სერიოზულობით შევუდექი ხტუნვასა და ხელების ქნე-

ვას. ერთი კვადრატული მეტრის თოვლიანი ბაქანი, ჩემს განმგებლობაში რომ აღმოჩნდა ისე გადავტკეპნე, მეასფალტეს შეშურდებოდა. ხანდახან, ამ ყოფაში რომ ვიყავი მუხთალი ძილი წამომეპარებოდა, ან დაღლილობა შემომაწვებოდა. ამ დროს თავი დაბლა მეწეოდა ხოლმე, დაბლა, მოუსავლეთისაკენ.

გასულ წელს ჩემი ბიძაშვილი, გამოცდილი მძღოლი გადაიჩეხა მესტიის გზაზე. მაგრამ ვიდრე ამ ამბავს გავიგებდით თავს იმით ვინუგეშებდით — იქნებ სადმე ახლობელ ქალაქში გაუხვია ზუგდიდიდან, ვინმე ნაცნობს და ამხანაგს ხათრი ვერ გაუტეხა და მანქანით გააცილაო. მაგრამ კვირისთავზე ავტობუსის მგზავრებმა ენგურის ნაპირზე გამორიყული ლეიბები ნახეს. ბიძაშვილს სწორედ ქვეშაგებელი უნდა ჩამოეტანა საავადმყოფოსათვის. მხოლოდ მაშინ დავასკვენით რომ ავბედითი შემთხვევის მსხვერპლი გამხდარიყო. როცა დავუყევით ენგურს ზღვისაკენ ვერც მანქანა ვნახეთ და ვერც მისი მძღოლი. თითქოს მიწამ ჩაყლაპა ორთავენიო. ბოლოს იმ ადგილსლა წავაწყდით, სადაც მანქანა გადაიჩეხა მდინარეში — ფართე, მშვიდობიან გზას მკრთალად აჩნდა მანქანის საბურავების მრუდე კვალი; იგი პირდაპირ უფსკრულისაკენ მიუყვებოდა გზის კიდურს.

უფროსებმა თქვეს მაშინ: ალბათ გზად ძილი წამოეპარა, თორემ აქ სამი მანქანაც კი აუვლიდა ერთმანეთს გვერდსაო. გვიმბრისა და სალიშის კლდეებს გამოსცდა და ამ ფართეზე რაღა გაუჭირდებოდაო.

— უნდა ემღერა, რახან მარტო იყო და ღამე მოდიოდა, უნდა ემღერა, — თქვა ყველაზე უფროსმა ტყინტულდ ხერგიანმა — ან გაჩერებულიყო, ალიონს დალოდებოდაო...

ვერ ვიპოვეთ ბიძაშვილი. ვერც იმისი მანქანის ასავალ-დასავალი უნახავთ სადმე, გარდა იმ საბედისწერო ნაკვალევისა, ენგურისაკენ რომ მიემართებოდა, ვეღარაფერს წავაწყდით. ალბათ ენგურმა ჩაიტანა ზღვაში თავის მძღოლიანად...

„უნდა ემღერა, რახან მარტო იყო, უნდა ემღერა...“ — გამახსენდა ხერგიანთა უფროსის ნათქვამი. ჰო და მეც არ დავაყოვნე. აკანკალებული ხმით წამოვიწყე:

„დალა კოჯას ხელღვაქალე, რერომა, რაშა...
ჩექან თხეროლ ხოყულპუნე, რერომა, რაშა...“

ნადირობის ქალღმერთ დალზე ვმღეროდი. შველა-დახმარებას შევთხოვდი. მეც იმის დღეში ვიყავი, სიკვდილი მითვალთვალებდა ყოველი მხრიდან. ამ სიმღერაში ნათქვამია, რომ მშობიარე ქალღმერთი

მამაცმა ნაბდისქუდიანმა იხსნა განსაცდელისაგან. მე კი, მე ვიღა ვამიწვდიდა დახმარების ხელს? ვინ მოიცლიდა ჩემთვის? მერე თეთრი მოხუცის ნათქვამი გამახსენდა — დალები ახლა გასაჭირში არიან, შენგან შველა-შეწევნას ელოდებიანო. თუ კი ასე იყო, თუ კი ასე უჭირდათ, მე რაბაირადღა მომეშველებოდნენ ისინი?

ლილეოც ვიმღერე, მზის საგალობელი ჰიმნი. შევთხოვდი ცასა და ქვეყანას — მალე ამოწვერილიყო მთათა მიღმიდან ოქროსფერი მნათობი, მოებნია თავისი მანუგეშებელი, თბილი სხივნათელი დედამიწისათვის. ირგვლივ გასუდრული წყვდიადი გაელალა ვიატაუს უჩინმაჩინის ბილიკებისა თუ ნადირთა წავარნებიდან. გაენათებინა ერთადერთი სიმშვიდობა გზა — დოლონარ მინდვრებისაკენ დაქანებული თოვლიანი თხემი, იქნებ მემარჯვა და უსაფრთხოზე გავსულიყავი როგორმე.

მას მერე ღრმადა მწამს:

— თუ გინდა იფხიზლო, თუ გინდა ძილმა არ წაგძლიოს, და უდროოდ არ მოგისწრაფოს აღსასრული, — იმღერე, იმღერე, იმღერე...

სიმღერა ერასოდეს ტოვებს ადამიანს, იგი მუდამჟამს მასთანაა... უჩინარი და საყვარელი მეგობარი. სიმღერები ადამიანებზე, ოქროსფერ მნათობებზე, მწვერვალებზე...

• •

მეორე დღეს ბეღურასავით აბურძგვნილი, აკანკალებული, კბილების კაწკაწით მიადგა ჭაბუკი ამხანაგებს. სასაცილო შესახედავი იყო. თვითონვე ეცინებოდა თავის თავზე, ყოველივე გარდახდენილზე; ეცინებოდა და რცხვენოდა. მწარედ განიცდიდა ყოველივეს.

• •

— მამამ და ბიძამ რომ გაიგეს ამის შესახებ, თქვეს — მაგისგან ძაცი არ დადგებაო. — მაგრამ პატიებით ყველამ მაპატია. მას მერე მსგავსი რამ არც ჩამიდენია. უკვე ბავშვი აღარ ვიყავი და მეტი მოშეთხოვებოდა. ბანაკის დირექტორი და უფროსი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩენზე. მეც უნდა გამემართლებინა ამ კეთილი ადამიანებისათვის...

• •

მიხეილმა იმავე წელს ბანაკის პირველობაზე კლდეზე ცოცვაში პირველი ადგილი დაიკავა. მერე კი ადილსუს ხეობის პაექრობაშიც იმარჯვა და საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ყირიმში, კრესტოვაია გორას ფერდობებზე ჩატარებულ კლდეზე მცოცავთა შეჯიბრზე შალიკო მარგიანთან ერთად წყვილთა სვლაში ჩემპიონობა მოიპოვა.

1951 წელი მართლაც რომ ბედნიერი გამოდგა მიხეილისათვის. იმ შემოდგომიდან მოყოლებული უბრალო, ერთი უთქმელი და თავმდაბალი ადამიანის ოქროს ნადავლი წლითიწლობით იზრდებოდა...

მიხეილის სახელი ცნობილი გახდა ქვეყნის ალპინისტურ წრეებში.

• •

იესავი წუთით შედგა. ეტყობა ყველაზე მეტად ეს შედარება ხეთქავდა გულზე, ლაღამელები რომ მოსძახოდნენ — მამა და შვილი, მამა და შვილიო. სისხლმოწოლილი თვალებით მოათვალიერა ხალხი და კვლავ გადააწიტა.

ამასობაში მიხეილმა დრო იხელთა, ლაჯებს შორის მოექცა, წელში მოკაკვულმა გვერდი ამოსდო მუცელზე, მერე უცბად წელში გაიმართა, მეტოქე მიწას მოსწყვიტა, ერთბაშად დაჰყვა მკლავებში მოსხმარტალე სხეულს და მოწინააღმდეგე საცოდავად დაასკდა მიწას, ტიკივით გაადინა ქახვანი.

მიხეილი უცბად აეცალა წაქცეულს, ნამეხარი ნაძვივით რომ გაშხლართულიყო მოედანზე და სირცხვილისაგან გაოგნებული და შეცბუნებული ადგომას ვერ ახერხებდა.

— მოგვერდი თუ გნებავთ, ეს იყო, ა, რა მოგვერდი უგდო ხომ დაინახეთ. — აჩოჩქოლდნენ ლაღამელები.

— აბა იქიდან ლაპარაკი შეწყდეს, ენამწარობა რა საკადრისია დააცადეთ დამშვიდებულზე იქიდაონ...

— მართალია, მართალია, ლიძეელბე[1] ნუ იქნება... თორემ მწარე ენა ვის არ გამოიყვანს მოთმინებიდან...

---

[1] მიდგომა.

ივსავს ცოტა გულზე მოეშვა. წამოიზლაზნა და კვლავ ჩაჰკიდა ხელი მოწინააღმდეგეს. ლაღამელებს უკვე იმედი მოეცათ და გაზუმდნენ. ნერვიულობისაგან ხანდისხან ულვაშებზე თუ გაისვამდნენ ხელს, ანდა ნაბდის ქუდს შემოიტრიალებდა ვინმე თავზე...

ლუხთაგ-სეტელებს ცუდი დღე ადგათ. არ სწყალობდათ დღეს ბედი და ყისმათი. რამდენიმე წამიც და მზის სხივებით შერუჟღული ღრუბლიანი ცისკიდური კვლავ შემოხაზა იესავის მოსხმარტალე ფეხებმა. იგი კვლავ გაიშოტა საჭიდაო მოედანზე.

პირველმა, შოხუცმა თამბიმ მოულოცა მიხეილს გამარჯვება. არავისი არ მოერიდა მუჯვრიან თამბის, არც თავისიანებისა და არც სირცხვილნაჭამი იესავისა. მივიდა მიხეილთან და გადაკოცნა — „ორი ჩემის ხნისა მოიყარე, შვილო“ — უთხრა.

ლაღამელთა ხივილი მოეფინა სოფელს. გამარჯვების ყიჟინა იდგა, კოშკები ყრუ ექოდ გადმოსცემდნენ ხალხის ბუბუნ-ჩოჩოლს.

თამბის მერე ხოშა ბაბა მივიდა გამარჯვებულთან. მან გოგონებისკენ გაიხედა.

— აარჩიე, რომელიც გინდა. სიტყვა-სიტყვით... — მახვშის სახე თბილმა ღიმილმა დასერა.

გოგონები ჩიტების გუნდივით აიშალნენ და სიცილ-კისკისით შეცვივდნენ მაცხოვრის ეზოში.

დღესასწაულის ცილაობა-შეჯიბრი დამთავრდა. ახლა პურისჭამა და არყის სმა დაიწყებოდა. მოზეიმე ხალხს ღმერთი უნდა ედიდებინა, ლომის ხეობის ხატ-საყდრები დაელოცა.

შეკრებილთ მაცხოვრის გალავანში ხოშა ბაბა შეუძღვა. მან პირველმა დაიჩოქა, ხელები ზეალმართა და ეკლესიის თაღანზე გამოსახულ ჯვარზე თვალმიპყრობილმა ბებრული ხმით ჰღაღადყო:

— წმინდაო მაცხოვარო, ლაღამისაო, გეაჯებით და გვედრებთ თაყვანისმცემელნი და მონანი შენნი — გვიმრავლეთ საქონელი და ფრინველი შინაურ-გარეული, გვიმრავლე ხვავი და ბარაქა ბეღლებსა და კიდობნებში, თივა და ჩალა საბძელსა და ლაფაროებში, და კიდევ შეგთხოვთ — მშვიდობის წელი მოუვლინე ერთიან ლომის ხეობას, ლაღამს და ლანჩვალს, სეტსა და ლახთაგს, შგედსა და სპარდიშს, მშვიდობა დიდსა და პატარას, ძეხორციელს ყოველს, ხოლო შიმშილი და გადაშეხება აუგიანსა და მოღალატეს, ქურდსა და კუდიანს, ავსულს, მათი შვილებისა და შვილთაშვილების ჩაურეველადა... ამინ!!!

— ამინ... ამინ... ამინ... — დაიბუბუნა მუხლმოყრილმა ხალხმა.

— ამინ... ამინ... — დაიგუგუნეს ლომის ხეობის უტყვმა ვაჟკაცებმა, ღამის ბინდ-ბუნდში გაუჩინარებულმა ნატყვიარმა მურყვამებმა.

— ამი... ამიიინ... — დააბურთავეს მთიელთა ღაღადისი სეტ-მესტიას შემოჯარულმა თეთრნაბდისქუდიანებმა — უშბამ, თეთნულდმა და ლაილამ, ბანგურიანმა, დალაყორამ და ჩათინმა.

ადამიანები, მთები და მურყვამები ყველანი ერთიანის ძალით ეველრებოდნენ მამაზეციერს, არსთგანმრიგეს, მზიანი დღეები მოევლინებინა ყანა-სათიბებისათვის, ტყე-ახოებისათვის, წავარნა-ბილიკებისა და წარაფებისათვის... ყოვლისშემძლე, ყოვლისშემქმნელი და ყოვლისმომცველი იყო მათი ერთიანი ლოცვა-ღაღადისი, მათი ველრება და აჯა ცად, ვარსკვლავებსა და ღმერთთან აღვლენილი...

გზა მწვერვალებისაკენ...

— ლაღამი ზეიმობდა ჯგვიბში გამარჯვებას. ბეც მილოცავდნენ წარმატებას. ბევრი ისეთი ცნობისმოყვარეობით აღვსილი მათვალიერებდა და შემომცქეროდა თითქოს პირველად მხედავდა. ეტყობა, ზოგიერთს ჩემს მოხერხებულობასა და მოქნილობაში ეჭვი ეპარებოდა. ნათლისვეტზე აცოცება კიდევ არაფერი, მაგრამ ჭიდაობაც თუ გეხერხებოდა, ამას კი ვერ წარმოვიდგენდიო — პირში მეუბნებოდნენ ისინი. მე კი ხმა ვერ ამომეღო, მხოლოდღა მხრებს ვიჩეჩავდი.

გულს არ ეკარებოდა რატომღაც ეს საერთო მხიარულება, რომლის დამკვიდრებაში მეც მიმიძღოდა წვლილი. თავიდან ვერც გავრკვეულიყავი, რაში იყო საქმე, მაინც რა მქონდა ასეთი სადარდებელი და სანაღვლო, კრიჭა რომ ვერ გამეხსნა.

ამხანაგებიც შემნიშნავდნენ, — ჰეი, მინაან, გამოფხიზლდი, გამოისედე ერთი რა ერიამული და მხიარულება სუფევსო. ისინი გოგოებისაკენ მახედებდნენ, რომლებიც ჩვენს დაჟინებულ მზერაზე შუბლს იკრავდნენ, თოფნაკრაკებივით შეტრიალდებოდნენ და დამორცხვების ნიშნად ნიკაპთან მოკრულ თავსაფრის ტოტებს აიფარებდნენ სახეზე.

მაგრამ მაინც ვერ მოვედი გუნებაზე. გული კვლავ დამძიმებული მქონდა. იმ ღამეს შინაც მოწყენილი ვიყავი. ჩვენები გახარებულნი, სიამაყით აღვსილნი შემომცქეროდნენ „ჯგვიბის რაინდს", და-ძმებმა აღარც კი იცოდნენ რითი ესიამოვნებინათ ჩემთვის. სადღესასწაულოდ მორთმეული ვაშლი და ჩირი შესაცუცქნად რომ ვერ გაემეტე-

ბინათ და საგულდაგულოდ გადაეშალათ თავთავიანთ სახუნდარებში. ახლა გამოაჩინეს და მე მომიტანეს: ჩვენ საკმაოდ გვახელით, ახლა შენც ჩაიტკბარუნე პირიო...

— მეც მაძღარი ვარ, — ჯგვიბში მაჭამეს-მეთქი — ეუარობდი, მაგრამ ვინ დამიჯერა. არა, უნდა გასინჯო, დაღლილზე გუნებას დაგიწმინდავსო — მეხვეწებოდნენ ყველანი.

— მაშინ ყველამ ერთად ვჭამოთ-მეთქი... — შევთავაზე მე.

— აი, ჩვენ რამდენი ვჭამეთ... — მუცელზე დაიტყაპუნეს ხელი პატარებმა — მეტი ვეღარც ჩაგვეტევაო...

— ჰეი თქვენა, სამკუჭიანები რომ ვართ ის ხომ არ დაგავიწყდათ? აბა კარგად ჩაიხედეთ შიგნით, არსად პატარა ადგილი არ გეგულებათ ერთი-ორი ლუკმის დასატევარი? ერთი ჩაიხედეთ, აბა...

დიდებმა გაიცინეს... ბავშვები დაფიქრდნენ. მერე მუცელზე ღაიხედეს.

— ჰო, მე აღმოვაჩინე ცარიელი ადგილი, აქა — მარცხენა მხარეს მოიტყაპუნა ხელი ანუარმა.

— მეცა, აი მეცა... აყვირდნენ სხვებიც.

— ჰო და ძალიანაც კარგი, მოდით ახლა და შეკუდგეთ ქეიფსა... — შევთავაზე უმცროსებს.

მოცვივდნენ, ირგვლივ ჩამომისხდნენ. მთელი ჩვენი ქონება თანაბრად დაეუნაწილე, ჩემთვისაც დავირჩინე ცოტა რამ.

— არა, შენ ყველაზე პატარა შეგხვდა, — შენიშნა ნათელამ — ასე როგორ შეიძლება...

— ასე არ გვინდა, ასე არ გვინდა... — ახმაურდნენ სხვებიც.

ყველამ უკანვე ჩამოდო თავისი წილი.

ნათელამ მთხოვა ხელახლა გამენაწილებინა ხილი.

რაღა გაეწყობოდა, ასეც მოვიქეცი.

უფროსები თვალგაშტერებული შემოგვცქეროდნენ. დედა მამულს გულიანად ეცინებოდა — ახლაც იტყვი, სამკუჭიანები არა ვართო? — ნიშნისმოგებით ეუბნებოდა იგი ბესარიონს — ამ ციცქნა ბავშვებსაც კი აღმოაჩნდათ სამ-სამი კუჭი...

მამულის სიტყვები მამაჩემს აბრაზებდა, მაგრამ ვეღარაფერს ამბობდა, ჩვენზე კი მოსდიოდა ალბათ გული — თქვე შავბნელებო, ამ ქალთან რაღაზე შემარცხვინეთ მე და ჩემი გვარიო.

ახალი განაწილებით ყველა კმაყოფილი დარჩა, ოღონდ პირის ჩატკბარუნებას რატომღაც არც ერთი არ აპირებდა.

— მე შევინახავ ჩემს წილს, კარგი? შენ ხომ არ გეწყინება, მინა-ან? — მითხრა ბოლოს ანვარმა.

— მეცა, რა? — გადახედა უფროს ძმას ნათელამ — მეც შევინახავ ხვალისათვის?

სხვებიც მათ აჰყვნენ — ჩვენც ხვალისათვის შევინახავთო.

— აი, არ ჩამეტევა თორემ ამაზე უარს ვინ იტყოდა... — გაიბ-რიქა წელში ანვარი.

სხვებმაც გამობეოეს მუცელი. — ჩვენც მაგ დღეში ვართო.

— აბა მესამე კუჭი ცარიელიაო, რომ ამბობდით?

— შეგვეშალა, ის საპნის ბუშტი ყოფილა, ჩვენ კუჭი გვეგონა... — თქვა ნათელამ.

იმის ნათქვამზე უფროსებს კვლავ წასკდათ სიცილი. მეტადრე ბესარიონმა გაიხარა:

— ჰა, ისევ იტყვი, სამკუჭიანები ხართო? — გამარჯვებულის იე-რით გადახედა მან მამულს.

ბავშვებმა მოხვეტეს თავ-თავისი წილი და წავიდ-წამოვიდნენ — ზოგი სამზად ოთახში გავიდა, ზოგი დარბაზში შებრახუნდა, ზოგმაც ლაფაროში შეინახა თავისი ვაშლები.

მე მართლაც გადამეწმინდა გუნება იმათთან საუბარში, ხოლო ჩემი მოღუშულობისა და უგუნებობის მიზეზს მხოლოდღა შუალამი-სას მივხვდი — უცნაური სიზმარი ვნახე. ერთი ჭაღაროსანი, გაძვალ-ტყავებული მოხუცი დამესიზმრა. მე და იგი თოვლის გუნდების და-კუმშვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს ლამპრობის დღესასწაული იყო და ლამარიის ეზოში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ჩვენს პაექრობას უყურებდნენ ისინი. მოხუცი მოცახცახე ლაჯებს შორის მოიქცევდა მუშტებში ჩაბღუჯულ თოვლის გუნდას და ისეთ ძალას ატანდა, სულ კისრის ძარღვები ებერებოდა. თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევ-და, გამარჯვების ჟინს აღენთო მისი ბებრული სხეული.

მეც ერთ გაწამაწიაში ვიყავი, ოღონდ ლაჯებს არ ვიშველიებდი გუნდების დაკუმშვისას; მოხუცს ემს გუნდას ვუყენებდი თოვლის გარდში[1], რადგანაც უმცროსი ვიყავი, მაგრამ მაინც იმისი გუნდა იფშხვნებოდა. რა საცოდავი შესახედავი იყო ამ დროს მოხუცი, სირცხვილის ალმური მოსდებოდა მთელს სახეზე ხშირ, ჭაღარა წვერზე, შუბლსა და ღაწვებზე სიმწრის ოფლი ადგა. მე კი მიხარო-და გამარჯვება და ვხარხარებდი, ხმამაღლა ვხარხარებდი. უტიფრად

---

[1] (სვ) — ღრმო.

შევციცინებდი მოხუცს თვალებში და ნიშნისმოგებით ვუყვიროდი — ჰა, შე ბებერო, ხო დაგამარცხე!...

ასეთი უსიამო სიზმარი ჯერ არ მენახა. რომ გამოვერკვიე გამიხარდა — ყოველივე მოჩვენება იყო და მეტი არაფერი. მაგრამ უცნაური რამ კი მოხდა იმ წუთში: უეცრად რატომღაც წუხანდელი ჩემი მეტოქე, სახენაიარევი იესავი გამახსენდა, ორჯერ რომ დავანარცხე მიწაზე და იმ მოყაყანე ხალხში, ეკლესიის კედელთან ჩამწკრივებული გოგოების წინაშე თავი მოვეჭერი, თავმოყვარეობა და კაცობა შევურცხვინე. იქნებ მისმა გულისსწორმაც მოჰკრა თვალი მოედანზე სადირე მორივით გაშხლართულ იესავს? მოჰკრა თვალი და სამუდამოდ აიყარა გული მასზე?

რას ვერჩოდი მაინც?

იგი ხომ ჩემზე ხნიერიც იყო, ჩემზე გაცილებით უფროსი!

რანაირი ამხანაგურიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი პაექრობა მაინც ხომ ეწყინებოდა?

მაინც ხომ დასწყდებოდა გული?

რა მქონდა გასაყოფი იესავთან?

გასაყოფი და საცილო? კარგი იყო თუ ცუდი, მე რაღაში მეკითხებოდა, მე რომელი მეცამეტე გოჭი ვიყავი, რომელი მართლმსაჯული, რომ იგი, ჩემთვის უცხო ადამიანი, აგრერიგად დამესაჯა, ქვეყნის სათრიკო გამეხადა?

იმ წუთში მივხვდი რომ ჩემთვის უცხო გზას ვადექი. ჭიდაობა სვანეთში დიდი სიყვარულით სარგებლობდა, მაგრამ ჩემს ხასიათს რომ არ უდგებოდა? ისედაც ხშირად გულს მტკენდა ხოლმე, სხვისი დამარცხება, უზღვავი ხალხის წინაშე მებურგიელის ხალიჩაზე დახეთქება.

იმ წელს რაიონის ჩემპიონობა რომ მოვიპოვე ქართული ჭიდაობაში, საბოლოოდ დავრწმუნდი ამ ეჭვის სიმართლეში მოწინააღმდეგის დაჯაბნა არავითარ სიამოვნებას არ მანიჭებდა. სიამოვნებას კი არა, უფრო გულს დამწყვეტდა ხოლმე — თანატოლის წინაშე შინაგანად დამნაშავეედაც კი ვგრძნობდი თავს. მოჭიდავე ხომ გამარჯვების რწმენით გამოდის ხალიჩაზე და თუ ვერ ივარგა მხოლოდ თავის თავს უნდა დააბრალოს. მე მაინც ყოველთვის საყვედურებით ვავსებდი ჩემს თავს — შენსავით რომ ვერ ჭიდაობს იმაზე უნდა დაჩაგრო?

რაღაში გეკითხება შენ მისი ამბავი — ჭიდაობს თუ ვერ ჭიდაობს?

იმავე წელს თბილისში წაგვიყვანეს რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, მაგრამ გზაში გამოვეპარე და უკან, მესტიაში დავბრუნდი. როცა ჩემს

საქციელზე პასუხი მომთხოვეს უფროსებმა, მე სახედარივით ჩამოვ-ჭინდრე თავი და ხმა არ ამომიღია. ჩემი ახსნა-განმარტებანი მათთვის გაუგებარი და სასაცილო იქნებოდა, ის კი არა, შესაძლებელია სი-სულელედაც კი მიეჩნიათ ყოველივე. ასე რომ მათს წინაშე თავს ვერ გავიმართლებდი, ამიტომაც დუმილი ვარჩიე. ხმას არ ვიღებდი.

იმათთვის კი არა, მამაჩემისთვისაც კი არ გამინდვია გუნდიდან გაქცევის ნამდვილი მიზეზი, მამაჩემისთვის, რომელიც გაოგნებუ-ლი და შეცბუნებული იყო ჩემი უგვანო საქციელით.

„როგორ, ხალხი თავს იკლავს თბილისში წყალგაზზე, შენ კი უკან გამოიქეცი. სულელისა და ბრიყვის მეტი ვინ გააკეთებდა ამას? რა ვიცი, იქნებ ბედს გაემართლებინა და იქაც გემარჯვა ფალავნობაში, მერე კიდევ გემარჯვა და სასახელო კაცი გამოსულიყავი, სასახელო და საამაყო. ესეც რომ არ იყოს, ქალაქს მაინც ნახავდი, ათასი საოც-რებითა და მომხიბლაობით აღსავსე ქვეყანას... შენ კი სულელურად მოიქეცი...“ — ხელებს სავსავითა და მხრების ჩეჩვით ამბობდა ამ სიტყვებს მამაჩემი.

მე კიდევ უფრო განმიმტკიცდა მთებში წასვლის სურვილი. ხალ-ჩა არა და არ მიტაცებდა, შენი თანატოლის, შეიძლება უფრო სუს-ტის, შეიძლება მოუქნელისა და მოუხერხებლის დაჯაბნვა და „ჭკუის სწავლება“ და ამით მოჩოჩქოლე ხალხის თვალში სახელის მოხვეჭა, არავითარ სიამოვნების გრძნობას არ ბადებდა ჩემში. არა, არ იყო ეს ხელობა საჩემო საქმე... თვალწინ თოვლიანი მთები მირიალებდ-ნენ, მთები სპეტაკნი, ამაყნი და თვალშეუვალნი.

„მაგრამ იქაც რომ ისეთივე შეჯიბრებაა, როგორიც აქ, სპორტ-დარბაზებსა და სოფლის კლუბების საჭიდაო ხალიჩებზეა? — წა-მოტივტივდებოდა ხანდახან გონების სიღრმიდან მწვალებლური ეჭ-ვი — რაღა იქ მიგიხარია ასე?“

მერე მივხვდი, მართალია მთა[illegible]ც შეჯიბრება იყო, მაგრამ არა თანატოლებთან, არამედ მთებთან, მწვერვალებთან, ცისიურ უგრძ-ნობელ „ადამიანებთან“.

ალბათ ძეხორციელი რომ გაჩნდება, იმის არსებაში იმთავითვე არის მოცემული ბრძოლის, შერკინების ჟინი, ჩვენი არსებობისათვის ეგზომ აუცილებელი გრძნობა. ჰო და მეც ვნახე ჩემი გზა, გზა — მწვერვალებისაკენ...

დავაქაცება

მიხეილის სახელი თანდათან ცნობილ ხდებოდა... იგი შედარებით ახალი მოსული იყო მთამსვლელობაში, მაგრამ უეცარმა წარმატებებმა უცბად აამაღლა ყველას თვალში. უკვე არავინ არ თაკილობდა მასთან შეამხანაგებას. მან ისეთი მთამსვლელური გული და ხასიათი უჩვენა უფროსი თაობის ცნობილ ალპინისტებს რომ ყველანი გაოცებაში მოიყვანა.

მთამსვლელისათვის აუჩქარებლობა, სიდინჯე და სიდარბაისლე აუცილებელი იყო. ეს თვისებები კი იმთავითვე აღმოაჩნდა მიხეილს. მთიელის ბუნება და მოვლენებისადმი მიდგომა სხვანაირი არც შეიძლება ყოფილიყო. მისი წინაპრები ყველანი დინჯი, სერიოზული ადამიანები იყვნენ. მიხეილის ძარღვებშიაც თეთრი მოხუცისა და მამამისის, ბექნესა და გაბრიელის სისხლი სჩქეფდა. სიდინჯე და სიდარბაისლე თავდაპირველად ბავშვურ სიანცესა და დაუდგრომლობასთან ერთად განივთებულიყო მის სხეულში, ვიდრე ახალბედა და ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო სამთამსვლელო საქმეში ეს პირველი თვისება სკაბნიდა მეორეს, ხოლო როცა ღინღლი მამაკაცურ ულვაშებში გადაეზარდა, როცა პირველად შეაწუხა თავის საქციელზე პასუხისმგებლობის გრძნობამ და როცა პირველი წარმატების სიხარულის გრძნობა განიცადა. მეორემ, აქამდე მიყუჩებულმა და მიჩქმალულმა თვისებამ აღიმაღლა ხმა. აღიმაღლა და მისი არსებიდან განდევნა ის პირველი — ბავშვური.

ადრინდელი უმწიფრობანი და სისულელეები თანდათან განქარდნენ მისი არსება-გრძნობიდან. და ახლა, როცა მიხეილზე ლაპარაკობდნენ მისი კოლეგები, პირველ რიგში მის სიდინჯესა და სიდარბაისლეს აღნიშნავდნენ.

მთამსვლელისათვის აუცილებელი იყო აგრეთვე მომთხოვნელობა ჯგუფის წევრების მიმართ, საქმის პრინციპულად, ბოლომდე მიყოლა. მაგრამ ამაზე ჯერ ადრე იყო ლაპარაკი ეს თვისებები მეტადრე უკვე სპორტის ოსტატის ნორმატივის მქონეთ სჭირდებოდათ, როცა მათ უფლება ეძლეოდათ შედარებით რთული, დამოუკიდებელი მთამსვლელური ლაშქრობის ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციისა. მიხეილი კი ჯერ საამისოდ ზედმეტად „ახალგაზრდა" იყო.

მაგრამ მალე ამისი დროც მოვიდოდა...

1

2

3



4

5

6

7

8



9

10

11

12

13

14

15

16

17

18

19

20

21



22

23

24

25

26

27

28

29

30

31





32

33

34

35

36



37

38

39

40

41

42

43

* *

„მიხეილ ხერგიანი უეჭველად განუმეორებელი, მოვლენაა არა მარტო საბჭოთა ალპინიზმში, არამედ საერთაშორისო მთამსვლელობის ისტორიაშიც.

მარტოოდენ „უშბის სარკის" დამორჩილება რომ გავიხსენოთ, ისიც კი საკმარისია ერთი ადამიანის უკვდავებისათვის. ეს ასვლა ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის გაბედულებად უნდა ჩაითვალოს. ხოლო მისი ორგზის შედგომა კომუნიზმის პიკზე — საბჭოთა კავშირის უმაღლეს მწვერვალზე? ანდა მიხეილის სამაშველო საქმიანობა? როცა იგი ბეწვის ხიდზე გადიოდა რათა უცნობი ადამიანის სიცოცხლე ეხსნა საფრთხისაგან?

გავიხსენოთ აგრეთვე მიხეილის ხელმძღვანელობით ორმოცდახუთკაციანი ძლევამოსილი მსვლელობა უშბაზე — სვანეთის წმიდათაწმიდა მურყვამზე? როცა მან შესანიშნავი ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოამჟღავნა?

მიხეილის, ამ შესანიშნავი ადამიანის სპორტული ბიოგრაფია, ფიზიკური და სპეციალური მომზადების თავისებური სისტემა, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, ბოლოს კი მისი ადამიანური თვისებები ერთობ საინტერესო და ჭკუისსასწავლებელია ყველასათვის..."

ი. იარკინი

საბჭოთა კავშირის სპორტის
დამსახურებული ოსტატი.

— მაინც რაა იმაში უჩვეულო და უცნაური ი.მ.შ.თ.-ს ვარჯიშების ნაცვლად საიერიშოდ მზადებისას მამაჩემს თუ ვეხმარები მორების, და შეშის მოზიდვაში ცაიდერის ტყიდან? ანდა ენგურის რიყეზე ქვას თუ ვამზადებდი სახლის ნშენებლობისათვის?

ჩვენ ხომ ისევ ძველისძველ სვანურ მაჩუბში ვცხოვრობთ, რომელიც უკვე რამდენი ხანია მიატოვეს სვანებმა...

მუშები რაღაზე უნდა დავიქირაოთ მე და მამაჩემმა, ანუარმა და ბექამ ქვის მოგროვებაზე? თავად ჩვენაც ხომ შეგვიძლია ეს საქმე გავაკეთოთ? ესეც რომ არ იყოს, ხომ იტყვიან ჩვენებურები — მინაანი გადიდკაცდა, მუშაობას თაკილობსო. ვიცი, ნამდვილად ასე იტყვიან, იმიტომ, რომ „გადიდკაცებულები" საკმაოდ მომრავლდნენ

ყველგან — უსაქმურობისა და ფუფუნებისაგან, იოლი არსებობისაგან თავგასულები, მუცელქონიანი ხალხი — საუკუნოდ რომ მიატოვეს ფიზიკური საქმიანობა.

იმათზე თუ ამბობენ — გადიდკაცდნენო, ჩემზე რად ვერ იტყვიან ვითომ?

ჩემი რაღაზე მოერიდებათ?

და არის კიდევ სხვა გარემოება — სვანი და საერთოდ მთიელი კაცი ჰუშაობას რომ გადაეჩვევა იმაზე დაღუპული ადამიანი მეორე აღარ იქნება ქვეყანაზე.

ეს აზრი უფროსებისგანაც ხშირად მსმენია და მე თვითონაც კარგად ვიცი რომ ასეა.

მთიელი ხომ ბავშვობიდანვე მოუსვენარი ცხოვრებით ცხოვრობს, ბევრს მოძრაობს, უამრავ ენერგიას ხარჯავს, რაც, ბუნებრივია, მალევე აღიდგინება სხეულის მიერ. შიღება-მონელების პროცესი გაცხოველებულია ორგანიზმში. ხოლო როცა იგი მთას მიატოვებს, ანდა მოძრაობასა და შრომას მოუკლებს საოცრად ჩიავდება, სუქდება, ჯირგვდება, მატულობს წონაში, რადგანაც სხეულში უკვე წინანდებურად აღარ ხდება ენერგიის განთავისუფლება. ბოლოს ადამიანი ტიკიტომარას ემსგავსება, თავის პირვანდელ სახეს კარგავს. ყოფილა შემთხვევა სოფლიდან რამდენიმე წლის წასული კაცი მეზობელ-ნათესავებსაც ველარ უცვნიათ.

ჰო და მეც ვმუშაობდი, როცა ამისი შესაძლებლობა მეძლეოდა ხოლმე. მერედა რა სჯობდა ამხანაგებში, თანასოფლელ მხვნელ-მთესველებში ყარევას, იმათთან საუბარსა და სიმღერას.

ერთხელ იყო, რიყეში საქვიშე ორმოს ვთხრიდი, შუადღე იქნებოდა მამაჩემი რომ გამომეცხადა და საყვედურით ჩამომძახა:

— გაანებე ახლავე თავი ბაჩრე ლიბურკაალს,[1] საფრანგეთისათვის თუ ემზადები, წესიერად მოემზადე, სახლში შენი ღახმარების გარეშეც გავალთ როგორმეო...

— რა იყო, მამა. აკი დილას შენ თვითონ გამომისტუმრე სამუშაოდ? — გაოცებულმა ავხედე მამაჩემს.

— რა იყო? როგორ თუ რა იყო! მთელი სოფელი შემომსევია — შენი შვილი საფრანგეთშია წასასვლელი შეჯიბრებებზე და უნდა მოემზადოს როგორც წესი და რიგია. შენ კი საშველს არ აძლევ, ხან საქონლის ჩამოსარეკად დაგყავს, ხანაც სათიბეს აღობინებ, ახ-

---

[1] (სვ.) ქვების ჯაჯგურს.

ლა კი რიყეში გაისტუმრე, რა უნდა ივარჯიშოს მანდ, ლოდების ჯაჯგურისაგან რა კარგი დღე მაგას დაადგებაო?...

ეს ამბავი 1967 წლის ზაფხულში მოხდა. მე იმ პერიოდში მთელის გულმოდგინებით ვემზადებოდი მსოფლიოს ცნობილი მთამსვლელების შეკრებისათვის, რომელიც მონბლანის მისადგომებთან, საფრანგეთის ქალაქ შამონში უნდა ჩატარებულიყო. აქ ჩემს გარდა საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას მიიღებდა სლავა ონიშჩენკო, ჩემი ძველი მეგობარი, შესანიშნავი მთამსვლელი...

კარგად მახსოვს, იმ საღამოს მართლაც მოვიდნენ მეზობლები ჩვენთან სახლში და დაბეჯითებით განმიცხადეს — თუ მშენებლობის ამბავი ასე გედარდება, ჩვენ გვიმსახურე, შენ კი გაანებე ლოდებთან ბრძოლას თავი და როგორც წესი და რიგია ისე მოემზადე შეჯიბრებისათვის, თორემ იქ რომ მისავათებული ჩახვიდე და საქმეში ველარ გამოღგე, ჩვენი სირცხვილიც ხომ იქნებაო...

მე ავუხსენი — ამაზე უკეთესი ვარჯიში რა უნდა იყოს, სხეული ყოველ მხრივ დატვირთულია, ათასნაირ მოძრაობას განიცდის, მთამსელელსაც მეტი რაღა სჭირდება-მეთქი. ასეთი იყო ლაშქრობისათვის ჩემეული მომზადების „სისტემა", რაზედაც ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ხოლმე. არაფერი მანდ უცნაური და რთული არ არის. მისი არსი ორი სიტყვით გამოიხატება — „მუშაობა, ფიზიკური მუშაობა". მართლაც სად შეიძლება გავარჯიშდეს ისე კარგად ადამიანი როგორც სათოხნზე, ქვის მოგროვებასა თუ შეშის დამზადებაზე?

იმ წელს კი რიყეზე „ლიბუურკაალს" უნაყოფოდ არ ჩაუვლია, არც თანასოფლელები შემირცხვენია. მე და სლავამ საფრანგეთში მაინცდამაინც ურიგოდ არ ვიარეთ, თუმცა ამაზე შეიძლება უფრო ვრცლად ილაპარაკოს კაცმა.

* *

— 1967 წელს შამონში, საფრანგეთის მაღალმთიანეთში ოცდათამდე ქვეყნის უძლიერესი მთამსვლელი შეიკრიბა. ყველაზე დიდ პატივის-ცემაში მაინც ნეპალელი შერპი, თენსინგის ძმისწული გომბუ იყო. იგი ორჯერ გახდა მსოფლიოს „უმაღლესი" ადამიანი. გომბუ 1955 წელს ინდოელებთან ერთად ავიდა ჯომოლუნგმაზე, მერე კი ამერიკელებთან ერთად იზეიმა ცადაჭრილ გოლიათზე გამარჯვების სიხარული.

იგი ხალისიანად უყვებოდა ცნობისმოყვარე ხალხს, კანჩეჯანლაზე

მისი და ამერიკელი თანამეწყვილის და ექსპედიციის ხელმძღვანელის უიტაკერის ასვლის ამბავს.

— გომბუ, მიდი პირველი, შენ აქაური ხარ, ამ მიწის მკვიდრი, უფრო გეკუთვნის — უთქვამს მისთვის ამერიკელ კოლეგას მწვერვალზე გასვლის წინ.

ზრდილობიან მთიელს იმის სიტყვებზე მადლიერების გრძნობით გაუღიმია და უარის ნიშნად თავი გადაუქნევია:

— ჩვენ თავიდან ერთ თოკში ჩაბმულნი მხარდამხარ მოვიწევდით მაღლა, და აი, ხედავ, აქ, იმხელა ადგილია ორივე თავისუფლად დაეტევით... — უპასუხნია გომბუს.

და ასე ხელიხელ გადახვეულნი გასულან ბექობზე და ერთდროულად შემდგარან მწვერვალზე. უიტაკერს სურათი გადაუღია გომბუსათვის. მერე აპარატი მოუმართავს და შერპისათვის გადაუცია, იმასაც თავმომწონედ დაუჩხაკუნებია იგი. მერე უიტაკერს ამერიკის დროშა აღუმართავს მწვერვალზე, ხოლო გომბუს თენსინგის გამოტანებული მაშხალა დაუნთია.

ერთი სიტყვით, გომბუ ცნობისმოყვარე ტურისტებისათვის, რომლებიც მრავლად იყვნენ შამონში, უძვირფასეს „ექსპონატს" წარმოადგენდა.

• •

— მთამსვლელთა შეკრება სხვა შეჯიბრებებს სულაც არა ჰგავს. მსაჯობას ჩვენთან ძირითადად საათები სწევენ, რომლებიც ბანაკიდან, ან ღამისსათევიდან გასვლისას ჩაირთვებიან და აგრეთვე მწვერვალიდან ჩამოხსნილი წინა ჯგუფის დატოვებული წერილი — ანდერძი, რომლის წარდგენა ისევე აუცილებელია, როგორც სტუდენტისათვის პირადობის მოწმობის ჩვენება შეღავათიან სამგზავრო ბილეთის შეძენისას.

ვინც ყველაზე ნაკლებ დროში დაიპყრობს მწვერვალს, გამარჯვებულიც იგია.

გზა მწვერვალისაკენ თავად უნდა აირჩიოს მთამსვლელმა. ოღონდ ძირითად მარშრუტს ნუ გადაუხვევს და სხვა მხრივ შეუძლია თავის ნება-სურვილზე იაროს... საკუთარი გუმანითა და ანდეთი შეარჩიოს უმოკლესი, უსაშიშრო მისადგომები, ქვათაცვენისა და ზვავებისაგან დაზღვეული ადგილები...

მალე შეკრების მონაწილეებს გამოგვიცხადეს, რომ ჯგუფებს სრული თავისუფლება ეძლეოდათ მწვერვალებისა და მარშრუტების შერჩევაში, აგრეთვე ტრასაზე გასვლის არჩევანში...

მე და სლავა მშვენიერ გუნებაზე ვართ. ამაში მთავარი „დამნაშავეᲘ“ ფრანგული ამინდია, რომლის დარიც იშვიათად შემხვედრია ლაშქრობისას. რაც მთავარია, ტანში ისეთ სიმსუბუქეს ვგრძნობდით, რომ თუნდაც ათას მთას გადავივლიდით შეუსვენებლივ. ახლა ჩვენც უნდა გადაგვეწყვიტა — რომელი მწვერვალისათვის შეგვეტია. მწვერვალები ალპებში ბლომად არის. მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს — „თხა თხაზე ნაკლებიო“... ყველა რთულ მწვერვალებს ეტანებოდა და ჩვენც რაღა სხვაზე ნაკლები ვიყავით.

— მოდი, გრანდ-ჟორასზე ვცადოთ, — ვეუბნები სლავას — სირთულეს რომ შევეშვათ, ისედაც კარგად ჟღერს ეს სახელი — „გრანდ-ჟორასი“.

სლავა თანახმაა — შენი ჰმალი და ჩემი კისერიო — მეუბნება. მაშ ასე — გადაწყდა — გრანდ-ჟორასი!

უკანასკნელ სამ წელიწადში გრანდ-ჟორასის ჩრდილოეთ კედელს არავინ გაჰკარებია, მისი თოვლიან-ყინულიანი ფერდობების ძნელადმისადგომობის გამო. მაგრამ ამ შეკრებაზე ყველა ცდილობს თავის ვამოჩენას, რაც ბუნებრივია; ყველას უნდა სენსაცია მოახდინოს, ისე, ვინმეს გაკვირვება შეუძლებელია.

და აი, ვილაც-ვილაცეებს მოუშურებიათ კიდეც მწვერვალისათვის — ჩრდილოეთის კედელზე უშველებელი რიგი დგას.

ჩვენც ჩავეწერეთ რიგში. მერე მთის ტრამვაით კედლის ძირას მდებარე მესიმაღლეთა ქოხისაკენ გავეშურეთ.

ქოხში ერთი აურზაურია. ყველა წასასვლელად იწევს და არავინ კი არ მიდის.

ესპანელები კარგა ხნის გასულები არიან ტრასაზე, პოლონელები, ჩეხები და იაპონელები სხედან. იაპონელებს ამხანაგი მოსწყდომიათ კედელზე და უკან გამობრუნებულან, მაგრამ როგორც ეს მამაც ხალხს სჩვევია, იხტიბარს არ იტეხენ, ელოდებიან, როდის გამომჯობინდება მათი მსუბუქად დაშავებული ამხანაგი, რომ ხელახლა შეუტიონ კედელს.

ცოტა ხნის მერე პოლონელები გადიან ტრასაზე, მაგრამ მალევე უკან ბრუნდებიან. გაწბილებულნი თავს აკანტურებენ — ოითქოს იმუქრებიანო. ჩეხები ფიქრობენ — ვნახოთ ერთი, რას იზამენ ეს-

პანელები და მერე ჩვენც იმისდა მიხედვით ვიმოქმედოთო. მერე ისინი ჩვენ გვეკითხებიან:

— თქვენა, თქვენ რაღა გადაგიწყვეტიათო?

— რიგს ველოდებით-მეთქი.

— ისინი გვეუბნებიან:

— ჩვენი რიგია, მაგრამ თუ გნებავთ, ერთად წავიდეთო.

ლოდინმა გული გაგვიწყალა. შესაძლოა გამოდარებას ელოდო მთაში ადამიანმა, ან ამხანაგის გამომჯობინებას, შესაძლოა ძირითადი ბანაკიდან დათქმულ სიგნალს ელოდებოდე, მაგრამ რიგის ლოდინი მართლაც უჩვეულო რამ იყო ჩვენს სამთამსვლელო პრაქტიკაში. ეს უაზრო ლოდინი მით უფრო გულისგამაწყალებელიც გვეჩვენებოდა, რომ გარეთ მშვენიერი სალაშქრო ამინდი იდგა... ამინდი კი მთაში თითქმის ყველაფერია, არა და ვიღამ უწყოდა, როდის შემოსწყრებოდა ქვეყნიერებას მაღალი ელია?

ამიტომაც ჩეხების წინადადებამ ორთავენი გაგვახარა. ადრიანი დილა იყო. ჯერ კიდევ ბნელოდა მყინვარზე რომ მივაბიჯებდით. ჩეხები ოთხნი იყვნენ. ჩვენ კი — ორნი. ერთ თხემს რომ მივადექით, ჯგუფში საუბარი შეიქმნა — რომელი მხრით აგვეცლო მისთვის. ჩვენ — მარჯვენა მხრით აელას ვამჯობინებდით, ისინი — მარცხენათი. რომ ვერ შევთანხმდით, ჩვენ ჩვენი გზით გავემართენით, ისინი — თავისი გზით.

მთაში მართალი ის არის, ვინც მიაღწევს მიზანს, ვინც მშვიდობიანად იცლის. ჩვენ გავასწარით. მაღლა კედელთან დაველოდეთ. რომ ამოაღწიეს, სულის მოთქმა დავაცალეთ და კვლავ ერთად გაუდექით გზას. მალე ციცაბო ყინული დაიწყო. ჩვენ წრიაპები გვეცვა და სწრაფად გავდიოდით ყინულზე. ისინი კვლავ ჩამოგვრჩნენ.

„სამშვიდობოზე“ გასულნი კვლავ დაველოდეთ. სულგრძელობას კი ვიჩენდით, მაგრამ ვგრძნობდით, ტემპს ვკარგავდით. ეს კი ცუდი იყო. ცუდი იყო, მაგრამ რა უნდა გვექნა — იმათ რიგი დაგვითმეს, ყოველშემთხვევაში შეგვიამხანაგეს, ახლა კი ჩვენც სიკეთით უნდა გადაგვეხადა მათთვის. ავდექით და შერეული წყვილებით განვაგრძეთ გზა. ასე მართლაც შეიძლებოდა უფრო ჩქარა სიარული. მაგრამ ორი კაცი ოთხს რანაირად ვეყოფოდით! იმათი ერთი წყვილი წინ წავიდა და მოკლე ხანში ისეთი ლოდებით „გაგვიმასპინძლდა“, შენი მოწონებული!..

აი, ვეება ლოდი მოგორავს ციცაბო ფერდობზე, ხედავ რომ შენსკენ მოდის, მაგრამ ვაჟკაცი ხარ და განსაზღვრე, რომელ მხარეს გადაუხვევს — მარჯვნივ თუ მარცხნივ. ასე რომ ადვილად ვერ აუქცევ გვერდს. მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ლოდმა შეგვიცოდა და ჩემსა და ჩეხოსლოვაკელ თანამეწყვილეს შორის ჩაიქროლა. რამდენიმე წუთიც და... ვხედავ — ერთ-ერთი ჩეხი მოსწყდა ადგილს და ნელ-ნელა იწყო დაბლა დაცურება. თოკი გაწყდომაზე დაიჭიმა. საბედნიეროდ წრიაპებმა გვიხსნა. უსაფრთხოებაში დარწმუნებულმა მძლავრად გამოექაჩე თოკი და უცბადვე შევძელი მისი შეჩერება. ჩეხს სახე და ხელები გაკაწრული ჰქონდა. სხვას არაფერს უჩიოდა.

გავიარეთ ეს მონაკვეთიც. ყინულები თითქოს უკან მოვიტოვეთ. ახლა კლდიანი მასივები დაიწყო. მეწინავე ჩეხების წყვილი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. ჩვენ გული გვეწურება. ისე, კარგად მიდიან, ჭკვიანურად, საიმედოდ, ვერაფერს იტყვის კაცი, მაგრამ ასეთი ტემპი არაფრად გვაწყობს.

მე შევთავაზე:

— პირველი ვივლი და მეტი სისწრაფისათვის თქვენს თოკებსაც გავიბამ-მეთქი.

დამთანხმდნენ. ორი თოკი რომ გავიარე ერთ-ერთმა ჩეხმა, სახელად იურამ მითხრა:

— ბიჭებო, ვხედავთ ჩვენზე ძლიერები ხართ. გაბრკოლებთ და მეტი არაფერი. ქვევით კი ამბობდნენ, რომ საბჭოთა მთამსვლელებს კლდეზე ცოცვის საკმაო გამოცდილება არა აქვთო. ტყუილია ეს. თქვენი წყვილი აქ საუკეთესოა, ამას ყველა იტყვის. ხო და იარეთ წინ. ეს აუცილებელია საქმისათვის. ამას სამართლიანობა მოითხოვს, სხვა რომ არა იყოს რა...

მე და სლავა დავემშვიდობეთ და წინ გავვარდით. მალე ზემოდან რაღაც ჩქამი მოგვესმა. ესპანელები აღმოჩნდნენ. ისინი ვითომ ადიან, მაგრამ მცირე მონაკვეთის დაძლევას მთელი საათი კი უნდებიან. უნდა დაველოდოთ, ვიდრე სამშვიდობოზე გავლენ, სხვა რა გზაა. მაგრამ არ დაადგა იმათ ასელას საშველი. მაშინ ჩვენ ეუბნებით:

— ან მოგვეხმარეთ, ან წინ გაგვიშვით-მეთქი...

ისინი უარობენ:

— ხომ ავდივართ და წინ როგორღა გაგატაროთო.

ადგილი ძალიან ცუდია, მოუხერხებელია. უშველებელი უარყოფითი დაქანების კედელი აქლემის კუზივით გადმოზნექილა ჩვენს თავზე. აუცილებლად მარჯვენა მხრიდან უნდა გვეგანა მისთვის რომ თავზე მოვქცეოდით. მაგრამ ეს გზა საკმაოდ კრძელი იყო — ჯერ ორმოცდაათ მეტრზე უნდა გავსულიყავით აღმოსავლეთისაკენ. მერე დაბლა დავშვებულიყავით და მხოლოდ იმ ადგილიდან შეგვეძლო ასვლის გაგრძელება.

ერთხანს კიდევ შევცქეროდით ესპანელთა საცოდაობას. მერე გულმოსულები ერთბაშად წამოვხტით ადგილიდან და პირდაპირ ვეტაკენით „აქლემის კუზს". პირველი მე წავედი, თავიდან კარგად მივდიოდით, თუმცა არც მერე გაგვჭირვებია მაინცდამაინც, ალბათ იმიტომ რომ ზედმეტად აღგზნებულები ვიყავით და სიძნელეები არარად მიგვაჩნდა, და ალბათ იმიტომაც, რომ უკან დახევას არ ვიყავით დაჩვეულნი, და უფრო კიდევ ლოდინის შიშით, რომლისგანაც ასე გვქონდა გული გაწყალებული, თავდაუზოგავად მივიწევთ წინ.

რამდენიმე მეტრი კიდევ და კედელზე თოკებს ვპოულობთ, კლდის ღრეჩოებში ალაგ-ალაგ ჟანგიანი პალოები მხვდება. ზოგან თოკები ჩამომპალია, რაც იმაზე მეტყველებს რომ ადრეც და უახლოეს ხანშიც ბევრს უცდია კედლის ამ გზით დაძლევა, უცდია, მაგრამ ვერ კი აუსრულებია საწადელი — თოკები და პალოები კლდის ყველაზე დიდი შვერილის მისადგომებთან თანდათან შეთხელდა, ბოლოს კი სულ არ გვხვდებოდა. ეტყობა, კუზთან მოპაექრეები ფარხმალს ჰ:რიღნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ახლა ჩემს წინ სწორედ ეს გლუვი, უარყოფითი დაქანების კედელი აღმართულიყო. ამ უბანზე არც ღრეჩოებია, არც ხელჩასაჭიდი პორები, მხოლოდ შლიამბურებით (ღრუსატებით) თუ გავა კაცი ფონს, მაგრამ ისინი ჩვენ არა გვაქვს თან წამოღებული.

ასე და ამრიგად ჩვენი წინსვლა სერიოზულად შეფერხდა.

ესპანელებმა რომ დაინახეს, პირდაპირ შეებნენო შვერილს, თავში იტკიცეს ხელი, გაოცებულებმა ერთი ღრიანცელი ატეხეს. ალბათ თავის ენაზე ერთმანეთს ეუბნებოდნენ — ეს ვიღაცა, ნამდვილად გაგიჟებულიაო!

ჩეხები კი ქვევიდან მოგვძახიან (ვიდრე ჩვენ ესპანელებს ველოდებოდით ისინიც წამოგვეწივნენ):

— საით გაგიწევიათ, მანდ ეშმაკი ვერ გაგა...

• •

1964 წლამდე თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში მთამსვლელობის განყოფილება არც არსებობდა. ეს მაშინ, როცა აქვე სპორტის უკლებლივ ყველა სახეს ეუფლებოდნენ ფიზკულტურელები. ამ წელს კი პირველად დაისვა ალპინიზმის განყოფილების დაარსების საკითხი, ხოლო მომდევნო წლიდან, ფიზკულტურის ინსტიტუტის არსებობის ისტორიაში, პირველად ჩააბარეს აბიტურიენტებმა მისაღები გამოცდები სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში.

მიხეილს ცოტა წელილი როდი მიუძღვის განყოფილების ჩამოყალიბებისა და მომავალი მთამსვლელების აღზრდა-განათლების საქმეში. რესპუბლიკის ფიზკულტურის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სწორედ მას დაავალა მეურვეობა გაეწია ამ სექციისათვის.

მიხეილმა სვანეთიდან ჩამოიყვანა მთებით გატაცებული ახალგაზრდები, რომლებმაც უკვე ინსტიტუტში სწავლის პერიოდშივე გამოიჩინეს თავი, როგორც ახალი ყაიდის, ახალი სტილის მთამსვლელებმა. ამ პერიოდის განმავლობაში არ მოწყობილა რაიმე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ექსპედიცია, მთამსვლელთა ლაშქრობა რომ ამ. ჯერ კიდევ წვერაუშლელ ჭაბუკებს არ მიეღოთ მონაწილეობა მასში.

— ამ ახალგაზრდებზე ახლა დიდ იმედებს ვამყარებთ, — ამბობს მიხეილი, — მე მეამაყება და მიხარია, როგორც მასწავლებელსა და პედაგოგს მათი წარმატებები. რაც მთავარია, ეს არის ახალი შემოქმედებითი ძალების თაობა მათი ხელწერა ლაკონური და ლამაზია, ღღევანდელობის, თანამედროვეობის შესაფერისია. ჩვენი მიზანიც ხომ ეს იყო — მიგვეცა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების მაქსიმუმი, და ამით შეგვემზადებინა ისინი დიდი ალპინიზმისათვის.

ამ ახალგაზრდებმა იციან ექსპედიციის დროს ორგანიზებულობის, დისციპლინის, წესრიგის ფასი, რაშიც ადრე მოვისუსტებდით ხოლმე. მათ მთელი სერიოზულობით აქვთ წარმოდგენილი: მწვერვალთა ძლევა არც ისე იოლი საქმეა, საჭიროა სათანადო მომზადება, ბევრ მიწიერ სურვილზე უარის თქმა, ნებისყოფის გამომუშავება... მე კი ყოველივე ეს თანამედროვე ქართული და საბჭოური ალპინიზმისათვის უდიდეს მონაპოვრად მიმაჩნია...

როცა ჩვენ მოვტყდებით, მუხლებში ძალა გამოგველევა და მე-

ტად აღარ დაუბერავენ მთებიდან სამოგზაურო ქარები, როცა მყინვართა ანარეკლისაგან დაოსებულ თვალებში სისველე გაგვიჯდება, ეს ახალგაზრდები აიკიდებენ ზურგჩანთებს და გაუდგებიან თოვლიან გზებს, ლურჯი ცის დასალიერიდან ზვავის ხმაზე დააბუბუნებენ მამაპაპათა უბერებელ და უდიადეს სიმღერას, მზის საგალობელ — ლილეოს...

ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!.. — ხმამაღლა ამცნობენ ქვეყნიერებას ისინი.

— ეჰეი, მანდ ეშმაკი ვერ გავა, ეჰეი!.

არის წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როცა არაფერს ანგარიშს არ უწევ, უფრო სწორედ, თავის თავს აღარ ეკუთვნი. შექმნილი მდგომარეობა გაიძულებს იმოქმედო გონიერების საწინააღმდეგოდ. რაღაც უხილავ ძალას აუტანიხარ და თავის ნება-სურვილზე მიგერეკება საითაც მოისურვებს. ამ უხილავმა ძალამ შეიძლება განსაცდელისაგანაც იხსნას ადამიანი, მაგრამ კიდევ უფრო მოსალოდნელია რომ ქარაფებზე, მოუსავლეთში გადაჩეხოს.

მსგავსი წუთები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გვხვდება, მაგრამ იქ ამ გრძნობას სიცხოველე და მგზნებარება აკლია. მთაში კი, განსაცდელის ჟამს შეიძლება სულ სხვა კაცად იქცე, ისეთ ადამიანად, რომ, დაწყნარებულ გუნებაზე ვეღარც კი იცნო შენი თავი.

მსგავსი ვითარება იყო ახლაც — ჩვენ გამოვასწარით ჩეხებს, ორთაბრძოლაში ჩავებით ესპანელებთან (ჩვენდა უნებურად გამოვიდა ასე), თავი გამოვიდეთ ყველას წინაშე და ახლა უკანდახევა მართლაც თავისმოჭრა იყო და მეტი არაფერი.

— ეჰეი... მანდ ეშმაკი ვერ გავა... რას შვრები... — კვლავ მოგვძახიან ქვევიდან ჩეხები.

მე კედელზე ვარ. ერთობ საშიში ადგილია. კლდის გლუვი ზედაპირი არ იძლევა საშუალებას პალოების გამოყენებისა, ღრუსტები (შლიამბურები) კი ჩვენ როგორც უკვე ითქვა თან არ წამოგვიღია. და აი, კვლავ შორეული ჩქამი მოვარდა ჩემს ყურთასმენამდე: ლაღამის მაცხოვარის ეზოში ჯგვიბის დღესასწაულს იხდიდნენ სეტ-მესტიელები. თავჯვრიანი ნათლისვეტი მედიდურად აღმართულიყო მოედანზე, სოფლის მახვში, მოხუცი გვარლიანი მალულად ათვალიერებს ბიჭებს — ვინ აებღატება, ვის ეყოფა ძალა და გამბედაობა, რომ სვეტის თავზე მორიალე ჯვარი — მოსავლიანობის სვე-ბედის გან-

მრიგე ქრისტეს ჯვარი ჩამოხსნას და ლაღამში დაანარჩუნოს? ვინ არის ასეთი გულადი?

მიხეილის წინ უამრავმა თოვლის გუნდამ ჩაიწუილა, ისინი მწარედ ხვდებიან კისერსა და ზურგში. იგი მაინც მაღლა მიიწევს, ჭიაყელასავით მიიკაკვება, ფეხებს მაშასავით ჩაუჭერს ნათლისვეტს, მერე წელში აიმართება, და ერთი ნაბიჯით ამაღლდება...

ერთი წამით იგი წარმოიდგენს ლაღამელთა, და არა მარტო ლაღამელთა ქერითა და ჩალა-თივით, კარტოფილითა და სიმინდით, ოსპითა და კანაფით გამოტენილ ლაფარო-ეზოებს, კიდობნებსა და ბაგებს. ირგელივ ხვავი და ბარაქა სუფევს — თვალშეუვლები სიმდიდრეა. სიმდიდრე და სიხარულია ლომის ხეობაში. ყოველივე ეს ამ ქრისტეს ჯვრის წყალობაა, მაცთუნებლად რომ განქარვებულა გაყინულ სივრცეში. ცოტა და... აი, ერთი ნაბიჯი... მერე გამარჯვებული ხალხის ყიჟინა მოვარდა... ლაღამელები ჯვრის დანარჩუნებას ზეიმობენ, ხოშა ბაბა კი მიდის მასთან, გოგოებისაკენ გაახედებს და ეუბნება — აირჩიე რომელიც გინდა...

და ახლა მიხეილი წუთით იმათზე ფიქრობს, იმ შავბნელებზე, ხოშა ბაბამ რომ დაანახა შორიდან. ერთი იმათთაგანი ახლა მისი მეგობარია — კატი. იგი შინ ელოდება, გამარჯვებულს ელოდება, ისეთი გულისფანცქალით უცდის, ცხრა მთას გაღმა გარდასულ მთიბველს რომ ელოდება თავისი სწორფერი...

აი, საჯილდაო ქვაც. მაცხოვრის ეზოში სოფლის ბიჭები შეკრებილან. ისინი მორიგეობით მიდიან ქვასთან, გამოყვანილ ყელში თითებს ჩაუჭერენ და მაღლა ეწევიან, იმათს დაჭიმულ კისერზე სისხლით დაბერილი ძარღვები აყრილან და ტოკავენ...

შეჯიბრების მონაწილე ოხრავს, კვნესის, წელში იკაკვება. თვალებიდან ნაპერწკლებს აფრქვევს. უნდა მოერიოს, უნდა აღმართოს როგორმე, ააცილოს დედამიწას და ამ დროს იგი ჰგავს მორწმუნეს, ღვთისმსახურს, მუხლზე ჩაჩოქილს, ხელკვერიანს, აღმოსავლეთით თვალმიპყრობილი ძღვენს რომ სწირავს მამაზეციერს და შველა-შეწევნას ევედრება.

იმის ხელში საჯილდაო ლოდი ძღვენივით ჩანს, რაღაც ზღაპრული ძღვენივით... ღმერთს ეაჯება მოჯიბრალი, მიიღოს მისი ძღვენი. მაგრამ მამაზეციერი უარობს... უარობს, იმიტომ რომ ლოდები არაფრად სჭირია მამაზეციერს. მოჯიბრალს კი ხელიდან უვარდება იგი.

მაგრამ არა, კვლავ მიდის ლოდთან და კვლავ ზეაღმართვას ცდილობს მისას, უნდა მიართვას ძღვნად მამაზეციერს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა მიართვას.

რადაც არ უნდა დაუჯდეს... რადაც არ უნდა დაუჯდეს...

• •

— ორმოცდაათი ძეტრი ისე გავიარე ცალი თითის ჩასავლებს თუ ვიპოვნიდი სადმე. ღრეჩო-პორის მაგვარი მანდ არსად შემხვედრია. რამდენიმე თავძოგლუებულ კოპსა და მოჭიქულ „თეფშებზე" თითს კი არა სათევზაო კავსაც ვეღარსად გამოსდებდი... და აი, უშბის მერე აქ მოხდა მეორე საოცრება — მე ისევ მაღლა ვარ, კუზის თავზე. იქიდან დაბლა რომ გადავიხედე, ლამის თავბრუ დამეხვა. სლავასაც ელდა ეცა — ქვევიდან ხელით მანიშნა — ხომ არ გადაირიე, შიგნით შეიწიეო...

თითქოს მურყვამის ქონგურზე ვიყავი გადმომდგარი, ისეთი გრძნობა მქოხდა. მურყვამებს ხომ რა ხანია, შევაჩვიე თვალი, ეს კედელი კი რატომღაც ისევ მაშინებდა. მერე ძალა მოვიკრიბე, პალო ჩავარტყი, თოკი გამოვაბი და დაბლა დავეშვი. მალე სლავა ამოვიდა და როგორც კი სული მოითქვა. იკითხა:

— აქ რანაირად გაიარე? მაინც რანაირად გაიარე აქ?

— რა ვიცი... გავსხლტი როგორღაც... — ღიმილით ეუპასუხე მე.

სლავა თავს აქნევს გაოცების ნიშნად.

— კარგი კედელია! შეგიძლია ცოცვა? — გაივლი, დაძლევ, არა და იკონწიალებ მთელი საათობით. ამ ესპანელებივით...

— მართლაცდა ეს რა ალპინიზმია? — მეთანხმება სლავა — ლამაზი კედელი, თოვლი, მყინვარი, რა გინდა სულო და გულო, ყველაფერი აქვეა, შენ კი თოკებზე ჰკონწიალობ და კუს ნაბიჯით მიიწევ მაღლა. ჰო, მაგრამ ეს მაინც წარმოუდგენელია — ჩემს გამოვლილ წარაფს ჩააცქერდა იგი.

— მაღლა ძიიწევო? — დაბლა გადავიხედე მეც — ისინი ვითომ მაღლა მოიწევენ? შენ ასე ფიქრობ? — ესპანელებს მართლა არაფერში ეტყობოდათ, მაღლა თუ მოიწევდნენ. ისინი ისევ იმ ადგილზე იტკეპნებოდნენ ამ რამდენიმე ხნის წინ რომ დავტოვეთ.

— კაცმა რომ თქვას, რა აქვთ მაინცდამაინც საჩქარო? ადრე თუ გვიან ამოვლენ და ის იქნება, შეიძლება ჭკვიანურადაც იქცევიან...

— ოღონდ ერთი ამბავია, ყოველივე ეს თუ მაგათი სიდინჯით აიხსნება, მაშინ ეს სიდინჯე კარგია იქ მშობლიურ მთებში, საკუთარ სახლში, სადაც გარეშე თვალი არ შემოგცქერის, მსოფლიოს რჩეულმა მთამსვლელმა კი უნდა გაუტიო კიდეც! თორემ ასე ყველა კი იკონწიალებს...

— აი, დარდი. იკონწიალონ და ისიამოვნონ, ჩვენ რა...

— ასეა თუ ისე, მე ვეთანხმები ფრანგებს, რომ გრანდ-ჟორასი მათი ყველაზე საინტერესო კედელია, შენ რას იტყვი ამაზე?

სლავა თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს — უდაოდ ლამაზი კედელია. მერე გზას ვაგრძელებთ. სულ ათას ორასი მეტრი გავიარეთ ცოცვით. საღამოს ხუთი საათისათვის უკვე მწვერვალზე ვიყავით. ასვლას მოვანდომეთ სულ ცამეტი საათი. ამ დროში შედის ის შეფერხებაც, გზად რომ გვხვდებოდა.

ქვემოთ ვეშვებით სამხრეთის კედელით, იტალიის მხარეზე.

კედლის ძირში კლდისა და მიწის მიჯნასთან პატარა ქოხი დგას. ქოხიდან მადის აღმძვრელი ოხშივარი გამოდის. ოხშივარი ერქოლასავით გვივლის ტანში. ქოხის პატრონი ღიმილით გვეპატიჟება შინ, მობრძანდით, გვეწვიეთო. მაგრამ იგი ხომ ვინმე ჩვენებური მედუქნე არ იყო რომ ნისიად გაგვმასპინძლებოდა. ჩვენ კი კაპიკი არ გვიჭყავის ჯიბეში. არც იტალიური ფული გვაქვს თან, არც — ფრანგული. ძალიან კი მოგვანატრა ამ ქოხმა ჩვენებური სუფრა, ნაირ-ნაირი საჭმელებით დამშვენებული. მე ქუთაისში საშოვარზე ჩასული სვანების ამბავიც კი გამახსენდა, ისინიც ჩვენსავით მოშივნულები იყვნენ ალბათ, გზად ვიღაც მედუქნემ რომ შეიპატიჟა — მობრძანდით, მეწვიეთ, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერიო.

სვანები პირველად იყვნენ ქალაქში, იქაური ვაჭრული წესებისა არა გაეგებოდათ რა და მედუქნის მიპატიჟება სტუმართმოყვრობად მიიღეს. თქვეს, ეს რა ღვთისნიერი კაცი შეგვხვდა, სხვებს კი არა ჰგავსო... ერთი ჩამოვიდეს სვანეთში და პატივისცემას ასეაგად გადავუხდითო.

სვანები ქუდმოხდილნი, მადლიერების გრძნობით აღვსილნი შებრახუნდნენ დუქანში და სუფრას მიუსხდნენ.

მედუქნემ კი, რაც კარგი რამ გააჩნდა, ყველაფერი გამოუტანა. ეშხსა და ჭამა-სმის ლაზათში შესულ სტუმრებს სულ ტკბილი სიტყვებით მიმართავდა — „კიდევ რას მიბრძანებთ, სხვა რა მოგართვათო...“

სვანები კი აღტკინებულნი თავიანთი „აღმოჩენით“ — გზად გაცნობილი მედუქნის კაიკაცობითა და სტუმარმასპინძლობით მჯილებს იბაგუნებდნენ მკერდზე და ღმერთს ეაჯებოდნენ — ისე ნუ მოგვკლავ, ეს კაცი სვანეთში არ ჩამოგვიყვანოო...

მაგრამ მალე საქმე სხვანაირად შეტრიალდა. სტუმრები რომ გამოძღნენ და წასასვლელად აიშალნენ, მასპინძელმა დანახარჯის ანაზღაურება შემოსთავაზა მათ.

ახლა სულ სხვა კაცი იდგა მათს წინაშე, ვერც წეღანდელი თავაზიანი ღიმილი უნახეს მედუქნეს სახეზე. აბა რას წარმოიდგენდნენ მთიელები თუ თავაზიანად მიპატიჟებულ სტუმარს დანახარჯის გადახდა ევალებოდა? მათს ქვეყანაში ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

როცა დარწმუნდნენ — მედუქნე არა ხუმრობსო, ნაბდის ქუდები შემოიტრიალეს თავზე, ხანჯლები იშიშვლეს და თავს წამომდგარ პოლიციელებს შეუტიეს. ყველაზე მეტად იმის რცხვენოდათ — ჭამა-სმის გულისათვის როგორ უნდა შეეკლათ ამ ოხრებს თავი, რაიმე ვაჟკაცურ საქმეზე მაინც მოგვსვლოდა ჩხუბიო. არა და გადასახდელი ფული მათ არ გააჩნდათ და არაფერი...

მერე ყველანი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს.

შინ მომლოდინე ცოლ-შვილს, ნათესავ-მეზობლებს კი ეგონათ — ჩვენი კაცები ეტყობა, სარფიან სამუშაოს წააწყდნენ და იმაზე შეაგვიანდათო. სინამდვილეში კი ციხეებში ეყარნენ და ერთი საათის ნაკამ-ნასვამი ძმრად ამოსდიოდათ ყელში. არავინ უწყის, როდემდე გაგრძელდებოდა მათი წვალება, ერთ გულმოწყალე გენერალს რომ არ შებრალებოდა ისინი.

ეს გენერალი სასამართლოში გამოსულა და უთქვამს:

— ამათს ქვეყანაში სხვანაირი სტუმარ-მასპინძლობა იციან. მანდ იტყვიან ხოლმე — „სტუმარი ღვთისაო“, შინ წრფელი გულით ეპატიჟებიან უცხოს და რაცა აქვთ აღარაფერს იშურებენ მისთვისო. ოჯახის ქალი ფეხსაც კი დაჰბანს უცხოსო. მთაში ზოგან წაწალსაც კი მიეწვევენ სტუმარს, რათა მის ვაჟკაცობაში დარწმუნდნენ და იგიც დაარწმუნონ თავიანთ მიმნდობლობასა და ერთგულებაშიო.

იმ გენერალმა იხსნა საწყლები, თორემ იმათ — ასავალ-დასავალსაც ვერავინ გაიგებდა.

ეს რომ ვუამბე სლავას, სახეზე სევდანარევი ღიმილი გაუკრთა.

მაშინათვე გავეცალეთ იქაურობას.

ქოხის მეპატრონემ ალბათ კარგად იცოდა მთამსვლელთა ჯიბის

ამბავი, შესაძლოა წრფელი გულითაც გვეპატიჟებოდა, სხვა რომ არაფერი, იგიც ხომ მთიელი იყო, რაც აშკარად ეტყობოდა მზემოკიდებულ, გარუჯულ სახეზე.

მაგრამ სვანებზე გარდახდენილი ისტორია ისეთი ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილი იყო ჩვენთვის, რომ მანდ პურისჭამასა და დასვენებას უკვე ისეთ გემოს მაინც ვერ ჩავატანდით. თანაც რაიმე გაუგებრობას რომ ჰქონოდა ადგილი, გამოგვიჩნდებოდა ვინმე მშველელი და გულშემატკივარი იმ ღვთისნიერი გენერალივით?

„სადა ხარ ჩვენო გენერალო? შორსა ხარ ჩვენო, გენერალო?“ — ვღიღინებდით გზად მე და სლავა.

• •

„ღმერთმა გამოძერწა და სული შთაბერა“.

გადილ-ბაშკარას მწვერვალიდან სამნი ეშვებოდნენ. სამთავეს ილაჯი გაწყვეტოდათ ერთ ადგილას, ზედ უფსკრულის თავზე ისინი შეჩერდნენ, დაკვირვებით მოათვალიერეს ადგილმდებარეობა, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ნახეს.

ნათელი გახდა, სავარაუდო გზას ასცდენოდნენ. თხემი, რომელსაც ისინი გამოჰყვნენ მწვერვალიდან შვეულ კლდეებად ეშვებოდა სადღაც მოუსავლეთისაკენ. უკან გაბრუნებას ძალა სჭირდებოდა, ეს უკანასკნელი კი მათ ნახევარ გზამდეც ვერ ეყოფოდათ. არა და ადგილზე ფუსფუსს არავითარი გამართლება არ ჰქონდა. გამთოშავი სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდათ ისედაც.

საჭირო იყო მოქმედება, მოძრაობა, რისკი. და მათ იქვე კლდეში ჩაარტყეს პალო, გამოაბეს თოკი და დაბლა დაუშვეს, — იქნებ უახლოეს ბაქნამდე მისწვდეს და ჩაგვიყვანოსო.

პირველი, ჯგუფის უფროსი — იური ბურუხვიჩი ჩამოეკიდა თოკზე და დაშვება იწყო. მას დანარჩენებიც მიჰყვნენ. „ცოტაც და სამშვიდობოს გავალთ... ცოტაც და...“ — გულდაარხეინებული ფიქრობდა ერთ ციცქნა თოკზე „ჩამოცმული“ სამი ადამიანი.

მაგრამ ნაადრევი გამოდგა მათი სიხარული. შუა გზამდეც არ იყვნენ ჩაღწეულნი, თოკი რომ „დამთავრდა“.

უახლოეს ბაქნამდე, ფეხმოსაკიდებელ მოედნამდე ბარე ორმოცდაათამდე მეტრი მაინც იქნებოდა დარჩენილი. სამივე მეგობარი ერთ

დღეში აღმოჩნდა. და კვლავ დაისვა მათს წინაშე უკან გაბრუნების პრობლემა. მაგრამ საუბედუროდ მათდა, ამაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ამისი ძალა აღარავის შესწევდა. დედამიწა კი თითქოს-და იძრაო, ზღვასავით ტორტმანებდა და მოიქცეოდა, სადღაც შორს, შორს, მიექანებოდა, შორეულნი და მით უფრო სანეტარონი ხდებოდნენ ქალაქები და სოფლები, მდინარეები და ადამიანები, სითბო და ძეხორციელის ჩქამი.

თოვლის ლოლუებივით ეკიდნენ ისინი და იმ ლოლუებივით ემსხვრეოდათ იმედები.

მორჩა, ყველაფერი გათავდა, სიცოცხლეს შავი წერტილი დაესვა.

ერთი დღე...

ორი...

სამი...

ოთხი დღე...

ქარზე აფრიალებული, გასაშრობი სარეცხივით ეკიდნენ ისინი ჰაერში და თვალმილულულნი ელოდებოდნენ აღსასრულს, რომელიც თანდათან უახლოვდებოდათ. სახეში სცემდათ ქარი და თოში, კანკალებდნენ შიშისაგან, შიმშილისა და სიცივისაგან.

ყველაფერს აქვს დასასრული, ყველაფერი მთავრდება...

და უცბად, ამ დროს საიდანღაც ძეხორციელისეული ჩქამი მოვარდა.

გადავიწყებული, ადამიანის ხმა.

ნეტარი, თბილი, მზესავით სხივოსანი და კაშკაშა ხმა.

ვიღაცა იძახოდა:

— ნუ გეშინიათ, ჩვენ აქა ვართ...

ისინი წუთით თვალს ახელენ და დაბლა, თავდაყირა გადაკიდულ მასივებს მოავლებენ ნისლიან მზერას.

„მოჩვენება, ეს წყეული მოჩვენება...“

მაგრამ იგივე ხმა რამდენჯერმე მეორდება:

— ჩვენ აქა ვააართ, აქა ვააართ, აქა ვააართ...

და მართლაც მოვიდნენ ისინი — მიხეილ ხერგიანი, ერმინე კახიანი, მიხეილ ხერგიანი (უმცროსი). სამი, საბედისწერო თოკზე კოჭებად ასხმული ნახევრად უგრძნობელი ადამიანი მიწაზე ჩამოუშვეს. მაშველი ჯგუფის წევრებმა მათ თავისი სხეულის სითბო გაუ-

ნაწილეს... სამი ლოლუა თბებოდა, ლღვებოდა, სუნთქავდა, იღვიძებდა...

მთები ათას დაბრკოლებად აღმართულან ადამიანთა წინაშე, ათას კითხვად და გამოცანად აზიდულან ცისიერ სამყაროში. და როცა ძეხორციელს რაღაც უპირს, ვიღაცის შველას ელოდება, „სოსივით" გაისმის მისი ყვირილი უსასრულო მდუმარებაში. მაგრამ ხმა ვედრებისა სადღაც პორებსა და ნაპრალებში იჩუმქრება, იქედება და იკარგება, კვდება, უგზო-უკვლოდ ქრება...

იგი მაინც ელოდება, ელოდება, ელოდება... უსასრულოა მისი ლოდინი...

და ვერრა შეედრება იმ სიხარულს, რასაც ეს „განწირული" განიცდის ადამიანის ჩქამზე. არ არსებობს ალბათ იმაზე ცხოველი მადლიერების გრძნობა მის ცრემლმორეულ თვალებიდან რომ იღვრება სიკვდილიდან სიცოცხლეში მობრუნების ჟამს...

მიხეილისათვის ნაცნობი და ახლობელია ეს განცდა — გაჭირვებულთა, იმედწართმეულთა გამოღვიძების წუთი, პირველი გალიმებისა და გაყინულ თვალ-საცქერლებში სიცოცხლის სხივის აკიაფების წუთი. არა ერთი და ათი ადამიანი უხსნია თოვლიანი ჯუნგლების ტყვეობიდან და შთაუბერავს მათთვის საკუთარი სითბო...

ასეა, როცა მთებზეა ლაპარაკი, როცა მოიხსენიებენ დიდი კავკასიონის ხერხემალს, ჩრდილო და სამხრეთის კალთებს, აქლემის კუზებად ჩარიგებულ თეთრშუბლა მწვერვალებს, ნუ შეშინდებიან ხიფათიანი გზების მაძიებელნი და მოყვარულნი — მთამსვლელები, ტურისტები, თვითმოქმედნი და გეგმიანები. იქ, ახლო-მახლო, ხერგიანების, კახიანების, ჩართოლანების, ნიგურიანების, ჯაფარიძეების, გაბლიანების და ცასთან ახლოს მდებარე ქვეყნის სხვა საგვარეულოთა „მაშველი რაზმებია". ისინი მთებში მიიტანენ მზესავით სხივნათელ, თოვლივით კაშკაშა, ზღვასავით ბობოქარ, იმედიან ხმას, იმედიან შემოძახილს...

დიდ კავკასიონზე უდევს ბუნაგი „კლდის ვეფხვს" მიხეილ ხერგიანს. აქ ლომგულდებიან მისი ბოკვერები, მომავალი „მზის მაძიებელნი"...

• •

„სადა ხარ, ჩვენო გენერალო? გვიშველე გენერალო!" —

— ჩანჩალში კურმაიერის ტყესთან შემოგვაღამდა. აქვე გადავწყვიტეთ დაბანაკება. კარავი გავშალეთ და დავიძინეთ. დილაუთენია

ტორინოს გადასასვლელისათვის უნდა შეგვეტია. მაგრამ მეორე დღეს კიდევ უფრო წაგვიხდა გუნება — გადასასვლელისაკენ ყველა საბაგირო გზით მიემგზავრებოდა, ჩვენ კი უფულობის გამო ფეხით უნდა წავტიალებულიყავით, თითქოს ქვეითად სიარული გვაკლდაო.

იტალიის კურმაიერი და საფრანგეთის მაღალმთიანი კურორტი შამონი ერთმანეთთან საბაგირო გზითაა დაკავშირებული. ამ ორი ქვეყნის საზღვარზე, რომელიც ზედ ქედის თხემზე გადის, დგას სასტუმრო „ტორინო" (3370 მ ზღვის დონიდან). სადაც ყოველთვის უამრავი დამსვენებელი, ტურისტი და მთამსვლელი იყრის ხოლმე თავს.

„სადა ხარ, ჩვენო გენერალო?" — ვღიღინებდით ისევ მე და სლავა და ბანცალ-ბანცალით მივუყვებოდით აღმართს. ოი, რა ბრაზიანი ღილინი იყო ეს, აბა რა დამშვიდებულ გუნებაზე იქნებოდა კაცი ჩვენს მდგომარეობაში? ყველა საჰაერო გზით დასეირნობს და ჩვენ კი ამდენი ნაჯაფარ-ნაწვალევი ხალხი ქვეითად ვლახავთ სრულებით უსარგებლო კილომეტრებს. ხანდახან საბაგირო გზისაკენ თუ გაგვექცეოდა თვალი, რასაც ძალიან ვერიდებოდით, შურისაგან გულზე ვსკდებოდით, გვეჩვენებოდა თითქოს იმისი მგზავრები დამცინავად დაგვცქეროდნენ მაღლიდან და ერთმანეთს მიუთითებდნენ ჩვენზე: შეხედეთ, ეს რა ჯურის ხალხია, ყველა კომფორტაბელურად მგზავრობს, ეგენი კი სახედრებივით მოჩანჩალებენო...

ექვსი საათი მოვანდომეთ ტორინოში ასვლას. საბაგირო გზის რამდენი ბოძი დავითვალეთ ამ სამიათას ექვსას წუთში! სასტუმროში რომ მივედით, ცოტა სული მოვითქვით, მაგრამ მალე უსიამოვნო ამბავიც გავიგეთ — ძლიერი ქარის გამო აქედან საბაგირო მიმოსვლა შამონამდე შეჩერებული იყო.

„საბაგირო გზა თქვენ რაღაში გამოგადგებოდათ, მაინც რაღაში გენალვლებოდათო, — იტყვით ალბათ. — საცა აქამდე ფეხით იარეთ და ვერ ისარგებლეთ იმითი, ახლა რაღა შეიცვლებოდა ვითომო?"

მაგრამ მე და სლავამ ამ ექვს საათში ერთ გამოსავალს მივაგენით — უფრო სწორად ერთი გადაწყვეტილება მივიღეთ — ტორონტიდან რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა საჰაერო გზით უნდა გვემგზავრა. როგორ, რანაირად? — ნისიად!.. ამჯერად უკვე ნისიად. შამონში ჩვენ შეგვეძლო ჩვენი ვალი ჩასვლისთანავე გაგვესტუმრებინა. ეს იმას ემგვანებოდა — შუაღამისას ტაქსი რომ დაგჭირვებია შინ წასასვლელად და თან ფული არა გქონია, შენ მაინც ჩამჯდარხარ მან-

ქანაში და დანახარჯი სახლიდან გამოგიტანია მძღოლისათვის. ეს მეთოდი გაჭირვებისაა და შეიძლება ერთგვარ უხერხულობასთანაც იყოს დაკავშირებული, მაგრამ რას იზამ, როცა სხვა გამოსავალი არაა!.. თავს მხოლოდ იმით თუ დაინუგეშებ — შესაძლებელია ტაქსის შოფერი და ამ საბაგირო გზის მეპატრონეც ყოფილან ოდესმე ამ დღეშიო...

ესეც ასე: ვინ უწყის, ქარი როდის ინებებს ჩადგომას, ჩვენ კი უნდა ველოდოთ და ველოდოთ სვანეთის თვითმფრინავივით. თითქოს დაგვებედა მე და სლავას ამ გზობაზე ლოდინი. იქ, ტრასაზე გასვლის ლოდინი, მერე თოკებზე მოკონწიალე ესპანელების ლოდინი, ჩეხების ლოდინი, ახლა კი გამოდარების ლოდინი. ან იქნებ ფეხით ჩავსულიყავით?

ორივენი ენერვიულობთ, მაგრამ ვითომ არ ვიმჩნევთ. მე გასამხნევებლად ვეუბნები სლავას:

— იცი, სლავა, ერთხელ სვანეთში მივდიოდი და ჭუთაისის აეროპორტზე ორი კვირა ველოდე საფრენი ამინდის გამოსვლას... მერე და იცი, რა მოხდა?

— როგორც იქნა, გაფრინდი, არა?

— საქმეც იმაშია რომ — არა! ამინდზე გაბრაზებულმა ავდექი და ქვედა გზით გავუტიე მესტიისაკენ...

— შენც მოიგონე რალა... აქ არ აგვიხდეს შენი მონაყოლი, თორემ მოგკლავ, იცოდე...

და აი, ჩვენ ვსხედვართ ტორინოს დერეფანში და ამ საკითხზე ვფიქრობთ — როგორ აჯობებს? აქ ერთი ამბავია გასათვალისწინებელი: მთამსვლელი, რომელიც ასეთ პასუხსაგებ შეჯიბრებაში მონაწილეობს, უკიდურესობამდეა შეზღუდული დროით, იგი, ბუნებრივია, განსაკუთრებით უფრთხილდება და ზოგავს ძალასა და ენერგიას. დღეს თუ ერთი მწვერვალი დალაშქრა, ხვალ მეორეს უნდა ეწვიოს, ერთი სიტყვით, მეტი, რაც შეიძლება მეტი სასარგებლო მუშაობა უნდა გასწიოს. მის განკარგულებაში არსებული დრო მაქსიმალურად გამოიყენოს მხოლოდდამხოლოდ მწვერვალებისათვის, რადგანაც მთამსვლელთა „საქმენი საგმირონი“ დამორჩილებული თეთრონებით განიზომება, ჩვენი უთავბოლო ჩანჩალი კი საქმისათვის არამც და არამც არ იყო სარგო.

„სადა ხარ, ჩვენო გენერალო?“ — ჩავიღიღინე კიდევ ერთხელ

გუნებაში. ისევე მშველელსა და დამხმარეს ვუხმობდი, მაგრამ აბა საიდან უნდა მოგვევლინებოდა იგი?

• •

— ხშირად მეკითხებიან ხოლმე, ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლად, ცხოვრებაში გზის წარმმართველადო. ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ ვფიქრობ სიმართლეს არ იქნება მოკლებული, ჩემს მასწავლებლებად, მამაჩემი, ანტონ, გაბრიელ, ბექნუ ხერგიანები, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, გიო ნიგურიანი, ალმაცგირ კვიციანი, გოჯი ზურებიანი, ადსილ ავალიანი და სხვა მთამსველელები რომ დავასახელო. ერთად იმიტომ ჩამოვთვლი იმ ადამიანებს, რომ მათი დაშორიშორება, ინკოგნიტოდ წარმოდგენა ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია მე პირადად. მთამსველელობა ხომ ერთი ადამიანის სპორტი არ არის, ალპინიზმზეც არის ნათქვამი — „მარტო კაცი მინდორზე მეომარი ვერ იქნებაო...“ ზემოთ ჩამოთვლილი მთამსველელები ერთად დადიოდნენ მთაში, ერთად ეწეოდნენ ლაშქრობებს, ერთად იმარჯვებდნენ და მარცხდებოდნენ კიდეც. ჭირი და ლხინი ერთი ჰქონდათ.

ადრე, იმდენი როცა არ იწერებოდა მათზე, ხალხი ზეპირად გადასცემდა ერთმანეთს გაბრიელის, ბექნუს, ჭიჭიკოსა და სხვათა გმირობის ამბავს. ისინი ლეგენდებად იქცნენ ფანასოფლელთა, ახლობელთა თვალში, ყველას თვალში. სვანეთში კი ოდითგანვე არსებობდა ვაჟკაცობის, გამბედაობის, სიმამაცის კულტი. ოცდაათიან წლებში კი მთამსველელობით გატაცებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მთათა ქვეყანაში...

ჰოდა, პატარები ხომ თავისებური ხალხია. აბა რომელი ბავშვი იქნება რომ თავისი იდეალი, თავისი გმირი არ ჰყავდეს ოცნებაში წარმოსახული და თავადაც არ ისწრაფეოდეს მისი საგმირო საქმეებისაკენ...

ჩვენი სალოცავი ხატები მაშინ ყველაზე უშიშარი, მთებთან მებრძოლი ადამიანები იყვნენ. ბევრ რამეში ვბაძავდით მათ. მაგალითად, სიარულში, სიმძიმეების აწევაში, „კლდეზე ცოცვაში“... ვბაძავდით კი არა, ვეჯიბრებოდით კიდეც ერთიმეორეს ძველი მაჩუბების კედლებზე თუ ელექტრო ბოძებზე აბლატებაში. ონავრებს მსგავსი თამაშ-შეჯიბრის გარეშე ვერც კი წარმოგვედგინა არსებობა.

მაგრამ ჯერ იყო და გაბრიელი დაიღუპა, მერე ალიოშა ჯაფარიძე და მისი ჯგუფი იმსხვერპლა გულზვიადმა უშბამ. ყველაზე გულდასაწყვეტი ამბავი მაინც ის იყო, რომ უშბის ერთ-ერთი პირველდამპყრობი, გიო ნიგურიანი, შიშველი ფეხებით რომ ავიდა უშბაზე, სისხლისაღების ძველი ადათ-წესის მსხვერპლი შეიქმნა. ნაამსვლელის ლაშქრობაში სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ბრმა ტყვიით აღსრულება კი ყოველგვარ უსამართლობასა და სიმკაცრეს აღემატება. მთამსვლელობის ისტორიაში გიო ნიგურიანისეული გმირობა შესაძლოა ჯერაც არავის ჩაუდენია. სწორედ მან უშბის პირველი საბჭოური ექსპედიციის დროს, უმაგალითო თავგანწირულობით მთელი ჯგუფი იხსნა განსაცდელისაგან...

ხოლო ვინ იყო ალიოშა ჯაფარიძე? საბჭოური მთამსვლელობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, მთამსვლელობის პირველ მესვეურთა დიადი საქმის უშუალო და სახელოვანი გამგრძელებელი. კავკასიონის მთავარი ქედისა და მის განშტოებათა პირველი მაგელანი. უშბის პირველდამპყრობი, ცნობილი გეოლოგი-ინჟინერი.

მაგრამ ალიოშა ჯაფარიძის პიროვნებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მისი და-ძმის — სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეების სასახელო საქმეთა გახსენება. საერთოდ, მათი ოჯახის ერთსულოვნება, რომელიც უპირველესად მთათა სიყვარულში გამოიხატა.

სიმონი ავბედით 1929 წელს თეთნულდზე დაიღუპა პიმენ დვალთან ერთად. მისი სიკვდილის ამბავი მთელს საქართველოს მოედო. მაგრამ სიმონის და-ძმა ცრემლად როდი იქცნენ. მანამდე რომ ფიქრადაც არ ჰქონიათ გუნებაში, ისე აიკიდა ორთავემ ზურგჩანთა, აიკრა გუდა-ნაბადი და სვანეთის მთებისაკენ გაეშურნენ საყვარელ ძმაზე შურისძიებით შეპყრობილნი.

იმ წუთიდან იწყება ჯაფარიძეთა ძლევამოსილი, დაუღალავი მსვლელობა კავკასიონის, და არა მარტო კავკასიონის მწვერვალებზე, რომელთა კალთებზეც ჯერ ძეხორციელის ფეხი არ დადგმულა, ისანი ტოვებენ პირველ საბჭოურ ბარათებს, დგამენ სატრანზულაციო ნაგებობებს, ადგენენ რუკებს, რის ნაკლებობასაც ასე განიცდიდა მაშინ ჩვენი ქვეყანა...

პამირსაც უწია ალიოშა ჯაფარიძემ. მაშინ პამირის მთიანეთში ყველა ვერ გაბედავდა გამგზავრებას. იდუმალებით იყო მოცული ალაისა და ტრანსლაის, მეცნიერებათა აკადემიისა და დარვაზის მთაგრეხილები, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელი იყო, ხოლო

„ლარმოს“ მყინვარის რაიონი კი სრულებით თეთრ ლაქას წარმოადგენდა პამირის რუქაზე...

... — ძალიან ნელა მივიწევდით წინ, რადგანაც თოვლში მუხლებამდე ვეფლობოდით და ყოველ ხუთ-ათ ნაბიჯზე შესვენება გვიხდებოდა — აღწერს ლენინის პიკზე ლაშქრობას ალიოშა ჯაფარიძე — ყველა მღელვარებით ვადევნებდით თვალყურს ცაზე ღრუბლების ქროლვას.

უეცრად რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა. რამდენიმე წამის შემდეგ დავინახავთ რომ ვილაც მოგორავს ქვევით. იგი ინსტრუქტორი პოლიაკოვი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ორმოცდაათი მეტრის შემდეგ ის ღრმად ჩაეფლო თოვლში და გაჩერდა, საიდანაც იგი ინსტრუქტორებმა — წერეთელმა და ბელეცკიმ ამოიყვანეს.

პოლიაკოვი დაღლილი და შეშინებული იყო. ამიტომ წინა ჯგუფს ძის ნაცვლად ინსტრუქტორთა რაზმის უფროსი გაუძღვა. გაიარა რამდენიმე წუთმა და კვლავ შეიქნა ჩოჩქოლი. მოლაშქრენი გაჩერდნენ ერთ ადგილას და სულგანაბულნი იცქირებოდნენ მარჯვნივ, სადაც საშინელის სისწრაფით მოჰქონდა ქვევით თოვლის ზვავს რამდენიმე კაცი წინა ჯგუფიდან. ესენი იყვნენ ინსტრუქტორთა რაზმის უფროსი და ოთხი წითელარმიელი, ქვევით გორვის დროს ისინი ხან იმალებოდნენ ფიფქ თოვლში, ხან კი ზევით ამოტივტივდებოდნენ ხოლმე.

მთელი რაზმი იდგა და მისჩერებოდა ამ ამბავს, მაგრამ მიშველება კი არავის შეეძლო.

საბედნიეროდ ცოტა ხნის შემდეგ ზვავის სიჩქარემ დაიკლო და ხუთივე ზვავწაღებული თოვლში ჩაფლულნი გაჩერდნენ ორას მეტრზე იმ ადგილიდან სადაც ჩვენ ვიდექით, უფრო სწორად, საიდანაც ისინი დაგორდნენ. ჩვენი მღელვარება ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დამცხრალი, თვით დაზარალებულები კი ჯერ კიდევ გონს ვერ მოგებულიყვნენ, რომ ჩვენ პირდაპირ ცხვირწინ ჩაგვიარა საშინელი სისწრაფის ზვავმა, მაგრამ სასწაულად იგი არც ჩვენ და არც ზვავწაღებულებს არ შეხებია. ვუთხარით ოპერატორებს არ გაეშვათ იშვიათი შემთხვევა და გადაეღოთ მთელი ეს ორომტრიალი, მაგრამ თავდაცვის ინსტინქტს ისე შეეპყრო იმათი არსება, რომ სურათების გადასაღებად არა სცხელოდათ. „რა დროის გადაღებაა, საცაა ზვავი წაგვლეკავსო“ — გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა.

მდგომარეობა მართლაც სერიოზული იყო. მარჯვნივ მიმავალი

ზვავი ჯერ კიდევ არ იყო ჩათავებული, რომ ზევიდან დიდი სისწრაფით ახალი ზვავი გვიახლოვდებოდა. ის ახლა პირდაპირ მოდიოდა და მთელ რაზმს უქადდა წალეკვას. ზვავის აცდენა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც ის დიდი სიგანით მოდიოდა. სხვა გზა არ გვქონდა, ადგილზევე უნდა დავმაგრებულიყავით როგორმე საიმედოდ და ისე დავხვედროდით ჩამოშვავებულ თოვლს. ჩვენ თვალის დახამხამებაში ვთხრით თოვლის თავშესაფრებს, ვწვებით და ორივე ხელით ვეჭიდებით ღრმად ჩარჭობილ წერაყინებს. საკმაოდ დიდმა თოვლის ტალღებმა საშინელი სისწრაფით გადაუარა მთელ რაზმს და ქვევით, უფსკრულებში გაუჩინარდა. ყოველი მოლაშქრე წარმოუდგენელის დაძაბვით იყო ჩაჭიდებული თავის წერაყინს. ყველამ კარგად იცოდა რომ მისი ხელიდან გაშვება ზვავის კლანჭებში ჩავარდნას უდრიდა.

ზვავმა უვნებლად ჩაიარა, მაგრამ სავსებით შესაძლებელი იყო, ის მეტი სიძლიერით განმეორებულიყო.

მეტი გზა არ იყო, ან უნდა დავბრუნებულიყავით. მალე ისევ 6200 მეტრზე ვიყრით ყველანი თავს.

შევუდექით თოვლის თავშესაფარის მოწყობას. მალე ყველამ მოათავა დაბინავება. არ ვართ დაწოლილი მარტო ოთხი კაცი: მე, წერეთელი, პოლიაკოვი და ინსტრუქტორთა რაზმის უფროსი. ის იყო, ჩვენც ვათავებდით მუშაობას რომ უეცრად საშინელი სიძლიერის გრიგალმა დაჰბერა. თოვლის მტვერმა სრულიად დააბნელა ჩვენი თავშესაფარი. მე მაშინათვე გავედი გარეთ. წერეთელი უვნებლად იდგა თავის ადგილას.

გავიხედე იქით, სადაც დანარჩენები მეგულებოდნენ და თვალწინ დამიდგა საზარელი სურათი. ბანაკი თითქმის აღარ ჩანდა, ის მთლიანად მაღლიდან ჩამოშვავებული თოვლით იყო დაფარული. ქვევით კი, ას მეტრზე თმაგაწეწილი იდგა ინსტრუქტორთა რაზმის უფროსი და შველას ითხოვდა. ცოტა ქვევით კი მისი და პოლიაკოვის ჩანთები ეყარა. თვით პოლიაკოვი გარინდებული იდგა იმ ადგილას, სადაც ამ რამდენიმე წუთის წინ კარავს დგამდა. ამგვარად ზვავის დამარხვას ოთხი კაცი გადავურჩით — მე, წერეთელი, პოლიაკოვი და ინსტრუქტორთა რაზმის უფროსი. მთელი დანარჩენი რაზმი დაფარული იყო თოვლით.

ფიქრის დრო არ იყო. წერეთელი და მე შევუდექით ტყვეობიდან ხალხის განთავისუფლებას. ჩვენ წამოგვეშველა ლაშქრობის უფ-

როსი, რომელმაც სხვის დაუხმარებლად გაინთავისუფლა როგორ-ლაც თავი. ვიდრე ჩვენ გავანთავისუფლებდით წერეთელს, ინსტრუქ-ტორ ბელეცკისა და ჩემს რაზმებს, სხვა ჯგუფებშიაც გააჩაღეს თოვლის წინააღმდეგ ბრძოლა. რადგან ინსტრუქტორთა რაზმის უფ-როსი ორჯერ ზედიზედ იყო ზვავში მოხვედრილი იმის ჩანთის ამოსატანად მე დავეშვი დაბლა. ვიდრე ქვევით ჩავიდოდი და ჩანთას ამოვიტანდი, იქვე, ერთი ნაბიჯის მანძილზე სიკვდილს ებრძოდა თურმე ორი ახალგაზრდა.

„მანდ, თქვენს წინ ორი კაცია ზვავით დაფარულიო!“ — ყვირის ზემოდან პოლიაკოვი და მიმითითებს იმ ადგილზე, სადაც მე და რაზ-მის უფროსი ვიდექით.

ჩვენ თავდაუზოგავად დავიწყეთ ნაზვავი თოვლის გადაყრა. რამ-დენიმე წუთში გამოვაჩინეთ კარავი, სწრაფად გავხიეთ მისი წინა პირი. მაგრამ შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარავში მწოლიარენი აღარც კი იძვროდნენ. თვალის დახამხამებაში გამოვიტანეთ კარვიდან გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტი, რომელიც საბედნიეროდ გაბრუებული აღმოჩნდა და მალევე მოსულიერდა. შემდეგ კი — უმცროსი მეთაური ამხ. პომოგაიბო. ის უკვე აღარ სუნთქავდა, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვქონდა ხელოვნური სუნთქვით მისი მობრუნებისა.

უდიდესი მღელვარებით შევცქეროდით ექიმს, რომელიც ნახე-ვარი საათის განმავლობაში უდიდესის მოთმინებით ცდილობდა მო-ებრუნებინა ამხანაგი პომოგაიბო. მაგრამ ამას უკვე სამუდამოდ ჰქონ-და გრძნობა დაკარგული, სუნთქვა და გულისცემა შეჩერებული...“

— ალიოშა ჯაფარიძეს, როგორც მთამსვლელს, ბადალი რომ არა ჰყავდა, ეს კარგად ჩანს 1936 წელს ლენინის პიკზე ჩატარებული ლაშქრობის ამსახველ ამ მცირე ნაწყვეტიდანაც კი. იგი იყო ფიზიზელი გონების, მაგარი ნებისყოფისა და სპორტული ჟინის კაცი. იმავე წელს, მიუხედავად ამდენი წარუმატებლობისა, ალიოშა ჯაფარიძე ექვსჯერ შეეცადა დაუმორჩილებელი ლენინის პიკის დაპყრობას, ექვსჯერ დატოვა უამინდობის გამო მწვერვალისწინა მისადგომები, მაგრამ გული მაინც არ გაუტეხია, რომ უფროსების დაჟინება არა, იგი მეშვიდეჯერ აპირებდა სამკაციანი ჯგუფით საბჭოთა კავშირში სიმაღლით მეორე მწვერვალის, ლენინის პიკის დალაშქვრას...

მაგრამ ყველაზე დიდი გმირობა ალიოშა ჯაფარიძის ბიოგრაფიაში მაინც უშბაზე გამარჯვება იყო, უშბაზე, რომელიც თავისი ხელშეუ-ვალობით, მიუდგომლობით, შვეული, გრანიტოვანი კლდეებით ასე

იზიდავდა მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მთების მოყვარულთ, გამოჩენილ მთამსვლელებს.

უშბის დამორჩილების ცდას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მის წვერზე შედგომის ბედნიერება პირველად ინგლისელ კოკინსა და შვეიცარიელ ულრიხ ალმერს ხვდა წილად. კოკინი გულის მყინვარიდან ავიდა უნაგირაზე, ხოლო შემდეგ უშბის ჩრდილო აღმოსავლეთ წვერზე 1888 წელს.

ამის შემდეგ კი გულგოროზმა უშბამ თითქოს პირი შეკრაო, მიუდგომელი და ხელმიუკარებელი გახდა. 1888 წლიდან მოყოლებული 15 წლის განმავლობაში მიუხედავად საზღვარგარეთელი მთამსვლელების მრავალი ცდისა, ვერავინ ამაღლდა მის წვეროკინაზე. ვერავინ მოავლო დამცინავი მზერა. მთაგრეხილების გამოჩენილი მკვლევარი, ინგლისელი დ. ფრეშფილდი უშბისაკენ მიმავალი გზების გამოსაკვლევად საგანგებოდ ავიდა გულბაზე და იქიდან შეუდგა მრისხანე მწვერვალის კალთების დაზვერვას, მაგრამ ამაო იყო მისი გარჯა, დარწმუნდა რა უშბის მიუდგომლობაში, სამუდამოდ ჩაიქნია ხელი მასთან შერკინების ცდაზეც კი...

მხოლოდ 1903 წელს მიაღწიეს უშბასთან მოპაექრეებმა საწადელს. ორმა ჯგუფმა ზედიზედ დალაშქრა უშბის სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთის მწვერვალი. ეს იყო გებლინგის, ვებერის, რეიხტერისა და შუსტერის (ხელმძღვანელი გერმანელი მთამსვლელი შულცე), პფანისა და დისტელის ჯგუფები. ისინი ერთიმეორის მიყოლებით ავიდნენ უშბაზე (პფანისა და დისტელის ჯგუფმა ნაწილობრივ შულცეს ჯგუფის მიერ გამოყენებული პალოებით ისარგებლა მწვერვალზე ასვლისას).

ამის შემდეგ გადის 20 წელზე მეტი და კვლავ უშედეგოდ მთავრდება ყოველი იერიში უშბის წინააღმდეგ. რამდენიმე ათეული ჯგუფიდან მხოლოდ ერთმაღა შესძლო კვლავ მისი დამორჩილება.

ამრიგად: საზღვარგარეთელებიდან მიუხედავად მათი მრავალრიცხოვანი ცდისა, მხოლოდ ოთხმა ჯგუფმა თუ იზეიმა უშბაზე გამარჯვება, დანარჩენები ნირწამხდარნი, ოცნებაუხდენელნი გაბრუნდნენ უკან. ზოგიერთმა კი, (ავსტრალიელების ჯგუფი) საუბედუროდ, სამუდამოდ აღსასრული ჰპოვა სვანეთის კავკასიონზე. კერძოდ კი უშბაზე, ამ გულზეიადი მწვერვალის ტინებსა და ფრიალოებზე...

ამგვარად, მედგარი ბრძოლა, რომელსაც მსოფლიოს სახელგან-

თქმული ალპინისტები აწარმოებდნენ უშბის წინააღმდეგ, ორმოცდაათი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ დაგვირგვინდა ადამიანთა გამარჯვებით. ხოლო რევოლუციამდე უშბასთან ბრძოლის ისტორიაში არა გვაქვს შემთხვევა, რომ ადგილობრივ ალპინისტს დაემორჩილებინოს ორკუზა გოლიათი, თუ არ ჩავთვლით ხალხურ, გადმოცემას, რომლის მიხედვითაც უშბის მწვერვალზე ლეგენდარულმა მურათბი კიბოლანმა სასწაულებრივი კოცონი ააგუზგუზა, გადმოცემას, რომელიც ასე ცხადად შემოუნახავთ მეხსიერებაში ამ მამაცი ადამიანის ჭალარასან თანასოფლელებს.

1934 წელს ალიოშა ჯაფარიძისა და გიო ნიგურიანის, ალექსანდრა ჯაფარიძისა და იაგორ კაზალიკაშვილის ძლევამოსილი მსვლელობა უშბაზე საბჭოური მთამსვლელობის პირველი დიდი გამარჯვება იყო. აქ ყველაზე ნათლად გამოჩნდა ალიოშა ჯაფარიძის, გიო ნიგურიანის, უშბაზე ამაღლებული პირველი საბჭოთა ქალის — ალექსანდრა ჯაფარიძის, ცნობილი მეგზურისა და მთამსვლელის იაგორ კაზალიკაშვილის ალპინისტური შეუდრეკლობა და ვაჟკაცური შემართება.

მაგრამ უმჯობესია უშბის ეპოპეაზე თავად ასვლის ხელმძღვანელმა შესანიშნავმა მთამსვლელმა და ადამიანმა, შემდგომი უშბის კალთებზე აღსრულებულმა ალიოშა ჯაფარიძემ ილაპარაკოს. მე პირადად მისი წიგნის საშუალებით ბევრი რამ გავიგე მთამსვლელობაზე, 1953 წლის ზაფხულიდან იგი იყო ჩემი პირველი სამაგიდო წიგნი, წიგნი ვაჟკაცობასა და ერთურთის გატანაზე მთაში, წიგნი მთებთან ბრძოლასა და მათს სიყვარულზე. ეს იყო წიგნი უშბაზე პირველი საბჭოური ასვლის შესახებ. ეს იყო, პირველი ცდა მთამსვლელთა უცნაური და თავისებური ცხოვრების მხატვრულად ასახვისა და გადმოცემისა...

ჰო, მურათბის მერე იყვნენ ალიოშა და გიო...

• •

სწორედ ამ დროს სასტუმროს დერეფანში ორნი შემობრაგუნდნენ. — ქალი და ვაჟი. ისინი სპორტულად არიან გამოწყობილნი, ორივენი ლამაზი შესახედაობისანი არიან.

და აი, აქ მოხდა ერთის შეხედვით უცნაური ამბავი:

ქალი სასტუმროს კედელზე გაკრულ „ქათმის პორტრეტთან“ მიეიღა და სუფთა რუსულით თქვა:

— შეხედე, რა გაპრტყენილი დედალია, ვინ ჩამოკიდა აქა...

— რატომ გგონია მაინცდამაინც დედალი? მამალი რომ იყოს? — არ დაეთანხმა მას ვაჟი.

ქალს თითქოს ალმური მოედო სახეზე:

— ძალიან გთხოვ, ნუ გადამიკეთებ ხოლმე ნათქვამს, რომ ვინმე გვისმენდეს, რას იტყვის...

— რა უნდა თქვას მაინც? მე ვამბობ — მამალია-მეთქი, შენ გაიძახი — დედალიაო. რაა მაგაში უცნაური და სასირცხვო?

სლავას ვეღარ მოუთმინა გულმა, „თანამემამულეებთან" შეხვედრით გულაჩუყებული თამამად ჩაერია მათს ლაპარაკში.

— ეს არც დედალია და არც მამალი... ეს ბულბულია...

მოსაუბრეებმა გაოცებისაგან თვალები დააჭყიტეს.

— თქვენ რუსები ხართ? საიდან ჩამოხვედით?

— საბჭოთა კავშირიდანა ვართ. რუსი და ქართველი. — ეუპასუხე მე — ჩამოსვლით კი გრანდ-ჟორასიდან ჩამოვედით.

მოგვიახლოვდნენ და სეტყვასავით დაგვაყარეს კითხვები:

— რომელი ქალაქებიდანა ხართ?

— თბილისიდან.

სლავაც პასუხობს თავის წილ შეკითხვებზე.

— რა გვარისა ხართ?

— ხერგიანი.

— როდის ჩამოდით?

— აქ თქვენთან?

— ჰო, იტალიაში...

— იტალიაში გუშინ, საფრანგეთში კი უკვე რამდენიმე დღეა.

— კიდევ რას აპირებთ?

— თუ შევძელით რომელიმე მწვერვალზე ვცდით ალბათ...

— რა გზით დალაშქრეთ გრანდ-ჟორასი?

— ჩრდილოეთის კედლით ავედით.

ვაჟი — მარინო იტალია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის გენერალური მდივანი ალმოჩნდა, ქალი კი, მისი ცოლი — რუსეთიდან ჩამოეყვანა. ახლა თაფლობის თვე ჰქონდათ — საქორწილო მოგზაურობას იტალიის მაღალმთიანეთში ატარებდნენ.

მარინომ ჯერ არ იცოდა ჩვენი გასაჭირი. შემოგვთავაზა — მოდით, თუ დრო გაქვთ, საბაგირო გზით დავეშვათ კურმაიერში, იქიდან კი ჩვენი მანქანით შამონში ჩაგიყვანთ გვირაბის გავლითო.

ამ სიტყვებ-ს გაგონებაზე მე და სლავა კინაღამ ცუდად შევიქენით. (ყურმაიერიდან ხომ ის იყო ამოვედით). მართალია მარინოსადმი მადლობის მეტი რა გვეთქმოდა, მაგრამ აქამდე უკან გაბრუნების ფიქრსაც კი არ გაუელვებია ჩვენთვის გუნებაში და მასპინძელი კი სწორედ ამას გვთავაზობდა.

ეს ორი სიტყვა „უკან გაბრუნება" ყოველგვარ სატანჯველზე უარესია მთამსვლელისათვის. მთელი წელი ემზადება იგი სალაშქროდ. სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად რამდენ ამქვეყნიურ სიამოვნებას იკლებს, საიერიშოდ მზადების ერთწლიან ფაციფუცში უამრავი პირადი საქმე რჩება მოუგვარებელი. მე მყავს ამხანაგები, რომელთაც რამდენიმეჯერ გადაუდვიათ ცოლის მოყვანა, მხოლოდ იმის გამო, რომ საქორწილო სამზადისი და გაწამაწია ლაშქრობაში ხელს შეუშლიდათ.

ჰოდა, მიდის მთამსვლელი მწვერვალზე და უცბად შუა გზაზე ქარბორბალა, დიდთოვლობა ან სხვა რამ უბედურება ატყდება თავს. ხელმძღვანელი კი, რომელსაც მთელ მოსალოდნელ შედეგებზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია დიდი ხნის ფიქრის შემდეგ აცხადებს — უკან გასაბრუნებლად შეემზადეთო. ამ დროს კი მწვერვალამდე სულ რაღაც ათიოდე მეტრი თუა დარჩენილი. მაგრამ სხეულში მოწოლილ სურვილს რანაირად უნდა გაუწიო ანგარიში თუ კი თოვლს კარვები ვეღარ უძლებენ, მოიერიშეთ კი შემოაკლდათ სურსათსანოვაგე და შიმშილმაც დარია ხელი? ნამცეცი პური, ქილა კონსერვი სანატრელი გამხდარა ყველასათვის. ჰო და რალას შვრები ახლა? კიდევ დაელოდები გამოდარებას?

ხელმძღვანელი კი ბრძანებს — უკან გავბრუნდეთო! უნდა დაემორჩილო მის ბრძანებას, სხვა რა გზაა! უხალისოდ მოიგდებ გუდანაბადს, აითრევ წელსა და უნდილად მიაბიჯებ თავდაღმართზე, მიუყვები ტანჯვა-წამებით ამოვლილ წავარნა-წარაფებს. საოცრად დაგმძიმებია სხეული, თავში კი სიცარიელეა, გონებას ბურუსი ჩამოსწოლია, ალარაფრის თავი აღარა გაქვს, მიზანი დაკარგე, ოცნება დაგემსხვრა და ვიდრე ხელახლა იპოვი მას, ვიდრე ხელახლა გაცოცხლდება შენში ოცნებისა და ფიქრის უნარი, ვიდრე საბრძოლველად მოიმართები, აზრდაცლილი, გამოშიგნული მიაბიჯებ, ამ კლდეებივით ესახური და გამოფიტული მიბანცალებ და შესაძლოა ამ წუთში ალღომ გიმტყუნოს, ფეხი აგიცდეს, ხელი დაგისხლტეს ქიმზე, ტანმა

წაგძლიოს, ერთი სიტყვით ეშმაკმა გაცდუნოს და სამუდამო სასუ ფეველს ეწიო კიდეც.

და ამ წუთში მთამსვლელისათვის განა ბევრ რამეს ნიშნავს ქ... რაფზე ფრენა? მისთვის ხომ სულერთია ყველაფერი. რადგანაც ხორ- ციელი ცნებები უკვე აღარ არსებობენ მისთვის. უფრო მეტიც — შესაძლოა სიკვდილსაც კი ნატრობდეს ჩუმად.

მეც ხშირად მწვევია მსგავსი მელანქოლიური განწყობილება. ჩემს ამხანაგებისთვისაც დაურევია მას ხელი. სამწუხაროდ ზოგიერთი მათგანი უმსხვერპლია კიდეც.

მაგრამ მთამსვლელი ამ დამღუპველ გრძნობას არ უნდა აჰყვეს, იგი უნდა ამაღლდეს მასზე, თავად დაიმორჩილოს ეს მაცდური გრძნო- ბა. მთამსვლელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სულიერი წონასწო- რობისა და მხნეობის შენარჩუნებას. და ვისაც ეს არ შეუძლია, სა- ცოდავია იგი. საცოდავია, იმიტომ, რომ ვეღარ გააღწევს ბოლომდე, როგორც იტყვიან ვეღარ ეწევა თავის სიმაღლეს. ალპინისტმა, ნამ- დვილმა მთამსვლელმა მირიადი ხიფათიანი გზა უნდა განვლოს და თუ ერთხელაც აუცდა ფეხი უკვე ყველაფერი გათავებულია მისთვის. აქ შეცდომა ალსასრულს ნიშნავს. ამით განსხვავდება ალპინიზმი სპორტის სხვა სახეობისაგან. შეცდები და შეეწირები, მორჩა და გა- თავდა. ამაშია ალპინიზმის სირთულე და სიდიადეც ალბათ... სიკ- ვდილი ყოველ ბექობზეა ჩასაფრებული. მთათა ადათი ასეთია. — ულ- მობელნი არიან მთანი...

ჰო, ჩვენ „უკან გაბრუნებაზე“ ვსაუბრობდით. როგორც უკვე ვთქვით, ყველა მთამსვლელს ჭირივით ეჯავრება ეს ორი სიტყვა. მაგრამ ერთია მწვერვალიდან გაბრუნება და სხვაა უკან გაბრუნება გადასასვლელიდან, იოლად დასაძლევ უღელტეხილიდან, რომლის გა- დალახვა არავითარ სიძნელესთან არ არის დაკავშირებული გარდა უდროობისა და მოუცლელობისა. ამიტომაც მარიოს წინადადებამ ორთავენი ჩაგვაფიქრა. ბოლოს პირდაპირ ვუთხარით: რას ვიფიქრებ- დით თუ ასე მოგვიხდებოდა, თან ერთი კაპიკიც კი არ წამოგვილია და კურმაერიდან ეს წუთია ფეხით ამოვედით ტორინოში სწორედ უფულობის გამო. უკან გაბრუნება კი... მოგეხსენებათ...

ცოლ-ქმარმა სიტყვა არ დაგვამთავრებინეს. გაოცებულნი დარჩნენ გაგონილით:

— გრანდ-ჟორასის მერე აქ ფეხით ამოხვედით უფულობის გა- მო? ვაი სირცხვილო, სად იყო იტალიური სტუმართმოყვარეობა?!

მერე მარინომ აგვიხსნა:

— ერთი სიტყვაც რომ დაგცდენოდათ, საბაგირო გზაზე ფულს ვილა მოგთხოვდათო. ეს რა უცნაური ხალხი ყოფილხართო. ახლა კი სხვა რა გზაა, ჩვენ უნდა გამოვისყიდოთ საბაგირო გზის მესვეურთა უგულისყურობა, წამოდით ჩვენთან, მანქანით მიგაგრიალებთ იმ თქვენს შამონშიო...

რაღა გვეთქმოდა. რახან ასე გულიანად გვეპატიჟებოდნენ, უარს როგორ ვეტყოდით. მანქანით ვიმგზავრებდით და შესაძლოა უფრო ადრეც კი ჩავსულიყავით ბანაკში. თანაც, ვინ უწყოდა, როდის ჩადგებოდა ეს ოხერი ქარი, რომ საჰაერო მოძრაობა განახლებულიყო? და ისიც გასარკვევი იყო, გვამგზავრებდნენ კი ნისიად მებაგირეები? პო და ქვეითად მგზავრობა რომ დაგეჭირვებოდა ისევ?

საბაგირო გზით დავეშვით კურმაიერში.

მარინო სადგურის მუშაკებს გაესაუბრა. ისინი ყველანი სპორტულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი. ალბათ ჩვენზე თუ უთხრა რამე. ისე აგვათვალ-ჩაგვათვალიერეს. მერე ერთბაშად შეიცხადეს კიდეც:

— მადონა, მადონა! ეს როგორ ვერ შეენიშნეთ, როგორ გამოგვრჩა მხედველობიდან ეს მოკრძალებული ხალხიო...

მართლაც ძალიან შეწუხებულები ჩანდნენ. ხელებს მკერდზე გადაიჯვარედინედნენ, მერე კი ცისაკენ აღაპყრობდნენ — ბოდიშობდნენ, გვაპატიეთ ასეთი დაუდევრობაო.

მერე დავშორდით ახალგაზრდა მებაგირეებს. მარინოს მანქანაში ჩავსხედით და გვირაბისაკენ გავსწიეთ.

გვირაბი საფრანგეთისა და იტალიის მიწისქვეშა საზღვარია. საზღვარზე კი, როგორც ეს მთელს მსოფლიოშია მიღებული საბუთები ისინჯება. მაგრამ ჩვენ რომ არც ისინი წამოგვიღია თან? რაღას შვრები ახლა? თავი ზედ რომ არ გვბმოდა ალბათ იმასაც შამონში დავარჩენდით, ისე გამოდიოდა ჩვენი საქმე.

მარინომ, ჩვენმა მხსნელმა „გენერალმა" იტალიელ მესაზღვრეებს აუხსნა, ვინც ვიყავით, საიდანაც მოვდიოდით და სადაც მივდიოდით. გუშაგებმაც მოუსმინეს მარინოს, თავის მხრივ რაღაც უთხრეს. ახლა მარინო ჩვენ მოგვიბრუნდა:

— არ შვრებიან. როგორ იქნება სტუმრების ასე უპატივცემულოდ გაშვებაო. ხომ უნდა ნახონ იტალია, რომი, მილანი, ვენეციაო...

მე და სლავა კი აბა რას ვიფიქრებდით ორი უცხო ქვეყნის საზღ-

ვართან ასე იოლად თუ გადავრჩებოდით გუშაგებთან მოლაპარაკებას. და იმასაც ვინ იფიქრებდა, ასეთი ხუმარა მესაზღვრეები თუ არსებობდნენ სადმე საერთოდ, ისინი თურმე გვეხუმრებიან — ვერა. ვერ გაგიშვებთო. ისევ თავიანთ სტუმართმოყვარეობას უსვამენ ხაზს.

ბევრი ვიცინეთ.

რამდენიმე წუთში კი გზა საფრანგეთისაკენ ავიღეთ.

შამონი აფორიაქებული შეგვხვდა. ჩეხებს ხმა დაეგდოთ. რუსების წყვილმა მთელი მარშრუტი ცამეტ საათში გაიარაო. ყველა გაოცებული შემოგვცქეროდა, ერთმანეთს მიუოითებდნენ ჩვენზე — აი, ესენი არიანო.

ჩვენ კი გვეგონა, რომ ყველაფერი წყალში ჩაგვეყარა. საბჭოური კანონით ყოვლად დაუშვებელია დადგენილი მარშრუტიდან გადახვევა. თუ გადაუხვიე და ეს გაიგეს, ასვლას ვინ ჩაგითვლის, ის კი არა, შესაძლოა დისკვალიფიკაციაც მოგცენ.

ის ის იყო ოთახში შევედით და ტანსაცმლის გამოცვლას შევუდექით, რომ ალპინიზმის ფრანგული სკოლის შეფი ჟან ფრანკო გამოჩნდა თარჯიმანითურთ. მან გვკითხა:

— სად გაიარეთ გრანდ-ჟორასის კედელი? ესპანელებს რომ დაეწიეთ იმ ადგილიდან რა მიმართულებით წახვედით?

რა უნდა ვქნათ. ხომ არ მოატყუებ უფროს კოლეგას? თანაც ამდენი ხალხი გვხედავდა. ელდა გვეცა — „დაგვეკარგა გრანდ-ჟორასი, დაგვეკარგა და ესაა!" მერე, როგორც ამ დროს ხდება ხოლმე თანდათან შევეგუეთ კიდეც გუნებაში ამ დანაკარგს და ჟან ფრანკოს ეუთხარით: კედელს პირდაპირ შუბლში ვეტაკეთ-მეთქი. სიმართლე ეუთხარით.

ალიოშა ჯაფარიძე: ზიზველი ფეხებით უშბაზე...

ჩვენი ჯგუფი უშბასთან შებრძოლების სურვილით აღფრთოვანებული, განთიადიდანვე შეუდგა გასვლისათვის მზადებას.

ძალიან ვნანობდით, რომ ჩვენს შორის არ იყო გიო ნიგურიანი. რომელიც თანახმად პირობისა, გათენებამდე უნდა ამოსულიყო ჩვენთან. სვანის მონაწილეობა უშბაზე ასვლაში ხომ ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენდა, მით უმეტეს, რომ ზე

მო სვანეთის მთელი საზოგადოებრიობა და ორგანიზაციები უდიდესი ინტერესით შეხვდნენ ჩვენს ექსპედიციას და განსაკუთრებით სვანის მონაწილეობას მასში.

უკვე დავკარგეთ გიოს მოსვლის იმედი და ის იყო, გასვლას ვაპირებდით, როდესაც გამოჩნდა ჩვენი ბანაკისაკენ მომავალი კაცი, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს წინ იდგა ტანადი და ვეფხვივით მოქნილი ვაჟკაცი, ეს იყო გიო. აღსავსე ხალისითა და იმედებით.

გიოს მოსვლამ ყველა გაგვახარა და გამარჯვების რწმენა კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენში.

გიოს მოსვლის გამო ნახევარი საათი დავაყოვნეთ კიდევ და სრულ შვიდის ნახევარზე გავედით ძირითადი ბანაკიდან.

თოვლიანი კულუარი, რომელსაც ჩვენ მიეყვებოდით ზევით, შედარებით მოხერხებული აღმოჩნდა ასასვლელად. არსად მთელს მის სიგრძეზე არ შეგვხვედრია რაიმე დაბრკოლება თოვლისა და ყინულების ვარდნილების სახით, რომ საჭირო ყოფილიყო მათი გვერდის ავლა. არ დაგვჭირდა აგრეთვე საფეხურების ჭრაც. ასე არ იყო 1930 წელს, მაშინ კულუარის დაახლოებით შუა ნაწილში, სადაც იგი ვიწროვდება გვერდის კლდეებისაგან, ჩვენ გადაგვეღობა დიდი განივი ნაპრალი და ვეება თოვლვარდნილი, რომელთა გადალახვა ძალიან სახიფათო იყო, ამან გვაიძულა მაშინ დაახლოებით 3250 მეტრი სიმაღლიდან 3400—3450 მეტრამდე გადავსულიყავით და გაგვევლო ბარცხნივ აღმართული გვერდის კლდეებზე, რომელთა თხემზე დაბინდების გამო ღამის გათევა მოგვიხდა. ახლა ამ კლდეებზე ღამის გათევა არ იყო საჭირო, რადგან ასვლა დილით ადრე დავიწყეთ და, მოულოდნელი რამ თუ არ შეგვემთხვეოდა, სრული შესაძლებლობა გვქონდა პირველსავე დღეს მიგვეღწია 4000 მეტრის სიმაღლემდე, სადაც მეორე ბანაკის გაშლა გვქონდა გათვალისწინებული.

...როცა 3650—3700 მეტრის სიმაღლეზე ავედით, მივადექით კულუარის ყველაზე უფრო ციცაბო და სახიფათო ნაწილს, აქ უკვე დარჩენილმა ორმა მებარგულმაც კატეგორიული უარი გამოგვიცხადა გზის განგრძობაზე. სხვა გამოსავალი აღარ იყო, მე ნება მივეცი მათ დაეტოვებინათ ბარგი და გაბრუნებულიყვნენ.

თითოეულ ჩვენთაგანს 20 კილოგრამზე მეტი ბარგი მოჰქონდა. ამ ტვირთის განაწილებას ყველას შორის მე მიზანშეწონილად არ ვთვლიდი , არც მისი დატოვება ვარგოდა, რადგან მეორე ბანაკში თუ შეუძლებელი არა, ძალიან საძნელო აღმოჩნდებოდა უკარვოდ, უპ-

რიმუსოდ, უნავთოდ და უსპირტოდ გაძლება. ტვირთის წაღება, სხვა გამოსავალი არ იყო, მე და სანდრო გვალიამ ვიკისრეთ, იაგორა და ალექსანდრა ჩვენთან დარჩნენ და თოკებით გვეხმარებოდნენ. გიო და ლევან მარუაშვილი კი დაწინაურდნენ, რომ ადრე მისულიყვნენ დანიშნულ ადგილს და ბანაკისათვის შესაფერისი მოედანი შეერჩიათ.

• •

ჩვენდა გასაკვირველად ჟან ფრანკომ ხელი ჩამოგვართვა და გამარჯვება მოგვილოცა:

— ყოჩაღ, ბიჭებო, გივაჟკაციათ და უგ არი... რამდენი ხანია დგას ეს მწვერვალი, რამდენი ვინმე შებრძოლებია მის ჩრდილოეთის კედელს, მაგრამ ამ გზით ჯერ ვერავის დაურღვევია მისი მყუდროება. და საერთოდ ცამეტ საათში არავის გაუვლია თქვენი მარშრუტი..

უცბად შეიცვალა მდგომარეობა.

ერთი წუთის წინ თუ ეგრერიგად ცხვირჩამოშვებული და მხრებჩამოყრილნი ვიყავით, ახლა ჩვენზე ბედნიერი არავინ გვგონია. ყველანი გვილოცავენ გამარჯვებას.

მერე ტელევიზიიდან მოვიდნენ ოპერატორები. ისინი თავიანთი კამერებით თავს დაგვტრიალებდნენ მე და სლავას. არ ვიცი, რა ჩანაფიქრი ჰქონდათ, მაგრამ რატომღაც გვთხოვეს ავტომობილში ჩავმჯდარიყავით. მერე კი ხან იქით გაგვაქროლეს, ხან აქეთ გამოგვაქროლეს.

— ეს რაღა პატივისცემა გამოვა მაგათ თუ აქ გაგვითხარეს უდროოდ სამარე — ეეუბნები ხუმრობით სლავას.

ძალიან ჩქარა დაჰყავთ მანქანა.

სლავა კი მეუბნება:

— თუ მაგათ ცოცხალი გადავურჩით, მოდი ერთხელ კიდეე ვცადოთ სადმე, ა?..

ჩვენი მარულა მშვიდობით დამთავრდა. კვლავ მაცდუნებლად გვიღიმოდნენ მწვერვალები. საფრანგეთის შემდეგ პამირში უნდა წავსულიყავით და ვიფიქრეთ სამზადისს საფრანგეთშივე შეედგომოდით — წინასწარი აკლიმატიზაციისათვის გადავწყვიტეთ ალპების უმაღლესი მწვერვალის მონბლანის (4810) დალაშქვრა.

იმ დღისათვის ამინდი აირია. ღრუბელი და ბურუსი ჩამოწვა. არ იყო რიგიანი ხილვადობა, მაგრამ ყოველივე ამან ჩვენზე სრულია-

დაც ვერ იმოქმედა. ალბათ გრანდ-ჯორასისეული აღტყინება თუ მოგვყვებოდა. მწვერვალის დალაშქვრას მხოლოდ ხუთი საათი მოვანდომეთ. შინ დაბრუნებულებს ჟან ფრანკო შეგვხვდა და გვეუბნება:

— გულს ნუ გაიტეხთ, რას იზამ, ასეთია ჩვენი ცხოვრება, ხან გაგვიმართლებს, ხან — არა... თუმცა თქვენ რა, უამინდობამ შეგიშალათ ალბათ ხელი...

ჟან ფრანკომ რა იცოდა და ვერც წარმოედგინა ალბათ, ასე მალე თუ დავიმორჩილებდით მწვერვალს და იმაზე გვანუგეშებდა ასე. როცა მოვახსენეთ — „ვიყავით, დავლაშქრეთ და ეს ესაა დაებრუნდით — მეთქი", ჩვენმა მასპინძელმა გაოცებით წამოიძახა:

— თქვენ ტუპოლევის ლაინერებით დანავარდობთ მწვერვალებზეო.

მერე, როგორც უკვე ვთქვი, მშობლიური მთები გვიხმობდნენ, პამირის გოლიათებისათვის კიდევ უფრო ძნელი გამოცდები უნდა ჩაგვებარებინა...

იმ წელს გრანდ-ჟორასის ჩრდილოეთ კედელზე გავლილ მარშრუტს მიხეილისა და სლავას საპატივცემულოდ „საბჭოთა ვარიანტი" შეარქვეს. იგი ჯერ კიდევ არავის გაუვლია.

ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლა

29 აგვისტოს დილის ათ საათზე ჩვენ ჩავალაგეთ ჩანთებში საჭირო მოწყობილობა და საგზალი, გავიკეთეთ წრიაპები და თოკის საშუალებით დავიწყეთ ჩასვლა მოკლე მაგრამ მეტად დაქანებულ თოვლიან კულუარში, რომელსაც ჩავყევით გუშინ მე და იაგორა გზის დასაზვერად რომ ვიყავით წასული.

ჩვენი ბანაკიდან 40—50 მეტრით დაბლა თოვლიანი კულუარიანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ თოვლიანი ღარტაფი ებჯინება გარდიგარდმო მდებარე მცირე ქედივით ამაღლებულ კლდეებს, თითქმის სწორი კუთხით უხვევს სამხრეთით და რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წყდება ვერტიკალური კლდის თავზე...

მერე დავიწყეთ ასვლა თოვლიანი ველის მარჯვენა კიდურით. გეზი გვეჭირა კლდოვანი კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზე, სადაც ეს კედელი უფრო დაბალია. და მისი შემოვლა, ჩვენის აზრით, უფრო ადვილი იყო.

დიდი სიფრთხილით მივცოცავედით თოვლიანი ფერდობის კლდოვან ნაპირზე და დაახლოებით საათნახევრის შემდეგ, განვვლეთ ეს საძნელო გზა. ამის შემდეგ გაეყევით თოვლიანი ველის ოდნავ შესამჩნევ ქედისმაგვარ ნაწილს. ეს უმნიშვნელო ამაღლება თოვლიან ველს ორ ნაწილად ჰყოფს. ერთია აღმოსავლეთი ნაწილი, ის, რომელზედაც ავედით და მეორე — დასავლეთი ნაწილი, უფრო მოკლე, მაგრამ გაცილებით დაქანებული და მოყინული.

ორივე ეს ნაწილი წარმოადგენს უშბის მწვერვალიდან დაქანებული ხშირი ზვავების სათარეშო ასპარეზს. მაგრამ ეს ზვავები უფრო სახიფათოა თოვლიანი ველის დასავლეთ ნაწილში, რადგან იგი უფრო ციცაბოა და მოყინული. საჭირო იყო ფერდობის ეს დასავლეთი ნაწილი განზე გადაგვეჭრა, რომ გავსულიყავით კლდოვანი კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან, ეგრეთწოდებულ „წითელ კუთხესთან".

ეს ადგილი წარმოადგენს „ყელსახვევზე" გამავალი გზის ყველაზე უძნელეს ნაწილს.

უდიდესი სიფრთხილით გავიარეთ სათითაოდ ეს ფერდობი და გავედით „ყელსახვევის" ჩრდილო-დასავლეთ კლდოვან ნაპირზე. ეს კლდეები გაცილებით უფრო ციცაბოა. მაგრამ რადგან არც მოყინულია და არც თოვლით დაფარული, ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს. დაუბრკოლებლივ ავცოცდით ზედ და მივაღწიეთ მწვერვალის სამხრეთი კლდოვანი კედლის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს. ამ ადგილის სიმაღლე შავი ზღვის დონიდან დაახლოებით 4300 მეტრს უდრის.

აქ კედლის ძირას წავაწყდით ნაბინავარს, რომელიც შვეიცარიელ ალპინისტებს მოეწყოთ 1933 წელს. ეს სადგომი წარმოადგენს მოსწორებულ მცირე მოედანს, რომელიც ერთის მხრივ კლდოვან კედელს ებჯინება, სამი მხრიდან კი ქვით არის ამოშენებული. ეტყობა ეს სადგომი ორი კაცისათვის არის ნავარაუდევი, რაც ეთანხმება შვეიცარიელთა ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობას. ამ სადგომის პოვნამ დიდი სიამოვნება გვაგრძნობინა.

ძნელი გამოსათქმელია თუ რა სიხარულს, რა სულიერ სიმშვიდესა და საკუთარი თავის რწმენას უნერგავს გულში ადამიანს სულ უმცირესი კვალიც კი ადამიანის ყოფნისა აქ, კლდეების, თოვლისა და ყინულების საოცარ სამეფოში.

ნაშუადღევის ოთხის ნახევარი იყო, რასაკვირველია უკვე აღარ შეიძლებოდა გზის განგრძობა, მაგრამ ვინაიდან ჯერ ერთი, საჭირო

ყო. მაქსიმალურად გაგვიგვეყენებინა დრო და მეორე — ცნობისმოყვარეობა გვაიძულებდა გაგვეგო რა მოგველოდა კუთხის შემდეგ, ჩვენ გადავწყიტეთ წინსვლა.

მართლაც, გავყევით კედელ-კედელ დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე. მიეუხვიეთ მწვერვალის სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხეს და ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიდიადით აღიმართა უშბის მწვერვალის სახელგანთქმული ორასმეტრიანი დასავლეთი კედელი, ის კედელი, რომელმაც უშბას შეუქმნა რეპუტაცია უძნელესი მწვერვალისა ევროპასა და კავკასიაში.

ეს კედელი იზიდავდა ყველა ალპინისტს. ბევრი ცდილობდა მის ძირამდე მაინც მიეღწია თუ სხვა არაფერი, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ ესეც ვერ მოახერხა. ახლა, როდესაც პირველი ბანაკიდან მეორე ბანაკამდე და უკანასკნელიდან „წითელ კუთხემდე" უდიდეს სიძნელეთა გადალახვის შემდეგ, ჩვენ თვალი შევავლეთ ამ კედელს, ცხადი შეიქმნა, რომ აქამდე მხოლოდ ცალკეული შეტაკებები გვქონდა სიძნელეებთან, ხოლო რაც შეეხება გადამწყვეტ ბრძოლას წუთითაც არ გვშორდებოდა, შეგრძნება იმ გარემოებისა, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ და შეგვიძლია კიდევ ერთხელ ზედმეტად დავამტკიცოთ ადამიანის ძალთა სიდიადე ბუნების ძალებზე.

უკვე გვიანი იყო და საჭირო შეიქნა ღამის სათევი ადგილი. მაგრამ „წითელი კუთხის" ზევით არსად არ იყო ისეთი ალაგი, სადაც რამდენიმე კაცს შეეძლებოდა მოთავსება. კედლის ძირში კი ერთი კაცის დასაწოლსაც ვერსად მონახავ, ამიტომ დავიწყეთ დაშვება „წითელი კუთხის" მიმართულებით. დაახლოებით 30 მეტრზე რომ ჩამოვედით მოვნახეთ ადგილი, სადაც შეიძლებოდა ერთი კაცის დიდი გაჭირვებით მოთავსება. ასეთივე ადგილი ვნახეთ ცოტა ქვემოთ, პირველიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. ვინაიდან .იაგორამ და გიომ „წითელ კუთხესთან" ჩასვლა ირჩიეს, სადაც მზად იყო მხოლოდ ორი კაცისათვის საკმარისი ღამის სათევი, მე და ალექსანდრა დავრჩით უშბის სამხრეთი კედლის თხემზე.

პირველი შეგრძოლება და უკან დახევა

საუზმის შემდეგ დავიწყეთ გზის შერჩევა კლდეებში. მაგრამ ვერტიკალურ და სიპ კლდეებზე შორიდან გარკვეული გზის დასახვა ძალიან ძნელია. თვალი შევაჩერეთ ბუხრის მსგავსად შეღრმავებულ

ადგილზე კედლის ქვემო ნაწილში. როდესაც ამ ბუხარს კარგად დავაკვირდით, შევნიშნეთ, იქ ზემოდან ჩამოკიდებული თეთრი ხაზი, გამოვარკვიეთ, რომ ეს იყო თოკის ნაჭერი, დატოვებული ჩვენს წინამორბედთა მიერ.

ბუხრის დასაწყისთან რომ მივსულიყავით, საჭირო იყო კედელ-კედელ გავყოლოდით რაფას.

უკიდურესი სიფრთხილით გავიარეთ სახიფათო ადგილი და 10—15 მეტრის შემდეგ მივედით ბუხრის ძირში, სადაც ეკიდა შორიდან ჩვენს მიერ შემჩნეული თოკი.

თოკი სრულიად დამპალი იყო. ხელის ოდნავ შეხებაზეც კი იშლებოდა. ეტყობა, იგი დატოვებული იყო 1903 წელს შულცეს ჯგუფის მიერ. გარდა თოკისა ბუხარში შევამჩნიეთ კედელში ჩარჭობილი რკინის პალო.

ბუხარი თითქმის ვერტიკალური იყო. მაგრამ კლდის მცირე შვერილების გამოყენებით მე, გიო და ალექსანდრა ავცოცდით ბუხარზე. პირველი ბუხრის მერე ჩვენ მოვხვდით მეორე ბუხარში. მანდ ვიპოვეთ კიდევ ორი პალო, პალოებზე თოკი დავამაგრეთ, ალექსანდრა იქვე დავტოვეთ, მე და გიო კი გავყევით რაფას კედლის გაყოლებით. გავედით მესამე ბუხარში, სადაც კვლავ შევამჩნიეთ კედელში ჩარჭობილი პალო.

ეს გარემოება თითქოს გვითითებდა გზაზე, და მე მყისვე დავაპირე ბუხარზე ასვლა, მაგრამ ჩემი ცდა ამაო გამოდგა. დიდი ხნის შეუპოვარი მუშაობის შემდეგ იძულებული გავხდი უკანვე დავბრუნებულიყავი — ამ სიძნელის გადალახვა ჩემ ძალ-ღონეს აღემატებოდა.

ჩემს შემდეგ ბუხარზე ასვლა სცადა გიომ, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდა და უკანვე ჩამობრუნდა.

ვინაიდან ყველა ნიშნის მიხედვით ეს ბუხარი ერთადერთ ასასვლელ გზას წაავავდა, მე და გიო თითქმის სამნახევარი საათის განმავლობაში ვცვლიდით ერთმანეთს და თავგანწირვით ვცდილობდით ზევით ასვლას, მაგრამ ჩვენმა შრომამ სულ უქმად ჩაიარა და იძულებული გავხდით უკან დაგვეხია.

გიომ იშოვა მოხერხებული დრო და შეუდგა თავისი თეორიის გადმოლაგებას იმის შესახებ, რომ უშბის მწვერვალი მიუდგომელია, რომ „იმაზე არავინ ასულა, და ვინც ამბობს ავედიო, ცრუობს“ და სხვა ამგვარი.

დამარცხებულთა მძიმე განცდით დავბრუნდით უკან. ჩვენს შეგ-ნებაში მთელი თავისი სიმწვავით ჩაისახა ეჭვი, რომ უშბაზე ასვლა მიუწვდომელია ჩვენი ძალ-ღონისათვის.

მერე რა შედეგი მოჰყვებოდა ჩვენს ხელცარიელ დაბრუნებას? მთელი ჩვენი ექსპედიცია დაცინვის საგნად გახდებოდა სვანეთში. იმის ნაცვლად, რომ აქაურთა შეგნებიდან საბოლოოდ გაგვედევნა ცრუმორწმუნეობა ადამიანისათვის უშბის მწვერვალის მიუღწეველობისა, ჩვენი ცდის უშედეგო დამთავრება ზედმეტი საბუთი იქნებოდა ამ ცრუმორწმუნეობის გასამტკიცებლად.

უკვე სამი საათი იყო, როდესაც დაქანცულები გავედით ბუხართან, სადაც კლდესთან იჯდა ალექსანდრა. მან გვირჩია გზის მოძებნა ზევით. — თქვენს ცდაში — თქვა მან, — ქვემოდან ვათვალიერებდი ადგილს ამ კედლის თავზე და მე მგონია იქ შეიძლება ასვლა...

უფსკრულზე გადმოწეული კედლის სიმაღლე დაახლოებით სამ მეტრს უდრიდა. მე შევუყენე გიოს ბეჭი, შემდეგ ხელებითა და წერაყინით მოვეხმარე რომ კედელზე ასულიყო, ერთი წუთის შემდეგ კი მოგვესმა გიოს გახარებული ყვირილი: „თოკი, თოკი! როგორც ჩანს აქ შეიძლება ასვლა!“

გიოს მხიარულმა ყვირილმა იმედები გააღვიძა ჩვენში. დაქანცულობამ თითქოს გადაგვიარა და უკვე მზად ვიყავით განგვეგრძო ომერიში, მაგრამ უკვე ოთხი საათი იყო, იაგორაც ქვეეით იმყოფებოდა.

ერთად რომ მოვიყარეთ ყველამ თავი, იაგორამ და გიომ მოისურვეს სამხრეთი კედლის ძირში ღამისთევა. ალექსანდრამ არჩია აქვე ბიბმულიყო კლდეზე, ბუხრის ძირში და ისე გაეთია ღამე. მე ძალიან მომეწონა ალექსანდრას განზრახვა. ბუხარში დარჩენით იგი ზოგავდა იმ ენერგიას, რაც ტყუილ-უბრალოდ უნდა დახარჯვოდა რამდენიმე ასეული მეტრი ძნელი და სახიფათო გზის დასაძლევად „წითელ კუთხემდე“ და უკან.

ალექსანდრას დატოვებას კლდეებში მე მიკარნახებდა სხვა გარეშოებაც. ჩვენ ხომ წინ უდიდესი და სახიფათო სიძნელეების გადალახვა მოგველოდა, რომელიმე ჩვენთაგანს კი შეეძლო ყოყმანი დაეწყო და სულაც უარი ეთქვა ასვლაში მონაწილეობაზე. ყოველ შემთხვევაში განცდილ სიძნელეთა ზეგავლენით ზოგიერთ ჩვენთაგანს შეიძლება ეჭვი ჩასახვოდა ასეთი მძიმე და სახიფათო ასვლის მიზანშეწონილობაში რომელიმე ჩვენთაგანს შეიძლებოდა იხტერესი და-

კარგოდა უშბისადმი. ეს კი უეჭველად დაასუსტებდა ჯგუფს ფიზიკურად და სულიერად. ახლა კი კლდეზე დატოვებული ალექსანდრა იმ ცოცხალ საწინდარს წარმოადგენდა, რომელიც ყოველად შეუძლებელს ხდიდა ჯგუფის რომელიმე წევრის უკანდახევას და ჯგუფს უკარნახებდა ყოველმიზეზგარეშე განეახლებინა უშბაზე შეტევა. ამგვარად უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი იყო.

• •

— მთებთან ხუმრობა რომ სახიფათოა, ყველა მესიმაღლემ კარგად იცის. ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ბევრი რამ მოგვეტევება, მაგრამ მთაში მიმავალი ადამიანი უნდა განიწმინდოს, განსპეტაკდეს ცოდვა-ბრალისაგან, ისე მთა არ მიიღებს მას. მთად მიმავალმა კაცმა სულიერი კათარზისი თუ არ განიცადა, ისე არაფერი გამოუვა ცისიერეთში. იმიტომ რომ მთა გულზვიადია, ამაყი და მომთხოვნია, თავის დამფასებელია. და ვინც მათი დაფასება და პატივისცემა ვერ ისწავლა, იმათი გზები დაამოკლეს მთებმა... მალე მოიშორეს ისინი გულზვიადებმა.

ზოგი გარეგნულად ისეთი მშვიდია, შამა აბრამის ბატკანი გეგონება. აი, მაგალითად, თეთნულდი. მას მეტსახელად „სვანეთის პატარძალსაც“ კი ეძახიან. მართლაც, რომ შეხედავ, საქორწილოდ მორთული დედოფალი გეგონება, ისეთი ლამაზი და მშვიდი, სათნო და მომხიბლავია. მაგრამ გავიხსენოთ 1929 წელს მის კალთებზე დატრიალებული ტრაგედია; როცა ორი შესანიშნავი ქართველი მთამსვლელი სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი აღესრულა მის კალთებზე, და ადვილად დავრწმუნდებით, რომ მთათა სიმშვიდე მოჩვენებითია, მხოლოდღა მაცდური პოზაა...

და რა უბრალოდ დაიწყო ყველაფერი, მყინვარმა თითქოს ხუმრობა-ხუმრობით გაისტუმრა ორი ვაჟკაცი მოუსავლეთში. აი, როგორ აღწერს პიმენისა და სიმონის დაღუპვის ამბავს ამ ტრაგედიის უშუალო და ერთადერთი მოწმე, მთამსელელობის პირველი ფუძემდებელი საქართველოში გიორგი ნიკოლაძე:

„2—3 საჟენიღაა დარჩენილი კლდემდე, სადაც საშიშროება უკვე გავლილი იქნებოდა, როდესაც შედრკა პიმენი. ის ორი ფეხით ერთ საფეხურში იდგა და ორივე ფეხით დაიწყო დაცურება, თავდაპირველად ნელა, სულ ნელა, თითქოს შეუმჩნეველად. ის ცდილობდა

დამაგრებულიყო ჯოხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მასზე დაყრდნობით ფეხების შემაგრება, მაგრამ ფუჭი იყო მისი ცდა.

მე შეშინებით დავუყვირე სიმონს, რომელიც ჩემზე ახლოს იდგა ზურგით პიმენისაკენ და ჭრიდა ახალ საფეხურს. „პიმენ, პიმენ“ — დაიყვირა სიმონმა და სწრაფად დაარტყა წერაყინის წვერი წაქცეული პიმენის მუხლებთან, მაგრამ წერაყინმა ვერ დაიკავა პიმენი. მაშინ სიმონმა სტაცა ხელი პიმენს ბეჭებში, მაგრამ ალარაფერს შეეძლო პიმენის შეჩერება, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. და მასთან ერთად სიმონის ბედიც.

დაცურება თავდაპირველად ნელი იყო. უეცრად თითქოს მიწას მოსწყდნენო, გაქანდნენ ქვევით საშინელი სისწრაფით. მე დავინახე. რაგორ გაუვარდათ ორივეს ხელიდან წერაყინები და გადავიდნინ სხვადასხვა მხარეზე. ისინი სულ უფრო მეტი და მეტი სისწრაფით მიექანებოდნენ ჩემს მარჯვნივ. პიმენი, სიმონი. ორი წერაყინი, დროშა — ყველაფერი ჩაცვივდა მყინვარის ძირში, გადაუხვია მარცხნივ. და გაჰქრა ჩემი ხედვის არედან. შესწყდა ხმაური. დადუმდა ყველაფერი და მხოლოდ მე დავრჩი ამ ყინულისა და სიკვდილის სამყაროში“.

მას მერე რამდენი ათეული წელი გავიდა, რამდენჯერ დაიქუხეს მწვერვალთა კალთებიდან ყოვლისშემმუსვრელმა ზვავებმა. ალიოშა ჯაფრიძემ თავის დასთან, ალექსანდრა ჯაფარიძესთან ერთად პიმენისა და სიმონის დაღუპვის მომდევნო წელსვე იძია შური ძმისა და მეგობრის დაღუპვისათვის, 1930 წლის ივლისში ოთხი დღის განმავლობაში სამჯერ დალაშქრეს თეთნულდის მწვერვალი. მომდევნო წლებში კი გამოჩენილმა ქართველმა მთამსვლელმა სანდრო გვალიამ 182 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი აიყვანა მწვერვალზე. ერთი სიტყვით, თეთნულდზე იერიშები არ შემწყდარა, იგი რამდენჯერმე იქნა დამორჩილებული, მაგრამ მაინც ძველ, მუხანათ მთად რჩებოდა და დარჩება ისევე, მთათა ხასიათი უცვლელია სამარადჟამოდ, ეს იქნება თეთნულდი, უშბა თუ სხვა რომელიც გნებავთ, მათი დამორჩილება შეიძლება, მაგრამ მათთან თამაში — არა...

გავიხსენოთ კიდევ ერთი გულდასაწყვეტი ამბავი — შხარის კალთებზე დატრიალებული ტრაგედია. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ლამის სამშვიდობოზე გასულ გურამ თიკანაძეს სწორედ იმ ადგილას წამოეწეოდა სიკვდილი? ყოველივე ძნელადგასავლელი უკან მოიტოვეს, გულში თავისთვის გამარჯვებას ზეიმობდნენ მთამსვლელები და უც-

ბად ყველაფერი დაუმწარდათ. ეს იმასა ჰგავს, ომიდან მშვიდობით მობრუნებული ჯარისკაცი ალაყაფის კარებთან რომ მოიტეხს კისერს, მაგრამ რას იზამ, ასეთია მთამსვლელის ბედი. ერთ შეცდომაზე მთელი სიცოცხლით აგებ პასუხს. ყველაზე გულისდამწველი კი ალბათ ასეთი აღსასრულია, ასეთი უეცარი და მუხთალი აღსასრული. ბაბა ანტონისაგან მსმენოდა ერთი სვანური თქმა — „სადაც არ მოელი, იქ უფრო გაფრთხილდიო".

ასეა თუ ისე, მწარე გაკვეთილები უამრავი გვქონდა ჭკუისსასწავლებლად: მთამსვლელობის ისტორიის თვალისგადავლება იმიტომ არის კარგი, რომ იგი მოდუნებულ სხეულში მთვლემარე სიფრთხილის გრძნობას წამოახტუნებს და გამოაფხიზლებს. ყველა დიდი და საპასუხისმგებლო ასვლების წინ არც ერთ მთამსვლელს არ აწყენდა მისი ან გარდაცვლილი, ან რაღაც სასწაულებით გადარჩენილი კოლეგების, ამხანაგ-მეგობრების მიერ დაშვებული შეცდომების კიდევ ერთხელ გახსენება, თვალის გადავლება, გონებაში წარმოსახვა, რათა თვითონაც შესძლოს იმათი თავიდან აცილება. ამიტომაც იყო, რომ უშბაზე საიერიშოდ მზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით.

უშბა ხომ არც თეთნულდი იყო და არც რომელიმე სხვა მცირე მწვერვალი კავკასიონისა. ჩვენს „სარკეზე" ხომ ჯერ ადამიანის ფეხი არ შემდგარიყო, ძეხორციელის გამოსახულება არ არეკლილიყო. ჩვენ ვიქნებოდით მისი პირველი მეკვლეები, დაუპატიჟებელი სტუმრები და ვინ უწყის, როგორ მიგვიღებდა, რა მასპინძლობას გაგვიწევდა იგი?

რამდენიმე წლის წინ მე და ცნობილმა საბჭოთა მთამსვლელმა მიშლიაევმა პირველებმა განვიზრახეთ „უშბის სარკის" იერიში, ავედით კიდეც უნაგირაზე, რათა ახლოდან შეგვეხედა და დაგვეთვალიერებინა იგი.

— მუხთალია... — კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მიშლიაევმა — ეგრევე ეტყობა, რომ ბოროტგანზრახვებისაგანაა ალეწილი.

— ასე ფიქრობ? — უფროსი მეგობრის ანდეში ეჭვის შეტანა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა ჩემის მხრიდან.

მიშლიაევს უსიამოვნოდ შეეკმუხნა წარბები, მრეში, მოწყენილი თვალები კედლისთვის არ მოუცილებია ისე გაიმეორა ნათქვამი:

— რაღაც მზაკვრობა რომ უდევს, ეგრევე ეტყობა, ხედავ, როგორ ლაპლაპებს?

ერთი კილომეტრის სიმაღლის „მოშალაშინებულ" კედელს მზე

მოსდგომოდა და მისი ანარეკლი თვალებში გვეცემოდა. უშბის „სარკე“ სულთამხუთავად აყუდებულიყო ჩვენს ცხვირწინ. რაღაც უმწეობისა და უსუსურობის გრძნობას მოეცვა ჩვენი არსება. მაგრამ ალბათ ამიტომ — მით მეტი იყო წინააღმდეგობის გაწევის, პირისპირ შებმისა და შერკინების სურვილი.

არასოდეს დამავიწყდება ის წუთები. უცბად ვიგრძენი, რომ მთელი სხეული მიცახცახებდა, ასე ხშირად დამმართნია სარაიონო შეჯიბრებებზე, საჭიდაოდ რომ გამოვდიოდი. მას მერე მსგავსი გრძნობა არ დამუფლებია. რომ გამოვერკვიე და გონს მოვეგე, თვალები კვლავ კედელზე მქონდა მიშტერებული, გონებით ხელჩასავლებ ღრეჩოებს, ასასვლელ მონაკვეთებსა და ღამისსათევ ბაქნებს ვეძებდი და ვინიშნავდი. მაგრამ არც ერთი იყო და არც მეორე, მესამეზე, ღამისსათევ ბაქანზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, მაგრამ გონება გაცხოველებული შუშაობდა, თვალით ახლა საპალოე ადგილებსა და გასავლელ მეტრებს ვითვლიდი და ვანგარიშობდი. რამდენ დღეს მოუნდებოდით სარკის დალაშქვრას? ერთი... ორი... სამი... ოთხი... — სულ რვა ღამისთევა გამოვთვალე. მერე კოლეგისათვის რომ გამეზიარებინა ჩემი ფიქრი, მისკენ შევტრიალდი, მაგრამ მიშლიაევი იქ აღარ იდგა. ნაფეხურებს გავაყოლე თვალი და რამდენიმე მეტრზე-ღა დავაწიე მზერა. იგი დაბლა ეშვებოდა. საკუთარ თავზე გამეცინა, მაინც რანაირად ვაპირებდი მარტოხელა კაცი ,ამხელა კედელთან შებმას? განა სულელური არ იყო ჩემი საქციელი? გამეცინა და მყისვე უკან გამოვდიე ამხანაგს.

„— ახალბედა ხარ, გამოუცდელი, უფროსს დაუჯერე“. — ჩავილაპარაკე გულში. მიშლიაევი 17 ოქროს მედლის მფლობელი, გამოცდილი, ერთ-ერთი უმამაცესი მთამსვლელი იყო. ამხანაგებში და ალპინისტთა წრეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ახლა კი მე თითქოს იმის ვაჟკაცობასა და შეუპოვრობაში შემქონდა ეჭვი. ეს ეჭვი იყო ალბათ უკან რომ მეწეოდა და მექაჩებოდა მწვერვალისაკენ, უშბას თითქოს თავისი უხილავი ხელი მოეხვია ჩემოვის და არ უნდოდა გაშვება, თავისკენ მიმიხმობდა.

„ერთი სცადე, იქნება რამე გამოგივიდეს!“ — მამასხარავებდა იგი. მთელი სხეული თოვლის გუნდასავით შემეკრა. არ ვიცი, იმ წუთში კრიჭის გახსნა თუ შემეძლო. ერთიანად უშბასთან შებმის ჟინს მოეცვა ჩემი არსება და კიდევ — სირცხვილის გრძნობას: ეს საპირისპირო განწყობილებები ბუღრაობდნენ სხეულში. — ორი თავმომწონე ვაჟ-

კაცი ლაჩრულად იხევდა უკან, შინისაკენ მიჩანჩალებდა ზაფრადაცემული, სახლისაკენ მიეშურებოდა, რათა თბილ საწოლებში ჩათბუნებულიყვნენ. ტკბილი სიზმრები ეხილათ...

— სიცოცხლე როცა მომბეზრდება, ჩრდილოეთი უშბის განაცხადს წარვადგენ ალპინიზმის ფედერაციაში და ამ დაწყევლილ უშბის სარკეს მოვადგები კიდეც... — დაარღვია დუმილი სრულიად დამშვიდებულმა მიშლიაევმა — მანამდე კი ერთი დიდი სურვილი მაქვს, ჩათინთაუს მინდა შევუტიო...

„ჩაიშალა, ყველაფერი ჩაიშალა... შორჩა, გათავდა...“ — ეფიქრობდი მთელი გზა და არა მარტო იმ დღეს, მერეც სულ ეფიქრობდი „უშბის სარკეზე“. რამდენჯერმე დავაპირე კიდეც, კვლავ შემეხსენებინა მიშლიაევისათვის ჩრდილოეთი უშბის დალაშქვრა. მაგრამ შემდგომ წელს ჩათინთაუს მწვერვალიდან ავბედითი წითელი შუშხუნა გაეკრა ზეცას... ვიცოდი, ამ რაიონში მიშლიაევის თექვსმეტ კაციანი ჯგუფი მოქმედებდა. რაღაც ავი მიაზრა იმ წუთში გულმა. ამჯერად ანდეს, სამწუხაროდ, არც ჩვენთვის უმტყუნია, — რამდენიმე დღის შემდეგ მიშლიაევი და კიდევ ჯგუფის რამდენიმე წევრი ჩამოვასვენეთ მესტიაში.

ამ დაუდეგარმა ადამიანმა მხოლოდ ერთი წლით გადაივადა სიკვდილი. იოლი გზის მაძებარი არასოდეს ყოფილა, მაგრამ უშბაზე გაცილებით „მშვიდმა“ ჩათინთაუმ რატომღაც არ დაინდო იგი.

მაინც რას ერჩოდა, რა დაუშავა ასეთი?

გამოცდილმა კაცმა რა შეცდომა დაუშვა, რომ ასე მკაცრად დასაჯა მისმა საყვარელმა ჩათინთაუმ?

მითუმეტეს, მიშლიაევმა ხომ მშვენივრად იცოდა მონადირული და ამ შემთხვევაში ალპინისტური თქმა — „ვერიდებოდი ღოლოსა, შემომხვდა სოფლის ბოლოსაო“, იცოდა კი არა თვითონვე ქადაგებდა და დიდი ერთგულიც იყო ამ სვანური და არა მარტო სვანური, ზოგადკაცობრიული სიბრძნისა...

უკვე სხვა გზა არ დამრჩენოდა. ახალი ამხანაგები უნდა მეძებნა. ახალი სწორფერანი და თანამგრძნობი ამ სარისკო და საძნელო საქმეში. ერთობ საორმოფო და სათუო კი იყო — სიკვდილმობნეულ ბილიკებზე სამოგზაუროდ უნდა მომეხმო და გამეყოლებინა ღმერთისა და ქვეყნის წინაშე ალალმართალი, უდანაშაულო ადამიანები, რომელსაც ჰქონდათ დიდი ოჯახები, ჰყავდათ ცოლ-შვილი, და-ძმები და ნათესავები... ვისთან ყოფნაც ასე უხაროდათ, ვისთან დაშორებაც ასე ეძნე-

ლებდათ... და რომელთაც ჩემთვის არასოდეს არაფერი არ დაეშავებინათ.

მაგრამ მათს აყოლიებას, მათს მხარში ამოდგომას მოითხოვდა არა მარტო ჩემი პირადი ინტერესები და რაიმე ძველი ანგარიშები უშბის მიმართ, არამედ საქართველოს ალპინისტთა ინტერესები, და კიდევ ის, რომ ისინი ყველანი მთამსვლელები იყვნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. მთელი რიგი სავალალო ინციდენტებისა და ჩავარდნების შემდეგ საჭირო იყო დიდი, საყოველთაოდ აღიარებული გამარჯვებების მოპოვება, სულიერი მხნეობისა და დაკარგული თუ შელახული პრესტიჟის აღდგენა.

ამ საქმეში კი „უშბის კედელს" ნამდვილად შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ქართველი მთამსვლელებისათვის. დიახ, ჩვენ უნდა გაგვეფანტა მწვალებლური ეჭვები, შიში... და მე ბევრი ; იქრისა და განსჯის შემდეგ წინადადებით მივმართე ჩემს უახლოეს ამხანაგებს — შალვა მარგიანს, ჯოკია გუგავას, გივი წერედიანს, ჯუმბერ კახიანს, შალვა ახვლედიანს, შოთა ჩართოლანს, მიხეილ ხერგიანს (უმცროსი)... ალბათ სწამდათ და სჯეროდათ ჩემი, ესმოდათ საქმის სირთულე და მისი მნიშვნელობაც. არცერთმა არ დაიხია უკან. ყველანი ერთხმად ამომიდგნენ მხარში. ყოველგვარი ჭოქმანისა და „შინ შეეეკითხების" გარეშე განაცხადეს თანხმობა.

ეს იყო 1959 წელს, მაგრამ არც მაშინ, არც მომდევნო წლებში ჩვენს ერთობლივ სურვილს აღსრულება არ ეწერა. უშბის სარკეზე შეტანილ განაცხადს სხვადასხვა მიზეზების გამო არ ამტკიცებდნენ.

1964 წლისათვის კი, როგორც იქნა, გამოცხვა დიდი ხნის ნალოლიავები კვერი და ჩვენც მთელის მონდომებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით შევუდექით სამზადისს.

• •

31 აგვისტოს ადრიანად ავდექით და შევუყევით ნაცნობ გზას. დილის ათ საათზე უკვე ალექსანდრასთან ვიყავით ასული, რომელსაც ჩინებულად გამოეძინა და სავსებით მხნედ გრძნობდა თავს.

ზედა რაფაზე მცირეოდენი დასვენების შემდეგ გიომ ბეჭი შემიყენა და მომეხმარა იმ კედელზე ავსულიყავი, სადაც ამგვარივე წესით გუშინ თვითონ აცოცდა. თოკის დახმარებით მე სხვებიც ამომყვნენ;

კლდის თავზე, თუმცა დიდი სიძნელით, ერთ ხანს მაინც დაუბ-

რკოლებლივ მივდიოდით, მაგრამ ჩქარა ისევ ჩიხში მოვიქეცით. მარ-ჯვნივ და მარცხნივ სრულიად ვერტიკალური კლდეები იყო აღმართულ-ული. მდგომარეობა გუშინდელის მსგავსად თითქოს გამოუვალი იყო.

მაგრამ უბრძოლველად უკან დახევა არ შეგვეძლო.

ყველა შესაძლებლობა მოვსინჯეთ, რომ როგორმე დაგვეძლია ვერტიკალური კლდეები. მეც და გიოც ვცდილობდით ხანაც მარცხნი-დან აგვევლო მათთვის, მაგრამ ამაოდ — ვერაკითარ გამოსავალს ვერ ვპოულობდით, მეტი გზა არ იყო, იერიში უნდა მიგვეტანა მესამე კლდოვან ღარზედაც.

ეტყობოდა, არც ერთი ჩვენი წინამორბედი არ ასულა ამ ღარით, მაგრამ იმ გზის ძებნას რომ შევდგომოდით, რომლითაც მათ ამ ად-გილს გვერდი აუარეს, დიდი დრო დაგვეკარგებოდა. ამიტომ მტკი-ცედ გადავწყვიტეთ უკან არ დაგვეხია უკანასკნელ შესაძლებლობამ-დე და ვცდილიყავით კედელზე ასვლას.

მთელი საათის განმავლობაში მე და გიო ვცვლიდით ერთმანეთს და თავგამოდებული იერიში მიგვქონდა, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. კლდის გლუვი ზედაპირი ვერაფრით ვერ დავძლიეთ. აუწერელი ჯაფა დაგვადგა და ძალ-ღონეც თითქმის სრულიად გამოგველია. საჭირო იყო თავი დაგვენებებინა ცდებისათვის...

მაგრამ .აი, ერთი უკანასკნელი და გადამწყვეტი შეტევაც — გიო ჯაბრალებს იხდის და ფეხშიშველი ცდილობს გლუვ კედელზე აცო-ცებას, მისი ცდა შედეგს აღწევს — შიშველი ფეხები კედელზე მაგ-რდება, გიო მიცოცავს ზევით თითქმის ღარის ნახევრამდე და ასწრებს კლდის ბზარში რკინის პალოს ჩარჭობას. ამით გადაწყვეტილი იქნა ჩვენი ასვლის ერთ-ერთი უძლიერესი საკითხთაგანი. კედელი, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დავძლიეთ...

• •

— რა დაგრჩათ კლდეებზე, მიწაზე ვერ დაეტევით? თავს რაზე იკლავთ? — ხშირად მსმენია საყვედური, გასაკუთრებით, ძნელი, ტრაგიკული ასვლების მერე გვისაყვედურებენ ხოლმე. ნათესავ-მე-გობრებს ვეცოდებით ბიჭები და თავიანთ გულისწყრომას იმის გამო, რომ ჩვენ კინაღამ გადავიჩეხეთ, ან გავიყინეთ, ასე გამოხატავენ. რა თქმა უნდა, ძნელია პასუხის გაცემა. ასეთი პრაქტიკული თვალსაზრი-სით თუ მივუდგებით .ამ საკითხს, მართლაც და რა დარჩენია ადა-

მიანს უკაცრიელ მწვერვალებზე? მიდი და აუხსენი, თუ კაცი ხარ, აუხსენი და დაარწმუნე, რომ დარჩენა-არდარჩენა აქ არაფერ შუაშია.

გაახსენე, ამ ხალხს 1942 წლის კავკასიონის ბრძოლები, როცა გადამწყვეტ როლს სამთო ოსტატობა და ალპინისტური ხელოვნება ასრულებდა. გაახსენე ბექნუ და გაბრიელ ხერგიანების, მაქსიმე გვარლიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, გოჯი ზურებიანის, ილიკო გაბლიანისა და სხვა ქართველი მთამსვლელების სასახელო საქმეები კავკასიონზე, იქნებ მაშინ შეგეშვან და თავი გაგანებონ... მაგრამ ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა.

ჩემთვის, მაგალითად, ყოველი დაუპყრობელი მწვერვალი აუხსნელი, კონკრეტულ საგნად ქცეული ოცნებაა, მიზანია, რომელიც თითოეულ ჩვენგანს ასულდგმულებს და ამოძრავებს, შესაძლებელსა და შეუძლებლს შორის აღმართული სამანია, და შენ, რადაც არ უნდა დაგიჯდეს, გინდა დაიმორჩილო იგი. სხვანაირად რომ ვთქვათ, გინდა აიხდინო წმიდათაწმიდა ოცნება, გულისწადილი შენი. განა მაგაზე საპატიო საქმე არსებობს რაიმე ამ ქვეყნად? მე არა მაქვს მხედველობაში მაინცდამაინც მთამსვლელის მიერ რომელიღაც მწვერვალის დაპყრობა, მე ვგულისხმობ ოცნების, მიზნის აღსრულებას საერთოდ, რასაც იშვიათად აღწევს ხოლმე ადამიანი. რა თქმა უნდა, ძნელია, ძალიან ძნელია.

ეს არის დღენიადაგ ბეწვის ხიდზე სიარული. ხიდზე, რომელიც ბორკეულია, ქანაობს და შეიძლება ამ წუთში ჩატყდეს, შეიძლება ამ წუთში ჩატყდეს, შეიძლება ცოტა მოგვიანებით, ეს ეშმაკმა უწყის! ალბათ ამიტომ არის, რომ მთამსვლელი, რომელმაც საექსპედიციო თადარიგი დაიჭირა, ტყავის ბურთივით დაჭიმული, დაკუმშულია; შინაგანი, ქვეშეცნეული მღელვარება ძაბავს და აქანდაკებს მას.

მთამსვლელებს სიტყვაძუნწობასაც უსაყვედურებენ ხოლმე. სიტყვაძუნწი ხალხი რომ არის, ეს მართალია. აბა სცადეთ და რომელიმე ხელოვანს ეწვიეთ თავის სახელოსნოში, როცა იგი გაცხოველებული შემოქმედებით მუშაობის პროცესშია. საუბარს გაგიბამთ კი არა, შეიძლება კარიც კი მოგიხუროთ, ასევეა მთაშიც. მთა ალპინისტისათვის იგივე სახელოსნოა. მართალია, აქ ქანდაკება არ იძერწება, მაგრამ ისეთივე შემოქმედებითი მუშაობა, უფრო სწორად აბსტრაქტული შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს — მხატვარივით, მწერალივით, რაიმე ხელშესახებს, კონკრეტულს კი არ ჰქმნის. ერთი შეხედვით, მარტივ საქმეს ასრულებს: ადის მწვერვალზე და ჩამოდის

მწვერვალიდან. შეიძლება ნაფეხურებიც არ დარჩეს მისი; ვერავისთან ვერ დაიტრაბახებს, ამდენი ოფლისღვრის შედეგად ეს შევქმენი, ის შევქმენიო.

მაგრამ სიცოცხლე? სიცოცხლე, რომელიც უვნებელი, მთლიანი დაბრუნდა ბარში? ამ სიცოცხლეს ხომ იგი დაატარებდა სიკვდილოვან ნაპრალებს შორის, იგი ეზიდებოდა ხელშეუველებელ ქარაფებსა და ქიმებზე. მან განაცდევინა გამარჯვების სიხარული და სიდიადე შეჰმატა ადამიანის სულს. თუ ეს ასეა, მაშინ მთამსველელის დაპყრობილ მწვერვალებს, ამ სიცოცხლეს, ამ სულის სიდიადეს სხვები დაინახავენ და წაიკითხავენ, როგორც სიმამაცის, სიყვარულისა და ძლიერების წიგნს. აი, ამ მომენტში იგი უკვე ახლოს არის ხელოვანის შემოქმედებასთან.

ჰეშმარიტი მთამსველელი არასოდეს მიატოვებს მთას, ისევე, როგორც მეზღვაური — ზღვას და პოეტი — ლექსების წერას. არ მიატოვებს, ვიდრე მთელია, ვიდრე არ გამწყდარა მისი ჯაჭვი. მერე კი...

დაძაბულობასა და გაჭირვებას ყოველთვის აბათილებს და ანაზღაურებს გამარჯვების სიხარული. ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!

1943 წ. თოვლიანი უშბის ძრონიკა
გოჯი ზურაბიანი[1].
ვეუბვებოდით მწყობრად, როგორც თანატოლნი...

— უკან დარჩა უშბის კალთებზე ჩვენს მიერ დიდის წვალებით გამართული ათამდე ნაბინავარი. უკან დარჩა კოშმარული ღამეების წყება, რომლის მსგავსი არც დასიზმრებია ალბათ არასოდეს ადამიანს, რისი წარმოდგენაც ძეხორციელის წარმოსახვას და ფანტაზიას აღემატება. კოშმარული ღამეები! და რაღა მხოლოდ ღამეები... დღეებიც.

ისინი კვირა-ორშაბათის მთვარესავით წააგავდნენ ერთმანეთს. თითქოს დანარჩენი სამყარო უფსკრულში ჩაიჩეხაო და მხოლოდღა ჩვენ შემოვრჩით უშბის ქარაფს რაღაც ბედად თუ უბედობით — ერთადერთი, რისი არსებობაც ჩვენ ყოველწამს შეგვახსენებდა ხოლმე

---

[1] სპ. დამს. ოსტატი. 1943 წლის ზამთარში უშბის ექსპედიციის მონაწილე. ხელმძღვანელი ალიოშა ჯაფარიძე.

თავს, ეს ავბედითად დატრიალებული ქარბორბალა იყო, გრანიტოვან შვერილებზე რომ იფხრიწებოდა და მეძავი ქალივით დაგვკიოდა თავს. ქარბ'ბალა, რომელიც თოვლში ჩამარხულ კარავშიც მოძვრებოდა და თითოეულ მათგანს თავის აშარ ხელებს გვიფათურებდა სულში, სხეულში...

და კიდევ იყო მეორე სახება — შიმშილი. თავისი უხილავი, წახნაგოვანი ბრჭყალები რომ ჩაევლო ჩვენთვის და დახრჩობას, მოგუდვასა და უთვალავი მოჩვენებებით მოშთობას გვიპირებდა. მოჩვენებებით, დაბლა, სადღაც შორეულ მიწაზე დატოვებულ ადამიანთა დღესასწაულებზე, ლხინ-ქეიფებსა და დღეობებზე, სააღდგომო საკლავებზე, დატყავულ ყოჩებზე, კვირიკობის დღეობაზე, უშველებელ სპილენძის ქვაბებში მოთუხთუხე ნახარშსა და ტაბაკებზე ჩამორიგებულ, მეხორცეთა მიერ მსხვილად დანაწილებულ მსუქან ულუფაზე. მწდეთა მიერ პირის გასახსნელად ჩამორიგებულ თითო კათხა წინწანაქარზე. და რაზე არა... მაცდურ წარმოდგენებზე. პირში გუბდებოდა ნერწყვი, ზღვად იქცეოდა და წალეკვით გვემუქრებოდა. არავინ იცოდა, გამოფიტულ, გამთანგველი წყურვილით შეპყრობილ სხეულის რომელ კუნჭულში მოიძევებოდა წებოვანი სითხის უშრეტი მარაგი.

აუ, რა მაცდუნებლად მოჩუხჩუხებდნენ სანეტარო მჟავეწყლები. ვეძა-სგიმები შიხრისა და მესტიისა, მულახისა და კალისა... მჟავეწყლები, რომელთაც დუცის მომჟავო გემო წაჰკრავდათ და სხეულში მაცოცხლებელ ნექტარად იღვრებოდნენ.

მერე ჩვენი უსაგნო ფარფატი მოჩვენებათა სამყაროში ერთი აკვიატებული, ათასჯერ ნანახი, და განცდილი სურათით მთავრდებოდა: უფსკრულებში მიფრიალებდა მუხინის ზურგჩანთა, რომელიც მას ქარმა მოსტაცა, და რომელშიც გვქონდა ხორაგეული, შავი დღისათვის შემონახული პური არსობისა. უშბის წარაფებზე დატრიალებული ზურგჩანთა დაბინდული გონების ლაბირინთებში გაიქროლებდა, მეტეორივით მოსწყდებოდა იგი ზეცის თავანს, წრეს გააკეთებდა სივრცეში და კოტრიალ-კოტრიალით გაუჩინარდებოდა სადღაც მოუსავლეთში. მერე კი კვლავ წამოყელყელავდებოდა. ახლა უკვე ჩანთას ადამიანის მხრები ჰქონდა, კაცის თვალები, ხელები. ჩამოჯდებოდა ქარაფზე და გრუხუნ-გრუხუნით გადაეშვებოდა დაბლა უფსკრულეთში. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მაინც როგორ არ დაიფლითა იგი, როგორ უძლებდა გაუთავებელ კოტრიალს მთის წავარნებზე?

მერე ხელს გავიწვდიდით ალიოშასაკენ — ეს ინსტინქტი მას მერე

დაგვჩემდა, რაც მან მომჭირნეობით გადანახული თავისი წილი ულუფიდან შოკოლადის ნატეხები დაგვირიგა ილაჯმიხდილთ. „ეეიმკითხავე, გვიმკითხავე, გვიმკითხავე...“ — შესთხოვენ ალიოშას ჩვენი გაშვერილი მოკანკალე ხელები. მერე თავის ერთი მძლავრი გაქნევა და ეს მოჩვენებაც ქრება თვალსაწიერიდან. მერე სხვა იწყება.

ახლა კი ერთად მოვაბიჯებთ ყველანი. როგორც იქნა გამოვაღწიეთ ქარაშოტის, შიმშილ-წყურვილისა და სიცივის მარწუხებს. ახლა ჩვენ ვგავართ მეუდაბნოეთ, რომელთა ილაჯმიხდილი სხეული მთელი თვეა უწყლო ქვიშრობებსა და ბარხანებში დაბარგანობს და ჰა, შორს, სადღაც ცის დასალიერთან მოჩვენებასავით გამოკრთა ოაზისთა მწვანე ანაბზინი. სანეტარო სიმწვანით აღტყინებული მათი სხეული კი გაშმაგებული მიიჩქარის იქითკენ...

და აი, ახლა ჩვენ კვლავ აქა ვართ, ადამიანთა მიწაზე, არა მზით, ადამიანთა სულით გამთბარ მიწაზე. რამდენიმე ნაბიჯიც და თბილად მოგუზგუზე კერიასთან დავეყრებით, სადაც სვანური ხაჭაპურების ოხშივარი და თეთრი გომეჯების მადისაღმძვრელი სურნელება დატრიალდება. ცოტაც და თოვლის ექვსეული გალხვეა, მხრებიდან ჩამოიბერტყავს ყინულის კარნიზებს, და მალე ყველა მათგანის სხეულში მწვანე გაზაფხული დამკვიდრდება...

ცოტაც და...

ჯერ კი წინ გზა გვიდევს. გზა, რომელიც არ გვაშინებს, რომელსაც დავძლევთ, რადგან უარესი უკან მოვიტოვეთ, ეს გზა არარად გეიჩანს... მხოლოდ მოთმინება, კიდევ მოთმინება, მოთმინება... წმინდა გიორგი გაჭირვების ჟამს გამოეცხადა ჩორლას, გაუმაძღარ მონადირეს, მაგრამ მორწმუნე კაცს. ჩვენც გვჭიროდა წმინდა გიორგის დახმარება...

— წმინდაო გიორგი, ჩაარტყი ხელი რაიზერს, ჩაარტყი, რომ მეტად აღარ მოხვეტოს გზად ციცი თოვლი და...

— ჩაარტყი, თორემ მერე გვიანი იქნება, ჩაარტყი იმ ხელზე, აშოანთხევინე პირიდან თოვლის ნაჟური, დედის რძესავით ტკბილი, მაცდუნებელი სითხე. ჩაარტყი, ჩაარტყი რაიზერს ხელი...“

„მერე რა, თუ შენთვის სანთელი არ დაუნთია, ხარები არ დაუკლავს და შეუწირავს ღვთის სახელზე. რაიზერი კაცია, შენ კი ნაბდისქუდიანთა მფარველი... ნუ დაიშურებ მისთვის მცირედ სამსახურს, ჩაარტყი, ჩაარტყი თოვლისხვეტია ხელზე, უკანვე ამოარწყვეინე თოვლის ნაჟური, დედის რძესავით ტკბილი და მაცდუნებელი“.

ახლა კი მოვაბიჯებთ როგორც თანასწორნი. ერთ თოკზე გადაბ-

შულნი, ერთ ფიქრზე ამოცმულნი, ერთი იმედით აღტკინებულნი. ერთი... ორი... სამი... ექვსი სიცოცხლე მოკვალთავს გზას შინისაკენ, ადამიანთა მიწისაკენ. მაგრამ ჯერ კიდევ დარჩა, ჯერ კიდევ არის ხრამები და ნაპრალები, თოვლისაგან შენიღბულ-დამალული, თოვლისაგან, რომელშიაც ჭიანჭველებივით ვფუთფუთებთ და ვირეკით. თოვლისაგან, რომელსაც მთელი ქვეყანა თეთრად გადაუპენტავს...

„— წმინდაო გიორგი, შეგვეწიე ჩვენ,—ექვს ნაბდისქუდიანს, არა როგორც ღვთისმოსავთ, არამედ როგორც მამაკაცებს, ვისი მფარველობაც ოდესღაც თავს იდევ...“

— მოვდივართ. მოვდივართ. ჰეი, ეინა ხართ, სადა ხართ. თქვენთან მოვდივართ, ასე გულდაგულ მოვისწრაფვით და თქვენ კი აღარსად ჩანხართ. ჰეჰეეი, ზეცის ნადულო, სად დამარხე მიწა და ადამიანები, სად წარტყვევნე მათი გულისთქმა და გონება-აზრი... ჰე... ჰეეეი...

ალმაცგირ კვიციანი[1] შვიდი ვაჟკაცის შესანდოგარი...

— არ მახსოვს ერთ კვირაში იმდენი თოვლი ჩამოეტანოს. და არც არავის არ ახსოვს ლომის ხეობაში მსგავსი რამ. იმდენი ითოვა, იმდენი ითოვა, რომ სახურავები და გზათაპირები ერთმანეთს გაეთანაბრდნენ, უფრო მეტიც — გზათაპირები ზემოდან მოექცა ორსართულიანი ქორების სახურავებს.

სახლებსა და ეზო-გალავნებში შესასვლელები „საიქიოს შუკებს“ დაემსგავსა. ზოგან შებოლილი, გამომწვარი დედადირები ჩატყდნენ, სახურავები ჩაიქცნენ; მეზობლის ახმახი ვაჟკაცი სახლის გადათოვლასას ყავარ-ხიდებს ჩაჰყვა თან და ნანგრევებიდან ძლივს გამოეიყვანეთ დასახიჩრებული და გაცივებული. კავკასიონის გადაღმა ომი მძვინვარებდა, და თითქოს შინ დარჩენილი ახალგაზრდისა და ბებრუხანების შურდაო ბუნებას, ყოვლის წამლეკავი ქარტეხილი დაატეხა თავზე.

ბეჩო-მაზერლებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ 1943 წლის შემოდგომა. მაინც რამდენი თოვლი ჩამოყარა უცბად.

ქელეხსაც თოვლიან მოედანზე ვიხდით. სოფლებიდან მოზლვავებუ-

---

[1] სპორტის დამსახურებული ოსტატი, მაშველი ჯგუფის წევრი.

ლი შაოსანი ხალხი ბარებითა და ნიჩბებით შეიარაღებული მოდიოდა.

შაოსანი ხალხი...

რა უცნაური სანახავი იყო თოელ-გადახვეტილ მოედანზე გამართული ქელეხი.

თითქოს თეთრი და შავი ფერი ებრძოდა ურთიერთს, შავი ზედ დააბიჯებდა თეთრსა და ფეხქვეშ თელავდა, მაგრამ თეთრი მაღლით მოიფრქვეოდა და მოიბარდნებოდა.

თეთრი და შავი ებრძოდა ერთმანეთს, და ორივე ერთი მეორიდან გამოშდინარეობდა ამ წუთში — თეთრმა შავი ჩააცვა ადამიანებს, მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი... თეთრის მოძალებას შეიძლება უარესი უბედურება, შიში და შიმშილი, განადგურება, მიწის პირისაგან აღგვა მოეტანა მათთვის. ეს იყო კავკასიონის ძაგძაგს გადაურჩნენ, მტრის ურდოები ჩაჩუმქრეს მიუვალ ხეობებსა და გადასასვლელებზე, მაგრამ ახლა თეთრი რისხვა მოდიოდა მაღლიდან...

ერთი ვაჟკაცი უკვე იწვა სარეცელზე, დიდთოვლობის მსხვერპლი!

ხალხი გაოგნებული დასჩერებოდა მის გაყინულ სახეს და რაღაცას გაუგებრად ლუღლუღებდა. ეს იყო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანების ჩიფჩიფი — ლოცვა. ელიას, ამინდის გამრიგეს ეევედრებოდნენ ისინი შეწევნასა და მფარველობას.

მახვშები, ნაბდის ქუდიანი მოხუცები წამდაუწუმ გამოდიოდნენ გარეთ და აფუებულ ზეცას ააშტერებდნენ სიხველეგამჯდარ თვალებს — იქნება პირი იცვალოს ამინდმაო. მაგრამ არ ჩანდა არსიდან შველა, არსიდან ნუგეში...

მერე ერთს ჩრდილოეთისაკენ გაიხედავდნენ, მაგრამ სად იყო ჩრდილოეთი? თეთრად დაბარდნილი თოვლიანი ველები მოჩამდნენ ყოველის მხრით. მოხუცები, და არა მარტო ისინი, მუხლმორთხმული ეაჯებოდნენ წმინდა გიორგის, ერთი ნაბდისქუდიანის დანაკლისი ეკმარებინა ხეობისათვის. მშვიდობით მოებრუნებინა უშბაზე წასული ვაჟკაცები.

დღე დღეს მისდევდა, ღაღადისი მძლავრდებოდა, თალხი მატულობდა, გმინვა მატულობდა. იდგა ტირილი და გოდება. „ერი ი გვაკმარე, დანარჩენებს ნუღარ ჩაუჩუმქრავ გზა-სავალს, ნუღარ გადაატარებ გაუვლელ ღარტაფებზე, მშვიდობით დაგვიბრუნე ხეობას“...

მერე თოვლში სამარე გავთხარეთ. ნანგრევებს მიყოლილი ვაჟკაცი წავასვენეთ სვანური სამგლოვიარო ზარის გუგუნით. არაოდეს

არ მსმენია ასეთი შემზარავი ზარი, და არც არავის სმენია ლომის ხეობაში მსგავსი მოთქმა, იმიტომ რომ მთელი სოფელი ტიროდა, იმიტომ რომ ისინი ერთბაშად შვიდ ეაეკაცს დასტიროდნენ, ერთის კუბოს მიასვენებდნენ და ექვსი მკვდარი იქ ეგულებოდათ მრისხანე უშბაზე. საიდანაც ამინდიანობაშიც კი იშვიათად ვინმე დაბრუნებულა საღ-სალამათი, იმ ექვსეულისაგან კი, კვირაზე მეტია, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ხო და ახლა შვიდეულს დასტიროდა სოფელი. ჯანლონით სავსე ეაეებს გლოვობდა.

მერე შესანდობარი დაილია იმათი ყველასი ერთად. შესანდობარი ალიოშა ჯაფარიძისა, ქელეშბი ონიანისა, გოჯი ზურებიანისა, მუხინისა, რაიზერისა და ტელემაქ ჯაფარიძისა. ექვსიდან სამი აქაურები იყვნენ, ადგილობრივი, ლომის ხეობისანი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა ამჟამად, გლოვობდნენ ყველას ერთად, რადგანაც მთამსვლელთა შორის გარჩევა არასოდეს არ იყო, შინაურ-გარეული, ყველა, ვინც მთას ებრძოდა, სიმაღლეები იტაცებდა, მზეს ესწრაფეოდა, ერთნაირად საყვარელი იყო მთათა მკვიდრთათვის, ერთნაირად ახლობელი, დასაფასებელი...

და სწორედ ამ დროს ვიღაცამ დაიძახა: მოდიან, მოდიანო...

ქელეხის ხალხი აიშალა, აიშალა და ჩრდილოეთით თოელიან მინდვრებისაკენ დაძაბა მზერა, სადაც თითქოს ღრიანკალივით მოფუთფუთებდნენ შავი წერტილები...

— მოდიან... მოდიან... — გაისმა იმედიანი ხმა.

ისინი შწყობრი ნაბიჯით, ერთიმეორის მოყოლებით მოდიოდნენ; მოკვალავდნენ თავიანთ გრძელ და მძიმე ბილიკს, როგორც ტოლნი.

წინ ტელემაქ ჯაფარიძე მოუძღოდათ, ბრგე, ახოვანი ეაეკაცი. ტელემაქს რაიზერი მოჰყეებოდა, მერე კი სხვები...

ყველანი ღიმებოდნენ. ხიუათი გამოვლეს და უხაროდათ. მხოლოდ მერე, თბილ კერიას რომ შემოუსხდნენ, მაშინღა დაიკვნესა ტელემაქმა, დაიკვნესა და წაიქცა. ზღართანი გაადინა იატაკზე. და როგორც გაზაფხულზე მზის მხურვალებისაგან სისველე გამჯდარი ლოლუები სწყდებიან საბურაკებიდან, ისე დაულხვა და გასძვრა ბრგე ეაეკაცს კოჭებამდე მოყინული ფეხები...

ტელემაქმა ერთი უმწეოდ მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს თავისი, ამ ერთადერთი ამოოხვრისა შერცხვაო, სახეზე სიწითლის ალმურმა გადაუარა...

სხვები გამოერკვნენ, ვეღარაფერი გაეგოთ, რა ხდებოდა — მათ წინ იწვა უფეხო ადამიანი, რომელიც მთელი გზა წინ მოუძღოლა

ჯგუფს და ყველაზე დიდი ზურგჩანთა ეკიდა. ახლა კი იგი იატაკზე გაშოტილიყო.

რაიზერმა ხმა ვეღარ ამოიღო, მან ერთი ამოილუღლუღა და დადუმდა, მერე კი ხრიალი აუვარდა, ხრიალი, რამაც შემდეგში გრძნობა-გონება დაუბნელა სამუდამოდ... წმინდა გიორგიმ მას ზურგი შეაქცია და მწარე განაჩენი გამოუტანა: „მიწა ხარ და მიწად იქეც...“

უშბა კი... ზეიმობდა გამარჯვებას.

მეზამთრეებიც თავის მხრივ ზეიმობდნენ მწვერვალზე გამარჯვებას. ტელემაქიც ზეიმობდა, მერე რა რომ იგი უფეხებოდ დარჩა, რამდენი ვინმე იყო საღ-სალამათი, მაგრამ ზამთრის უშბაზე იშვიათად ვინმე ყოფილა. ეს ფეხები კი ღირდა ზამთრისეული უშბის საფასურად...

მხოლოდ რაიზერი არ იყო მამაცი ექვსეულიდან ამ ქვეყანაზე, მან თავისი განწყობილება იმქვეყნად წაიღო თან, არავინ უწყოდა, რას ფიქრობდა ახლა იგი — უხაროდა თუ ნანობდა, და არც ის უწყოდა ვინმემ — რას უქადდათ დარჩენილთ მათი ბედის ვარსკვლავი. მწვერვალთა ნაპრალებიან გზებზე ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

• •

— ალიოშა ჯაფარიძის, როგორც მთამსვლელის ერთადერთი ნაკლი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის იყო რომ მან უკანდახევა არ იცოდა, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, იგი შეუპოვარი სიჯიუტით ესწრაფვოდა გამარჯვებას, ბოლომდე რჩებოდა ბრძოლის ველზე — „გამარჯვება ან სიკვდილი“ — ეს სიტყვები ალიოშა ჯაფარიძის დევიზი იყო. და არც აროდეს უნახავთ იგი დამარცხებული.

მხოლოდ 1945 წლის შემოდგომაზე, ერთხელ მთელი მისი სპორტული ცხოვრების მანძილზე არ გაუმართლა ბედის ვარსკვლავმა. საუკუნოდ ემსხვერპლა თავის სათაყვანებელ უშბას, გვიან შემოდგომაზე გასულმა სამკაციანმა ჯგუფმა უამინდობის გამო ზედიზედ ექვსი ღამე ათია მწვერვალზე, მეშვიდე ღამეს კი ჩრდილოეთიდან მოვარდნილმა ქარბუქმა სამუდამოდ აღგავა მათი კვალი მიწის პირისაგან — ალიოშა ჯაფარიძე, ქელეშბი ონიანი და მეხინი, მამაცი სამეული თავიანთ კარავთან ერთად უშბის მარადისობას შეერწყნენ.

უშბის მწვერვალზე და მის მისადგომებთან 1946 წლის აგვისტოში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილი ჩრდილოეთი უშბის ექსპედიციის წევრებმა გაბრიელ ხერგიანმა, ბექნუ ხერგიანმა,

გოჯი ზურებიანმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა, მაქსიმე გვარლიანმა, ალექსანდრო ჯაფარიძემ ივანე მარის ხელმძღვანელობით რამდენიმე ღირსსახსოვარი ბარათი ჩამოიტანეს მრისხანე უშბიდან. ეს ბარათები გვამცნობენ. თუ რა გაჭირვება ადგა მამაც სამეულს და მაინც რა ვაჟკაცური შემართებით მიიწევდნენ ისინი მიზნისაკენ...

„საქ. ალპური კლუბის ჯგუფი:

1. ალიოშა ჯაფარიძე (ხელმძღვანელი)
2. ქ. ონიანი
3. ნ. მუხინი

ამოვედით უნაგირაზე კოკინის გზით გულის მყინვარვარდნილით. ძლიერი ქარბუქის გამო ვათიეთ უნაგირზე 6 ღამე. ამინდის გამოუკეთებლობისა და საკონტროლო ვადის (6 X) მოახლოვების გამო სამხრეთ უშბაზე ასვლას თავი დავანებეთ და ცუდი ამინდის პირობებში ამოვედით ჩრდილოეთ უშბაზე და ვეშვებით უშბის პლატოსაკენ. ღამეს ვათევთ თვით მწვერვალზე.

მწვერვალზე ვნახეთ ა. მალეინოვის ჯგუფის ბარათი დათარიღებული 1940 წლის 7/IX.

ჩვენ კარავში ვართ, გარეთ ძლიერი თოვაა. ხვალ აუცილებლად უნდა ვიყოთ უშბის პლატოზე. დავიწყეთ ჩასვლა 6/X 12 საათზე, მიუხედავად ქარბუქისა...“

ეს იყო მამაცი მთამსვლელების უკანასკნელი ხმა ცის დასალიერიდან. ვაჟკაცური გადაძახილი თანამოძმეთა გასაგონად, უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი სიტყვები თოვლით განსპეტაკებულ სიმაღლეებთან, ქვეყნიერებასთან. იგი მთათა მდუმარებას შეერწყა. როგორც ჭეშმარიტ მთამსვლელთ შეჰშვენით, ისე იცხოვრებს ალიოშა ჯაფარიძე საუკუნოდ მთებთან ერთად, გულზვიად უშბასთან ერთად, ცისიერ ქარიშხლებსა და ვარსკვლავთა ციმციმთან ერთად. ამიერიდან იგი გაიზიარებს ეგრერიგად შეყვარებული „ხელოვნურად ნაგებ ბუმბერაზის“ ავსა და კარგს, ლხინსა და ჭირს...

მაგრამ სულ სხვა იყო გიოს სიკვდილი. უშბის ერთ-ერთი პირველდამპყრობი ტყვიამ იმსხვერპლა, ტყვიამ, რომელმაც კლდის ქიმებზე დახეული ქარის ზუზუნით ამცნო ხეობას უმამაცესი ადამიანის ბრმა აღსასრული.

გაბრიელი კი... გაბრიელიც მთებს შეუერთდა, იმათ მდუმარებაში განიეთდა. მთიდან მომწყდარი ზვავის ღრიალში დაიწვა მწვერვალთა კოცონად დანთებული თავმდაბალი და შეუდრეკელი სული...

■ ■

უშბა! შიშისმომგვრელად გაისმის ეს სახელი, შიშისმომგვრელად და გამომწვევად.

უშბა! — მრისხანების, ქედუხრელობისა და სიჯიუტის განსახიერება. ასე იცნობენ მას ყველგან, ჩვენში თუ საზღვარგარეთ. ინგლისში არსებობს მთამსვლელობის „უშბისტთა კლუბი", რომლის წევრებადაც მსოფლიოს უძლიერესი ალპინისტები მიიღებიან.

უშბა! — საბჭოთა კავშირში მთამსვლელობის განვითარების ყველაზე უტყუარი და მკაცრი მემატიანე.

რამდენი ადამიანი შეეწირა მის ფრიალოებს, რამდენმა სული გაიღო მსხვერპლად და მის ცივ ყინულებში ჰპოვა სამუდამო სასუფეველი. სხვები კი მწვერვალის მისადგომებიდან ოცნებააუხდენელნი, ნირწამხდარნი გაბრუნებულან უკან და შემდგომისათვის გადაუდეიათ რევანშის აღება.

ძნელია უშბაზე ასვლა, მის წვერზე შემოდგომა და ფერხდით გართხმული მწვერვალის დამცინავად გადახედვა.

დასცინიან სუსტებს, მშიშრებს, უშბა კი ძლიერია, ხელშეუვალია, მიუკარებელია. უშბას არ უნდა, რომ დასცინოდნენ.

მაგრამ მთამსვლელობა ეს არის შურისძიება დაღუპული ამხანაგებისათვის. და ყოველთვის, როცა ვაჟკაცები წერაყინებითა და მწვერვალთა „ზურგისამწველი" რკინებით მოჭედილი სამთო ფეხსაცმელებით, ზურგჩანთებითა და დიდი იმედებით შეიარაღებულნი მიემგზავრებიან საიერიშოდ, პირველ რიგში ისინი შურს იძიებენ. ისინი უკვდავყოფენ კლდეებიდან ფერმკრთალ ნოჩვენებებად გადმომზირალი საყვარელი სახეების ხსოვნას...

ისინი შურს იძიებენ...

• •

— სხვადასხვა მოსაზრებებით წინა საიერიშო სამზადისი სამ ეტაპად დავყავით.

პირველ რიგში საჭიროდ მივიჩნიეთ ძირითადი ჯგუფის დაკომპლექტება, მისი საბოლოოდ ჩამოყალიბება, აგრეთვე უშბის რაიონისა და კერძოდ „სარკისადმი" შეფარდებული, ტექნიკურად შესაბამისი და შესატყვისი, აქაური სპეციფიკური პირობებისათვის გაოსადეგი საჭურვლის დამზადება და მისი გამოცდა საცდელი ასვლების დროს.

ფიზიკური მომზადების პროგრამაში შევიტანეთ ვარჯიშები, ტექნიკური ხასიათის ასვლები ციცაბო კედლებსა და ისეთი შეუღლი დაქანების კლდეებზე, რომელთა თვისობრივი მონაცემები ძნელადდასაძლევობისა და დაქანებულობის თვალსაზრისით „უშბის სარკისას" უახლოვდებოდა. ფიზიკური მომზადება ითვალისწინებდა აგრეთვე 1964 წლის ზამთარში სათხილამურო მეცადინეობას, ნადირობას, სხვადასხვა ხასიათის სამუშაოების შესრულებას, ეს იქნებოდა შეშის დამზადება, სამშენებლო ქვის მოზიდვა, კარტოფილის თოხნა და სათიბების შემოღობვა, აგრეთვე კლდეზე ცოცვის იმიტაციური ვარჯიშების შესრულება...

მეორე ეტაპით გათვალისწინებული იყო მთელი რიგი სასიმაღლო ასვლები ცენტრალურ კავკასიონზე და არა მარტო სასიმაღლო ასვლები, უნდა გვევარჯიშა კედლოვან მონაკვეთებზე, რათა შესაძლებლობა მოგვცემოდა მოიერიშე ჯგუფის დაკომპლექტებისა და მისი ძირითადი ბირთვის საბოლოო ჩამოყალიბებისა. რადგანაც წინასაიერიშო ასვლები ფრიად დამქანცველი და მომღლელი იქნებოდა, შესაძლებელი იყო რომელიმე წევრთაგანს უარი ეთქვა „უშბის სარკის" იერიშზე, ან რაც მოსალოდნელია მთაში, გამორიცხული არ იყო მთამსვლელთა დაშავება, ტრავმირება, ფიზიკური და სულიერი დეპრესია. სწორედ ამიტომაც, წინასაიერიშო ასვლებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით, იგი ყველა ჩვენთაგანისათვის იქნებოდა ერთგვარი გამოცდა უშბის სარკის იერიშის წინ.

ჩვენს მესამე ამოცანას შეადგენდა ძირითადი მარშრუტის დაწვრილებითი შესწავლა. მოიერიშეთა გუნდის წევრებს საკუთარი თვალით უნდა ენახათ კედელი, გულდასმით გასცნობოდნენ მას და მერე აზრთა ურთიერთგაზიარების საფუძველზე ერთობლივი დასკვნები გამოეტანა კედლის გავლის მთავარი მიმართულების დადგენაში. უნდა გამოგვერკვია უშბა-ჩათინის დიდი კულუარის — ჩალაათის მყინვარის მიდამოებში ძირითადი ბანაკის მოწყობის შესაძლებლობები.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ მთებს ვეწვეოდით, გადავწყვიტეთ ჯერ ჰაერიდან დაგვეზვერა ჩვენი სამოქმედო უბანი. ქუთაისში მომუშავე მესტიელმა მფრინავებმა სიამოვნებით ითავეს ჩვენი მეგზურობა კავკასიონის უღელტეხილებზე. ისინი შურთხებივით დასტრიალებდნენ თავს მრისხანე უშბას და მზად იყვნენ მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ეჩვენებინათ ჩვენთვის. მაღალმთიანი პირობები სულაც არ აშინებდათ მათ. ჩვენ კი გეეხუმრებოდნენ — მთამსვლელები მანამ.

დე იყავით, ვიდრე თვითმფრინავი გაჩნდებოდა, მას მერე კი რაღასი მაქნისები ხართ, ჩვენ თუ გაგვეჯიბრებით მწვერვალთა დაპყრობაშიო.

ჰაერიდან დათვალიერების მერე კიდევ უფრო გაგვიცხოველდა უშბასთან შებმის სურვილი, მაგრამ ყოველნაირად ვცდილობდით მოძალებულ ცდუნებას არ ავყოლოდით. ვგრძნობდით, აჩქარება ისევე, როგორც ყველა საქმეში, აქაც შეიძლება დამღუპველი აღმოჩენილიყო.

გავაგრძელეთ ვიზუალური დაკვირვება. სულ 20 ივნისიდან 10 აგვისტომდე ექვსჯერ გავიდა ჩვენი ჯგუფი ლაღამიდან უშბის მისადგომებისაკენ. ამ ხნის განმავლობაში „ჩვენი კედლის“ სხვადასხვამხრივი, საგულდაგულო და საბოლოო დათვალიერების ნიადაგზე შევადგინეთ „უშბის სარკის“ მიკრო რუკა, მთელი გასავლელი მარშრუტი დავყავით უბნებად და მონაკვეთებად. მოვნიშნეთ ღამისსათევი ადგილები, გავითვალისწინეთ ღამისთევის ხასიათი — ძირითადად „ცივი“, ჰამაკებზე დაკიდული ღამისთევისათვის უნდა შევმზადებულიყავით, ეს გარემოება კი უამრავ საზრუნავს გვიჩენდა ყველას. „ცივ“ ღამისთევას არცერთი არ ვიყავით მაინცდამაინც შეჩვეული და შეგუებული. როგორ გადაიტანდა სხეული რამდენიმე ღამე ზედიზედ თოკის ხლართებში „ნეტარებას?“

კედლის გავლის თაობაზე მონაწილეებს შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოვახერხეთ ერთიანი, ყველასათვის მისაღები მარშრუტის, სავარაუდო გზის დადგენა. გავითვალისწინეთ აგრეთვე ამ გზიდან შესაძლო გადახრათა უბნები. ექვსჯერადმა დაკვირვებამ ღრმად დაგვარწმუნა, რომ „ჩვენი კედელი“ მაინცდამაინც ჩინებული „ყოფაქცევისა“ არ უნდა ყოფილიყო. მხედველობაში მაქვს მთელი აღმოსავლეთი ფერდის გაყოლებაზე ჩვენს მიერ შემჩნეული ინტენსიური ქვათაცვენა, მზის ამოსვლიდან ლამის დაღამებამდე, აგრეთვე ხანგამოშვებით, კედლის თავანიდან ნამქერული ზვავების გადმოფრქვევა, რასაც თან ახლდა ყურისწამღები ხმაური. ხანდახანაც ყინულის ნატეხები ცვიოდა მაღლიდან, ამ დროს ყრუ გუგუნის და საუკუნოვანი თოვლის ლაწანისა და მტვრევის ხმა იდგა.

ჩვენ ვითომ შედარებით „მშვიდობიანი“ მარშრუტი შევარჩიეთ. ვითომო, იმაზე ვამბობ, რომ გვეჩვენებოდა, თითქოს ჩვენს მიერ თვალით მონიშნულ მონაკვეთზე შედარებით სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა.

ჩვენს ვარაუდებს მალე პრაქტიკული გამოცდა უნდა გაეკლო. მანამდე კი უსაფრთხოობის მიზნით გადავწყვიტეთ მეშახტეთა ქუდებით შეკვიარაღებულიყავით. იმათი შოვნა სვანეთში ცოტა საძნელო საქმედ გვეჩვენებოდა, მაგრამ, თურმე ვცდებოდით. მესტიელმა მეხანძრეებმა სიამოვნებით დაგვითმეს თავიანთი ჩაფხუტები — ამ დღეებში საქმე არაფერი გვაქვს და ტყუილად რაღაზე დავიმძიმოთ თავი ამ რკინებითო.

გაუმარჯოს უკანდახევას!..

და აი, დადგა დრო, როცა პრაქტიკულად უნდა შეედგომოდით იერიშისწინა მზადებისათვის შემუშავებული გეგმის განხორციელებას. ვიდრე გზას გავუდგებოდით. მთებისაკენ. ჯგუფის ყველა წევრი დაზღვეული იქნა მესტიის რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში. ჯგუფის შემადგენლობაში მოხდა ცვლილება, ერთ-ერთმა მონაწილემ — ავთანდილ ახვლედიანმა უარი განაცხადა ექსპედიციაში მონაწილეობაზე. მის ნაცვლად გუნდში ჩარიცხული იქნა შალიკო მარგიანი სათადარიგო შემადგენლობიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „უშბის სარკემდე" ჯერ საცდელი ასვლები უნდა ჩაგვეტარებინა, ჩვენ შევარჩიეთ მწვერვალები, რომლებიც გეოგრაფიულად უშბასთან ახლოს მდებარეობდნენ და აგრეთვე რელიეფისა და ძნელადდასაძლევობის თვალსაზრისითაც უახლოვდებოდნენ მას.

იერიშისწინა ასვლების სვანეთის კავკასიონზე ჩატარების იდეა იმითაც იყო გამართლებული, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვეძლეოდა უშბის რაიონისათვის შესაფერისი აკლიმატიზაცია მიგვეღო.

პირველად სამხრეთ უშბას შევუტიეთ. გვინდოდა ეს ასვლა ჩვენი სულიერი მამის, შესანიშნავი ადამიანისა და გამოჩენილი მთამსვლელის გაბრიელ ხერგიანის ხსოვნისათვის მიგვეძღვნა. გაბრიელის გზით ბევრი ჩვენთაგანი არც იყო ასული უშბაზე და სინდისი ქენჯნიდა.

იყო კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ნახევრად ცრუმორწმუნეობრივ ხასიათს ატარებდა — რატომღაც ყველას გვჯეროდა, თუ პირველ ასვლას წმინდა და ალალმართალი კაცის, გაბრიელის გზით შევახდენდით უშბაზე, მის ნაკვალევზე სიარული უცილობლად გამარჯვებას მოგვიტანდა, მშვიდობას დაგვიბედებდა.

გაბრიელის გზა თავის დროზე ურთულესად ითვლებოდა, მაგრამ

დროთა განმავლობაში ქართველი და უცხოელი მთამსვლელების მიერ იგი ისე იქნა ათვისებული, რომ სამხრეთ უშბის ხსენება წინანდებურად თმებს აღარ უყენებს ყალყზე ადამიანს.

ამ გზის პირველი მკვალავები იყვნენ ძველი თაობის ალპინისტები — გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარლიანი. მათ გულის მყინვარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლით შეუტიეს ბუმბერაზს და სვანური ჯაბრალებითა და კანაფის თოკით აღჭურვილებმა მთელს ლომის ხეობას ამცნეს უშბის ხელშეუვალობის ლეგენდის დასასრული.

ეს მოხდა 1937 წელს. ასე რომ, მურათბის მერე იყვნენ ალიოშა და გიო, მათ მერე იყო — გაბრიელი.

ჩვენმა ჯგუფმა სამხრეთი უშბის მეხუთე „ბ" კატეგორიის მწვერვალი უკან მოიტოვა და ახლა გეზი მის აღმოსავლეთით მდებარე შუროვსკის პიკისაკენ აიღო (მეხუთე „ბ" კატეგორიის სიძნელის მწვერვალი). ეს მწვერვალი დავიმორჩილეთ ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან.

ამის შემდეგ ჯგუფმა პლატოდან შეუტია მცირე უშბას. პლატოსა და მცირე უშბიდან გავაგრძელეთ „ჩვენი კედლის" ვიზუალური დათვალიერება. განსაკუთრებულ ყურადღებას კვლავ მის „ყოფაქცევაზე" ვამახვილებდით, რადგანაც ყველაზე მეტად სწორედ ქვათაცვენისა და ზვავების გვეშინოდა.

მოსამზადებელი ასვლები დავამთავრეთ ცენტრალური შხელდის დაპყრობით ჩრდილოეთის კედლიდან (მეხუთე „ბ" კატეგორია).

საცდელი ასვლების დროს, რომელიც 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე გრძელდებოდა, გავიარეთ სამი კედლოვანი. მარშრუტი მეხუთე „ბ" კატეგორიის სიძნელისა და ჩავატარეთ რამდენიმე სასიმაღლო ხასიათის ასვლა. ამ ხნის განმავლობაში მოიერიშეთა ძირითადი ბირთვის შემადგენლობაში რაიმე ცვლილება არ მომხდარა. ექსპედიციის წევრები კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს, ჩადგნენ ფორმაში და მზად იყვნენ მთავარი ამოცანის შესასრულებლად.

რვა აგვისტოს ჯგუფი გამოემართა შინისაკენ ალპურ ბანაკ „შხელდიდან", საიდანაც მთელი ამ ხნის განმავლობაში საცდელ ვარჯიშებს ვაწარმოებდით და კვლავ ეწვია უშბის პლატოს, რათა ახლა უკანდასახევი გზა მოგვენიშნა; გამორიცხული როდი იყო ასვლისას უამინდობა მოგვწეოდა, ანდა სხვა რამ დაბრკოლება შეგვმთხვეოდა. უკანდასახევი გზის მონიშვნა და შეგულება ადრე არ გაგვხსენებია და ახლა, როცა ყველაფერი მოთავებულად მიგვაჩნია, უცბად პირიბე

გვარლიანმა ჩამოგვიგდო სიტყვა ამ დაწყევლილ „უკანდახევაზე“ პირიბე მეთვალყურეთა ჯგუფის უფროსი იქნებოდა „სარკის“ იერიშის დროს. და ალბათ მის კომპენტენციაში შედიოდა კიდეც ყოველი შემთხვევისათვის, უკანდასახევი ან მისაშველებელი გზების წინდაწინი შეგულება-მონიშვნაზე ფიქრი.

— ეჰე, თქვა ამანაც... — გადააწიტა პირიბეს ამ ახალი აღმოჩენით არცთუ ისე ნასიამოვნებმა შალიკო მარგიანმა — ახლა უშბის პლატოზე გაბრუნებას ის მირჩევნია, სულაც ველარ ჩამოვალწიო ორკუზიანიდან, გაიგე?

შალიკო მართალი იყო. მწვერვალებმა საკმაოდ გამოგვფიტეს და დაგვღალეს, ახლა დასვენებას არაფერი გვერჩივნა. სხვა რომ არა, ძალღონე ხომ უნდა მოგვეკრიბა მთავარი ასვლისათვის. და ესეც რომ არ ყოფილიყო, არც ის მოგვწონებია მაინცდამაინც, რომ უკანდასახევი გზის მოსანიშნავად უნდა გაებრუნებულიყავით და არა სხვა რამეზე. „უკან დახევა“, ამის გულში გაფიქრებაც კი სამარცხვინო და სათაკილოა ყველა მთამსვლელისათვის.

მაგრამ რაღა გაეწყობოდა — პირიბე დაჟინებით მოითხოვდა უკან გაბრუნებას, ამ შემთხვევაში კი იგი იყო ჩვენი უფროსი. ისე, ჩვენაც მშვენივრად გვესმოდა, რომ იერიშის წარმატებით დამთავრებისათვის საჭირო იყო ყოველი წვრილმანისათვის ანგარიში გაგვეწია. მთაში ყოველივესა და ყველაფერს თავისი კონკრეტული სახელი ჰქვია და ჩვენ არ უნდა შეგვშინებოდა მათი ხმამაღლა წარმოთქმისა. უკანდახევის ხელოვნების ცოდნაც ისეთივე აუცილებელია მთამსვლელისათვის, როგორც იერიშისა, რადგანაც უკანდახევა წინსვლისა და შეტევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ხანდახან კი უკან დახევა გამარჯვების მომტანიც არის, როგორც ბრძოლის ველზე, ისევე მთამსვლელობაშიც. არ მახსოვს ზუსტად რომელ ალპინისტს ეკუთვნის ეს სიტყვები — „გაუმარჯოს უკანდახევას, რადგანაც სხვა გზები განქარდნენო“.

ჩვენ გავსწიეთ უშბის პლატოსაკენ. მაგრამ ეს კი იყო — ბიჭები კბილებს უღრჭიალებდნენ „ხმაგამწყრალ“ პირიბეს — შენი ოინებია ეს ყველაფერი, მაგრამ ჩავალთ მესტიაში და იქ განანებ› როგორც ჯერ არსო...

მერე მივხვდით, რამდენად სასარგებლო აღმოჩნდა ეს გზობა ჩვენთვის. მთასთან „ფუთი მარილი“ თუ არ შეჭამე, ისე ვერაფერს გაიგებ მისას. ამ გზობაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ძირითადი ბანაკი ჩათინისა და ჩრდილოეთი უშბის გადაკვეთაზე ჩამოწოლილ კუ-

ლუარის შუაწელზე დაიდგმებოდა, მეჭეჭივით ამობურცული შავი კლდის ძირში, ზღვის დონიდან 3500 მეტრის სიმაღლეზე. სამაშველო და მეთვალყურე ჯგუფები კი ჭალადის მყინვარის ბოლოში, ლეგვმერის ქედის თხემზე დაბანაკდებოდნენ. მოიერიშე ჯგუფის წინსვლის შესაბამისად დამხმარე რაზმს თანდათან უკან უნდა დაეხია და საბოლოოდ გულის მყინვარზე გადასულიყო და იქ დაგეგლოდებოდა.

ამ გზობაზე მოვახერხეთ აგრეთვე ტრასის აგეგმვა და ქალალდზე გადატანა.

რელიეფურობისა და დახრილობის თვალსაზრისით მთელი მარშრუტი ოთხ ნაწილად დავყავით:

I — კომბინირებული მონაკვეთი. საშუალოდ 65 გრადუსი დაქანებისა.

II — კლდოვანი ფერდობი, 95 გრადუსი დაქანებისა.

III — კომბინირებული უბანი 65 გრადუსი დაქანებისა და —

IV — მწვერვალისწინა თოვლიანი ფერდი 35 გრადუსი დახრილობისა.

ჰორიზონტალური მანძილი ასვლის საწყისი პუნქტიდან მწვერვალამდე არის არა უმეტეს სამასი მეტრისა, ხოლო სიმაღლეთა სხვაობა ძირითად ბანაკსა და ჩრდილოეთი უშბის წვერს შორის შეადგენს დაახლოებით ათას სამას მეტრს. ხოლო მწვერვალისწინა თხემის დახრილობას თუ გამოვთიშავთ საერთო მოცულობიდან, რომლის დაქანებაც 35 გრადუსს არ აღემატება და ამდენ არც არის მხედველობაში მისაღები, ჩვენი კედლის ეგრეთწოდებული „უშბის სარკის“ საშუალო დაქანება 90 გრადუსამდე ააღწევს. ცხადია დახრილობა ყველა უბანზე თანაბარი არ არის, ზოგიერთ მონაკვეთზე იგი მატულობს, სხვაგან კი — კლებულობს.

9 აგვისტოს კედლის მისადგომები მოვინახულეთ ჩალათის მყინვარიდან. ათ აგვისტოს კი უკვე მესტიაში ვიყავით. აქ, დასვენებულზე, კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი მარშრუტს, ჩვენი ექსპედიციის უფროსთან, გამოჩენილ მთამსვლელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატთან სანდრო გვალიასა და მეთვალყურეთა ჯგუფის ხელმძღვანელ ბექნუ ხერგიანსა და სხვებთან ერთად განვიხილეთ ყოველი წვრილმანი ჩვენს ასვლასთან დაკავშირებით. ცოცხალ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით გავაანალიზეთ მარშრუტი, გამოვთვალეთ საიერიშოდ საჭირო დრო. დავადგინეთ, რომელ მონაკვეთზე ვინ ვისთან ჩაებმებოდა წყვილში, რასაც ტაქტიკური მოსაზრებებით

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით ყველანი. მარშრუტზე გასვლა დავთქვით 12 აგვისტოსათვის. დასვენება ორი დღეღა გამოგვდიოდა, რაც საკმარისი არ იყო ძალების მოკრებისათვის, მაგრამ გვეშინოდა ამინდის გაფუჭებისა და ფორმის დაკარგვისა, ამიტომაც ჩვენი აჩქარება ერთგვარად გამართლებული იყო.

ტიანშანის ღამეები...

— წყალი, ჰე, ჰეეი, წყალი...

სასოწარკვეთილ ხმას ქარის წივილი ერთვის. კარავში მწოლიარეთ ესმით გულიანი ყვირილ-მუდარა, მაგრამ მათ თავისი გასაჭირი ადგათ, თავისი მწუხარებაც ჰყოფნით. არა და მღაღადებლის ხმა კვლავ და კვლავ ეხმიანება გამეფებულ მდუმარებას, სამარისებურ მდუმარებას, რომელსაც კარვის კალთებზე დახეული ქარის წუილი თუ დაარღვევს ხანდისხან.

— წყალი, ჰეჰეეი, წყალი...

მეზობელ კარავში, სადაც ორნი წვანან, მღაღადებლის ხმაზე ფუსფუსი ატყდება.

— ჩქარა, მინაან, ჩქარა... — ეუბნება ამხანაგს მოცახცახე ხმით საძილე ტომარაში ჩათბუნებული ხმამინავლებელი კაცი — ცოდვაა, მიეშველე, მინაან...

მინაანი გაზქურაზე შედგმულ ჭურჭელს დასჩერებია. ჭურჭელი თოვლით არის გამოვსებული. თოვლის ბულული თანდათან დაბლა იწევს, გემივით იძირება მოთუხთუხე წყალში.

„— ჩქარა, ჩქარა, ჩქარა...“ — რეკავენ უჩინარი ზარები.

მაგრამ თოვლი ნელა, ჯიუტად იცვლის სახეს, ეტყობა, ეს გარდასახვა არაფრად ეპიტნავება და წამი-წამ, წუთი-წუთ იხანგრძლივებს პირველყოფილ სიცოცხლეს, ქათქათა სიცოცხლეს...

მინაანი წუთით შორდება ქვაბსა და ციებიანთან მიდის. იგი წევს, ხნავის და კვნესის.

— მოიტა, მოიტა, მანამდე ხელები...

— ხელები? — უკვირს მწოლიარეს მინაანის ნათქვამი.

— მოიტა, გაიგე, მოიტა...

— ხელები? — გონებას ძაბავს ციებიანი

— ჰო, ხელები.

მერე ნელ-ნელა ამოაქვს საძილე ტომრიდან გათოშილი მკლავები და სიგრძეზე ილაგებს.

მინაანი მწყურვალივით ეცემა მოცახცახე მკლავებს და თავის სითბოს უნაწილებს მათ. ძარღვიანი, ღონიერი თითებით ჩააფრინდება გაყინულ ძვალ-ძარღვს და სახინკლე ცომივით ბუბნის და ზელავს.

— არა... არა... არა... — ჯიუტად გაიძახის ციებიანი — არა, არა... გაჩუმდი, შენ გაჩუმდი...

— არა... არა.. — მკლავებს ინთავისუფლებს იგი, მაგრამ ძალა არ ჰყოფნის.

იქით ორკიოლი თუხთუხებს, თუხთუხებს, თოვლი კი ისევ გაუმდნარია, ვიდრე გადნება, დრო აქვს, მანამდე შეუძლია იმუშაოს.

— ჯერ არ გამდნარა, გაიგე? რო არ გამდნარა, ეს ოხერი?

— მიუტანე, წყალი მიუტანე... — იძახის ციებიანი.

ხორცი იზილება, ისორსლება თითებს შორის. თანდათან თბება, დამზრალ კაპილარებში მაცოცხლებელი სისხლი იწყებს მიმოქცევას.

იმას მიხედე, ჯერ იმას მიხედე. არა... არა... არა... — თავის მკლავებს ებრძვის ავადმყოფი, იწმაწნება, იღვლარჭება, თავის დაძვრენას ლამობს, მაგრამ მინაანი ისე მაგრად ჩაფრენია, თითქოს მაცხოვარის ეზოში ვინმე გებურგიელს ეჯაჯურებოდეს. აქეთ ლაღამელებია, იქით სეტ-მესტიელები.

— არ შეგვარცხვინო, მინაან... — აგულიანებენ თავის ფალავანს მასპინძლები.

— ლიძელბე ნუ იქნება, ლიძელბე ნუ იქნება... — ამხნევებენ თავიანთ მებურგიელს სეტ-მესტიელები.

მოედანზე ყოვლისმომცველი ჩოჩქოლ-ხმაური გამეფებულა.

— აბა, შენ იცი, მინაან... აბა შენ იცი... — მოესმის ათას მთას მილმიდან თავისიანების მავედრებელი ხმა. თეთრი ანტონი მოსძახის ლანჩვალიდან, მამა ბესარიონი აგულიანებს, ბექნუ კი მუნჯურად უხსნის რაღაცას.

„ჩქარა... ჩქარა... ჩქარა...“ — იძახის კარვის ქიმზე ქარი.

ორკიოლი კი თუხთუხებს. თეთრი გემი კი ჩაიძირა. ჩაიძირა... კიდევ კარგი დროზე ჩაიძირა.

— მალე მოვალ, გაიგე, მალე მოვალ... — ხმამაღლა უყვირის მინაანი ამხანაგს და მკლავებს საძილე ტომარაში უფუთნის — მე ახლავე მოვბრუნდები...

— წყალი... აუ, წყალი... — ისმის ყვირილი მეზობელი კარვიდან.

— წყალიიიიი.. იიი — გაჰკივის კარვის კალთებზე ქარი.

მინაანი გამოდის გარეთ და ფორთხვით მიიწევს მეზობელი კარვისაკენ. გარეშემო უკაცრიელი, ათასი მოლანდებებითა და ქაჯ-ეშმაკებით აღსავსე მდუმარება და სიჩუმე გართხმულა. ყინულის მარწუხებში ცისიერი სიჩუმე თითქოს ცახცახებსო, ქარის წუილი მოთქმა-გოდებად გაისმის შორეთში...აღარც ვარსკვლავები კიაფობენ, რომელთა საუფლოშიც ისინი იმყოფებიან ახლა, აღარც სხვა რამ ორიენტირი მოჩანს ახლო-მახლო.

ყოველივე მდუმარებასა და წყვდიადში განქარვებულა. აღარ არსებობენ ლამპიონებით გაჩახჩახებული დიდი ქალაქები, აღარც მოლიცლიცე ზღვებია ამ ქვეყანაზე, აღარც გზაშარა, სამშვიდობოს გამავალი. არის წყვდიადი, არის თოვლი, თეთრი მდუმარება, ყინული და ქარი. არის უფსკრული და წავარნები. არის ზმანება, ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და სიკვდილის შიში. როკავს იგი, გამარჯვების სიმღერას მღერის. სიკვდილი იმარჯვებს, სიკვდილი ახლოა. ეს სიკვდილი იძახის:

— წყალიიიი... იიიი. — შემზარავი, საშინელის ხმით იძახის იგი. აუ, რა შიშისმომგვრელი, არაამქვეყნიური ხმა აქვს სიკვდილს, ხმა საზარელი, ხმა იდუმალი, საიქიოს ხმა.

მესანგრესავით მიხოხავს თოვლზე. ოკეანის უსასრულობაში მოსროლილი მეზღვაურივით მოიქნევს ხელ-ფეხს, ირგვლივ უფსკრულებია, ქარაფებია. ახლა ისინი უკუნეთს შერწყმიან, მინაბულ-მიყუჟულან, მაცდურად ჩასაფრებულან, ეს კარგად იცის „მეზღვაურმა“, — ფრთხილად... ფრთხილად...“ და მას ახსენდება ლხინსა და ქეიფში, ფიხვნობაში მეგობრის ნათქვამი ლექსი: „აქეთაც ქარაფებია, იქითაც ქარაფებია, მოვკვდები? — არაფერია! ვიცოცხლებ? — არაფერია!“ მაგრამ ახლა სიცოცხლე აუცილებელია, სიკვდილი ისედაც მოდის, სიკვდილი ახლო-მახლო დაბორიალობს, და სიცოცხლე აუცილებელია, რათა ადრე თუ გვიან განდევნოს იგი ახლო-მახლოდან, რათა არ ამოაყორებინოს მას გაუმაძღარი ფაშვი. ამიტომაც ექსპრომტად ნათქვამმა ლექსმა ამ წუთში დაკარგა ის მნიშვნელობა, რადგანაც სიცოცხლე აუცილებელია, აუცილებელია იგი სხვა სიცოცხლეთა გადასარჩენად. ქარაფები არის, აქეთაც არის, იქეთაც არის, მაგრამ სიცოცხლეც არის. აი, იგი ფრთხილად მიხოხავს ეშმაკის თხემზე მეზობელი კარვისაკენ, საიდანაც კვნესა და ღაღადისი მოისმის:

„— ოღონდ არ გაიყინოს, ეს მოთუხთუხე ორკიოლი ამ გამთოშველმა ქარმა არ გაყინოს“ — ჩქარობს, ჩქარობს მინაანი...

— წყალი... წყალი... წყალი...

სიკვდილის ხმაა ეს. იმქვეყნიური ჩქამია.

— აი, წყალი... მოგიტანე, წყალი... ნუ გეშინია, აქა ვარ, აი, აქა ვარ.

კარავში ოთხნი წვანან, მეხუთე ძლივს პოულობს სათავისო ადგილს. იგი გრძნობს, მის ხმაზე როგორ შეტოკდებიან გაყურსული ლანდები, ხოლო ერთი მათგანი ზეზე წამოიწევა და ხელებს გამოიშვერს მისკენ.

— მომეცი, მომეცი... — ამბობს იგი.

— დამაცადე, რა მოგივიდა, დამაცადე... — არ აძლევს წყლიან ორკიოლს მინაანი.

— მომეცი, რა, ჩქარა... — მკლავები გამოიწოდა ისევ მწყურვალმა.

მინაანმა იცის, რომ ამ გაყინული ხელებით ორკიოლს კი არა, ასანთის კოლოფს ვეღარ დაიჭერს, ძალა აღარ ეყოფა, იცის და არ აძლევს ხელში. ახლა წყალი რომ დაიღვაროს, ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი.

— აჰა, დალიე, ჩემი ხელიდან დალიე, ოღონდ ნელა მოსვი, ნელნელა მოსვი...

მწყურვალი ხვრეპავს. სულმოუთქმელად ცლის ორკიოლს. მერე ხნავილით ამბობს:

— კიდევ მინდა, კიდე...

— მაინც როგორ მოხდა ყოველივე? — ეკითხება მინაანი მეოთხეს.

— ქვევით გეტყვი, ჩავალთ და იქ მოგიყვები... — ოდნავ მშვიდდება იგი.

მინაანი ახლა იმას ეფათურება მკლავებზე. სახელოებს უკაპიწებს და ღონიერად უზელს. იცის, რომ ყოველივე ამაო და უსარგებლოა, მაგრამ ვიდრე არ დაიღლება, მაინც უნდა ებრძოლოს, უნდა ეცადოს, ეს მისი ვალია. ვიდრე ძალა შესწევს, უნდა იმუშაოს. სიკვდილმა უკვე დაიძახა. ყოველივე ამაოა, უსარგებლო და გვიანია. მიქელ გაბრიელი რა ხანია ამოჰყვა წარაფებს, ამოვიდა დედამიწიდან ცისიერეთში და კარს არის მომდგარი. ამ სიშორიდან ხელცარიელი არ დაბრუნდება, მიქელს არ უყვარს ამაოდ გარჯა. საიქიოს ჯურღმულები ამოიარა, მერე ამ ცისიერეთში ამოვიდა, ამდენი ქარაფ-უფსკრული გადმოლახა და ახლა ხელცარიელი არა და არ გაბრუნდება...

— მაინც როგორ მოხდა ყოველივე, რანაირად ჩავარდით ამ დღეში, ა? — კვლავ გაუმეორა კითხვა მინაანმა მეოთხეს. მას აინტე-

რესებდა ეს ისტორია, უცნაური და გასაკვირი ამბავი ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ საღ-სალამათი, ბრძოლის ჟინით აღვსილი ადამიანებისა.

— აი, ჩავალთ ქვევით და გიამბობ, იქ გიამბობ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობს მეოთხე.

ბათს საუბარში მეორე ერევა; იგი იმედიანი კაცის ხმით ლაპარაკობს:

— მე და ილიკო მწვერვალის მისადგომთან ზურგჩანთები მოვიხსენით, ამხანაგებთან დავტოვეთ, რად უნდა გვეთრია ტყუილებრალოდ. ჩვენც ავდექით და დავტოვეთ და ერიოხინის წერილის საძებრად გავეშურეთ. მწვერვალზე ვნახეთ 1956 წელს აბალაკოვის დატოვებული ბარათი. გვინდოდა ერიოხინის წერილი მოგვეხსნა როგორმე...

მეოთხეს რაღაცის თქმა სწადია, მაგრამ ენას ვერ სძრავს. ერთხანს ხრიალებს, მერე როგორღაც აკოწიწებს სიტყვებს:

— მინაან... იცი, მინაან, როგორ მეცოდები, მაღლა რომ ვერ ამოხვედი, ძალიან მეცოდები, გაიგე?

— თქვენთან როგორი ამინდი იყო? ზევით კი ერთმანეთს ველარ ვარჩევდით, ისეთი ღრუბელი იწვა. მე და ჯუმბერი ერთგან მოვწყდით, მაგრამ ბედად თოკი ყინულებში გაეჭედა და როგორღაც გადავრჩით. აი ეს მხარი მაშინ დავიშავე... — თქვა მესამემ.

— უკან რომ გამოვბრუნდით, ამინდი შეიცვალა, ირგვლივ ბურუსი ჩამოწვა, ეტყობა ცუდ ფეხზე ვიყავით ამდგარი, ზურგჩანთები ვერღარსად ვნახეთ. — თავი წამოყო მეორემ — ვიფიქრეთ, ალბათ ქარმა თუ გაიტაცა ჩვენი ბარგი-ბარხანათქო... სამიდან ერთი იყო — ან ქარმა გაიტაცა, ან თოვლმა ჩაჩუმქრა, ანდა მხარი გვეცვალა.... ყოველშემთხვევაში ჩვენი საქმე ცუდად წავიდა. ვგრძნობდით, ამაღამ ოხერი ტიანშანის ქარი ჩვენგან თოვლის ბაბუებს გამოაცხობდა... რა გრძნობაა ეს, იცით? თუ არ განიცადა კაცმა, ისე ვერ მიხვდება... გახსოვს, მინაან, თქვენი დატოვება არ მინდოდა, ალბათ გული მიგრძნობდა, რომ ამ დღეში ჩავვარდებოდით... ხომ გახსოვს?

გულიც რკინის და აბჯარიც რკინისა..

— მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში შერჩეული და დამზადებული იქნა სხვადასხვა სახის და მოდელის პალოშლიამბური.

ჩვენს მიერ დამზადებული სამთო საჭურველი შესამჩნევად განს-

ხვავდებოდა საბჭოურ მთამსვლელობაში დღემდე ნახმარი და გამოყენებული სასიმაღლო-საექსპედიციო საჭურველისაგან. მაგალითად — ჩვენი კონსტრუქციით დამზადებული შლიამბურული პალოები გაცილებით უფრო მსუბუქი და ადვილად მოსახმარებელი იყო მაოს წინამორბედებთან შედარებით, რასაც დურალუმინისა და ტიტანის გამოყენებით მივაღწიეთ. ამავე მეტალების გამოყენებით შევამსუბუქეთ კარაბინების წონაც. სუფთა კაპრონისაგან დამზადებულმა „რეპშნურებმაც" ერთგვარად შეამცირა სამთამსვლელო საჭურველის საერთო წონა.

პალოებს ნაირსახეობამ, მათმა დიდმა ასორტიმენტმა შესაძლებლობა მოგვცა „უშბის სარკის" უშნიშვნელო პორიც კი ჩვენს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა. შევიმუშავეთ აგრეთვე ახალი კონსტრუქციის „მოედნები", ეგრეთ წოდებული „პლატფორმები", რომელთაც ნაშდვილად გაამართლეს ჩვენი იმედი.

„სარკის" ზედაპირის სიგლუვისა და დახრილობის გამო, როგორც ზემოთაც ითქვა, რამდენიმე ღამისთევა დაკიდულ მდგომარეობაში მოგვიწევდა. ღამისთევისათვის რომ ცოტა „კომფორტული" იერი მიგვეცა, რაზეც დიდად იყო დამოკიდებული ჩვენი შრომისუნარიანობა და საბრძოლო განწყობილება, გადავწყვიტეთ ჰამაკებით მოვმარაგებულიყავით. ჰამაკები „დავწანით" სახელდახელოდ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ მაინცდამაინც ვერ გაამართლეს იმედი. „საწოლებს" შემდგომი დამუშავება და სრულყოფა სჭირდებოდა.

* *

— როგორ არ მახსოვს, აბა მეტი რა მახსოვს. შენ თქვი — მეც დავრჩებიო, მაგრამ სამნი ხომ არ ჩაებმებოდნენ ერთ თოკში, ჰოდა აგიყოლიეს წყვილ-წყვილად რომ გევლოთ, შენც აგიყოლიეს...

— მე გული მიგრძნობდა, ხომ გითხარი, გულმა მიგრძნო-მეთქი... — გაიმეორა მეორემ.

— ეს მოგონილი ამბავია, გული არაფის არაფერს არ უგრძნობს. გული მუშაობს, სისხლს აწვდის სხეულს, სხვა რამ გრძნობა მას არ გააჩნია — თქვა მესამემ.

— არა, ყველა ისე როდია აწყობილი. ზოგს მგრძნობიარე გული აქვს. ჩვენ ალბათ მგრძნობიარე გულისანი ვართ. ყველა ერთნაირი გულის კი არ არის...

— ჩვენ ოდნავ დაბლა დავეშვით, აქ კარავი გავშალეთ და და-

ველოდეთ. იმათ ვეძახოდით და ვუყვიროდით, მაგრამ იმ ქარსა და წყვდიადში რას გავაგონებდით, ხმაც იმაზე ჩაგვეხლიჩა. სხვა რა შეგვეძლო ჩვენ უბედურებს... — ამბობს მესამე.

— რა არის, იცი? თბილად გვეძინაო, კარვებში გვეძინაო, მაგრამ აბა წარმოიდგინე, შენი ამხანაგები სადღაც მშიერ-მწყურვალები და შეცივნულნი დაბარგანაობენ, სიკვდილს, ქარის მოძალებას ებრძვიან... ამ დროს შეიძლება კაცმა თბილად დაიძინოს? გინდაც სამეფო საწოლში იწვეს, შეიძლება ერთი წუთითაც მოხუჭოს თვალი? — ამოიდგა ენა პირველმა—თემო მართალს ამბობს, ზოგს ბოჩოლასავით საწყალი გული აქვს, ზოგის კი ტყვიას აისხლეტავს. ყველანათვის ერთნაირი გული არ უბოძებია მამაზეციერს...

— მიხაჭნ, იცი, რა? — ამოიხნავლა მეოთხემ — მეცოდები, ძალიან მეცოდები მწვერვალზე რომ ვეღარ ამოხვედი. ყველა მეცოდება, ვინც იქ ვერ ამოვიდა...

— მიხეილი როგორ არის? რას ამბობს ჩვენზე? — იკითხა მეორემ.

— მიხეილი? — დავრდომილის ზელა არ შეუწყვეტია მინაანს, ისე გაეპასუხა — რას უნდა ამბობდეს მაინც? რა ეთქმის რო...

— ალბათ ნაწყენია. ვიცი ნაწყენი იქნება... — თქვა ფრთხილად მეორემ და დანარჩენებს გადახედა, თითქოს იმათი აზრის გაგება ეწადაო

— ვერ არის კარგად, არ ვიცი, რა იქნება.. ძალისძალად კი გაბრომაგდო თქვენთან — იმათ მიხედეო...

— არ უნდა მიგვეტოვებინა, შენს ანაბარა არ უნდა მიგვეტოვებინა — თვალები აუწყლიანდა მეორეს.

წუთით უხერხული დუმილი ჩამოვარდა. არავის არ სურდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება. ახლა განსჯის თავი არავის ჰქონდა. არც იყო იმისი დრო. ყველას თავისი სადარდებელი, თავისი ფიზიკური თუ სულიერი სატკივარი გასჩენოდა და ის აწუხებდა. დედამიწა მონატრებოდათ ადამიანებს... ადამიანთა მიწა... მაცდუნებლად ზიმზიმებდა იგი სადღაც ქვევით, ათას ქარაფსა და ნაპრალს მიღმა. მშობლიური ქალაქის ლამპიონები ციმციმებდნენ შორით. ნაცნობთა სახეები, დიდი ხნის უნახავი სახეები ირეოდნენ სივრცეში. მაცდური იყო შორეული მოჩვენებები. მაცდური და ამავე დროს ტრაგოლვის მომგვრელი. სახიფათო იყო მათი ეგრერიგად მოძალება, სახიფათო და დამღუპველი. ყველას სადღაც მიეჩქარებოდა, რაღა სადღაც, დაბლა მიეჩქარებოდათ ყველას. აჩქარება კი საშიში და სახიფათო იყო, სახიფათო და დამღუპველი...

და არავის ეცალა ახლა განსასჯელად. პირადი, სხვისთვის, ჩალისფასად ღირებული სურვილ-სატკივრები წამოშლილიყვნენ გრძნობაგონებაში. მთელი ეს ხანი საერთო, ზოგად საქმეს ემსახურებოდნენ, საკუთარი და პირადი აღარ არსებობდა მათთვის, საკაცობრიო სიმალლეებს ერკინებოდნენ და .იმისი დამორჩილების სურვილით ანთებულნი ცისიერეთში ისწრაფვოდნენ. ახლა კი მიზანი მიღწეულია და მათ აქვთ უფლება პირადზე, საკუთარზე იფიქრონ, მიწასა და ქალაქებზე, კომფორტსა და ლამაზმანებზე იფიქრონ.

და ამიტომაც არავის ჰქონდა ახლა განსჯის თავი.

მხოლოდ მეორეს ველარ მოესვენებინა. მას ეტყობა, სხვებზე მეტად ჰქენჯნიდა სინდისი:

— ამას ვერც გაამხელ ვერსად. ამხანაგი მიატოვეს და თვითონ მოქუსლეს მწვერვალისაკენ... ასეთ გამარჯვებას არც რა მადლი აქვს...

— აბა, რას ამბობ, ეგ რა სათქმელია, ამხანაგი მიატოვესო. მინაანს ჩავაბარეთ იგი, მორჩა და გათავდა. მინაანს რომ ჩააბარებ კაცს, იგი მიტოვებულად არ ჩაითვლება... შენ შეუძლოდა ხარ და ის გალაპარაკებს ასე... — გაეპასუხა მესამე.

მინაანმა წუთით მიატოვა მეოთხე და მეორესთან გაჩნდა. მეორეს მართლაც უჭირდა. ეტყობოდა რომ ძალიან უჭირდა, ლაპარაკისას ხრიალი გაერეოდა ხმაში, ხანგამოშვებით ყრუ კვნესა ალმოხდებოდა უნებურად.

— არა, მე არაფერი მიშავს. იმას მიხედე, მე რა მიჭირს.

— ერთი დაგიაროს, არ გაწყენს. თავისებურად დაგიაროს, მოგიხდება... — უთხრა მას პირველმა.

— არა სჯობია, იმას მიხედოს, ან მიხოსთან გავიდეს. მარტოხელას მიხედავს. მარტოხელა კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. .

— იმან თქვენთან გამომაგდო. იმათ უპატრონეო... ისიც შენსავით იძახდა, იმათ მიჰხედე, მე არაფერი მიშავსო... — ძალისძალად აუკაპიწა სახელოები მინაანმა მეორეს.

მეოთხემ კვლავ სცადა წამოწევა, მაგრამ ველარ შესძლო, მხოლოდ ოდნავ იცვალა გვერდი საწოლში და ისე ამოიხნავლა:

— ძალიან მეცოდები... ძალიან მეცოდები...

იგი თითქოს ძილბურანში იყოო, ისე უაზროდ წარმოსთქვამდა ამ ხიტყვებს, ბედნიერი კაცის იერით წარმოთქვამდა, ყოველშემთხვევაში სურდა მაღალფარდოვნად გამოეხატა თავისი აზრი, მაგრამ ხმა არ მოსდევდა. ხრიალში კი მაღალფარდოვნება იკარგებოდა.

— იცი, რა სანახაობა გადაიშალა ჩვენს თვალწინ? მართალია მხოლოდ ერთ წუთს განიხვნა ცისკიდური, მხოლოდ ერთ წამს მოიხსნეს მთებმა საბლარდნელი, მაგრამ ისიც საკმარი იყო... ჩვენს ფერხთით მსოფლიო განფენილიყო. მთელი მსოფლიო იქ იწვა, მთების ძირში, გასპეტაკებული მწვერვალები ამაყად დასჩერებოდნენ შავად მოზიმზიმე ქვეყნიერებას... შორით ჰიმალაის ბუმბერაზები მოჩანდნენ, მაგრამ ჩვენი მწვერვალი იმათაც მაღლიდან დაჰყურებდა, ერთი სიტყვით, ყველაზე მაღალი ადამიანები ჩვენ ვიყავით ამ წუთში, მსოფლიოს ყველაზე მაღალი ადამიანები... ამიტომ ვიძახი— ყველა მეცოდება — მეთქი.

შენი ამდენი ლაპარაკი არ შეიძლება. — გააწყვეტინა მეოთხეს პირველმა — გაიგე, არ შეიძლება...

— ვინა თქვა... ჩემთვის ყველაფერი შეიძლება, უკვე ყველაფერი შეიძლება. — ჩაქირქილება სცადა მეოთხემ, მაგრამ ცარიელი ხრიალი კი აღმოხდა — ნეტავი სიმღერა შემეძლოს, იცი, რას ვიმღერებდი? „ბუბა-ქაქუჩელას“ ვიმღერებდი... ამ სიმაღლეზე ბუბა ქაქუჩელა ჯერ არავის უმღერია...

— საკვარისია, ჩემი ულუფა მივიღე, ახლა მარტოხელას გაჰხედე. ჩვენ სამნი არა, ოთხნი ვართ, ჩვენ რა გვიჭირს, მარტოხელას გაჰხედე, გუშინ რომ მივატოვეთ, ისიც ეყოფა... ჩვენ არა გვაქვს უფლება... არა-მეთქი... — დაითრია მკლავები მეორემ.

— თქვენი არ ვიცი და... მე ყველაფრის უფლება მაქვს უკვე... რასაც მინდა იმას გავაკეთებ. შენ რას იტყვი ამაზე, განა ასე არ არის, ჰა, ასე არ არის? — მიმართა მან მეორეს.

— არა ხარ მართალი, არავის არ აქვს უფლება შუა გზაზე მიატოვოს დავრდომილი, არავის ამ ქვეყანაზე. ვინც ასე იქცევა, ის მუტრუკია, გაიგე, მუტრუკია და მეტი არაფერი.

— აი ნახავ იმასაც. ნახავ და მერე თუ ილაპარაკებ ასე... — სევდანარევი კილოთი გაეპასუხა მეოთხე.

— რაზე ამბობ ამას? რა უნდა ნახოს მაინც? — ვერაფერი გაიგო მესამემ — თუ მაინც არ იშლი ლაპარაკს, გასაგებად გვითხარი...

— მე იმას ვამბობ, ყველაფრის უფლება მაქვს-მეთქი. თქვენი არ ვიცი და მე ყველაფრის უფლება მაქვს უკვე. აი, რომ შემეძლოს „ბუბა ქაქუჩელას“ ვიძღერებდი. შენ მოგისმენია როდისმე „ბუბა ქაქუჩელა“? ალბათ არ მოგისმენია და იმიტომ ხარ წინააღმდეგი. იცი, რაზეა ის სიმღერა? ღვინოსა და ქალებზე... ეს ორი რამე კი

მთავარია ცხოვრებაში, იქნება ვცდები? ღმერთო ჩემო, ნუთუ ამაშიც ვცდები?

— ღვინო? რაღა მაინცდამაინც ღვინო? რა, არაყი ნაკლებია? — არ დაეთანხმა მესამე.

— მაშინ ქალებიც შევცვალოთ. რაღა მაინცდამაინც ღვინო და ქალები! — ჩაერია მათს კამათში პირველი — არაყი და... არაყი და... მოიცა, რიღათი შეცვლი ქალებსა? აი, შინ რომ გველოდებიან, შორეულ გზებს რომ გამოსცქერიან, ი? ქალებს რითი შეცვლი? იქნება მოიგონო სხვა სიტყვა? ნუთუ ქალის შეცვლა შეიძლება რითიმე?

— ისევეა ღვინოც. როგორც იმას ვერ შეცვლის არაყი, ისე ქალს ვერ შესცვლის ვერაფერი. ქალი ქალია, ღვინო — ღვინო. არაყი სულ სხვაა, ბურახი და გლიასე...

— ეჰე, შენც ბუტიე რაღა... მოდით რა, ფილოსოფოსობას შევეშვათ. მე ძილის მომხრე ვარ. თქვენა? — იკითხა მესამემ, — მაშ ასე, მე მძინავს უკვე...

— ჰო, ძილი კარგია. ვინ იცის, იქნებ მიწა იხილო სიზმარში, ქალაქები და ნაცნობი სახეები... ძილს რა შეედრება მართლაც, მაგრამ ილიკო? ილიკო რო ვერ დაიძინებს? მოლანდებებისა და ზმანებათა ანაბარა მივატოვოთ? — ამხანაგებს გადახედა მეორემ.

— ისიც დაიძინებს. ნახავთ თუ არა. თანდათან მოითენთება და დაიძინებს. — თქვა საძილე ტომარაში ჩათბუნებულმა მესამემ ბურდღუნით.

— შენ ასე ფიქრობ? თემო, მინაან, თქვენა? თქვენც ასე ფიქრობთ? თუ ყველანი ამ აზრისა ხართ, მართლაც დავიძინოთ. რაღას ვუცდით მართლაც? თუკი ასეა, ამას რა ჯობია. მიწაზე ფიქრში ისე ტკბილად ჩამეძინება...

— ჩემზეა ლაპარაკი? — უცბად წამოსწია თავი მეოთხემ — მე ღმერთებს ვესაუბრე ახლა. იმათაც მირჩიეს, დაიძინეო, მაგრამ მე ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე ვიფხიზლო.

ასე სჯობია. დილამდე ვიფხიზლებ მერე კი დავიძინებ.

გული მიგრძნობს, რომ ასე სჯობია.

დილამდე კი შემიძლია ვიმღერო.

აკი კირილს არასოდეს მოუსმენია ჩვენებური სიმღერები.

ძილში მუსიკა კარგია.

ფერად-ფერადი სიზმრები იცის.

დილამდე რამდენ რამეს იმღერებს კაცი.

ამიტომაც გადავწყვიტე ვიფხიზლო.

ღმერთებმა თავისი მითხრეს. მე ჩემსას გავაკეთებ, იმიტომ რომ გულმა ისე მიკარნახა. ჯერ გულია მბრძანებელი, მერე კი — ღმერთი... მე მგონი, ყველაფერი გასაგებია. მე მგონი, ახლა მაინც გასაგები ენით ლაპარაკობ, .ა? — შეეკითხა იგი მესამეს და პასუხისათვის არ დაუცდია, ისე განაგრძო:

— ხოლო დილას ვათს განკარგულებაში გადავალ...

მანამდე კი ნუ მიწყენენ.

და საერთოდ ნურავინ ნუ მიწყენს.

თქვენ რომ დაიძინებთ მე ერთ სიმღერასაც გავიხსენებ.

ოდესღაც ძალიან მიყვარდა ის სიმღერა, ჰო, ბავშვებზე იყო, მომლოდინე ბავშვებზე, ნანადირევის ხორცი რომ მოჰნატრებიათ და ნერწყვმომდგარი გასცქერიან მთათა ბილიკებს, იქნებ სანატრელი ძამა გამოჩნდეს სადმეო.

მაგრამ იგი არა და არა ჩანს.

ეს სიმღერა მგონი ბევრჯერ მიმღერია.

შინაარსი კარგად მახსოვს, მაგრამ მოტივი ვერაფრით ვერ გავიხსენე.

არ ვიცი, მართლა კი მიმღერია როდესმე?

მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ახლა მაინც ვიმღერებ, სხვა მოტივზე ვიმღერებ ამ სიმღერას.

რომ არ ვიმღერო, გავგიჟდები.

ნუთუ გაუგებარია რასაც მე ვამბობ?

ა, კირილ, იქნებ შენ მოგისმენია ეს სიმღერა?

ჰო, ბოდიში, თქვენ დაიძინეთ ახლა.

დაიძინეთ, გეთაყვა.

მე კი ფერად-ფერად სიზმრებს გამოგიგზავნით.

მაშ, ასე...

— მინაან, შენ გეძახიან. გარეთ გეძახიან — უთხრა მუხლმორთხმულ ამხანაგს მეორემ. — აქ უკვე არღარა გესაქმება. ჩვენ მიეირთვით ჩვენი ულუფა. აქ ფუჭად გასცდები, მეტი არაფერი...

—„მაინც როგორ მოხდა ყოველივე?"—ფიქრობდა თავისთვის მინაანი. იგი ხოხვით გამოვიდა კარვიდან და ხოხვითვე განაგრძო გზა. იგი არც დაღლილობას გრძნობდა უკვე და არც უძილობას. ერთადერთ ფიქრს შეეპყრო მთელი მისი არსება — „მაინც როგორ მოხდა ყოველივე?" — მერე გაახსენდა კირილის ნაამბობი. გაახსენდა და კიდევ ერთხელ წარმოუდგა თვალწინ მწვერვალზე უკარვოდ, უსაძილეტომროდ დარჩენილი ადამიანები. ისინი წამოწეულ ღამის წყვდიადში

თავშესაფარს, თბილ ტანისამოსს, სასუნავს დაეძებენ. ჩოქვით, ფორთხვით, ხოხვით, რანაირად არ დაეძებენ, მაგრამ ქარის წივილისაგან გამოყრუებულნი, ნამქერისაგან თვალებდაოსებულნი ვერაფერ სანუგეშოს ვერ ნახულობენ. ისინი ებრძვიან მოახლოებულ სიკვდილს. ჭიდაობენ და ბუღრაობენ, ყვირიან და ღრიალებენ. მაგრამ დაღლილ სხეულს მაინც თავისი გააქვს, იგი ძილს მოითხოვს, ახლა ძილი კი სიკვდილს ნიშნავს.

„ცივი ღამისთევა... ცივი ღამისთევა..," — ვიატაუს მწვერვალი აგონდება მინაანს. ო, რამდენი წლის წინათ მოხდა ეს ამბავი, მაშინ იგი გინგლიანი ბავშვი იყო. ვიატაუზე მოუხდა „ცივი ღამისთევა". მაგრამ სად „თბილ" კავკასიონზე „ცივი ღამისთევა" და სად მრისხანე ტიანშანის ქედზე, მითუმეტეს იმ გადასაკარგავ სიმაღლეზე... და მიხეილის გონებაში კვლავ წამოტივტივდნენ მთამსვლური სიმღერის სტრიქონები:

Зачем не взял себе штормовку,
Палатку ударскую зачем не взял,
Попал я бедненький в холодную ночевку
И мороз косточки мои сковал.

ერთი რამ მაინც ვერ გაეგო მიხეილს — როგორ შეიძლებოდა ზურგჩანთების ჯერ კიდევ მწვერვალისწინა თხემთან დატოვება? რა მოსაზრებით „დამარხეს" მანდ მთელი მათი ავლა-დიდება, მთელი მათი სარჩო-საბადებელი? განა ისე რა გაუჭირდათ, რომ თუნდაც ასიოდე მეტრზე ვეღარ აზიდეს ისინი?

გამოუცდელი, ახალბედა მთამსვლელებისაგან ისე არ გაუკვირდებოდა კაცს ეს ამბავი, მაგრამ ისინი ხომ მრავალჭირნახული, გამობრძმედილი ალპინისტები იყვნენ?

გამარჯვების პიკზე განა შეიძლებოდა მაცდური ამინდის ნდობა?

ვერაფრით, ვერაფრით ვერ აეხსნა ეს საიდუმლო. როგორ არ ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

— რაო, რა ამბავია, რას შვრებიან ისინი?

მინაანი ახლალა გამოერკვა ფიქრებიდან.

— რა ამბავია? დაიძინეს, უკვე ყველამ დაიძინა.

— მართალს ამბობ? არ მატყუებ?

იერიშისათვის მზადების პერიოდში დიდ ყურადღებას ვუთმობდით კვების რაციონის შერჩევასა და საერთოდ კვების რეჟიმის გაშოშვებას, რასაც სპორტული ფორმისა და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კედელთან ბრძოლისას არ იყო მიზანშეწონილი ორგანიზმის მიერ კარგად ათვისებული და შეჩვეული საკვების, ანდა მისი შემადგენლობის შეცვლა, რაც ბიოლოგიური თვალსაზრისით მთელ რიგ არასასურველ მოვლენებს გამოიწვევდა. სურსათ-სანოვაგე მაქსიმალურად კალორიული და მაწიერი უნდა ყოფილიყო, ამავე დროს კი სატარებლად მსუბუქი.

ძველად სვანი მონადირეები და მეგზურები შორ გზაზე რომ მიდიოდნენ, საგზლად ქუმელის გუნდები მიჰქონდათ. იგი მსუბუქიც იყო და ყუათიანიც, ამავე დროს გაძლე და ზედეგი — ობს არ მოიკიდებდა, მალე არ გაფუჭდებოდა და არაფერი. ანდა ჩხეტვრალებს[1]... შეექცეოდნენ. ჩხეტვრას არც მარილი უნდოდა, არც საწებელა და არც სხვა რამ დასაყოლებელი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინეთ წინაპართა ბრძნული გამოცდილება, დროჟამისაგან უთვალავჯერ შემოწმებული ადათ-ჩვეულება საკვები რაციონის შერჩევა-დამზადებისა. მაგრამ ხალხური მენიუს შემადგენლობაში უნდა შეგვეტანა გარკვეული ხასიათის ცვლილებანი, რაც გამომდინარეობდა ძირითადად ჩვენი ამჟამინდელი, არც თუ ურიგო „ეკონომიური შესაძლებლობებიდან“ — ერთი სიტყვით, ჩვენს ექსპედიციას ხელმომჭირნე ოსტიგანი[2] არ ეყოლებოდა.

საკმაოდ ძნელი ამოცანის წარმატებით გადაჭრაში ხელი შეგვიწყო იმ გარემოებამაც, რომ ასვლის მონაწილეებს ყველას მთიელთა ყოფის ადათ-ჩვეულებები გვქონდა შესისხლხორცებული. ამიტომაც კვების რაციონის შედგენისას ჯგუფის წევრებს შორის არ წარმოშობილა რაიმე უთანხმოება და მიმკერძოებლობა. ერთხმად გადაწყდა ისეთი პროდუქტების წაღება, რომელსაც ყოველდღიურად სმარობდა ადგილობრივი მოსახლეობა.

ეს პროდუქტები იყო:

კუბდარები — ხორციანი პურები 350 გრამამდე თითოეული. (ერთი კუბდარის მაწიერობა ტოლია დაახლოებით 150 გრამი მოხარშუ-

---

[1] სვ. — ყველპურა; ერთმანეთში აზელილი ყველ-პური.
[2] მნე.

ლი საქონლის ხორცის, 2 კვერცხის, 200 გრამი პურის და ერთი ჭიქა რძის კალორიულობისა ერთად). კუბდარების წაღება იმითაც იყო გამართლებული, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს გემოსა და სირბილეს.

დაწურული თაფლი, ნიგოზით შეზავებული, რაც დიდი დატვირთვისა და დაძაბულობისას, აგრეთვე ოფლიანობის დროს გამოქარვისა და გამოფიტვისაგან იცავს ორგანიზმს.

ხბოს მოხარშული ხორცი. ხბოს ხორციც შედარებით დიდხანს ინარჩუნებს სიახლესა და სირბილეს, საქონლის ხორცივით არ მშლევდება და ხმება.

ქათმის მოხარშული ხორცი. იგი ადგილობრივად დამზადებულ კოწახურის საწებელთან ერთად კარგად მოქმედებს მოდუნებული, გადაღლილი კუნთების აღგზნებადობაზე.

სვანური „აჯიკა" — პილპილსა და მარილთან შეზავებული გამხმარი მწვანილები.

თან წავიღეთ აგრეთვე მთამსვლელთა ტრადიციული პროდუქტები — კონსერვები, შაქარი, ყავა, კაკაო, ძეხვეული და სხვა.

ყოველ მონაწილეზე დღეში საშუალოდ 600—650 გრამი საჭმელი მოდიოდა, რაც დაახლოებით 4500—5000 დიდ კალორიას იძლეოდა.

— ამ აზნაურული საჭმელებით თუ გამიმასპინძლებით, მეც წამოვალ უშბაზე, ჰხი... ხი... — ჩაიქირქილა მიხეილის კარის მეზობელმა შარდენ ფალიანმა — ბესარიონსა და მაქსიმეს კვაში[1] ჰქონდათ სანატრელი, მაგრამ მგლებივით კი დაეგლებოდნენ კლდეებზე.

სიტყვამოსწრებული და ხუმარა კაცის ნათქვამმა ჯორ-ვირების დასაპალნებაში გართული მეზობლების ხარხარი გამოიწვია.

მართლაც შესანიშნავად, მოკლედ ჩამოაყალიბა შარდენმა ადრეულ და თანამედროვე მთამსვლელობას შორის განსხვავება. ადრე, როგორც ეს ხალხურ ლექსშია ნათქვამი, მთამსვლელებს „რკინის გული" ჰქონდათ, ტყავის ჯაბრალები ეცვათ, სვანური ნაბდის ქუდები ეხურათ, ჩოხა-ახალუხი შეენოდათ. მუჯრა ეჭირათ წერაყინის ნაცვლად. კანაფის სამაშველო თოკებით ებმებოდნენ ერთიმეორეს. თვალები ჰქონდათ „ქორებულ მხედველნი," ეს იყო და ეს. დღეს კი — ყველაფრით უზრუნველყოფილია მთამსვლელი. ერთი განაცხადის დამტკიცებას თუ ელირსა ჯგუფი, მერე ჩიტის რძესაც კი იშოვნის თუ

[1] სვ. მჭადი.

უნდა. ჩვენც გვარიანი მდიდრები ვიყავით — თავიდან ფეხებამდე ალვიჭურვეთ პირველხარისხოვანი საჭურველ-იარაღით, ტანსაცმლით, ღამისსათევი მოწყობილობით, საკვებით...

და ახლა შარდენის ნათქვამზე წუთით სინდისის ქენჯნამ შეგვაწუხა ყველანი — მართლაც რანი ვიყავით ჩვენ ბესარიონსა და ბექნუსთან, ჭიჭიკოსა და გაბრიელთან შედარებით? აფსუსი არ იყო ეს ფუფუნება ჩვენთვის, როცა იმათ ლაშქრობებში ხშირად ქერის ბურიც კი სანატრელი ჰქონდათ?

კაცმა სიმართლე რომ თქვას, ნამდვილი მთამსვლელები ისინი იყვნენ, ჩვენი სახელოვანი მასწავლებლები, უფროსი ადამიანები, კეთილშობილი, უბრალო ხალხი, დღეს რომ ასე მზრუნველურად დაგვტრიალებდნენ. ჩვენ რანი ვიყავით იმათთან შედარებით, რას წარმოვადგენდით?

ჩემს ამხანაგებს გადავხედე — იმათაც თითქოს ალმური მოსდებოდათ სახეზე. სინდისი გვქენჯნიდა ყველას, მაგრამ ჩვენ რომ არავითარი ბრალი არ მიგვიძღოდა ყოველივე ამაში?

ᲨᲔᲜ ᲔᲧᲐᲕ ᲛᲨᲐᲠᲕᲔᲚᲘ...

— მოიერიშეთა ძირითადი შემადგენლობა სოფელ ლალამიდან გაუდგა გზას. მათ აიარეს დაბდერის ყანები, ლეჯჰარის წარაფები და ფოშდელისა და ქორულდის გავლით ლეგვმერის ქედისაკენ გაემართნენ, რომელიც ჭალადის მყინვარს ემიჯნავება.

მაშველი ჯგუფი უკან გაჰყვა ძირითად შემადგენლობას. მან გეზი პირდაპირ ჭალადის მყინვარისაკენ აიღო. რათა წინდაწინ შერჩეულ ადგილას დაეცა ბანაკი და მალევე შესდგომოდა თავის მოვალეობის აღსრულებას.

ამინდი შესანიშნავია. მზე თითქოს ზურგზე მოჰბჯენიათო ალპინისტებს, მართალია, ისევე, როგორც სიცივე, სიცხეც აუტანელია მგზავრობისას, მაგრამ ამაზე ახლა ვინ ოხერი აწუწუნდება: პირიქით, ისინიც და ჩვენც, ყველანი, გულში იმას ვნატრობდით, დიდხანს იდგეს დედამიწაზე მზიანი დარ-ამინდი.

— ელია ყოვლისშემძლეა, სიკეთის მქნელია, არაფერს გაგვიჭირვებს. — დარწმუნებულია დარიანობაში მთამსვლელი ექიმი, მაშველი

ჯგუფის წევრი ხიტო მუსელიანი, რომელსაც თავისი სიცქვიტისა და მოუსვენრობის გამო მეტსახელად „ბუზუული“[1] უწოდეს სვანეთში

— შენს პირს შაქარი, ჩემო ხიტო, მაგრამ ეს ღრუბლები ხომ არ გამოგრჩა მხედველობიდან? — აღმოსავლეთისაკენ ახედებს შარდენ ფალიანი „ბუზულს“ — რაღაც არ მომწონს თეთნულდის თხემზე მიკერებული ფთილები.

— შენ იყავ მეგზური ამ ღინღლიანი ბიჭებისა, მადლიანო ელია. გაუნათე გზა-სავალი გაუვალ წავარნებსა და ღარტაფებზე! — ღვთისმოსავივით შევთხოვ და ვეაჯები ამინდის მეუფესა და განმგებელს...

და არა მარტო მე...

მთელი ლაღამი და სეტ—ლახთაგიც იმისავე ეაჯება მაღალ ელიას...

12. VIII. 64, მესტია. ბექნუ ხერგიანი — მეთვალყურეთა ჯგუფის უფროსი.

მიხეილ ხერგიანი (უფროსი)

—ეს მოხდა 1961 წელს. ქართველი ალპინისტები ტიანშანის მთიანეთში აკლიმატიზაციას გავდიოდით, რათა მოკლე ხანში ჩვენი ქვეყნის სიმაღლით მეორე მწვერვალისათვის — „გამარჯვების პიკისათვის“ შეგვეტია (7439 მ. ზღვის დონიდან), რომელიც „კომუნიზმის პიკს“ სულ რაღაც 56 მეტრით ჩამოუვარდებოდა. (იგი მხოლოდ 1943 წელს იქნა ტოპოგრაფების მიერ აღმოჩენილი, მანამდე კი ტიანშანის უმაღლეს მწვერვალად ხან-თენგრის პიკი ითვლებოდა 6995 მ).

აღნიშნული მწვერვალის პირველდამპყრობმა აბალაკოვმა ღრუბლის ფთილებს შორის თვალი მოჰკრა უზარმაზარ მწვერვალს, რომელიც გულგოროზად დაჰყურებდა ზემოდან მთელს ტიანშანს, მის უამრავ მთაგრეხილებსა და მწვერვალებს, მაგრამ უამინდობის გამო გაურკვეველი დარჩა სად მდებარეობდა იგი — საბჭოთა ტერიტორიაზე თუ — საზღვარგარეთ.

შემდეგშიაც მრავალჯერ მოეწყო ექსპედიციები ტიანშანის ამ რაიონში, მაგრამ უამინდობისა და რუკის უქონლობის გამო ვერავინ ზუსტად ვერ განსაზღვრა უცნობი მწვერვალის ადგილმდებარეობა და სიმაღლე. როგორც აღვნიშნეთ, 1943 წლამდე იგი გამოუცნობი, იდუმალებით მოცული რჩებოდა.

---

[1] სვ. ბუზი.

და ნეტავი, სულაც არ ყოფილიყო იგი — ასეთი ფიქრი არ შეიძ-ლება არ დაეუფლოს ადამიანს, რომელმაც კარგად იცის ამ მწვერვა-ლის უკუღმართი ხასიათის ამბავი. კარგად იცით, ამ მოკლე დროში, თუ რამდენი შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს მისმა კალ-თებმა..

რომელი ერთი ტრაგედია უნდა გაიხსენო ადამიანმა. თუმცა სა-ამისოდ 1961 წლის უბედურებაც კმარა, უბედურება, რომელიც ისე უბრალოდ დაიწყო და, რომელსაც გამართლება არა აქვს...

ჰო, ეს მოხდა...

ჩვენ უნდა დაგველაშქრა „გამარჯვების პიკი". ჩვენ — ექვს კაცს — თეიმურაზ კუხიანიძეს, ჯუმბერ მეძმარიაშვილს, ილიკო გაბლიანს. მიხეილ ხერგიანს (უმცროსი), კირილე კუზმინს, რომელიც ჩონ-ტაშის ბანაკში შემოუერთდა ჩვენს ჯგუფს, და მე.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. პირველ დღეს ავედით 5300 მეტრის სიმაღლეზე და ღამე თოვლის ქვაბულში გავატარეთ. შემდეგი ღამისთევა 5600-ზე გვიწევს, მესამე კი — 6000 მეტრზე. ამინდი ცუდია, მაგრამ მაინც წინ მივიწევთ. 6500-ზე კარვებში ვათე-ნებთ ღამეს. მეორე დღეს საშინელ ქარსა და გრიგალში მხოლოდ ორას მეტრს გავდივართ. თოვლის გამოთხრის თავი და ღონე უკვე არა გვაქვს, ამიტომ კვლავ კარვებში ვათენებთ.

მომდევნო ღამესაც კარვებში ვატარებთ, რომელიც წინა ღამის-სათევიდან სულ ასიოდე მეტრის მოშორებით, კლდეებში გავშალეთ. საქმეს თითქოს ცუდი პირი გამოუჩნდა. სიმაღლემ, სიცივემ (30—40, ხანდახან კი 50 გრადუსი), ჰაერის სიმშრალემ, მზის რადიაციამ, ქა-რებმა და თოვლმა იმოქმედა ადამიანებზე. ცნობილია, რომ სამიათას მეტრზე უკვე ხელებში ძალა ბარე სამჯერ ნაკლებია, ხოლო რა უნდა იყოს 6000-ზე? ამ სიმაღლეზე ხდება სისხლის შემადგენლობის ცვლი-ლება, გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მუშაობის დაქვეი-თება, რასაც თან ახლავს თავის ტკივილები, გულისრევა, სასუნთქი გზების კატარი და დაზიანება, უცნაური ქცევები...

უცნაური ქცევები...

ჯგუფი მიახლოვებოდა კრიზისულ მდგომარეობას, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდა. მეორე დღეს ჩვენ ავედით დასავლეთის მწვერ-ვალზე. ჯუმბერმა დაწერა ბარათი და მაშინათვე დავეშვით თხემზე, რომელიც უნაგირათი მიემართებოდა პირდაპირ ცენტრალური მწვერ-ვალისაკენ. 7000-ზე გამოვთხარეთ ქვაბული, ხოლო მერე გავედით

უნაგირასთან, საიდანაც უკვე გამარჯვების პიკის აღმართი იწყებოდა აქ ღამე კარვებში გავათენეთ. გარეთ საშინელი ამინდია.

იმ ღამეს ცუდი სიზმრები ვნახეთ. მიხეილმა ყველაზე საზარელი ამბავი გვამცნო — ძალიან ცუდადა ვარო.

ამ ორ სიტყვაში ბევრი რამ იგულისხმებოდა. იგი უთქმელი კაცი იყო, უთქმელი და მორიდებული და ყველა მიხვდა, რომ იგი აქამდე მალავდა ავადმყოფობას, ძალ-ღონესა და მოთმინებას იკრებდა და მალავდა, რომ ჯგუფის წინსვლა არ შეეფერხებინა, მაგრამ ეტყობა მეტი ვეღარ შესძლო და...

— მე ჩავიყვან მას დასავლეთი მწვერვალის გავლით ხაზარაძის ბანაკში — შევთავაზე ამხანაგებს — ხაზარაძის ჯგუფი მეორე დღეს უნდა გამოგვყოლოდა უკან. ისინი დაიპყრობდნენ დასავლეთის მწვერვალს და უკანვე გაბრუნდებოდნენ. ჩვენსავით ტრავერსზე არ აპირებდნენ წამოსვლას. ვფიქრობდი — გზად სადმე შევხვდები ან წამოვეწევი მათ და ავადმყოფს დავუტოვებ, მერე კი უკანვე გამოვბრუნდები და თანაჯგუფელებს შევუერთდები-მეთქი.

— თუ საჭიროა, მეც გამოგყვებით, — თქვა თეიმურაზმა.

— საჭირო კი არა, ეს აუცილებელია. ჩვენ არა გვაქვს უფლება...

ყველანი დუმდნენ, ეს იყო ალბათ ამ გზობაზე მთამსელელთათვის ყველაზე მძიმე წუთები. ამდენი რამ გადაიტანეს, ამდენი ითმინეს. რათა მიზნისათვის მიეღწიათ და როცა მწვერვალამდე რაღაც მეტრებიღა დარჩათ, უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ, ხელი ჩაექნიათ ათვისებულ სიმაღლეზე, წყალში ჩაეყარათ ყოველივე...

მწვერვალი კი, სანეტარო მწვერვალი მაცდუნებლად აღმართულიყო მათს ცხვირწინ, ერთი ხელის გაწვდენაზე, ერთი დღის სავალზე...

— არა მგონია მიხეილს მთის ავადმყოფობა სჭირდეს, უბრალოდ, შეუძლოდ გახდა, ხვალ კარგად იქნება. ასე რომ, საგანგაშო არაფერია. — დაარღვია დუმილი კუზმინმა — ეს მწვერვალი უნდა დავიმორჩილოთ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს...

კუზმინს მდიდარი სამთამსველელო-სასიმაღლო გამოცდილება ჰქონდა. ამდენად მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენც დავუჯერეთ, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს. ჩავებრ მე და მიხეილი კირილთან ერთ თოკში, დანარჩენები კი ჯგალკე და განვაგრძეთ გზა... გავჩერდით 7360 მეტრზე. ღამეს ვათევთ კარვებში.

— მომილოცავს, მეგობრებო, ასეთ სიმაღლეზე საბჭოთა მთამსვლელებს ჯერ არ გაუთევიათ ღამე, ჩვენ პირველები ვართ... — საზეიმო ტონით გვახარებს კუზმინი.

მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც მიხეილზეა გადასული. მის ჯანმრთელობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მიხეილი კი თითქოს არც თუ ურიგოდ გრძნობს თავს. ხუმრობს და იცინის. ისე კი ყველას უჭირდა. არასაკმარისმა მომზადებამ მალევე იჩინა თავი და ახლა დაღლილობასა და ჰაერის უკმარისობას თავისი მძიმე ტორი დაედო ყველასათვის. მე კი ჯერჯერობით საოცრად მხნედ ვგრძნობდი თავს. ასე კარგად არც არასოდეს მიგვრძნია თავი ამ სიმაღლეზე.

და აი, ირიეერაჟა კიდეც. ყველანი ერთი ფიქრითა ვართ შეპყრობილნი: როგორ აღსრულდება კუზმინის წინასწარმეტყველება მიხეილის გამომჯობინების თაობაზე? მაგრამ ყველაფერს ხომ ხმამაღლა არ იტყვის ადამიანი! ჩუმად გავცქერით მიხეილს, აბა რას იტყვის იგი? როგორ გვაჩვენებს თავს? ჯერჯერობით კი ყველაფერი რიგზეა. მიხეილი ჩვეულებრივად იცვამს, იკიდებს ზურგჩანთას, იღებს ხელში წერაყინსა და ებმება თოკში, მერე კი ჩვენთან ერთად ადგება გზას. უკან მოვიტოვეთ ათი მეტრი, მერე კიდევ ათი და კიდევ ათი, და აი ამ წუთას ყველაფერი ირკვევა: არა, არ მართლდება კუზმინის წინასწარმეტყველება! მიხეილი მხოლოდ-დამხოლოდ ამხანაგების ხათრით ებრძვის მოძალებულ ტკივილებს. იგი უდარდელი ადამიანის როლს თამაშობს ძალისძალად, მაგრამ მსახიობსაც კი უჭირს საათობით სცენაზე საკუთარი თავის გარდასახვა, და მით უფრო გაუჭირდებოდა მიხოს მოძალებული ტკივილების მალვა. გაუჭირდებოდა, მა არ გაუჭირდებოდა?

მიხეილ ხერგიანი (უმცროსი): ღერბეთუ გვაშიდ!..

— ღმერთი გვაფარავდესო.. — ასე იტყოდა ქართველი კაცი, როცა რაიმე კეთილ განზრახვას ჩაიდებდა გულში და იმის აღსრულებას შეუდგებოდა. ასე იძახდა ჭამად დაჯდომის წინ და ვახშმობის მერეც— დასაძინებლად მიმავალი. ღმერთს ეაჯებოდა იგი შეწევნას, მაგრამ არასოდეს პირდაფჩენილი არ ელოდებოდა მამა ზეციერის წყალობას, იგი მოქმედებდა, შრომობდა, იბრძოდა, იტანჯებოდა... აჯა მამაზეციერისადმი მხოლოდღა თავის გასამხნევებლად თუ იყო წარმოთქმული, თავის გასამხნევებლად და შინაგანი ძალების მოსაკრებად.

ღერბეთუ გვაშიდ!

ასე იყო ოდითგან, ასეა დღესაც. ეს ორი სიტყვა ოდესღაც ღვთისმოსავთა კუთვნილებას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს არავისთვის არ

არის სამარცხვინო და მიუტევებელი მათი ჩამომარცვლა. მხოლოდ უკეთური, ავისმქნელი და ბოროტი კაცი ვერ მოუხმობს მაღალ ღმერთს შემწედ და თანამდგომად ავხორცობასა და საგლახაკო საქმეში. და ვინც ამ სიტყვებით ეაჯება უფალს დახმარებას, იგი კეთილი ადამიანია.

ღერბეთუ გვაშიდ!..

ჩემს ამხანაგებზე კი ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ ისინი ყველანი სპეტაკი ადამიანები არიან. უშბის წინაშე შემიძლია დავიფიცო. უშბას კი რა გაუჭირდება მატყუარასა და ლაქლაქას შეჩვენება, ჭკუისსწავლება?

— ღერბეთუ გვაშიდ! — ამ სიტყვებით გავუდექით გზას ძირითადი ბანაკიდან კედლის მისადგომებისაკენ. თითქოს სამწყობრო სიარულის განაწესში შედიოდაო, ერთიმეორის მიყოლებით შეეეედრეთ ფუსდ ლუკლათხელ[1], წმინდა გიორგის, მამაკაცთა მფარველს დახმარება და მხარშიდგომა.

— ღერბეთ სი ლაგვეშდ... ღერბეთ სი ლაგვეშდ... ღერბეთ... ღერბეთ... ღერბეთ... — ისმოდა ხმამაღალი ვედრება.

არ ვიცი, აღწევდა თუ არა ექვსეულის ღაღადისი უფლის ყურთასმენამდე, მაგრამ გულში კი ყველას გვინდოდა გვერწმუნებინა მისი არსებობა. ამ თოვლისა და მყინვართა საუფლოში, ადამიანებისა და ყოველთა სულიერთაგან მოშორებით, ყველაზე ცხოველია ეს გრძნობა — ირწმუნო რაღაც იდუმალის, ყოვლისშემძლესა და კეთილის არსებობა, რომელიც მარტოობისა და გაჭირვების ჟამს არ მიგატოვებს, რომელიც მუდამ შენთან იქნება და კაცობისა და დამსახურების მიხედვით შეგეშველება და ამოგიდგება მხარში.

ჰოდა ღმერთების ხავანე ხომ ცისიერ სამყაროშია. ჩვენ კი სწორედ ასე ახლოს ვიყავით მათთან...

ექვსეული რიტმულად, შეუფერხებლივ მიიწევდა უშბის სარკისაკენ. ჩათინის კულუარის განშტოებას ჰკვეთავდა დასავლეთისაკენ, რათა კედლის მისადგომებთან გასულიყო. და აი, კედელიც. სალოცავი ხატივით მივჩერებოდით ჩვენს წინ აღმართულ ამომავალი მზის სხივებზე ალაპლაპებულ თვალშეუვლებ სანახაობას. მართლაც უზღვავი და დიდი იყო ჩვენი მოწიწება მის წინაშე. ოღონდ ღვთისმოსავური მორჩილებით მუხლის მოთხმას არც ერთი არ ვაპირებდით.

---

[1] სვ. მაღალი ღმერთის სახელობის ეკლესია მესტიაში.

რაც მთავარია, პირველი ნაბიჯი გადადგმული გვქოსდა. ჩვენ ჩავებით ბრძოლაში. იგი იქნებოდა. გადამწყვეტი ბრძოლა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. პაექრობა ვაკაცური და შეურიგალი.

ყველანი ერთის ქინით ვიყავით ანთებულნი — გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვება!

და თუ ვერ ვიგაქაცებთ, და თუ კლდის ფერიები დაგვიხშობენ ცისიერ ჭიშკრებს და აშინდის განმგებელი ელია განგვირისხდება, მშვიდობიანობა მაიხც სუფევდეს ჩვენს ბანაკში, მშვიდობიანობა და სიმშვიდე, რათა დღეს თუ არა, ხვალ, ოდესმე მაინც გამარჯვებისა და შურისძიების ცეცხლი ავაგიზგიზოთ უშბის მწვერვალზე... კიბოლანისეული, ჩაუმქრალი, მოელვარე, ცადაწვდილი ცეცხლი...

უხერხულობა

სოფლის ბიჭები აივნის ბოძზე დახვეულ თოკს ჩაბღაუჭებიან: თავისკენ ეწევიან. მაღლა, დერეფანზე მთამსვლელები დგანან, თოკის ერთი ბოლო ხელში ჩაუჭერიათ და მითითებებს აძლევენ მომხმარეებს. საქართველოს კინოსტუდიის ოპერატორმა ბორის კრეპსმა, რომელიც საგანგებოდ იყო მიწვეული სვანეთში უშბის ექსპედიციის გადასაღებად, აპარატი აამუშავა. მას მაშველი ჯგუფის უფროსმა, სპორტის ოსტატმა პირიბე გვარლიანმაც მიბაძა, თავისი ფოტოაპარატით ლაფაროში ახორავებულ მორებზე აძერა; არ უნდა გამორჩეს თოკის დამუშავების მომენტი.

ოჯახის უფროსი, სპორტის ოსტატი ბესარიონ ხერგიანი აჩქარებს ბიჭებს. წინ დიდი გზაა, უნდა ისწრაფონ...

ქალები კუბდარებს აცხობენ, თაფლით გაპიპინებული ვედრო გასაცხელებლად შეუდგამთ ღუმელზე, დანაყულ ნიგოზს უმატებენ.

მიშამ (უფროსმა) ეს ეს არის დაამთავრა სურსათის განაწილება და ამხანაგებს შინ ეპატიჟება წასახემსებლად. სუფრა გაშლილია. ყველანი სხდებიან, მადლიანად ილუკმებიან. ეს არის, მასპინძლები წრიალს აუტანია რატომღაც. რა მოხდა? რატომ ღელავს ბიძია ბესარიონი, მისი მეუღლე, ქალიშვილი? რა სატკივარი გასჩენიათ?

სუფრას არაყი აკლია! ვის გაუგონია ქართული სუფრა უსასმელოდ? ასეთი საპატიო სტუმრები გყავდეს და არყის ნაცვლად ლეგაბიდან მოტანილი მჟავე წყალი ასვა? აი, მოხუცებიც აქ არიან: ახსოვს ვინმეს ასეთი ამბავი?

ბესარიონი შვილს გადახედავს ხოლმე მავედრებელი თვალით, იქნებ ცოტაოდენი მაინც დაალევინოს ამხანაგებს, მისცეს ნება შეს თავაზოს?

მაგრამ მიხეილი დუმს, პირველად სიცოცხლეში არ უჯერის მამა ბესარიონს.

ჯოკია გუგავა ხვდება ოჯახის უფროსის გულისტკივილს და თანაგრძნობით ეუბნება ბესარიონს:

— იერიშის წინ არც თქვენ მიირთმევდით სასმელს, რაა აქ საუხერხულო... რომ დავბრუნდებით, მაშინ ჰო, მაშინ რამდენიც გენებოთ...

„მართალია. განა არ ვიცი, რომ არ შეიძლება, ჩვენც არ ვსვამდით. მაგრამ უარყოდ სუფრა რა უნდა იყოს, ჩვენს ოჯახში სტუმრიანობისას უარყოდ არავის ახსოვს სუფრა. აი, მოხუცებიც აქ არიან...“

მერე ბესარიონსაც მიაწოდეს მქავეწყლით სავსე ჭიქა და მანაც ადღეგრძელა უშბისაკენ მიმავალი ბიჭები.

გამოცდილ ადამიანს სხვა უფროსებმაც მიბაძეს. მთელი სახლი ერთხმად ღაღადებდა:

— ღმერთო უმფარველე ჩვენს ბიჭებს...

— ღმერთო, მშვიდობით დააბრუნე ვაჟკაცები...

• •

— ჩვენს მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად მოიერიშეთა ჯგუფს რაც შეიძლება ადრე უნდა მიგვეღწია პირველ ღამისსათევამდე, ე. ი. მთავარ ბანაკამდე, რათა მის მოწყობასთან ერთად ერთ-ერთი წყვილი მარშრუტზე გასულიყო და გზის წინასწარი რეკოგნოსცირებასთან ერთად აეთვისებინა ტრასა. ასე უნდა გაგრძელებულიყო შემდგომშიაც. წინდაწინ შემუშავებული ტაქტიკური სურათი ჯგუფის ხელმძღვანელსა და მონაწილეებს ასეთნაირად გვესახებოდა:

ვიდრე მოიერიშეთა ერთი ნაწილი აწყობს ღამისსათევს და ამზადებს საჭმელს, სხვები ამუშავებენ მომიჯნავე უბანს. ღამისთევები განზრახული გვაქვს ჰამაკებზე, დაკიდულ მდგომარეობაში, აგრეთვე ხელოვნურ მოედნებზე. უფრო სწორად იძულებულნი ვართ ასე მოვიქცეთ. მხოლოდ ორჯერ თუ მოგვიხერხდება კარვების დადგმა, ისიც იერიშის დაწყების პირველ და ბოლო დღეს. (ეს უკანასკნელი კი ამ შემთხვევაში თუ კი ჩვენ წარმატებით შევასრულებდით დასახულ ამოცანას) სარკის მისადგომსა და მწვერვალისწინა მშვიდობიან თხემ-

ზე. მაგრამ ვარაუდი მაინც ვარაუდია — იქნებ ის, რაც შორიდან შესაძლებლად გვეჩვენება, ახლოდან, თვალდათვალ სულ სხვანაირად გამოჩნდეს?

ჯგუფის ექვსი კაცით დაკომპლექტებაც ტაქტიკური გეგმით იყო ნაკარნახევი. ამ კედელზე მოგვიხდებოდა სპეციფიური, მხოლოდ უშბის სარკისადმი დამახასიათებელი სამუშაოების შესრულება. როცა გულდასმით შევისწავლეთ ამ სამუშაოთა ხასიათი და ნაირგვარობა და მისი მოცულობა კაცსაათებზე, საბოლოოდ კი კაცდღეებზე გადავიტანეთ, იმ დასკვნამდე მივედით, რომ უკეთეს შემთხვევაში ექვსი ადამიანი ნამდვილად აუვიდოდა საქმეს, თუ მოიერიშეთა შემადგენლობა მაქსიმალურად დაიტვირთებოდა, თუ ყველა პირნათლად შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაშიც არც ჯგუფის ხელმძღვანელს და არც სხვა ვინმეს ეპვი არ ეპარებოდა, უთუოდ გზაზე წამოჭრილ ყოველგვარ წინააღმდეგობას მოვერეოდით და დადებითად გადავჭრიდით.

სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა მიხეილი, როცა ასვლის მონაწილეთაგან მაქსიმალურ დატვირთვას. სერიოზულ მომზადებას მოითხოვდა. რა თქმა უნდა, მთებთან ჭიდილისას არ არსებობს მეორეხარისხოვანი საქმე — საძილე ტომრის დაკეცვით დაწყებული კედელზე პალოს ჩარტყმით დამთავრებული ყოველი წვრილმანი თუ მსხვილმანი ოპერაცია ერთნაირ პასუხისმგებლობას მოითხოვდა უგულისყუროდ დაკეცილი, აჩაჩულ-დაჩაჩული საძილე-ტომარა შეიძლება სიარულის დროს ქიმს გამოედოს და უფსკრულში გადაუძახოს პატრონი. ასეთივე სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა პალოს არასაიმედოდ ჩარტყმას. ეს მარტივი მთამსვლელური ჭეშმარიტებანი ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ მიხეილი ბევრ რამეს ხელახლა შეგვახსენებდა ხოლმე. თანაც ამას ისეთნაირად აკეთებდა, დანარჩენი წევრების წინაშე თავისი მეობა არ წამოეჩინა და ამით მათი თავმოყვარეობა არ შეელახა.

ჩვენ ყველას კარგად გვქონდა შეგნებული ამ ასვლის მნიშვნელობა და ამიტომ ეცდილობდით პუნქტუალურნი, გულისყურიანნი და მონდომებულნი ვყოფილიყავით. უშბის სარკის ოპერაცია, თუ კი იგი მშვიდობიანად დამთავრდებოდა, იქნებოდა ქართული ალპინიზმისა და ასევე მთელი საბჭოური მთამსვლელობის თვალსაჩინო მონაპოვარი. ან კიდევ, როგორც ამას გამოჩენილი მთამსვლელი, უშბის პირველდამპყრობი, და მის კალთებზე აღსრულებული ალიოშა ჯაფარიძე იტყოდა, ეს იქნებოდა „ერთი შემადგენელი ნაწილი ადამიანთა

შეგნების იმ მარადიული ბრძოლისა, რომელსაც იგი აწარმოებს სამყაროზე გასაბატონებლად...“

ამიტომაც ასვლის ექვსივე მონაწილეს ერთნაირად უნდა გამოგვედო თავი საერთო საქმისათვის. ამ დღეებში ჩვენთვის აღარ იარსებებდა, „ჩემი საქმე,“ „შენი საქმე.“ იქნებოდა საერთო მიზანი. ერთნაირი პასუხისმგებლობა, მის შესრულებაში. იქნებოდა საერთო სიხარული და მწუხარებაც ასევე... „მე“-ს ნაცვლად იქნებოდა „ჩვენ,“ „ყველანი“...

აი, როგორ უნდა წარმართულიყო ჩვენი მუშაობა სარკის ნებისმიერ უბანზე:

მეწინავე წყვილი წინასადაზვერვო სამუშაოებს ასრულებს. მისი ამოცანაა ტრასის ათვისება, უსაფრთხოობისა და საიმედობის უზრუნველყოფა. პალოების ჩარტყმა. და ძირითადი თოკების გაჭიმვა, საჭირო შემთხვევაში საიერიშო „ბაქნებისა“ და „მოედნების“ მოწყობა, კლდესაბურღი შრომატევადი სამუშაოების შესრულება. საიმედოდ გამაგრება ათვისებულ სიმაღლეზე. მეწინავე წყვილმა უნდა უზრუნველყოს მიმყოლი წყვილის მიღება და „დაბინავება.“

რას აკეთებს მანამდე მეორე წყვილი?

რადგანაც გაკვალულზე სიარული და წინ წაწევა შედარებით ადვილი საქმეა, მეორე წყვილი შედარებით „მშვიდ“ ცხოვრებას ეწევა და ერთგვარ „მოგებაშია“, მაგრამ მალე მან ხომ წინ მიმავალი ამხანაგები უნდა შესცვალოს, ამიტომაც ეს „დასვენება“ დიახაც რომ სჭირია მას. ასე რომ შემდეგში პირველი წყვილი იქერს მეორის ადგილს, ასრულებს მეორის სამუშაოს, ხოლო მეორე მიდის წინა ხაზზე და იკავებს მოწინავე პოზიციას. ყოფილი პირველი, ამჟამად კი მეორე ეხმარება ბესამე, ბოლო გაბმას ამოსვლასა და მთელი ექსპედიციის ტვირთის ამოზიდვაში, ამავე დროს უდგას მეწინავეებს დაცვაში. როგორც კი მთავრდება ტვირთის ამოზიდვა, ისინი ენაცვლებიან ერთმანეთს. ამგვარად, ეს მონაცვლეობის თავისებური მეთოდი მონაწილეთა შორის ძალთა განაწილების, მათი თანაბარი დასაქმების საშუალებას იძლევა. ამავე დროს ერთი და იმავე ადამიანის სხეული დროის გარკვეულ მონაკვეთში სამი სხვადასხვა სახის სამუშაოს ასრულებს და ნაკლებად იქანცება.

რაც დამახასიათებელია ამ მეთოდის გამოყენებისას, ეს ის არის, რომ წინსვლა თუ კი ეს შესაძლებელია საერთოდ, წუთითაც არ წყდება, რაც მთავარი და ძირითადია და ურომლისოდაც არც ერთი ლაშქრობა წარმატებით არ დამთავრებულა არასოდეს.

მუშაობის ზემოთაღწერილი რიტმით შესაძლებელი იყო ათი დღე-

ღამის განმავლობაში ათი-თორმეტი საათი გვემუშავა. ზოგჯერ, თუ ღამისსათვის მოწყობის შემდეგ ცოტაოდენი დრო კიდევ გადაგერჩებოდა, მეწინავე წყვილს შეეძლო თავის ნება-სურვილზე გასულიყო უბანზე, რათა საკუთარი საქმე წინ წაეგდო. და არა მარტო საკუთარი, მთელი ჯგუფის საქმეც...

ᴗ ᴅ

მიხეილი პირქვე ეცემა და ხნავილით გვამცნობს:

— მეტი აღარ შემიძლია. ღმერთმანი, აღარ შემიძლია...

ყველასათვის გასაგები შეიქმნა მისი მძიმე მდგომარეობა. ჯგუფი ერთ ადგილზე გაიყინა. მონაწილეები ფიქრობდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ამ კრიტიკულ მომენტში.

— ვერც ზევით წამოვალ, ვერც — ქვევით... აქ მშვენიერი ადგილია...

— ტრავერსი აღარ შესდგება. მიხეილი უნდა გადავარჩინოთ როგორმე... — გამეფებული მდუმარება დაარღვია კუხიანიძემ.

დაარღვია, მაგრამ სულ ერთი წუთით. კვლავ იძალა სიჩუმემ. თავჩაქინდრული წერაყინებიანი და ზურგჩანთებიანი ადამიანები გაყინულ ქანდაკებებს დამსგავსებოდნენ. მდუმარება და უმოძრაობა, სიჩუმე და ჭოჭმანი სუფევდა გამარჯვების პიკის თხემზე.

ორი საპირისპირო გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს. გრძნობა მოახლოვებული სანეტარო გამარჯვების სიხარულისა და გრძნობა გაჭირვებული თანამოძმის გადარჩენისა. და არც იყო მანდ არაფერი გასაკვირი. მთებთან შებმისა და მათი დამორჩილების ჟინი მხოლოდ ნამდვილ მთამსვლელთათვის არის დამახასიათებელი. ისინიც ხომ სულით ხორცამდე ალპინისტები იყვნენ ყველანი. და ახლა, ამ მწვავე მომენტში მათი სული გაორებულიყო. ორ ცეცხლს შუა თუხთუხებდა, გზაგასაყარს შორის ცახცახებდა. „ზევით თუ ქვევით? — რეკდნენ უჩინარი ზარები — ზევით თუ — ქვევით?" ნაცნობ ხმაზე, დამცინავად მოსძახოდა მაღლიდან ოცნებადქცეული მწვერვალი „ — ზევით თუ ქვევით?"

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ეს მდუმარებაც აუტანელი გახდა. რაღაც უნდა თქმულიყო. ხმა უნდა ამოეღო ვიღაცას. ან „ჰო" ეთქვა, ან — „არა".

„ჰო თუ არა?.."

— მწვერვალი ხელისგაწვდენაზეა. იქნებ ცენტრალურ პიკამდე

თხემით გავსულიყავით და მსწრაფლ მოებრუნებულიყავით უკან? — თქვა კუზმინმა.

შეპასუხება ალარ შეიძლებოდა. არც შეეძლო ვინმეს საწინააღმდეგო არგუმენტის წამოყენება. აბა მაგისი თავი ვისა ჰქონდა ამ მდუმარების ქამს? ადამიანებმა ერთი თავისუფლად ამოისუნთქეს და მადლიერების გრძნობითაც კი გადახედეს კუზმინს. მან ხომ ბოლოს და ბოლოს დაარღვია ეს მწვალებლური სიჩუმე...

მაგრამ ადგილიდან მაინც არავინ იძვროდა. პირველი ნაბიჯის გადადგმა ყველას უჭირდა.

— მიხეილის დატოვება არ შეიძლება. ყველანი აქ უნდა დავრჩეთ. თუ ხვალამდე გასძლებს, თბილად შევმოსავთ და დავარჩენთ. ჩვენ ვალთ მწვერვალზე მე მგონი, ასე უნდა მოვიქცეთ. ადამიანური ვალი მოვიხადოთ დავრდომილის წინაშე... და თუ ხვალამდე ვერ გაატანა, ძაშინ რაღა გაეწყობა, გინდაც ათასი მწვერვალი დავლაშქროთ. ახლა კი მე იქ წამოსვლის თავი არა მაქვს, მე აქ ვრჩები. აქ კარგია... — მიხეილს დავადე მხარზე ხელი და შევანჯღრიე — ა, მიხო, შენ არა თქვი, აქ კარგიაო?

მიხომ სველი გუგები გადმოატრიალა და გაღიმება სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. მხოლოდ შუბლის ღარები დაეკმუხნა რაღაცნაირად, თითქოს რაიმე ძველისძველი ამბის გახსენებას ლამობსო.

თეიმურაზს რაღაცნაირი გამოცოცხლება დაეტყო ამ წუთში. მან ამხანაგებს გადახედა და ერთი საფეხურით ჩამოივაკა. ილიკო და ჯუმბერი შეტოკდნენ, თითქოს ჰაერის ტალღამ გადაუარათო. მერე წერაყინები მოისინჯეს ხელში და ის იყო, ამხანაგს უნდა გამოპყოლოდნენ უკან, რომ კუზმინმა დაბეჯითებით მოითხოვა მარშრუტზე გასვლა:

— ამ სიმაღლეზე დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. კიდევ ერთი დღე, კიდევ ერთი ღამისთევა და ჩვენ ყველანი დავიღუპებით... არ ეესმით თქვენ ეს ამბავი?

კუზმინი ყველაზე უფროსი იყო. უფროსი ხნოვანებითა და გამოცდილებითაც. სასიმაღლო ასვლებში პრიორიტეტი ამჟამად მას ეკუთვნოდა. ამიტომაც მისი ყოველი სიტყვა კანონივით ქღერდა. კუზმინისა მეტი სჯეროდათ. რწმენა კი ისეთი რამ არის...

ჯერ ყველაფერი ბურუსით იყო მოცული. რა მოხდებოდა, რა იქნებოდა, ვინ უწყოდა წინდაწინ?

„იქნება მართლაც არ შეიძლება ამ სიმაღლეზე დარჩენა, იქნებ ეს „ადამიანური მოვალეობის აღსრულება“ მხოლოდღა ფუჭი შრომაა

და ბეტი არაფერი? და ამ „ფუჭმა შრომამ“ მთელი ჯგუფი რაღაზე უნდა შეიწიროს?“

—ერთი ღამისთევაც და საახალწლო თოვლის ბაბუებივით მოვირთვებით. ქაჯ-ეშმაკები ხელი-ხელს ჩაჰკიდებენ და ფერხულს დაუვლიან ჩვენს გარშემო, გამხიარულებისათვის კი ურიცხვ მადლობას შემოგვწირავენ, მაგრამ ვაი რომ ჩვენ აღარას გვარგებს იგი...

„თოვლის ბაბუები... ექესი თოვლის ბაბუა... მერე ნაძვისხე? უნაძვისხეოდ თოვლის ბაბუა ვის გუგონია? მაგრამ იქნებ აქ, საქაჯეთში სულ სხვანაირად არის აწყობილი ყველაფერი?“

ᲛᲔᲡᲢᲘᲐ

უკან დარჩა სახლი, ყანებთან შექუჩული გამცილებლები, ხელებს იქნევენ და თანდათან პატარავდებიან, სიმინდის კაპიტებად მოჩანან. მესტიას უკვე ზემოდან დავცქერით. აი, მისი ძველი და ახალი უბნები, ენგური, სგიმიერისა და შგედის ხიდები. მაღლა და მაღლა მიიწევს მთამსვლელთა ჯგუფი.

მიხეილი ხელმოჩრდილული გასცქერის სოფელს. ღიმილგამკრთალი ამბობს:

— ასეთი ლამაზი არც როდის ყოფილა მესტია...

მე მიკვირს — რატომ თქვა ასე? რა უნდა შეჰმატებოდა სოფელს გუშინდელს აქეთ? იქნებ ვინ უწყის, რა იდუმალება იმალება ამ სიტყვებს მიღმა? მაგრამ ვინ გამოიცნოს ის წინათგრძნობა, რამაც ეს სიტყვები ათქმევინა მოიერიშეთა რაზმის ხელმძღვანელს მშობლიურ სოფელთან გამომშვიდობების ჟამს?

ადამიანია წინასწარნათქვამები მეტწილად რაღაც მნიშვნელობას, აზრს იძენს ხოლმე. მართლდება, ახდება კიდეც.

ამ წუთში მესტია თავისი ძველი და ახალი საცხოვრისებით, მურყვამებითა და ქუჩაში გამოფენილი ადამიანებით იცინოდა, სახეგაბადრული აცილებდა მთაში, ჯიუტი უშბისაკენ მიმავალ ეაქკაცებს, იქნებ ამ საერთო ერიამულმა უცვალა სახე მთების ქვეყანას? იქნებ იმიტომ მოეჩვენა ასეთი ლამაზი მესტია?

— არა, ასეთი მშვენიერი მის დღეში არ ყოფილა მესტია... — გაიმეორა ისევ მიხეილმა. აჩრდილული ხელი დაბლა დაუშვა, შემოტრიალდა და ამხანაგებს წამოეწია.

„ნეტავი ასე იყოს და...

ნეტავი მეტი აარაფერი...“

შალიკო მარგიანი: „გზას ვამბობ თორე რა გზაა...“

მონაკეთი № 1. 15 VIII. 64 წ.

მთავარ ბანაკიდან ზუსტად ღამის პირველ საათზე გამოვდივართ ამ უბანზე, ე. ი. უშბა-ჩათინის კულუარის შუაწელში მეკეკეივით დასკუპებულ ლოდიდან „სარკის“ უშუალო მისადგომებამდე წინასწარი დაკვირვების დროს შევამჩნიეთ ინტენსიური ქვათაცვენა. მისი თავიდან აცილების მიზნით მონაკეთის გავლა შუაღამისას გადავწყვიტეთ, როცა ბუნება შედარებით მშვიდ ძილს მისცემია, არემარე კი მკვდარივით გარინდებულა.

რაც არ უნდა იყოს, ღამით მთაში სიარული ერთობ სარისკო და საშარო საქმეა, მაგრამ კედლის მისადგომებთან მიღწევა რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობებთან არ იყო დაკავშირებული. ჩვენ უნდა გაგვეცლო მთავარის შუქით განათებული ქვათაცვენისაგან დაორმოებული და დახეთქილი, შედარებით უსაფრთხო თოვლიანი ფერდი და ვფიქრობდით რომ წინ არაფერი საშიშროება არ გველოდებოდა.

წინ მივიწევდით, მაგარ, მყიფე ფირნაზე-წერაყინმომარჯვებულნი და წრიაპებწამოცმულნი. ფერდის დახრილობა დაახლოებით 35 გრადუსია. მივდივართ, რაც შეიძლება ჩქარა, სულმოუთქმელად. ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ვაწყდებით ნაპრალს, რომელსაც შემაზრზენად დაუფჩენია ხახა.

ბევრნი პირველად ვხედავდით მთავარის შუქით განათებულ „თოვლის ჭრილობას.“ მით უფრო გვაშინებდა და თავზარს გვცემდა იგი, რომ ნაპრალის ხახას, სიღრმეში ჩრდილი ადგა და რაღაც ავბედითად ჩამუქებულიყო, სადღაც დაბლიდან კი რაღაცნაირი ბუყბუყი მოისმოდა, თითქოს დევების ორკიოლი თუხთუხებდაო.

ნაპრალის გარსშემოვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, იგი ფირნს მთელს გაყოლებაზე გასდევდა. გადახტომითაც ვერ გადაახტებოდა კაცი, რადგანაც მისი მოპირდაპირე მხარე სამი-ოთხი მეტრით მაღალია აქეთა კიდეზე.

წინასწარი დათვალიერებისას მიხეილმა (უფროსი) და ჯუმბერ კახიანმა ორსაათნახევარი მოანდომეს დღისით-მზისით მის გადალახვას. საბედნიეროდ მათ წერაყინზე დამაგრებული თოკი დაუტოვებიათ, რომლის მეორე ბოლოც ადვილად მოვნახეთ და მაშინათვე შევუდექით კიდეც ნაპრალის ფორსირებას. 25 წუთში მეორე ნაპირზე ვართ ყველანი. იმ ადგილას, სადაც ჩვენ თავს გადმოვეველეთ უფსკრულს, მისი ყელის სიფართოვე ოთხ მეტრამდე აღწევდა.

მონაკვეთი № 2. ნაპრალს გადალმა ფერდის დაქანება 40-45 გრადუსი გახდა. ჩვენს წინ კვლავ ფირნოვანი ველია გადაშლილი. მის გასლიპულ ზედაპირზე უწრიალებოდ მართლაც რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა. რამხელა შეღავათია საფეხურების ამოჭრა რომ არ გვიხდება. მონდომებულნი ვართ და ვჩქარობთ. პირველი დღე გვინდა განსაკუთრებით ნაყოფიერად და შედეგიანად დავამთავროთ, რათა შემოდგომისთვისაც დავიბედოთ „უხვმოსავლიანობა".

მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა ამაზე ლაპარაკი. ჩვენ ხომ „დაძრული", ქვათაცვენიანი ადგილები უნდა გავიაროთ. ქვათაცვენა კი... მთამსვლელისათვის ყველაზე ულმობელი და ძნელად თავდასაღწევი მოვლენაა.

ნაპრალის გადალახვა ხომ საძნელო საქმეა, მაგრამ ადამიანის დაუმორჩილებელი „თოვლის ჭრილობა" ძნელად თუ მოიძებნება დედამიწის ზურგზე. „უარყოფითი კედლების" გავლაც შესაძლებელი გახდა ამ ბოლო დროს, ხოლო ყინულის კულუარზე, თუ იგი ძალიან დაქანებულია და წრიალებითაც შეუძლებელი ხდება მისი დაძლევა, ბოლოსდაბოლოს საფეხურებს ამოჭრის ადამიანი, ან სამყინვარე პალოებით ისარგებლებს. ქარი თუ ატყდა, სხვა თუ ველარაფერი მოიფიქრა, მიეჭედება კლდეზე და დაელოდება ჩადგომას...

ბუნების მთელ რიგ მოვლენებს, რომელთა დაძლევაც ადრე შეუძლებლად იყო მიჩნეული, მოუნახა ადამიანმა გასაღები, მაგრამ ქვათაცვენის წინაშე იგი დღესაც ისეთივე უძლურია, როგორც ათი საუკუნის წინათ. მეხანძრეთა ჩაფხუტებით თავისდაიმედება სასაცილო-სათრიკო იქნებოდა და მეტი არაფერი! ქვა თავში კი არა, შეიძლება საერთოდ არც შეგეხოს ადამიანს სხეულზე და ისე გაგიყოლოს თან, მოუსავლეთში, ამდენად „კასკები" მხოლოდღა „წვრილი, სამწყერე საფანტისაგან" თუ გვიხსნიდნენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ საფანტი მაინცდამაინც კეფაზე იყო დამიზნებული.

მთამსვლელობაში ამ მიმართულებით თითქმის არაფერი არ შეცვლილა. გარდა იმისა, რომ თუ კი ადამიანები წინდაწინ იგრძნობენ მის საშიშროებას, ისინი ცდილობენ უსაფრთხო ყამს გარდავლონ იგი და ამავე დროს, რაც შეიძლება „იჩქარონ". მთაში კი „უსაფრთხო ყამად" მიჩნეულია შუაღამიდან მოყოლებული ვიდრე დილის ათერთმეტ საათამდე, რის შემდეგაც მზე თავის უფლებებში შედის და აქამდე საიმედოდ გამაგრებულ წარაფებს წყალს გაუყენებს, ფუძე-საძირკველს დაულხობს და მოძრაობაში მოიყვანს.

ალბათ ქვათაცვენაზეცაა ნათქვამი — „სადაც არა სჯობს გაცლა

ᲙᲝᲑᲡᲝ“. მაგრამ აბა მითხარი, რანაირად უნდა გაეცალო რა გზებითა და მანქანებით უნდა დააღწიო მას თავი? ყველაზე იოლი გამოსავალი ამ დროს უარის თქმაა, შემდგომი იერიშის ვაგრძელებაზე. მაგრამ აბა კარგი ბიჭი ხარ და უხსენე, რომელიც გნებავს მთამსველელს უკან გაბრუნება? ტყუილა ფიქრობ რომ იგი კმაყოფილი დაგირჩება ამ შენი „მშვიდობიანი რეცეპტით.“

და აი, როცა სამშვიდობოზე გვეგონა თავი, ახლა წინ ბერგშრუნდი გადაგვეღობა. იგი ჩვენს მიერ ახლახან უკან მოტოვებული ნაპრალივით მთელს ფირნოვან ველს გაჰყვება სიგანეზე, ვიდრე მცირე უშბის მისადგომებამდე. ნაპრალთან შედარებით მისი მოპირდაპირე კიდე ხუთი—ექვსი მეტრით მაღალია აქეთა ნაპირზე. ბეგრშრუნდს „აქილევსის ქუსლის“ ძებნაში ნაპირ-ნაპირ ვუარეთ, ბოლოს მისი ფორსირება იმ ადგილას გადავწყვიტეთ, სადაც იგი მაღლიდან ჩამოცვენილი ქვა-ლოდებით ლამის შუაწელამდე მაინც იყო ამოხერგილ-ამოქოლილი. ხერგილამდე ვეშვებით თოკით, ხოლო იქითა ყინულოვან კედელს პალოების დახმარებით ვძლევთ.

მონაკვეთი № 3. ბერგშრუნდის მერე ყინულოვანი ფერდი იწყება. იგი უფრო დაქანებულია, თანაც ეს დაქანება ისე თანდათან და შეუმჩნევლად მატულობს, თითქოს ჩვენს დაშინებას უფრთხისო. ყინული მუქი რუხი ფერისაა და მთვარის შუქზე ზღვის ზედაპირივით ლიცლიცებს. მეწინავე საფეხურებსა ჭრის. ათასწლოვანი დაწნეხილ-დაჭირხლული ყინულის მცირეოდენი ნაფხვენის მოხვედრაზეც კი ისეთი გრძნობა ეუფლება ადამიანს თითქოს მთელი კანი აატყავაო, მძიმეა საუკუნოვანი თოვლი. ტყვიის ნაფლეთებივით გვაცვივა იგი მუხლისთავებზე, მხრებზე, ზურგზე და ფოლადის ნემსებივით გვპწკენს და გვჩხვლეტს. შიშით არ გვეშინია მისი. წერაყინს არ შეუძლია იმხელა ბელტი მოატეხოს კულუარს რომ ადამიანისათვის სასიკვდილო ალმოჩნდეს იგი.

წყვილები მონაცვლეობით ჭრიან საფეხურებს. ალაგ-ალაგ მეტი უსაფრთხოებისათვის ყინულინ პალოებს ვარტყამთ და როცა საჭიროა რომელიმე წყვილი დაცვაზე გადის, რათა მეწინავეებმა გულდამშვიდებით იმუშაონ. მერე მათ სხვა ენაცვლება. ახლა მეწინავეები ისვენებენ — ისინი ზრუნავენ დანარჩენებზე. თოკებით ეკაჩებიან უკან მიმყოლებს. მაღლიდან კატასავით თვალარიალებულნი შემოგკცქერიან ამხანაგები. რამხელა სიყვარულს, პასუხისმგებლობის გრძნობას მოუცავს მათი აზრი — გონება და მათ მიმართ რაოდენ დიდი მადლიერების გრძნობით არის აღვსილი ჩვენი გული...

დაბლა, მიწაზე, არა მგონია, ვინმეს შეეძლოს ყოველივე ამისი თუნდაც მიახლოებით წარმოდგენა და შეგრძნობა.

მონაკვეთი № 4. მყინვარული ფერდის გავლის შემდეგ კლდეებზე აღმოვჩნდით, ეს იყო ბრტყელი, ბადროსებური ფორმის სიპები? დაქანება აქ სამოცი გრადუსია. კლდეები უთოვლოა, მშრალზედაპირიანი. მეწინავე ცოცვით მიიწევს მაღლა. დაცვას კლდის პალოებით ვაწარმოებთ.

მონაკვეთი № 5. მალე გზაზე თოვლის, ყინულისა და კლდოვანი უბნების მონაცვლეობას ვაწყდებით. დაქანება ამ ნაწილში ნაკლებია, სამაგიეროდ მრავლადაა კლდოვანი შვერილები, რომლებიც ჩქარ მოძრაობა გვიშლიან, მაგრამ ჩვენ მათ ერთგვარ საყრდენებად ვიყენებთ, ალაკს გადავუგდებთ ხერხემალზე და ერთმანეთს ვიცავთ. ამ უბანს თავზე უშველებელი უარყოფითი დაქანების კედელი გადმოქმხობია. უკვე დილის ათი სათიც გახდა. ჩვენი მიზანი კი ნაწილობრივ შესრულებულია. ქვათაცვენისაგან საშიში მონაკვეთი გავლილია. მართალია, უარყოფითი დაქანების კედელი ცხვირწინ აგვტუზვია, მაგრამ მისი არსებობა ხომ ადრევე იყო ჩვენთვის ცნობილი...

აქ, ალბათ, მთელი დღე მოგვიწევს ყურყუტი. უშბის სარკე ხომ აქ იწყება, უშბის სარკე მთელი თავისი ბრწყინვალებითა და ხელშეუვალობით. იწყება ჩვენი ჭიდილი კლდესთან, ჭიდილი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

ამ უარყოფითი კედლის დამუშავებას კი ალბათ მთელი დღე მოვუნდებოდით, შეიძლება ვერც მოგვესწრო მისი გავლა დარჩენილ დროში და ამიტომ გადავწყვიტეთ მის ძირში ღამისსათევი მოედნის მოწყობა, ბაქნის შედარებით სწორი რელიეფი და ქვათაცვენისაგან საიმედოდ დაცული ადგილმდებარეობა იძლევა ამის საშუალებას. კარავში, რომელიც აქ მოთავსდება, ოთხი ადამიანი გაათევს ღამეს. ორს კი ჰამაკებში მოგვიწევს „ნანაობა“. ვიდრე ამხანაგები ბინას გააწყობდნენ მე და მიხეილი ტაქტიკური გეგმის შესაბამისად მონაკვეთის ათვისებას შევუდექით...

* *

ისინი წავიდნენ.

წავიდნენ და წავიდნენ.

კუხიანიძე ერთხანს ისევ უარზე იდგა, მაგრამ უიმისოდ წყვილი

უნდა „გამტყდარიყო.“ სამ კაცს კი უფრო გაუჭირდებოდა ერთ გაბმაში სიარული, ჰოდა წავიდნენ წყვილ-წყვილად, ერთიმეორის მიყოლებით.

ეს იყო რაღაც საშინელი წუთი. ურწმუნოების, სიცარიელისა და სიღარიბის წუთი. ერთი ქილა საჭმელი, თოკის ნაგლეჯი და მთელი ქვეყნის სამყოფი თოლი იყო ჩვენს განკარგულებაში. მეტი არც რა. მეტი არაფერი და არავინ იყო. ოთხი წერტილი გამოეყო ორ ლაქას და მაღლა ღრუბლებში გაუჩინარდა. ორი ლაქა გაერთდა, ერთურთს შეერწყა. ისინი საკერებელივით აჩნდნენ გადაპენტილ ფერდობს. საკერებელი ტრიალებდა, ბრუნავდა, დაბლა ჩამოუყვებოდა წარაფს...

დავრდომილი და მრთელი, ორი მიხეილ ხერგიანი საკერებლად ქცეულიყო.

ორი, დავრდომილი და მთელი მიხეილ ხერგიანი — ერთურთის სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი ებრძოდა ალსასრულის მოახლოებას.

— ტყუილა ირჯები... გეუბნები, ტყუილა ირჯები... — ამბობს დავრდომილი.

— სსს... სსს... — ხელს ვაფარებ ტუჩებზე.

— ქსსს... ქსსს... — მივათრევ მთელი სისწრაფით ფერდობზე. თოვლზე გახახუნებულ ტანსაცმელს რაღაცნაირი ქსუილი გაუდის.

სადაც სწორია თავდაღმართი, საქმე წინ მიდის. ტვირთი ოოლად მომყვება. მოსახვევებში ჩვენი ქარავანი სვლას უკლებს. ჩერდება. ამ დროს მის მკლავს მხარზე გადავიგდებ და ძალისძალად ვეკაჩები და ვეწევი. ძნელია ამ სიმაღლეზე მძიმე ტვირთის ტარება. მით უფრო რომ ზურგჩანთასავით მარჯვედ ვერ მოგიგდია მხარზე. ძნელია ეშვიერი და არც თუ მთლად დასვენებული ადამიანისათვის მისი მორევა. მაგრამ, შენდა საკვირველად, უხილავი ძალები იბადებიან სხეულში, ძალები, რომელთა არსებობაზე დღემდე წარმოდგენაც კი არ გქონდა. ძალა და ნებისყოფა კი ერთად ალბათ მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთებს თუ გააჩნიათ (ალბათ ამიტომაც არიან ისინი ღმერთები). სხეული გუნდასავით შეიკვრის, გონება გაფაციცებული მუშაობს, ითვლის ქვეშეცნეულად ათას შესაძლო ვარიანტსა და ალაგებს მათ თავისი რიგის მიხედვით. ამ ათასი ხსნიდან, ერთი მოავარი გზა უნდა შეირჩეს, ყველაზე იმედიანი და მისაღწევი. გზა — დასაძლევი და გასაელელი. გზა — ღამისთევებით, შესვენებებით, ვახშმობა-სადილობით... „ამაღამ ვახშმად რა გვექნება? ხარ-ჯიხვის ზხარი გვექ-

ნება... „ამაღამდელი სადგომი სად გვექნება? ცაიდერის ქვაბში გვექ-ნება...“

— არ გჯერა... ჩემი არ გჯერა...

— სსს...

— ყოველთვის გჯეროდა დღეს — არა.

— ამისი დროა ახლა? გაჩუმდი...

— იცი, რა? თითქოს რაღაც ჩამწყდა გულ-მკერდში. ჩამწყდა და უკვე ვეღარაფერი გაამრთელებს!...

— გეჩვენება. ამ დროს ბევრი რამ ეჩვენება ადამიანს...

— არა... არა... არა...

— სსს... სსს...

— აქ მშვენიერი ადგილია. ირგვლივ თეთრი მდუმარება განფე-ნილა, სპეტაკი მდუმარება. ამაზე უკეთესს რას ნახავ კაცი... დამი-ჯერე

„აქ უნდა გავჩერდეთ. უნდა გავჩერდეთ და დავისვენოთ, დღეისა-თვის საკმარისია. ამდენი ნჯღრევისაგან რაღაც ჩასწყდა...“

— ახლავე ღამისსათევს მოვაწყობ.

მთელი საათი ვიმუშავე. ფხვიერი თოვლი ადვილად ამოვჩიჩქნე, მაგრამ ქვეშ ყინულის ფენა შემხვდა. იმას ვერაფერი მოუხერხა ჩემმა წერაყინმა. ტყვილა შემრჩა ამდენი წვალება. ბრაზისაგან გა-დავწყვიტე, მაგრამ უმალვე მოვეგე გონს. არა, არ უნდა ავყოლოდი გულისთქმას. რამენაირად სიმშვიდე უნდა შემენარჩუნებინა. გავფრ-თხილებოდი ნერვებს, რათა საღი აზროვნების უნარი არ დამეკარგა.

— გემუდარები, დამიჯერე...

„დაგვიწყია სვლა-წასვლა...“

— მოიტა შენი მკლავი. რაც დაბლა დავეშვებით უკეთ გახდე-ბი... — შევეცადე მის გამხნევებას.

— პირიქით, უარესად წავა ყველაფერი... — ამიტომაც დამიჯერე. ჰი, გაიხედე ერთი.

— ჰო, გავიხედე, მერე?..

— ჩვენს მხარეზე გადამიშვი, ძმურად გეევედრები, გადამიშვი. ყველაფერი გათავდება. შენთვისაც ასე სჯობია, იქნებ შენ მაინც უშველო თავს როგორმე. ჩემს წამებასაც მოეღება ბოლო.

— ჰა, რა თქვი? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩამესმის მისი სიტყვები. ეს ამიტომ რომ ალბათ მწვავე რამ საფიქრალს მოუცავს ჩემი გონება.

— მერე კი შენი ნებაა... მოხვალ და „ამკრიფავ“. მერე რაც გინ-და ის მიქენი...

„მერე მოხვალ და „ამკრიფავ", მერე რაც გინდა ის მიქენი" — დაიჭირა ყურმა მიხოს სიტყვები. ტანში უსიამოდ გამაჟრიალა. სიტყვა „აკრეფამ" რაღაც შემაძრწუნებლად იმოქმედა ჩემზე.

— ასე ნუ ლაპარაკობ, გაიგე? — დავუყვირე ხმამაღლა — პირზე რაც მოგადგება ყველაფური კი არ უნდა წამოროშო, გესმის?

ჩემმა ყვირილმა შეაცბუნა. ხმა არ ამოუღია.

ჩვენს მხარეზე მართლაც თვალშეუვლები კედელია. ჩინეთისაკენ კი თოვლიანი მშვიდობიანი ფერდობი დაუყვება.

„ამ ფერდობზე ადვილად ჩაიყვანს ადამიანი — გამკრა უეცრად თავში — კი ჩაიყვანს, მაგრამ მერე, მერე რა იქნება? მერე ჩვენ საერთოდ ვერავინ ვერ მოგვნახავს, ჩვენი ასავალ-დასავლისას ვერავინ ვერაფერს გაიგებს...

არა, როგორმე ძალ-ღონე უნდა მომეკრიბა და დასავლეთის მწვერვალის ალმართს შევდგომოდი. ალმართს, რომელიც ორი დღის წინ ჩამოიარა ჩვენმა ექვსეულმა.

იმ წუთში ცივი გონებით რომ შეეხედა ადამიანს ჩვენი მდგომარეობისათვის, ალბათ ყოველივე სასაცილოდ და უაზროდ მოეჩვენებოდა. ასვლა-წასვლაზე ფიქრს არც გაიელვებდა თავში. მაგრამ მთამსვლელებში ალბათ ძალიან ცოტა ურევია ცივი გონების ხალხი. არ ვიცი, ჩვენს ჯგუფში კი ერია ასეთი ვინმე? იქნებ ერია კიდეც, იქნებ არც ერია...

7300 მეტრზე კვლავ შევუდექი ქვაბის გამოთხრას. როგორც იქნა გამოვთხარე და მიხეილი შიგნით შევათრიე. გათბობით რას გავთბებოდით. იგი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. და თუ რამეს შეეძლო ახლა მისი მობრუნება, ალბათ ერთი მოგუზგუზე ბუხართან ჯდომა იყო, ან თბილ მაჩუბში მოფიხვნე ხალხთან ბაასი. მაგრამ შორს, ძალიან შორს იყო საქართველო, სვანური მაჩუბის სითბო კი ველარასოდეს მოაღწევდა ტიანშანის ველებამდე. ჩვენით უნდა გავმთბარიყავით როგორმე, უბუხროდ და უმაჩუბოდ, მაგრამ როგორ?

მას წყალი უნდოდა.

— სგიმ... სგიმ ლამაშ... სგიმ ლამაშ... — წამოაბოდებდა ხანდახან.

სგიმს ვინ ჩიოდა, თოვლის ნაჟური სანატრელი გაგვხვდომოდა. იმას კი თავი ლეგაბში ეგონა, მჟავეწყალზე. ვიღაცას ეჩხუბებოდა — დამანებე რა, გემოზე დამალევინე ერთი...

ვიღაცა უშლიდა სგიმის დალევას.

— სგიმ... სგიმ ლამაშ... ჯესმიმა, სგიმ ლამაშ...

მთელი ღამე ბოდავდა. ნახევრად გრძნობადაკარგული ებრძოდა შორეულ მოჩვენებებს. ტკივილის, წყურვილისა და შიმშილის მოძალებას.

არც პურის დაღეჭვა შეეძლო. მაგრამ იგი კი აუცილებელი იყო ძისთვის. დაერდომილი ორგანიზმისათვის აუცილებელი იყო საკვები. ამიტომ მე ვუღეჭავდი ლუკმას და მერე პირში ვუტენიდი. როგორც დედაჩიტი, ისე ვუჩრიდი დამბალ, დაღეჭილ პურის ნატეხებს, პირში. მაგრამ მას არ შეეძლო მისი გადაყლაპვა და უკანვე ჰყრიდა.

— სგიმ ლამაშ... სიმარესი, სგიმ ლამაშ...

გაზქურა კი ჩვენ არ გვქონდა, არც სპირტი გვქონდა, თოვლი რომ გაგვედნო. არაფერი ჩვენ არ გვქონდა. თოვლს კი არ ვაძლევდი. თოვლი წყურვილს არა კლავს, პირიქით ამძაფრებს მას და ამიტომ თოვლს არ ვანებებდი.

იგი კი ამბობდა:

— ნეტავი რას მიფრთხილდები და მაწვალებ, მე ხომ უკვე მოვკვდი...

— სსს... სსს... — პირზე ვაფარებდი ხელს.

— მე უკვე გავთავდი და რაღას მეღლლიავები...

ამ სიტყვებზე გული ამიჩუყდა. თვალებში ცრემლი მომადგა. აეკვითინდი. შემეცოდა, ძალიან შემეცოდა მიხო და მივეცი თოვლი. ნაიალაღარი ხარი რომ დააკვდება სალოკ მარილს, ისე დააცხრა ყინულს.

იგი მთელი ღამე ხნაოდა და კვდებოდა. მაგრამ მე ვერაფრით ვერ შეეგუებოდი იმ აზრს, რომ თბილისის აეროდრომზე ერთად არ დავეშვებოდით თვითმფრინავით ჯანმრთელნი და საღ-სალამათნი. ვერაფრით ვერ წარმომედგინა სამგლოვიარო ზარის გუგუნი ლანჩვალში, მიხოს გასვენებაზე. ნუთუ ერთად ვერასოდეს დავლეედით ლეგაბისა და სგიშის, შგედისა და კახრულდის მყავე წყლებს მე და მიხო? არა, ეს არ უნდა მომხდარიყო. თვით განგებაც კი ვერ მოიმოქმედებდა ამხელა უსამართლობას. არა, არავის არ მივცემდი ამის ნებას, ცოცხალი თავით არავის დავაჩაგვრინებდი მიხოს... ჩემს საყვარელ ძმასა და ზეგობარს, მუდამ სახემომღიმარსა და მდუმარე მიხოს...

ვერა, ვერავინ წამართმევდა მას. ის ჩემია, ჩემი სისხლხორცია. სხეულის ერთი ნაწილია, გაგრძელებაა. და მე რაც შემეძლო, ვზელავდი მას. სახინკლე ცომივით ვზელავდი მთელი ღამე. თვალი არ მომიხუჭავს და ოფლი არ შემშრობია, ვზელავდი და ვზელავდი, საწე-

44

46



47

48

49

50

51

52

53

54

55

57

58

59

60

61

62

63

64

65

66

68

67

69

70

71



72

73

74



75

76

77

78



80

79

81

82

84

83





86

87

მაშე[1] ტყავივით ვთელავდი და ვბუბნიდი. ოღონდ დამეთბო მისი სხეული როგორმე, სისხლი ამეჩქროლებინა უწინდებურად მის ძარღვებში... საკუთარი სითბო გამენაწილებინა მისთვის.

— ტყვილა, ტყვილა ირჯები, მინაან, ამაოა ყოველივე, ფუჭია...

— სსს... სსს...

— იმათთან უნდა წასულიყავი... — ამბობდა როცა გონს მოეგებოდა.

— სსს... — პირზე ვაფარებდი ამ დროს ხელს. აბა რა უნდა მეთქვა სანუგეშო?

— შენ რა სხვაზე ნაკლები იყავი. იმათთან უნდა წასულიყავ, გაიგე?..

გივი ზერედიანი: „იელღრიდივო, იელღრიდივო[2]...“

მონაკვეთი № 6. 16. VIII.64 წ. გავდივართ უარყოფითი დაქანების კედელზე (25 გრადუსამდე). გადავწყვიტეთ შიდა კუთხით გვეცადა ასვლა, რადგანაც მისი დახრილობა გარე კუთხესთან შედარებით ნაკლებია. პორებსა და ხელჩასავლებ ღრეჩოებს ვეღარსად ვხედავთ, ამიტომ კლდის პალოებთან ერთად შლიამბურსაც ვიყენებთ. მაღლა ჩვენი კუთხე თანდათან ფართოვდება. 100 გრადუსიან „ფილაში“ გადადის. პირველი წყვილი წინ მიიწევს თოკის კიბეებისა და მოედნების დახმარებით. ხოლო მეორე და მესამე „აბალახებითა“ და „ზაჟიმებით“ მიჰყვება მათ უკან.

მონაკვეთი № 7. გრანიტის მონოლითური ფილის ორსავე მხარეზე გადმოკიდებულია კარნიზები. მათი გადალახვა ძალიან ძნელია. მხოლოდ ფილის შუანაწილია კარნიზისაგან თავისუფალი. აქ უნდა ეცადოთ გაძრომა. ფილა სარკესავითაა მოპრიალებული. ამიტომ ჩვეულებრივი კედლის პალოსათვის ჩასარტყმელი ადგილიც კი ვეღარსად მოვნიშნეთ. ვხმარობთ შლიამბურულ პალოებსა და ისევე, როგორც წინა უბანზე მოწინავე წყვილი გზას მიკვალავს „მოედნებისა“ და თოკის კიბის დახმარებით. ფილისთავზე მცირე ფართობის ოდნავ შეწეული კლდეღარი გვხვდება. აქ საშუალება გვეძლევა დაკიდული მდგომარეობიდან მდგომელაზე გადასვლისა. დაქანება ამ ადგილას

[1] სვ. ღეედი.

[2] დაგეიწყია სვლა-წასვლა... (ნაწყვეტი სვანური სიმღერიდან.).

85—90 გრადუსია. დაკიდული მდგომარეობით დაღლილ-დაქანცულ სხეულზე შვებისმომგვრელად მოქმედებს „მიწის“ შეგრძნება, მიწისა, რომელსაც ასეა შეჩვეული ყოველი ჩვენთაგანი, და რომელიც, უკვე რამდენი საათია, ფეხქვეშ გამოგვეცალა...

მონაკვეთი № 8. მაგრამ ვერტიკალური კედელი კვლავ უარყოფით დაქანებაში გადადის. თუმცაღა დაქანება წინა უბნებთან შედარებით ნაკლებია — 95 გრადუსამდე. კლდის ზედაპირი გლუვია, თითქოს საგანგებოდ გაულესიათო. პალოზე ჩაქუჩისცემის ხმა კოდალის რაკუნივით გაისმის სივრცეში. კვნესასავით ხმას გამოსცემს პალო, რაც იმას ნიშნავს, რომ კლდე შეუვალია, მყიფეა. პალო ძნელად ეპედება. არა, პალოებით შორს ვერ წავა კაცი, რადგანაც ბზარი რამდენიმე მეტრზე მრთელდება. კვლავ შლიამბურულ პალოებს ვხმარობთ. მაგრამ განა კლდის ბურღვა ნაკლებ შრომატევადია? პირიქით — სიპი კლდის დანაჩვრეტებასა და მერე იქიდან ნაბურღი მტვერნაფცქვენების ბუშტულათი გამოსუფთავებაზე ილაჯგამწყვეტი და მომქანცველი რა უნდა იყოს ამ ქვეყანაზე? მაგრამ სხვა რა გზაა. თუ არ გაირჯები, ფონს ვერ გახვალ.

ამ მონაკვეთზე ჩვენი წყვილი ისვენებს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. სამუშაო თითქმის არაფერია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნერვიულობასა და წრიალს. მეწინავეები თავადაც ძლივს ეტევიან კლდე-ღარის ვიწრო კუთხეში და ქვევიდან დამხმარის მიღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მესამე წყვილმაც ამოზიდა ჯგუფის ქონება. ისინიც ჩვენთან ერთად პირდაფჩენილნი შესცქერიან ორ მიხეილ ხერგიანს, მაღლა, ცისკიდურზე რომ კონწიალობენ. ჩვენ, მართალია დაცვაზე ვართ გადასული, მაგრამ რამე რომ მოხდეს, ყველაფერი გათავებულია. მეწინავენი ოცი მეტრით მაინც იქნებიან ჩვენგან დაშორებულნი. მოწყდომის შემთხვევაში კი ისინი ორმოცი მეტრს იფრენენ, ჩვენამდე ოცი და ოციც ჩვენს მერე. სამაშველო თოკი მეორმოცე მეტრზეღა დაიძაგრება და შეუდგება თავისი მოვალეობის აღსრულებას, მაგრამ ორი ვაეკაცის სიმძიმეს რომელი საყრდენი პალო, ან სადაური თოკი გაუძლებს? ამ წუთში დაცვა ფორმალურია. ეს — მეწინავეებმაც და მიმყოლებმაც იციან. ყველამ ვიცით, მაგრამ რა მოვიმოქმედოთ და ვიღონოთ? რა შალგვიძს ჩვენ?

მთამსვლელობაში არის წუთები, როცა ადამიანები განსაკუთრებული მდგომარეობის გამო თავთავიანთ ღმერთზე, ღრბალსა და წილხვედრზე არიან მინდობილნი. და კიდევ წინ წასულ ბიჭებზე.

ჩვენც მათზე ვიყავით მინდობილნი, მათს სიმარჯვესა და ვაჟკაცობაზე. და გვჯეროდა ორი მიხეილისა, ერთმანეთისაგან განსასხვავებლად მეტსახელებით — „უფროს-უმცროსით“ რომ მონათლეს კოლეგებმა, ამხანაგებმა, ჟურნალისტებმა (მიხეილი — „უფროსი“, მიხეილი — „უმცროსი“), მონათლეს და საკმაოდ შეცდომითაც. შეცდომით იმიტომ, რომ სინამდვილეში „უფროსი“ ასაკით უმცროსია „უმცროსზე“.

მართლაცდა ჟურნალისტების ოინბაზობა ხუმრობას უფრო წაგავდა, ვიდრე სხვა რამეს. ისედაც მათი ნათლიობა ბევრი სხვა რამის მსგავსად პირობითი იყო. პირობითობა კი სიმარტივისათვისაა მოგონილი. ადამიანები ესწრაფვიან სიმარტივეს. ამიტომაც მონათლეს ისინი თავის ნება-სურვილისამებრ.

იცის მიხეილ „უმცროსმა“, რომ უფროსობა დამსახურებისამებრ ასაკით უმცროსს ეკუთვნოდა, იქნებ იმიტომაც უწოდეს მას „უფროსი“? თუ კი იმიტომ მონათლეს ამ მეტსახელით, მაშინ ჟურნალისტები მართლაც რომ ჭკვიანი ხალხი ყოფილა...

ამ წუთში კი ისინი ბეწვის ხიდზე გადადიოდნენ და ერთ თოკზე გადაბმულთათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა უფროს-უმცროსობას. ჯგუფის ხელმძღვანელობასა და რიგით წევრობას. ოღონდ ემარჯვათ, მშვიდობიანად გასულიყვნენ ფონს.

— „გავლენ? — გავლენ... გავლენ... აუცილებლად გავლენ...“ — ფიქრობდა ამ წუთში თითოეული ჩვენთაგანი. ჩვენს იმედიან ფიქრს, ეტყობა, რაღაც საფუძველი ჰქონდა — მართლაც მალე თავს ზემოთ გადმომხობილ ვიწრო კუთხეში ჯერ ერთის სილუეტი გაუჩინარდა, მერე მეორისა. ბოლოს კი ჰაერში ჩამოკონწიალებული თოკის კიბეები და მოედნებიც გაქრნენ თვალთახედვიდან. კედელი კვლავ გაშიშვლდა, მხოლოდ ალაგალაგ შლიამბურის პალოები აჩნდა კორძებად...

მერე ისევ აკაკუნდა ჩაქუჩი. იგი გარკვეული ინტერვალის მერე შეწყდებოდა, მერე კვლავ დაიწყებოდა. ეს ნიშნავდა — ვამაგრებთ პალოებს მაშველი და სადამცველო თოკებისათვის რომელთაც მალე ჩამოვუშვებთ. გაემზადეთ. სულ სამი პალო ჩაერჭო კედელში. სამი საკმარი იყო ორი ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ძირითადი თოკის დასამაგრებლად, რომელსაც ახლა ჩვენ უნდა ავყოლოდით.

მალე თოკი მზის სხივივით ნუგეშად და იმედად ჩამოცურდა მაღლიდან. მის დანახვას ჩვენი ოთხეული უთქმელი, შინაგანი ყი-

ჟინა—ყაყანით შეხვდა. ახლა ამ მზისფერ დუდგულას სტვირისათვის უნდა ჩაგვეევლო ხელი და მიგვენდო ჩვენი თავი. მზისკენ, მაღლა აგვიყვანდა იგი. დასასრულისაკენ, მიზნისკენ გაგვიძღვებოდა. და აი, ჩვენ უკვე მაღლა ვართ, კლდიან ბექობს თავზე მოქცეულნი, მაგრამ სადღაა დასასრული? სადღაა მიზანი სანატრელი? წინ კლდეებია, ღარებია, კუთხეებია, მათს შვერილებზე, სიპებზე კვლავ ჩვენი ჯან-ღონე უნდა დაიხარჯოს...

მაგრამ ეს არ არის მთავარი. სადღაა ოქროსფერი მზე? ან დუდგულას სტვირმა საით ამოგვიყვანა? არსად, არსად მზე არ იყო. წეღან თუ ღრუბლებშორის გამოკრთებოდა და გამოანათებდა ხოლმე იმისი გავარვარებული ბადრო, ახლა რაღა იქნა?

აღმოსავლეთის ქარმა დაჰბერა ქარაფებზე, დაჰბერა და თან ნისლის ნაფლეთები მოაჩანჩალა საიდანღაც. ისინი ჩვენ გველამუნებოდნენ მხრებზე, სახეზე და გვასველებდნენ.

მერე ქარმა იმძლავრა. ულმობლად დაგვიშინა ნისლის ქულები. ირგვლივ ნაცრისფერმა მდუმარებამ დაისადგურა. უშბის კალთები ჩამოიბურა. ჩაირაზა ჩვენი ფანჯრები, გარესამყაროსთან რომ გვაკავშირებდა. მოვწყდით ყველას და ყველაფერს.

მრუმე ფარდა ჩამოეშვა მთებსა და ხეობას შორის. თვალს მიეფარა სამაშველო ბანაკი ჩალათის მყინვარზე, თვალს მიეფარნენ ფულშემატკივრები, ჩვენთვის შეუმჩნეველნი და უხილავნი, ჩვენს ყოველ ნაბიჯს რომ აკვარდებოდნენ, ხედავდნენ. გამოვეყავით, განვემარტოვეთ მთელ გარემომცველ სამყაროს, უხილავი ძაფების გაბმულა ჩაგლიჯა ვიღაცამ, და ახლა დაწყვეტილნი სადღაც დაბლა დალის ნაწნავებივით იწეწებოდნენ ქარისაგან...

მარტოობის შეგრძნებამ თითქოს ფრთები შეგვკვეცაო. თითქოს დაგვაძაბუნაო. თითქოს სასოწარგვკვეთაო. მოწყენილობამ დაისადგურა ჩვენს ბანაკში. მოწყენილობამ და მდუმარებამ. მაგრამ არა... ასე არ შეიძლება. როცა მარტო ხარ, მეტი მონდომება და შემართება გმართებს. როცა მარტო ხარ, უფრო გმართებს თავის გამოჩენა, რათა ოროგორმე ფავი დააღწიო სიმარტოვეს.

ახლა ყველა ჩვენთაგანი ასე ფიქრობდა და თანდათან დეენიდა თავისი არსებიდან ძაცდურ ვანწყობილებას. მალე ყველანი განვთაეისუფლდით კიდეც მისი მოძალებისაგან და კვლავ წინანდებური ჟინით აღვენთეთ საბრძოლველად. განახლდა კაკუნი. მოკლე გადაძახილები წყვილებს შორის. ბანაკში ყველაფერი რიგზე იყო. მონაწილეები თანდათან ეგუებოდნენ უამინდობას, ახალ პირობებს...

საათს რომ დავხედე, აღმოჩნდა, რომ ამ ოციოდე მეტრის გაელისათვის ას ოც წუთზე მეტი მოგვინდომებია.

— რამდენი პალო დავხარჯეთ ამ მონაკვეთზე? — ვკითხე უფროსს შენაცვლებისას.

— ათი შლიამბურისა და ხუთი ჩვეულებრივი კლდის პალო... მიპასუხა მან. მთავარი კი ამ შემთხვევაში უფროსის განწყობილების ბაგება იყო ჩემთვის. როგორ გუნებაზე იყო იგი? ამინდის შეცვლამ რანაირად იმოქმედა მასზე?

ჭიხეილის ხმა მორწმუნეთა შორის ზარის რეკვასავით გაისმა, იმედიანი, ბრძოლის ქინით აღვსილი ხმა. ყველას რაღაც იმედი ჩაგვესახა გულში. იმედი, რომლის გაქარწყლებაც არავის და არაფერს არ ძალუძდა, არც ამ ქარს, არც ამ ბურუსს, სიცივეს და წვიმას, არაფერს არ ძალუძდა მისი ხელყოფა.

დუმილი

— ერთი თეთრი — ჯგუფი კარგადაა, ორი თეთრი ან ორი მწვანე — საკონტროლო დროის გაგრძელება. ხოლო წითელი... — უმძიმს მიხეილს ლაპარაკი — წითელი...

სხვებიც დუმან.

ჯოკია, გივი, მიხეილი (უმცროსი), ჯუმბერი და შალიკო, ყველანი დუმან.

დუმან მთები. შურთხებიც კი გაუჩინარდნენ სადღაც. არც იმათი ტრუალი და სტვენა არღვევს გამეფებულ მდუმარებას. ყვავები უშბისპირა კლდეებს მიეფარნენ.

მე მიხეილის წინ ლოდზე ვზივარ. მუხლზე რვეული მაქვს გაშლილი და მის ყოველ სიტყვას შიგ ვიწერ. ახლა კი თითქოს ხელი გამიშეშდა. გაშტერებული შევცქერი მათს მდუმარე სახეებს. დუმილი რაღაც ბლანტ სითხესავით გაღვრილა და განფენილა ჩვენს გარშემო.

მას მერე, რაც ადამიანი კლდეებთან ორთაბრძოლაში ჩაება, გაჩნდა ერთი ახალი წუთი, მანამდე ქვეყნიერებისათვის უცნობი წუთი, როგორც ასტრონომის მიერ ახლად აღმოჩენილი ვარსკვლავი ან პლანეტა. როდესაც წითელ შუშხუნაზეა ლაპარაკი, ყველა დუმს. ყველა რაღაც მწვავე ფიქრსი და სადარდებელს მოუცავს. წითელი შუშხუნის მიღმა საზარელი იდუმალება იმალება და იმისი წარმოდგენა თავზარსა სცემს ადამიანს.

სიჩუმე ამ წუთში ნიშნავს იმის განცდასა და სიძულვილს, რასაც მთამსვლელთა ენაზე უბედურება ჰქვია.

— წითელი შუშხუნა — ჯგუფს უჭირს, სასწრაფო დახმარებაა საჭირო. საკონტროლო ვადა ოცდაექვს აგვისტომდე. მოკლედ ამთავრებს მიხეილი.

მე ვაკეცავ სასიგნალო ნიშნებიან რვეულს და სათუთად ვინახავ, თითქოს მასზე იყოს დამოკიდებული ვაუკაცთა ბედი. მერე მიხეილი დგება, ბიჭები ზურგჩანთებს იკიდებენ. და ის არის, გზას უნდა გაუდგნენ, რომ ჯგუფის უფროსი მოდის ჩემთან და ჩუმად მეუბნება:

— ჩემს სიცოცხლეში წითელი შუშხუნა არ მისვრია... მაგრამ თუ დაინახავთ, იცოდე, მაშველმა ჯგუფმა ძირიდან არ სცადოს დახმარება, არაფერი გამოუვა. უმჯობესია მწვერვალიდან იმოქმედოს...

ისინი წავიდნენ.

ჩვენ — მე, პირიბე გვარლიანი, კინოოპერატორი, ბორის კრეპსი და ჯგუფის ექიმი ხიტო მუსელიანი დავრჩით დაცარიელებულ სამაშველო ბანაკში. ჩვენთან არის მარტოობა და სიცარიელე, ხოლო ჩვენს წინ ჩალათის მყინვარი გადაშლილა. მოსახარში ხორციევით დაკეპილი, სიკვდილმობნეული, უსასრულოდ გრძელი და ციცაბი მყინვარი. იგი უშბისა და ჩათინის მწვერვალთა გზაგასაყარისაკენ მიემართება მაღლა და სადღაც ზევით, ღრუბლის ფთილებთან უჩინარდება და უერთდება ცისიერ ჰორიზონტს. ბიჭები ამ მყინვარს აჰყვებიან, და მის თავში დაიდგამენ კარავს, რათა პირდაპირ შეხედონ უშბის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედელს, გამოქვაბულის პირივით გადმოყუდებულსა და გადმოპირქვავებულს, ჯერეთ ადამიანის ფეხშეუდგამს.

რამდენი ჯგუფი დაბრუნებულა უკან ხელცარიელი, ხელმოცარული. ხუმრობა საქმე ხომ არაა, ექვსასმეტრიანი „სარკე"!.. მანდ ჩაქუჩებითა და ფოლადის პალობურღებით სამუშაო ელოდებათ. ათი დღე-ღამის თოკებზე კონწიალი ელოდებათ.

ამ რამდენიმე წლის წინ, როცა მიშლიაევმა უარი განაცხადა უშბასთან შებრძოლებაზე, მიხეილის გულს შიში მაინც არ გაჰკარებია. მართალია ერთხანს დაბნეულობამ და ეჭვებმა მოიცვა, მაგრამ მალე დაალწია თავი მელანქოლიას და შამამისს გაანდო თავისი გულისნადები. და მიხეილი კვლავ ეწვია უშბის სარკეს. ოღონდ ამჯერად მას მაშა ბესარიონი ახლდა თან. მთელი ორი საათი იდგნენ ისინი ზღაპრული გოლიათის პირისპირ და დინჯად, აუღელვებლად ზვერავდნენ კედელს. ათასი ვარიანტი შეადგინეს, ათასი მხრით დაზვერეს. უკან რომ ბრუნდებოდნენ მაშა ბესარიონმა თქვა:

— კარგი ბიჭები თუ გეყოლება, შეიძლება მაგისი დამორჩილება.

ეს იყო საბოლოო შეთანხმება მამა-შვილს შორის. სწორედ იმ დღიდან დაიწყო სერიოზული სამზადისი უშბის სარკესთან საბრძოლველად. ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველებმა თანდათან მოიყარეს თავი.

ახლა კი მიდიოდნენ ისინი უშბისაკენ, რათა ადამიანის უძლეველობის ამბავი ეუწყათ გულზვიადისათვის. რათა შური ეძიათ დაღუპულებზე... უშბა კი დგას წარბშეუხრელად და თითქოს ეუბნება ბიჭებს — აბა მოდით, მოდით და ვნახოთ, ვინ ვის სძალავს, ვინ ვის მოერევა...

და მიდიან ბიჭები.

• •

— მეორე დღეს სიურპრიზი მელოდა. ჩემდაგასაკვირად და სასიხარულოდ მიხეილმა მოიკითა. გრძნობაზე მოვიდა, აზრიანად ალაპარაკდა. ნორმალური ადამიანის მსჯელობა ჰქონდა. ამ ამბავმა სამოქმედოდ ვანმაწყო. უცბად მომეცა იმედი რომ ჩემს მიხოს როგორმე გადაეარჩენდი.

მთელი ღამე გული სხვა რაღაცას მეუბნებოდა თითქოს და... ამ წუთში კი ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა დედამიწის ზურგზე. უცბად თვალწინ წარმომიდგა თბილისის აერიამულებული ქუჩები, იქაური ამხანაგები, ალპიური კლუბის შენობა. ჩვენ ხელს გვართმევენ — გვანუგეშებენ — არა უშავს, მშვიდობა ხო არი და გამარჯვების პიკს როდესმე გაუსწორდებითო...

„მშვიდობა ხო არი და“...

მართლაც და მშვიდობა იყოს, მშვიდობა იყოს და სხვა ყველაფერი მოესწრება, გაკეთდება. მხოლოდ ცოცხალ კაცს შეუძლია სასწაულების მოხდენა, ცოცხალ, საღ-სალამათ ადამიანს. „თოვლის ბაბუები“ ეშმაკებს თუ გაართობენ მწვერვალთა თხემებზე...

დარიც რომ მშვენიერია. ჩემი განწყობილების შესაფერისი. დათბა კიდეც. ქალღმერთი ელია ზრუნავს ჩვენზე. ელია გვეხმარება. ახლა ჩვენც უნდა გავინძრეთ, ვიმოქმედოთ, ვიბრძოლოთ. ბუნება და ღმერთები გვშველიან, დანარჩენი კი საკუთრივ ჩვენზეა დამოკიდებული.

„მაგრამ ისინი? სად არიან ისინი? როგორ არიან ისინი?“

„ქვაბიდან“ გამოვედი და გარეშემო მოვათვალიერე. ესეც ახალი ამბავი — ჩვენს ზემოთ რამდენიმე მეტრზე კარავი დგას.

— ჰე... ჰეეი!.. — აღმომხდა სიხარულის ყვირილი.

კარავიდან თავი გამოყო კუზმინმა:

— შენ საიდან აქა? — გაუკვირდა კირილეს ჩემი დანახვა.

მისთვის ჩე მართლაც რომ ციდან ჩამოვარდნილივით ვიყავი. ჩვენი თავშესაფარი ხომ თოვლში იყო ჩათხრილი და ერთი თვალის გადაავლებით ვერა კაცი ვერ აღმოგვაჩენდა ისე ვიყავით შენიღბულნი და შენივთებულნი გარესამყაროსთან

— ჩვენ აქა ვართ, აი, ამ სახუნდარში — ხელით ვანიშნე ორიოდე ნაბიჯზე ამობურცულ თოვლიან ბექობზე.

— მიხო მანდ არი?

— მანდ არი, აბა არა?

— გაბლიანი და კუხიანიძეც მანდ არიან?

„რაო, რა თქვა? მანდ არიან, სად არიან, რატომ არიან, რისთვის არიან?“ თავში ამერია ყველაფერი. უცბად თითქოს კისერში ურაკვერი ჩამარტყესო, კირილეს სიტყვებმა თავზარი დამცა. გულმა იმ წუთშივე ცუდი რამ მიაზრა. ნუთუ ტყვილა მიხაროდა ამ დილაუთენია გამოდარება? ნუთუ კარვის დანახვა ტყვილა გამიხარდა ასე?

— ილიკო და თემო ხომ არ გინახავთ? — კვლავ ჩამომძახა კუზმინმა.

— აკი თქვენ ერთად იყავით. ერთად წახვედით და ყველაფერი..:

— ერთმანეთს დავცილდით და ავცდით... — ენის ბორძიკით ამბობს კუზმინი.

„ორ ნაბიჯზე როგორღა დაკარგეთ ერთიმეორე? რანაირად მოხდა ეს?“

მაგრამ ახლა მაგაზე ფიქრის დრო არ იყო, რაღაც უნდა გვეღონა. მაგრამ რა?

ამ დროს მაღლა თხემზე, ისინიც გამოჩნდნენ.

გაბლიანი და კუხიანიძე კუს ნაბიჯით ეშვებოდნენ დაბლა. ცოტა დაეწყნარდი. გული, როგორც იტყვიან, საგულეს ჩადგა. დამშვიდებული შევეძვერი ჩვენს სახუნდარში და მიხეილის გამზადებას შევუდექი.

მალე კუზმინი და ჯუმბერიც ჩამოვიდნენ ჩვენთან ისე რომ მეორე წყვილისათვის არ დაუცდიათ. ერთიანი ძალებით მიხო დავსვით თოვლზე და ძირს ჩავაქროლეთ.

ეს მონაკვეთი, დაახლოებით სამასი მეტრის დაღმართი სწორი და

უხიფათო შეგვხვდა. ერთ-ორ ადგილას, სადაც კლდეებზე იყო გასასვლელი მიხო ფეხზე დგებოდა, ხელს ჩამავლებდა და ისე ცდილობდა იქ გასვლას. ერთი სიტყვით, სახიფათო ადგილები მას ერთგვარად აფხიზლებდა. ამიტომაც შეგნებულად კლდიანებზე გავდიოდი, იქნება როგორმე მომებრუნებინა ამხანაგი.

კირილესა და ჯუმბერსაც უჭირთ.

ძლივს მოაბიჯებენ.

ხანდახან იმათი დალოდინება გვიხდება. ამიტომაც უნაგირამდე ჩასვლას კარგა ხანი მოვუნდით. 7000-ზე რომ დავეშვით და უკან მოვიხედეთ, ილიკო და თეიმურაზი ველარსად შევნიშნეთ. გავჩერდით და დაველოდეთ. ამასობაში აცივდა. ალბათ ორმოცი გრადუსი მაინც იქნებოდა ყინვა.

ისევ გამოვთხარე ფერდი, თავშესაფარი გავაკეთე. მიხო შიგ შევსვი და ზევით ავუყევი თხემს. უკვე შვიდი საათია და საღამოისეული ბინდი დგას, ბიჭებს უნდა მივეშველო, თორემ მერე გვიან იქნება. რამდენიმე ნაბიჯით ავიმაღლე და ისინიც გამოჩნდნენ. ილიკოს მთელი სახე ჩაშავებული აქვს, ჩაშავებული და გალურჯებული. ცალ ფეხზე შაკელტონი გასძრობია და ვერც კი გრძნობს ამას, ისე მოაბიჯებს. ლაპარაკი უჭირს.

უცბად გავშალე კარავი, რომელიც მათ ჰქონდათ თან წაღებული. გავაწყვე პრიმუსი. კარავში დათბა. მერე შარვლის ტოტები ავუწიე და... მისი ფეხები ყინულის ზოდებივით მეცივა ხელში. მუშაობას შეეუდექი — ვუზელდი შეუსვენებლივ, მერე იმას შეეშვებოდი და კუხიანიძეს მივუბრუნდებოდი. ბოლოს მიხოსთან გავიქცეოდი.

— ისინი... ისინი როგორღა არიან? მიხედე, იმათ მიხედე... — მაგდებდა მიხეილი.

— ეჰეჰეეი... — მოდიოდა გარედან სასოწარკვეთილი ხმა — ეჰეჰეჰეეი...

— იმათ მიხედე, გემუდარები იმათ მიხედე..

— წყალი... წყალი... მოიტათ წყალიი...

ორკიოლი კი თუხთუხებდა, თოვლი დნებოდა ორკიოლში.

— აი, გადნეს, გადნეს და გავუტან...

— მაინც როგორ მოხდა ყოველივე ეს? — ვეკითხები მერე ილიკოს.

ძალიან მეცოდები, ძალიან მეცოდები იქ რომ არ ამოხვედი. ყველა მეცოდება ვინც იქ ვერ ამოვიდა...

— რანაირად დაშორდით ერთიმეორეს?

— ყველაფერს ქვევით მოგიყვები, რომ ჩავალთ იქ მოგიყვები. ოღონდ ძალიან კი მეცოდები, რომ ვერ ამოხვედი...

ჯოკია გუგავა: „გასრიალდი, გასრიალდი, თოკო...“

— აქ შეიძლება ამოისუნთქოს კაცმა — ამბობს უმცროსი მიხეილი და მარჯვედ მაგრდება კედელზე. ჩემი და შალიკოს წყვილი კი დაცვაზეა გადასული. წინწასულთა — ჯუმბერისა და გივის თოკების რხევით ვგრძნობთ მათს გადაადგილებას, დალხინებას თუ გასაჭირს. თოკი პირველი მეკავშირეა ჩვენი. იგი ამავე დროს გვაერთიანებს, ერთ კონად გვკრავს. მითუმეტეს ახლა, როცა თვალსაწიერზე ბურუსს დაუჩრდილავს ყველაფერი და ერთიმეორეს ძლივს ვარჩევთ, ეს კავშირის ძაფი ათჯერ უფრო ახლობელი და ძვირფასი ხდება ჩვენთვის.

„გასრიალდი, გასრიალდი მაღლა, ავბედითად არასოდეს დაიჭიმო, თოკო.“ — მახსენდება სტრიქონები რომელიღაც მთამსვლელური სიმღერიდან.

თოკი მართლაც შეუჩერებლივ მისრიალებს ჩემსა და შალიკოს ხელებში, მისრიალებს ზომიერად, თანაბრად. იგი არ ქანაობს და არ ირწევა. ეს კი კარგია, ძალიან კარგია.

მალე—ჩვენც მივყვებით თოკს. ზევით მცირე ბაქანზე ვმაგრდებით და კვლავ დაცვაზე გადავდივართ. დაცვა აქ უფრო ხერხდება, ვიდრე ეს ქვევით იყო შესაძლებელი. როცა აქა-იქ კედელი უარყოფით დაქანებაში გადადის ჩვენ სამმაგი თოკის კიბეებს ვიყენებთ.

ამ მონაკვეთის ზემო ნაწილში ვაწყდებით ნათლად გამოკვეთილ კუთხეს, რომელიც არ ჩანს, მაგრამ ხელის შეხებით შეიგრძნობა. კუთხე დგომისათვის ხელსაყრელია. ეს კი იმას ნიშნავს რომ ჩვენს მიერ ორგანიზებული დაცვა კიდევ უფრო საიმედო იქნება. და კიდევ იმას რომ კედელში შლიამბურული პალოების „ჩაყრა“ გაადვილდება. როცა თუნდაც ცალი ფეხით მიწიერ საყრდენს გრძნობს ადამიანი, მის მიერ მოქნეულ ჩაქუჩს გაცილებით მეტი ძალა აქვს. კუნთები კი ნაკლებად ეღლება, ნასვრეტი მალე ჩნდება კლდეზე, სუფთაედება, ერჭობა პალო, პალოზე მაგრდება თოკი, თოკზე — ადამიანი... ადამიანი მიიწევს მაღლა...

ალაგ-ალაგ ფეხის დასადგმელად კვლავ კიბეებს ვიყენებთ. რო-

გორც წესი, პირველი წყვილი წინ მიიწევს მოედნებისა და კიბეების დახმარებით.

მონაკვეთი № 9. ეს უბანი 75—90 გრადუსი დახრილობისაა. სხვა უბნებისაგან იმით განსხვავდება რომ გრანიტოვანი კედლის ზედაპირს მკრთალად ატყვია ძნელად შესამჩნევი ნაპრალოვანი სარტყელი, რომელიც ვერტიკალურად აუყვება მაღლა. კედლის ზედაპირი „ცხერის შუბლის“ ფორმისაა და აღნიშნული ზოლი ისე ამჩნევია, თითქოს ნაჯახის ჩანარტყამიაო.

ჩვენ გაგვიხარდა მისი დანახვა. მაგრამ ნაპრალი იმდენად ვიწრო აღმოჩნდა, რომ პალო ახლოსაც კი არ გაიკარა. აქა-იქ „შუბლზე“ რქებივით გამოშვერილან კლდის გამონაზარდები, ისინი მის ზედაპირთან მართკუთხეებს ჰქმნიან. მანძილი მათს შორის ორ მეტრამდეა. მთელი მონაკვეთი დაკიდულია, შუა წელში კი უარყოფითი დაქანებისაა, მხოლოდ ზევით, მარცხენა მხარეს აყოლებული ვიწრო ღარის თავზე ბაქანივით მოჩანს რაღაცა. მეწინავე წყვილი არ უშვებს შემთხვევას ხელიდან და სწორედ იმ ბაქნისაკენ მიემართება.

კვლავ გაისმის ჩაქუჩის ცემის ხმა. ტვირთგანმგებლებსა და დამცველთ თავსა და მხრებზე გვეყრება კლდის მტვრისებრი ნაფხვენნაშალი.

როცა ქარის ძლიერი ტალღა მკვრივ, ნაცრისფერ ღრუბლებში გაგვხვევს, თვალთახედვიდან გვეკარგება ღარის თავზე მოგულვებული სანატრელი ბაქანი. უკვე ვეღარ ვხედავთ წინ წასულ ამხანაგებს. ჯუმბერს და გივის. ოცი, მაქსიმუმი, ოცდაათი დარტყმის მერე ჰაერში მოკიდწიალე ადამიანს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს იგი, ეღლება კუნთები და უკვე მის დარტყმებს სასურველი შედეგი აღარ მოაქვს. ამიტომაც მას შენაცვლება სჭირდება. ხოლო თანამეწყვილის დაქანცვამდე მან უნდა მოასწროს დასვენება, ძალ-ღონის მოკრება, რათა კვლავ თავისი ადგილი დაიჭიროს. ჩვენ მათს მონაცვლეობას ჩაქუჩის ცემის თვითოეულისათვის დამახასიათებელი ხმით ვადევნებთ თვალს. ჩაქუჩის ცემის „ხელწერით“ ექვსივე ვანსხვავებდით ერთიმეორეს, ასე რომ, კლდეზე გასული ამხანაგების ცნობა ბურუსისა და წკვარამის მიუხედავად მაინც არ გაგვიჭირდებოდა.

— ბაქანი... ბაქანი... — მოისმა ამ დროს მაღლიდან ჯუმბერის ხმა, რაც გვაუწყებდა, რომ უბანი დაძლეულია. ახლა დაცვიდან მოვიხსნებოდით, დროებით მეწინავეები შეასრულებდნენ ჩვენს ფუნქციას. ისინი უკვე საიმედოდ იყვნენ მიმაგრებული კედელზე და ვიდრე მიმ-

ყოლებს არ აგვიყვანდნენ ბაქანზე, ძირითად და სამაშველო თოკს ვერ მოაშორებდნენ ხელს, დავეკიდეთ თოკზე.

სათითაოდ ავყევით მას. ჩვენ მეწინავეებისაგან ჩავიბარეთ ჩაქუჩები, შლიამბურისა და კლდის პალოები, კიბეები და სხვა საჭირო აღლადიდება და წინ გავვარდით. ის იყო, ცოტაოდენი წავიმუშაგეთ, რომ უფროსის ხმა მოვარდა ქვემოდან:

— მუშებო, როგორ ფიქრობთ, ახლა რა დროა? —

ამ უბრალო შეკითხვაზე, ცოტა არ იყოს, დავიბენით, ათას რამეზე ვფიქრობდი იმ ღამეს, მაგრამ საათზე ერთხელაც არ დამიხედია, და არც გამხსენებია დროის არსებობაც კი საერთოდ.

— რა დროა? — მე და შალვამ მხრები ავიჩეჩეთ.

— ექვსი საათია. ბინა-თავშესაფარზე ფიქრის დროა სწორედ. მით უმეტეს ასეთ ამინდში, როცა მთელი ქვეყანა ბურუსითაა მოფენილი...

არც ერთს არ გვესიამოვნა ეს ამბავი. ბრძოლის ჟინით ვიყავით ანთებული და უცბად თავი უნდა გაგვენებებინა ყველაფრისათვის. წვიმა-ქარმა ვერაფერი დაგვაკლო. ამ დროის სიმცირემ კი სულ აგვირ-დაგვირია ყველაფერი. მაგრამ რაღა გაეწყობოდა. უნდა შევდგომოდით ჰამაკების გაბმას და მალე „ღამე ნებისა" გვესურვებინა ერთმანეთისათვის...

17. III. 64. მონაკვეთი № 10. ჟინჟღლავს, ქარი ქრის. ვერ გაიგებ რა ამინდია. ან მხოლოდ წვიმდეს, ქარი ქროდეს, ჟინჟღლავდეს ან ბურუსი იდგეს. ჩვენ კი ყველაფერი ერთბაშად მოგვივლინა მამაზეციერმა, წუხელის ყოველი შემთხვევისათვის წყალგაუმტარი ბრეზენტები გადავიფარეთ. წყალგაუმტარიო, მაგრამ ეს საძილე ტომრები რაღამ დაალბო?

ძალიან ცუდი გრძნობაა დაღლილ-დაქანცული რომ მიწვები და დილას იმავე ტანსაცმელში გამოგეღვიძება. ტანსაცმელი რატომღაც მძიმდება და მაჯლაჯუნასავით გაწევს მხრებზე, ბორკილებივით შემოგტმასნია სხეულზე, მითუმეტეს მსგავსი განცდა ასვლებისას უფრო ცხოველია, როცა სიცივის გამო იძულებული ხარ თბილად შეიმოსო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უსიამო განცდა მუშაობაში თანდათანობით ნელდება და ბოლოს გავიწყდება კიდეც, რომ ეს ერთი კვირაა ცხელი ან თუნდაც ცივი აბაზანა არ მიგიღია. მხოლოდ დაწოლა-ადგომის ჟამს თუ გაგახსენდება ისევ...

მალე ჯგუფის წევრები კლდეებიდან ვეხსნებით. ვეცავთ ჰამაკებ-

სა და თოკებს. ნაბინავარზე ვაძრობთ (სადაც ეს მოსახერხებელია) ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფას შლიამბურის პალოებს, ვნაყრდებით და ვაგრძელებთ გზას.

მზის მონატრება

— ახლა საქმელს გავაკეთებ...

— რა თქვი? შენ არ გძინავს?

— კისელს მოვადუღებ. ხომ დალევ?

— საცაა ინათებს. რა დროს ეგ არი! ცოტა რომ დაისვენო, მე მგონი აჯობებდა. იცი, როგორ მტეხავს კუნთები? შენ რომ მზელავდი, მე მეძინა. მართლა მეძინა. ლეგაბის რიყე დამესიზმრა. რომ წამოვწვებოდით ტიტლიკანები სილაზე, ზურგს მზეს მივუფიცხებდით და ერთიმეორეს მორიგეობით ვუზელდით კუნთებს. აი, ასე, ცერა და საჩვენებელ თითებს მაშასავით ჩაუქერ ხორცზე. მარჯვენა ხელის მტევანს ძალუმად გამოჰკრავ და კანზე წითელი ნაპწკენი დაგემჩნევა. ქოი, რას ვუძლებდით მაშინ... მთელი სხეული დაპწკენილი გვქონდა, ვამაყობდით კიდეც — პირველი ვაჟკაციც ის იყო, ვისაც კანი ყველაზე დაწითლებული ჰქონდა...

— ჰო, მე კიდევ რა მახსოვს, იცი? უფროსები ტიტლიკანებს რიგში არ ჩაგვაყენებდნენ და მკერდზე მუშტებიᲗ ბრაგუნით წაგვიყვანდნენ გვალდირისაკენ. ჯარისკაცული მწყობრი ნაბიჯით მივდიოდით და მუშტებს მკერდზე ვიბრაგუნებდით — მკერდი დაგვიკუნთდებაო...

არ ვიცი, ვინ გაახსენდა პირველად, მაგრამ მთელი სოფელი კი ჩვენ მოგვჩერებოდა, ეს რა ხალხია და რა მუშტების ბრაგუნი აქვთ აშტყდარიო.

და კიდევ მდინარის გადალახვა... გახსოვს, ჭოკზე რომ გადადიოდი აეროპორტში და ენგურში მოადინე ტყაპანი, ბედად შუაწელში ლოდს ჩაეჭიდე და თავი შეიკავე როგორღაც. მაგრამ მოშველებას ვერავინ ბედავდა, ადიდებული ტალღებისა ყველას ეშინოდა, შენ კი გათოშილი და ფერმილეული მავედრებელი თვალებით მოგვჩერებოდი ნაპირზე მოგროვებულ ამხანაგებს... მერე, შენ დაიძახე...

— ვინც გამიყვანს აქედან საშაშვე მახეს ვაჩუქებ-მეთქი... — ღიმილი გაუკრთა სახეზე. — კარგად მახსოვს, რა ხარხარი გამოიწვია ჩემმა ნათქვამმა — ღიმილით წარმოთქვა მიხომ.

— შუა ზაფხულში საშაშვე მახეში რა ჩიტი გაყოფდა თავს. უცნაურია. მაინც რამ გაგახსენა საშაშვე მახე იმ დროს?

— აბა სხვა რა მებადა. სხვა არაფერი მებადა... მახეები კი, იცოცხლე! შენთვისაც ბევრი გამიკეთებია...

— კი მაგრამ, ძუა ხომ ჩემი იყო? იმ სიგრძე ძუა მომქონდა, მახეს ვინ დამამადლებდა იმაში. რაც მართალია, მადლიანი ხელი კი გქონდა. მახსოვს, სულ პირველად რომ დავიჭირე ჩიტი, ჩამოვუყევი ბიჭებს და ხმამაღლა გავიძახოდი — ტოროლაში გვრიტს ვინ გამიცვლის-მეთქი...

— მალიდღა ხალიდს იარ მიცაადიდ... მალიიდღა ხალიდს იარ მიცაადიდ... — ხრინწიანი ხმით გამოაჯავრა იგი მიხომ — მერე სკოლაშიც გააჯავრებდნენ უფროსები. მეტსახელადაც კი დაგარქვეს ერთხნობას „მალიდღა ხალიდს იარ მიცაადი" მოვიდაო. ერთ ზღაპარში როა, ნახშირზე ოქროს ვინ გამიცვლისო, ისე გამოგდიოდა შენაც. ვინ სულელი გაგიცვლიდა გვრიტს ტოროლაში...

— იცი რა, შენ უკეთა ხარ, მიხო... ცოტა უკეთ ხომ ხარ, მითხარი. გულახდილად მითხარი. იცი, შინ რომ დავბრუნდებით, მოდი, ერთად შევიყაროთ ბავშვობის ამხანაგები და მაშინდელი საქმეები გავიხსენოთ... აი, თუნდაც მუშტების ბრაგუნი. ჩავმწკრივდეთ და გვალდირისაკენ გავსწიოთ ჯარისკაცურად... რა იქნება ამაში ცუდი... მდინარის გადალახვაში შეეჯიბროთ ერთმანეთს, ქვის კვრასა და ხტომაში....

მიხო ოცნებებში გადავარდა. მეტად ხმა აღარ ამოუღია. შეიძლება ჩაეძინა კიდეც. ორკიოლი უკვე თუხთუხებდა. რა სანატრელად თუხთუხებდა.

ძნელად ვინმე თუ წარმოიდგენს, რაოდენ სასიამოვნო გრძნობას ბადებს წყლის თუხთუხი, დუღილის ხმა ყინულეთში. როცა ყოველივე სიცივისაგან შავდება და კვდება, როცა სხეული უკვე ვეღარ ათბობს გაყინულ ჰაერს და ჯაფადამდგარი ფილტვები იწყებენ ხიხინს.

წყლის თუხთუხის სანეტარო ხმა მშობლიური სახლის ბუხარს გახსენებს, ბუხრის გახსენებაზე კი მთელს სხეულში თბილი ერუანტელი დაგიელის. და იმ ირეალური ბუხრის თბილი ანაბზინი დიდხანს რჩება შენს ძარღვებსა და ძვალ-ხორცში. ერთი სიტყვით, ადამიანი თბება, თბება, ვიდრე ბოლოსდაბოლოს ეს მაცდური მოჩვენება უსიამო სინამდვილედ არ იქცევა და განცხადდება გონებაში. მერე კი თუხთუხმა შეიძლება ნერვებიც კი აგიშალოს თავისი მაცდურობისდა გამო, მერე თუხთუხი უცეცხლოდ წყლის დუღილია და

მეტი არაფერი. უნაკვერჩხლოდ და უნაცროდ წყლის დულელი კი შორს, ძალიან შორს დგას თბილი, მოგუზგუზე, ყოვლისგამლღობი და სისხლის-ამჩქროლავი ბუხრის გუზგუზისაგან.

მალე კისელი მზად იყო. „ახლა უნდა ჩამოვარიგო ჭიქა-ჭიქა..."

მაგრამ მიხომ თავი გადააქნია — არაფრის ჭამა არ შემიძლიაო. მე ძალით ჩავუსხი კისელი პირში, მაგრამ უკანვე გადმოაპურჭყა. ეს ამბავი არაფრად მესიამოვნა. „კი მაგრამ უკეთ როგორღა არი, თუ კისელის გადაყლაპვაც კი არ შეუძლია?" — გამკრა გუნებაში. უცბად შევშინდი — „ვერა, ვერ არი კარგად საქმე. ჯგუფი წელშია გამტყდარი. ყველას უჭირს, ყველა ერთ დღეშია, მხოლოდ მელა შემოვრჩი საღ-სალამათი. მართლაც უნდა მივხედო საკუთარ თავს, ძალა და ენერგია გამოვიზოგო, თორემ სამუშაო ბლომად იქნება..."

— ეჰეჰეეი, ეჰეჰეეი... წყალი... წყალი... — ისმის კარვიდან ილიკოს ყვირილი.

და კვლავ ათუხთუხდა ორკიოლი. თოვლი ნელ-ნელა დნება. ეს უკვე მერამდენედ ვადნობ თოვლს. მერე ხელის ფათურით მივეძრები კარვისაკენ, და კვლავ ვასმევ მწყურვალს. ვასმევ და ვზელავ, ვზელავ მორიგეობით ჯერ ილიკოს, უფრო გაჭირვებულს, მერე კი თეიმურაზს. და კვლავ ჩვენს სახუნდარში ვბრუნდები — მიხოსთან.

— თავს მიხედე, გაიგე, თავს მიხედე — მეუბნება იგი.

„სამუშაო ბლომად იქნება..."

მერე ავდექი და „თავს მივხედე", კისელიც მივირთვი და ხორცის ქილაც გავხსენი. ამასობაში ინათა კიდეც. მინდოდა თვალი მიმელულა, მაგრამ ამისი დრო არ იყო უკვე. უცბად გავემზადე. მიხო წამოვაყენე, მერე სხვებს დავუარე, მაგრამ წამოდგომა არავის უნდა. მაშინ ძალით ვაყენებ და დაბლა ვერეკები.

მიხეილი და ილიკო ფეხზე ვერ დგებიან. სხვებიც ბანცალბანცალით მოაბიჯებენ. როგორ უნდა მოვქცეულიყავ? რა მელონა? ორი ადამიანი რანაირად ამეკიდა ზურგზე? „იქნებ მორიგეობით წა ვანო? მორიგეობით... იყოს, მორიგეობით". გზა კი რთულზე რთულია — უნდა შევდგომოდით დასავლეთი მწვერვალის აღმართს.

გავიყვანე მიხო გზაზე. რამდენიმე მეტრი გავიარეთ. დამრეცი მონაკვეთია. ძალიან ნელა და მძიმედ მივდივართ. რაც არ უნდა იყოს სიმაღლე ზღვის დონიდან 7000 მეტრია! მერე შევისვენეთ, სულს ძლივს ვითქვამთ. ამ დროს ჯუმბერი მოდის ჩვენთან და გვერდზე მიხმობს. მიხომ რომ არ გაიგოს ხმადაბლა მეუბნება, „ილიკო გარდაიცვალაო".

— რას ამბობ, რას? — მოვქაჩე საყელოზე ჯუმბერს. ვიცოდი, ასე მოხდებოდა, მაგრამ წინათგრძნობის აცხადება მაინც მოულოდნელი და მტკივნეული იყო. ყველაფერს შეიძლება შეურიგდე ქვეშეცნეულად ადამიანი, მაგრამ სიკვდილს — არა. არც შენსას და არც მეგობრისას. რაც არ უნდა ბევრი იფიქრო საკუთარ თუ სხვის სიკვდილზე, ადამიანის უეცარი აღსასრული მაინც მტკივნეული და დაუჯერებელია.

— მან გამოიხედა კარვიდან. ერთი კი აჰხედა მზეს და დავარდა. მაშინათვე განუტევა სული. პირი დააღო, თითქოს სიმღერა უნდა წამოიწყოსო და დავარდა.

ორთაენი ვქვითინებთ. მიხოსკენ ზურგშექცეულნი ვცახცახებთ. მაგრამ მალე მოვდივართ გონს. ტირილის დრო მართლაც არ არის ახლა. ერთი დაუდევრობა, ერთი შეცდომა და ყველანი დავიღუპებით. რაც მთავარია, მიხომ არ უნდა გაიგოს ეს ამბავი. დღესაც ღრმად მწამს, მიხოს რომ გაეგო ილიკოს სიკვდილი, კიდევ უარესად წავიდოდა ჩვენი საქმე. იმაზე უარესად, ვიდრე წავიდა, თუმცა იმაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო, რაც მერე მოხდა...

მერე კი რა მოხდა:

— რა უნდა ვქნათ? — მეკითხება ჯუმბერი — როგორ მოვიქცეთ? — მის რაინდულ ხმაში გულისტკივილსა და ამავე დროს უიმედობას, უძლურებას ვკითხულობ. იგი დგას მხრებჩამოყრილი და წვერმოშვებული, დამნაშავესავით თავჩამოგდებული, სიცივისა და მწუხარებისაგან აცახცახებული. დგას და პასუხს ელოდება. მაგრამ რა პასუხი შემიძლია გავცე? რა ვუთხრა?

— ჩვენ... ჩვენ ისე ვართ ყველანი... ეს ოხერი, ვერა ვართ კარგად...

„ჯაგლაგ ცხენს საპალნეს აჰკიდებს კაცი? უგუნურმა შეიძლება აჰკიდოს კიდეც, მაგრამ მერე რა? მერე ის რომ ცხენი დაუვარდება და ისიც სათრევი გაუხდება, მეტი რაღა...“ ვფიქრობ გუნებაში. ჩვენი ჯგუფი ჯაგლაგ ცხენს დამსგავსებოდა. თავად უჭირდა სიარული, უჭირდა სუნთქვა, მოძრაობა. ტვირთს კი იგი ვერ დაიმატებდა, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაიმატებდა, რაც არ უნდა ძვირფასი და სისხლხორცეული ყოფილიყო იგი.

— მაგრამ იქნებ მორიგეობით ვცადოთ... მაინც ვცადოთ... მაგრამ მე გადაწყვეტილება მიღებული მქონდა უკვე. ნახევრად მბრძანებლური კილოთი ვეუბნები:

— არაფერი გამოგვივა; ცოცხლებს უნდა ვუშველოთ. მდგომარე-

ობა გვაიძულებს ასე მოვიქცეთ ილიკოს დავმარხავთ კლდის ძირას. მერე, სხვა დროს ამოვალთ და წავასვენებთ. ახლა, სულ ერთი, ვერაფერს გავხდებით. რომც თან გადავყვეთ, არაფერი გამოგვ[illegible]...

და, აი, წევს ილიკო გაბლიანი 7000 მეტრის სიმაღლეზე[1], ცცრე კლდის თაროზე, კლდისა და ყინულის ნატეხებმოყრილი. ის ნატეხები ჩემს გულშიაც ჰყრია მძიმე ლოდებად. და არა მარტო ჩემს გულში, ყველას გულში, ვინც მას იცნობდა, ვისაც მისი დიდბუნებოვანებისა და ქაცური ქაცობისა სმენოდა. და ეს ქვები გულს ღამაწვება მანამ ვიდრე ერთხელაც არ ავმაღლდები მის საფლავამდე და ძვირფას მეგობარს საქართველოში, მის მშობლიურ მესტიაში არ ჩამოვასვენებ...

მაგრამ რა ვიცოდი იმ წუთში, რომ მალე, სულ მალე ეს ვულს მოწოლილი ლოდები კიდევ უფრო დამძიმდებოდნენ... ეს არა[illegible] ინ არ იცოდა იმ წუთში და არც შეეძლო სცოდნოდა. ყველაფერი კი მერე გაირკვა. ჩვენდა საბედნიეროდ...

ბივი ფერედიანი:

ჩვენი „ბაქნიდან" კელელს ვიწრო შიდა კუთხე მიპყვება. ამ კუთხეს შეუტიეს ბიჭებმა. იგი ვერტიკალური ღიხრილობისაა, სულ მაღლა კი იშლება, ძაბრის ფორმას იღებს. აი, იქ გაჭირდება ეალაქვრომა თორემ მანამდე, მაინცდამაინც არ გვეშინია.

ძაბრი, ეტყობა, მოჭიქულია. მისი სველი ზედაპირი, როცა ორეზელი ჩაფარფატდება და ცის ნათელი მიაღგება კელელს, გაიპნ[illegible]ნებს ხოლმე. ზევით საჩვენო ადგილი არ მოიძევებოდა, ამიტომაც შორიდან ეუთვალთვალებთ და გაფაციცებული ვადევნებთ თვალს მათ

---

[1] სწორედ ამ ადგილას, გამარჯვების პიკის უნაგირზე, 7000 მეტრის სიმაღლეზე ილიკოს გვერდით 1970 წელს დაასაფლავეს ჩელიაბინსკელი მთამსველი კალინია ხუდოენინი (ჯგუფის ხელმძღვანელი რიაბეხინი). მთამსველებს გზად აღმაბალი სტუდენინის გუნდი წამოეწიათ. მათ გადაწყვეტეს სულთმობრძავი აღმოაჩინეს ჩამოსვენება მიწაზე, რამდენიმე ხანს ხელით მოპყავდათ კიდეც. მაგრამ ეამინდობის გამო სამი ღღე-ღამე მოუხდათ მწვერვალზე ღამისთევა. სწორედ ამ ლოდინის დროს გარდაიცვალა ვალერია. აღმანაგებს მაინც განზრახული ჰქ[illegible]ოთ მისი ძირს ჩამოსვენება, მაგრამ სამაშველო ბანაკიდან კირილე კუზმინის მით[illegible]ებისამებრ იგი ილიკოსთან დამარხეს. ამრიგად გამარჯვების პიკის მწვერვალ[illegible]ინ თხემი ერთგვარ სასაფლაოდ გადაიქცა, მამაცი, მწვერვალზე ამაღლების ოცს ა[illegible]ენილი ადამიანების ძვალთა სასაფლაოდ.

მოძრაობას. თოკი ჩვენსა და მათს შორის უფრო გრძელდება, რაც იმას ნიშნავს რომ დაცვის საიმედობა თანდათან კლებულობს.

დაცვისას წყვილებს შორის მანძილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როცა სამაშველო თოკი ათ მეტრზე მეტად დაიჭიმება, იქ დახმარების გაწევა უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებს. ფორმალურს, იმიტომ რომ დამცველები უძლურნი არიან ამ დროს თავიანთი მოვალეობა აღასრულონ. ათი მეტრის სიმაღლიდან მომწყდარი ადამიანის სიჩქარე და წონა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და თოკის საყრდენი წერტილიდან მეათე მეტრზე თუ კი მანამდე არაფერმა შეაკავა იგი და არაფერს გამოედო, მისი დაჭერა და თუნდაც ოდნავი შეკავება ფაქტიურად შეუძლებელი ხდება, თანამედროვე კაპრონის თოკებსაც კი არ ძალუძთ ყოველთვის ასეთი დიდი სიმძიმის ტვირთი შეაკავონ. ამ დროს ადვილი შესაძლებელია საყრდენი პალოს მოძრაობა, კლდის ქანის გამონგრევაც კი.

კაცმა არასოდეს არ იცის, იმ ათასი რგოლიდან თავის სიცოცხლის სადარაჯოზე რომ დააყენა, რომელი უმტყუნებს რომელი გატყდება... მაგრამ მიუხედავად ამისა მთამსვლელის ვალია პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობანი. ხოლო დანარჩენი კი რაც მის შესაძლებლობებსა და უნარს აღემატება ბედისწერასა და ღმერთს ანდოს... იქნება იგიც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული? ეგ ხომ წინდაწინ არავინ უწყის ამ ქვეყანაზე.

— ჰა, რამდენი მეტრია, აბა გამოთვალე ერთი... — ამომძახა ქვემოდან მიხეილმა. — ძალიან გავერთეთ მაგათი ცქერით. რა „ცირკაჩები“ ეგენი მყვანან...

უფროსს ნაწყენი ადამიანის ხმა აქვს. ღელავს, აშკარად ეტყობა, რომ ღელავს. როცა სხვა არის განსაცდელში, მაშინ თუ შეატყობ მას მღელვარებას, სხვა დროს უგრძნობელი, ოდნავ გულცივი კაცის ნიღაბი აქვს აფარებული. ახლა კი იგი ყველაზე მეტს განიცდის და ამიტომ მღელვარებას ვერ მალავს.

— ათი... ათი მეტრი....

დამცველთა და მებარგულთა ბანაკში წუთიერი მდუმარება ჩამოვარდა. ერთმა ფიქრმა მოგვიცვა ყველა, ბიჭებზე, საშიშროებაზე ფიქრმა. მხოლოდ ხანდახან მაღლიდან მონოტონური, ზოგჯერ კი აჩქარებული კაკუნის ხმა თუ ჩამოაღწევს ჩვენამდე. როცა ბურუსი შემოეტმასნება კედელს და ჩვენსა და მეწინავეთა შორის მრუმე ფარდად ჩამოეშვება, კაკუნის ხმა თითქოს ნელდებაო.

დუმილში კი წუთი-წუთს მიჰყვება, ათი წუთი გადის, ოცი, ოცი-

დაათი წუთი. კიდევ ოცი. ერთი საათი. ბიჭები დაიკარგნენ თვალსაწიერიდან...

და უცბად ამ დროს კვლავ აელვარდნენ იმედის ნათურები შორეულ სივრცეში. ზემოდან მაჟალოსავით ჩამოვარდა კაკუნის ხმა. დაძაბულ სახეებზე მსუბუქი ღიმი დაგვთამაშებს.

„ბიჭებმა წინ წაიწიეს...“ — ვიძახით ჩვენ-ჩვენთვის გულში. აქამდე თუ წამდაუწუმ ვისვამდით სახეზე ხელს, რათა წვიმის წვეთები ჩამოგვეწმინდა, ახლა უკვე აღარაფერზე ვდარდობთ. ბიჭები ალბათ ძაბრზე გადიან უკვე, კაკუნი ისე შორიდან მოდის, ნამდვილად ძაბრზე იქნებიან გასულები. სულში ჩაბუდებული შიში განქარდა. იმედის ნაპერწკალი გაკრთა სულში. ნაპერწკალი გაღუზღუზდა, კოცონი აბრიალდა.

— რამდენი მეტრია... გამოთვალე, რამდენი მეტრია... — მიყვირის კვლავ ქვემოდან მიხეილი. იგი და მისი „უმცროსი“ სეხნია რა ხანია მორჩნენ ბარგის შეკვრასა და „ტრანსპორტირებისათვის“ გამზადებას და ახლა ჩვენგან რამდენიმე მეტრზე დაშორებულნი გულისფანცქალით ელოდებიან ყოველ ახალ ცნობას მაღლიდან.

მე და ჯუმბერს გვეუცნაურება მიხეილის ხმა, რაზე შეშფოთებულა ჩვენი ხელმძღვანელი. ჯერჯერობით ხომ ყველაფერი რიგზეა, საქმე, ღვთის შეწევნით, კარგად მიდის — ბიჭები ძაბრზე გადადიან, მაშ რალამ შეაშფოთა უფროსი?

— კაკუნი შორიდან მოისმის. ბიჭები, ეტყობა ძაბრზე გადადიან... — ჩავძახით დაბლა მესამე აბმას — ხილვადობა ცუდია, მაგრამ კაკუნი შორიდან მოისმის...

სწორედ ამ დროს ერთი მძლავრად დაჰბერა აღმოსავლეთის ქარმა. დაჰბერა და მურყნის ქერქივით გადააშვლიპა კედელს ღრუბლის საბლარდნელი. და მოხდა რაღაც უცნაური და წარმოუდგენელი — მეწინავენი სულ რამდენიმე მეტრზე. ამ საათნახევრის წინ ათვისებულ სიმაღლეზე იტკეპნებოდნენ ისევ. ჩვენ კი გვეგონა რომ ისინი მაღლა ძაბრზე გადადიოდნენ, თურმე რაოდენ უსაფუძვლო ყოფილა ეს ალტყინება და სიხარული. არც ისე გამოუცდელნი ვიყავით, მაგრამ მკვრივმა ბურუსმა შეცდომაში შეგვიყვანა. საერთოდ ნურავინ იტყვის — ჭიპი მთაში მოვიჭერი და რა უნდა შემეშალოსო. შეუცდომელი არავინ არის, მეტადრე ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით იმჟამად, ადვილად შეიძლება მოტყუებულიყო ადამიანი.

— ეთი მეტრი... — ღარცხეენილმა ხმადაბლა ჩავძახე ამხანაგებს — ისევ მანღვე იტაეენებიან...

— ოუი ეშმაკს... ოუი... — იწიტება ბრაზისა და სირცხვილისაგან ჯუმბერი.

— ოუი ეშმაკს... — ვიწიტები მეც და...

— საჭიროა მიხმარება... ბიჭებს უჭირთ... — მოისმის ქვევიდან უფროსის ხმა.

რამდენიმე წუთის მერე კი იგი უკვე ჩვენთან არის. ეტყობა, გულმა ვეღარ მოუთმინა და თვითონ ამოვიდა მისახმარებლად. იგი ძირითად სამაშველო თოკში ეჭვება და მეწინავეთა წყვილისაკენ მიცოცავს.

— არ მიყვარს ეს ძაბრები.. ვერ მიუღგები კაცი ვერანაირად, მე გვერდის აცლას ვცდი... — ღრეგვიტოვა ამბაევი და ახალმოყრილ ბურუსის ნაულეტებში გაუჩინარდა. მსოლოდ მოქანავე თოკითღა ეხვეეთით რომ იგი წინ მიიწევს, მოძრაობს. ბიჭები კი დუმან, ეტყობა ძალა გამოელიან, ან იქნებ ძაბრის ღაძლეეის იმედი გადაეწურათ და ახალი გზის ძებნაში გაერთვნენ? წუთიო ისეენებს ალმასიანი შლამბურის წვეროკონა, რომ მალე კელავეც შეუნგრიოს გულისფიცარი თავის უკანისაკენ „მოსისხლე მტერს", გრანიტის კედელს.

გადის რამდენიმე წუთი. მაგრამ ჩვენ ეს ღრო საუკუნად გვეჩვენება. ძნელი წარმოსაღგენია „თამაშგარეთ" აღმოჩენილი მთამსვლელის მდგომარეობა, როცა მის ამხანაგებს უჭირთ წინ წაწევა, ძაბრებსა და შეერილებზე ამაღლება. ღგას იგი ხელ-უეს შებორკილი და ელოდება... ელოდება, რალაცას... ელოდება როდის ატყდება მალლით გამარჯვების ყიჟინა, მაგრამ გამარჯვება რომ ყოველოეს არ ეოდის?

ეა ღგახარ ასე. ძხრეესჩამოყრილი. ხელში „მკვღარი" თოკი გეჭირა, , რომლის მეორე ბოლოზეც კლღეს გირჩენილი, აწ დამარცხებული წყვილია ეამობმული, წყვილი, რომელიც ვერც წინ მიიწევს და ერც უკან. მთამსველელებს უამრავი გასაჭირი და საფრთხე ღაატყდება ხოლმე თავს. მაგრამ ყველაზე საშინელი და აუტანელი მაინც ამ მდგომარეობაში ყოფნაა: იმის ნაცვლად რომ გაინძრე, იბრძოლო და იმოქმეღო, იძულებული ხარ ერთ ადგილზე გახეეღე, ხელში უკვე არაფრისმაქნისი სამაშველო თოკი ჩაბღუჯო, თოკი, რომელ , ირხეოღა, ქანაობდა, სიპებზე მისრიალებდა, სიცოცხლის ძაფად გაბმულიყო ადამიანთა შორის და უეცრად რალაც მიზეზის გამო გაჩერდა, „მოკვდა".

— ყველა თავის ადგილზე დარჩება ვიდრე რაიმეს გავარკვევთ...— მოდის უფროსის ხმა მაღლიდან. იგი, ეტყობა, მეწინავეებთან თათბირობს, თავის მოსაზრებას აცნობს შალიკოს და ჯოკიას.

და აი, რამდენიმე წუთში კვლავ აჩქამდება კოდალა. ახლა უფრო მარცხნიდან მოისმის ქაკუნი. ალბათ უგანეს ძაბრს და იმის მომიჯნავე კლდის ბექს ბურღავენ.

თოკი ჯერ აძაგძაგდა, ადგილზე შექან-შემოქანდა, მერე თითქოს ძალა მოიკრიბაო, ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან. დაიძრა და თან ჩვენს გულში ჩაბუდებული და ჩამოწოლილი უიმედობისა და სასოწარკვეთილების ბურუსიც გაიყოლ' ო თითქოს.

ერთი თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

ჯუმბერს გადავხედე. მის სახეზე კვლავ გაკრთა სიცოცხლისა და სიხარულის ღიმი. (ალბათ იგივე ამბავი იყო ჩემს თავზეც), სიცოცხლის ღიმი, რომელიც იშვიათად შორდებოდა ხოლმე ჩემს მეგობარს.

ბიჭებო, რა ისმის, რა ამბავია... — ქვევიდან მოგვძახის ჯგუფის ტვირთსა და საჭურველთან უმეწყვილოდ დარჩენილი უმცროსი მიმიხეილი. მის ხმაში სევდა და მოწყენილობა ჩანს. ვინ უწყის რა ფიქრები მოეძალა ასეთი, მაგრამ ერთი რამ კი ნათელი იყო: მარტოობას, ხომ შეიძლება ემოქმედა მასზე. მთაში ბევრ რამეს შეიძლება გაუძლოს კაცმა. ბევრი რამ გადაიტანოს როცა ამხანაგი გვერდითა ჰყავს, ხმის გამცემი ადამიანი, ჭირისა და ლხინის მოზიარე, მაგრამ ამისი იმედი ნუ გექნება მარტოდ შთენილს, უმეწყვილოს, უამხანაგოს...

— თოკი დაიძრა... მე მგონი უტევენ... — გაეპასუხა ჯუმბერი მიხეილს.

— შენ მანდ ხომ არ მოიწყინე? — ჩავძახე ქვევით.

— მოვიწყინე? — გაიცა მიხეილმა — მოწყენა მანდ მოიკითხეთ, თორემ მე რა მიჭირს, ერთი შემომხედეთ... .

— რას იბრიქები ნეტავი, ანგელოზები ხომ არ გესტუმრნენ?

— უიმათოდაც რომ კარგადა ვგრძნობ თავსა? რა თავში ეიხლი ანგელოზებს, ჰა?

— რას გეედიდგულები ნეტავი არ გვეტყვი? თუ საიდუმლოა, ნუ გათქვამ, კარგად შეინახე...

— შენახულია და ეს არიიი... მაგრამ თუ მოესურვა, გეახლებით კიდეცა...

— ჰეი, შენ მანდ დაწურულ თაფლის მათარს ეოხადე პირი, არა? მოიცა, ავძახო მაღლა, მოიცა... — დაეშუქრა ნერწყემომდგარი ჯუმბერი ამხანაგს.

— ვერა, ვერ გამოიცანი... აბა, თუ გაიხსენებ ტყავის ხალთაში რა ჩავალაგეთ მე და შენ?..

— ტყავის ხალთაში? — საგონებელში ჩავარდა ჯუმბერი ვაშლი... ჩართოლანების „შემოწირული" კეხურა... შენ მანდ ხელის ფათურს გაანებე თავი, გაიგე?

— რატომ ვითომაო? წყალი თუ მწყურია, პირი რიღათი დავისველო?

— ეშმაკსაც წაულიხარ, რა ჩემი საქმეა შენი წყურვილი... იქნება შენ მთელი დღე ვერ დაიკმაყოფილო წყურვილი, ჰმ...

— ჰო და იმას არ გეუბნებოდი, რა მომაწყენს-მეთქი... უშბაზე წყალი და საჭმელი თუ გაქვს, არ გცივა და არაფერი, რაღა მოგაწყენს კაცს... მე კი გინდა ექვს საძილე ტომარაში ჩავიფუთვნები... ჰი... ჰი... — ნიშნისმოგებით ამოსძახა მეგობარს მიხეილმა.

ჩვენი საქმე ვერ იყო კარგად. კამათითა და ჩხუბით არაფერი გამოგვდიოდა მიხეილ უმცროსთან, ყოველ შემთხვევაში ჯუმბერმა ვეღარაფერს მიაღწია დაშინება-მუქარით, ამიტომ გადავწყვიტე შემრიგებლური პოზიცია დამეკავებინა.

— საჩხუბარი რა გვაქვს, შე კაი კაცო, მეზობლები ვართ სხვა თუ არაფერი. ერთი, დიდი-დიდი, ორი სართული გვაშორებდეს, მეტი ხომ არა, ერთი კორპუსის მობინადრენი რო ვართ, ეგ ხო ნალდია, შესასვლელიც ერთი გვაქვს, მხოლოდ სართულები გვაშორებს. ეგ კი რა სახსენებელია... ჰო და „ძმა ძმისთვისო", — ნათქვამია, რო მკითხო, მეზობლებზეც იგივე ითქმის...

— ეგ უკვე სხვა საუბარია — იცინის მიხეილი და ჩვენს გამოსაჯავრებლად ხმამაღლა ახრამუნებს კეხურას.

— მოწყალეო ხელმწიფეო, მოგვიტევე უგუნურებისათვის და მოიღე წყალობა, ნუ ჩადგები მშიერ-მწყურვალთა და გაჭირვებულთა ცოდვაში. უშველე მათ, დამშლილებულთა და დავრდომილთა, მოწყალეო ხელმწიფეო... მართლაც ნერწყვმომდგარი ეეეედრები მიხეილოსტიგანს — ჩვენს მეპურპლეთუხუცესს ამჟამად.

ამ დროს ვიგრძენი თოკის რხევა. მან ერთი ძალუმად გაიწია შექან-შემოქანდა, თითქოს ფშიდან ახლად ამოყვანილმა კალმახმა გაიფრთხიალა ხელშიო, თანდათან გაცურდა. გასრიალდა. კაკუნის ჩქამიც უფრო შორიდან მოისმოდა, ცხადი იყო, ბიჭებმა გატეხეს ყამირი და მაღლა და მაღლა მიიწევდნენ ფრიალოებზე.

— „ეჰეჰეეი..." — მინდა დავიღრიალო სიხარულისაგან, მაგრამ ჯუმბერის მშვიდ მზერას რომ ვაწყდები, ჩემი შინაგანი ალტყინება

ცხრება. მის ცვრიან სახეს ციცი ნისლის ფთილები ელამუნება. დარწმუნებული ვარ ჯუმბერს ჩემსავით უხარია თოკის სრიალი, მაგრამ არ იმჩნევს, თავს ერევა.

„მაინც როგორ ახერხებს იგი ასეთი დაძაბულობისას სიმშვიდის შენარჩუნებას?“ — მიკვირს მე. საერთოდ მთამსვლელები ძალიან ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, ბევრი რამით და უპირველეს ყოვლისა აუღელვებლობითა და სიტყვაძუნწობით, აგრეთვე სიდარბაისლით.

განსხვავებაც არის მთამსვლელებს შორის, რაც გამოიხატება ზეშოთ ჩამოთვლილი ნიშანდობლივი თვისებების სიმძაფრესა თუ მოჰარბებულობაში, ამ წუთში ჩემს გვერდით კედელზე მიბმულ, ხელში სამაშველო თოკჩაბლუჯებულ ჯუმბერს ვეღარც კი ეცნობდი, ასეთი მშვიდი, და საქმიანი იშვიათად მენახა იგი.

ჯუმბერი რაღაცით თითქოს მიხეილს წაგავდა. მიხეილზე ითქმოდა, ისეთი გულისაა, ვერ გაუგებ, რომელ მხარეს უფეთქავსო. მიხეილს ყველაზე გაჭირვების ჟამსაც ვერ შეატყობდა კაცი აღელვებასა და სულის წრიალს... არა და, როგორც ხელმძღვანელი სავალალო შედეგებისათვის, იგი იყო სწორედ უპირველესი პასუხისმგებელი.

ამ წუთში კი ჩემს წინაშე ჯუმბერ კახიანი იდგა და არა მიხეილი: „დაიყვირე, რაღას უცდი, ციცი რომ გაგიხარდა...“ ვეუბნები გულში ამხანაგს, მაგრამ იგი თითქოს ვერც ამჩნევს ჩემს დაჟინებულ მზერასო, კვლავ მაღლა იხედება. მეხანძრის ქუდიანი ქამა სოკოსა ჰგავს. წვიმისაგან ერთიან დასველებია სახე, წყლის წვეთები წურწურით ჩამოუყვება ღაწვებზე, და ნიკაპიდან სრიალ-სრიალით ჩაჰყვება საყელოში, ჩამოქნილი და მთამსვლელისათვის დამახასიათებელი სახე აქვს, თვალები — შორსმხედველი, ოდნავ მოჭუტული, გეგონება სულ პორებისა და ნაჩვრეტების ძებნაშიაო. იგი ჩასჭიდებია თოკს, რომელზეც წინ წასული ამხანაგები არიან გამობმული. და რომ რამე მოხდეს, მე თუ ვერა, დარწმუნებული ვარ, იგი მოახერხებს რაღაცას. მე თუ დავიბნევი, ჯუმბერი არ დაიბნევა. იმიტომ რომ იმას უფრო ყოჩაღად უჭირავს თავი.

მე რომ გამჭირვებოდა რამე პირველ რიგში ჩემი თანამეწყვილე ამომიდგებოდა გვერდში, იგი გაიზიარებდა ჩემს დარდსა და სატკივარს... არაფერს არ დაიშურებდა ოღონდ როგორმე ჩემი სიცოცხლე ეხსნა. და მისი პალოც რომ მომწყდარიყო და თვითონაც უკან გამოდევნებოდა უფსკრულში, დარწმუნებული ვარ ჩემს სახელს დაიღრიალებდა ქარაფთა ლაბირინთში თეეზიეთ გადაშვებული...

და უეცრად რაღაც თბილი, საოცრად თბილი, ჯერეთ განუცდელი, ყოველისმომცველი გრძნობა მომაწვა ყელში. არ ვიცი, რა მოხდა იმ წუთ ი, მაგრამ ნათლად ვიგრძენი — ლოყაზე რაღაც ჩამომისრიალდა, რაღაცამ თბილად დამიარა და მომიღუტუნა, ეს ცრემლი იყო, უეცრად მომსდარი თვალთა უპეს, ცრემლი სხეულიდან უეცრად გადმოქონილი.

„ვინ, ვ[illegible] უნდა მიყვარდეს მე ამ კაცზე მეტად? ძმები, ნათესავები? ნუთუ [illegible] ითლა სისხლით ნათესაობაზეა დამოკიდებული ადამიანთა მაღალი სი[illegible]რული და არა მათს ურთიერთგაგებაზა და სულიერ სიახლოვეზე?" - კფიქრობდი ჩემთვის გულში.

უცბად მომინდა გადავხვეოდი ამხანაგს და გადამეკოცნა იგი, რაც სხვა დროს არც როდის გამოკეთებია, მაგრამ როგორღაც თავი შევიკავე. ცალი ხელი სამაშველო თოკს შევუშვი და მაღლით ცქერაში გარინდებულ ამხანაგს დავეყრდენი მხარზე...

ჯუმბერმა ერთი კი გადმომხედა, სახეზე შემავლო მზერა, მაგრამ თვალთაგან გადმოღვრილ ცრემლს როგორ შენიშნავდა ამ წვიმასა და ავდარში?

- ამოჰყვევით სამაშველი. თოკს... — მოვიდა ამ დროს მაღლიდან ბრძანება — ფრთხილად ამოჰყვეით...

პირველი მე გავუდექი გზას. ჯუმბერი უკან უნდა მომყოლოდა. მაგრამ მან უარი განაცხადა — მე დავრჩები, მიხოს მოვეხმარები ბარგის ამოზიდვაშიო. თითქოს რაღაც მეწყინა. მაგრამ თავს მოვერიე და არაფერი შემიმჩნევია—მიხო მარტო იყო, ყველაზე უფრო ამ წუთში იმას უჭირდა, უჭირდა თუნდაც იმიტომ რომ ბაიბურში არ იყო—რა ხდებოდა მაღლა, ძირითადი თოკი მხოლოდ ჩვენამდე აღწევდა და ეს უპირველესი შუამავალი და კავშირის ძაფი მას აღარაფერს აუწყებდა..

— ჰო, რა თქმა უნდა... — მყის დაეეთანხმე ჯუმბერს და ფრთხილად გავდიე თოკს. შლიამბურის პალოები საყურეებად აჩნდა სველ გრანიტს, საყურეებში გაყრილი თოკი მაღლა მეწეოდა, მას ახლა ამხანაგები ჩასჭიდებოდნენ მეორე ბოლოში და მე უკვე არავითარ მოსალოდნელ ხიფათს და საშიშროებებზე არ ვფიქრობდი. მალე ხელშეუვალი ძაბრი გვერდზე მოვიტოვე მის გლუვ. მოჭიქულ ზედაპირზე მზიან ამინდში ალ[illegible]ათ სარკესავით აირეკლებოდა მზის სხივები. ‍ ‍ ‍

— მიხეილი? სად არის მიხეილი? — ვკითხე ბიჭებს როგორც კი ძირითადი თოკიდან მოვეხსენი და ირგვლივ მიმოვიხედე, ჩვენი ხელმძღვანელი ახლ-მახლო ვეღარსად დავლანდე, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

— მიხეილი? — შალიკომ მარჯვენა მხრით გამავალი ნაპრალი შეათვალიერა. — აი ამ ლრეჩოს გასდია, — დღეის გეგმა სანახევროდ მაინც შევასრულოთ როგორმეო...

— ხო, ასე თქვა.. — დაემოწმა შალიკოს ჯოკია.

ნაპრალი ნახევარმეტრიანი სიღრმის სარტყელს წარმოადგენდა, იგი ჩრდილო-აღმოსავლეთით მიემართებოდა და რაღაც სამიოდე მეტრზე სქელი ბურუსის სამოსელში იკარგებოდა. ამ ბურუსმა შთანთქა ჩვენი უფროსიც, ახლა, ამ წუთში უფროსის ასავალ-დასავალისა არაფერი ვიცოდით, მაგრამ მის შეუპოვრობასა და სიმარჯვეში რომ ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი, დიდად აღარას ვდარდობდით.

მალე კი ჩვენს თავს ზემოთ კოდალა აკაკუნდა. კაკუნმა ჩვენი გულისცემაც აიყოლია.

„ერთი, ორი, სამი..." — ვითვლიდით ჩაქუჩის დარტყმებს, ხოლო თანდათან მინავლებული და შორეული ჩქამით კი მიხეილის მიერ დაძლეულ და ათვისებულ მეტრებსა და ნაბიჯებს ვანგარიშობდით. რაოდენ დიდი სიხარულის მომგვრელი იყო იმისი შეგრძნება რომ ჯიუტი, ესოდენ ხელშეუვალი და ბრისხანე კედელი ბოლოსდაბოლოს ნებდებოდა ადამიანებს, ქედს იხრიდა მათი ნებისა და მონდომების წინაშე. მათი ძლიერებისა და ყოვლისშემძლეობის წინაშე... და რაოდენ მწარედ განიცდიდა ყოველივე ამას ალბათ გულგოროზი უშბა. რაოდენ მტკივნეული იყო ყოველი პალოს ჩარტყმა და ფოლადის ჩაქუჩის გაკვესება მის ზედაპირზე...

ნაპრალთან ამოყო თავი ჯუმბერმაც ხოლო სულ ბოლოს მიხომ ამორგო თავი. იგი თანამეწყვილეს „დაკარგვით" დადარდიანებული მორჩილად მოათრევდა მაღლა ჩვენს სალაშქრო აღჭურვილობას, სურსათ-სანოვაგეს.

— შენა! რაღას დასცქერი მიეხმარე, რაღა... — ვუთხარი ღიმილგამკრთალ ჯუმბერს, — აკი იმისთვის დარჩი ქვემოთ, მიხოს უნდა მიეეხმაროო...

— იცი, რა? სულ გაუთავებია გაიგე? ერთი მაინც შემოენახა, მაშინ მართლაც მივეხმარებოდი. ჩემი ჩალაგებული მაინც არ იყოს იმ ხალთაში... სულ დაუცარიელებია...

— რაშია საქმე? — გვეკითხებიან შალიკო და ჯოკია — რა ჩაიდი-

ნა ასეთი მაგ საცოდავმა? — ისინი ბაიბურში არ არიან, იმათ უფრო მიხეილი ეცოდებათ. ძარტოხელა რომ ეზიდება მთელი ჯგუფის სურსათ-სამოვაგესა და სათადარიგო აღჭურვილობას.

— მაგი რომ იცოდეთ, წეროს სკინტლივით გადაუძახებდით ქარაფებში ჩვენს მებარგულსა, აბა... ისევ ისა სჯობს მეტს ნულარაფერს მკითხავთ, თორემ რაღაც უსიამოვნო ამბავი არ მოხდეს...

— ისკინტლება ი წეროა თუ რაღაც ეშმაკი? რა იცი რომ ისკინტლება? დაგინახავს როდისმე? — შეეკითხა ჯუმბერს შალიკო.

— წეროს სკინტლი არავის უნახავს. რამდენჯერ გვიყურებია ბავშვებს გადამფრენი წეროების სავსავისათვის, მაგრამ...

— გამოვთქვი მეც მოსაზრება ამ საკითხზე.

— ჰი... ჰი... რა ჭკვიანი მყავხარ. იმაზე რად არ ფიქრობ, იქნებ ვეღარ ჩამოალწია იმ სიმაღლიდან თქვენამდე, ჰა? — სიცილი აუტყდა ჩემს ნათქვამზე მიხოს, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა.

— რაო, მეტეორი ხო არაა, ის სკინტლია თუ რაღაცა რომ უკვალოდ გაჭრეს სივრცეში? რაებს მიჰქარავ, ჰა? — ენა გამოუყო მიხოს შალიკომ.

— თოფი თუ გისვრია შენ ჰაერში? გამომწვევად შეეკითხა მას განაწყენებული მიხო.

— თოფი? რა შუაშია თოფი? — მხრები აიჩეჩა შალვამ.

— მოიცა, კარგ რამეს ამბობს. მე დაახლოებით ვხვდები, რაც უნდა თქვას... — ჩაერია მათ კამათში ჯოკია — ეტყობა არ გისვრია, არა? თქვი, განა სირცხვილია, გისვრია ცაში? ისე, დაუმიზნებლად?

— რაზეა მაინც ლაპარაკი, იქნება ჩვენც გაგვაგებინოთ? დაუმიზნებლად ვინ ჭკვიანი გაატყვრენს იარაღს?

— აი, გავიდოდით ბიჭები შუაგულ მინდორში, გაზეთებს წავიღებდით და დაეფენდით. მერე თარაზოთი თოფის ლულას შვეულად დავაყენებდით და დავაჭუხებდით. ყველანი სულმოუთქმელად ველოდით როდის ჩამოცვივდებოდა საფანტი გაზეთებზე. ველოდით, მაგრამ ამაოდ. სად იკარგებოდა საფანტი ეშმაკმა უწყის. იქნება თქვენ ამიხსნათ? — თქვენც ნახეთ რა სალაპარაკო.

ის მითხარით ბოლოსდაბოლოს, რა გააკეთა ასეთი მიხომ? — ეცადე ამხანაგების გაჩუმება — ნეხვი და სკინტლი სხვა დროისათვის შემოინახეთ...

— ვუთხრა, რაც ჩაიდინე, შე უსინდისოვ შენა? — შემცოდებელი მზერა მოავლო მიხოს ჯუმბერმა.

— უთხარი. ხახვი არავინ დამაჭრათ ყურზე. სკინტლზე კი რას გე-

ტყვი, იცი? შენ უნდა გაულაპოს კაცმა, რომ ენას კბილი დააჭირო, ბაიგე?

— მთელი ხალთა კეხურა სულ გადაუსანსლავს, მე და გიეიმ რომ წავასწარით უკვე გვიან იყო. უკანასკნელი ვაშლი დაეხელთებინა და ბმის ხრამუნში გართულს ცა ქუდად-არ მიაჩნდა, დედამიწა ქალაქნად. ერთი ნამცეცი მაინც შემოეთავაზებინა მაგ ოხერ-ტიალს, თითქოს ჩვენ ცით მოფრენილები ვყოფილიყავით... — ბრაზობდა ჯუმბერი.

— ხოოო... — ერთხმად აღმოხდათ შალვას და ჯოკიას. თავიდანვე ეგრე გეთქვა, ერთი კლდის ნატეხი და მაგისი სახსენებელი მართლაც იმ საფანტივით გაქრებოდა, მაგ უსინდისოსი... — ნერწყვმომდგარმა შალვამ ენა გაწკლაპუნა.

მიხეილმა პასუხად შარვლის უკანა ჯიბიდან წითელ-წითელი კეხურა დააძრო და გემრიელად მოკბიჩა.

— აი, შეხედეთ, შეხედეთ... ახლაც დაინდობთ. ამ კაცს ა? — გამარჯვებულის იერით დაიძახა ჯუმბერმა — ხალხნო და ჯამაათნო, გულზე დაიდეეით ხელი და ისე თქვით, რა ჰქვია ამნაირ კაცსა?

ნეზვი ხადიშ... ნეზვი ხადიშ!..[1] — ერთხმად წამოიძახეს დანარჩენებმა, რომელთაც, ეტყობა, ჯუმბერზე არანაკლებ აწუხებდათ მოძალებული წყურვილი.

მაგრამ მიხოს თითქოს არაფერიც არ გაუგონიაო, დამშვიდებული განაგრძობდა თავისთვის ხრამუნს.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მიხოს უტიფრობით გაოგნებულმა ჯუმბერმა ამხანაგებს გადახედა — რო ჩამოგიყრიათ ყურები, უთხარით ამ კაცს რამე, შეაგონეთ და შეაჩვენეთო,

— თითო კეხურა ახლა ჩვენც არ გვაწყენდა, ეს ოხერი პირი უდაბნოსავით მაქვს გამშრალი, ჰი... — უეცრად მოლბა ჯოკია, რომელიც ტკბილსიტყვაობით ცდილობდა ხოლმე მოწინააღმდეგის გულის მოგებას. მაგრამ დღეს მიხოსთან ეს ხერხი არა და არ ჭრიდა. მიხოს არც მოუხედავს მისკენ, იჯდა ბაქნის ბოლოში და გემრიელად ახრამუნებდა კეხურას.

— ეს რა უტიფრობაა, ღმერთო ჩემო, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა — ყურებზე აიფარა ხელი ჯუმბერმა — ხალხო, ამას რას შევესწარი...

---

[1] სვ. ღორმუცელა.

— ხერგიანები გვიჩოლბოტებენ და ის არი, არიქათ, ბიჭებო, ვუშველოთ თავსა... — წამოვიძახე მე.

ჯოკია მაინც არ იტეხდა იხტიბარს. თოკიდან მოეხსნა და მიხოსთან ჩაცოცდა. მხარზე გადასდო ხელი ამხანაგს და დაუყვავა:

— ე, მაგას თუ უგდე ყური, შეიძლება ქვეყნის დამქცევადაც კი მოგნათლონ ხერგიანები, სველი ენა ყველაფერს იტყვის, ხო იცი, მაგრამ ვილა დაუჯერებს ამას? რაც შემეხება მე, ერთი აუგი სიტყვა არ დამცდენია შენზე არაპოდეს... ყოველთვის შენი გულის მოგებას ვცდილობდი, აი, ახლაც მზადა ვარ, გემსახურო, მიბრძანე რაც გინდა, შენი ხმალი და ჩემი კისერი... აი... — წაიგრძელა ჯოკიამ თავისი ძარღვიანი კისერი. — უმები თუ გყოლიათ ოდესმე ხერგიანებს, იმათსავით მიმსახურე...

ჯოკიას ვედრებამ ბოლოსდაბოლოს გასჭრა, მიხეილმა ერთი ამრეზილად გადმოჰხედა და ამ ბზერას კეხურაც მოაყოლა, რომელიც კვლავ უკანა ჯიბიდან ამოაძვრინა.

ახლა ორნი ახრამუნებდნენ კეხურას. მაღლა ბიჭები კი ბრაზით სკდებოდნენ გულზე. ოღონდ კაცი ვერ გაარკვევდა, ვისზე უფრო იყვნენ გულმოსულები ამჯერად — მიხოზე თუ „მოღალატე" ჯოკიაზე.

მაგრამ მათ სულაც არ ადარდებდათ ეს ამბავი. ისხდნენ და შეექცეოდნენ.

— მოიცათ, მოვიდეს ჩხეიმლიანი და მერე გიჩვენებთ სეირსა, — იმუქრებოდნენ მაღლიდან.

ჩხეიმლიანის ხსენებაზე მიხო და ჯუმბერი ორთავენი შეკრთნენ, თითქოს ახლალა გაახსენდათო მისი არსებობა.

ვიცოდით უფროსის მომთხოვნელობის ამბავი ასვლების დროს. ჩვენი თავაშვებული ხუმრობა შეიძლება უადგილოდ მოსჩვენებოდა, კვების რეჟიმის დარღვევად მიეჩნია, მაშინ რალას შვრებოდი? მაგრამ თავში ყველა კაცს ეშმაკი რომ უზის ამაში ახლაც ღრმადა ვარ დარწმუნებული. მით უფრო ამ ეშმაკთა საუფლოში ეგ რაღა გასაკვირია.

— იცით რას გეტყვით თქვე დოყლაპიებო? ჩხეიმლიანთან იქითა გვაქვს ჩვენ სადაო. აი, მაგალითად, მიხოს ამბავი ავიღოთ, მიატოვა და მთელი ბარგი-ბარხანა მაგას დაურჩინა ჭირად, რალას ფიქრობდა? მიხო რა, დაქირავებული მებარგულია. თუ რა? გიფიქრიათ ამაზე ვინმეს? ეს უსამართლობაა, ამხანაგებო და მეტი არაფერი — აქეთ შემოუტია შალვას და ჯუმბერს ჯოკიამ.

— მერე შენ რა? შენ რომელი მეცამეტე გოჭი ხარ. პირი რომ ჩაიტკბარუნე იმაზე ლაქლაქებ ასე?

— თფუი ეშმაკსა, თფუი ეშმაკსა... — გადააწიტეს ზემოურებმა. — კუმ ფეხი გამოჰყო და მეც ნახირ-ნახირაო. ისე არაა შენი საქმეც?...

— ჰო და ყოველივე ამის მერე ერთი კეხურა რომ შეყლაპოს კაცმა, ყელში უნდა ამოადინოთ? ერთიც რო თავის ერთგულ მეგობარს უწილადოს, ამაზე შუშისხელა უნდა გაგიხდეთ თვალები? ასე არ არის? — დაიმოწმა ჯოკიამ მიხო.

— ჰო... მა რა...

ამ დროს თოკი შეირხა. მაღლიდან ხმაური მოვარდა. მალე კლდის ღარში ზღვის ლომივით გალუმპული მიხეილი ჩამოცურდა. ბოლქვებად შეფენილ ღრუბლის ქულას მოჩვენებასავით გამოეყო მისი მოჭნილი სხეული და თვალის უსწრაფესად დაეშვა ჩვენთან.

ბაქანზე კამათი შეწყდა. მე უმალ ჩემს ადგილს მივაშურე. ვისაც დაცვა გვეევალებოდა თოკს ჩავავლეთ ხელი, ისე გავიჯგიმეთ და დავიძაბენით თითქოს უშბა იქცეოდა და ის უნდა შეეეკვეებინა. მიხეილი უხმოდ ეშვებოდა. ეს იმას ნიშნავდა რომ საქმე კარგად ვერ იყო, ზევით წასელა რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი, თვითონ ჩვენთან არ ჩამოვიდოდა.

მიხო პირველი მოუხვდა თავის სეხნიას განზრახვას და უხმოდ დაიწყო ბარგის გახსნა. ჩვენ კი ვფიქრობდით — კიდევ კეხურას ხომ არ დაეძებს ზურგჩანთაშითქო. შალიკოსა და მის მომხრეებს შეიძლება ბრაზიც მოაწვათ ყელში.

— რას გახევებულხართ. პალოებისათვის ღრეჩოები მოათვალიერეთ... — ამოგვძახა მიხომ ქვეშოღან.

ღრეჩოებზე ზრუნვა ამ მომენტში შალვას და ჯოჯიას ევალებოდათ. შე და ჯუმბერი ხომ დაცვაზე ვიყავით გაპირობებულნი. რადგანაც უფროსის მითითება არ გვქონდა დაცვის მოხსნის თაობაზე თვალებიდან ნაპერწკლები გვცვიოდა, ისე დაძაბულნი ჩავსჭიდებოდით სამაშველო თოკს.

შალვა და ჯოკია მალევე დაუცურღნენ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. ოარო ზედმიწევნით მოსახერხებელი ადგილი აღმოჩნდა ღამისთევისათვის. ყოველ შემთხვევაში, ექვს ადამიანს თავისუფლად დაიტევდა აღნიშნული ბაქანი. ეტყობოდა ღრეჩოებიც მოინახებოდა ახლომახლო. ამის იმედს ჩვენგან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გაყოლებული კლდიანი ღარი გვაძლევდა, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ მიხეილი ჩამოჰყვა.

საერთოდ მთაში და მეტადრე მწვერვალზე სარტყელებისა და ღარების არსებობა ქანისა და გრუნტის სირბილეზე მეტყველებს. და

მთამსვლელს ისე უხარია ღარების და მათგან წარმოქმნილი კლდეხვრელების დანახვა როგორც მოშივნულ არწივს საკბილოს მოლანდვა, — მოგულება. ღრეჩოები და პორები პალოს გამოყენების საშუალებას იძლევიან. ხოლო ეს უკანასკნელი კი ადამიანს ანთავისუფლებს ზედმეტი, მომქანცველი, გამომფიტველი შრომისაგან. — შლიამბურის პალოებით კლდის ბურღვისაგან, რომელსაც შრომატევადობითა და სიმძიმით მარტოოდენ ქვისმთლელის, ან იქნებ მოქანდაკის შრომა თუ შეედრება; შაგრამ ქვისთლა სიძნელის თვალსაზრისით ახლოსაც ვერ მივა კლდის ბურღვასთან, რადგანაც მოქანდაკეცა და ქვისმთლელიც მჯდომარე, ან ფეხზე მდგომი მუშაობს, რაზეც მთამსვლელი მხოლოდლა თუ იოცხებებს — მას შლიამბურული პალოს გამოყენება ხომ ძირითადად უარყოფითი დაქანების გრანიტოვან კედელზე უხდება, სადაც იგი მოკლებულია მიწიერ მცირედ საყრდენსაც კი.

მთელი სხეულით ერთ ბეწო თოკზე ჩამოკონწიალებული ძალადაცლილი უთაქუნებს ჩაქუჩს, თოკზე, რომელიც მაცდუნებლად ირწევა თვალშეუვლები უფსკრულის თავზე. ხანდახან, როცა ბურუსი მოეფინება არემარეს — ღრმა ნაპრალოვან გარეშემოს თვალსაწიერიდან მოსწყვიტავს, საშიშროების შეგრძნება თითქოს მცირდებაო, მაგრამ სინამდვილეში ხომ არაფერი შეცვლილა. ბურუსიანი ამინდის გამართლებას მხოლოდ ამ თვალსაზრისით თუ შეეცდება მთაში ადამიანი.

— ჰამაკები და... ძილი! იქნება სიზმარში წმინდა გიორგი გამოგვეცხადოს ვინმეს. იგი მიგვასწავლის როგორ გადავახტეთ თავზე მწვერვალისწინა ბექობს. ნუ გეშინიათ ქვათაცვენისაგან მოსვენება არავის დაგვიფრთხება, უშბის სახურავი კაკარდიანი ქუდივით გადმოგვმხობია თავზე...

— შეგვეწიე, მაღალო ღმერთო. დაგვილოცე ხვალინდელი გზასავალი — ჩაიბურდღუნა ვიღაცამ ხმადაბლა.

მერე კი მაღლიდან მოსალამოებამდე მოისმოდა უდღეური კაკუნი. კოდალა უკაკუნებდა მუხის ხეს. იმის ნაფოტებად დანაკუწებას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ვიდრე სხვები ეწყობოდნენ, ჩხვიმლიანს გულმა ვეღარ მოუთმინა და მეორედ ეწვია მწვერვალისწინა სახურავს...

იგი ებრძოდა უშბას.

კლდის ნატეხზე ვზივარ. ჩრდილოეთისაკენ ვიხედები. არაფერი ჩანს. საშინელი ბურუსი ჩამოწოლილა, მრუმე ფარდად ჩამოფარვია იგი სვანეთის კავკასიონს.

სცრის.

„იქ თოვს ალბათ... იქ, უშბაზე არასოდეს არ სცრის, უშბაზე ყოველთვის თოვს“...

ჩემს ფეხებთან ჩათინის მყინვარი იწყება. მისი თეთრი და ნაპრალოვანი ზედა წელი ჩამოწოლილ ბურუსს ჩაუჩუმქრავს. ქშინავს, ცოცხალ არსებასავით ხმაურობს იგი. ამ ათასწლოვანი თოვლის სილრმიდან განუწყვეტელი შხუილი მოისმის, ზღაპრული გველეშაპივით ებერება თითქოს ფილტვები და ძილნაკლულივით ხროტინებს.

„— შენ მაინც მითხარი რამე, ჩათინის მყინვარო. ხომ მოგიხვევია მწვერვალთ დამპყრობთათვის მძლავრი მკლავები... ჰო და გეცოდინება — როგორ არიან, ხომ არ სცივათ. ხომ არ სწყურიათ. რას შვრებიან, რას აკეთებენ. ადიან თუ ერთ ადგილზე იტკეპნებიან... ეითხარი რამე. ჩათინის მყინვარო, მითხარი...“

მაგრამ მყინვარი ცივია და უდარდელი, უგულო და შეუსმენელი. ყურსაც არ აბარტყუნებს, თითქოს არც გაუგონიაო ჩემი ვედრება. არა, მყინვარი არაფრის თქმას არ აპირებს.

მე კი მინდა გავიგო ბიჭების ამბავი. ამისათვის ვზივარ მთელი დღე ამ გაყინულ ნატეხზე და ჩრდილოეთს გავცქერი ყელმოღრეცილი და გულმოფანცქალე. ველოდები შუშხუნებს — თეთრ შუშხუნებს, მაგრამ ირგვლივ ცივი, ნაცრისფერი ბურუსი დგას და არაფერი ჩანს. არც გუშინ მოგვილანდავს რაიმე, დღეს კი ცხრას გადასცილდა მაგრამ თეთრი, მწვანე და არანაირი შუშხუნა არ ჩანს.

უკვე წვიმს. მსხვილად წვიმს. მერე წვეთები კიდევ უფრო მსხვილდება და თეთრდება. ესე იგი თოვს. მე მაინც ვზივარ. ცხრა საათია და ისე ვზივარ... თოვს... ველოდები... ამაოდ... არაფერი ჩანს, არაფერი. წვიმდეს, თოვდეს, რა ვუყო, ალბათ ასეთია ნება წმიდა ელიასი, ოღონდ გამოჩნდეს თეთრი შუშხუნა და აღარაფერს დავეძებ

ათის ნახევარია. ზეცით მრუმე ფარდა ჩამოეშვა. წყვდიადი განეფინა არემარეს. თვალთან თითს ვერ მიიტანს კაცი. მე კი ისევ ვზივარ. მინდა დავამარცხო ეს წყვდიადი, ეს სიჩუმე და მწვალებლური შოლოდინის შემოტევა, უჩინარი წამები და წუთები მინდა მოვ-

თოკო, თვალსა და ხელს შუა რომ მიჰქრიან ამქვეყნიური უსასრულობის ლაბირინთებში, უმოწყალოდ რომ მიჰქრიან...

მწვერვალი კი არ ჩანს. არაფერი არ ჩანს. არსაიდან ჩამიჩუმილ ო, როგორ მინდა შუშხუნა — თეთრი ან მწვანე.

მეტი არაფერი არ მინდა.

ეჰვსს გამოვაკლოთ ერთი ხუთს გამოვაკლოთ ორი...

— რა უცნაურია ეს წუთისოფელი, არა? — ხვნეშა-ხვნეშით მეკითხება მიხო.

— რა თქვი? — თავში ილიკოზე ფიქრი მიტრიალებს, იმის ცოლშვილზე ფიქრი. შინ რომ ვყოფილიყავ ამ გუნებაზე, ალბათ ყველასაგან განვმარტოვდებოდი, მივიმალებოდი და მივწვებოდი სადმე.

სხეული ერთთავად დამძაბუნებოდა, ოავი კი მიტრიალებდა. ასეთი გამოფიტული, უსიცოცხლო და უაზრო განწყობაზე არასოდეს ვყოფილვარ. უცბად ვიგრძენი მუხლებში სისუსტე, პირველად ჩემს სიცოცხლეში გამკენწლა გულმა.

ქართველი კაცი ამ სიმაღლეზე ... ღასაფლავებულა ჯერ. მისი ნეშტი ქარების ანაბარა არასოდეს მიუტოვებიათ. ილიკო კი, ყველაზე მალალი კაცი ამიერიდან მიუსაფარი დარჩებოდა. რა იქნებოდა მის მშობლიურ მესტიაში ამ საზარელ ამბავს რომ გაიგებდნენ?

რამდენი სვანი, კავკასიონს გადალმა საცხოვრებლად თუ საშოვარზე გადასული ალსრულებულა უცხო მიწაზე, მაგრამ ამხანაგო თუ ნათესავთ აროდეს დაურჩენიათ იგი შორეთში, ზარის ერიალით გალმოჰყავდათ უბედური ნადირთა წავარნებზე. ახლა კი უნდა ღარღვეულიყო მამა-პაპათა ძველისძველი ჩვეულება — უიღბლო კაცის მშობლიურ, ნაკურთხ მიწაზე მიბარებისა. რა იქნებოდა, როცა ხუთის ნაცვლად ოთხნი დაბრუნდებოდნენ თბილისში? და სამის ნაცვლად ორნი — მესტიაში? რა იქნებოდა?..

წუთით სვანური სამგლოვიარო ზარის ჩქამი მოვარდა საიდანღაც, ტანში ამბურძგლა და შემზარავ ერუანტელად დამიარა. სიცივედ დამიარა, ერთიან კანკალმა შოიცვა ჩემი სხეული.

— უცნაურია წუთისოფელი-მეთქი... — გაიმეორა მიხომ.

გამოვერკვიე...

ჩემი გულჩვილობისა შემრცხვა. გონს მოვეგე. ძალა და გონიერე-

ბა მოვიკრიბე. არა, წუწუნი და ვაი-ვიში არ გამოგვადგებოდა ახლა სანამ პირში სული გვედგა უნდა გვებრძოლა და გვემოქმედა, გვემოძრავა.

— რაზე ამბობ?

— ათას განსაცდელს მოგიელენს. მაგრამ კი არ იცი, — ოდის, სად. გახსოვს, ენგურში რომ გადავვარდი და საშაშვე მახეს ვპირდებოდი, ვინაც მიხსნიდა, რა სასაცილო იყო, არა? კი მაგრამ შენ? შენ ხომ არაფერს შეგპირებივარ ისეთს, რო არ მეშვები?

— გაჩუმდი, გაიგე? გაჩუმდი...

„სანთლით საძებარი კაცი იყავიო, ეოი...
მამა-ბიძათა მოდგმისაო, ეოი,
გაბლიანების სიამაყე, ეოი,"

მოთქვამდნენ მაჩუბის სილრმეში მაოსანი ქალები. ისინი ლიყეებს იხოკავდნენ კერიის ირგვლივ თავმოყრილნი. იქვე იდგა საწოლი. სამიცვალებულო ზეწარგადაფენილი, ოღონდ იგი ცარიელი იყო. საწოლზე არავინ იწვა.

— რაებს ლაპარაკობ, არა გრცხვენია?

მიხოს სახეზე რალაც დამცინავი, ირონიული ღიმილი დასთამაშებს უსიცოცხლო და გაქვავებული თოვლს დამტერებია და წამოწევას არ აპირებს. ამ მცირედ ღიმილში მე მის გულისფიქრს ვკითხულობ: „სულერთია, მაინც ვერ ჩავალწევ. და რადგან ვერ ჩავალწევ რა აზრი აქვს ყოველივეს. შენ რალაზე ირჯები ნეტავი ვიცოდე..."

მკლავი მოვხვიე წელზე და წამოვაყენე. მერე მოხერხებულად ჩავეჭიდე და დავიძარით ადგილიდან. კუს ნაბიჯით მივუყვებოდით დასავლეთი მწვერვალის ალმართს. ერთი ნაბიჯი... ორი... სამი... აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს კილომეტრიანი მომქანცველი თხემი ბიჯ-ბიჯ შემექმნებოდა დასაქელი? ვინ იფიქრებდა, რომ ზურგზე მეგობრის სიკვდილით გამოწვეული მწუხარებით დატვირთული ხუთი ილაჯგამწყდარი, დავრდომილი ადამიანი თავისი სულიერი და ფიზიკური ძალის უკანასკნელ ნამცეცებსაც ამ ქედის ავლას შეალევდა?

მალე დანარჩენებიც წამოგვეწივნენ.

ერთად როცა ვართ, უფრო გვიიოლდება სიარული. მართალია, ერთმანეთს ვერ ვეხმარებით, მაგრამ მაინც. შუა ალმართზე, ვგრძნობ, სუნთქვა მიჭირს. უნდა დავისვენო, მაგრამ მეშინია, მიხოს არ გაუტყბეს თოვლზე ჯდომა. მისი ადგილიდან დაძვრა ჭირს უფრო, თორემ მერე უხშოდ მობანცალებს, დაგყვება და გემორჩილება. მაგრამ ახ-

ლა მეტი გზა არაა, უნდა დავისვენოთ. ეს ოხერი ქედი არა და არ დამთავრდა, მაინც რამდენი დაგვრჩა ნეტავი?

და აი ნაბატრი წუთები თვალის უსწრაფესად გარბიან. ჩვენ გულიანად ვეწაფებოდით ტიანშანის სულისგამყინავს ჰაერს. ღრმად ესუნთქავთ. სხეული ნეტარებას მისცემია. მაგრამ არა, თოვლზე დიდხანს წოლა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ჩვენთვის. ოი, რარიგ დამძიმებულა სხეული, მაგრამ უნდა დასძლიო როგორმე ეს სიმძიმე. მოიკრიბო მხნეობა და დასჯაბნო ოხერი ცდუნება თოვლზე ნეტარებისა. უნდა... უნდა... უნდა...

— გამანებე თავი, გამანებე რა, თავი... — მიხო გემრიელად გაშხლართულა თოვლზე და თვალმილეული მიშორებს თავიდან.

წვერი წამოზრდია — მოყავისფრო წვერი სახეს უფერმკრთალებს, რომელიც სიგამხდრისაგან კიდევ უფრო დაჰგრძელებია. ცხვირი წითლად შერუჟღვია, ეტყობა მოჰყინვია. ღრმად სუნთქავს. ხანდახან ამოსუნთქვისას მინავლებული კვნესა აღმოხდება თეთრ ფონზე მისი ხელებგადაშლილი შავი სილუეტი ჯვარივით ამჩნევია. თითქოს ვიღაცამ ჩაარჭო დასავლეთი მწვერვალის თხემზეო.

ჯვარი სამარადისო განსვენებისა.

მკვიდრად წევს მიხო. ვერც მე, ვერც სხვა, ვერავინ ვერ წამოაყენებს მას ძალისძალად. ისე გემრიელად და მკვიდრად წევს, ვერავინ დასძრავს ადგილიდან. აბა საამისო ძალა ვიღას ექნება?

— რას გადამეკიდე, გამანებე.. გამანებე თავი... — თავმობეზრებული კაცის ხმით „მიყვირის“ მიხო, უფრო სწორად ხმადაბლა მარცვლავს ამ სიტყვებს. ყვირილის ძალა არ შესწევს და ჩურჩულით მომძახის.

— თუ არ გამიგონებ, იცოდე მოვეხსნები თოკიდან და აი უფსკრულში გადავეშვები... — გულმოსული ჩავძახი მიხოს, თან თოკის ყულფს ვეფათურები, მინდა პირი მოვუხსნა.

მან თვალები გაახილა. ერთი შიშნარევად გადმომხედა და ნოკაუტიდან გამორკვეულ მოკრივესავით ნელ-ნელა წამოითრია ტანი. ჩემზე დარდმა დააფეთა — მართლა არაფერი მოიწიოსო და თავს ძალა დაატანა. საკუთარი თავი ხომ არ ედარდებოდა, მაგრამ როცა ლაპარაკი ჩემს არსებობას შეეხო, სინდისმა შეაწუხა და წამოიწია.

მერე საქმე ცოტა უკეთ წავიდა. ჩვენ ყოველ მესამე-მეოთხე ხაბიჯზე ვეცემოდით და ვისვენებდით, მაგრამ, რაც მთავარია, წინ ხომ მივიწევდით. არ ვიცი, რამდენი ვიარეთ მწვერვალამდე, მაგრამ ავედით კი. თავქვე დაშვება იოლი იყო, შედარებით იოლი და ნაკლებ-

დამღლელი. მიხოც უფრო მოყოჩალდა. კლდოვანებზე თავისით ცდილობს გასვლას, ყოველ შემთხვევაში, ენერგიულად მეხმარებოდა — ეშინოდა რაიმე ხიფათს არ გადავეკიდებინე. ჩემზე ზრუნავდა.

აი, ქვევით კარავიც გამოჩნდა. ეს დამხმარე ჯგუფის კარავია. ჩვენ გვხედავდნენ. ალბათ დაგვთვალეს კიდეც და მიხვდნენ ყველაფერს. ერთი... ორი... სამი.. ოთხი... ხუთი... მეექვსე? მეექვსე რალა იქნა? — ფიქრობენ დაბლა ამხანაგები. ფიქრობს ექსპედიციის უფროსი. აი, ვიღაც კარვებს წინ მიდიმოდის, ნერვიულობისაგან თავბრუდახვეული. ბოლთასა სცემს.

სხვებიც დარბიან. ერთი ფაციფუცი აქვთ ამტყდარი, მაგრამ ბანაკი საპირისპირო განცდებსაც იწვევს ჩვენში. კარავთა სიღრმეში წყლით სავსე მათარები გველანდება, აგრეთვე პირსავსე ქილები და მოგუზგუზე კოცონი. იგი ბრდღვიალებს, წითელ ნაპერწკლებად იფრქვევა. ჩვენ ხელები გვინდა მივუშვიროთ და ერთი გულიანად გავთბეთ. ყოველივე გვეჩვენება რა თქმა უნდა. გვეჩვენება და როგორც კი გამოვერკვევით ხოლმე ზმანებიდან, საკუთარ თავზე მოგვდის ბრაზი.

მაგრამ ვიღაც რომ გიყივით დარბის კარვებს შორის ეს მოჩვენება არ არის. და რაოდენ ახლობელია ახლა ის კაცი ჩვენთვის, იგი განიცდის ჩვენს გაჭირვებასა და უმწეობას, განიცდის და ყოველნაირად ცდილობს დროული დახმარება აღმოგვიჩინოს. მაგრამ რა შეუძლია მას? იმ სიშორიდან როგორ გამოგვიწოდოს ხელი? როგორ მოგვაწვდინოს მანუგეშებელი სიტყვა? ძალიან, ძალიან, შორსაა ჩვენგან ბანაკი, შორს, ქვევით, უფსკრულებისა და ქარაფთა ბოლოს.

და აი მაცდურ ფიქრებში სალამოვდება კიდეც. ყოველივე შორეული, მაგრამ ასე სანატრელი და მშობლიური, თბილი და საოცნებო ჩვენი თვალსაწიერიდან ქრება და უჩინარდება, ღამისეული ბურუსი წვება ჩვენსა და ამხანაგებს შორის, ჩვენსა და ბანაკის ეზოში მობარგანავე ადამიანს შორის, რომელიც ყველაზე მწარედ განიცდის თავს დამტყდარ უბედურებას და რაიმე დახმარება და მოშველება კი არ ძალუძს...

დავრჩით ისევ მარტონი, ყინულისა და ქარების ამარა. დავრდომილი, ბნედამორეული ადამიანები ერთურთის ამარა. ღამე იქნებოდა ჩვენი მასპინძელი, ტიანშანის იდუმალებით მოცული ღამე.

კვლავ დაიწყებოდა ბოდვა, დაიწყებოდა ყვირილი და ვედრებანი. — წყალი... ჩქარა... წყალი... — დაიძახებდა რომელიმე ჩვენთაგანი.

იქნებოდა გოდება. ფიქრი მოეძალებოდა ადამიანებს, ფიქრი მშობლიურ სახლზე, ახლობლებზე...

და კიდევ ქალებზე და შესაძლოა ეს ჩვენი უკანასკნელი ფიქრი ყოფილიყო, უკანასკნელი სურვილი ამქვეყნიურ სინამდვილესთან გაბაასებისა.

ჯუმბერ კახიანი: ანდე-გუმანი — მეგობარი და მტერი.

14. 18. მონაკვეთი № 14. ასვლას ვიწყებთ 6 საათსა და ორმოცდახუთ წუთზე. ასე ადრე პირველად გავდივართ ტრასაზე. როგორც წყვდიადში მოარული კაცი გრძნობს ხოლმე შუბლით კედელსა თუ ლობესთან მიახლოებას, ისე ვგრძნობთ 'თითოეული ჩვენთაგანი მოსალოდნელ საშიშროებას, რომელსაც თავსზემოთ გადმომხობილი „კარნიზი", ეგრეთ წოდებული „სახურავი", გვიმზადებს, „სახურავი" მას ხატოვნად შეარქვა მიხეილმა, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა იგი გუშინლამ.

რაოდენ მძიმე და უსიამოვნოა იმისი წუთიერად წარმოსახვაც კი რომ შენს სულს გრანიტის ზღუდეები ჩამოსწოლიან, შენი არსება იმათი სიმძიმის ქვეშ იწმაწნება, იმათ დაუჩოლბოტებია შენი ჯანი და ღონე.

სახურავი ჩვენს სხეულში ჩამოზრდილა, ხოლო მისი კარნიზიდან მოწანწკარე ნამდნარი თოვლის წყალი კინკოფზე გვეშხეფება და კისერში ჩაგვყვება. საათის ისრებივით შემზარავად წიკწიკებენ წვეთები. და არ უჩანს ბოლო იმათს წიკწიკს. რაღაც გაურკვეველ წინათგრძნობას მოუცავს მთელი სხეული.

მაგრამ მალე, ისევე როგორც აფრენის შერე თანდათან ეჩვევა ადამიანი ლაინერის ყურისწამღებ ჯუგუნ-რაკეტასა და მოსალოდნელ საშიშროებებს; მთამსელელიც, რაგინდ გაუვალი და ხიფათით აღსავსე გზის წინაშეც არ უნდა იდგეს იგი, თანდათან კარგავს მიწიერ თვისებებს, შიშისა და ჰოეშმანის დამამცირებელ გრძნობას, მასში იბუდებს ბრძოლის, შებმისა და გამარჯვების ჟინი. მთელს მის არსებას გამარჯვების ყიჟინა ეუფლება, იგი სხეულიდან დევნის შიშის მოძალებას... ღრმად სწამს, ვეღარაფერი გადაეღობება წინ, ვეღარაფერი შეაჩერებს და შეაფერხებს. იგი მამაკაცია. თავზე სინდის-ნამუსის ქუდი ახურავს...

ღარი, რომლის დანახვამაც წუხელის ასე გაგვაცხარა. უდღეური ალმოჩნდა. ოცდაოდე მეტრის შემდეგ იგი გაიშალა, გაფართოვდა, მოლიპულ კლდეში გადაიზარდა. ონავრების მიერ დაყრილ სატყუარას რომ გაჰყვებიან ჩიტები, ისევე გაგვიტყუა უშბის „ნახმლევემ“ ავბედით მახესთან — გრანიტოვან „სახურავთან“. ჩვენ ახლა ისღა დაგვრჩენოდა რომ გვეფრთხიალა და გვებრძოლა რათა როგორმე თავი დაგვეძვრინა მისი კლანჭებისაგან.

ერთხანს პირდაფჩენილნი მივშტერებივართ სახურავს. კისერმოღრეცილნი, მორწმუნეთა დუმილით გასუსულნი დავეძებთ „აქილევსის ქუსლს“, მაგრამ ამაოდ!

უცნაური ამინდი დგას. ბურუსი იითქოს შეთხელდაო, ხილვადობა წუხანდელთან შედარებით უკეთესია, მაგრამ მაინც არადამაკმაყოფილებელი — ოცდაოდე მეტრს იქით კვლავ იდუმალებით მოცული რჩება ჩვენს თვალ-საცქერელთათვის. ყოველივე. მგონი თოვასაც აპირებს, პირველი ფიფქა ფანტელები სახეზე გვადნება.

— ერთ უდებშემოფხრეწილ წიგნში წავიკითხე — „ქანონი აბლაბუდასა ჰგავს, ღონიერი ობობები გაიბრძოლებენ და გაგლეჯენ, სუსტნი კი გაიხლართებიანო...“ — ბრძნული სიტყვა წარმოთქვა მიხომ, თან ხელი სახურავისკენ გაიშვირა, რითაც გვაგრძნობინა, აბლაბუდაში ამ კედელს ვგულისხმობო.

მაგრამ მიხოს ნათქვამი ჩვენთვის მაინც გაუგებარი რჩება, რადგანაც ამ წუთში ყველანი უჩვეულო გრძნობას შევუპყრივართ, გრძნობას, რომელიც გვძაბავს და გვთიშავს გარესამყაროსაგან.

— დაცვა შლიამბურის პალოებზე! თუ ღრეჩოს ალმოაჩენთ სადმე კლდის პალოებიც იხმარეთ... — დუმილს არღვევს ხელმძღვანელი.

ყველასათვის ნათელი ხდება მისი განწირავა. მიხეილს გადაწყვეტილი აქვს მარტომ შეუტიოს სახურავს. სამკვდრო-სასიცოცხლო რისკზე მიდის! მის სიტყვებზე ტანში ვგბურძგლავს, ზაფრა გვეცემა. ერთხანს გაოგონებული შევცქერით ერთურთს და ვეღარაფერს ვამბობთ.

იქნებ ხუმრობს ხელმძღვანელი?

მაგრამ არა! ჩვენი ვარაუდი და სურვილი ვარაუდად და სურვილად რჩება. მიხეილი თავისას გაიძახის.

— ჯერ შლიამბურის პალოები ვცადოთ. როგორც აქამდე, წყვილ-წყვილად ვიაროთ. მალ-მალე ვცვალოთ ერთმანეთი. შეუბედა მიხეილს გივიმ — ათ შლიამბურის პალოს მე ჩავარტყამ... — აღგზნებულ, შიშგამდგარი იერით ლაპარაკობს ოგი.

— ათსაც მე... — წამოიაწია მას სიტყვა შალვამ.

— ათსაც მე ჩავარტყამ — თქვა ჯოკიამ.

— რა თქმა უნდა ასე სჯობია. დღემდე რა, ცუდად ვიარეთ? როგორც არ უნდა იყოს, აბმა-აბმა ვიბრძოლოთ... — ავყვირდით მე და მიხოც.

— ორი კაცი მიდის წინ, თოკის კიბეების დახმარებით ბურღავენ კედელს და როგორც კი დაიღლებიან, ენაცვლებიან სხვები, მერე კიდევ შენაცვლება, ახალი ძალები... გადაელახავთ ხომ კარგი, არა და... — ალარ დაამთავრა ბოლომდე სათქმელი შალვამ. მან ერთი აბნეული მზერა მოავლო ამხანაგებს და ბრაზისაგან ქარაფში გადააწიტა.

ყველასათვის ნათელი გახდა — მიხეილი საბედისწერო რისკზე მიდიოდა, მას სურდა მარტოს ეცადა ბედი და ცოცვით თავზე მოჰქცეოდა როგორმე სახურავს. თუ ამას მოახერხებდა, ჯგუფი უცილობლად გააღწევდა თავს ავბედით გამოქვაბულიდან, გავიდოდა მწვერვალისწინა მშვიდობიან თხემზე, რაც მთავარია, მოიგებდა ერთ სამუშაო დღეს...

არა და... მთელი ლომის ხეობა მათი გამარჯვების მოლოდინით სულდგმულობდა, გულშემატკივრები ომერთს ევედრებოდნენ მშვიდობით დაებრუნებინა ვაჟკაცები. თვითონ კი გაუცრუებდნენ მათ რწმენას, იმედებს...

არა ეს ყოვლად შეუძლებელი იყო! მერედა, როგორღა შეეხედა თანასოფელთათვის, ამხანაგებისათვის, თბილისელი კოლეგებისათვის, ექსპედიციის ხელმძღვანელისათვის — სანდრო გვალიასა და სხვა უფროსი თაობის მთამსვლელებისათვის, რომელთაც უზარმაზარი ნდობა აღმოუჩინეს, როცა ამ ურთულესი კედლის დამორჩილება მას დაავალეს? დიახ, მას ენდნენ ამ პასუხსაგებ საქმეში და ახლა კი ვალდებული იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა გაემართლებინა იმათი იმედი.

და არა მარტო იმათი — ამ ბიჭებისაც, რომელთათვისაც უშბის „სარკის“ დამორჩილება ისეთივე წმიდათაწმინდა საქმეა, როგორც მორწმუნეთათვის კვირადღის ლოცვა. და რაც მთავარია მათი ტრიუმფი იქნება სულიერი ძალის კიდევ ერთი გამარჯვება ბუნებაზე... ადამიანთა ყოვლისშემძლეობისა და უძლეველობის კიდევ ერთი მაგალითი...

და მიხეილს ამ წუთში თვალწინ წარმოუდგა მამამისი, რომელიც

ასე გულიანად შესთხოვდა მას, გაენებებინა მთებისთვის თავი, თვალწინ წარმოუდგა თეთრი მოხუცი, რომელიც ეუბნებოდა: — „მთამსვლელობა სხვაა, მონადირე შეიძლება ხელსარიელი დაბრუნდეს შინ, თავისიანებთან, მაგრამ ამას შინაურების გარდა სხვა ვინ გაიგებს. მთამსვლელობა კი სულ სხვაა — იგი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის, მას მეტი პასუხისმგებლობა აწევს, პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე... ამიტომაც უკან ასდევნებია ხიფათი და მძიმე განსაცდელის ჟამს თუ გრძნობამ სძლია გონებას — დამარცხდება იგი. მთაში გონიერება ფასობს...“

„გონიერება. — ფიქრობდა მიხეილი — თეთრი მოხუცი ან მამამისი რომ იყვნენ აქა, რას ურჩევდნენ ისინი? ან თვითონ რომელის მხრით შეუტევდნენ გრანიტის სახურავს? იქნებ შალიკოსა და მიხოსავით იმათაც უკან გაბრუნება ერჩიათ? იქნებ უკან გაბრუნებაშია გონიერება? რა არის გონიერება? აი, ამ წუთში ამიხსნას ვინმემ გონიერების არსი, მითხრას, როგორ მოვიქცე, საით წავიდე, რომელ მხარეს, თორემ ურემი რომ გადაბრუნდება მერე ადვილია განსჯა. მხედარმა ფლატეზე გადავარდნილ იორღას ფეხი მოაჭრა, გზაზე აიტანა და თავის ცხენყოფილს გაესაუბრა — „აი, ბილიკის სილრმეში რომ დაგედგა ე ოხრად დასარჩენი ფეხი, ხო არ გადავარდებოდი და სულსაც არ განუტეეებდიო...“ — თავისი გონიერებისა და ჭკვინობის დამტკიცება სცადა ვითომ მხედარმა, მაგრამ რატომ უბედურ შემთხვევამდე არაფერი უთხრა მას თავისმა ანდე-გუმანმა? რატომ მაშინ არ გაჰქაჩა სამშვიდობოსკენ თავის ბედაურს სადაც თუ ვაჟკაცი იყო?

აი, მითხრას ვინმემ, როგორ მოვიქცე, დამარწმუნოს თავის სიმართლეში და აღარაფერს ვიტყვი, ხმას არ ამოვიღებ. ოღონდ მირჩიოს ვინმემ. მაგრამ აქ სხვა ვინ მოვა, ვინ მოგვაწვდენს ხმას? ამხანაგებმა თქვან. დავეჯერებ. სად ერთის ჭკუა და სად — მრავალთა... ოღონდ უკანდახევაზე ნურაფერს მეტყვიან...“

— შლამბურის პალოებით ვცადოთ? — გადახედა სახემოქუფრულ ამხანაგებს მიხეილმა. — ვითომ გაიბურღება ეს გრანიტი?

„ხედავ, რა ბოროტად ალეწილა. თითქოს ცუდი რამ უდევს გულებაში...“ — გაახსენდა მიხეილს გარდაცვლილი მეგობრის, მიშლიაევის რამდენიმე წლის წინ წარმოთქმული სიტყვები. ბრძენკაცის სიტყვა წმინდა ღვინოსავით ინარჩუნებდა ძალასა და ცხოველმყოფელობას. მეავე წყლის ბუშტულებივით ამოტივტივდნენ მეგობრის სიტყვები მეხსიერებათა ლაბირინთებიდან.

— გაიბურღება... რას არ გაიბურღება... — ერთხმად წამოიძახეს დანარჩენებმა.

— ასე იყოს. იქნებ კარნიზის ძირამდე მაინც გავაღწიოთ როგორმე ესეც შეღავათია. მერე ცოცვით შეეცადოთ სახურავზე გადაძრომას...

ისევ დუმილი ჩამოვარდა. მიხეილი ბოლო სიტყვას თავისთვის იტოვებდა. ეს კი თითქმის არაფერს არ ცვლიდა. შლიამბურებით კარნიზამდე მართლაც გავიდოდნენ როგორმე, მაგრამ მერე? მერე რაღას აპირებდნენ? ქვევიდან ზევით როგორღა ჩაარტყამდნენ პალოებს? არრა სულიერს არ ძალუძდა ასეთი რამ. არავის ამ ქვეყანაზე. მაგრამ გადაცოცებას როგორღა მოახერხებდნენ? თუ ბურღვა შეუძლებელი იყო, გადაცოცება რანაირად მოხერხდებოდა? „მიხეილს ვეღარაფერს შეატყობ, მას იმედი აქვს, მაგრამ ეს ხომ თვითმკვლელობაა. იგი თვითმკვლელობაზე მიდის“ — ფიქრობდნენ ამხანაგები.

— მაშ ასე... — ხელები მოიფშვნიტა მიხეილმა — დაცვაზე ზედამხედველობას ჯოკია გასწევს. დანარჩენები იმოქმედებენ საჭიროებისდამიხედვით. დღეს ნაწილობრივ დაირღვევა ჩვენი საიერიშო ტაქტიკა...

ხუთს გამოვაკლოთ ორი...

კენესა-გოდების დილა გაგვითენდა. ყველას თავისი სატკივარი ტანჯავდა. ამ სატკივარს ემატება ერთი საერთო მწუხარება — მეგობრის სიკვდილით გამოწვეული. არც კი ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ჩვენმა ბორიალმა და ფუთფუთმა, რამდენ ხანს ვეწყობოდით და ვემზადებოდით სამგზავროდ ჯანმიხდილი ხალხი. ბოლოს როგორც იქნა, მოვათავეთ ჩაცმა-დახურვა, მასაჟი და შეხვევა — „წასახემსებლად“. ჩამოვჯექით.

წუხელ იდეური სიზმარი ვნახე... — ხუმრობა სცადა თეიმურაზმა — კირილ, შენ დაგსიზმრებია როდისმე არაიდეური სიზმრები?

კირილე კვების რეჟიმს მკაცრად იცავს. მისი პრინციპია — „ჭამის დროს სხვა რამეზე ნურც იფიქრებ, ნურც ილაპარაკებ. ჭამის დროს ჭამე, იყუჩე და ჭამე...“ პავლოვის მიმდევარია იგი ასიმილაცია-დისიმილაციის საკითხში. მაგრამ ამჯერად პრინციპი პრინციპად რჩება —

თითო ლუკმა პურის ჭამას საუზმეს ვერ დაარქმევ და კირილეც უხალისოდ, მაგრამ მაინც პასუხობს:

— მაინც რა ნახე ასეთი, არ გეტყვი?

— ჩვენებმა თანამგზავრი გაუშვეს. მან გრუხუნ-გრუხუნით ჩაუქროლა გამარჯვების პიკს და ფურცლები ჩამოყარა. ბარათებზე რაღაც პრინციპები იყო ჩამოთვლილი. ერთზე წითელი ასოებით ეწერა — „ყველა ერთისათვის — ერთი ყველასათვის..." ასეთი რამე არასოდეს არ დამსიზმრებია, საერთოდ მშობლების გარდა არასოდეს არაფერი არ დამსიზმრებია, რა უცნაური სიზმარია, არა?

— უცნაური? რატომ უცნაური? მხრები აიჩეჩა კუზმინმა — ჩვეულებრივი სიზმარია, ჩვენ ახლა ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ეგ რა გასაკვირია...

— ეგ ხომ საბჭოური მთამსველელობის პრინციპია? — თქვა ჯუმბერმა.

— რომელიც ჩვენ არ დავიცავით, არა? — ნიშნისმოგებით მიუგო თეიმურაზმა.

— მე... მე რომელიღაც დუქანში ყველსა ვჭამდი. უცბად ფანჯრიდან დაეინახე მდევარი, რომელიც მე ამდევნებოდა. უნდა გავქცეულიყავი, მაგრამ ყველი შეუჭმელი რომ მრჩებოდა? ავდექი და უბეში ჩავიფუთნე, უსირცხვილოდ ჩავიდე უბეში და გამოვიქეცი... — თქვა მიხომ — ეს რანაირი სიზმარია თქვენის აზრით, იდეური თუ უიდეო?

მაგრამ ჩანდა ხუმრობის გუნებაზე არავინ იყო. ეს ლაპარაკიც ნაძალადევად იყო წამოწყებული თემოს მიერ. იმიტომ რომ იგი საჭიროდ თვლიდა მხნეობისა და ძალის მოკრებას. თემო ფიქრობდა რომ ასეთი ცხვირჩამოშვებულნი და პირმოქუფრულნი შორს ვერ წავიდოდნენ. რა თქმა უნდა მწუხარება მწუხარებად დარჩებოდა, მაგრამ იქნებ ცოტა ძალა მოეკრიბათ, იქნებ სამგზავრო გუნება-განწყობილებაზე გამოსულიყვნენ, მაგრამ ამაო იყო ყოველივე. მოჩვენებითი ღიმილი უმალვე გაქრა ჯერ მიხოს, მერე კი თემოს სახიდანაც. ბანაკი კვლავ რაღაცნაირმა ურვამ მოიცვა.

— იცით, სიზმრების ახსნა ხვალისათვის გადავდოთ, გავერთეთ ლაყბობაში — წამოხტა კუზმინი — ამ წუთში ყოველივე უაზრო და სულელურია გარდა ძირს დაშვებისა.

— თეიმურაზი ჩემთან წამოვა. მე, მიხო და თეიმურაზი ერთად დავეშვებით — შევთავაზე ჯუმბერსა და კირილს — თქვენ უფრო ადვილად იელით.

— არა. მიხო რომ აგკიდეთ ეგეც საკმარისია შენთვის... — საკმარია და მეტიც... — თქვა ჯუმბერმა — ჩვენ შევეჩვიეთ უკვე ერთმანეთს. კირილ, ხომ მართალს ვამბობ.

წინ გასულ კირილს არ გაუგონია მისი კითხვა, თემომ კი მითხრა:

— შენ ძმას მიხედე, ჩვენ როგორმე ჩამოვალთ. მიხო ჩამოუშვი როგორმე... — თბილად, სიყვარულით, მადლიერების გრძნობით მკითხრა თემომ.

თვალები რატომღაც ცრემლით ამევსო.

ახლაც ვერ გამიგია, რაზე ამიჩუყდა მაშინ გული.

იქნებ მეცოდებოდა სახე და ფეხმოყინული, მაგრამ სხვებზე უფრო ამაყი და თავმოყვარეობით აღსავსე ამხანაგი, მხნეობას რომ ყველაზე მწარე წუთებშიც არ კარგავდა?

იგი ხომ ილიკოსთან ერთად დაბორიალობდა მთელი ღამე გამარჯვების მწვერვალზე კარვისა და საძილე ტომრის გარეშე?

მისმა თანამეწყვილემ იქ დარჩენა ისურვა მაღლა მზესთან ახლოს, იგი კი აქ იყო ჩვენს შორის, თბილად გამოძინებულ ადამიანებს შორის და ტოლ არ გვიდებდა, იცინოდა და სხვების გამხიარულებასაც კი ცდილობდა.

იქნებ მისმა ვაჟკაცურმა შეუპოვრობამ და დიდგულოვანებამ, კაცობამ და დიდბუნებოვანებამ ამიჩუყა გული?

იმ წუთში ძმურად ხელის გადახვევა მინდოდა მისთვის. მაგრამ საამისო დრო არ იყო.

წინ გზა გვედო, გზა ხიფათებით აღსავსე, მე გვერდზე შევტრიალდი, აწყლიანებული თვალები რომ არ დაენახა და მიხოსთან ერთ თოკში ჩაბმული ძუნძულით გავუყევი ფერდობს.

„ერთი — ყველასათვის, ყველა — ერთისთვის“ — ეს უპირველეს ყოვლისა მთამსელური პრინციპი მართლაც ირღვეოდა ჩვენს მიერ.

არ ვიცი, ვინ იყო ამაში დამნაშავე, მაგრამ უკან რომ მოვიხედე, ძალიან დამწყდა გული — კუზმინი და მისი თანამეწყვილეები რატომღაც ჩვენს გზას არ გამოჰყვნენ. სხვა მხრით არჩიეს დაშვება ეტყობა, იქ უფრო ადვილი დასაძლევი მოეჩვენათ ფერდობი.

ერთად უფრო კარგად მოვდიოდით, ერთმანეთთან სიახლოვე ძალასა და მხნეობას გვიორკეცებდა.

ახლა კი კვლავ ცალ-ცალკე ვიელიდით.

მაგრამ რატომ, რისთვის? — ეს გაუგებარი რჩებოდა ჩემთვის.

-უნდა ვკითხო, რომ ჩავალთ აუცილებლად ვკითხავ კუზმინს, რად

არ გამოსდია ჩვენს გზას? რა მოსაზრებით უგანა გაკვალულ ბილიკს?“ — ვფიქრობდი ოდნავ გულმოსული. მაგრამ პასუხი ხომ ვიცოდი წინდაწინ. ნამდვილად ვიცოდი, — იგი მეტყოდა — ისე ვარჩიე, რადგანაც უფრო იოლად დასაძლეელი მომეჩვენაო. ასე მეტყოდა. ნამდვილად ასე მეტყოდა.

„ — შენ? შენ რაღაზედ არ შეახსენე რომ უკან გამოგყოლოდნენ? რად გაუშვი სხვა გზით, რად დართე ნება? — თავადაც მქენჯნიდა სინდისი, მართლაცდა, რითი შემეძლო თავის გამართლება?

მაგრამ გასამართლებელი მანდ არაფერი იყო. არაფერი იმიტომ, რომ მე მიხო მიმყავდა, მიხო, ნახევრად მხარზე აკიდებული, მძიმე რამ ტვირთივით მაწვა იგი ზურგზე, რომ დამეეინებინა გინდათ თუ არა, ჩემთან იარეთო, მე ამით ძალაუნებურად მათაც ჩემს მძიმე უღელში ჩავაბამდი, რასაც ყოველნაირად ვერიდებოდი, რადგანაც თავიდან მე ვითავე მიხოს ხსნა, ბოლომდე უნდა მიმეყვანა დაწყებული საქმე.

ამიტომაც სიტყვა მათზე იყო და არა ჩემზე.

ამ შემთხვევაში სიტყვა კუზმინს ეკუთვნოდა, მაგრამ მან სხვა გზით არჩია დაშვება. რახან არჩია, რაღას გავაწყობდი. — გულდაწყვეტილმა განვაგრძე დაშვება კარვებისაკენ, მოგუზგუზე კოცონებისა და პირსავსე მათარებისაკენ. კარვების წინ მოფუსფუსე ადამიანისაკენ, რომელიც შორიდან მამხნევებდა და მაგულიანებდა თავისი ნერვიული, დაუღალავი ბოლთისცემითა და სირბილით...

მალე 6000-ზე დავეშვით. მიხოს ხელი ვუშვი და უკან გავიხედე — იქნებ დანარჩენები გამოჩნდნენ სადმე-მეთქი. მაგრამ ისინი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, აღარსად ჩანან. დაბლა, 5300-ზე ვხედავ მაშველ ჯგუფს. მე გულმა ცუდი რამ მიაზრა. უცბად შეეკოჭე ჩემი მიხო თოკით და რაც ძალი და ღონე მქონდა გავქაჩე. დაბლა ბიჭებთან მეჩქარება — მინდა გავიგო — რა მოხდა! ფერდობი საუცხოოა, მე და მიხო ისარივით მივქრიკართ თითქოს თხილამურებით ვეშვებოდეთ. მაშველი ჯგუფის წევრებმა გვითხრეს — თქვენთან ამოვდიოდითო. მე ვეუბნები:

— საქმე ვერაა კარგად. კუზმინის ჯგუფმა რატომღაც დაკარგეთ. უნდა მივეშველოთ. ცოტა მაჭამეთ რამე და მეც თქვენთან მოვდიეარ ზევით...

„რად არ მოყენენ ჩვენს ბილიკს, ანდა რას ნიშნავს თემოს სიზმარი ჩვენს მიერ უგულებელყოფილ ალპინისტურ პრინციპებზე?“ — უცნაური აზრები მიტრიალებდა თავში. და ის იყო მუხლი მოვირთხით და ჭამას უნდა შევდგომოდით, რომ აღმოსავლეთის თხემზე ვიღაც გამოჩნდა.

„ან კირილია, ან ჯუმბერი. მაშველი ძალისთვის მოდის ალბათ თემოს უჭირს სიარული...“ — გავიფიქრე გუნებაში რამდენიმე უგემური ლუკმა გადავყლაპე რომ კუზმინიც მოგვადგა, იგი შორიახლო გაჩერდა სახეამღვრეული და გვერდზე გამიხმო:

— ბიჭები გადაიჩეხნენ... — ხმადაბლა მეუბნება იგი.

გაქცევა

დილაუთენია შურთხების სტვენამ გამომაღვიძა.

საძილე ტომრები დაგვსველებოდა. სიცივისაგან ტანში მაკრიალებდა:

ხაკის საწვიმარი მოვიხურე, კარვის კარი გამოვხსენი და გარეთ ვაეეყუდე.

„იქნებ გამოიდარა?“...

„პირიბე და ხიტო — „ბუზუული“ რაღაზე არ დგებიან? რა ნებივრობა აუტყდათ ამ დამბალ ტომრებში?“

მაგრამ მალე ყველაფერი ნათელი შეიქნა: გარეთ ისეთი მოჟამული ამინდი იდგა, ძალლი არ გაიგდებოდა. წუხანდელი ჩამონაბარდნი ფუმფულა თოვლი ჩვენს კარავს ჩაჩუჩქრვა-შთანთქმით ემუქრებოდა. კარვის კალთებიდან თოვლის ნაყური წვეთავდა — აკი საძილე ტომრებიც იმაზე დაგვსველებოდა.

თეთრი მდუმარება შემოგვრტყმოდა. თითქოს ჩვენი მოშთობა სწადიაო, თავის მარწუხებს გვიჭერდა.

თოვლის მიერ დაბლა ჩამორეკილი შურთხების მოთქმას სამგლოვიარო ზარივით აბუბუნებდა მთები, თოვლიანი კლდეგორები ეტყობა, იმათაც თავისი გასაჭირი ადგათ და დარ-ამინდის გამგებელს — ელიას გამოდარებას ეაჯებოდნენ და შესთხოვდნენ თავიანთ ენაზე.

„ახლა ისლა მაკლია, მაგათ სტვენა-კივილს გავახეთქინო გული. მოიცა, ისე დავაფრთხო...“ — გამიელვა გუნებაში, ხელი თოფისაკენ წაეიღე, იგი ჩემს გვერდით, კარვის კუთხეში მეგულებოდა, მერე

გამახსენდა — იგი ხომ წუხელის „დავბარჯეთ“, თოელს რომ არ ჩამოენგრია დამხმარე ბოძად შეეუყენეთ კარავს.

— არა, დღეს არ ვიყავი კარგ ფეხზე ამდგარი. სულ რამდენიმე წუთში ამდენი უსიამოვნება გადამხდა. ჯერ ეს უამინდობა! ახლა კი შურთხებმა ამიგდეს სასაცილოდ. არა, ამდენი უსიამოვნების ატანა შეუძლებელი იყო. გაბრაზებულმა ერთი ხმამაღლა დავილრიალე:

— ჰე, ჰეეი, თქვე ოხრებო, ჰე... ჰეეეიი... გასწით, დაიკარგეთ აქედან, გასწით დაიკარგეთ, ჰე... ჰეეიი..

მაგრამ შენც არ მომიკვდე ვითარცა ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა, არავინ იღო ყურად ჩემი მუდარა, ისევ მოსთქვამდნენ შეცივნული ფრთოსნები, მოსთქვამდნენ, მოსთქვამდნენ...

ბოლოს პირიბემ გამოიხედა. გამოზამთრებულ დათვივით გამოყო თავი კარვიდან და ძილგამფრთხალი, მდურვით აღსავსე სახით მომიტრიალდა:

— ამინდს რომ პირი უჩანდეს აქ ჩამოგვიდოდნენ ე შურთხები? ან იქნებ ნათესაურად მოვიკითხეს?

— ეგ იქნება. ალბათ კარგა ხანია რაც არ უნახავთ და ახლა იმას ეაყვედურობენ, რალაზე მიგვატოვე და ქალაქზე რად გაცვალე ჩვენი მთა-ჭიუხებიო? ხი... ხი... — ჩაიქირქილა კარვის სილრმეში ხიტო-„ბუზუულმა“.

მაგათი სათრიკოც გავხდი, ეგლა მაკლდა! — ბრაზისაგან გული ყელში მომებჯინა, მაგრამ რალას ვიზამდი. უნდილად შევრგე კარავში თავი და დამბალ საძილე ტომარაზე გავიშოტე. იმ ბიჭებზე ვფიქრობდი.

რა მწვალებლური იყო ეს წუთები... ამ [illegible]ში, ბურუსსა და ქარში შეცივნული შურთხები ჩვენ' კარვებთან ჩ[illegible]ოვიდნენ. ისინი ხომ ადამიანებ[illegible], ჩვეულებრივი, მ[illegible]ერი ადამიანები. ან „კლდის ვეფხვებს“ რა[illegible]ში უნდა ჰგავდნენ მართლაც და მართლაც? ინგლისელებმაც დაარქვეს რალა მიხეილს „კლდის ვეფხვი“. სწორედ ამ კავკასიელი რაინდი-მწვერვალის — უშბის სახელობის კლუბში მიიწვიეს. მერე მაღალი კლდე დაანახვეს აბა ამაზე თუ გახვალო. მიხეილი გავიდა. მაშინ დაბლა შეკრებილმა მაყურებელმა განცვიფრების ნიშნად თავი გააქნიეს, წვერზე თითები გაისვ-გამოისვეს. მათი აზრით ამ კლდეზე მხოლოდ ვეფხი თუ გავიდოდა, შეუპოვარი, უშიშარი ნადირი და ამ თავმდაბალ ალპინისტს აღტაცებულებმა „კლდის ვეფხი“ შეარქვეს. ჰო და აბა შენ იცი, „კლდის ვეფხო“!

ჰო და აბა თქვენ იცით, „კლდის ვეფხვებო“!..

• •

— გაჭენებულ ცხენს ფაფარზე არ ჩაფრენიხარ შეშინებული? აი თოკსაც ისე ჩასჭიდე ხელი, შე ოხერო... — დასჩხაოდა შალიკოს მიხო და თან ზურგზე აცოცდებოდა.

— აბა ვინ არის ყველაზე მსუბუქი? შენა? ერთი ხალთა ვაშლი შესანსლა და მაინც ცარიელი ძვლებია — ბრაზობდა შალიკო მიხეილზე. იცოდე, გაფრთხილდი, თორემ რომ რამე მოხდეს შენს თავს დააბრალე, ფილოსოფოსო.

— ჩაქუჩი, ეი, მომაწოდეთ ჩაქუჩი... — უყვირის შალვას ზურგზე შემოსკუპებული მიხო ზურგჩანთებში მოფუთფუთე გივის. — რას დაგიფჩენია ე მუდრეგი პირი, ბზიკი არ გადაყლაპო გაიგე?

— მერე და რა გალრიალებს თავიც ხო არ დაგრჩა, იქნება ისიც მოგაწოდო? — ენა გამოუყო ამხანაგმა.

— ჩაქუჩიო? — სკდება ბრაზისაგან შალიკო — ჩაქუჩი დამრჩაო? ეგ რა ღვთის რისხვაა ჩემს თავსა, ა? ხალხი არა ხართ მომაშორეთ ეს წურბელა, რა? — მაეედრებელი მზერა მოავლო ამხანაგებს კისერ-მოღრეცილმა შალვამ.

— ცოტაც და სამშვიდობოს გავალთ, მოითმინე შენც რაღა, ყინ-ტვრის მწნილი ხომ არ გიჭამია, ასე რამ გაგაცხარა... — დაამშვიდა იგი ჯოკიამ.

— თქვენ გაითრიკეთ და, რომ რამე მოუვიდეს მაგ წურბელას, პასუხს არ ვაგებ იცოდეთ... — იმუქრებოდა შალიკო.

— მაინც რა უნდა მოუვიდეს?

— აი, უცბად რომ შექანავდეს და ქარაფებს გადაევლოს თავზე, ისა...

— შლიამბურის პალო, ერთი შლიამბურის პალო... — ეღიმება მიხოს.

— არის შლიამბურის პალო... სხვას ხომ არაფერს გვიბრძანებდით. ბარემ ერთად მოვითავოთ თორემ ცოდვაა ეს აყლაყი...

— დაუკაკუნე, შე ოხერო. დაიწყე ბურღვა თუ იწყებ. ქრისტეს მოსვლას ხომ არ ელოდები. — ასძახის თავის მწვალებელს შალიკო.

— გინდა კლდის ნაშალი მოგაყარო თავზე?

— ჩემზე ნული იდარდებ, ჩქარა ჩაარტყი ჩასარტყმელი, გაიგე?

— რომ რამე მომიხდეს, პასუხს არც მე ვაგებ, იცოდეთ... — აცხადებს თავის მხრივ მიხო და თვალებს ეშმაკურად ჭუტავს.

— რაზე ამბობ? — გაოცებულია ჯუმბერი.

— ჩქარა ჩაარტყიო. რო ამიცდეს პალოზე და მაგის გოგრაზე გაბ-

რახუნდეს ეს ფოლადის ურიკვერი რას შვრებით მაშინ? მე შენ გეტყვი და ტვინის ღეართქაფმა არ წაგელეკოს, მაგრამ მაინც რომ ვეცოდება?

— თოკი ამოუშვით მაღლა. რაღაცას გამოედო. — იძახის ზემოდან კედელს ჩაფრენილი ჩხვიმლიანი.

— ახლავე, ნახე, სად გაეჭედა თოკი... — მითითებას იძლევა თავის მხრივ ჯოკია.

— რა მამაძაღლი რამეა. კვესივითა სცვივა ნაპერწკლები. ახლოს კი არ იკარებს პალოს.

— მოუქნიე, მოუქნიე. დაიღლები და შეგენაცვლები... — ანუგეშებს მიხოს ჯოკია.

— მანამ არ აგიშენდა გვერდები მე რომ შენ შემოგისკუპო ზურგზე — ცერად გადმოჰხედა ამხანაგს ოფლში გახვითქულმა შალვამ — ქონის გუდასა ჰგავს, რა სამთო კაცი ეგ არის ვერ გამიგია...

— ჰა, ნაბურღი რომ გეყრება თვალებში იმაზე ენამწარობ აგრერიგად?

— დაცვას მიხედე ისა გიჯობს, თორემ მოგხსნიან თანამდებობიდან და დაიღუპები, გაიგე?

ჯოკია შეცბა. მხედველობიდან ხომ არაფერი გამომრჩაო. მერე ნიშნისმოგებით გაეპასუხა:

— წინ უნდა წაიწიო რომ დაგიცვა, თორემ აქ კაპიკია შენი ფასი. აი, კარნიზამდე აებლატე კედელს და მაშინ მომკითხე დაცვამაცვა...

— შეხე, მართლა თავდაცვის მინისტრივით არ ლაპარაკობს? ეჰეი, მართლა ვინა გგონია თავი?

— თავდაცვის მინისტრო, თოკი ამოუშვი თორემ ასე წინ წაწევაზე ლაპარაკი ფუჭი გამოგვივა. — ჩამოსძახა ჯოკიას მიხოშ.

— ჰა, შენი დასაცინიც გავხდი, ღორმუცელავ, ვაშლის ქურდო?

— მოუქნიე, რაც შეგიძლია, რას ელოლიავები, აბა, ჰე... — უკიჟინებს გივიც.

— რა, ცუდად ვუქნევ? მოიტა ერთი გოგრაში ჩაგითაქუნო, როგორია...

— პალოები ამოაკაკით თოკზე და ამოგზავნეთ... იძახის კარნიზის კუთხეში გასული ჩხვიმლიანი.

— გაიგე, რა გიხსრა? — ყვირის ჯუმბერი მაღლიდან.

— გავიგე, ჰო. განა შენსავით ყრუი ვარ, რომ... — პასუხობს მას

გიკი, რომელიც კვლავ ზურგჩანთებში ფეთურობს, თითქოს რაღაცას დაეძებსო.

— რა. ვაშლს ხომ არ დაეძებ? — ჩამოუგდო სიტყვა გიკის შალიკომ — ტყუილად ირჯები, სულ მაგან გადასანსლა...

— ვაშლს არა. ამ ჯიბეში შოკოლადები ჩავალაგე. აღარ არის.

— შოკოლადები? რა შოკოლადები?

— ამერიკული.

— ჰხი.. ხი... ჭამე აბა, შეგერგოს...

— ასწიეთ, აბა, ასწიეთ — ნებაზე მიუშვა სამაშველო თოკი გიკიმ რომლის ბოლოზე შლიამბურის პალოები იყო გამონასკვული.

— ჰა, თუ დაიღალე მითხარი, შეგენაცვლები, ძალიან კი დაგენანა ჩემთვის თავდაცვის მინისტრობა, მაგრამ მაინც... დახმარებას სთავაზობს შალვას ჯოკია გუგავა — გავცვალოთ ადგილები.

მიხო და შალიკო უკან მიჰყვებოდნენ წინ მიმავალ წყვილს. ჩხვიმლიანისა და ჯუმბერის ათვისებული გზის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. მეწინავეთა წინ წაწევის კვალდაკვალ შალვას მხრებზე შემჯდარი მიხო სამაშველო პალოებს „არიგებდა".

— მგონი მორჩა კაკუნს, ეგ ოხერტიალი — კლდის ნაბეღლში გახვეულმა შალიკომ თვალმოჭუტულმა ჩამოხედა ამხანაგს — ასე რომ ნულარ შეწუხდები...

უშუალოდ სახურავის მისადგომებთან, უარყოფითი დაქანების კედელზე ზურგის შეყენება უკვე აღარ გამოდიოდა. მიხო უხალისოდ ჩამოსკუპდა ძირს, კლდეზე მიბმულმა დამოუკიდებლად განაგრძო მუშაობა. ჩაქუჩს, ნელა იქნევდა, ყოველ ჩარტყმაზე ოხერას ამოაყოლებდა ხოლმე. დაიღალა მიხო, იგი ათვისებულ უბანზე მოღვაწეობდა, მაგრამ მეწინავეებზე ნაკლები ჯაფა როდი ადგა.

— ჰა, როგორ არის მანდ საქმე? — ჩამოსძახოდნენ მაღლიდან ჯუმბერი და ჩვიმლიანი — დაცვა ოას შვრება?

დაცვის საიმედოობაზე ეკიდა ამ წუთში მთელი ჯგუფის ბედი მოწყდომის შემთხვევაში ყოველი მათგანი ფიქრობდა სამაშველო პალოებისა და თოკის სიმყარე-სიმაგრეზე — გამოცდილი მთამსვლელი, როცა იგი რისკზე მიდის, ამხანაგებისაგან სამართლიანად თხოულობს საიმედო დაცვის ორგანიზებას, მაგრამ საიმედო დაცვა, როგორც უკვე ითქვა ზემოთ, ახლო მანძილიდან არის მოსახერხებელი, რაც უფრო სცილდება მოწინავე წყვილი დაცვის საყრდენ წერტილს, მით უფრო ნაკლები შანსებია უბედურების შემთხვევაში მისი გადარ-

ჩენისა, უხიფათოდ შეკავებისა. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებ, იმასაც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად წახნაგოვან ან სწორ, კუთხა კლდის ფორმებზე თოკის გახახუნებისას შეიძლება იგი დაი, ძენძოს და გაწყდეს კიდეც, მაშინ კლდიდან მომწყდარი ადამიანის ხსნისა და გადარჩენის იმედი კიდევ უფრო ნაკლებია, იგი თითქმის ნულს უტოლდება, მსგავსი შემთხვევები კი მთამსვლელობის ისტო, რიას მრავლად ახლოვდა და აღნიშნულ საშიშროებისთვის თვალს მოხუჭვა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა.

ასე ფიქრობდა ჩხვიმლიანი. ასე ფიქრობდნენ ყველანი.

ჯერჯერობით კი დაცვა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა პირველ აბმას და საიმედოდ ამაგრებდა საყრდენ ზღუდეებს. ჯგუფი ნელა, მაგრამ მშვი, დობიანად მიიწევდა წინ. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე მთაში, მუშაობით, გატაცებულებმა ველარც კი შეენიშნეთ როგორ გა, დაიწვერა ღრუბლებში გახვეული მნათობი კავკასიონზე. იგი საცაა მთებს მიღმა ჩაიტვირთებოდა. მთებში თვალის დახამხამებაში ღამდე, ება, უცბად მკვიდრდება ირგვლივ ღამისეული მდუმარება. თავისი მაღალმდებარეობით მთები უკანასკნელ წუთებამდე მზის ხილვადო, ბის არეში იმყოფებიან, ხეობაში რომ საღამოს ბინდია ჩამოწოლი, ლი. მწვერვალებს ამ დროს უკანასკნელი სხივები დასციმციმებთ თავზე, მაგრამ წამიც, ერთი წუთიც და იგი აიკრეფავს მათ და თვა, ლისუსწრაფესად გაუჩინარდება თვალსაწიერიდან და მაშინ ირგვლივ უკუნი წყვდიადი გამეფდება. და თუ დროზე ვერ შეამჩნია ადამიანმა ეს თვალთმაქცური მოჩვენებითობა ბუნებისა, შესაძლებელია შუა კედელზე გარჩეს სადმე თავშესაფრისა და ბინის გარეშე, მთაში კი ღამისსათევზე, მის კეთილმოწყობაზე ფიქრი ისევე აუცილებელია როგორც ქალაქში დაბინავება, თუ იქ რაიონიდან ხარ ჩასული და ნათესავ-ახლობელი აღარაევინ გეგულება.

ეს შედარება, რა თქმა უნდა, ზუსტი ვერ იქნება, რადგანაც მთა, ში „ცივი ღამისთევა“ ადამიანის სიცოცხლისათვის შეიძლება საბე, დისწერო გამოდგეს. თავსაფარმოუწყობელი ადამიანი ძრ არის და, ზღვეული ქვათაცვენისა და ზვავებისაგან. არსებული პირობებისათ, ვის მაქსიმალურად კეთილმოწყობილი და მოსახერხებელი ღამისსა, თევის მოწყობაზე ფიქრი ყოველი სამთო ექსპედიციის ზრუნვის სა, განს შეადგენს...

— სასწრაფოდ უნდა გვეზრუნა ღამისსათევის მოწყობაზე, ყველასათვის ცხადი იყო, რომ კვლავ ჰამაკებში მოგვიხდებოდა ნებივრობა. ამას უკვე ქვეშეცნეულად შევეჩვიეთ კიდეც. მაგრამ ოთხი დღის დაძაბულმა მუშაობამ, უძილობამ ჯანღონისაგან გამოგვფიტა, ერთგვარად დაგვაძაბუნა და ამდენად ჰამაკების გახსენებაც კი აღარ გვინდოდა არავის. დაღლილობას მაინც არ ვიმჩნევდით, ხუმრობა-საუბარში ვცდილობდით ჩაგვეკლა სასოწარკვეთილება თუ შიში. მოსალოდნელი წარუმატებლობით გამოწვეული უიმედობა. ჩამოთვლილი გრძნობები ქვეშეცნეულად არსებობდა ყოველ ჩვენთაგანში და არსებობს ყველა მთამსვლელში, რამდენადაც ალპინისტიც ადამის ნაბერწყია და სხვების მსგავსად დიდ მიწაზე არის აღზრდილი, არა მგონია შიშისა და ჭმუნვის განცდა დაეძრახებოდეს.

შიშის განცდა ხომ ადამიანს რეალობის, სინამდვილის შეცნობასა და არსებულ საშიშროებებზე თვალის ახელაში ეხმარება. აფრთხილებს, იმუნიტეტს უმუშავებს, თუ რა თქმა უნდა, იგი მისი დამღუპველი გავლენის ქვეშ არ მოხვდა, არ აჰყვა ემოციურ ზემოქმედებას და თუ ვერ ეყო საიმისოდ ნებისყოფა და ძალა, და თუ შიშის დამთრგუნველ გრძნობას ვეღარ შეეწინააღმდეგა?..—შორს. მისი სახსენებელი მთებიდან, შორს, ფირნოვანი ველებიდან, მყინვარებიდან, მწვერვალთა საბედისწერო თხემებიდან...

შიშის გრძნობა! მთქნარებასავით გადამდებია იგი. და ისევე უცბად გამოტყვრება საიდანღაც, თითქოს დამწყვდეული აშარი ნაგაზი მოგისისინა ვიღაცამ.

ჯგუფი წამით მოიცვა შიშის გრძნობამ. მართალია მთელი დღეზე აღარ დაგვილანდავს, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ მსრბოლავი ცრიატი ღრუბლის ქულებიდან წუთით ეგზომ სანატრელი ცის სილურჯე გამოკრთა, და ჩვენ მივხვდით — ეგ იყო საღამოსეული, ბინდშეპარული ცის ნაგლეჯი, საღამოს მოახლოვება აშკარა შეიქნა, რამაც დასცა სწორედ თავზარი თვითეულ ჩვენთაგანს.

„აბა ჩქარა... აბა, რაღას შვრები ახლა, ჰა?" — აყღერდნენ უჩინარი ზარები. და ვიდრე რაიმე არსებით პასუხს გავცემდით, მაღლა, კარნიზის კბოდესთან მოფუთფუთე ჩხვიმლიანს გადავხედეთ — აბა რას იტყოდა იგი, რა აზრისა იყო ამ საკითხზე? როგორ ფიქრობდა გზად წამოწეული საღამოსეული მარწუხებიდან თავის დაძვრენას?

მაგრამ უფროსი დამშვიდებულის იერით ებრძოდა კარნიზს. იგი

ამ გრძნობაზე მაღლა იდგა, ამ წუთში ჩვენს გონებას რომ დაპპატრონებოდა. მიხეილი აუღელვებლად, დინჯად ებრძოდა კედელს.

ყოველი ჩვენთაგანი ასე ფიქრობდა:

„იქნებ ბაიბურშიაც არ არის რომ ღამდება?“

— ეჰეი, ღამდება, ბინდი ჩამოწვა... — ავძახეთ ყოყმანის შემდეგ ჩხვიმლიანს მე და გივიმ.

— უკან გავბრუნდეთ? — კითხვა შეგვიბრუნა უფროსმა.

— უკან? — შევცბით ყველანი — უკან როგორღა იქნება, თარომდე ჩასელასა და იქ ჰამაკების გაჭიმვას მაინც ვერ მოვასწრებთ, შუა გზაზე შემოგვაღამდება...

— აქ რომ მივეჭედოთ სადმე? — ჩამოაგდო სიტყვა მიხეილმა, ისე რომ მუშაობა არ შეუწყვეტია.

— აქა? — ირგვლივ მიმოვიხედეთ, მაგრამ ღამისსათევად გამოსადეგი ადგილის მსგავსი რამ ვერაფერი შევნიშნეთ.

— აქ მართლაც შეიძლება წაინებივროს კაცმა, მაგრამ ჯერ უნდა წავაქციოთ როგორმე ეს უშბა და... — სცადა გახუმრება მიხომ.

— ფილოსოფოს... — ბრაზიანად გადავხედე მიხოს — აი, ახლა გეჭირდება სწორედ შენი კანონები აბლაბუდასა და ობობებზე, როგორ არის ისა? ერთ დაფლეთილ წიგნში რომ ამოიკითხე?..

— დიდნი გაჰგლეჯენ, სუსტნი გაებმებიანო... — არ დააყოვნა პასუხი მიხომ.

— შენ რომელს მიეკუთვნები სუსტთა თუ ძლიერთა?

— ვერ ხედავ თოკებში რომ გახლართულა? ამას რა კითხვა უნდა, ისედაც ყველაფერი ნათელია... — ენა მოიქავა ჯოკიამ.

— შევხსნათ მაგ ბაყბაყდეეს თოკები, იქნებ გაიბრძოლოს თავისებურადა — წამოაყენა წინადადება გივიმ.

— ცოდვაა. ჯერ ასე თუ ისე ახალგაზრდაა. წვერში ჭაღარა არ გაჭრეია. ამ ქარაფებზე მართლაც იმ წეროს სკინტლივით არ გადაიქროლოს...

— ჰხი... ხი... ხი... — ჩაიხითხითა მიხომ მათს ხუმრობაზე.

ჩხვიმლიანმა კი ფეხთ გაიხადა. დაბლა ჩამოსძახა — ინგლისური კედები ამომიგზავნეთო, თან თოკი ჩამოუშვა.

— კედები? — წაუყრუა ჯოკიამ, და ამხანაგებს გადახედა შეცბუნებულმა — როგორ მოვიქცეთო.

— ჰო, კედები. ინგლისური კედები...

— გავუგზავნო? თქვით რამე... — დანარჩენებს შეეკითხა ჯოკია.

— კედები? — დავფიქრდით ყველანი.

წუთიერი მდუმარება ჩამოვარდა. არავინ იყო ხუმრობის გუნებაზე.

„ინგლისური კედები. მერე რა რომ ინგლისურია. დიდი შეღავათია ინგლისური თუა. რა მნიშვნელობა აქვს სადაურობას. ინგლისური ამერიკული, რუსული, ქართული, არაბული... სხვა საქმეა სასწაულთმოქმედი რომ იყოს, ზღაპრებში რომაა ხოლმე. ისე რა აზრი აქვს...“

— არა, არა...

— ჰა, გავიყინე. ფეხშიშველა ვარ, გაიგე? — თითქოს ქვა ჩამოგორდაო მაღლიდან, ისე მოვარდნენ მიხეილის სიტყვები.

— გავუგზავნო? — კვლავ მოგვიბრუნდა ჯოკია და თან მაღლა აჰხედა ჩხვიმლიანს...

ჯგუფის ხელმძღვანელს თოვლის ლოლუებივით ჩამოეკიდა ნაცრისფერწინდებიანი ფესვები.

ბექნუ

არ ისმინა ჩემი ვედრება ბურუსმა, ქარმა და შურთხებმა.

ღრუბლის ფთილები თანდათან გამკვრივდნენ. გასქელდნენ.

თოვა ერთხანობას შეწყდა, მაგრამ სანაცვლოდ ქარიც ამოვარდა. ერთი თავისებურად დაუარა. დაუარა უშბისპირა ქარაფებს.

არა, არ გამეცალნენ შურთხები. მეტის ატანა კი აღარ ძალმიძდა რა ხანია ამევსო მოთბინების ფიალა და... მე თვითონ გავეცალე ქარს, ბურუსს, შურთხებს, იქაურობას. ავიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი და თავჩაქინდრული დავადექი ჩაჩუმქრულ ბილიკს დაბლა, მესტიისაკენ, ბექნუსთან.

იმას უნდა ვუთხრა რაშიცაა საქმე, უნდა გავუმხილო ჩემი სადარდებელი. აბა ასე როგორი იქნება, მესამე დღეა ბიქები არ ჩანან... არა. ასე უმოქმედობა როგორ იქნება. იქნებ რა ამბავია მათს თავს? იქნებ უჭირთ და დამხმარეს ელოდებიან? ელოდებიან და იგი კი არა ჩანს?

იქნებ საგანგაშო შუშხუნებიც ისროლეს მაგრამ ამ ბურუსში ჩვენ ვერ დავინახეთ ისინი?

მე გამოვემშვიდობე პირიბეს და ხიტო-„ბუზუულს“.

შორს, უკან დარჩა ყველაფერი. თვალის უსწრაფესად გადავედი

ლეგვმერის მცირე ქედზე. ქორულდის ტბებს გავუარე, გადავირბინე ფოშდელი და მეფთქულაში, მესტიაში ამოვყავი თავი.

ჩემდა გასაკვირველად... მესტიაში მზე დამხვდა. მესტიაში მზე იყო. სიცოცხლე სუფევდა, ჩოჩქოლ-ხმაური, ადამიანთა ჩქამი ისმოდა. კოშკები და მაჩუბები ენგურის შემოძახილზე რალაცნაირად ბუბუნებდნენ.

ნაბდისქუდიანები მომლოდინე სახეებით გამოფენილიყვნენ სეტში, მესტიის მთავარ ქუჩაში. ელოდნენ, ისინიც ელოდნენ.

რომ დამინახეს, შემომეხვივნენ და კითხვები დაბაყარეს.

აბა რა შემეძლო მეთქვა, რითი მენუგეშებინა ისინი? ვერაფერი ვერ ვუთხარი, არც კარგი რამე მითქვამს, არც, ცუდი ხმა არ ამომიღია, იმიტომ რომ მეშინოდა ჩემი განწყობილება. უიმედობა, სასოწარკვეთილება არ გადამედო მათთვისაც. ხომ შეიძლება გუმანს მოვეტყუებინე, ანდეს ტყუილუბრალოდ შევეცბუნებინე.

არა, არაფრის თავი არა მქონდა. ბექნუსთან უნდა წავსულიყავი. ღრმად მწამდა — ხერგიანთა გვარის უფროსი თაობის ცნობილმა მთამსვლელმა, საოცარი გონებისა და ალღოს კაცმა ჩვენზე, უშბის ძირას მოკალათებულ მაშველი ჯგუფის წევრებზე და ამ აბობოქრებულ ხალხზე მეტი იცოდა თავის მოსწავლეებზე, უშბასთან მოპაექრე ვაჟკაცებზე.

მთებივით პირქუშმა და მკაცრმა, მათსავით დაფიქრებულმა და ბრძენკაცმა გულიანად მომისმინა, უხმოდ მომისმინა და თოვ-სუსხისაგან გამოქარულ სახეზე ღიმილგამკრთალმა მხარზე ხელი დამადო, თითქოს სურდა მისი სიმშვიდე ჩემს სხეულში გადმოესახლებინა.

მე გამიკვირდა — რა დროს ღიმილი იყო, ბიჭები არ ჩანდნენ.

მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ არ ხუმრობდა — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ფრიად სერიოზულად მითხრა:

— ნუ გეშინია, მათ ეს ქარბორბალა ვერას დაუშავებთ. უარესიც უნახავთ, მაგრამ არ შეფერხებულან. ისინი ახლაც მუშაობენ. ადიან...

და რა უფლება მქონდა არ მეწამა მისი? განა ალმზრდელმა ყველაზე უკეთ არ იცის თავის შეგირდთა ავან-ჩავანისა?

— ნიშანს რომელ საათზე იძლევიან, რვაზე თუ ცხრაზე? — იკითხა მერე ბექნუმ.

— ცხრაზე, ოღონდ... — აბოლებულ ღრუბელთა ზღვაში განქარვებულ თეთნულდს გადაეხედე დაეჭვებულმა — ჩვენ მაინც ვეღარ დავინახავთ და...

— ოღონდ-მოღონდ არ უნდა ამას. ამაღამ გამოიდრეებს, სგიშის სათიბებიდან მშენიერად მოჩანს უშბა. იქ წადი. აუცილებლად დაინახავ შუშხუნებს, თეთრ, სამშვიდობო შუშხუნებს, გული დაიმშვიდე... ამოვისუნთქე. ერთი ღრმად ამოვისუნთქე.

„რა დარწმუნებული ლაპარაკობს, თითქოს თვითონ განაგებდეს ბიჭების ბედს, ისევე როგორც დალი — გარეულ ნადირთა“...

ნიხეილი: შენ რანაირი ოგობა ხარ?

— სხვა გამოსავალი მართლაც არ იყო.

უკან გაბრუნება დროის, ათვისებული სიმაღლის დაკარგვისა და ჭთამსველელთა სულიერი განწყობილების დაცემას, არასასურველ ემოციებსა და უიმედობას გამოიწვევდა. უკანდახევა, თუნდაც იმ განზრახვით, რომ მეორე დღეს კვლავ მოვდგომოდით „სახურავს“ სანახევროდ დამარცხებას ნიშნავდა, რადგანაც ასეთი ნაბიჯის აუცილებლობა არც სტრატეგიული და არც ტაქტიკური მოსაზრებით არ იყო ნაკარნახევი და ამდენად — გამართლებული. ეს იქნებოდა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მოუადრაკის უშედეგო, არაფრისმთქმელი სვლა — იმ იმედით გაკეთებული — იქნებ მოწინააღმდეგემ ამასობაში რაიმე შეცდომა დაუშვასო. მაგრამ ჩვენი მეტოქე — უშბა ბა რაში უნდა შემცდარიყო, რომ იმის იმედზე ვყოფილიყავით? მიხოს თქმისა არ იყოს, ვის უნდა გამოედო მოგვერდი მწვერვალისათვის და ბეჭზე გაეწვინა იგი? ვის ძალუძდა ამისი გაკეთება? არავის დედამიწის ზურგზე.

უკან გაბრუნება ამ კრიტიკულ მომენტში უაზროდ მიმაჩნდა. უკანდახევა, როცა იგი რაიმე ჩანაფიქრით არ არის გათვალისწინებული, და ამდენად მიზანს არ ემსახურება, ლაჩრობაა და მეტი არაფერი. დღეს როცა ყოველივე წარსულს განეკუთვნება, ახლად რომ მქონდეს იგივე მარშრუტი გასავლელი, მე კვლავ იმ გზას ავირჩევდი ალბათ, მაშინ რომ ვადექით. ისე რა თქმა უნდა, შორიდან, გონების თვალით რომ შეხედავ გარდახდენილ ძნელბედობას ისე საშინლად ალარ გეჩვენება უკვე.

„არა... არა... არა“... — ამ ერთ სიტყვად სახიერდებოდა ყურთასმენაში ჩაქუჩისცემის ხმა. მაგრამ იგი უფრო სულისა და გონების გამოძახილი იყო ვიდრე ამ გრანიტოვან კედელზე ფოლადის გაკვეთებისა. „არა... არა... არა...“ — იგი ნიშნავდა — ჩვენ შეეუტევთ ამ კარ-

ნიზს, შევუტევეთ და გადავლახავთ. ვერა და... მაგრამ უკან გაბრუნება? — არასოდეს!

ამ ფიქრებით აღგზნებული გავემართე კარნიზისაკენ. ინგლისურ კედებში რაღაც სიმსუბუქე და ძალა ვიგრძენი, ჯერ თოკის კიბეებით მივიწევდი, რომელთა დამაგრებაც მე და ჯუმბერმა მოვასწარით კარნიზის უშუალო მისადგომამდე.

სწორედ მერე იწყებოდა ყველაზე რთული უბანი ამ მონაკვეთისა რადგანაც უარყოფით კედელზე ბურღვა გაგვიჭირდა, ახლა რამენაირად ცოცვით უნდა მეცადა კიდევ აბღატება. პალოების დახმარებით წინ რომ წაიწიო კაცმა, საჭიროა ერთი პალოდან მეორე — ახალჩარტყმულზე გადაიტანო კიბე ზედ ჩამოჰკიდო და თავადაც ამაღლდე ერთი-ორი საფეხურით მერე კვლავ გაბურღო, ჩაარტყა პალო და კვლავ გადაიტანო კიბე, ამაღლდე ისევე... მაგრამ კარნიზზე, რომლის ჭერი მართკუთხეს ადგენდა ჩვენი მონაკვეთის ვერტიკალთან, კიბის გადანაცვლება, წინ წაწევა ჰორიზონტალური მიმართულებით უნდა მომხდარიყო, რაც ჩვენგან განსაკუთრებულ დაძაბულობასა და სიფრთხილეს მოითხოვდა (აკი იმისათვის რომ დაცვა სრულ წესრიგში გვქონდა ერთი ადამიანის საგანგებოდ გამოვყავით სამაშველო თოკების, პალოების მოთვალთვალედ, გამაკონტროლებლად. ეს იყო ჯოკია გუგავა, ჯგუფის წევრებს შორის ხნოვანობით ყველაზე უფროსი, დარბაისელი კაცი.

ჯოკია მიუთითებდა ამხანაგებს სუსტ კვანძებზე, რომელთა არსებობა მის თვალს არ გამოეპარებოდა. და აი, კიდეც! მერე შეუპოვარი ბრძოლა სახურავის ჭერის დასამორჩილებლად. მაქსიმალური სიფრთხილით გავიარეთ იგიც. დიდის წვალებით გავბურღე და ჩამოვკიდე კიბეები. ახლა კი ჭერიდან სახურავის კარნიზზე უნდა გადავმძვრალიყავი. სწორედ ამ კარნიზმა დაგვცა ყველას შიშის ზარი. მაგრამ ამ ურთულესი ამოცანის შესრულებაც კი არ ნიშნავდა გამარჯვებას, რადგანაც ჩვენ არ ვიცოდით, მის მიღმა რა იმალებოდა — კვლავ მსგავსი სახურავები გველოდა თუ ადვილდასაძლევი კლდოვანი მონაკვეთი? აბა ვინ უწყოდა რა სიურპრიზს გვიმზადებდა მუჩთალი მწვერვალი? სამწუხაროდ ია-ვარდით მოფენილი ბილიკები და სტუმართმოყვარული მასპინძლობა რომ არ იყო უშბისთვის დამახასიათებელი, ყველას კარგად მოგვეხსენებოდა. ეს აბუნდოვანებდა და ერთგვარად ჩრდილს აყენებდა ჩვენს მიზანს, ქსაქსავდა ძალებს და შერკინების სურვილს ანელებდა. მაგრამ საქმე მოითხოვდა რისკს, რაც უკვე თავიდანვე იგულისხმებოდა.

ვიდრე კიბეებს მოვითავებდი ბიჭებმა თითო პალოც ჩაარტყეს დამატებით. რამდენიმე მეტრით მომიახლოვდნენ, რათა მოწყდომის შემთხვევაში მათი დახმარება უფრო ქმედითი ყოფილიყო. მთელის პასუხისმგებლობით ჩაებღაუჭნენ თოკებს. ოთხი კაცი იდგა დაცვაზე. მხოლოდ ჯოკია გამდგარიყო განზე, იგი დანარჩენებზე ცოტა დაბლა მიჭედილიყო კედელს და კისერმოღრეცილი. მომჩერებოდა. თან პალოებსა და თოკის კვანძებს აკვირდებოდა.

და აი, კარნიზის კიდეც. რა იმალება მის მიღმა? კიბეზე შევდექი, წელში ავიმართე და ხელი სახურავის ზედაპირზე მიმოვატარე. ზედაპირი სველი იყო, ეიგრძენი როგორ ჩასრიალდა წყალი სახელოში. ჩასრიალდა და ფეხებამდე ჩამატანა.

სახურავიდან მოქცეული თოვლის ნაჟური აქ ცალკეედებოდა დედაუშბასთან, წვეთებად სწყდებოდა მის მახვილკუთხეს და უფსკრულში განიპნეოდა, შხეფებად ყვლებოდა თავზე ქარაფებს.

უსიამო შეგრძნება დამეუფლა — წყალმა ბურღივით დამიარსხეულში. კვლავ მოვაფათურე ხელი, მაგრამ სანუგეშო ვეღარაფერი ვიგულე, უცნაურმა ფიქრმა გამიელვა გუნებაში — რა იქნებოდა ადამიანს ხელზე ერთი სათადარიგო თვალი რომ ჰქონოდა-მეთქი. მაშინ ნათლად დავინახავდი სახურავის ზედაპირს, მოვზვერავდი იქაურობას

კვლავ მოვაფათურე ხელი — ზედაპირი ერთნაირად გლუვი იყო მცირედი ხაოც კი არ მომხვედრია სადმე. ერთხანს ელდანაცემივით გარინდული ვფიქრობდი გამოსავალზე. იქნებ ამხანაგებისათვის დამე ჯერებინა, იქნებ სხვა მხრით მოვდგომოდით ამ სახურავს, ან იქნებ უკან გავბრუნებულიყავით მართლაც და მართლაც? ღირდა უშბის სარკე თავის გაწირვად? მაგრამ რაიმე გამოსავალის, ახალი გზის მიგნება ჩემი გონებისათვის მიუღწეველი იყო, ხოლო უკან გაბრუნებაზე ფიქრს კი გულს არ ვაკარებდი. და არც არაფერი იყო მანდ ამდენი საფიქრალი. „უნდა გადაახტე კარნიზს, მაღლა, სახურავზე უნდა გადაძვრე როგორმე, აი, რა უნდა გააკეთო..“ — მიკიჟინებდა შინაგანი ხმა.

მე კი „ცირკაჩივით “ ვეკიდე უფსკრულთა თავზე. ობობასავით დავკონწიალობდი ქარაფთა გასწვრივ მარტოდშთენილი და მიუსაფარი! ამხანაგები? ისინი დაბლა მელოდნენ. გულისფანცქალით განიცდიდნენ რითი დამთავრდებოდა ყოველივე. რა მწარე იყო ეს წუთები მათთვის, რა დამქანცველი და გამთანგველი.

„დიდნი გაჰგლეჯენ, სუსტნი გაებმებიან და გაიხლართებიანო“ — წამოტივტივდა გონებაში მიხოს სიტყვები. „შენ, შენ რანაირი ობო-

ბა ხარ, სუსტი თუ ძლიერი? — ჩამეკითხა შინაგანი ხმა — ჰა, სუსტი თუ ძლიერი?"

„ძლიერი, ყოვლისშემძლე ობობა ვარ. ჰო, ყოვლისშემძლე, უშიშარი ობობა, არ გჯერა? აი, ნახავ..."

წელში კიდევ უფრო მოვიკაკვე კიბეზე ერთი საფეხურით ავმაღლდი, რათა ხელი უფრო შორს გამეწვდინა, და ჩემი ღმერთი ვახსენე. გადაწურულზე ამღვრეულ ფშაში რომ ჩამიყვანია ხული. ისე გავიშვირე მკლავი და კარნიზის ზედაპირზე მიმოვატარე. იქნებ მცირე ღრეჩოს წაეწყდომოდი სადმე, მცირე რამ ნაპრალს, ხელჩასავლებს. „ღორჯოს მოხელვა არას გარგია კალმახი უნდა ამოიყვანო". ერთგან ღრმული შემხვდა, მაგრამ კუთხე ვეღარ აღმოვუჩინე, მისგან ხელმარჯვნივ კვლავ ღრმულში ჩავარდნენ თითები. მექოთნესავით ფრთხილად, გულისფანცქალით მოეუსინჯე ზედაპირი, მაგრამ არა, ბედი არ მწყალობდა — ხელს კვლავ „ღორჯო ამოჰყვა". „ეგ წყეული ღორჯო ვითომ თევზია მაგიც?" ის იყო, დაღლილი მკლავი ძირს უნდა დამეშვა და თავადაც ერთი საფეხურით უნდა დავმდაბლებულიყავი, რათა წელში გამართულს სული შომეთქვა, რომ ზედ კარნიზის კიდესთან თითი წახნაგოვან შვერილს გამოედო. იგი მცირე საფეხურივით იყო ჩათხრილი კედელში თითქოს ვიღაცამ საგანგებოდ ამოჭრაო. ამ უცნაურმა აღმოჩენამ საღი განსჯის უნარი წამართვა. სიხარულისაგან ერთხანს ვცმუკავდი. შეიძლება გიჟივით მეცინებოდა კიდეც. მერე გამოვერკვიე. მსწრაფლ მოვსინჯე ნაწიბურის საიმედობა, ორივე ხელით ზედ ჩამოვეკიდე და კარნიზის თავზე ავითრიე ტანი.

ეს იყო ალბათ ყველაზე დრამატული წუთები ჩემს ცხოვრებაში, მე ხელი ვკარი კიბეებს, და თოკებს. უარვყავი დაცვა ისევე, როგორც ჰერაკლე გაძარცვეს ღმერთებმა უკვდავების საშოსელისავან, ამიერიდან თავად ვიყავი განმგებელი ჩემი ბედისა. ერთადერთი სიცოცხლის ძაფი, რომელიც უფსკრულზე სარეცხვით გადაკიდულ სხეულს ამხანაგებთან აკავშირებდა ეს ძირითადი თოკი იყო, რომელიც მაინც არ მტოვებდა, თან მომყვებოდა ჭირისა და ლხინის თანამოზიარედ. უერთგულესი მეგობარი ჩემი.

ამიერიდან ეს ხელები, ეს თვალები მოხერხებულობა და გონიერება იყო მფარველი კლდესთან მორკინალი ადამიანისა. ახალი ხელჩასავლები უნდა მეძებნა საჩქაროდ და როგორმე წინ წაეწეულიყავი. რათა ჰაერში მოქანავე ფეხებისათვის მცირეოდენი საყრდენი მომენახა სადმე და ამით მთელი სხეულის სიმძიმე რამდენადმე მაინც

შემემსუბუქებინა, სიმძიმე, რაც ახლა მთლიანად ძარღვებად დაჭიმულ ხელებს აწვა. ისინი კი თანდათან ძაბუნდებოდნენ, ბუქდებოდნენ, ძალას ჰკარგავდნენ. სწორედ ახლა იყო საჭირო სწრაფი მოქმედება, მოქმედება და ხხვა არაფერი... ვიდრე საბოლოოდ დავიწრიტებოდი ძალღონისაგან და სახეზე ქვეყნიერებასთან განშორებით გამოწვეული სასოწარკვეთილების ღიმი გამიკრთებოდა, უნდა მეღონა რაიმე. მაგრამ ხსნა თითქოს აღარსაიდან იყო. თვალები ველარაფერ სანუგეშოს ვერ აუწყებდნენ გაფაციცებულ გონებას.

სახურაეის გლუვ ზედაპირს მთელს სიგანეზე თოვლის ნაჟური მოწანწკარებდა, იგი სახელოებში ჩამყვებოდა და კარნიზზე გადაშვერილი ფეხებიდან, როგორც ღარიდან ისე იღვრებოდა მოუსავლეთში. მაგრამ ახლა ეს ამბავი ნაკლებად მადარდებდა...

არაფერ სანუგეშოს არ მიგრძნობდა გუმანი.

არაფერ სანუგეშოს — თოვლის ფანტელები, სველ სახურავზე რომ ყვდებოდნენ.

არაფერ სანუგეშოს — მთანი მაღალნი...

— ჰე... ჰეეი... — აღმოხდა უეცრად უნებური ყვირილი. — ჰე ჰეეეი...

ხმა იგი, შემზარავ ექოდ დააბერთავეს მწვერვალებმა — ჰე... ჰე... ჰე.... ჰეეი! — მოიარა მან მთელი ქვეყანა და უკანვე მობრუნდა დალეული და მინავლებული. ერთხანს ეპვმა შემიპყრო — მართლა ჩემს ბაგეთაგან იშვა იგი თუ სხვას ეკუთვნოდა ვინმეს, უცნობს და უჩინარს. ნუთუ მე, ძალმიძდა ასეთი შემზარავი ღრიალი? ნუთუ ადამის ძეს დასაკოდი კერატივით ყვირილის უნარიც ჩაუსახა მამაზეციერმა? ან იქნებ მომეჩვენა სულაც, ბექნუსაც ხომ მოეჩვენა თეთნულდზე. ან იქნებ ანტონისეული გამოქვაბულის იდუმალი ხმები მომესმა?

— ჩხვიმლიან, ჰოუ, ჩხვიმლიან, ჟახბუგან იაღო, ჟახბუგან... გამომარკვია ფიქრებისაგან ამხანაგების ძახილმა და უცბად ვიგრძენი როგორ დაიძაგრა მკერდზე მოჭერილი სამაშველო თოკი. წამიერმა შვებამ ააჩქროლა სისხლი ძარღვებში, სხეულში სითბომ და იმედმა დაიბუდა. ეს ამხანაგების გამომეტებული სითბო იყო, რომელიც თოკიდან გადმოსახლდა ჩემს არსებაში.

— თოკები... გადაჭერით თოკები... — არ ვიცი რამდენად ხმამაღლა წარმოვთქვი ეს სიტყვები.

კარგად მახსოვს, როგორ ქუხილად მოვარდა ქვევიდან ამხანაგების ნუგეში:

— იმვაი სი... ნაი — ეჩე... ჰე... ჰეეი...

სადაც შენ ჩვენც — იქა, ჰე... ჰეეიი...

არ ვიცი რა მოხდა იმ წუთში, მაგრამ უეცრად შორეული, ნაცნობი ყიჟინა ჩამესმა საიდანლაც...

ოთარ გიგინეიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი):
ვითარცა გლეხი ცას მვედრებელი

ტიანშანში კავკასიონი ხომ არ იყო, არც ალპები და კარპატები. გამარჯვების პიკი — ჯომარაი ან სხვა ნებისმიერი მცირე მწვერვალი ევროპის მთიანეთისა.

ყველას კარგად მოეხსენებოდა ეს ამბავი.

არც ჩვენი ექსპედიცია ჰგავდა სტუდენტურ გასვლას რომელიმე მცირე კოშკზე.

მთელი ჯგუფი, მაშველი ძალების ჩათვლით გულმოდგინედ იყო დაკომპლექტებული და შერჩეული. ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ წამყვანი ძალები ქართველი მთამსვლელებისა.

აბა რომელ ერთზე იტყოდა კაცი, ტიანშანისათვის არ გამოდგებაო? რომელ ერთს შეცვლიდა მეორით — უფრო ძლიერი და გამოცდილი მთამსვლელით?

მოვიდეს და თქვას თუ ვაჟკაცია, რას დაუწუნებდა მიხო და ჩხვიმლიან ხერგიანებს, ჯუმბერ მეძმარიაშვილს, თეიმურაზ კუხიანიძეს? ილიკო გაბლიანს? აღარაფერს ვამბობ კირილ კუზმინზე, რომელიც დაგვიანებით შემოუერთდა ჩვენ ჯგუფს საბაზო ბანაკ ჩანტორენში, და რომელსაც საკმაო სასიმაღლო გამოცდილება „ყელში ამოსდიოდა"? (მართალია გასული წელი მისთვის უიღბლო გამოდგა. ტიანშანში კუზმინმა თერთმეტი მთამსველელი დაკარგა გამარჯვების პიკის თხემებზე, მაგრამ შეტევისა და გამარჯვების სურვილი და ენერგია ხო არ გაჰქრობია იმიტომ სამარადჟამოდ?)

ჰო და იგი მოდიოდა ჩვენთან შურისძიების გრძნობით შეპყრობილი. გამარჯვების სურვილით აღგზნებული.

ყველაფერი თავისი რიგით მიდიოდა. დიდი ექსპედიცია ფრთებს შლიდა, წელში იმართებოდა, მიიწევდა შორეთისაკენ, გზას იკვალავდა ბარხანებსა და უდაბნოებზე, მდინარეებსა და მთებზე. ბანაკდებოდა, ძალას იკრებდა და კვლავ დაიძვრებოდა გამარჯვების პიკის მისადგომებისაკენ.

დიდი ექსპედიცია, თავისი ცხოვრებით სულდგმულობდა, იგი დიდ ექსპედიციად რჩებოდა ვიდრე...

დიდებული ბიჭებისაგან შედგებოდა იგი.

იმედიანი, მუხლმაგარი, ჯანიანი და ენერგიანი ბიჭებისაგან.

აბა მოვიდეს ვინმე და თქვას — იმას ის სჯობდა, იმას კიდევ ისა ეს კი არა, სხვა უნდა წასულიყო გამარჯვების პიკზეო. მოვიდეს ვინმე, გულზე ხელი დაიდოს და თქვას...

შეიძლება ასეთიც გამოჩნდეს თავისას იტყვის გულდადინჯებით. ურემგადაბრუნებულზე იოლია ლაპარაკი, სხვადასხვა მოსაზრების წამოყენება და მტკიცება მანამდეა საქმე თორემ...

ალბათ გამოჩნდება ასეთიც. იმიტომ რომ საეალალოდ ჩვენი ურემი გადაბრუნდა, მერე და როგორ გადაბრუნდა, დიდი ურემი გადაბრუნდა და დიდი გზაც გამოჩნდა მას უკან. გადაბრუნდა იგი თავდალმართზე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. ასვლის მეხუთე დღეს, როცა სკოლაში ნასწავლი არითმეტიკული ანა-ბანის საშუალებით დავადგინეთ რომ სამწყსოს ერთი კაცი აკლდა სათვალავში. ერთი, ერთი კაცი ვერ გვყოფნიდა სათვალავში, ეს ოხერი, ერთი კაცი...

ვინ იყო იგი? ეს ერთი ადამიანი? დურბინდში დასავლეთის მწვერვალის თხემზე ექვსის ნაცვლად ხუთი შავი წერტილი მოძრაობდა. ხუთი შავი წერტილი! გესმით ეს რას ნიშნავდა? თუმცა ეგ რა ძნელი რამეა. ექვსს გამოაკლებ ხუთს და ეგრეევ გაიგებ, მიხვდები, რაშია საქმე. მიხვდები — ერთი ადამიანი გაკლდება სათვალავში, რა იქნა იგი, ეს ერთ-ერთი მოიერიშეთაგანი? ამ მთებს მიღმა, სხვა ქვეყნით ხო არ გარდაიხვეწებოდა? ან ვინ იყო სახელად, რომელი მათგანი დაიბადა უდღეურ ვარსკვლავზე?

ძალიან შორს მობობღავდნენ ისინი, ჩვენგან შორს და მაღლა.

იქნებ დურბინდში ვერ თავსდებოდა ერთბაშად ექვსი შავი წერტილი?

იქნებ, ა?

ნუთუ სხვა დურბინდი არ იშოვება, ისეთი, ერთბაშად ათ წერტილს რომ დაიტევს და მოიტანს შენამდე? ათი ჯანდაბას, ნუ იქნება, ექვსი დაიტიოს, ექვსი შავი წერტილი. მოიტათ ასეთი დურბინდი, მოიტათ ჩქარა — ექვსი მოძრავი წერტილი დამანახოს და ალარაფერი მინდა.

— ინებეთ, დურბინდი, აი სხვა დურბინდი...

— რო ვერ იტევს ექვს წერტილს? ესეც რო ვერ იტევს? ნუთუ ქრისტიანის ნაქონ-ნახელავი დურბინდის შოვნა ასე გაჭირდა? აი, დიდი დურბინდისა, ექვსს რომ დაიტევს ერთბაშად...

— ქრისტიანის? მა ესუნი ვიღას ნაქონია, ეს დურბინდები, ჰა?

— არ ვიცი, მაგრამ ასე კია. არც ერთი არ უქნია ღმერთს, ერთიმეორეზე უარესია სამივე. გაიტანეთ და ხეში გადაუძახეთ. ექვს წერტილს რომ ვერ დაიტევს ისეთი დურბინდი რა ჭირად გვინდა...

— ღამე როა? აი მოსაღამოვდა ამასობაში, ბინდი გადაეკრა ზეცას და მიწას. აბა რა დურბინდი გაიგნებს გზას ამ უკუნეთში? გათენდეს და ვნახოთ? მოიცა, გათენდეს ერთი...

— მოსაღამოვდა? ეგ როგორ? როდის, რანაირად? მოიცა მართლა მოსაღამოვდა?

— მოიცა, გათენდეს და ვიშოვით სადმე. როგორ ვერ ვიშოვით დურბინდს...

„დიდი დურბინდი. ნუთუ აღარსად იშოვება დიდი დურბინდი? მოიარეთ ახლომახლო ყოველი კუთხე — კუნჭული, სთხოვეთ ყოველ შემხვედრს, ნაცნობს თუ უცნობს, მონადირეს თუ სარქაულს, გვათხოვოს, დიდი დურბინდი ერთბაშად ექვს შავ წერტილს რომ დაიტევს, ისეთი... ჩქარა... ჩქარა... ჩქარა...“ ეს იყო ბოდვა. არ ვიცი, ვინ გაიძახოდა ამ სიტყვებს, მე თუ სხვა. ვბოდავდით კი ყველანი. ველოდებოდით გათენებას და ვბოდავდით. თვალმილულულნი გონების თვალით დავეძებდით მეექვსეს და ვფიქრობდით — „რა, რა იქნა იგი? სად გაუჩინარდა? სად გაქრა, რა დაემართა?“ — უკვე მერამდენად იბადებოდა თავში ერთიდაიგივე კითხვა. „სად, როგორ რატომ?“ მაგრამ პასუხი ვერავის გაგვეცა. ვერავის, იმიტომ რომ ძალიან შორს იყვნენ ისინი ჩვენგან, შორს, მაღლა, მთებში.

— მოიცა. ცოტაც მოითმინე. ინათებს და, გაირკვევა, ყველაფერი გაირკვევა...

ვითომ? ვითომ ინათებს კი?

— იქნებ შევცდით? იქნებ სწორად ვერ გამოვაკელით? რა იცი...

— იქნებ მართლაც, ჰა?

— აი, მგონი ინათა კიდეც. გინდა, გავიდეთ და გავხედოთ ფერდობს...

— გავიდეთ, მა რა. გავიდეთ, აბა როგორ...

— ვითომ ინათა? წყვდიადი და მდუმარება სუფევს გარეშემო. ავბედითი სიჩუმე დგას მთებში.

— ახლა ბოლთისცემას არაფერი სჯობია. ბოლთისცემაში მალე თენდება...

— მაგაზე ადვილი რალაა, შე კაი კაცო... სულ ვიაროთ, ვიაროთ და ვიაროთ.

და აი, ბოლთასა ვცემთ კარვების წინ. ველოდებით, როდის გაბრწყინდება მთათა კალთები. ამ ბოლთისცემაში გვინდა ჩავკლათ მწვალებლური ფიქრი უმარტივეს არითმეტიკულ მოქმედებაზე — ექვსს გამოვაკლოთ ხუთი; რა, რა იქნა მეექვსე? ან იქნებ იგი თავის ადგილას იყო და ჩვენ ველარ შევნიშნეთ, ან დურბინდმა ველარ დაიტია?

ახლა კი დურბინდიც ველარ გვჭირდება. თვალებზე ხელმოჩრდილულნი გავცქერით ფერდობზე მოძრავ ხუთ წერტილს. ისინი უღრუბლობის გამო გუშინდელზე უფრო ახლოს და გარკვევით მოჩანან. მაგრამ, საუბედუროდ, არითმეტიკული მოქმედება უცვლელი რჩება. ექვსს გამოვაკლოთ ხუთი უდრის ერთს. და მას სახელიც დავარქვით — ილიკო გაბლიანი. იმ უდღეური ვარსკვლავის კავალერი იყო ილიკო გაბლიანი. მაგრამ კვლავ ძალაში რჩებოდა — „სად, რატომ, რისთვის?"

და აი, ისინი მოდიან ცალ-ცალკე. ორნი — წინ. სამნი უკან და სხვა გზით. რატომ წამოვიდნენ ერთნი წინ და მეორენი უკან და სხვა გზით, რაღად მოდიან ცალ-ცალკე? რაღად?

აბა მოვიდეს ვინმე და თქვას.— განა არ იცოდით, ასე რო მოხდებოდა, ასე რო იქმოდნენ შენი რჩეული ბიჭები? შეიძლება მართლა გამოჩნდეს ასეთი ვინმე ურემგადაბრუნებულზე. თავის გამოჩენა რომ უყვარს. მაგრამ ლაპარაკი რო ადვილია აწ გარდახდენილზე?

მოვიდეს ვინმე და თქვას:

— ბიჭები საბჭოური ალპინიზმის ელემენტარულ წეს-კანონებში ვერ ერკვეოდნენ. უნდა დაგესვათ და მთამსვლელური ანა-ბანა თავიდან შეგესწავლებინათ და გაგემეორებინათო, მოვიდეს და თქვას — მე დაესვამდი ყველას და ვამეცადინებდიო. გულზე ხელი დაიდოს და თქვას.

მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ისინი ხუთნიღა იყვნენ და კიდევ ის, რომ ორ წინწამოსულს უკან ალარ გამოსდიეს დანარჩენებმა. მათ ორის გზა უარყვეს და სხვა მხრით დაეშვნენ. ეს მართლაც ყველაზე უცნაური იყო და ყველაზე საწყენი.

დაეშვნენ კი?

ვერა, სამწუხაროდ, ვერ დაეშვნენ!

იმ სამეულიდან მხოლოდ ერთმა ჩამოაღწია ბანაკში. ორიდან კი, წინ წამოსულებიდან — ორივემ. და მაშინ არითმეტიკულმა მოქმედებამ სხვა შედეგი მოგვცა: ხუთს გამოვაკლოთ ორი უდრის სამს. უკვე სამი ადამიანი გვაკლდა სათვალავში. მრგვლად კი იგი ასე

გამოიყურებოდა: ექვსს გამოვაკლოთ სამი უდრის სამს. ერთი მალ-ლა დარჩა, მაგრამ ეს ორნი რაღა იქნენ? სად, რომელ მხარეს განქარდ-ნენ ისინი?

მოვიდეს ვინც ვაქკაცია და თქვას — მე წინასწარ განვეჭვრეტდი ყო-ველივეს, წინასწარ ვიგრძნობდი, რითაც დამთავრდებოდა ცალ-ცალკე სიარული — ბავშვური „ბუტიობანა". განვეჭვრეტდი და ხმასაც დროზე მივაწვდენდი, გავძახებდი და გავაგონებდი სამთა მეთაურს, წინა ორისთვის გამოედიათ, განზე რაღას იწეოდნენო.

მოვიდეს და თქვას, ვინც ვაქკაცია.

საბოლოოდ კი საზარელი სხვაობა გამოვიდა — ექვსს გამოვაკლოთ სამი უდრის სამს!..

საზარელი და სავალალო.

შემოდგომისპირზე მტევნებშეთვალულ ვენახს სეტყვა რომ და-უშენს ყოვლისწამლეკავი, თუ შეგიხედიათ ამ დროს კახელი გლე-ხისათვის სახეზე? ადრე გაზაფხულიდან მოყოლებული ჯარასავით რომ დასტრიალებდა თავის ვაზის ძირებს, გვალვებისას შუბლიდან მონაწური ოფლით რო რწყავდა დათუთქულ ნერგებს, დიდწვიმობი-სას კი ქუდმოხდილი, ამინდის განმგებელ ელიას შესცქეროდა — აკმა-რე რაც მოაწვიმეო. როგორ გულის ფანცქალით და იმედით ეგებე-ბოდა იგი რთველობისთვეს. და აი ახლა, ამდენი ნაჯაფ-ნაწვალევი წყალში ეყრებოდა, თვალდახელშუა ნადგურდებოდა. გინახავთ ვინმეს რა მავედრებელი თვალებით მისჩერებია ამ დროს კახელი გლეხი შავ-შავ საავდრო ღრუბლებით გაზეკილ ცისკიდურს, რა მავედრებელი და მსასოოვარი შესცქერის და უხმოდ, თვალცრემლიანი ეაჯება შებრა-ლებასა და შეერდომებას? გინახავთ ვინმეს? იგი მზად არი შეუძ-ლებელი რამ მოიმოქმედოს, ოღონდ შეთვალული ვენახი იხსნას გა-ჩანაგებისაგან, მაგრამ რომ ვეღარაფერს ხდება შავ-შავ ღრუბლებ-თან?

და იგი ტირის. გლეხი დაკოჟრილი თითებით იჭუჭყვნის თვალებს და მწარედ, ჩუმად მოსთქვამს და ქვითინებს...

ჩვენც ასეთი მავედრებელი თვალებით, შევცქეროდით ტიანშანის ფერდობებს. რაოდენ მწარე, რაოდენ გულისმომკვლელი იყო ჩვენი აჯა ცად, ღმერთებსა და ნაბდისქუდიანთა მფარველთა აღვლენილი, რაოდენ მრავალისმთქმელი, მაგრამ სამწუხაროდ არაფრისმაქნისი.

აღარაფერი ძალგვიძდა, არც მიშველება და არც ხმის მიწვდენა, რჩევა-დარიგება და გზის მისწავლება. უკვე ყოველივე გვიანი იყო. და როდის არ იყო გვიანი? ან როდის რა იყო დროული, როცა ყოვე-

ლიეს, გარდახდენილს და მომხდარს განგება წარმართავდა, განგება და ბედისწერა წარმართავდა და არაევის და არაფერს არ შეეძლო მისი შეტრიალება და შებრუნება.

ჩვენ კი იმ კახელ გლეხზე უილაჯონი და უმწეონი დავბარგანაობ-დით მთათა მისადგომებთან, უფრო საცოდავნი, უბედურნი და ღარიბ-ლატაკნი, რადგანაც ,საქმე ვენახთან კი არა გვქონდა არამედ მის შე-მოქმედ ღმერთებთან — ადამიანებთან. ცით მოვლენილი რისხვამ ხოშ-კაკალივით ჩამობერტყა ისინი დასვლეთის მწვერვალის თხემებიდან...

მოვიდეს ვინმე და თქვას...

უშბა

— ბაეშვებით აერიამულებული მაცხოვარის ეზო დამიტრიალდა თვალწინ. შუა მოედანზე საჯილდაო ქვა აგდია. მოპაექრენი რიგ-რიგობით მიდიან მასთან, ჩაავლებენ თითებს ვიწრო ყელში და მაღლა ექაჩებიან...

მოშორებით სოფლის თავკაცები დგანან. ახალგაზრდობის ჭიდილს შესცქერიან, თავისებურად აფასებენ, გულშემატკივრობენ, სჯიან, აგულიანებენ, უცახცახებენ — ცოტაა, ჰა ცოტაც და გამარჯვება შე-ნია... — ჩაესმის მიხეილს მამა ბესარიონის ხმა.

— აბა, მიდგომა ნუ იქნება... შენიშნავენ მას სხვები.

— ცოტაც, მინაან... რა ღომნაჭამივით ეწვალები; შეუტიე, რომ გჩვევია... — ვეღარ ითმენს ბესარიონი.

სხვები კიდეც თავისიანებს აგულიანებენ. ოხრავენ და კვნესიან, ეჭაჭებიან, როცა მათს ფალავანს უჭირს, ღონე არ მოსდევს... — მი-ნაანს აგულიანებენ და მაგან რა

— გაბერილი, იცოცხლე, ტიკივითაა, მაგრამ მოქნილობა აკლია და რას შერებით ახლა.

— შეუბერე, ბიჭო შენებურადა...

— ნაღვერდალი ხომ არაა ე საჯილდაო, რომ შეუბეროს...

— ასწევ და მე ვიცი შენი პატივისცემა. არა და კარგად მეყოლე ჩაიზე გაგიყვან მთელი კვირა...

მერე ჯგვიბის დღეობა წარმოუდგა თვალწინ.

იგი ნათლისვეტზე მიიკვაკება. ავბედითად წუვიან დაყინული გუნდები. ყურები, თვითმფრინავის ხმასავით აღიქვამენ მათს ზუილს. იგი უშიშრად მიიწევს მაღლა. ხელებით ძალუმად ჩასჭიდებია ნათლისვეტს, ხვართქლასავით ჩასწვნია მთელი სხეულით. ჭიაყელასავით იკუნტება და იშლება, იკუნტება და იშლება. სანატრელი ჯვარი სულ ახლოს რიალებს, ჯვარი, რომლის მადლიც გამარჯვებას მოუტანს ლომის ხეობას, მოსაკალ — საქონელს დაამრავლებს, მშვიდობას დაამკვიდრებს ქვეყნად. ჯვარი სანატრელი, პატიოსანი...

— ჰე... ჰე... ჰეეიი. მინაან... ჰეჰეჰეეი... — მოისმის ქვემოდან ლაღამელთა გამამხნევებელი შეძახილი — ჰე... ჰეეეი...

...თეთრი ანტონი სარეცელზე მისვენებულა. ძლივს გასაგონი ხმით უკანასკნელ სიტყვას ეუბნება მიხეილს, ძველ ზღაპრებს უყვება ბეთქილზე, ჩორლასა და სხვა მონადირეებზე... ბოლოს კი შეენუკვება — იხსნას დალები განსაცდელისაგან, როგორმე უშველოს შეციენულთა და დამფრთხალთა, უპატრონოს და გამოესარჩლოს... იმათს გვერდში ამოდგომას ეაჯება თეთრი მოხუცი...

კლდეზე მიჯაჭვული ბეთქილი თანასოფლელთ გადასძახის:

— ერთი ჩემმა საცოლემ მიცეკვოს, უკანასკნელად შეეხედო, როგორ დაგოგმანობსო...

ცეკვავს ნიკაპთან ლეჩაქწაკრული გოგო. ხელები გაუშლია და ლამაზად, მოხდენილად დარონინობს მოედანზე.

— ბოლმა ხეობამ იცეკვოს, მთელმა სოფელმა იმღეროს შეუპოვრობას და მამაცობაზეო...

და მღერის და ცეკვავს ხალხი. ვაჟკაცობასა და ქედუხრელობაბაზე მღერიან, ბუბუნებენ ნაბდისქუდიანები. გამტანობასა და ერთსიტყვაობაზე თხზავენ ლექსებს მეჭურინეები.

...— ჰა, მაღლა ასწიე, ბიჭო რაღა დარჩა. მოხვალ შინ და ბურვაკის ხორცი დაგხვდება. არადა ჩაითი დაგბერავ იცოდე...

— რა ღომნაჭამივით ეწიკები, შეუტიე, ბიჭო, შენ რომ გჩვეია...

— ჩვენც შენთან, მინაან. სადაც შენ—ჩვენც იქა... ჰე... ჰეეიი... — ბოლოს ამოვარდა ქვეეიდან ამზანაგების შეძახილი ჩხვიმლიანი ფიქრებიდან გამოერკვა. ახლა სასწრაფოდ უნდა მოემოქმედა რაღაცა. გარდასულ დღეთა გახსენების დრო არ იყო. ამხანაგები არ ჭრიდნენ თოკს. ამხანაგები იზიარებდნენ მის ხვედრს ეს იყო მთამსვლელური წეს-კანონებისადმი ერთგულების უმაღლესი გამოვლინება. სინამდვილეში მით არაფერი, არ შეეძლოთ. უბრალოდ იზიარებდნენ მის ხვედრს და ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს თავის გულს უჩვენებდნენ მიხეილს. ისინი ერთი გზით წავიდოდნენ ყველანი. როგორც აქ ამოვიდნენ მხარდამხარ, ისე გაემგზავრებოდნენ ერთად უცხო ქვეყანაში, საიდანაც არავინ არ ბრუნდება. მათს შორის ოცდაათ მეტრზე გადაჭიმული თოკი იმ სიმაღლიდან მომწყდარ კაცს დააკავებდა ვითომ? იგი მათ ერთიანად გამოლალავდა თავიანთი სახუნდარ-სამალვებიდან, გამოლალავდა და სიერცეში გააქროლებდა...

მათგან ამბის მთხრობელიც კი აღარ დარჩებოდა.

უეცრად განზე გაქცეულმა სისხლმოწოლილმა თვალებმა შენიშნეს, როგორ შეხტა სახურავის ზედაპირზე მცირედი შხეფი, თითქოს წკიპურტი წაჰკრესო, ისე წამოხტა იგი კლდოვანი ზედაპირიდან.

„ჩქარა... ჩქარა... ჩქარა..“ — კვლავ დარეკეს საგანგაშო ზარებმა.

მინა ხარ და მინად იქეც...

— იცი, რა... ისინი... ისინი გადაიჩეხნენ...

ამდენის ატანა მართლაც აღემატებოდა ჩემს ძალას. უეცრად თავბრუ დამეხვა, ირგვლივ ყველაფერმა ტრიალი დაიწყო. ტრიალებდნენ მთები, ღრუბლები, ადამიანები. წამით გრძნობა დავკარგე. მაგრამ მალე ისევ მოვეგე გონს. აზროვნების უნარი რომ დამიბრუნდა პირველად გავიფიქრე — არა, იმ ბიჭების დაღუპვა, როგორ შეიძლებოდა. დაერდომილმა ჩამოაღწია, ისინი ხომ საღ-სალამათნი იყვნენ, მართალია თემოს უჭირდა, გამარჯვების პიკზე ღია ცის ქვეშ უკარვოდ და უსაძილეტომროდ ღამენათევს კარგი დღე არ ადგა, მაგრამ სიმხნეით სხვაზე ნაკლებად როდი იყო. კუზმინიც მათ ახლდა. აბა რანაირადღა მოხდა ყოველივე? ყოველად წარმოუდგენლად მომეჩვენა კირილის ნათქვამი — გადაიჩეხნენო.

ვუთხარი კიდეც:

— რანაირად, კირილ, რანაირად მოხდა?

— არ ვიცი... არ ვიცი... — ანგარიშმიუცემლად მპასუხობდა იგი.

— სამნი იყავით. ორნი რაღანაირად გადაიჩეხნენ?

— იქით იოლი გზა მოგვეჩვენა. შევცდით კი. ერთგან კლდიანი უბანი შეგვხვდა. თოკი ჩავკიდეთ. პირველი ჯუმბერი დაეშვა, მერე — მე. ბოლოს — თეიმურაზი...

— თეიმურაზი? თეიმურაზი რაღაზე? იგი ხომ ყველაზე ცუდად იყო.

— ქვა, რომელზეც თოკი იყო გამონასკვული, მოძვრა, თოკიც თან გაიყოლია და თეიმურაზიც, იცი, როგორ მიფრინავდა? თევზივით. არა ფრთოსანივით...

— თეიმურაზი მეორედ უნდა დაშვებულიყო, ყოველშემთხვევაში ბოლოს არა. მაინც რა მოსაზრებით მოიტოვეთ უკან?

კუზმინი დუმს. გულაჩუყებული, თავბრუდახვეული, გაოგნებული დუმს.

— მერე რა იყო?

— ფერდობზე გავედით, ჯუმბერს უნდოდა დაბლა გადაეხედა. იქნებ კლდის შვერილებზე ჩამოეკიდა სადმეო. მაგრამ ხომ იცი, რა დღეში ვიქნებოდით, ვღელავდით ორივენი. ვლელავდით და...

— და ისიც თან გადაჰყვა...

— თავდაცვაზე ვინ ზრუნავდა. აბა ვინ იზრუნებდა იმ წუთში თავდაცვაზე. ჰოდა აუსხლტა ფეხი და უკან გაედევნა თავის ამხანაგს...

„უკან გაედევნა...“ რა ადვილი სათქმელია — უკან გაედევნა თავის ამხანაგს — შეიძლება გაედევნო სადმე სხვაგან მაგრამ უფსკრულებში? საიდანაც მოსაბრუნებელი გზა არ არსებობს? როგორ ხდება ასეთი რამ? უკან გადევნება!

— კი მაგრამ... — ათასი კითხვა მიტრიალებდა თავში, მაგრამ ვგრძნობდი რომ საიმისო დრო არ იყო ახლა. და არც ჰქონდა არავითარი აზრი ყოველთა წვრილმანთა რკვევას — ბიჭები „ზვიოზდოჩკას“ მყინვარზე ჩაეჩუმქრა ზვავსა და ნამქერს. ჰო და იკითხე და გამოიკითხე რამდენიც გენებოს, ისინი ველარ აღდგებიან. ველარ შემოუერთდებიან მოლაშქრეთა ბანაკს, ვერ შემოგვაწვევენ სიტყვას გასაჭირის ჟამს, ვერც რუსთაველზე ჩაისეირნებენ საღამოისას, მათი მთამსვლელური ნაბიჯების ჩქამი დააკლდება ხალხმრავალ თბილისის ქუჩებს, საქართველოს მიწას...

სავალალოდ, უკვე ყველაფერი გვიანი იყო.

— ახლა ძირს, ბანაკისაკენ. მაღლა არაფერი გვესაქმება. ზევით არავინაა, ვის უნდა ველოდოთ? — დავიყვირე ხმამაღლა და სირ-

ბილით დავეშვი თხემზე. არ ვიცი, სად მიმეჩქარებოდა ასე, რა მიმარბენინებდა, მაგრამ ცოტა მეამა კი, ტყაპა-ტყუპით რომ ჩამოვსერე ფერდობი.

მეორე დღეს გადავწყვიტეთ თეიმურაზისა და ჯუმბერის მოძებნა. მაგრამ იმ დგილას მოხვედრა, ისინი რომ გვეგულებოდნენ ერთობ საძნელო იყო. ზემოდან წამდაუწუმ ცვიოდა ქვანაშალი, მოჰქროდნენ ზვავები. პირველი ჯოკიკ გუგავა მოვიდა. მეც შენთანა ვარო — განაცხადა. მერე სხვებიც გამოჩნდნენ. დავეშვით მყინვარზე.

გზა თანდათან სახიფათო ხდება. მაგრამ ჯოკიას შეუპოვრობაც თანდათან მატულობს, არაფრით არ უნდა უკან დახევა. ავედით ფერდობზე, რომელიც პირდაპირ იმ ავბედით კულუარქვეშ მდებარეობდა. აქ უნდა დავძებნოთ ბიჭები ასეთია ჩვენი ვარაუდი. ბუნებამ ამჯერად შგვიბრალა, ერთხანს ისე გაისუსა ყოველივე ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, არც ზვავი, არც ქვა, არაფერი არ გვიშლიდა ხელს მუშაობაში. მალე მოვნახეთ შეკელტონი, მერე ზურგჩანთა. ბოლოს მათი პატრონებიც. მათ, რა თქმა უნდა, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევდა კაცი. უცბად ამოვიყვანეთ ისინი პლატოზე და თოვლში ჩავმარხეთ. ორი კაცისათვის შეუძლებელი იყო ბანაკამდე წამოღება. ამ დროს ოთარ ხაზარაძეც გამოჩნდა და დაღლილ-დქანცული ჩვენს მოსაშველებლად გამოიქცა.

საბაზო ბანაკში, რომელიც 4200 მეტრზე მდებარეობდა, შევკრიბეთ მთამსვლელები და ავუხსენით მდგომარეობა. ბიჭების ჩამოსვენება გადავწყვიტეთ. მე თვალები მეწვოდა, მხედველობა მიჭირდა, მაგრამ ბიჭების ჩამოსასვენებლად წასვლა აუცილებლად მივიჩნიე. ჯოკიამ დამიშალა — შენგან საკმარია, რაც გააკეთეო, მაგრამ არ დაეუჯერე. დაგეგმილი იყო რომ გადმოსვენება ხუთ დღეში მოხდებოდა. ჩვენ კი ეს ერთ დღეში გავაკეთეთ. დაღუპულთა ტრანსპორტირება მოვახდინეთ ყინულვარდნილზე, მერე თხემზე გადავედით, სადაც ციცაბო აღმართზე მოგვიხდა აბლატება, მაგრამ სამაგიეროდ ეს იყო უმოკლესი გზა... უმოკლესი გზა სამარადჟამო მდუმარებისაკენ...

ო, დიდებული, დიდებული საჩუქრებით გამოგვისტუმრა მუხთალმა ტიანშანმა.

შაჰ-აბასივით უნდობელი აღმოჩნდა იგი ჩვენს მიმართ — თან მძევალიც დაირჩინა — ილიკო გაბლიანი. ამჟამად ყველაზე მაღალი ადამიანია მსოფლიოში.

• •

— ჟახბუგან იალო... ჯახბუგან ჰეჰეეი, ჩხვიმლიან... იძახოდნენ ბიჭები.

„წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო". — ისინიც უკანასკნელ მოვალეობასაც იხდიდნენ ჩემს წინაშე. ამ დროს ოცი-ოცდაათიოდე ნაბიჯით მაინც ვიქნებოდი მათგან დაშორებული. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ორმოცი მეტრი მაინც უნდა მეფრინა ჰაერში. ამ სიმაღლიდან მომწყდარ კაცს შეაკავებდა კედელზე სამ სანტიმეტრიანი ჰალოებით მიჭედილი, თოკებზე მოკონწიალებული ხუთი ადამიანი? მათი სიცოცხლე ხომ ისედაც ბეწვზე ეკიდა. ესე იგი ჩვენგან ამბის მთხრობელიც აღარ დარჩებოდა! — უკვე მერამდენედ გამიელვა ამ ფიქრმა გონებაში. ერთხელ კიდევ გავიწიე — გავიბრძოლე. ცალ ხელზე დავეკიდე, მეორე „შადრევანისაკენ" გავაცოცე. შუა თითი ანკესივით გამოედო თეალით უხილავ ღრეჩოს, თითი თითქოს გაქვავდაო, მოიკაკვა, დაიძაგრა და მკვიდრად დაესახლა მცირე ღარტაფში. მეორე ხელზე მყისვე ვიგრძენი შვება, ტანიც შეშიმსუბუქდაო თითქოს. ისე აღარ მეწეოდა უფსკრულისაკენ, თვალებში მოწოლილმა სისხლმა უკან დაიწია.

ახლა მარცხენას უნდა ემარჯვა. კვლავ „შადრევნები" უნდა მეძებნა. მალე აღმოვაჩინე კიდეც. ხელმა იქით გაიწია, თათები უმალვე ჩააკვდნენ. მერე უფრო გაიოლდა. მაღლა და მაღლა სახურავი უფრო დანაოჭებული აღმოჩნდა. მუშაობაში სხეული გახურდა. მალე „საყვავეზეც" გავაღწიე. სახიფათო ადგილი უკან დარჩა. სხეული გამარჯვების ყიჟინმა მოიცვა. ღრუბლის ფთილებიდან ჩვენი თოვლიანი მწვერვალის კონტურები გამოჩნდებოდნენ ხოლმე. წინ ყველაზე მშვიდობიანი, იოლი გზა იდო. 30 გრადუსიანი დახრილობით, სადაც წრიაპებით გავიდოდით თავისუფლად. ყოველშემთხვევაში შლიამბურის ჰალოები ხომ არ დაგვჭირდებოდა.

— ჰე... ჰე... ჰეეეიიი... — მოედო გარეშემოს მთრთოლვარე ხმა. ეს იყო გამარჯვებული კაცის ყვირილი.

— ჰე... ჰე... ჰეეეიიი. — იყო დაბლიდან პასუხი.

მაგრამ ეს რაღაა, თოვლი რაღაზედ განაცრისფრებულა და ჩამუქებულა აგრერიგად?

„მთაში მალე ღამდებოდა. მთებში ჰალე დადის. ჰალე ბავშვებს დასდევს..." — წამოტივტივდა მეხსიერებიდან თეთრი მოხუცის სიტყვები. მერე ჰალესგან დავრდომილის ლოცვა გაახსენდა:

შიშილაად. ფუფულაად,
ცხიკიშთე ცხიკთაადე
ეელიშთე ეელთაადე.
ისგეა დის ი მუს ფაუელდ ათქარეენახ.
ქეერწილ-ლაპრისდალ ხარხ,
კილ-მაკილ ხარხ
ეაი-ეეი ხარხ.
ლექეერი ყიაჩუ ჯაზზი,
გოგლანდი ლემესგს ჯიშეე
წვიმი ლემესგს ჯიშეე,
ჩაუ ჩუქეანთე ეაზზი.
შიშდ გოგოლ მათხაფ.
ხითერ ‹ ხიდან
ჯაშხი, ი ჯაგტაეი...
თფეი, ფისრაი!

ასე მკურნალობდნენ ბებია ქალები ჰალნაკრავთ, შეშინებულთ, გულწასულთ. მაინც რაღაზე გაახსენდა ახლა ეს ბავშვობისდროინდელი ლოცვანი? რა მაგისი დრო ჰქონდა ახლა? შიშით არ ეშინოდა, მით უფრო ეშმაკებისა და ჰალების. მაგრამ თოვლი რომ განაცრისფერებულა, ეს რაღაა?

ნუთუ ღამდება? ნუთუ ვეღარ მოასწრებენ დაბინავებას?

უცბად ჩაარტყა პალო. მერე თოკი გაუყარა, გულმა აღარ მოუთმინა, ძალიძალად მეორე, სათადარიგო პალოც ჩაარჭო ნაჩვრეტში და თოკი ძირს მოისროლა. თვითონაც ჩაებღაუჭა. და დაელოდა. ვიდრე ამხანგებს იღებდა თავისთან, საკარვე ადგილს ათვალიერებდა. თან იმ ლოცვანზე ფიქრობდა. ნუთუ მართლა კურნავდა იგი დავრდომილთა და გულწასულთ? — უკვირდა ეს ამბავი.

როცა ექვსივემ ერთად მოიყარა თავი, ჩხეიმლიანმა თქვა:

— აი, საკარვე ადგილი... ერთი ადამიანურად გამოვიძინოთ ამაღამ, გამარჯვებულთა შესაფერისად, ჰა?..

„საკარვე ადგილი?" — ამხანაგებმა ირგვლივ მიმოიხედეს, მაგრამ ისეთი ვერაფერი შენიშნეს.

— სად ხედავ საკარვე ადგილს?

— აი, ეს რაღაა აბა... — ხელით მიუთითა მიხეილმა ქვაღორღიან ფერდობზე.

რაღაც ეშლებოდა უფროსს. ამჯერად რაღაც ეშლებოდა. ყველანი ვაოცებულნი მიაჩერდნენ.

მიხეილმა თვალები მოიქუქყვნა და თავი გააქნია:

— ეს ოხერი, მომეჩვენა...

„ხედავთ მოეჩვენა, მიხეილსაც მოეჩვენა. ყველას შეიძლება მოეჩვენოს რაღაცა, ჩხეიმლიანს მოეჩვენა...“ — მხრებს იჩეჩავდნენ ამხანაგები.

— უნდა დაისვენო... სასწრაფოდ ჭამე და მიწექი..... ახლაევე მიწექი. — ურჩია მას მიხომ — გადაიღალე...

ღამის ბინდ-ბუნდში ბიჭებმა მიასწორ-მოასწორეს იქაურობა. ბალე კარავი მზად იყო. ყველანი შიგნით შეილალნენ. საძილე ტომრები გაშალეს, თითო ნაჭერი პური და ხორცი გადასანსლეს და წამოწვნენ. ვახშმის გამზადებას დრო უნდოდა, დრო და მოთმინება. მათ არც ერთი ჰყოფნიდათ და არც მეორე მშრალად წაიხემსეს და წამოწვნენ.

ახლა ძილს არაფერი სჯობდა. ძილსა და მოსვენებას. მათს ხელმძღვანელს ეს ორი რამ ესაჭიროებოდა ამ წუთში ყველაზე მეტად. მიხეილმა კარგად უნდა გამოიძინოს, დაკარგული ძალ-ღონე აღიდგინოს, ნერვები დაიმშვიდოს, რათა მოჩვენებებისაგან განთავისუფლდეს...

და ამ დროს ყველას და მოულოდნელად კარავში ჩუმი ღიღინი გაისმა:

„ო, ლილე, ოო, ისგვამი დიდები ეო, ლილგვა ჰა
შიოდა, ჰოდი ეო ლილე ოო...“

მიხეილი მღეროდა, გამარჯვების სიმღერას ღიღინებდა. მათ თამამად შეეძლოთ ემღერათ დღის მნათობზე, ისინი ხომ მის საუფლოში იმყოფებოდნენ, ოქროსფერი მზის ქვეყანაში იყვნენ. სადაც იშვიათად თუ ამოაღწევდა ვინმე, და სადაც დააგუგუნეს ალბათ მნათობის სადიდებელი ჰიმნი „ლილეო“ მამაცმა წინაპრებმა. ისინიც სახელგანთქმულ მონადირეთა ნაბინავარში წამოწოლილიყვნენ. შესაძლოა სწორედ ამ ადგილას მიეშველა მეთხვიარ ბეთჭილი მშობიარე დალს, და იქნებ მისი გასამართლებაც აქ მოხდა, ამ კედელზე? აქ დაჰკიდეს იგი შეურიგებელმა ფერიებმა მთელი ქვეყნის დასანახად, როგორც ფიცის გამტეხი და მოღალატე?

იქნებ აქ გააკრეს კლდეზე გაუმაძღარი ჩორლა მარჯვენა ფეხითა და მარცხენა ხელით რქაბრტყელათა მფარველებმა და აქ გამოეცხადა მხსნელად წმინდა გიორგი?

„ოქერაში სამკალი ჰო, ლილგვა ია, შიოდა ჰოდიეო ლილე ჰოო...“

აჰყენენ ჩხიეიმლიანს ამხანაგები. ეაჟკაცთა ხმამ თანდთან იმძ-

ლავრა. გაშალა ფრთები, რხევა-რხევით გადაევლო ქარაფებსა, ფირნოვან ველებს, ლომის ხეობის მთებსა და მწვერვალებს. მთელს ქვეყანას მოეფინა მათი ღაღადისი მაღალ მნათობზე, დიდგულოვანთა ამაყთა, გუშაგთა, ზვიადთა, მტრისა ქვეყანასა შინა ვერ შემმართებელთა ხმამაღალი სიმღერა ლილისფერ სიმაღლეებზე, ვარსკვლავებსა და მთვარეზე...

მერე რა რომ თავზე ჯერ დაუპყრობელი უშბა დასცქეროდათ, უშბა, რომელსაც მალე მამაცი ექვსეულის რკინებით მოქედილი ფეხსაცმელები აუწყავდა ფოლადისფერ ზურგს.

ათას მთას გარდასულ ოქროსფერ მნათობს მოუხმობდნენ ბიჭები გზის მანათობლად, მეგზურად და შემწედ...

გამარჯვება

Спускаемся мы с покорённых вершин,
Ну что же делать.
И бог тоже спускался на землю.

მთამსვლელთა სიმღერიდან

რვა საათია. ბექნუს დარიგებისამებრ გვალდირზე გამოვეშურე. ერთი გაფოფრილი მურყანის ბუჩქი მოვნახე და შიგ შევძვერი. აქიდან მინდა ეუთვალთვალო მწვერვალს.

ნიშნის მოცემამდე საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ მე გული არ მითმენს და თვალს არ ვაშორებ არიალებულ უშბას. იმის აღმოსავლეთ კედელზე თითქოს ადამიანები მელანდებიან, ისინი ჭიანჭველებივით მოჩანან კლდეს აკრულნი და მაღლა მიხოხავენ. წინ მიხეილი მიცოცავს, გზადაგზა პალოებს ასობს კედელში, ზედ თოკს გაუყრის და მერე ქვევით, მოფუსფუსე ამხანაგებისაკენ დაუშვებს — აბა ამოჰყევითო. პირველი თოკს შალიკო ჩაეჭიდებოდა ან ჯოკია, მიხეილი (უმცროსი) ჯუმბერი ან გივი, მორიგეობით მეწინავეობდნენ ისინი, რათა თანაბრად დაღალულიყვნენ, ჯან-ღონე შემოენახათ გადამწყვეტი მომენტისათვის.

უცბად აეროპორტის გზა მანქანებით გაივსო. მანქანები სათიბებშიც შემოგრიალდნენ, ერთმა სატვირთომ ჩემი ბუჩქის წინ დაამუხრუჭა. მთელს მესტიას შეეტყო, ცხრა საათზე რომ იძლეოდნენ ბიჭები ნიშანს. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ყველას აინტერესებდა, რა ხდებოდა იქ, მაღლა, დალების სამფლობელოში. მავანთა და

მავანთა მსგავსად ხომ არ აუცურეს მათაც ფეხი ნადირთფერიებმა. როგორც ჰულიშის დღესასწაულზე, ისეთი ყაყან-ჩოჩქოლი სუფევდა ირგვლივ. მოსულიყვნენ ქალები, ბავშვები, ჭაღაროსნები, ახალგაზრდობა. ალბათ ჯერეთ არც ახსოვს მრიხანე უშბას ერთბაშად მოშტერებული ამდენი მოელვარე თვალი... იგი მედიდურად შემართულიყო ცის დასალიერში და მუქ ლაჟვარდებში გასუდრული ვერცხლისფრად ქათქათებდა.

მერე ყველანი დუმილად იქცნენ, დანიშნულ დროს ცოტაღა უკლდა და ახლა მთელი მესტია სუნთქვაშეკრული განაბულიყო სგეშის სათიბებში. კალიების წრიპინი და საკალმახე ღელეს ჩუმი ბუტბუტიღა არღვევდა გამაფებულ მდუმარებას. ჰაერში ახლად მოთიბული ბალახის ჟრუანტელის მომგვრელი სუნი ტრიალებდა, ცად ვარსკვლავები გამოსულიყვნენ თავიანთ სახუნდარებიდან და თითქოს დღეს აღმოაჩინესო ეს ქვეყანა გაოცების ნიშნად თვალებს აფახულებდნენ.

ათი წუთი იქნებოდა დარჩენილი სიგნალამდე. რომ ჩათინის ოავზე ერთი თეთრი შუშხუნა აელვარდა. ჩათინზე ჩვენს ბიჭებს რა უნდოდათ, მაგრამ ხალხმა მაინც დაუკრა ტაში — მთამსველელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, შენიანი თუ მთლად უცნობი ადამიანი პატივისცემისა და სიყვარულის ღირსია. იმიტომ რომ იგი მზისაკენ ისწრაფვის, და ვაჟკაცთა შორის უპირველესი რაინდია, უშიშარი, მგლისმუხლება რაინდია. ასე ფიქრობდა ეს ხალხი. ამიტომ ტაშის მჭუხარება კარგა ხანს გაისმოდა ირგვლივ. ყველას მეტი იმედი მოეცა. ახლა იმაზე ბჭობდნენ, სადამდე იქნებოდნენ ასული მთამსველელები, რომელ მონაკვეთზე არიალდებოდა თეთრი, მშვიდობის მახარობელი შუშხუნა, კედლის შუაწელში, ქვემო ნაწილში თუ იმ ადგილზე, სადაც იგი მწვერვალისწინა დამრეც თხემში გადადიოდა... ეს უკანასკნელი ვარიანტი ფრიად საეჭვოდ მიაჩნდა ყველას, მთელი მარშრუტის გავლა ათ დღეში იყო დაგეგმილი, და ერთი კვირის თავზე მწვერვალისწინა თხემზე აღწევა წარმოუდგენელი იყო.

ცხრა იყო ზუსტად, წარმოუდგენელი რამ მოხდა. არც კედლის შუა წელიდან, არც მწვერვალისწინა თხემიდან, ზედ უშბის წვერზე დაენთო ოთხი მშვიდობიანი შუშხუნა.

არასოდეს დამავიწყდება ის ღრიალი და ტაშის ხმა, მესტიელებმა რომ ატეხეს. თადარიგიანებმა სახელდახელო სუფრაც კი გაშალეს მწვანე მოლზე, უცბად-უცბად გადაჭრეს ბიჭების სადღეგრძელო,

მერე სიმღერა წამოწყეს. სიმღერა მზეზე — ლილეო... ხვალინდელ მზეს უმღეროდნენ ისინი, ხვალინდელ დარამინდს...

მერე მანქანებზე ავიდნენ და სიცილ-ხორხოცით ღამის ბინდ-ბუნდში გაუჩინარდნენ.

მეც გამოვედი ჩემი ბუჩქიდან და შინისაკენ გავუყევი. ნელა მივდიოდი. და იმ ბიჭებზე ვფიქრობდი. ისინი კი ამ დროს უშბაზე გადმომდგარიყვნენ და მე მიყურებდნენ. მათ რკინებით მოჭედილი ფეხსაცმელები ეცვათ და ზურგს უწვავდნენ მწვერვალს...

• •

„ეს სიკვდილს განა ბევრი უნდა,
ერთი დამთქნარებაა...“

ს ვ ა ნ უ რ ი თ ქ მ ა.

სალამოსეული ბინდი წამოჰპარვია გამზირს.

ჯერ კიდევ სძინავთ ნეონის ლიფლიფებს, ლამპიონებს, ნათურებს...

ღვიძავს ქალაქს — ათასი წყვილი გამოსულა ქუჩაში. ლამაზად გამოწკეპილან გოგოები, ბიჭები.

იცინიან და ხარხარებენ ისინი.

სერიოზული ბჭობა არ უხდება გამზირს.

ამალამდელი სალამო — მხიარულებისაა.

ამალამდელი სალამო დროსტარებისაა, სიცილ-ხარხარისაა...

ჩვენც მოვსეირნობთ გამზირზე. უხმოდ მივუყვებით ვერისაკენ. მიხეილს სპორტული კოსტუმი და დაკბილულ ლანჩებიანი ჩეხური „ბოტინკები“ აცვია. ტანსამოსელით იგი ყველასაგან გამოირჩევა, სიარულითაც გამოირჩევა სხვებისაგან, მსუბუქად, მოხდენილად მიაბიჯებს.

მე მეამაყება მის გვერდით სიარული, თვალს რომ გამოაყოლებენ ნაცნობ-უცნობები გული ამიჩქროლდება ხოლმე, შინაგან აღტკინებას ვებრძვი და ვმალავ. გულში კი ვფიქრობ ამვლელ-ჩამვლელს თითქოს ნიშნისმოგებით ვესაუბრები — „იცით, თქვენ ვინ არის ეს კაცი? „კლდის ვეფხვია“, კლდის ვეფხვი მოაბიჯებს რუსთაველზე...“

შემხვდურთა სალამზე მიხეილი ჩუმად, ძლივს გასაგონად პასუხობს, ოდნავ მიაბრუნებს იქით თავს და კვლავ გზას აგრძელებს. სიტყვაძუნწობა ამაშიც ეტყობა. ასეთი სიტყვაძუნწი კაცის მნახ-

ველი არა ვარ. მთელი საათობით შეუძლია ხმა არ ამოიღოს, და თუ ამოიდგა ენა, მაშინაც ჩურჩულით გელაპარაკება, ძლივს გასაგონად გიმარცვლის სიტყვებს.

თითქოს მთათა დუმილი გადასდებიაო — მთათა დუმილი და ფიქრი მდუმარე.

მე სულაც არ მედარდება ეს ამბავი. თუ ჰნებავს, ხმას ნუ ამოიღებს მთელი საღამო, ოღონდ ვიარეთ ასე მხარდამხარ, იდგეს ჩვენთა ნაბიჯთა ჩქამი ქალაქის ქუჩებში.

„ვინ არის ეს კაცი, იცით, თქვენა?" — თვალებით ვეკითხები გოგო-ბიჭებს, ისინი თითქოს ხვდებიანო ჩემს გულისნადებს, თითქოს ესმითო ფიქრის ხმა, აქეთ იხედებიან, ერთი-მეორეს უხსნიან რაღაცას, თვალს გვაყოლებენ.

„ალბათ იციან ვინც არი... შენც რა გააჭირეე საქმე... ალბათ იციან..." — მეცინება ჩემსავე თავზე.

— რამდენი ხალხია, არა? — ვეკითხები მიხეილს — უფრო სწორად ჩემს ფიქრს განვაცხადებ ხმამაღლა. — ახალგაზრდები, ახალგაზრდები... მოხუცები რა იქნენ?

— მოხუცები? თვალებს ჭუტავს მიხეილი და რაღაცაზე ჩაფიქრდება — ახალგაზრდობიდან ბებრუხანობამდე დიდი გზაა — იმხელა, მწვერვალის მისადგომებიდან მის წვერამდე რომაა. მისადგომსა და წვერს შორის კი ქარაფები და უფსკრულებია. რომელთაც უნდა გადაახტეს მწვერვალთ დამპყრობი და მესიმაღლე. ყველა გადაახტება ქარაფებს? სამწუხაროდ — ვერა.

— ერთი ლექსი ვიცი. ამ თემაზეა სწორედ. „ომი" ეწოდება.

— ჯერ მე გეტყვი. მეგობრებმა შეთბზეს და მე კი მომაწერეს. — მეუბნება მიხეილი.

„აქეთაც ქარაფებია.
იქითაც ქარაფებია,
ვიცოცხლებთ? — არაფერია!
მოკვდებით? — არაფერია!"

— ჰო, როგორ მოგწონს? მართლა ასე რომ იყოს? მაშინ სიცოცხლეს რა ფასი ექნებოდა. შენი ლექსი რაღაზეა, სიკვდილ-სიცოცხლეზეა ისიც?

— გამზირის განწყობილებაა გადმოცემული, „ომი" კი ჰქვია.

— გისმენ, ოღონდ მიედგეთ სადმე. აი, სკვერთან, კუთხეში...

„ბიჭები მოდიან,
ხელებს იქნევენ და ხარხარებენ.
მზე უკრთით თვალებში
და სიყვარული —
ვრცელი ველების,
ცვრიანი მთების,
ჯიშიან ქალთა.
ბიჭები მოდიან გამზირზე
და ქალებზე საუბრობენ.
თბილი წყურვილით მოთენთილნი.
მზერა ბადესავით გადაუშვიათ მორეში —
ნაფოტა ან მურწა ამოკუვეს ეგება,
იქნება — ფიჩხელა წელმოქნილი
და შესაძლოა — წინწკლება კალმახი;
ალვისხესავით მოსხლეტილი.
სხიეები თოკებად დაგრეხილა, —
იპიმებიან, იღელარჭებიან,
დაღარულან ფოსოები ღელვისაგან,
ბიჭები, აუ რამდენი ბიჭები
მოდიან გამზირზე....
ზოგსაც დაუხელთებია თავისი საფეხო
აპეურიეთ გაეყრია ხელკავი —
ამალამ ერთად იქნებიან.
აუ, რამდენი გოგოებია
და ბიჭებია!..
გამზირს მირბადი საღამო ახსოეს.
ასე მოდიოდნენ ყივილით,
ასობით, ათასობით.
ეყვარდათ მასლაათი, გართობა.
თითქოს არაფერი ადარდებდათ,
თითქოს არაფერი აწუხებდათ
და უჭირდათ რა.
ისე იცინოდნენ
მთას ბდღვირს ადენდნენ
კაეის კუნთები ჰქონდათ და კბილები.
მათი ყივილი იდგა ყოველმხრივ...
და ვისაც არ ჰკითხა გამზირმა —
საით, რომელ მხარეს წავიდნენ ბიჭები
ყურანანი, ცხვირანი, პირდეღეებანი
ვერავინ უპასუხა.
აუ, რამდენმა ბიჭებმა,
აუ, რამდენმა გოგოებმა
ჩაიარეს
ჩაიარეს,

ჩაიარეს...

და უკვირს გამზარს,
უკვირდა უწინ,
და უკვირს დღესაც
რომ ჩამოვლილი არასოდეს არ დაულანდავს
ათიოდეც კი მოხუცი ერთად...
რა კეთილნი არიან მოხუცები,
თოვლიანი მოხუცები,
თბილი მოხუცები.
საყვარელი მოხუცები,
ათობით მოხუცი,
ასობით მოხუცი,
პოპლიკანი, მოჩიფჩიფენი —
იმ ღინღლიანი ბიჭებივით ენატრება გამზირს.
როგორ ენატრება,
მაგრამ არასოდეს,
არ დაულანდავთ,
ქუჩაში ჩამოვლილი
ათიოდეც კი მოხუცი ერთად...

რომ დავამთავრე გავჩუმდი და მიხეილს შევაცქერდი სახეში, აბა რას იტყვის-მეთქი. იგი რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. დიდხანს ხმას არ იღებდა, მერე მითხრა:

— დამაფიქრებელი ლექსია. ესე იგი, ომი ნთქავს ადამიანებს, ახალგაზრდობა ვეღარ ასწრებს დაბერებას. ამიტომაც ცოტანი არიან პოპლიკანი... აბა ლექსებისა რა გამეგება. არ ვიცი, იქნებ სწორედ ვერ გავიგე...

— არა კარგად გაიგე. სწორედ ეს მინდოდა მეთქვა — ომი ნთქავს ადამიანებს, უფრო სწორად ომები...

— ერთი ლექსი მახსოვს კიდევ. თეთრი მოხუცი, ბაბუა ანტონი იტყოდა ხოლმე:

ცხოვრება ერთი ხაპია,
თომის სიმაღლე გრძელდება,
მიწა ზღაპრული გალია,
ფუღეროვდება, ძველდება.
ჯერ ცალი ტერფი დაიწვეს,
ბანდული პაპიანა,
ეიღაცა სახელს დაიწერს
საბრძანებულოს ჭიათა.
თუ მიეენდეეით, დაგგვლეჯენ,
ლობარებსა და ქობასა,

ეშმანი პირტიტველანი
შეეკვილახავენ ძმობასა.
ადრე სჯობია ყოველი,
ვიდრე გვეწვეეა დარდი.
იმქვეყნიურთა მსტოვართა
რიერაეს სტუმრობის გარდა...

ეს მონადირის ნათქვამია. იმისი თვალითაა დანახული წუთისოფლის ოინბაზობის ამბავი. იცი, რა, ამ ბოლო დროს ეს ლექსი აკვიატებული მაქვს ხოლმე. მიხოს სიკვდილის მერე ხშირად ვფიქრობ სიკვდილ-სიცოცხლეზე. სიზმრებიც დამჩემდა. ისედაც, თითქოს ცალი მხარი ჩამომაჭრესო, თავს ობლადა ვგრძნობ — ერთი რამ ვერ გამიგია და ვერც ვერასოდეს გავიგებ ალბათ, მაინც როგორ გაიმეტა მამაზეციერმა ეს ხვთისნიერი ადამიანი ლოგინში სასიკვდილოდ? ამ დროს ყოველივე აზრს ჰკარგავს ჩემს თვალში, ყოველივე იდუმალების ბურუსში ეხვევა... მერე, გამოვერკვევი, თავს გავაქნევ, ხელს ჩავიქნევ უდარდელი კაცივით და ერთხანს კვლავ ძველის აღტყინებით მივყვები ცხოვრების მდინარებას... მაგრამ ვგრძნობ, ხელშესახებად ვგრძნობ, უკვე ისე, კვლავინდებურად აღარ მახარებს მთები და ადამიანები... იქნებ ეს ჩემი სისუსტეა... იქნებ კი არა, ნამდვილად ჩემი სისუსტის ბრალია. თეთრი მოხუცი სისხლიან დროს შეესწრო — შურისძიებისა და სისხლის აღების ორომტრიალი რომ სუფევდა ლომის ხეობაში, ის ჟამი გამოიარა, რამდენი საშინელება ნახა საკუთარი თვალით, რამდენი რამ განიცადა, მაგრამ გული როდი აუცრუებია ცხოვრებაზე. წინანდებური გატაცებით უყვარდა საჯიხვები, მთები ადამიანები... იცი, რას მარიგებდა უკანასკნელ წუთებში? დალებს მიჰხედეო! რა შემეძლო მე? რანაირად მივხმარებოდი მთათა ფერიებს? ამაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ დღესაც არ ვიცი, — რანაირად უმფარველოს ადამიანმა დალებს?

ჰო, იმისი თქმა მინდოდა — თეთრი მოხუცის ბაგეთაგან ღიმილი .ო გაჰქრალა უკანასკნელ წუთებამდე. ოთხმოც წელს კი იყო გადაკილებული. როგორ, რანაირად შეინარჩუნა ეს სიმშვიდე და კეთილგანწყობილება გარესამყაროსადმი?

ჩვენმა საუბარმა ‘ოულ სხვა ხასიათი მიიღო. მიხეილის ნათქვამი მაოცებდა: „ნუთუ ამ ‘ოლდის კაცსაც აქვს თავისი სადარდებელი? და მის უშიშარ გულს ჰკენწლავს ხოლმე შიში და ჭოჭმანი?“

ამ წუთში იგი ჩვეულებრივ მოკვდავად იქცა ჩემს თვალში, ჩვეულებრივ, მიწიერ ადამიანად, რომელიც ათას სხვასავით სასეირნოდ

გამოსულიყო ქუჩაში. და აღარ ვიძახოდი უკვე გუნებაში — „თქვენ იცით, ვინ არის ეს კაცი? — „კლდის ვეფხვია“, კლდის ვეფხვი, მოსეირნობს გამზირზე. რანაირადღაა იგი კლდის ვეფხვი თუ კი ასეთი ფიქრი უტრიალებს თავში? განა „კლდის ვეფხვობისათვის“ მარტოოდენ მსუბუქად სიარული კმარა? სადარდებელი რომ ჰქონია გულში იმას რაღა ვუყოთ? ვეფხს განა რაიმე აქვს სადარდებელი?“

მიხეილი ერთხანს ჩერდება, ვიტრინას ათვალიერებს. სახეზე ვიტრინის სილრმიდან მოკიაფე ნათურის შუქი ადგას. მე მეუცნაურება მისი სახე — რამ გააფითრა აგრერიგად? მეჩვენება, რომ იგი გაფითრებულია. და მიკვირს — რა... ასე უცაბედად რა მოხდა ასეთი? ვიტრინაში ჯიხვის ყანწებია გამოფენილი. რუხი-ნაცრისფერი, ლამაზად დამუშავებული ყანწები. მათ ფასიც ადევთ, ოღონდ კარგად ვერ გაარკვევს კაცი ქაღალდზე ბატისფეხურით მიწერილ ციფრებს.

— რა, ძვირია? — ვეკითხები ყანწებს მიშტერებულ მიხეილს.

— იცი, წუხელ ერთგან წვეულებაში ვიყავი დაპატიჟებული, ყანწები რომ გამოიტანეს, ავდექი და წამოვედი. ყველას გაუკვირდა — სად მიგეჩქარებაო, ვერავინ კი ვერ მიხვდა ადგომის ნამდვილ მიზეზს. აბა ვინ რას იფიქრებდა ყანწები რომ იყო ამაში დამნაშავე? იქნებ სისულელეა რასაც ვამბობ? არის წუთები, როცა თავადაც მეცინება ჩემს გულჩვილობაზე. მართლაც და რა შუაშია ყანწები? — იკითხავს კაცი...

შარშან ლეგვმერიზე ავედი, თეთრი მოხუცი შემომჩოდა ხოლმე — ასე დათხელდნენ ჯიხვთა არვენი, მალე ალბათ იმათი სახსენებელიც გაქრება ლომის ხეობაშიო. წამოვწექი ქედზე და ჭოგრიტით სალოკ კლდეებს გავხედე. სულმოუთქმელად ველოდი რქაბრტყელთა გაჩენას, მაგრამ ამაოდ, უკვე მზე საცაა ჩაიწვერებოდა და თვალსაწიერზე ცოცხალი არსების მაგვარი კი არაფერი შემინიშნავს. ის იყო გულაცრუებული წამოდგომას ვაპირებდი, რომ ორნი გამოჩნდნენ. ერთი უფროსი იყო — ხარჯიხვისათვის დამახასიათებელი მომშვილდული რქებით, მეორე, — ფოთრი ორი-სამი თვისა თუ იქნებოდა. არ ვიცი, სად იყო დედაჯიხვი, შეიძლება მოკლა მონადირემ? ერთი რამ კი ცხადი იყო, ფოთრს ხარჯიხვი მფარველობდა მშობელი დედის მაგიერ. იგი თვალების ცეცებით მოჰკვალავდა ბილიკს და ალბად თავის ენაზე ანიშნებდა პატარას — მომყევი, ნუ გეშინიანო.

მაგრამ ამჯერად ანდემ უმტყუნა, ბებრუხანას. უცბად თოფმა იქუ-ხა მახლობელ სახუნდარიდან, ხარჯიხვი თვალისუსწრაფესად გადა-ეკიდა ქარაფზე და დაბლა, თეთრ მყინვარზე დაეხეთქა ტყვიანაკრა-ვი, მაგრამ უარესი შემდეგ მოხდა — დაფეთებული, მარტოდშთენილი ფოთრი აქეთ-იქით მიაწყდა, მშობლებისაგან მიტოვებული ბავშვი-ვით მიედ-მოედო ღობე-ყორეს, ერთგან კლდის ნაპრალში შერგო თავი. ალბათ შიგ გაძრომა თუ გადაწყვიტა და გაიჭედა კიდეც. ვერც იქით გადიოდა, ვერც თავი დაეძვრინა, ფეხებს კი იქნევდა და ასხ-მარტალებდა, რანაირად არ იშველიებდა, მაგრამ არაფერი კი არ გამოს-დიოდა. ბოლოს დაიღალა და ჩვარივით ჩამოეკიდა საკუთარ თავზე.

იცი, რა გულისდამწველი იყო იმ საცოდაობის ცქერა? უცბად გველნაკბენივით წამოვვარდი და კბილების ღრჭიალით დავეშვი დაბ-ლა. რეტდასხმულივით გავრბოდი, უნდა მიმესწრო ცოცხლისათვის. მიმესწრო და მეშველა. ექვსი კილომეტრი მაინც იქნებოდა სალოკ კლდეებამდე ლეგვმერის ბექიდან, მაგრამ სიშორეზე წუთითაც არ მიფიქრია, თვალწინ ფეხმოსხმარტალე ფოთრი მედგა და იმის მისა-შველებლად გავრბოდი.

სულზე კი მივუსწარი. თავით კლდის ნაპრალში ჩაჭედილი სულს ღაფავდა, კისრის ძარღვებში სისხლი შესდედებოდა, ნელ-ნელა კვდებოდა, იხრჩობოდა. სასწრაფოდ ჩამოვხსენი, გულ-მკერდი და-ვუზილე, მივეფერ-მოვეფერე, წყალი მოვასხურე... ცოტა ხნის შემ-დეგ მოიხედა, ერთხანს უაზროდ შემომცქეროდა, მერე გონს რომ მოეგო, ერთი ძალუმად შეფართხალდა, ელდანაცემივით ისკუპა და ანგარიშმიუცემლად გადაეშვა ნაპრალებში, ერთი სიტყვით, უკან გასდია თავის მშობელს... „უკან გასდია“, მე მაშინ ტიანშანი გამახ-სენდა, ადამიანებისათვის დამახასიათებელი რამ ნადირთათვისაც საც-ნაური ყოფილა.

ტიანშანში ჯუმბერმა გასდია უკან თეიმურაზს, გესმის, რამხელა ამბავია, უკან რომ გასდიო ვინმეს მოუსავლეთში? აქ ერთი ბეწო ფოთრმა გასდია თავის მფარველს უფსკრულში...

შენ გგონია აქ დამთავრდა ყველაფერი? ტყვილა ფიქრობ, ახლა იწყება. რისი თქმაც მსურდა. ყველაზე საშინელი და უარესი ახ-ლა იწყება. ჰო და რა გუნებაზე ვიქნებოდი იმ წუთას? მაგრამ შინ ხომ უნდა დავბრუნებულიყავი, აუცილებლად უნდა დავბრუნებული-ყავი, ჰო და მყინვარზე რომ დავეშვი, ის ხარჯიხვი მანდ დამხვდა, მონადირის ტყვიამ რომ გადმოაფრინა ქარაფებიდან. იწვა სისხლის

ტბორში, გამიკვირდა: მონადირემ მოკლა და რაღაზე მიატოვა-მეთქი, მიატოვა კი! ეს იქიდან ჩანდა, რომ ერთი ჩიჩქიც კი არა აკლდა, მთლიანი იყო, თეთრ თოვლზე ლაქად გაღვრილ სისხლიან ტბორში გაშხლართულიყო. მხოლოდ რქები მოეჩეხათ მისთვის. რქათა ძირებში ნათლად აჩნდა წალდის ნაჭდევები. ღმერთო ჩემო, ეს რა დღეს შევესწარი, ჯერ ერთი, მერე მეორე, ახლა კი მესამე უსიამოვნება — მონადირეს რქები მოეჩეხა და წასულიყო. აი, მისი ნაკვალევიც, ჩორლას ნაკვალევი ბოლომდე ჩასდევდა მყინვარს და ცაიდერის ქვაღორღებში იკარგებოდა.

ეს იყო ყველაზე გულისდამწველი: რქების გულისთვის რამხელა უბედურება დაატრიალა ადამიანმა მთაში. მერედა რას წარმოადგენს ეს რქები? ნუთუ სასმელი ვერ დაილევა უყანწოდ? სხვა რაღას წარმოადგენენ ისინი? ძველადაც კლავდნენ რქაბრტყელებს, თეთრი მოხუციც თოფავდა მათ, მაგრამ არა რქებისათვის, არამედ ჯალაბისათვის! თეთრი მოხუცი ერთ გზობაზე ერთს, ან დიდი-დიდი, ორ ჯიხვ-არჩეს თუ დათოფავდა, წესი იყო ასეთი, მეტის ხოცვა ეკრძალებოდა ყველას. ეს კი მოკლავდა რამდენსაც მოიხელთებდა, მოკლავდა, რქებს მოჩეხავდა და ძვალ-ხორცს ყვავებს დაურჩენდა საჯიჯგნად.

ჩორლასავით გაუმაძღარი იყო იგი აკი ამბობდა თეთრი მოხუცი — „ჩორლასფერანი მომრავლდნენ, მათ მონადირული წესკანონები მოშალეს, წაბილწეს მთათა ადათები, და თუ არავინ მიხედა ამ საქმეს, ეს მთები და მყინვარები ყოველთა სულიერთაგან დაცალიერდებიან, ხოლო თმაშეთხელებული, შეციენული დალები თოვლის ლოლუებად გადაიქცევიანო“.

გამოდის რომ ჩორლასფერანი იყვნენ და დღესაც არიან. ოღონდ დღეს ერთობ მომრავლდნენ ისინი. დრო გადის, ისინი კი მრავლდებიან და მრავლდებიან. მალე ყველაფერი წახდება, წაიბილწება...

— იქნებ ეი ეს ყანწები იმ ხარჯიხვისაა სულაც? ესენი თუ არა, წუხელიხ რომ გამოიტანეს სუფრაზე, ისინი იქნება. მილიონი ყანწია ამ ქვეყანაზე, გაარკვიე ახლა, რომელია იმის რქებისგან გამოთლილი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ყველა ისინი ჩორლას ნამაგარია, ჩორლას მოჩეხილი უწყინარ ნადირთა თავთაგან. ვიღაც კეთილისმყოფელის საამებლად და საპატივცემულოდ ჩამოტანილი ქალაქში. ყველა ისინი ჩორლასფერათა ჩამოზიდულია სვანეთის კავკასიონიდან, ყარაჩაიდან, ბალყარეთსა და დაღესტნიდან. და საიდან არა, აბა, სად არ მიუწვდება ხელი ჩორლას? ტიანშანში ილიკოს ჩამო-

სასვენებლად რომ ვიყავით, მაშინაც ცილაობდნენ ვიღაც-ვიღაცეები ჯიბვისა და არხარის საყანწეებს, ჰპარავდნენ კიდეც ერთმანეთს.[1] ჰო, იყო ასეთი ამბავიც... აბა მითხარი, ყოველივე ამის მერე გული არ შეგილონდება ადამიანს გაპრიალებული რქების დანახვაზე? გულზე ხელი დაიდე და მითხარი, კარგი გასაძლები იქნება იმათი ყურება?

ყველას ხომ ვერ აუხსნი ამ ამბავს. ზოგს სასაცილოდ მოეჩვენება ყოველივე, გულში ჩაიქირქილებს — „ე, მიშა, მინდიასფერად დაგჩვილებია გული, მაგრამ ერთი რამ კი გავიწყდება — შენ კლდის კაცი ხარ და მასეთები აღარ შეგშვენის..."

შესაძლოა შენთვისაც გაუგებარია ჩემი ნათქვამი? — მიხეილმა ერთი გამომცდელად გადმომხედა, თითქოს სურდა სახეზე ამოეკითხა ჩემი ფიქრები, ვიტრინას მოშორდა და ქუჩას გაუყვა.

ერთხანს უხმოდ მივაბიჯებდით, მე ამ უცნაურ კაცზე ვფიქრობდი. მართლაც ვინ იყო იგი, კლდის ვეფხვი თუ ვინმე გულჩვილი, გულსუსტი ადამიანი? როგორ თავსდებოდა მის არსებაში ეს ორი საპირისპირო გრძნობა — ვეფხვობა და გულჩვილობა? ეს ყოვლად წარმოუდგენლად მიმაჩნდა, მიმაჩნდა და მიმაჩნია დღესაც.

ამ წუთში კვლავ ამაღლდა იგი ჩემს თვალში და ისევე დამეუფლა სიამაყის გრძნობა, მაგრამ ამჯერად იგი მომდინარეობდა არა მისი ცისიერობიდან, არამედ — კაიკაცობიდან, ადამიანობიდან, მიწიერობიდან.

„თქვენ იცით ვინ არის ეს კაცი? მინდიაა... მინდიასფერია, გაცხადებული მინდია..." ნიშნს ვუგებდი გამვლელ-გამომვლელთ.

— იცი, რა გადავწყვიტე? — მომმართა მერე მიხეილმა — აი, იტალიიდან რომ დავბრუნდები, ჩავალ სვანეთში და როგორც ძველად იცოდნენ უბედურების ჟამს, საწყურით შეეყრი ლომის ხეობას, ყველას მოვიხმარიებ, ყველას, ვინც კი კაცია და გული შესტკივა იქაურობაზე, სეტში ჯგურაგის ეზოში შევყრი ყოველთა და ხატზე დავაფიცებ გაიხსენონ ძველებური სიყვარული ყოველთა სულიერთადმი, შინაურთა და გარეულთადმი, სიყვარული და გაფრთხილება... გაიხსენონ შეცივნული ნადირთ ქალღმერთები, რომელთაც იმდენი თმა

---

[1] 1966 წელს მიხეილი თავისი ჯგუფით კვლავ ეწვია ტიანშანს. ამჯერად მას გადაწყვეტილი ჰქონდა აღმოსავლეთის მწვერვალიდან მოეხდინა გამარჯვების პიკის ტრაკერსირება, დასავლეთ მწვერვალზე დაშვებისას მოენახა ილიკო გაბლიანის ცხედარი და ჩამოესვენებინა საქართველოში, მაგრამ მოლაშქრეებს არც ამჯერად გეხელიმათ ბედმა; საიერიშოდ მზადების პერიოდში მოსკოველ მთამსვლელებს უბედურება შეემთხვათ, სამაშველო სამუშაოებმა, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მიხეილმა, უამრავი დრო წაიღო. ამასობაში ამინდები გაფუჭდა. ჩამოიტანა თოვლი, მომენტი დაიკარგა და ჯგუფი იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო.

სცვიეათ თავთაგან, რამდენი ჯიხვიც აკლდება თაბუნს, გაიხსენონ მთათა ძველთაძველი წესი: „არ მოკლა ორზე მეტი, არ მოკლა დედაჯიხვი, არ გაატყვრინო კუთხვა გიორგობამდე...“ — რა ვიცი, ეს იქნება ალბათ აღსრულება თეთრი მოხუცის ანდერძისა — „დალები შენ გელოდებიან, შენს შეწევნას ელოდებიანო...“

მეტი რა ძალმიძს თორემ ჰო...

და ვეტყვი კიდევ:

— ხოლო წინწანაქარის მისართმევად მურყნიდან გამოვჩორკნოთ კათხები, ძველი, მამა-პაპური კათხები. ამისათვის სულ ცოტა რამეა საჭირო — ერთი ეჩო და ერთიც ხელეჩო, და ხელის გაქნევა და გამოქნევა...

მეტი რა ძალმიძს თორემ ჰო...

აი, რომ დაებრუნდები იტალიიდან, ასე გავაკეთებ...

ИТАЛИА: УКАНАСКНЕЛИ НАХТОМИ

სვანეთში უფროსი თაობის მთამსვლელებზე ამბობდნენ: ესენი, ფეხშეუდგამ სიმაღლეებს რომ ეტანებიან, ცხრათვალა მზისკენ იკვალავენ გზას, მზისკენ, რომელსაც ყველასათვის ბედნიერება მოაქვს. ისინი ბედნიერებას ეძებენ და სიკვდილს ებრძვიან, ებრძვიან და ამარცხებენ კიდეც...

ხოლო როცა ვინმეს უბედურება წამოეწეოდა მთაში, იმაზე ამბობდნენ — იგი წმიდა, ლამაზი სიკვდილით მოკვდაო...

ამიტომ იყო ალბათ, ასე რომ იზიდავდა აქაურ კაცს მთების სილამაზე და სიდიადე. იგი დღენიადაგ ჭიდილსა და პაექრობაში იყო მთებთან...

• •

ავტობუსის გასელამდე მთელი საათი მრჩებოდა. გადავწყვიტე მესარგებლა შემთხვევით და მიხეილისათვის გამევლო ალპიურ კლუბში. იგი ამ დღეებში იტალიაში მიემგზავრებოდა და შესაძლებელია მივლინებიდან ვეღარც კი ჩამომესწრო მისთვის თბილისში. ალპიურ კლუბში მთამსვლელებს მოეყარათ თავი. აქ იყვნენ მიხეილის კოლეგები, მისი ამხანაგ-მეგობრები — თამაზ ბაქანიძე, რომა გიუტაშვილი, ჯულვერ რუსიშვილი, ოთარ ხაზარაძე, აგი აბაშიძე და სხვები. ისი-

ნი საუბრობდნენ მიხეილის, და არა ძარტო მიხეილის, ჩვენი მთამსვლელების იტალიაში გამგზავრების შესახებ. ჩემს მისვლაზე მიხეილმა ამხანაგებთან ბოდიში მოიხადა და გარეთ გამოვიდა. იგი მოწყენილი და დაღლილი გამოიყურებოდა, წვერგაუპარსავი იყო და სახის ნაიარევზე წამოზრდილი ჭაღარა ჭარმაგი კაცის იერს აძლევდა.

— მივლინებაში მივდივარ — ვუთხარი მიხეილს და სამგზავრო ჩანთა დავანახე, რითაც ვანიშნე, სახლიდან გამოსული და აბარგებული ვარ-მეთქი.

— გამოსამშვიდობებლად მოხვედი?

— ასე გამოდის.

— მოდი, სადგურისაკენ გავუყვეთ. თან ვისაუბრეთ.

— გავცვალოთ როლები?

— ნისიად გაგაცილებ... — გაიღიმა მიხეილმა.

— როდისთვის აპირებთ?

— კვირის თავზე მოსკოვში უნდა ვიყო. 25 ივნისს დედაქალაქიდან გავფრინდებით ალბათ. ჯერ არ ვიცი, რა იქნება...

— იცი რა, გაცილება რა აუცილებელია. ჩამოვჯდეთ აქ სადმე, მაინც ცოტა დრო მაქვს...

— მე მოკლე გზა ვიცი. უფრო სწორად ბილიკი. აი, პარკის ბოლოში გავალთ და იქიდან პირდაპირ დავეშვებით სანაპიროზე, ავტობუსების სადგურში...

— მთამსვლელები უბილიკებოდ აქაც ვეღარა ძლებთ, არა?

— ბილიკი ტურისტების საქმეა, ჩვენი — არა. მთამსვლელები წავარნების ხალხია.

— ნადირთა ბილიკების?..

— ასე გამოდის. ბავშვობაში ძალიან მომწონდა ტურისტები. იმათი სამწყობრო სიარულისათვის საათობით მიყურებია. თითქოს წეროთა გუნდიაო, ისე ჩამწკრივებულნი მოჰყვებოდნენ ჩრდილოეთიდან გადმოსულნი ცაიდერის გზას... რაც მართალია, მართალია — ტურიზმზე პატარობისას ჭკუას ვკარგავდი.

— მერე?

— მერე — არაფერი! იგი ერთი საფეხურია, მთამსვლელობა უმრავლესობისათვის ტურიზმით იწყება. მთიელისათვის ტურისტობანა რისი მაქნისია... იგი ხომ სინამდვილეში ათგზის ტურისტია. მერე რა რომ პირველი საფეხურის სამკერდე ნიშნებს არ ურიგებენ... მაგრამ ქარხნის მუშებისათვის, სტუდენტობისათვის და საერთოდ ბარის

ხალხისათვის მისწრაფებაა, ოცოცხლე, შესანიშნავი გართობაა და არა მარტო გართობა...

ჩვენ ბილიკზე გავედით. იგი პარკიდან ფლატეს ჩასდევდა. საინტერესო ბილიკი იყო, მკვრივად გატკეპნილი. მიხეილი წინ მიდიოდა, მე მასთან ერთად ხომ მევლო მთაში, მაგრამ მაინც ცხოველის ინტერესით შეეცქეროდი, როგორ ეშვებოდა თავდალმართზე. ხომ შეეძლო, დიდი ნაბიჯებით ჩაპყოლოდა, მაგრამ — არა! მოკლე — მოკლეს დგამდა, თითქოს დიდი სიმძიმე რამ აწევსო, მუხლებსა ხრიდა, რათა ფეხზე ნაკლები დაწოლა ყოფილიყო. მთამსვლელი ჩვეული სისხლ-ხორცში გასჯდომოდა, ამ ქალაქურ ბილიკზეც კი არ ღალატობდა მათ.

მერე და რა მსუბუქად, უხმაუროდ, ეშვებოდა. ვისაც მიხეილის მეტეხის ციხიდან მტკვარზე „დულფერით" დაშვება არ უნახავს, ის ალბათ ვერც გაიგებს და ვერც წარმოიდგენს ყოველივე ამას.

— იცი რა, იმ ღამეს რომ ლექსი მითხარი, ომზე რომ იყო. — შუბლი მოიქავა მიხეილმა, ბილიკზე თავი შეიმაგრა და დამელოდა — მე ვიფიქრე, და მომეჩვენა რომ რაღაც შეცდომაა გააზრებაში... რა ვიცი, იქნება ვცდები...

მართალი გითხრათ, მეუცნაურა მისგან ლექსის გახსენება. იმ საღამოს მეტად ლექსებზე არც არასოდეს გვისაუბრია მე და მიხეილს, მას სხვა გატაცებანი ჰქონდა და ლექსებისათვის არც ეცალა. მაგრამ იქნებ ქვეშეცნეულად ახლობელიც იყო მისთვის პოეზია და ეს ამბავი თვითონაც არ იცოდა? მთამსვლელობა და პოეზია ხომ ასე ენათესავებიან ერთმანეთს.

— მაინც რა გაქვს მხედველობაში? — ვკითხე მიხეილს.

— მანდ შენ ამბობ, რომ ომი შთანთქავს ადამიანებს და ამიტომ ხნიერთა ასაკს ცოტანიღა აღწევენო. მაგრამ მხოლოდღა ომი? ჩვენი ყოველდღიურობა, ბუნებაში არსებული უსამართლობა?..

„კვლავ მიხოზე ლაპარაკობს. ვერაფრით ვერ მოუნელებია მისი სიკვდილი — გამკრა უეცრად გუნებაში — მისი ასეთი ფიქრი მიხოდან მოდის, მიხოდან და სხვა ამხანაგებიდან... ახლა იტყვის..."

— აი მიხო, და არა მარტო მიხო, სხვებიც — ილიკო, ჯუმბერი და თემო, და არა მარტო ესენი, კიდევ მრავალი სხვა, განა იმ ბრძოლაში დაიღუპნენ? — მიხეილი აწყლიანებული თვალებით შემომცქეროდა და პასუხს ელოდა ჩემგან.

მაგრამ აბა რა უნდა მეპასუხა? დავუშვათ მე „ომი" ფართო გაგებით მესმოდა, და იგი გულისხმობდა არა მარტო იარაღით ბრძო-

ლას, არამედ ადამიანთა ყოველდღიურ სწრაფვას უკეთესი მერმისისაკენ, უსამართლობის წინააღმდეგ, საგმირო საქმეებისათვის თავდადებას, მაგრამ დავუშვათ რომ „ომი“ მისი პირველი და ვიწრო გაგებით ვუწოდე ლექსს და მიხეილი მართალი იყო, მაინც არაფერი იცვლებოდა ამით. აბ შემთხვევაში ეს ნაკლებად მადარდებდა. მე შეუცნაურებოდა სულ სხვა ამბავი, აი, მაგალითად ის, რომ იგი წვერგაუპარსავი იყო, ნაღვლიანი და მოწყენილი გამოიყურებოდა, და ყლავინდებურად სიკვდილ-სიცოცხლეზე ფიქრობდა, მიხოზე და სხვა უდღეურ ამხანაგებზე ფიქრობდა. ამ ბოლო დროს იგი, ეტყობა. დიდ დროს უთმობდა ამ არასასიამოვნო, ნაპრალებზე მოარულ ადამიანისათვის შეუფერებელ და დამღუპველ ფიქრს. ეს ამბავი მაკვირვებდა და მაშფოთებდა.

— ჰო, დიდი სადარდებელი კი გაგიჩინე, არა? ეს ოხერი, რა დროს ამაებზე ფიქრია, დასწყევლოს ეშმაკმა... აი შენი წასვლის დრომაც მოაღწია ალბათ... — ხელი ჩამკიდა მიხეილმა.

ჩვენ გადავკოცნეთ ერთმანეთი და ასე უხმოდ დაკშორდით. თუმცა არა, მიხეილმა უკნიდან მომაძახა:

— ერთი გაცილება შენზეა, იცოდე... — ხელი დამიქნია და უკან გაბრუნდა ალპიური კლუბისაკენ.

ფიქრებიდან მაშინღა გამოვერკვიე, ჩვენი ავტობუსი თითქმის სამსაათიანი მგზავრობის მერე რაიონულ სადგურზე რომ გაჩერდა. თავი გავაქნიე — აუ, რა შეუმჩნევლად გასულიყო დრო. დრო, რომელიც წაიღო ავბედითი ფიქრებისა თუ მოჩვენებათა უსიამო წინათგრძნობათა უარყოფამ.

და საუბედუროდ და სავალალოდ ჩემდა, ეს იყო უკანასკნელი საუბარი მიშასთან. და ვაი, რომ ვეღარ მოვიხადე მის წინაშე ჩემი გარდასახდელი ვალი — მომავალ მგზავრობასა და ექსპედიციებში გაცილებისა.

თუმცა გაცილება ის იყო, ჩვენ რომ გავაცილეთ მიხეილი.

მარადისობასა და უკუნში...

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

• •

„25. ივნისი. 1969 წ.

იტალია. ხიმიდჩინოს აეროპორტი.

თვითმფრინავი რბილად დაეშვა ბილიკზე.

თბილად გვხვდებიან ჩვენი საელჩოს წარმომადგენლები. მალე კი რომისაკენ მიეყევართ საბჭოთა სპორტსმენები. — წერს თავის იტალიურ დღიურში მიხეილი — მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტიდან 10 საათზე გამოვფრინდით. ოდნაე დაღლილები ვართ. სადილის შემდეგ დასვენებას არაფერი გვერჩივნა, მაგრამ იტალია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებიდან მოვიდა მისი წარმომადგენელი — ლამაზი ქალი. შემოგვთავაზა ქალაქში გასეირნება. უარი ვეღარ ეუთხარით. დავათვალიერეთ მცირე ნაწილი".

მეორე დღეს დილიდანვე შეუდგა მიხეილი რომის დათვალიერებას. იგი ტკბებოდა მსოფლიოს ამ უძველესი და უმშვენიერესი ქალაქის სასახლეების, მონასტერთა და ისტორიულ ძეგლთა ხილვით.

იტალიის ფირუზისფერი ცა, შორს, ცისკიდურზე თეთრ ცისარტყელასავით გადაჭიმული თოვლიანი მთები საქართველოს აგონებდა მიშას. სვანეთის გულზვიადები, მაჩვიბები და მურყვამ-კოშკები ედგა თვალწინ. ამ დროს გულზე სევდა შემოაწვებოდა ხოლმე, სევდა შორს დარჩენილ სამშობლოზე. თმაშეეერცხლილი მამა ბესარიონი გაახსენდებოდა — „ნეტავ რას აკეთებს ჩემი მოხუცი ახლა, ამ წუთში, რას საქმიანობს, რაზე ჩაფიქრებულა?.." — გაიფიქრებდა და ნაღვლიანად გაუღიმებდა მეხსიერების ლაბირინთიდან ამოტივტივებულ მამის მუდარითა და სიყვარულით აღსავსე თვალებს.

26. ი ვ ნ ი ს ი. 1969 წ.

დილიდანვე ვათვალიერებდით ქალაქ რომს. ვიყავით საუკეთესო მონასტრებში. შთაბეჭდილებები თავში ვეღარ მეტევა... საღამოს თერთმეტ საათზე კი გამოვეთხოვეთ იტალიის დედაქალაქს და მატარებლით მილანში გავემგზავრეთ. ისევ შეხვედრები. მოვიდნენ იტალია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების წევრები, იტალიელი თარჯიმანი..."

ორ დღეს იყო მიხეილი მეგობრებთან ერთად მილანში. 28 ივნისს კი რიფუჯოს ხიჟინისაკენ აიღეს გეზი. უკვე სულ ახლოს მოჩანდა იტალიის დოლომიტები — მთამსვლელთა საასპარეზო მთები. სწორედ აქ, ამ მწვერვალებზე უნდა უჩვენონ მიშამ და მისმა ამხანაგებმა მთამსვლელობის საბჭოური კლასი მსოფლიოს უძლიერეს ალპინისტებს, რომლებიც მალე აქ მოიყრიან თავს. ვინ მოიპოვებს უძლიერესის საპატიო ტიტულს?

28 ი ვ ნ ი ს ი.

„მოვდივართ რიფუჯოს ხიჟინაში. გზაზე სოფლები გვხვდება. ძალიან მომწონს აქაურობა, ასე მგონია, თითქოს სვანეთში ვარ, ბორცვაკები, ბალახი, ნაკადულები, მთები და ცა, ყველაფერი სვა-

ნეთს მაგონებს. აქაურ მთიელებს არ შევხვედრივარ, მაგრამ ალბათ ისინიც ჩემს ქართველებს ემსგავსებიან... სალამოს უკვე ადგილზე ვართ. ძალიან სტუმართმოყვრულად, გულთბილად შეგვხვდნენ“.

29 ივნისი.

„საუზმის შემდეგ მწვერვალთა დასათვალიერებლად გავეშურეთ. მწვერვალებს დიდი სიმაღლე არა აქვთ, მაგრამ კედელთა მასიურობით გამოირჩევიან. ზოგიერთის სიგრძე 1100 მეტრს აღწევს.

სალამოს კრება ჩატარდა. სპორტულ დარგში უფროსად მე ამირჩიეს.. დავადგინეთ ჩვენი ხვალინდელი მარშრუტები. მე და ჩემი მეწყვილე — სლავა ონიშჩენკო, მივდივართ მეექვსე კატეგორიის იგორის ტრასაზე. ვენეციის მწვერვალი, რომელზეც კოსმაჩოვი (ალმა-ატელი ინჟინერი, ჩემი ყოფილი მეტოქე კლდეზე ცოცვაში) კაუნენკო და რომანოვი მიდიან, მეოთხე კატეგორიისაა“.

30 ივნისი.

„წარმტაცი დილა გაუთენდათ ამ დღეს დოლომიტებს. მუქი-ლურჯი ცა ლილისფრად აფერადებდა მთებს და მწვერვალებს. თბილმა, დიდებულმა მზემ ოქროსფრად აახასხასა ტყეები, მინდვრები. მწვერვალები წარბშეუხრელად დგანან, ელოდებიან უცხოელ მოასპარეზეებს, რომლებიც უკვე მოეშურებიან მათ დასაპყრობად.

მე და ონიშჩენკო დილის შვიდ საათზე გავდივართ ხიჟინიდან. რვა საათზე უკვე ტრასაზე ვართ. სამი საათის შემდეგ კი მწვერვალზე... წინ მივდიოდი მე, ძალიან ჩქარა ვიარეთ. ასეთ დროში ჯერ არავის გაუვლია იგორის ტრასა. ეს პირველი ასვლაა საბჭოთა მთამსვლელებისა იტალიის დოლომიტებში. და იგი ბრწყინვალედ ჩატარდა! ვნახოთ შემდეგში რა იქნება...“

ამ ძუნწი დღიურის ბწკარეტს შორის შეიძლება ამოიკითხოს კაცმა:

ურთულესი იგორის კედლის დაძლევა ბევრი მთამსვლელისათვის ოცნებად ქცეულა. მიხეილისა და ონიშჩენკოს წყვილი მას სამ საათში გადის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა ალპინისტური სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია.

უკან დაბრუნებულ მიშას და ონიშჩენკოს ალტაცებით ართმევენ ხელს მსაჯები, მაყურებლები, მონაწილეები და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ ამ შავგვრემან, საშუალო ტანის ახალგაზრდას, სევდიანი, თაფლისფერი თვალებიდან მყინვარისეული შუქი რომ გამოჭკრთის.

მეორე დღეს მიხეილი და სლავა ისვენებენ. არმანდო გვერდიდან არ შორდება მიხეილს. ამ მოკლე დროში ისე შეეჩვია, წუთით არ უნდა მიატოვოს, არმანდო იტალიელი გიდია, მრავალი რთული მთამსვლელური მარშრუტების აღმომჩენელი.

— იცით რა, ხვალ ბანკონგზე გირჩევთ ასვლას, ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალია, მეექვსე კატეგორიის სიძნელისა. მის გავლას ჩვეულებრივ რვა-ცხრა საათს ანდომებენ... — ურჩია არმანდომ მიშას.

— იყოს ბანკონგი თქვენს სახელზე... — მეგობრულად გაუღიმა იტალიელ მასპინძელს მიხეილმა.

სამი გაბრიელი

2 ივლისი.

„დილას, შვიდ საათსა და ოც წუთზე უკვე გზას ვადექით. ბანკონგის კლდის ვერტიკალი ექვსასი მეტრია. ძალიან რთული დასაძლევი ჩანს. ჩვენ საგულდაგულოდ დავზვერეთ კედელი, მოვხაზეთ სავარაუდო მარშრუტი და შევუდექით იერიშს. საკმაოდ ჩქარი ტემპი გვაქვს აღებული და არ გვინდა იგი შევანელოთ. კედელი მართლაც საინტერესო აღმოჩნდა და ალბათ ამიტომ დაღლილობა არ გვიგრძვნია მაინცდამაინც. ხუთი საათისა და ოცდაათი წუთის მერე ბანკონგზე ვიყავით. მწვერვალიდან ვტკბებოდით იტალიური პეიზაჟის ცქერით

ჩვენი დრო საუკეთესოა.

ქვემოდან გვითვალთვალებდნენ ანუფრიკოვი და არმანდო... მასპინძელმა იმ საღამოს საუკეთესო მთამსვლელებად დაგვასახელა. კოსმაჩოვმა და რომანოვმა დაიპყრეს ვენეციის მწვერვალი.

საღამოს ოთხ საათზე არმანდომ და მისმა ქალიშვილებმა წაგვიყვანეს სოფელ აგორდაში. აქ ჩვენ ვუჩვენეთ ფილმი, რომელიც 1962 წელსაა გადაღებული სტალინის პიკზე (ამ ასვლაში მეც ვმონაწილეობდი).

სოფელმა აგორდამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ასე მგონია სვანეთში ვარ. თიბვაა გახურებული. თივას აბულულებენ და ჭრელ-ჭრელა ტანსაცმლიანი ქალები შინ ეზიდებიან. სულ ისეა, როგორც ჩვენთან. თივას აქაც სახლის ზედა სართულზე ინახავენ — დარბაზში. საქონლის სადგომი კი ქვედა სართულზეა. თივას, ისევე

როგორც ჩვენთან, მიუვალი ადგილებიდან ეზიდებიან ხოლმე ზურგით, აქაც ზურგით მოპქონდათ. ფიცხიც ისეთივეა, როგორიც ჩვენებური „ლუშდიქი". საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ მსგავსი მშობლიური განცდა ჯერ არსად დამუფლებია.

ცოტა წავეხმარე თიბვაში. როგორ გაუკვირდათ, კარგად რომ „ვთიბავდი". იმ ღამეს ბევრი ისაუბრეს მიშამ და არმანდომ. მასპინძელმა სხვათაშორის აღნიშნა:

— აი, სუალტოს მწვერვალი, მართლაც დიდებული რამ არის. მასზე ერთხელ ავიდა ლივანოს — გაბრიელი. ეს იყო და ეს. მას შემდეგ იგი ვერავის დაუპყრია.

მიშას სახე გაუნათდა და თქვა:

— მე მყავდა უშიშარი მთამსვლელი ბიძა — გაბრიელ ხერგიანი. მე დავიპყრობ სუალტოს, რათა ამიერიდან გაბრიელ ხერგიანის სახელი ეწოდოს ჩვენს მარშრუტს და მაშინ სუალტოსთან ერთად მოიგონებენ მეორე გაბრიელსაც, გაბრიელ ხერგიანს საქართველოდან" — ფიქრობდა მთელი ღამე მიხეილი და გულში უხაროდა რაღაც. 4 ივლისს მიშა და ონიშჩენკო უთენია გაუდგნენ გზას.

მთის ძირში უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი. მაღლა ასული მთამსვლელები უკვე ველარ არჩევდნენ გულშემატკივართა სახეებს. სადღაც, დაბლა ფეტვის მარცვლებადღა მოჩანდნენ ისინი. მათს ყურთასმენამდე ვერც კინოკამერის ზუზუნი აღწევდა, მთამსვლელობა მოძრაობას რომ აღნუსხავდა ფირზე.

მიხეილი წინ მიდიოდა, სწრაფად, მსუბუქად, მოხდენილად მიიწევდა მაღლა, ვეფხვისებრი ნახტომებით ეცლებოდა თავს კლდეშვერილებსა და ქიმებს. ვიაჩესლავი ზურგს უმაგრებდა, ძირითადად დაცვაზე იყო გადასული.

აი, აქ იწყება ფრიალო კლდე. მიშამ საგულდაგულოდ დაამაგრა კლდის შვერილებზე სამაშველო თოკი. ამ ფრიალოსაც დასძლევენ და... მწვერვალზე იქნებიან.

დაიწყო კლდის შემოვლა.

ვიაჩესლავი კი თოკს ჩააფრინდა და ვიდრე თანამეწყვილე თხემს ორ მიეფარა, თვალი არ მოუცილებია მისთვის.

მიხეილმა წამით გახედა ჰორიზონტს.

დაბლა თვალშეუვლები უფსკრულია. ცა კი უძიროა და ლურჯი, ოდუმალებით აღსავსე, და უსასრულო. მზე უხვად აფრქვევს სხივებს. სადღაც შორს, მთებისა და ცის გასაყართან წამით ვიღაც ახლობელი ადამიანის სახე აიკვალთა, ჰო, რაღა ვიღაცის... ეს ხომ ბიძა გაბრიე-

ლია! მიშამ ნათლად დაინახა მისი შეშფოთებული, მუდარით აღსავსე თვალები, მერე ხმაც გაიგონა — რაღაცას მოსძახოდა, სასოწარკვეთილი, სახეაშლილი უყვიროდა...

მთებსა და მწვერვალებს ჟრჟოლად დაუარა ბიძა გაბრიელის ყვირილმა.

სუალტოს წვერზე თითქოს მოწყდა რაღაც და ყრუ გუგუნით დაეშვა ქვემოთ.

მიშამ იგრძნო ხიფათის მოახლოვება, თოკი მოსწია და ნახტომისათვის მოემზადა. მაგრამ უკვე ყოველივე გვიანი იყო. თოკი დაემორჩილა, მაგრამ ეს იყო სამაშველო თოკის მხოლოდღა ერთი ნაგლეჯი... ამ ავბედით ნაგლეჯთან და ბიძა გაბრიელის მორიალე თვალებთან ერთად დაეშვა იგი დაბლა, იტალიური ცის სიღრმეში...

ეს იყო კლდის ვეფხვის უკანასკნელი და ყველაზე დიდი ნახტომი. ასე დამთავრდა ორი გაბრიელის (ლივანოსისა და ხერგიანის) ცილობა! ერთი არ უთმობდა მეორეს სახელს და დიდებას, მეორეს, უცხოს და შორებელს.

იყო კიდევ მესამე გაბრიელი — მიქელგაბრიელი. ძლიერი და ვერაგი ვინმე. დაბლა, მწვერვალის მისადგომებთან მოფუსფუსე მაყურებლებმაც კი გაიგონეს იმისი ხარხარი.

და სუფევდა საოცარი ჯარმონია... (ანუ გაცილება)

После трудного дня спят товарищи,
Почему среди них нет тебя.

როცა ყველანი ამოვიდნენ, თბილისელმა ტელეოპერატორმა თვითმფრინავის კარი მიხურა, ჩემს გვერდით ჩამოჯდა და თავისი ჩანაფიქრი გამანდო:

— მესტიაში მიხეილის სოფელს, შემოგარენის ბილიკებსა და ქათქათა მწვერვალებს გადავიღებ, შესაძლოა, ბედმა გამიღიმოს და ზვავის ჩამოშვებას შევესწრო სადმე... ბოლოს კი განსვენებულის უამრავ მედლებსა და ჯვარდაკრულ, ვეფხის ტორებზე შემდგარ კუბოს აღვნუსხავ ფირზე. ეს იქნება „კლდის ვეფხვის“ სახელოვანი ცხოვრების ერთგვარი სიმბოლური წარმოსახვა — მშობლიური კერა,

გზა მთებისაკენ, დიდების მწვერვალები და ზვავი — ცხოვრების უეცარი აღსასრული... ა, რას იტყვით, ივარგებს?

„ცხოვრების აღსასრული.... ცხოვრების აღსასრული...“ — რამდენჯერმე გავიმეორე მისი სიტყვები გულში. „ნუთუ მართლა აქვს ცხოვრებას აღსასრული? განა მართლა მოკვდა იგი? ნუთუ ადამიანობით, ვაჟკაცობითა და ჭკუით რჩეულთაც იგივე ხვედრი ელოდებათ, რაც ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არის განწესებული?

ნუთუ მკვრივად გატკეპნილი, იმედიანი შარაგზა და [illegible] გაჭვალული, ქვაღორღიანი ბილიკი ორივენი საიქიოს გზებია?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ერთბაშად არავის ძალუძდა. [illegible] მას ვეძებდი მთელი გლოვის დღეებში ხალხში, ადამიანებში, ბუსეულობაში... მწამდა, რატომღაც ღრმად მწამდა, რომ ადრე თუ გვიან ყველაფერი გაირკვეოდა, ვიღაცა იტყოდა, ვიღაცა ღაღადჰყოფდა და ახსნიდა — ასე იყო თუ ისე...

რკინის სკამებს შორის ვიწრო დერეფანში კი მიხეილ [illegible] იწვა — ჩვენი დუმილისა და ურვის, მეშუნვარება-წუხილის მიზეზი. მას თავთით მშობელი ეჯდა — მამა ბესარიონი, გამხდარი, [illegible] ლისფერიანი, ლოყებჩაცვენილი კაცი. იგი ხელებს იფშვნეტდა [illegible] ვიულობისაგან, თითებს ხლართავდა ერთმანეთში.

ქუთაისს რომ გავცდით, მფრინავთა კაბინიდან მეორე პილოტი გამოვიდა, ბესარიონის წინ აიტუზა და მოლოდინით მიაჩერდა. მორიდებისა და ხათრისაგან ხმა ვერ ამოეღო. ყველაზე დამწუხრებულმა ადამიანმა თვალცრემლიანი მზერა ააყოლა ახალგაზრდას და ნაძალადევი სიმშვიდით უთხრა — თუ შეიძლება, ასე შემოატარეთო.

მფრინავმა თავი დაუქნია, უხმოდ შებრუნდა თავის კაბინაში და საჭეს მიუჯდა.

ჩრდილოეთით კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები [illegible] დნენ. მზის შუქზე სხვადასხვა ფერად ლიცლიცებდნენ. ხელები ჩაეკრა ერთმანეთისათვის და თეთრ ჩოხა-ახალოხში, თეთრ ნაბდის ქუდებში გამოწყობილნი „შინაორგილს“ ბუქნავდნენ.

წაბლისფრადშეღებილი კუბო ვეფხვის თათებზე იდგა. „კლდის ვეფხვი“ სიკვდილის მერეც თავის მედიდურ ტორებზე შემართულიყო. კავკასიონის გამოჩენაზე თითქოს შეირხაო მიცვალებული, თითქოს ზეწამოიმართაო.

ბესარიონმა ცალ მხარეს ჩაჰკიდა ხელი და აქეთ ჩვენ მოგვმართა:

— თუ შეიძლება, ჩემო კარგებო...

ერთბაშად მიეცვივდით და წამოვამაღლეთ. ახლა „კლდის ვეფხვი“ ადვილად არჩევდა თავის საყვარელ მწვერვალებს, საჯიხვეებსა და ჭიუხებს, მთათა გზაწვრილებს, თვითმფრინავის სარკმელში რომ შეიხედავენ. ახლა მიხეილს შეეძლო სამთო ფეხსაცმელების ნაკვალევებზე კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ამოეკითხა თავისი ბავშვობისდროინდელი ისტორია... გარდასულ დღეთა სურათები — დიდსა და მცირე მწვერვალებზე საუკუნოდ ამოტვიფრული.

ბოლო კავკასიონი ფეხზე წამომდგარიყო: მიხეილი, მიხეილი გაესტუმრაო. უშბის კალთაზე მონადირეთა ქალღმერთი დალი გადმოდგა. „მე ქარაფებში გადავუძახე სიტყვისგამტეხ ბექთილს, სხვაც ბევრი უგულო კაცი გამიწირავს, მაგრამ შენ ხომ ჩემს სამწყსოზე ბოლოსელაც არ შეგიმართავს ჩახმახი. მე მუდამ ქამს შენი მლოცველი ვიყავი და ნურავინ იფიქრებს აუგს, ჩემს კლდეებს შენთვის არა დაუშავებია რა...“ — თავს იმართლებდა იგი რაინდის წინაშე.

— განა ერთხელ და ორჯერ აგიწვავს ზურგი, მაგრამ არასოდეს მიძუხთლია... არასოდეს არ გამიმეტებიხარ... — საქვეყნოდ ღრიალებდა ზეიადი უშბა.

— მიხეილი წაქცეულაო... მიხეილი წაქცეულაო... — გადასცემდნენ ახლა მთები ერთიმეორეს, ისინი დაბნეულნი, რეტდასხმულნი რიალებდნენ, გარბი-გამორბოდნენ, ჩაბუქნავდნენ და წამოხტებოდნენ — „შინავორგილ... შინავორგილ...“ იმეორებდნენ ერთხმად.

მიხეილი უკანასკნელად ემშვიდობებოდა თავის თეთრონებს:

— ჰეჰეჰეეი, უშბა...

— ჰეჰეჰეეი, თეთნულდ...

— ჰეჰეჰეეი, ლაილა...

— წურუნგალა...

— შხარა და ნამყვამ...

— გულბა და ბანგურიანო... ჰეჰეჰეეიი!..

ჩვენ ყველას გვესმოდა მისი ხმა, ვგრძნობდით — როგორ იტანჯებოდა მთების რაინდი, აკი ვეღარასოდეს, ვეღარასოდეს იხილავდა იგი ამ გოლიათებს. ციურ ადამიანს ფრთები მომტვრეოდა და ამიერიდან ყველაზე დაბლა იქნებოდა მისი სამყოფელი — მიწაში.

მხოლოდ ბესარიონს უხაროდა — მისი მზეჭაბუკი ისევ მთებს ეწვია და კვლავ პაექრობდა ცხრათვალა მზესთან, ეთამაშებოდა, ელაციცებოდა სხივმფინარე მნათობს, „ლილეოს“ ბუბუნებდა მიშა —

ცის საგალობელს. მთელი მისი ცხოვრება ხომ „ლილეოს“ ბუბუნი იყო, სიმაღლეებისაკენ, მზისკენ ლტოლვა იყო...

მერე კავკასიონი დამთავრდა. მამის თვალებში კვლავ ბინდი გაწვა. ხელებმა ერთმანეთი მოძებნეს და მჭიდროდ გადაეხვიეს. მარჯვენა ხელი მარცხენას ამტვრევდა, მარცხენა — მარჯვენას. დაბლა და შორს შავად ზიმზიმებდა, ავბედით ხმაზე ქოთქოთებდა შაოსანი ხალხი — ამიერ-იმიერიდან მომწყდარი. ისინი თითქოს რაღაც უხილავ ძალას გამოელალა უჩინარი სახუნდარებიდან, ლომის ხეობის მივარდნილ ღარებიდან, სამალავებიდან...

აეროპორტის ორი თეთრი შენობის ირგვლივ, მთელს მინდორზე, გზასა და რიყეზე თითქოს შავი საღებავი გაღვრილიყო...

— რა ვუყო... რა ვუთხრა ამ ხალხს, იქნებ მირჩიოთ რამე... — მედარის თვალით გადმოგვხედა ბესარიონმა. — რა შემიძლია, მე უბედურს...

ცრემლი არ წასკდომია თვალთაგან. ეტყობა, ძალას იკრებდა თავის მიწასთან შეხვედრის წინ. მე ვგრძნობდი, რა აგონიაც ტრიალებდა მის გულში: „მიშას სულს ვერ ვაკადრებ დიაცივით ქვითინსა და ცრემლისღვრას... ვერა, ვერ ვაკადრებ...“

თმაგაშლილი, სახეგაცრეცილი ქალები ლოყებს იხოკავდნენ, ფეხებს აბათქუნებდნენ მიწაზე და ხრიალებდნენ. ვისაც ხმა შემორჩენოდა, დროგამოშვებით გაჰკიოდა, თავს შეახსენებდა მიცვალებულს.

ჭირისუფალს გვერდში შორეული ნათესავები ამოსდგომოდნენ და ამშვიდებდნენ — ბევრი ტირილი მკვდარს შეაშფოთებსო. ყველას სურდა ენახა მიხეილი, ყველას უნდოდა ნუგეში ეცა, ერთი სიტყვა ეთქვა ბესარიონისათვის. ახალგაზრდებმა ერთურთს ჩაჰკიდეს ხელი, წრე შეჰკრეს და მოწოლილ ხალხს აკავებდნენ.

ბესარიონის გვერდით ხუტა, ზაურ, ფილიპე და ბიძინა ხერგიანები, პირიბე და მაქსიმე გვარლიანები იდგნენ — მისი უახლოესი ნათესავები მინდოხშერების და გვარლიანთა საძმოდან. ისინი ქვითინებდნენ. მთელი მოედანი ქვითინებდა:

— ო, შე საცოდავო კაცო, ფეხზე როგორ დგეხარ, თვალები როგორ გიხელია, მკერდი როგორ აგიდ-ჩაგიდის... ო, შე საცოდავო ბესარიონ... — მოსთქვამდნენ კაცები.

ღობეებსა და აივნებზე გადმომდგარი, ჭრელტანსაცმლიანი ტურისტები ამბობდნენ — ყველაფერი გვსმენია, მაგრამ კაცების ტირილი არაო...

ბესარიონი არ ტიროდა. იგი მთელი ცხოვრება „გაულ გავხეს" მღეროდა. ბესარიონის სამონადირეო შაირები ხალხში იყო გასული. ამ შაირებს თვითონვე ასრულებდა სცენაზე. ხალხი ტაშს უკრავდა, ან სთხოვდა, კიდევ ერთხელ ჩამოექროლა ცერულით. ჰო, ის სხვა ხალხი იყო. ჰო, ის სხვა დრო იყო. ახლა ისინი რაღაც სიბრალულით, მოწყალე თვალით მისჩერებოდნენ.

„ნუთუ ყველაფერი ეს მართალია?" წუთით სოფელზე მოატარა მზერა, წუთით ყანებზე, ორღობეებსა და შემოგარენზე გაექცა თვალი. ეუცნაურა ყოველივე. აღარ იყო ის სოფელი მხიარული და ხალხმრავალი, აღარ იყო ის ყანები, ნადმესეული. არც სათიბებში ელაედნენ ცელები და ორღობეებშიც კი არავინ ჭაჭანებდა. ენგურიც გაჩერებულიყო, ირგვლივ უმოძრაობა და სიცარიელე სუფევდა.

ამ ხალხს უნდოდა გული აეჩუყებინა მისთვის.

„არა მიშას ვერ ვაკადრებ ტირილს, დიაცურ ცრემლებს, მიშას ვერ ვაკადრებ. ხელებს დააწვა ისევ ბესარიონი — „ოღონდ რაღაცა კი უნდა ვთქვა, ჯაიმე ისეთი, მიშას რომ ესიამოვნება, ჩემს მუხლმკვდარ ბიჭს რომ მოეწონება..."

და მალე ჭირისუფალმა და გარეშემ, ყველამ იგრძნო რომ ბესარიონს რაღაცის თქმა ეწადა. მოედანზე წამიერი დუმილი ჩამოვარდა.

— მე ვიცოდი, რომ ასე მოხდებოდა, იმიტომ რომ მთების დამარცხება ძნელია, ოღონდ ასე ნაადრევად არ მოველოდი... დიდი მადლობა თქვენ, ხალხო, გუნ მახვმაარ, გუნ მახვმაარ... მიშგუ ლადალ სგაი... — თქვა ბესარიონმა და მიწას ჩააშტერდა.

მერე პროცესია დაიძრა. ხალხის ჩოჩქოლმა იმატა, ოღონდ კაცები აღარ მოსთქვამდნენ უკვე.

— გაივონეთ, ხალხო, რა კარგად თქვა ბესარიონმა? — მე ასეც მოველოდიო...

— ხედავთ? გონზე ყოფილა ჩვენი ბესარიონი, გონზე ყოფილა...

ცოტა გულზე მოეშვა ბესარიონს, ეს სიტყვები რომ უთხრა ხალხს.

იგი წუთით მომავალ დღეებზე ჩაფიქრდა, სტუმრიანობა იქნებოდა, შორიდან მოვიდოდა ხალხი, იმათ კი დახვედრა და პატივისცემა ეკუთვნოდათ, სვანურ ადათ-ჩვეულებათა აღსრულებაზე ფიქრობდა ბესარიონი; დაუმთავრებელ სახლზე, დაულაგებელ ეზო-კარზე ფიქრობდა.

ᲛᲘᲐᲩᲔᲡᲚᲐᲕ ᲝᲜᲘᲨᲩᲔᲜᲙᲝ

(საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი)

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲝ, ᲛᲐᲛᲐ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜ!

მე ვწერ ამ, ჩემთვის მეტად მძიმე სტრიქონებს იმიტომ, რომ უბრალოდ მოვალე ვარ მიხეილ ხერგიანის უკანასკნელ დღეებზე მოგითხროთ ახლა, როცა ყოველივე დასრულდა, როცა ყოველივე ჩავლილია. მოგითხროთ, როგორც სუალტოზე დატრიალებული ტრაგედიის უშუალო თვითმხილველმა და ერთადერთმა თანამონაწილემ.

დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში თქვენი თვალები, მამაკაცთა ჩვეულებრივი, ცრემლისადმი ძუნწი თვალები, მაგრამ ახლა სავსე სასოწარკვეთილებისა და ტკივილის ცრემლით, ამ თვალებში მე ამოვიკითხე თქვენი უტყვი, მაგრამ უკიდეგანო გულისწადილი, მემცნო, როგორმე დაწვრილებით მემცნო და ამეხსნა, თუ როგორ მოხდა ყოველივე და ყველაფერი. შეიძლებოდა თუ არა დაღუპულიყო მიშა?

იქ, თბილისსა და მესტიაში ფიზიკურად არ შემეძლო თვითეულისათვის ამეხსნა ეს ამბავი, რადგანაც თქვენ ძალიან ბევრნი იყავით — მიშას გამოთხოვებაზე მოხვედით მთის შორეული სოფლებიდან, ახლო-მახლო ქალაქებიდან, თბილისსა და ქუთაისიდან. ეს იყო ყველა ჩვენთაგანის მწუხარება, რადგან ამ ქვეყნიდან წავიდა ლეგენდარული მიშა, მეტისმეტად გულისხმიერი და ყურადღებიანი ამხანაგი ასვლებისას თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რამდენჯერ ვიყავი სვანეთში. ჩემს მეგობრებთან ერთად მოვხიბლულვარ თქვენი მშობლიური მხარის სილამაზით და რაც მთავარია მისი ადამიანებით — მუდამ სტუმართმოყვარე მშრომელებით, რომლებიც ყოველ წუთში მზად არიან დაეხმარონ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს.

ასეთია ბუნების მკაცრი კანონი. თქვენ, როგორც არავინ, იცით, აფასებთ და გიყვართ მთები და არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ სწორედ თქვენი თანამემამულეების, შესანიშნავი ალპინისტების სახელები ჩაიწერა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ოქროს ასოებით. საკმარისია დავასახელოთ გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ, მიხეილ (უმცროსი) ხერგიანები, ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურეგიანი, მაქსიმე გვარლიანი, იოსებ კახიანი, გიო ნიგურიანი, ალმაცგირ კვიციანი და სხვები. შეიძლება ეს სია უსასრულოდ გაგრძელდეს, რადგან ყველა სვანი მთამსვლელია.

იტალიის მთებში მიხეილის დაღუპვის ცნობა მძიმე ექოდ გაისმა არა მარტო კავკასიაში, არამედ ყველგან, სადაც მას იცნობნდენ, ან გაეგონათ მისი ბრწყინვალე ასვლების შესახებ (მე მხედველობაში მაქვს ხალხი და არა მთამსვლელები, რომელთაც მუდამ პირზე ეკერათ ხერგიანის სახელი) პამირში, ტიანშანში, ალპებში, ყირიმში...

დიახ, ყველგან იცნობდნენ მას. აღტაცებული იყვნენ მისი უბადლო ოსტატობით.

მიხეილ ხერგიანი! კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ოცდაათიოდე წლის განმავლობაში დაიმსახურა ყველა სპორტული ჯილდო, რაც კი არსებობდა საბჭოთა კავშირში. მთავრობამ იგი ორდენით დააჯილდოვა. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ალპინიზმში და კლდეზე ცოცვაში, ინგლისელების მიერ 1960 წელს „კლდის ვეფხვად" წოდებული მიშა შემდეგშიც არაერთხელ გამოვიდა საზღვარგარეთ და უჩვენა კლდეზე ასვლის უმაღლესი კლასი. თქვენ თავადაც ხომ კარგად მოგეხსენებათ ყოველივე ამის შესახებ, საკუთარი თვალით გინახავთ, მოგისმენიათ, ანდა წაგიკითხავთ მაინც.

მიშასთან ერთად მე არაერთ მწვერვალზე ავსულვარ. ვიყავი მისი პირველი მაყურებელი და ერთდროული მონაწილე ამ უდიდესი სპორტული სპექტაკლებისა. ახლა რომ ვიგონებ ასვლებს, რომლებიც უკვე ისტორიას ეკუთვნის, განსაკუთრებული სიცხადით ვგრძნობ, თუ რამდენი რამ დავკარგეთ. ესენი იყო დაუვიწყარი ასვლები.

1967 წლის ივლისი. პატარა ქალაქი შამონი, რომელიც საფრანგეთის ალპებში მდებარეობს. აქ საფრანგეთის ალპინიზმის ფედერაციის მიერ ტარდება მსოფლიოს უძლიერესი მთამსვლელების შეკრება. რეგულარულად ორ წელიწადში ერთხელ შამონში იკრიბებიან ცნობილი მესიმაღლეები, რომ მწვერვალთა დაპყრობის თავიანთი ხელოვნება უჩვენონ.

მახსენდება, ყოველი ასვლის წინ, როგორც ეს მთამსვლელებს ჩვეეიათ, ამინდზე ჩამოვაგდებდი ხოლმე სიტყვას. მიშას ვეკითხებოდი — შენ როგორ ფიქრობ, ამინდის ღმერთი რა გუნებაზეა დღესმეთქი. მიხეილი ღიმილით მპასუხობდა — „ნუ ღელავ, მე შეეეედრე ელიას და იგი დამპირდა, ყველაფერი რიგზე იქნებაო..."

მართლაც ყველა ამ ასვლების დროს შესანიშნავი ამინდი იდგა. ფრანგული გაზეთები წერდნენ: „ძალიან იშვიათია ასეთი ამინდი ალპებში, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს ბრწყინვალე ასვლებიო".

აბა რა იცოდნენ ფრანგმა ჟურნალისტებმა, ვისთვის უნდა გადაეხადათ მადლობა მზიანი დღეებისათვის".

როგორ ავირჩევთ — ზენას თუ ძვენას?

მიხეილის უმცროსმა დაიკო ნაზომ იმ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, ჯერ სვანეთსაც არ გასცილებოდა, აბა რა ენახა ცხოვრებაში და რა გამოეცადა. როგორც დიდი სიხარულისა, ისე ჭირისა და შწუხარებისაც რა გაეგებოდა. მაგრამ ამ უბედურების ჟამს თმაგაჭაღარავებული, მრავალჭირნახული ქალებიც კი ტოლს ვერ უდებდნენ მოთქმასა და ტირილში. გამოცდილი მოტირალივით მისძახოდა იგი თავის საყვარელ ძმას, მინაანს. ნაზოსაც ლალამელთა ნიჭი მოსდგამდა აზრიანი საუბრისა:

„ზიე აღმოსავლით ამოენთება, მინაან...
ლაილას ააფერადებს, მინაან,
უშბას და თეთნულდს, მინაან
ვეძას არჩვები მოირბენენ, მინაან,
ლეგვმეერისას, მინაან.
ჯიხვები კლდეზე გადმოდგებიან, მინაან,
დალაყორაზე, მინაან.
შურთხები კვირიის იტყვიან, მინაან —
ფვალალებენ, მინაან.
შენ გეძინება, მინაან
სი მარე, მინაან...
„კლდეებში ნუ გედარდებითო", — მინაან
„ზეებში ნუ გედარდებითო" — მინაან
„ზეებმა თავისი ზუხლი მომცესო" — მინაან
„თავისი გული მომცესო" — მინაან
„თავისი კუნთი მომცესო" — მინაან
„თავისი ძალა მომცესო" — მინაან
ეოი, მინაან, მინაან
მინაან,
ზირზინაან...
ამაოდ გვამშვიდებდი თერმე. მინაან
ლოდინს გვიოლებდი, მინაან
ღმერთი კი არ იყავი, მინაან
ფუსდი, ლამარია, მინაან,
სი მარე, მინაან,
ეოი, მინაან, მინაან,

მინაან მირ-მინაან...
ვოი, ვოი,
ვოი, ვოი!

ყველაზე გულისდამწველი იყო ნაზოს მოთქმა... გულისდამწველი და გულისდამწყვეტი, გულისმომკვლელი. და იმიტომ იყო, რომ დიდ-პატარა ყველა აზლუქუნდა, ზლუქუნმა კი იმატა, იმატა და ღრიალში გადაიზარდა. ღრიალებდა ხალხი, ამირ-იმერით მოკრებილი შაოსანთა რაზმი. ღრიალებდა თეთრი ენგური, მაღალ მთებიდან ჩამონაყეური წმინდა წყალი — მყინვართა, და მწვერვალთა გულდათუთქულ და სულაწრიალებულ თეთრონთა ცრემლის ნაზავი. თეთრი ენგური და შაოსანთა პროცესია ერთმანეთის მხარდამხარ მიემართებოდა სეტ-მესტიისაკენ, თეთრი და შავი ერთიანი ძალით მოსოქვამდა, მისტიროდა მთების რაინდს. შორით კი ლაღამისა და სეტის, ლანჩვალისა და ლახთაგის კოშკები გადმომდგარიყვნენ და ბუხუნა ხმაზე აბუბუნებდნენ თეთრის და შავის გულდამწველ მოთქმა-ღრიალს. კოშკები, ლომის ხეობის უტყვი რაინდები ახლა ამეტყველებულიყვნენ და თვალცრემლიანნი დაჰღნაოდნენ უდროოდ აღსრულებულ ვაჟკაცს.

ხალხი ცრემლად ქცეულიყო.

ყველას უკვირდა, საიდან შეეძლო, როდის ისწავლა ამ პატარა გოგომ ასეთი ყოვლისშემძვრელი მოთქმა და ტირილი. ყველას უპირდა თავის გულისნადების ხმამაღალი განცხადება, ნაზო კი ერთხელ არ შეფერხებულა, ერთი უაზრო სიტყვა არ წასცდენია...

— ასეთნაირად იქმნებოდა ალბათ ზეპირსიტყვიერება — თქვა ვიღაც სტუმარმა — ლეგენდები გმირებზე, სიმღერები „ვიცბილ — მაცბილზე", „ლებსუყ გოშთელიანზე", „ყანსავ ყიფიანზე".

ვინ უწყის, იქნებ მართალს ამბობდა იგი? ალბათ მიხეილისთანა ვაჟკაცები იყვნენ ისინი, ხალხმა რომ სიმღერებში შემოინახა და სათუთად ელოლიავება? მირანგულა დედისერთა იყო, საშოვარზე წავიდა, გზაზე მტერი ჩაუსაფრდა და მარტოხელა ადამიანი უთანასწორო ბრძოლამ შეიწირა. ასეც მღერის მასზე ხალხი. „დედეშ, დედეშმ. მირანგულა, დედეს ისგვა სიგარ ხორდას, დედეშ ვოი დედეშ..." კონსტანტინე დადეშქელიანმა ქუთაისის გუბერნატორს ხანჯალი გაუყარა გულში და იმით გაითქვა სახელი. ლებსუყ გოშთელიანი გვართა-შორისო მტრობის მსხვერპლი გახდა, მარილზე მიმავალი ოთარშერებმა ჩაიგდეს ხელთ და წისქვილში ჩაამწყვდიეს. ყანსავ ყიფიანი

კი ზოვიერთივით არ შეშინებულა და ბახაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართავს მომხვდური მტრისათვის. ამიტომაც განადიდა იგი ხალხმა „ყანსავ ყიფიანო, ყანსავ, ყიფიანო... უბერებელო და უკვდავო, უბერებელო და უკვდავეო“. ყველა ისინი რა ხანია წავიდნენ ამ ქვეყნიდან. „მიწა ხარ და მიწად იქეციო“ — ამ კანონს ბუნებისას ვერ გადაალაჯეს თვით ჰომეროსმა და მაკედონელმა, რუსთაველმა და გიორგი სააკაძემ. მათ ფიზიკურად დატოვეს ამქვეყნიური სარბიელი, მაგრამ არაენ იცის, რა უფრო დიდი საქმეა, მათი სახელოვანი სიკვდილი თუ ის, რომ უსახელოდ ეარსებნათ?

„საქმემან გამოგაჩინოსო“, ტყუილად როდი უთქვამთ ბრძენ წინაპრებს. მათი საქმენი დარჩნენ სამუდამოდ „საქმენი საგმირონი“ და ის დიდი ბელადები საიქიოდანაც მოგვძახიან და შთაგვაგონებენ „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოთო“. ისინი მოგვიწოდებენ ეაქკაცობისაკენ, კაიკაცობისაკენ, სიკეთისაკენ.

ისეთი დიდებული საგმირო სიმღერის გვერდით, როგორიცაა „ყანსავ ყიფიანე“, გვხვდება მეორე სიმღერა „სოზარციოყზე“ — თაენება ძმებზე, აკლებული რომ ჰყავდათ მთელი სოფელი, მაგრამ ხალხმა არ აპატია მათ მკრეხელობა, სიკვდილით დასაჯა ორთავენი. არც ყანსავი და არც სოზარ-ციოყი დღეს ჩვენთან არ არიან, მაგრამ ადამიანებმა მათ კაცობაზე ჰიმნი დაწერეს. ერთი დიდების ჰიმნი, მეორე წყეველა-კრულვის, ლაჩრობისა და ავგულობისა.

„შენ რომელ გზას გაჰყვები, ყანსავისას თუ სოზარ — ციოყისას?“

„რომელ გზას გავყვებით? რომელ გზას აირჩევენ ჩვენი შვილები და შვილთაშვილები?“ და როცა „კლდის ვეფხზე“ შეიქმნება ასეთივე საგალობელი, და როცა მთელს მსოფლიოში სახელგანთქმულ ერთ უბრალო ადამიანზე შეთხზულ ლეგენდებს ჭუნირზე დაამღერებენ ორი საწყისის სათაეებთან, ორი შესაძლებლობის გზაგასაყართან აღმოვჩნდებით ისევ — ეს იქნება სიკეთისა და ბოროტების საწყისი, წინსვლისა და უკანდახევის შესაძლებლობა და სახელოვანი და აუგიანი გზა.

„რომელს ავირჩევთ ჩვენ?

რომელს აირჩევენ შვილები, შვილიშვილები?“

იქნებ ამ ორი რეალური არჩევანის შესაძლებლობა არის სწორედ ჯანსაღი მერმისის საწინდარი?

• •

— 1969 წლის ივლისში იტალიის დოლომიტებში პირველად ჩავიდნენ საბჭოთა მთამსველელები. ჩვენ ძალიან თბილად შეგვხვდნენ იტალიელი ალპინისტები. გვიჩვენეს მწვერვალები, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებდა...

მიშამ და მე პირველი ასვლისათვის მეექვსე კატეგორიის სიძნელის გურ-ვენეციის კოშკი ავირჩიეთ. ეს არის ხუთასმეტრიანი შვეული კედლის მქონე მწვერვალი. მის გავლას, ჩვეულებრივ 7—9 საათს ანდომებენ, ჩვენ კი მთელი მარშრუტი სამ საათსა და თხუთმეტ წუთში გავიარეთ, ასე ჩქარა აქ ჯერ არავის უვლია.

თუ პირველი ასვლის წინ ჩვენ გვიყურებდნენ როგორც იდუმალებით მოცულ უცნობებს, ახლა ბევრმა გაზეთმა დაწერა, რომ იტალიაში ჩამოვიდნენ უძლიერესი საბჭოთა ალპინისტები.

ჩვენს მეორე ასვლას ბანკონგზე, — უმაღლესი სირთულის მწვერვალზე (კედლის სიმაღლე 600 მეტრი), მეთვალყურეობდნენ იტალიელი ალპინისტები ცნობილი გიდის, ამ და სხვა მრავალი მარშრუტის აღმომჩენლის — არმანდო და როიტის ხელმძღვანელობით. იგი თვალიდან დურბინდის მოუშორებლად იმეორებდა თურმე: „ბრწყინვალე ალპინისტებია. ძალიან კარგად მიდიან მარშრუტზე, თავიანად“.

მიუხედავად ბანკონგის კედლების დიდი ვერტიკალობისა, ჩვენ უკვე ხუთნახევარი საათის შემდეგ მწვერვალზე ვიდექით.

მეორე დღეს რომიდან ჩამოვიდნენ ცენტრალური ტელევიზიის ოპერატორები და გაზეთების კორესპონდენტები. იტალიელებმა გვთხოვეს ჩვენი სამთამსველელო ოსტატობა გვეჩვენებინა ვენეციის პიკზე.

უარს ხომ ვერ ვეტყოდით: სწრაფად გადავიცვით სავარჯიშო კოსტუმები, მივედით მარშრუტის სტარტთან და დავიწყეთ ასვლისათვის მზადება.

ამ დროს ქვევით ოპერატორებიც გამოჩდნენ. ისინი ჩვეულებრივ ტუფლებსა და ტანსაცმელში გამოწყობილნი ძლივს მოიწევდნენ მაღლა, თან მოჰქონდათ მძიმე კინოკამერები. ძლივს მოვასწარი გაფიქრება, საჭიროა მიხმარება-მეთქი, რომ მიშამ, თავისი მსუბუქი სიარულით ქვიდან ქვაზე ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა ქვევით და მიეშველა გაჭირვებულებს.

ეს მცირე, მაგრამ მიშასათვის დამახასიათებელი ეპიზოდი სრუ-

ლიად აბურათებს მას, მის ცაცობასა და ადამიანობას. მიხეილი ძლიერი და დიდსულოვანი ვაჟკაცი იყო. მას სიამოვნებდა ადამიანებთან ურთიერთობა, მათი მიხმარება საჭიროებისას. და ეს იშვიათი თვისება არაერთხელ გამოუვლენია მთებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც.

4 ივლისს გავდივართ სუალტოზე. ეს ჩრდილოეთის 700 მეტრიანი ურთულესი კედელი მეექვსე კატეგორიის სიძნელისაა. ამ მარშრუტის პირველი აღმომჩენებია ფრანგი ალპინისტები ლივანოსი და გაბრიელი.

უკანასკნელის გვარმა მიშას ცნობილი მთამსვლელი ბიძა, გაბრიელ ხერგიანი გაახსენა, რომლის საპატივცემულოდ უნდოდა შეესრულებინა ეს ასვლა. 1952 წლიდან ეს მარშრუტი მხოლოდ რამდენიმე მესიმაღლემ გაიარა. ასვლის სირთულეზე ჩვენ წარმოდგენა გვქონდა არმანდო და როიტის კონსულტაციით.

ადრიანი დილაა. ღამის სიცივე ისევ ბატონობს ხეობაში. ჩვენ კედლის ძირას ვდგავართ და გათოშილები ხელებს ვისორსლავთ. ფიქრით უკვე დავიწყეთ ასვლა. მოვედით მისადგომთან, ჩამოვჯექით დასასვენებლად, ცალყბად გავცქერით კედელს და გონების თვალით ვზვერავთ იქაურობას — საიდან, რომელ მხრით შეეუტიოთ?

მიშამ ზურგჩანთიდან დოლომიტების გზამკვლევი ამოაძრო. კიდევ და კიდევ ყურადღებით ჩავყურებთ მარშრუტს. ფოტოსურათებითა და სქემებით ვამოწმებთ საკვანძო ადგილებს, ერთმანეთს ვუზიარებთ შთაბეჭდილებებს, ერთსულოვნად ვასკვნით — ასვლა მძიმე, წინა ასვლებთან შედარებით გაცილებით მძიმე იქნება. მაგრამ მიშა ოდესმე ეძებდა იოლ გზებს?

ვიწყებთ ასვლას.

ვებმებით ახალ, ასვლის წინ მიღებულ ავსტრიულ თოკში, ჯერ ადვილად დასაძლევი კედელია და ერთად მივდივართ. მერე კლდის დაქანება თანდათან იზრდება. უნდა გადავლახოთ თოვლ-ყინულიანი შვეული მონაკვეთი. მიშა ზედმიწევნით კარგად მიცავს, მე კი ნელა, ძალიან ფრთხილად მივიწევ წინ, ვჭრი და ვტკეპნი ყინულზე საფეხურებს. კლდეები, რომელიც შემდეგ დაიწყო, ნაყური წყლისაგან სველი და გაყინულია და ართულებს ასვლას. ბოლოს მე გავდივარ ქიმზე, ვმაგრდები და ვიღებ მიშას...

შემდეგ კლდეები უფრო მშრალი იყო, მაგრამ დაქანება ძლიერ გაიზარდა. მიშა წინ მიდის. რამდენიმე წელია ვიცნობ მიშას და

არაერთხელ მინახავს მისი ასელის ოსტატობა და თითქოს რა უნდა გამკვირვებოდა. მაგრამ მე ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი მის არტისტულ, მოხდენილ მოძრაობას. ახლაც ვუყურებ და ვფიქრობ: ნეტავ რას მოეჭიდება ამ გლუვ მოსარკულ კედელზე? მიშა მაინც ნახულობს ღრეჩოებსა და პორებს, ყოველშემთხვევაში ძალუმად მიჰკვრია კედელს, და ასე მგონია, ძალიანაც რომ მოინდომოს ვინმემ, ვერა და ვერ გამოჰგლეჯს, ვერ მოაცილებს მას...

მიჰკვრია და მიცოცავს. მისი მოძრაობა მსუბუქი, ჰაეროვანი, კატისებურია.

* *

ძველი სვანური სახლის ფასადზე აბსტრაქტული ნახატი ჩამოეფარებინათ. უზარმაზარ ტილოზე ენგურის ხეობა, უშბის მწვერვალები და სვანური კოშკები მოჩანდა. მწვერვალის თოვლიან ფორპოსტს მიხეილის გადიდებული სურათი ფარავდა. „შინაურ კაცებს“, რომელთა საქმიანობასაც მიშას ახლობლები ზაურ ხერგიანი და ნოფე გეარლიანი ხელმძღვანელობდნენ, ეზოში დაფა დაედგათ, პატარა მაგიდა გაეწყოთ. მაგიდაზე მიხეილის მამისაგან ნაჩუქარი სამონადირეო და სამთამსვლელო საჭურველი გამოეფინათ.

საგვარეულო ხანჯალი, კაჟიანი თოფი თაეისი საპირწამლეთი, ბანდულები და მოყაისნაღებული პაჭიჭები, წრიაპები და ძველი, წერაყინის წინაპარი მუჯურა, ადრინდელი ჭოგრიტი და მატყლისაგან მოთელილი ქუდი და ჩოხა-ახალუხი, მატყლისავე ბაშლიყი მეტყველებდა მინდოხშერების საძმოს სახელოვან წარსულზე.

მიხეილი ახალგაწყობილი ორსართულიანი სახლის მაჩვიბში დაასვენეს. ამ დღეებში მთელი სოფელი შესევია მოუმთავრებელ კედლებს, ერთიანი ძალით გადაუხურავს სახლი, კარ-ფანჯრები ჩაუსვამს, შეულესია, იატაკი და ჭერი დაუგია.

— სახლის გაწყობაში მთელი მესტია მონაწილეობდა — თქვა მიხეილის მეგობარმა პირველთანრიგოსანმა მარლენ რატიანმა — ჩვენ, მის ამხანაგებს, მეტი რა შეგვეძლო, თორემ ყველაფრისათვის მზად ვიყავით...

ახლაც ასე იყო. შინაური და გარეშე ყველა რაღაცას საქმიანობდა, ფუსფუსებდა, ტრიალებდა. ეს იყო გულიანი ფუსფუსი, გულიანი ფაციფუცი, გულიანი ტირილი. გარეთ, ეზოს ჭიშკართან კერძო

და დაწესებულებათა მანქანები იდგნენ, მორიგეობნდენ — ვინძლო რაიმე საჩქარო საქმე გამოჩენილიყო.

— ნათქვამია, კარგი კაცის სიკვდილიც ფასობსო — მითხრა ჭარმაგმა მოხუცმა, ძველმა ფალავანმა, მხარბეჭიანმა გოლიათმა ჭყინტულდ ხერგიანმა — ხედავთ ჩვენმა მიშამ რა მოიმოქმედა? მთელი სვანეთი გააერთიანა. ასე მხარდამხარ იბრძოდნენ ლომის ხეობის ბინადარნი საერთო საქმისათვის ძველად. მაშინ ბუკით უხმობდნენ ვაჟკაცებს საქმეზე, დღეს მიშას სიყვარულმა შეკრიბა ისინი, მიშას პატივისცემამ.

რა თავაზიანი გამხდარიყო ყველა, რა მორიდებული... და თუ გუშინწინეებში ვიღაცამ შეცდომით სხვისი მორი მოათრია სახლში, ვიღაცამ ყანაში გამძვრალი მეზობლის თხები დაამწყვდია, ვიღაცამ მეზობლის რუ გადაიგდო თავის სათიბში, დღეს რცხვენოდა თავისი საქციელისა. დღეს სინდისი ქენჯნიდა; დღეს მწვალებლურად განიცდიდა — ცხოვრების აზრის სათავე თურმე სიკეთე ყოფილა, მხოლოდდამხოლოდ სიკეთე და არა შურისგება, არა ავგულობაში გადაზრდილი თავმოყვარეობა. და ვინ იცის, შეიცნობდა კი ოდესმე იგი თავის დანაშაულს? თურმე რაოდენი ნიჭი უბოძებია ღმერთს ადამიანისათვის, ნიჭი მოძმისა და მეზობლის პატივისცემისა და სიყვარულისა. სად იყო ეს ნიჭი აქამდე? რად არ ჩანდა? მთელი საზოგადოება ერთი საზრუნავის ირგვლივ გაერთიანებულიყო — ყველაფერი რიგზეა?.. რაა გასაკეთებელი? ვინძლო სტუმრებთან არ შერცხვეს მიხეილის ოჯახი, არ შერცხვეს ერთიანი სვანეთი.

— ამ კოშკებს ერთი ოჯახი ააშენებდა? — აგრძელებს საუბარს ჭყინტულდი — მესტიაში სულ სამოცამდე მურყვამია. ჩვენი წინაპრები ასევე ხელჩაკიდებულნი, გვერდი-გვერდ მიდიოდნენ საქმეზე... მათს ერთობლივ ნამოღვაწარზე ეს გოლიათები ღაღადებენ... ჰოდა თუ ძველ კარგ ადათ-ჩვეულებს გავიხსენებთ ისევაც და განვამტკიცებთ, ეს მგონი მიშას წელილი და მისი დაფასებაც იქნება...

* *

ჭირისუფალი ნათესაობის მიხედვით განლაგებულიყო მიცვალებულთან. ზოგიერთ მათგანს გამოსაჩენი ხმა ჰქონდა, ზოგს არ უვარგოდა. საჭიროების მიხედვით ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს, მოთქმა მთელი დღეები უნდა გაგრძელებულიყო. დატირების კულმინაცია მა-

ინც სასაფლაოზე იყო. ზოგს იმდღისათვისაც უნდა შემოენახა თავი, ყველა ხმაჩახლეჩილი და ხმამიმწყდარი ხომ ვერ იქნებოდა.

„შენი მედლები რას გვიშველის, ვოი...
შენი სახელი რას გვიშველის, ვოი,
ცოცხალი აღარა ხარ, ვოი...“

გარეთ გამოდიოდა ვიღაცის ხმა. ბესარიონი ეზოში იდგა და აბა რა იცოდა ვინ იყო ეს მოტირალი, მის შვილს რომ საყვედურობდა მთების სიყვარულისათვის. ბესარიონს არ სიამოვნებდა, როცა მიშას კიცხავდნენ ამაზე. ეს ხომ თვითონ ბესარიონის დიდი წინაპრების, სახელგანთქმული მთამსვლელების გაბრიელ, ბექნუ და მიხეილ (უმცროსი) ხერგიანების გატაცებაც იყო. საერთოდ ყველა რაღაც გზას ადგია და ამ დროს არავინ უწყის რა იქნება — გაუმართლებს თუ არა. ნაწილობრივ ხომ ბედი განაგებს კაცის ბედ-ილბალს. ან გაგიმართლებს, ან არ გაგიმართლებს. ისევე, როგორც გამარჯვება, დამარცხებაც მამაცთა ხვედრია, იმიტომ, რომ ვინც არც მარცხდება და არც იმარჯვებს, იგი საერთოდ არაფერს არ წარმოადგენს. ურემგადაბრუნებულ ადამიანზე საყვედური — რატომ იქ წახვედი, რატომ ის მოგწონდა და აქ არ წახვედი და ეს არ მოგწონდა — უმადურობად მიაჩნდა ბესარიონს.

— ხომ არაფერს დამავალებთ, ბიძია ბესარიონ? — მიეჭრა აწრიალებულ ბიძას ზაურ ხერგიანი.

— იცი რა, შვილო, ქალებს თუ ეტყვი, უკვე ღამეა, მოისვენონ და ისიც მოასვენონ...

აბა სხვა რა ეთქვა ბესარიონს. შვილის სასაყვედურო აღარაფერი ჰქონდა, და არც სხვისგან სიამოვნებდა, როცა მთების სიყვარულისათვის კიცხავდნენ და, ასე შეუთვალა იმ ქალს...

• •

მეორე საღამოს, როცა ღამისმთეველები შეთხელდნენ და სულ შინაურები, ძირეულნი დარჩნენ მიშასთან, პატარა საუბარი გაიმართა. ბჭობდნენ ქელეხის გამართვის თაობაზე.

ხუთი, ათი წლის წინათ, ქელეხში გამოჰქონდათ სასმელ-საჭმელი, რაც ადგილობრივად, სვანეთშივე მოიპოვებოდა — სასმელად ქერის ან პურის არაყი, საჭმელად ქაბაბი, მწვანილებით შეკაზმული ლო-

ბიო, მოხარშული კარტოფილი, დამტკბარი ოსპი, რაც საგანგებოდ გაწყობილ სუფრებზე ჩამორიგდებოდა. ქელეხში მაინცდამაინც საჭ-ელად და დასათრობად არავინ ეიდოდა, ხშირად ხელუხლებელიც კი რჩებოდა სუფრა.

ოჯახი, რომელსაც უამრავი ვალი ედებოდა მიცვალებულის სხვა-დასხვა წესის აგებაზე, ამ შემთხვევაში უფრო იოლად გამოდიოდა. მაგრამ, აი, რამდენიმე წლის წინ პანაშვიდზე გამოჩნდა თევზეულობა და ბოსტნეული, ღვინო... გამოჩნდა და გამოჩნდა. ერთმა მეორეს მიბაძა — სხვაზე ნაკლები რითა ვარო, მეორეს — მესამემ — „თხა თხაზე ნაკლებიო"... სვანეთში ქუთაისიდან და ზუგდიდ-სოხუმიდან მთელი სოფლის საკმარი თევზის, ბოსტნეულისა და ღვინის ჩამოტანა რთული პრობლემა იყო, თანაც მამასისხლი ჯდებოდა, მაგრამ ერთ-მანეთის წაბაძვით მაინც მოდად აქციეს ეს ჩვეულება, ზოგი თავს იმართლებდა — ბარში ხომ ასე იციანო.

მაგრამ ის კი არ ედარდებოდა, რომ ბარში ღვინო, თევზეული თუ ბოსტნეული ადგილზევე იშოვებოდა, იაფიც ჯდებოდა. თანაც იქ ბევრი სხვა რამეც იცოდნენ განსხვავებული, სვანეთს კი თავის წმინდა ჩვეულებები და შესაძლებლობანი გააჩნდა.

ამ საკითხებზე ბევრჯერ იმსჯელეს სოფელში და დაადგინეს კი-დეც, რომ ბარის უთავბოლო წაბაძვა სასწრაფოდ აღკვეთილიყო. ბესარიონიც ყოველთვის ამ აზრზე იდგა — რაც არაა ჩვენი, არც დაგვშვენდებაო. ამ აზრზე იყო ახლაც გაჭირვების დღეებში.

— რაც გამაჩნია იმით უნდა ვცე პატივი მიშას, იმაზე მეტს ცო-ცხალიც არ მთხოვდა... — თქვა შინაურებში ბესარიონმა.

ახალგაზრდობას სჯეროდა მისი ღა გაუმართლდათ კიდეც — ბესარი-ონს მაღლა ეჭირა თავი, საღი აზრი და გონება ამ დაბნეულობისა და გლოვის ჟამსაც შეენარჩუნებინა. მაგრამ სულ სხვა აზრისანი იყ-ვნენ ამ საკითხებზე სხვები. ზოგიერთმა, რომელთაც ბესარიონის ამ სიტყვების შემდეგ ალბათ ხმა არ უნდა ამოეღოთ, იკვნეულად განა-ცხადეს:

— რაღა, რაღა მიშას უნდა დავაკლოთ რამე, ა?..

ეს უკვე ქალური საუბარი იყო. ქალებიც ამ აზრისანი იყვნენ სწორედ. დავა და კამათი არავის ძალუძდა, აბა ვინ იყო ახლა ჩხუბის ხასიათზე? ბესარიონმა თანხმობის ნიშნად უნდილად ჩაიქნია ხელი. საუბარი დამთავრდა. მეორე დღეს, უთენია, ოჯახმა თავისი კაცები

მიავლინა თევზეულისა და ბოსტნეულის საშოვნელად და ჩამოსაზიდად იმერეთსა და სამეგრელოში.

• •

— განვლილია მარშრუტის ნახევარი. ჩვენ ვზივართ პატარა ნიშში, სუალტოს პიკის პირველდამპყრობთა ყოფილ ნაბინავარში. საჭიროა დასვენება, ძალების მოკრება უკანასკნელი გაბრძოლების წინ. შევექცევით შოკოლადს, მათარით ვსვამთ წყალს. აქედან კარგად ჩანს სიმწვანეში ჩაძირული, ალპიური ყვავილებით მოფენილი ხეობა. სადღაც ქვევით უკმაყოფილოდ მიბუზღუნებს მთის პატარა მდინარე. სუფთა, გამჭვირვალე სივრცეში შორს გაისმის ძროხების ზანზალაკებისა და მწყემსების მოძახილის ხმა.

— იცი, სლავა, — ამბობს მიშა, — ხანდახან, თვალს რომ ვხეჭავ, მგონია ჩემს სამშობლოში ვარ, საქართველოში, სვანეთში. აქ ყველაფერი მშობლიურ კუთხეს მაგონებს, რომელიც ძალიან მიყვარს...

შესვენების შემდეგ კვლავ ვაგრძელებთ გზას. მწვერვალამდე სულ რაღაც 200 მეტრია. მიშა ჩემგან მარცხნივ გავიდა, შემდეგ შეეიდა ბუხარში, რათა ჩვენს თავთით გადმომხობილი ხელშეუვალი ბექისთვის შემოევლო. იგი მალე მიეფარა ჩემს თვალთახედვას. ახლა მხოლოდ თოკის მოძრაობით შემიძლია ვუმეთვალყურო, დავაყურადო, შევიგრძნო მისი არსება, მოძრაობა, უმოძრაობა.

გულში ვითვლი მეტრებს, რომელიც ჩემის ვარაუდით მიშას უნდა გაევლო უკვე. — ერთი... ორი... სამი.. უეცრად სადღაც ზემოდან ქვათაცვენის ხმა მოვარდა და ჩემდა სამწუხაროდ თვალი მოვკარი კლდეს მომწყდარ მიშას, რომელიც დაბლა მიექანებოდა.

მე მოვწიე თოკი, იგი ერთხანს დამყვა, ბიძგი ისეთი ძლიერი იყო, რომ ხელისგული ცულიეით ჩამიჭრა ბაწარმა, მაგრამ ამას ვილა ჩიოდა, რაც მთავარია თოკი დამყვა, ესე იგი, მიშა დავიჭირე... მე მგონია რომ დავიჭირე, მაგრამ ვაი, რომ არა! თოკი, რომელიც ჩვენ გვაერთებდა კლდის შვერილებზე გაიხეხა, ქვებმა გადაჭრეს იგი. და მერე კვლავ მოვკარი თვალი მიხეილს, მხარზე შერჩენილი თოკის ნაგლეჯის ფრიალით მიცურავდა იგი ცათა სიღრმეში, ხელებგაშვერილი წყალში მხტომელივით მისრიალებდა სივრცეში, დაბლა, უსასრულობისაკენ...

ასე დავრჩი მარტო მიშას გარეშე, საყვარელი და ახლობელი ადამიანის გარეშე მიუვალ კლდეზე მიჯაჭვული, ასე ეული და მიუსაფარი.

როგორც კი გონს მოვეგე, მწვალებელმა ფიქრებმა მოიცვა ჩემი გონება — რატომ, როგორ მოხდა ყოველივე ეს? ერთი წამის წინ ხომ იგი ჩემთან იყო, ასეთი ცოცხალი და მომღიმარი. ერთი წამის წინ ხომ ჩამესმოდა მისი ღიღინი, მის პირთაგან ამომხდარი ქართული სიმღერის ჰანგები და ახლა რალა იქნა, სად განქარდა და გაუჩინარდა?

ერთხანს ურწმუნო თომასავით ვაფახულებდი თვალებს, ვაქიცინებდი თავს, და ვიძახოდი გულში:

— არა... არა... არა...

მაგრამ მერე დავინახე ხალხი, მთის ძირში მოგროვილი მაყურებლები. ისინი სირბილით მოეშურებოდნენ სუალტოს მისადგომებისაკენ.

ჰო, მანდ არიან მიხეილ ივანეს ძე ანუფრიკოვი და სლავა რომანოვი — ჩვენი მეთვალყურეები. მანდ არიან იტალიელი ჯარისკაცები, სამხედრო წრთვნის მონაწილეები, რომელთაც აგრეთვე მიატოვეს თავიანთი მეცადინეობა და აქეთ გამოიქცნენ. მათ მიშას ცხედარი ჩაიტანეს დაბლა. შემდეგ, კედლიდან რომ ჩამომხსნეს, მე მიამბობდნენ — როცა მიშას ცხედარი იტალიის სამხედრო ბანაკის წინ გასვენეს, იტალიის ნაციონალური დროშა დახრილი ყოფილა — ჩვენი მასპინძლები უკანასკნელად ეთხოვებოდნენ, თავს უხრიდნენ მამაც საბჭოთა მთამსვლელს.

არიან ადამიანები, რომელთან შეხვედრითაც ემადლიერები ბედს. ეს ადამიანები დაჯილდოვებულნი არიან ბუნებისაგან ცხოვრებისეული სიბრძნით, არაჩვეულებრივი კეთილშობილებით, თბილი კეთილისმყოფელობით და სულიერი სიმდიდრით.

მიშამ ბევრი რამ ვერ მოასწრო ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერს კი მიაღწია, მან უბრალოდ ვერ მოასწრო, რადგან ძალიან ცოტა დრო მისცა ღმერთმა ამისათვის, მაგრამ სიცოცხლე, რომელიც მან გაიარა, იყო სავსე და ნამდვილი და ამიტომაც ცხოვრებაში ბევრ ვინმეს, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონდა, დაუტოვა ღრმა სულიერი კვალი, რომელიც არასოდეს არ წაიშლება.

მიშა არ არის ჩვენს შორის, მაგრამ სადაც არ უნდა ვიყო, რომელ მწვერვალზეც არ უნდა ავიდე, იგი მუდამ ჩემთან იქნება.

მე ახლაც ნათლად ვგრძნობ მისი სულის სიმძლავრეს, რწმენას თაეისი თავისა და ამხანგებისადმი...

„თენსინგი ფაჟაცთა ზორის"

ლორდ ჯონ ჰანტი (ცნობილი ინგლისელი მთამსველელი, შერპ თენსინგთან ერთად პლანეტის სიმაღლის პოლუსის — ჯომოლუნგმას დამპყრობი):

„საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს, მიხეილ ხერგიანს, მის გულითად მეგობარ იოსებ კახიანთან ერთად პირველად შეეხვდი იალბუზის ძირას ადილ-სუს ხეობაში მდებარე ალპიურ ბანაკ — „სპარტაკში" 1958 წელს.

მშვენიერი გარეგნობის, მეგობრული გრძნობით გამსჭვალულ პიროვნებაში მყისვე შევიცანი ტიპიური ქართველი, ჭეშმარიტად კაცური კაცი. მე და ჩემი მეგობარი მთელი ათი დღის მანძილზე სიტკბოებით ეცხოვრობდით ამ შესანიშნავ წყვილთან. ამ ხნის განმავლობაში ავედით კავკასიისა და შუროვსკის პიკზე, ქარბუქის გამო მთელი სამი დაუვიწყარი დღე ერთად გავატარეთ „უშბის ბალიშზე", მისი ჩრდილო მწვერვალიდან ათასი ფუტის ქვემოთ.

მიხეილი და იოსები სვანეთიდან იყვნენ — თაფლისა და რძის — თეთრი ღვინის კუთხიდან, კავკასიონის გაღმა მხრიდან, ზამთრის თვეებში ისინი მუშაობდნენ მთამსველელობის ინსტრუქტორებად.

ჩვენი სტუმრობის დროს მიხეილი და იოსები გახდნენ საბჭოთა კავშრის ჩემპიონები. ჩინებული ასვლების გამო ისინი აირჩიეს საბჭოთა ჯგუფის წევრებად, რომლებიც უნდა შეერთებოდნენ ჩინელ მთამსველელებს ევერესტის მწვერვალის ჩრდილოეთიდან დასაპყრობად, რისი განხორციელებაც 1960 წლისათვის იყო ნავარაუდეეი.

ოთხი წლის შემდეგ, როცა ჩვენ პამირში შევხვდით ერთმანეთს, მიხეილს უკვე მოეპოვებოდა კლდეზე ცოცვაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სანუკვარი ტიტული.

ჩვენი მრავალი მთამსველელი მოწმე გახდა იმ ძალისა და მოხერხებისა, რაც მიშამ გამოამეღავნა, როცა იგი 1960 წელს ჩამოვიდა დიდ ბრიტანეთში საბჭოთა მთამსველელების ჯგუფთან ჩვენის მიპატიეებით.

მან აქ ჩვენს მამაც ადამიანებთან ერთად რამდენიმე რთული ასვლა მოაწყო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიშამ დიდ ბრიტანეთში ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი შეიძინა.

1962 წელს ჩვენ სიხარულით შევხვდით ერთმანეთს ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის მთავარ ბანაკში პამირზე, პიკ პარმოს ძირში. მიშა აქ ჩამოვიდა ახალი დიდებით მოსილი, რაც მან დაიმსახურა შუროვსკის პიკზე ჩრდილოეთიდან პირველასვლით.

იგი პამირში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ყველაზე რთულ ასვლაში — კომუნიზმის პიკის იერიშში.

მიუხედავად ასეთი დიდებისა და სახელისა, იმათ, ვინც მას იცნობდა, კვლავაც ის ძვირფასი და თავმდაბალი მიშა ნახეს, კვლავ საყვარელი და გულმხურვალე ადამიანი. მე მაქვს პამირში მასთან ერთად გადაღებული სურათი — მიშას ხელში სანადირო თოფი და მოკლული კაკაბი უჭირავს, რომელიც ძღვნად მოიტანა ჩვენთვის.

მაშინ მიხეილს ჰარმოს მწვერვალიდან დაშვების დროს დავცილდით ულფრიდ ნოისისა და რობინ სმიტის დაღუპვით დამწუხრებულნი. შვიდი წლის შემდეგ კი მიშაც დაიღუპა სუალტოზე, მეექვსე კატეგორიის სირთულის მარშრუტით ასვლისას. მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენთვის. იგი სისხლითხორცამდე ნამდვილი ვაჟკაცი იყო. იგი იყო თენსინგი ვაჟკაცთა შორის...“

• •

თვითმფრინავებს უამრავი ხალხი გადმოჰყავდათ. შვეულმფრენები გადმოდიოდნენ ჩრდილოეთიდანაც — ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქებიდან, ალპიური ბანაკებიდან მიშას თაყვანისმცემლები, ამხანაგ-მეგობრები მოდიოდნენ: მესტიის, ბეჩოსა და სხვა გადასასვლელებზე გაცხოველდა ზოგზაურთა მოძალება. მიშასთან გამოსათხოვრად ისწრაფოდა ჩრდილოეთი. მწუხარება განაგებდა ყოველივეს. ერთ-ერთ შვეულმფრენს მიშას უახლოესი მეგობრები მოჰყავდა: სპორტის დამსახურებული ოსტატები თერსკოლსა და ნალჩიკიდან — იურა მურზაევი, მიშა და ხუსეინ ზალიხანოვები. ყველაზე გულისდამწველი მათი შეხვედრა იყო ბიძია ბესარიონთან, სამთავეს ბესარიონის მკერდსა და მხრებზე ჩამოედოთ თავი და დიდხანს, დიდხანს უთათუნებდნენ მოხუცს ხელს. და როცა ბესარიონმა გაიცხა

ისინი — რაზე შეწუხდით ამ სიშორეზეო... მათ გაიოცეს, გვერდზე გადგნენ და ერთხმად თქვეს:

— მამა ბესარიონ, ჩვენ მიშას „წასვლამ“ როდი შეგვაწუხა, აქ ნურავის ჰგონია, რომ იგი გვეცოდება, ჩვენი თავი გვებრალება მის გარეშე... რამდენი სიამოვნება გველოდებოდა და უეცრად ყველაფერი დავკარგეთ, აი, რა გრძნობა მოგვერეკებოდა ამ სიშორეზე, იქნებ ეს ხალხიც ამასვე განიცდის, რასაც ჩვენ...

— ჰო, შენი ჭირიმე... მაგრამ მაინც რა გააკეთა მიშამ ასეთი, რა შეეძლო გაეკეთებინა, რა ჰქონდა, რა ებადა... — ჰკვირვობდა ბესარიონი.

— გული ჰქონდა, მამა ბესარიონ, მიხეილს, ადამიანის გული... მერე კი სხვა დანარჩენი... ჩვენ ყოველთვის რაღაცას ვსწავლობდით მისგან და აი, დავიღუპეთ...

ლაფაროში გეგმიანი და უგეგმო ტურისტები, თბილისელი და ქუთაისელი სტუმრები, სვანეთში მოვლინებული უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებელთა პრაქტიკანტი სტუდენტები ჩამომსხდარან. ყველა დამწუხრებული და გაოცებულია — ეს რა ხდება სვანეთში, ეს რა გლოვა სცოდნიათ სვანებსო. ქუდმოხდილი კაცები დგანან და დუმან. ახალგაზრდობა ქანდაკებად ქცეულა, მწუხარებას მოუთოკავს ყველა. ახალგაზრდებს განსაკუთრებით შვენით ეს სიდინჯე და მკაცრი სერიოზულობა.

— ისინი რაღაცით მიხეილს ჰგვანან, შეხედეთ მის სურათს და მერე განსაჯეთ — მართლა ჰგვანან თუ არა, მიშაც ასეთი დინჯი და დარბაისელი იყო ცხოვრებაში... — ამბობს ვიღაცა. სტუმართაგანი ლაფაროში. დანარჩენი მისკენ შემოტრიალდებიან და ყურს შიუგდებენ.

— შენ საიდან იცი? — ეკითხება მეორე.

— ვიცნობდი, შორიდან ვიცნობდი.

მალე კინოსაპროექციო აპარატი მოიტანეს. რომ მოსაღამოვდა, ეზოს მეორე ბოლოში თეთრი ფარდა ჩამოუშვეს. ვიდრე ფილმების ჩვენებას შეუდგებოდნენ, სოფლის თავკაცებმა ხვალინდელი დღის წესრიგი გამოაცხადეს. ბავშვებს ეკრძალებოდათ გასვენებაზე მოსელა. მშობლებს არ უნდა გამოეშვათ ისინი პანაშვიდზე. დაინიშნა გასვენების დროც. მაგრამ ბავშვთა დასწრება-არდასწრების საკითხმა კამათი გამოიწვია. სტუმრებს მიაჩნდათ, რომ ეს არ იყო მართებული გადაწყვეტილება. ბავშვებისათვის ამჯერად გამონაკლისი უნდა დაშ-

ეებულიყო. ეს ხომ ჩვეულებრივი სვანური ქელეხი არ იყო. სწორედ მომავალ თაობას უნდა განეცადა და ეგრძნო, ვისაც მარხავდნენ. იქნებ აქედანვე შეეცნოთ და დაფიქრებულიყვნენ თავიანთ მომავლის გზაზე, ვის გზას გაჰყოლოდნენ...

ეკრანზე მიხეილი გამოჩნდა. იღიმებოდა, ამხანაგს ჰკოცნიდა, გარბოდა, კლდეზე მიკრულიყო, თოკზე ეკიდა, თანასოფლელებთან საუბრობდა, სტუდენტებს ამეცადინებდა, მღეროდა, ჭიქა ეჭირა ხელში, მერე კი... ფიქრობდა, დუმდა და ფიქრობდა. სპორტსმენი იყო, მასწავლებელი იყო, თამადა იყო, ჩემპიონი იყო, მოგზაური იყო, დამსვენებელი იყო, ამხანაგი იყო — ქართველი იყო. მერე ეკრანიდან ბანგურიანის მთებს გაჰხედა მიხეილმა. მთელი ხალხი იქით შეტრიალდა.

— ამხანაგებო, — განაცხადა სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ ბენედიქტე რატიანმა — რამდენიმე წუთში ბანგურიანის მწვერვალზე დაენთება მიშას ხსოვნისადმი მიძღვნილი კოცონი...

მალე მართლაც აგიზგიზდა ცეცხლი. მიშას აღზრდილებმა, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსვლელობის ფაკულტეტის პირველი გამოშვების სტუდენტებმა, გაიოზ ჩართოლანმა, გელა გუგავამ, ჯენერი გვარლიანმა, ლადო გურჩიანმა, ვალერი რატიანმა, და ზაქრო მუშკუდიანმა ააგიზგიზეს მწვერვალზე კოცონი. მათ ეს სვლა მიშას ხსოვნას მიუძღვნეს. ახალბედა მთამსვლელებმა თან წაიყვანეს მიხეილის უმცროსი ძმა, ბექა ხერგიანი. მიხეილი ცამეტი წლისა იყო, პირველად რომ შედგა ფეხი ბანგურიანზე, პირველი ნათლობა რომ მიიღო. დღეს კი მის ნაკვალევს მისი ძმა მიჰყვებოდა, მისი აღზრდილები აღრმავებდნენ, მათ მიიღეს ესტაფეტა და უნდა მისულიყვნენ ფინიშამდე. მალე ჰაერში ჯერ ცამეტი მწვანე, მერე კი ოცდაჩვიდმეტი (რამდენი წლისაც იყო მიხეილი) შუშხუნა აიჭრა. ბანგურიანი ქედს იხრიდა მამაცი მთამსვლელის წინაშე. მთელი კავკასიონი კიდევ ერთხელ ემშვიდობებოდა მთების რაინდს...

ლაფაროში მთელი ღამე ისხდა ხალხი. და რაც უცნაური იყო, ამ ადამიანებს მიხეილის მშობლებიდან, ნათესავებიდან, საერთოდ სვანეთშიც კი არავინ იცნობდა. ისინი მაინც ისხდნენ და ისხდნენ, როგორც შინაურნი და ახლობელნი.

• •

სახელოვანი ადამიანები. ბექნუ ხერგიანი და ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურაბიანი და ალმაცგირ კვიციანი, როგორც ქარაფეებზე, როგორც მწვერვალებზე, როგორც ყოველთვის, დღესაც ერთად იდგნენ — საპატიო ყარაულში. მესტიის ცენტრში, შუა მოედანზე განისვენებდა მიშა.

შავძაძიანი ქალები გულისდამწველად მოსთქვამდნენ. ტიროდნენ შუშანა და ლიზა ხერგიანები, მიხეილის დაიკო, ნათელა ხერგიანი, გვაშაყან კვიციანი;

„რეზო ხერგიანს მოინახულებ, მინაან..
უმცროს მიხეილს მოინახულებ, მინაან...
გურამ თიკანაძეს მოინახულებ, მინაან...
ილიკო გაბლიანს მოინახულებ, მინაან...
ეეი, მინაან, მინაან...

• •

კატი ბარლიანს კი, ფერმილეულ. ლოყებგამოკაწრულ შაოსანს უკვე ალარაფრის თავი არ ჰქონდა, იგი აზრზეც კი არ იყო, რა ხდებოდა სეტის მოედანზე, რა უნდოდა ამ ხალხს, რას იქმოდნენ ეს ადამიანები, თავჩაქინდრულნი და მდუმარენი. იგი რალაც სულისშემხუთველ ბურუსში გახვეულიყო, სადღაც მის წყვდიადსა და უსასრულობაში მიცურავდა და მიექანებოდა. და ალარა უწყოდა — ეს უთავბოლო სრბოლვა დამთავრდებოდა, შეწყდებოდა კი როდისმე?

მხოლოდ ფიქრისა და გარდასულ დღეთა გახსენების უნარი შემორჩენოდა. და თვითონაც არ იცოდა, რისთვის, ვისთვის იყო ეს საჭირო, რა აუცილებლობა ჰკარნახობდა უკუნეთში მიმსრბოლავ ბინდიან გონებას, ეს წარსულის წვრილმანები გაეხსენებინა, წარსულისა, რომელიც ალარასოდეს განმეორდებოდა, ალარასოდეს მობრუნდებოდა. რა უცნაური რამ იყო ეს სრბოლვა, რა უცნაური და ტკივილიანი, რა ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მიკიბ-მოკიბული იყო ეს მიმწუხრის ფიქრი:

— დაზანტდი, ამ ბოლოს ძალიან დაზანტდი...

— რა... რა გინდა ჩემგან, დამანებე თავი.

— მოიძილქუშე და წამოდექი. რა მინდა!

— მაგდებ სახლიდან? რას მაჩქარებ, ნეტა ვიცოდე

— ბარგი, როგორც მითხარი, ჩავალაგე. ყველაფერი მზადაა. თვითმფრინავი კი შენ არ დაგიცდის.

— გინდა მალე დამიშორო და ეს არის. სხვა დროს რო არ მახსოვს შენგან დაჩქარება?

— სხვა დროს? სხვა დროს არ გინდოდა და ამიტომ. ამ ბოლოს კი დაბანტდი. უწინდელი ხალისი დაკარგე, ძარღვსახსარი დაგიძაბუნდა.

— ეეჰ, ელაპარაკე მაგას. შენ ის მითხარი, სახლიდან რაღაზე მერეკები. ძვალ-სახსარს გამოძინება არ უნდა? სხეულს გამოშუშება არ უნდა? დასვენება არ უნდა? მითხარი, არ უნდა?

— არ გინდა წასელა? თუ არ გინდა, მიდი და განუცხადე. ვილასი გერიდება. მიდი და უთხარი. თვითმფრინავი რომ არ დაგიცდის, ხომ იცი...

— ეჰ, ელაპარაკე ახლა მაგას... შემოგიჩნდება, შემოგიჩნდება და საშველს არ მოგცემს. კარგი. ასე იყოს. სად არის ჩემი ზურგჩანთა?

— თითქოს მე მივდიოდე. შენ მიემგზავრები უცხო ქვეყანას, განა მე? ნეტავი მეც მოვდიოდე. ანდა მარტო მივდიოდე.

— წამოდი, გეთქვა ადრე და წაგიყვანდი, განა ვერ წაგიყვანდი. რომ დაებრუნდები, მერე წაგიყვან სადმე, კარგი? ოღონდ, რომ მერეკები და მაჩქარებ? თავიდან გინდა დამიშორო? — მიხეილს ეღიმება. თბილი, შუბლგახსნილი, გულიანი ღიმილით ეღიმება. იგი უკვე ფეხზე დგას. სამგზავროდ გამოწყობილი, სალაშქროდ შემართული.

„არა, მაინც ვერ არის ის ძველი ჩხვიმლიანი. თითქოს არის, მაგრამ რაღაც აკლია, რომელიღაც ნათურა ველარ ენთება სულში, რომელიღაც ნათურა მხოლოდ ბეუტავს, მხოლოდ ციმციმებს. თითქოს არის და არც არის ის ძველი“...

— რაღას გაჩუმდი. თქვი რამე. ეს მითხარი, რა, რა ჩამოგიტანო?

„რა ჩამოგიტანო?“

— არაფერი...

— ყელსაბამი?

— არა...

— ფეხსაცმელები?

— არა.

— ხელჩანთა? ან იქნებ პალტო?

— არაფერი-მეთქი.

— ეს კარგი გამახსენდა. უნდა ჩამოგიტანო ისიც და ისიც. ფული არ მეყოფა საამისოდ? მინდა დაგინახო გამოწყობილი...

— გთხოვე? როცა გთხოვ, მაშინ ჩამომიტანე, ახლა კი გაგვიანდება.

— რა სულელი ვარ. მე ხომ არასოდეს არაფერი არ ჩამომიტანია. მცირედი რამ საჩუქარიც კი — არა... რა სულელი ვარ...

— ახლა ხარ სულელი. ამაზე რომ დარდობ, სულელი ხარ...

— არა, მე მინდა მოირთო, ერთხელ ხომ უნდა მოირთო...

„არა შეჯდა მწყერი ხესაო"... როგორც იყო, ისე იქნება კვლავაც. არ გიყვარს ამგვარი რამეები. არც რქებს ეზიდები ზოგიერთივით მთებიდან, ჯიხვებს არ თოფავ, საზღვარგარეთიდან კი არასოდეს არაფერი არ წამოგიძღვანებია. უბრალო პერანგი რა არის, უბრალო პერანგიც კი არ ჩამოგყოლია. არ გიყვარს მალაზიებში სიარული. საკუთარი თავი რო არ გაახსენდება კაცს, იმას სხვამ რა უნდა მოსთხოვოს. და მიგრძნობინებია როდესმე? თქვი, მიგრძნობინებია? მისაყვედურნია? შემიხსენებია? თქვი! არცა მჭირდება. არაფერი არ მჭირდება შენს იქით, და არაფერს არ დაგავალებ, იმიტომ რომ შენ ასეთი ხარ...

სხვები რქებით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ ექსპედიციებიდან. უბრალოდ ააწყობდნენ მონადირებულ რქებს და წამოიმძღვანიებდნენ, მერე ათას ვინმეს მოიმადლიერებდნენ. შენ — - არა! იმიტომ რომ ასეთი იყავი. შენი ზურგჩანთა სამთო აღჭურვილობით იყო გამოვსებული. ეს იყო და ეს. ჰო და რა, რა მაქვს შენთან სამდურავი... განა სულელი ვარ. განა ერთად არ ვსწავლობდით ძველისძველ ანდაზებს თუ უფროსთა გამონათქვამებს. აი ხო გახსოვს — „არა შეჯდა მწყერი ხესაო..." ასეთი იყავი თავიდან. ასეთი რომ იყავი, იმიტომ შევხვდით ერთმანეთს. ალბათ მეც შენნაირი ხასიათი მქონდა, შეიძლება მთლიანად არა, მაგრამ რაღაცით მაინც გგავდი, მგონი ეს დასაშვებია — ქალი რაღაცით კაცს რომ წააგავდეს...

ჰო, მერე? მერე რა იყო? მერე იყო წერილი. შენი უკანასკნელი წერილი მოსკოვიდან. და იყო ჩემი სიზმარი. გაყინულსა და გათოშილს, მდუღარე წყალს გასხამდი. ეს იყო და ეს. მაგრამ რომ ვერ გაგალღვე? აუ, რამდენი წყალი გასხურე, რამდენი ვეცადე, მაგრამ რო ვერა და ვერ გაგალღვე?

და მერე, მერე რა იყო?

მერე იყო ვეფხვის ტორებზე შემდგარი იტალიური კუბო. ჰო, შენ

იწეკი და მემუდარებოდი, წყალი აადუღე და დამალევინეო. დამალევინე. იქნება მეშველოს რამეო. ეს იყო. იქნება შევიძლო წამოდგომა და ხმის ამოღება, რათა ლომის ხეობა შევყარო, შევყარო და ვაცნო ყველას თეთრი მოხუცის დანაბარები, ანტონის ანდერძი დალებსა და ნადირზე.

რათა ჯგვიბის დღესასწაულზე ნათლისვეტს ავაცოცდე და მოსავლიანობის სვე-ბედი — ქრისტეს ჯვარი მოვიტაცო. განა იმ დაყინული გუნდებისა შემეშინდება. რა, რა უნდა დამიშავონ თოვლის გუნდებმა

მოდი, რა, რალას ელოდები. გააცხელე ორკიოლი, აათუხთუხე და დამალევინე.

„ორკიოლი? ეგ რა დიდი რამეა, შენ სხვა რამე მთხოვე და... ეგ რა სალაპარაკოა, მოიცა...“

კატი წამოიწია. იგი უეცრად წამოიწია.

„მოიცა... მოიცა...“ — ჩურჩულებდა ხმამიმხრჩვალი ქალი.

— სადა, შე საწყალო, სადა? — ჩააფრინდნენ აქეთ-იქიდან ჭირისუფლები.

— წყალიო, მინაანმა წყალიო, ცხელი წყალიო... — ამოიხნავლა კატიმ.

— იყუჩე, იყუჩე და გამოიხედე, შე საწყალო, აი, რამდენი ხალხი მოსულა, ნახე...

მერე მან ეს ფიქრისა და გახსენების უნარიც დაკარგა. ახლა იგი იჯდა უაზროდ თვალებგაშტერებული. იჯდა და ალარაფერზე არ ფიქრობდა. თითქოს ყოველივე გაიყინა და დამთავრდაო.

• •

პოეტმა თამაკარ ერისთავმა თავისებურად დაიტირა მიხეილი.

შენ ეეფხვი იყავი, ხერგიანო
და ვეფხვზე უფრო უმალესი
შენ მთები გიყვარდა, ხერგიანო
მთები, ყველაზე უმაღლესი.

შენ მთებმა გაგწირეს, ხერგიანო,
მთებმა მოღალატე დოლომიტის,
შენს ქებას მოიტანს, ხერგიანო,
შენს ქებას წაიღებს დრო რომ მიდის.

შენ გადაგიფლია, ხერგიანო,
მთები ლრუბლებშიც რომ არ ჩანან,
მთები ყინულების ფერდიანი —
დიდი პამირის და ტიანშანის.

კვლავ მოენატრები, ხერგიანო.
უშბას, მყინვარების ბანდელიანს,
შენი სოფლის თავზე გადმოყიდულ
მარად ნისლებიან ბანგერიანს.

კვლავ მოენატრები, ხერგიანო,
ბაღან ციხე-კოშკებს ლაღამბასს,
და შენს სამკრეზე ვარკვლავები
ცეცხლს დაანთებენ შუალამისას.

შენ ეფეხვი იყავი, ხერგიანო
და ეფეხვზე ეფრო უმაღლესი,
შენ ლილე გიყვარდა, ხერგიანო,
ლილეს სიმღერა და მზის ალერსი.

შენ კაცი იყავი, ხერგიანო,
სხვა კაცზე ეფრო უკაცესი,
ეს დიდი მწვერვალიც დაგეპყრია,
ყველა სხვა მწვერვალზე უმაღლესი...*

ბიბიკო ჩართოლანი:

(სპორტის დამსახურებული ოსტატი)

— სვანეთში დაბადებული კაცი ბევრი რამით არის დავალებული მთისაგან — ტყუილად როდი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, მთა აქ ყველაფერიაო. მთა იფარავს, მთა ჰკვებავს და ასაზრდოებს ადამიანს. საოცარია მთა — შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ველარც კი მოსცილდები. მერე მთა მშობელივით საყვარელი ხდება, საყვარელი და ახლობელი. მთა სულში იდგამს ფესვებს, ისევე, როგორც ხე — მიწაში, — ამბობდა ხოლმე მიხეილი. როცა მის მთამსველელურ გატაცებაზე შეეკითხებოდნენ.

და ყველა, ვინც კი მოწმე გახდა მისი შეუპოვარი ასვლებისა კავკასიონზე, პამირსა და ტიანშანში, საზღვარგარეთის ქვეყნებში —

ბულგარეთში, ინგლისსა და საფრანგეთში, ვინც მხილველი იყო უშ-ბის სარკის სარეკორდო დალაშქვრისა და საკუთარი თვალით ენახა ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დამშვენებული მიხეილი, ყველა დარწმუნდებოდა, რაოდენ ჭეშმარიტი და ნაღდი იყო ამ უბრალო, ხალასი, მუდამდღე იმ მთებივით მდუმარე და დაფიქ-რებული ადამიანის სიტყვები: საოცარია მთა, შეგიჩვევს, შეგიჩვევს და ვეღარც კი მოსცილდებიო...

ბოროვიკოვი

(სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე):

— მიხეილ ხერგიანი იყო პირველი საერთაშორისო კლასის ოს-ტატი საქართველოდან. იგი ერთნაირი გატაცებით მოღვაწეობდა რამდენიმე სფეროში: ზრდიდა მომავალ მთამსვლელებს, უფროსი თაობის შემცვლელთ, მათი გზის განმგრძობთ. ათობით შესანიშნა-ვი სპორტსმენი გაიზარდა მისი ხელმძღვანელობით.

ზამთრობით, როცა ალპინისტური სეზონი ძირითადად დამთავ-რებული იყო, იგი სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის იღ-ვწოდა.

მიხეილი იყო ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი საბჭოთა სკოლის კლდეზე მცოცავებისა. მან ზედიზედ შვიდჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება კლდეზე ცოცვაში, სპორტის ამ ურ-თულეს სახეობაში, მრავალჯერ გავიდა საპრიზო ადგილზე.

სპორტის ამ სახეობას დაუღალავ პროპაგანდას უწევდა მიხეილი მშობლიურ რაიონში — მესტიაში. მისი თაოსნობით შეიქმნა მეს-ტიის რაიონის სამაშველო ჯგუფი, რომელსაც ცნობილი საბჭოთა მთა-მსვლელები, ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი და მაქსიმე გვარ-ლიანი უდგანან სათავეში. ამ ჯგუფმა არა ერთი და ორი ადამიანი იხსნა განსაცდელისაგან, არა ერთსა და ორს დაუბრუნა სიცოცხლის ხალისი...

ანუფრიკოვი

(სპორტის დამსახურებული ოსტატი, ხაკ. ფიზკულტურის კომიტეტში ალპინიზმის განყოფილების გამგე):

— როგორც ითქვა, მიხეილმა არა ერთს დაუბრუნა სიცოცხლე, არა ერთი ადამიანი იხსნა მძიმე განსაცდელისაგან. ვინც კარგად ერკვევა მიხეილის მიერ გაწეულ სამაშველო საქმიანობაში, იგი ადეილად დარწმუნდება ამ მთების რაინდის კაცთმოყვარეობაში.

გავიხსენოთ თუნდაც გადილ-ბაშკარას მწვერვალზე დატრიალებული ტრაგედია. მთამსვლელთა ჯგუფი იური ბურუხევიჩის ხელმძღვანელობით ქარაფებში გაიჭედა. ყინვასა და ქარში ისინი რამდენიმე დღე-ღამე ეკიდნენ უფსკრულთა თავზე. გათოშილ, ილაჯმიხდილ ხალხს ალარაფრის თავი არა ჰქონდა, ისინი ზეზეურად კვდებოდნენ.

უბედურებაში ჩავარდნილებმა ისღა იცოდნენ, რომ ახლომახლო სადღაც „კლდის ვეფხეს“ და მის თანამემამულეებს ედოთ ბანაკი და თუ ვინმე მოვიდოდა, თუ ვინმე გადაარჩენდა მათ, მხოლოდ ისინი... სხვა ვინ შემოაღწევდა ამ უდაბურ ფორპოსტებში?..

და მართლაც მოვიდა მიხეილ ხერგიანი თავისი ჯგუფით. მოვიდა და სასიკვდილოდ განწირულ ხალხს თავისი მაცოცხლებელი სითბო გაუნაწილა...

ხანდრო გვალია

(საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი):

— ჩვენი მიშა, პირადად ჩემთვის კი ჩხვიმლიან ხერგიანი მუდამ იყო ვაჟკაცობისა და თავგანწირულობის ნიშანსვეტი მეგობარ-ამხანაგებში. როცა ვინმეს უჭირდა, იგი ტოვებდა თავის საქმეს, რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა და სწრაფად მიეშურებოდა უბედურებაში ჩავარდნილის დასახმარებლად.

ასე იყო იმ საბედისწერო 1961 წელსაც ტიანშანში, გამარჯვების პიკზე. სამმა ქართველმა ვაჟკაცმა დაიდო ცასთან ახლოს ბინა, ერთმა მათგანმა კი საუკუნო განსასვენებელი ჰპოვა მანდ, ამჟამად ყველაზე მაღალმა კაცმა მსოფლიოში — ილიკო გაბლიანმა.

მეოთხეც შეიძლება შეჰმატებოდათ მათ, მეოთხეც შეიძლება დარჩენილიყო მათთან ერთად მყინვართა საუფლოში, მაგრამ მიხეილმა

თავგანწირულობისა და სიმამაცის ფასად ულმობელ სიკვდილს გამოსტაცა იგი — ზურგზე მოიკიდა მოყინული, უკვე გონსგარდასული, გადარჩენის იმედგადაწურული მიხეილ ხერგიანი (უმცროსი) და შვიდიათასი მეტრის სიმაღლიდან ხუთიოდე კილომეტრი ატარა სიკვდილმობნეულ გზებზე. გზებზე, სადაც თვითონ უჭირდა ადამიანს გასვლა, მიხეილმა გაუგონარი სასწაული მოახდინა.

მართლაც იშვიათი თავდადება იცოდა „კლდის ვეფხვმა“.

შემდგომ წლებში, როცა ულმობელმა სენმა მაინც დარია ხელი მიხეილ ხერგიანს (უმცროსი), მიშამ ერთხელ თქვა — ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ცალი მხარი ჩამომაჭრესო.

უცნაური იყო, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული მართლაც მხარმოკვეთილივით დადიოდა. ალარავის ახსოვს იგი ერთი გულიანად გალიმებული. იშვიათად იცინოდა. უკვე ალარ მოსდგამდა ის ძველი სიმხნევე და სილაღე.

იტალიაში გამგზავრების წინ იგი რაღაც გაორებულ გუნებაზე იყო. ვინ უწყის, იქნებ უჩინარი წინათგრძნობა აუწყებდა მოსალოდნელ უბედურებას...

მაგრამ მიხეილს მამა-პაპიდან, სახელოვანი წინაპრებიდან მოსდგამდა შეუპოვრობა, გამარჯვებისადმი ლტოლვა და მისწრაფება, სიმაღლეთა დამორჩილებისა და დათრგუნვის ჟინი. ისევე, როგორც მამამისს, სპორტის ოსტატს, ბესარიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, ბეჟნუ, გაბრიელ ხერგიანებს, ჭიჭიკო ჩართოლანს, გოჯი ზურაბიანს, ალმაცგილ კვიციანს და სხვებს, მასაც არ სჩვეოდა უკანდახევა და ათასი წვრილმანის გამოკიდება...

და კვლავ აიკრა გუდა-ნაბადი შორეულ გზაზე წასასვლელად. საუბედუროდ ამჯერად უკანასკნელად დაჰქროლეს მისთვის სამოგზაურო ქარებმა მწვერვალებიდან, უკანასკნელად აშრიალდნენ კავკასიონის ქათქათა მწვერვალები რაინდის წინაშე, უკანასკნელად ჩაკიდეს ერთურთს ხელები და სვანური „შინავორგილი“ დაუარეს...

ᲛᲐᲚᲘᲙᲝ ᲮᲐᲚᲚᲘᲐᲜᲘ (პოეტი):

„ღრიალებს ენგური, ფაენება ტალღები
ღამის საფიხვნოზე შევარდნენო, —
ეინ ჩაგსვა კუბოში, — აკივლდნენ ბალღებიც,
შევარდენო!

რად ტირის ღრუბლებში ჩუმ-ჩუმად ნეტა ზეცა
თვალს ცხელი ცრემლი წვავს, გულს — ნაღვერდალები
თმებით დაკიდულან თოლიან ყეტაბზე
დამბრჩვალა დალები.
კიეიან ზარები და შმაგი ქარები
ყინულებს ლოკავენ, მთებს გაეთამაშნენ,
ყვლაე ქედ-ქედ დაუდის საშსხვერპლო ხარები —
მავთულს.
მოდრინდნენ მერცხლები, ეის გაეჭიკჭიკონ?
შენეულ ბილიკებს ეძებენ უშბაზე — ბეჭნე და ჭიკოკ.
ო, რად შლის სიკვდილი სიცოცხლის თარიღებს,
რა გვიყო ტალღა, საღ შემოგარეულ
შენს ზღაპრულ სიტყვებს ლეგენდად წარიღებს
ეაზიანელის მარეულ.
ყლდეზე ალესილე, შეაგო ვეფხო ყლდეთ,
ტახტზე ალსრულებას ეს სიოს გაცილებით,
ცაში დაფრინავდი, მიწას შეეფრთდა
შენი დაბსხვრეული ტანის ნაწილები.
გაწყდა ბაწარი და ყლდეზე ფაეიდე,
გარს ცეცხლისფერიანი ღრუბლები გიელიან.
ალბათ ბეთქილოვით თეთრ შენს გაეკიდე —
ჩხვიმლიან!"

გრიზა გულგანი

(სპორტის დამსახურებული ოსტატი)

მიხეილის ამხანაგებმა კარგად იციან: ტექნიკურად ძნელ მარშრუტებზე, მონაკვეთებსა და უბნებზე, საღაც ხელით საცოცი და გასაელელი იყო. წინ მუდამ „ყლდის ვეფხვი" მიდიოდა ხოლმე. მისი იმედი ჰქონდათ და გულდაარხეინებული ელოდნენ, როდის გაალწევდა საშშეიდობოზე, რომ მათთვის, ძირს დარჩენილთათვის თოკი ჩამოეგდო.

ამჯერადაც, იტალიაში, სუალტოს პიკის ყედლის დაძლევისას მიხეილი წინ მიდიოდა და ინგლისისა და უშბის სასწაულებს იმეორებდა, თითებით დაეძებდა პორებსა და ღრეჩოებს, თითის ჩასავლებ ნაჩვრეტებს მოსიპულ ყედელზე. იპოვიდა, ჩამოეკიდებოდა, მერე ყვლაე ეძებდა...

„ვერ დაიპირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი...“ — ეს იყო ალბათ მისი უკანასკნელი გაფიქრება.

სიკვდილი ამოვიდა მთებში.

მიხეილს განსაცდელის ჟამს უყვარდა „ლილეოს“ ღიღინი. ძველი ქართული მზის სადიდებელი ჰიმნის ღიღინი. იგი მართლაც მზეს ეთამაშებოდა მთელი სიცოცხლე. მზეს ელაციცებოდა, მზისკენ მიკვალავდა გზას. მზისკენ ლტოლვა იყო მთელი მისი ცხოვრება.

იტალიის ალპებში ქარაფებს მომწყდარმა კაცმა უკანასკნელად დაიბუხუნა მზის საგალობელი და სახელოვნად აღასრულა თავისი ადამიანური ვალი — „მიწა ხარ და მიწად იქეც...“

„სვანეთში დაბადებული კაცი ბევრი რამით არის დავალებული მთისაგან. მთა ჰკვებავს, მთა ასაზრდოებს. მთა იფარავს ადამიანსო“, — ამბობდა მიხეილი. მთებმა შობეს იგი, მთებიდან დაეშვა მსუბუქი ნიავივით ჩვენთან. კავკასიონის ბუმბერაზებმა მოავლინეს მისი სახელი მთელს მსოფლიოში.

ახლა კი, შორს ჩვენგან. ისევე მოკრძალებით, ისევე უჩუმრად შეუერთდა ჭიუხებსა და ქარაფებს, ჰაერსა და მიწას, მზესა და მთვარეს, როგორიც იყო მისი გამოცხადება. მაგრამ მან დაწერა შეუპოვარი, ვაჟკაცური, დიდი ცხოვრების წიგნი. ქათქათა მწვერვალებივით ნათელი და მარადიული, ლილეოსავით მაღალი და მიუწვდომელი.

ეს წიგნია გაუგონარი, სასწაულებრივი ამბებით აღსავსე ერთი უბრალო ადამიანის ცხოვრება... ეს წიგნია, რომელიც სამარადისო სახსოვრად დარჩებათ უდროოდ წასული ადამიანის მეგობრებს, მისი ნიჭისა და ვაჟკაცობის თაყვანისმცემელთ...

• •

მერე ბესარიონი გამოვიდა.

ამჯერად მწარედ ატირდა ბესარიონი, თავში დაიშინა ხელები, გამხდარი, დალეული ხელები გამხდარ დალეულ სახეზე ირტყა და ირტყა:

არ მჯერა, შვილო, შენი სიკვდილი...
არ მჯერა შენი დამარცხებაო.
მაგრამ შენს ფრენას რომ წარმოვიდგენო,
საბედისწერო ჩამოქროლებასო,
შენს კოტრიალს რომ წარმოვიდგენო, —

ცრემლი რომ წასცდეს, გულიც რომ შეეღონდეს,
ნუ გაამტყუნებ, შვილო, მაბაშვნსო...»

არავინ არ ამტყუნებდა ბესარიონს. ხალხი ერთიან ცახცახებდა, თრთოდა, ვიშვიშებდა. ლომის ხეობის შორეული თუ ახლობელი სოფლებიდან მოვლენილ მოზარეთა გუნდებს მოედანზე მოეყარათ თავი. ჩოხა-ახალუხში, პაჭიჭებსა და მოვერცხლილ-მოზარნიშებულ ქამარ-ხანჯალში გამოწყობილი თეთრწვეროსანი მოხუცები, მრავალ-ჭირგამოვლილი ბერიკაცები სულის საგალობელს აგუგუნებდნენ... დაუდეგარი ადამიანის უკვდავ სულს განადიდებდნენ.

უსიტყვო გოდება-მოთქმა სადღაც საუკუნეთა სიღრმიდან მოდიოდა და მკვრივად განეფინებოდა შემოგარენის ველ-მინდვრებზე. ეს კოშკები და მაჩუბები დამდგარიყვნენ ერთმანეთის მხარდამხარ, ამ ნაბდისქუდიანებივით შეყრილიყვნენ და გუგუნებდნენ.

უსიტყვო ჰიმნი მრავალისმეტყველად ქღერდა:

ჩვენ უარესი დღეებიც გვინახავს, ბევრი ნაბდისქუდიანი დაგვიკარგავს უდროოდ. ჩვენ დაგვიტირია ისინი, დაგვიფასებია, როგორც ჯერ არს. ცრემლი გვიღვრია და თავი დაგვიხრია მათს წინაშე... მაგრამ მომავლის იმედი არასოდეს დაგვიკარგავს!.. ქედი არ მოგვიხრია ცხოვრების წინაშე, სულით არ დავცემულვართ, ამაყნი ვრჩებოდით ბოლომდე...

და ასე და აგრერიგად გაგრძელდება ჩვენი მსვლელობა და მოგზაურობა მომავალშიც...

— მე მგონი ადამიანის უპირველესი ღირსება ის არის, რომ იგი სიკვდილის მერეც ცოცხლობს. თუ იგი მართლა კაცია და ადამიანი — ჩაუჩურჩულა თავის მეგობრებს ბექნუ ხერგიანმა — ა?..

■ ■

ზარის ხმას კი ამიერ-იმერით გაჰქონდა კაცური კაცის დიდება.

კაცური კაცის სახელი ნივთდებოდა და მოიქცეოდა ბუნებაში, ხალხში, საზოგადოებაში. ყველას რაღაცა ემატებოდა ამ წუთში. ერთი მიდიოდა შორეულ გზაზე. მეორენი მაღლდებოდნენ.

და სუფევდა რაღაც საოცარი ჰარმონია.

და იყო რაღაც დაუსაბამო სიცოცხლე. რადგანაც რჩეულთათვის ჰეშმარიტ მამულიშვილთათვის აღარასოდეს აღარ დგება თურმე ალსასრულის ჟამი...

• •

ხოლო მიხეილის ნათლობის მწვერვალზე — „ბანგურიანზე“. „კლდის ვეფხვის“ აღზრდილები გადმომდგარიყვნენ. ისინი მთელი ქვეყნის გასაგონად გადასძახოდნენ ქვეყნიერებას: ვისაც კავკასიონი გიყვართ, მისი ხერხემალი და ჩრდილო — სამხრეთის კალთები, აქლემის კუზებად ჩარიგებული მწვერვალები, ნუ შეშინდებით ხიფათიანი გზების მაძიებელნი — მთამსვლელებო, ტურისტებო, გეგმიანო და თვითმოქმედნო! იქ მთებში, ხერგიანების, ჩართოლანების, გვარლიანების, ნიგურიანების, ჯაფარიძეების, კახიანების, ზურებიანების, კვიციანების და „ცასთან ახლოს მდებარე“ ქვეყნის — ლომის ხეობის სხვა საგვარეულოთა „მაშველი რაზმებია“. ისინი მწვერვალებზე მოიტანენ მზესავით კაშკაშა, თოლიავით ნათელ, ზღვასავით ბობოქარ, ყოვლისმძლე, იმედიან შემოძახილს.

დიდ კავკასიონზე აქვს თავისი ბუნაგი „კლდის ვეფხვს“, მიხეილ ხერგიანს.

და კიდეე იძახოდნენ ისინი:

— ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!.. მაღალი და ძლიერი.

ეს მათ ჩაიბარეს უფროსთა ესტაფეტა, როგორც წმინდა რამ სახსოვარი, ჩაიბარეს ეს დიდებული სიტყვებიც — „ადამიანი ყველა მწვერვალზე მაღალია!“

„მაღალი და ძლიერი...“

• •

ხოლო გაელენ წლები, საუკუნეები და ჭაღაროსანი მეზღაპრე ძველისძველ ამბავს მოკყვება:

— სულ პირველად იყო ბეთქილი,

ბეთქილის მერე — ჩორლა.

— ჩორლას შემდეგ — მურათბი კიბოლანი.

მურათბის მერე იყვნენ ალიოშა და გიო.

გიოს მერე ბექნუ და ჭიჭიკო. გაბრიელი და მაქსიმე, მამა ბესარიონი.

და იყო მიხეილ ხერგიანი — უმცროსი მიხეილი და „კლდის ვეფხვად“ ცნობილი მიხეილი.

ისინი მონადირეები და მთამსვლელები იყვნენ. და მათ აერთიანებდათ მთათა და მყინვართა, ცისიერ სიმაღლეთა სიყვარული...

ხოლო მერმე იყო...

ნარნერები

1. მიხეილი ბავშვობაში.

2. მიხეილის მამა — ბესარიონი.

3. საგვარეულო სახლი სოფელ ლანჩვალში, სადაც დაიბადა მიხეილ.

4. ბაბუა ანტონი (თეთრი მოხუცი);

5. მიხეილის შეუღლე — კატი ბარლიანი (მარცხნივ) და უმცროსი და — ნა-თელა.

6. მამაკაცერ ჩოხა-ახალუხში.

7. მიხეილი ახლობელთა წრეში (მარჯვნივ მიჟინა ხერგიანი);

8. მიხეილის უმცროსი ძმა — ანვარი მეუღლესა და მაშახთან ერთად.

9. სვანეთი ზამთარში (უშბის ხეღი);

10. ქართული მთამსვლელობის სახელოვანი წარჩინებულებნი. სპორტის დამ-სახურებული ოსტატები — გიორგელ და ბექნე ხერგიანები (მარცხნიდან მარჯვნივ).

11. მიხეილის მეძაშვილი — ზაია ხერგიანი;

12. ორი (უფროსი და უმცროსი) მიხეილ ხერგიანი;

13. მშობლიური გარემო. ლანჩვალი. ბუჯა ხერგიანი;

14. ხოფლის მახეშები — ოთხებ ხერგიანი და მამერაზა ნიგურიანი.

15. ითხმოცდაათ წელს მიტანებული სახელოვანი ფალავანი ჭეინტულდ ხერ-გიანი.

16. ქართველ მთამსვლელთა ერთი ჯგუფი. დგანან (მარცხნიდან — მარჯვნივ): შოთა ჩართოლანი, ლაერტ ჩართოლანი, ჭოკია გუგავა, ილეკო გიბლიანი, გიგი წერედიანი; ხმენან: ჭეანმერ შუსელიანი, ჭიჭეკო ჩართოლანი, ბექნე ხერგიანი, ხოზარ გუგავა.

17. დგანან: რამაზ ჭიშკარიანი. მიხეილ ხერგიანი. ხმენან: მიხეილ ხერგიანი (უმცროსი). ჭოკია გუგავა. გიგი წერედიანი;

18. მიხეილი.

19. მაჩუბში.

20. ლანჩვალი. „ქალების ფიბონი".

21. თოვლის სამეფო.

22. გ. ნიკოლაძის პირველი ალპინისტური ექსპედიცია სვანეთში, 1929 წელს.

23. შესანიშნავი ხუთეული— მაქსიმე გვარლიანი, გიორგი ზურაბიანი, ბექნე ხერგიანი, ჭაკო მარი (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და ჭიჭეკო ჩართოლანი 1949 წლის შხელდა-უშბის ტრაკერსის მონაწილენი.

24. უმცროსი მეგობარი.

25. პირველი თაობის ცნობილი მთამსელელები — ო

ᲐᲚᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

3. ᲔᲠᲘᲨᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲜ...

26. „ᲐᲚᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘ“ ᲣᲨᲘᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲔᲨᲘ...

30. ᲜᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ.

31. ᲣᲨᲒᲣᲚᲘ.

32.. ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲠᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ᲮᲐᲠᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲨᲐᲚᲘᲙᲐ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲩᲣᲛᲑᲣᲠ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ.

33. „ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲣᲨᲕᲐᲒ, ᲪᲐᲓ ᲐᲜᲘᲓᲔᲚᲘ...“

34. ᲐᲗᲐᲮᲘ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲨᲘ...

35. ᲬᲔᲗᲘᲨᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ (ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲩᲝᲩᲘᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ).

36. ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲛᲦᲔᲣᲜᲘᲡ (ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲠᲚᲔᲜ ᲠᲐᲦᲘᲐᲜᲘ, ᲚᲘᲔᲠᲗ ᲬᲐᲠᲗᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲩᲝᲩᲘᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ).

37. ᲨᲝᲜᲑᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲠᲯᲣᲐᲜᲘ.

38. ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘᲩᲐᲛᲬᲧᲓᲝᲛᲘ ᲮᲘᲪᲘᲚᲘ.

39. ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ „ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲐ“...

40. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲐᲛᲨᲕᲚᲔᲚᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲨᲣᲠᲐᲑᲘᲐᲜᲘ.

41. ᲒᲠᲘᲨᲐ ᲒᲣᲚᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲗᲘᲪᲐᲜᲐᲫᲔ.

42. ᲡᲔᲠᲒᲝ ᲑᲐᲠᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲩᲝᲩᲘᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ.

43. ᲘᲚᲘᲙᲝ ᲒᲐᲑᲚᲘᲐᲜᲘ.

44. ᲒᲘᲪᲘ ᲬᲔᲠᲔᲓᲘᲐᲜᲘ, ᲩᲝᲩᲘᲐ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲐᲜᲘ ᲗᲐᲗᲜᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ.

45. ᲩᲣᲛᲑᲔᲠ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

46. ᲛᲐᲙᲡᲘᲛᲔ ᲒᲕᲐᲠᲚᲘᲐᲜᲘ (ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ) ᲞᲐᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ.

47. ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲣᲐᲓᲐ.

48. „ᲐᲣᲨᲘᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲔ“ — 1984 Წ.

49. ᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘᲡ ᲮᲚᲐᲠᲗᲔᲑᲨᲘ...

50. ᲨᲐᲚᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ.

51. ᲒᲘᲪᲘ ᲬᲔᲠᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

52. ᲞᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲕᲐᲠᲚᲘᲐᲜᲘ.

53. ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲗᲐᲛᲨᲕᲚᲔᲚᲘ ᲝᲣᲠᲘ ᲑᲣᲠᲚᲐᲙᲝᲕᲘ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲨᲘ.

54. ᲒᲠᲘᲨᲐ ᲒᲣᲚᲑᲐᲜᲘ.

55. ᲝᲨᲕᲔᲘᲗ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲐᲨᲘ.

56. ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲓᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲐᲚᲑᲝᲛᲘᲓᲐᲜ.. 1980 Წ.

57. ᲘᲝᲡᲔᲑ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲜᲘᲜᲒ ᲜᲝᲠᲒᲔᲡᲗᲐᲜ ᲑᲐᲮᲡᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ.

58. ᲪᲘᲪᲚᲘᲓᲐᲜ — ᲙᲘᲓᲔᲕᲔᲪ ᲓᲐᲘᲬᲠᲓᲔᲑᲘᲗᲐᲜ...

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲡᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲩᲘᲩᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲐᲮᲑᲐᲜᲒ ᲮᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲝᲨᲐ ᲒᲐᲨᲚᲔ-

59. მიხეილ ხერგიანი და ოთხებ კახიანი ინგლისში ხტუმრად ლორდ ჭონ მანტონთან, 1960 წელს.

60. ინგლისი. ხტუმრად ახალგაზრდა მოაზსულელთა სკოლაში.

61. ქართველი მოაზსულელები მეხის დანშიტთან ხტუმრობისას.

62. მიხეილ ხერგიანი და ოთხებ კახიანი ჩინელ კოლეგებთან.

63. თოვლის ხიბურველში...

64. მიხეილი და ვიაჩისლავ ონიშჩენკო (მარჯვნიდან პირველი) — „ალდის ვეფხვის" თანამეწყვილე ხიბლიხნერო დოლომიტებში.

65. ალდის ვეფხვი და მეინვართა ვეფხვი — მიხეილი და თენსინგ ნორგეი.

66. ტიანშანის მძევალი ოლიკო გახლიანი;

67. ტიანშანის კიდეე ერთი მსხვერპლი — თეოსურაზ კუხიანიძე.

68. შხარაზე დადუპული ხერგი მარლიანი.

69. არც ჭუმბერ მეძმარიაშვილი დაინდო ტიანშანმა.

70. ჭ. მეძმარიაშვილი, თ. კუხიანიძე, ა. ანაშიძე;

71. „ზღაპარია თუ ნამდვილი?.."

72. მთების რაინდი მწვერვალთა გალავანზე...

73. ძმები შალიკო და ვალიკო მარგიანები.

74. მიხეილ ხერგიანის ხახელობის ახალგაზრდული ცენტრი — „ბეთქილი" მესტიაში (წინა პლანზე — გუნდის ხელმძღვანელი ოსლან ფილფანი).

75. ამ ცენტრის შემოქმედნი — ტრაგიკულად დადუპული ბორის კახიანი, ავთანდილ მარგიანი და ვალიდა კახიანი.

76. „ალდის ვეფხვი". ავტორი ვახტანგ ონიანი.

77. ბაბა ბეხარიონი.

78. ლადო გურჩიანი, ვახტანგ ხარანაძე და აკაკი ხერგიანი — ფაკორიტები ალდიზე ცოცვაში.

79. ლადო გურჩიანი და ნუგზარ დადეხულიძე.

80. პარიზე გვარლიანი.

81. მეალპინურნი...

82. მიხეილ ხერგიანის ხახლ-მუზეუმი მესტიაში. ხიფ. ლადანი.

83. მიხეილის ხაუკარელი შეგირდი ლადო გურჩიანი და ხაძე ნუგზარ ნაგურიანი.

84. მიხეილის უმცროსი მეგობარი ავთანდილ მარგიანი.

85. აკაკი ხერგიანი — ეკერესტის ხახეოური ექსპედიციის ერთადერთი მონაწილე საქართველოდან.

86. ანაო. ოლოდინი...

87. „ალდივაც დაიზრდებიან"... საქართველოს მთამსულელთა ნაკრების წევრები. ეკერესტის ექსპედიციის კანდიდატები.

Хергиани Мирон Буджаевич

ТИГР СКАЛ

РОМАН

(На грузинском языке)

რედაქტორი ო. შალამბერიძე
მხატვარი ზ. დეისაძე
მხატვარი რედაქტორი გ. ზაკალაშვილი
ტექრედაქტორი ნ. გაგნიძე
უფ. კორექტორი ლ. გოგეშვილი
კორექტორი ლ. ლიპარტელიანი

ხბ № 4533. Литературно-художественное издание.

გადაეცა წარმოებას 27.05.90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.06.90. ქაღალდის ზომა 60×84 1/16. ქაღალდი № 1. ბეჭდვის ხერხი ოფსეტური. გარნიტური ვენა. ნაბეჭდი თაბახი 18,25. საღებავგატარება 33,25. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,5+ 2 თაბახი ჩანართი; ტირაჟი 5 000. შეკვ. № 306.

ფასი 10 მან.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.

380060. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 29.
საქართველოს სსრ გამსახლობის № 4 სტამბა.
380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 29.
типография № 4 Госкомиздата Грузинской ССР.